

# ანალები

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის  
შესწავლისა და პროპაგანდის  
სამეცნიერო ცენტრი

## ANALEBI

SCIENTIFIC CENTRE FOR STUDIES  
AND PROPAGANDA OF HISTORY,  
ETHNOLOGY AND RELIGION



გამომცემლობა „ანიპრესალი“  
თბილისი 2014

ჟურნალის „ანალები“ რედაქციები:

აკად. დ. მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი)

აკად. მ. ლორთქიფანიძე

დოქტ. რ. სუნი (ჩიკაგო, აშშ)

დოქტ. გ. კოსაკი (მარბურგი, გფრ)

პროფ. გ. ლარსონი (უფსალა, შვედეთი)

ი.მ.დ. მ. სამსონაძე

ი.მ.დ. ნ. ხაზარაძე

ი.მ.დ. ნ. ვანნაძე

ი.მ.დ. მ. ნათმელაძე

ფ.მ.დ. ნ. სულავა

ი.მ.დ. ა. დაუშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი)

ჟურნალი გამოსაცემად მომზადდა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის საგამომცემლო ჯგუფში „მემატიანე“.

კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ბუტიკაშვილისა

© ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 1512-343X


„ერის ღაწემა და გათახსირება მამინ  
ინცება, როჯა ერი, თავის საუბედუროდ,  
თავის ისტორიას ივინცებს“.

ილია





## სამეცნიერო კონფერენცია



**რედაქციისაგან:** 2014 წლის 28 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი (ისტორიული გაკეთილფობი)“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: საქართველოს თავდაცვის ექსპინისტრი გ. ყარყარაშვილი (წარმოადგინა მოხსენება), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალციხის უნივერსიტეტის, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის, ისტორიის, ეთნოლოგიის რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები, საისტორიო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა აკად. დავით მუსხელიშვილმა. კონფერენციას დაესწრნენ მასმედიის წარმომადგენლები და ის გაშუქდა ტელევიზიით. ქვემოთ გთავაზობთ კონფერენციზე წაკითხულ მოხსენებებს.

### უჩა ბლუაშვილი

#### როგორ მზადდებოდა 2008 წლის აბვისტოს ომი

„რუსეთის ტრაგედია ის არის, რომ პუტინს და მის გარემოცვას ბევრად უფრო სძულთ დასავლეთი, ვიდრე უყვართ რუსეთი. ამიტომ არის, რომ ყოველდღიურად ღალატობენ რუსეთს საბჭოთა კავშირის ცხედართან“. ანდრეი პიანტოვსკი, რუსი პოლიტოლოგი.

„ბედნიერი ვარ ჩემი ერი იმდენად მცირერიცხოვანია, რომ დიდი სისულელეების ჩადენა არ ძალუძს.“  
ჰენდრიკ ლორენცი, პოლანდიელი ფიზიკოსი.

საქართველოს უახლეს ისტორიას წითელ ზოლად გასდევს ჩვენი ქვეყნის უშუალო და ერთმორწმუნე მეზობელთან – რუსეთთან უაღრესად გართულებული ურთიერთობები. ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი ამას რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა ექსპანსიონისტური, აგრე-

სიული ბუნებით ხსნის, მეორე ნაწილის აზრით კი ამის მიზეზი ქართველ პოლიტიკოსთა უხეში შეცდომებია.

უნდა ითქვას, რომ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში სახეზე გვაქვს ამ რთული და მრავალსაპექტიანი მოვლენის ცალმხრივი ახსნის მცდელობა, რაც ავიწროებს მისი წარმომშობი მიზეზების კვლევა-ძიების ფარგლებს, შეუძლებელს ხდის მის სრულფასოვან და სრულყოფილ ანალიზს.

1990 წლის 4 ნოემბერს, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლიდან სულ რაღაც ერთ კვირაში, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი მოსკოვში ჩავიდა. მიხეილ გორბაჩოვმა მას ყოველგვარი მიკიბ-მოკიბების გარეშე უთხრა: თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკის გაყვანას შეეცდება, უნდა იცოდეთ, რომ სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა რეგიონებში.

ამ აშკარა მუქარიდან სათანადო დასკვნები არ გაკეთებულა. მაშინ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებაში ძალზე ძლიერი იყო კომუნისტურ რეჟიმზე გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია. გამსახურდიას და მის გუნდს ღრმად სწამდა, რომ ყველა სიძნელეს ადვილად დაძლევენ.

რახან სიტყვიერმა გაფრთხილებამ შედეგი არ გამოიღო, კრემლი საქმეზე გადავიდა: უკვე 1990 წლის 9 დეკემბერს, მოსკოვის კარნახით და წაქეზებით, ოსმა სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ სეპარატისტთა ამ დემარშს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებით უპასუხა. ცხინვალში ქართული მილიციის შენაერთები შევიდნენ. დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება ქართველებსა და ოს სეპარატისტებს შორის. ცხინვალში მომხდარი სისხლისღვრით დასაბამი მიეცა საქართველოს დაშლის შორსგამიზნული რუსული გეგმის პრაქტიკულ რეალიზაციას.

1991 წლის 31 მარტს საყოველთაო რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუ-

კიდებლობას. იმავე წლის 9 აპრილს საქართველომ, ბალტიის რესპუბლიკების შემდეგ პირველმა, განაცხადა სსრკ-დან გასვლისა და დამოუკიდებლობის შესახებ. 8 დეკემბერს რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ და ყაზახეთმა ბელოვეჟში სსრკ-ს დაშლა დაადასტურეს. ხელი მოეწერა შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ. მასში შესვლაზე ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან უარი განაცხადეს მხოლოდ საქართველომ და ბალტიის ქვეყნებმა.

რესპუბლიკის მაშინდელ მესვეურთა ამ ნაბიჯს ქართული საზოგადოებრივი აზრი დადებითად აფასებს. საბჭოთა იმპერიით დაშინებულები ჩვენ რუსეთთან ყოველგვარ კავშირს გაუზრბივართ. ისე მოგვდის, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია: რძით დამწვარი დოს უბერავდაო. არადა, დსთ-ში რუსეთი სრულიად მოკლებულია მასში შემავალ სახელმწიფოებზე ზეწოლის იმ ბერკეტებს, რომლებიც მას სსრკ-ში მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ გააჩნდა. საკმარისია ითქვას, რომ რუსეთმა დსთ-ს ქვეყნებს მის მიერ აღიარებული ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებაც კი ვერ დააძალა და საქმე ვანუტუსა თუ ვენესუელას სახეგწირად გაუხდა. ცხადია, ზესახელმწიფოებრივ გაერთიანებაში შესვლა მასში მყოფი სახელმწიფოების მხრივ ყოველთვის გულისხმობს სუვერენიტეტის რაღაც ნაწილის დათმობას. მაგრამ ასეთ დროს სასწორზე იდება ამ გაერთიანებაში ყოფნით მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგები და გადაწყვეტილება ამის საფუძველზე მიიღება. დსთ-ში შესვლას კი ჩვენ პოლიტიკური მიზანშეწონილობა – ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება გვკარნახობდა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის აქტიურობას საქართველოში შიგა კონფლიქტების გაღვივების თვალსაზრისით, ჩვენი მხრივ გადადგმული ასეთი ნაბიჯი მოტივაციას თუ ბოლომდე არ დაუკარგავდა, მნიშვნელოვანწილად ნამდვილად შეუმცირებდა.

ერთი ისტორიული პარადელი: 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შანსი გაუჩნდა. ომით და რევოლუციით დაუძღურებულ რუსეთს იმპერიის მთლიანობაზე

ზრუნვის თავი აღარ ჰქონდა. თუმცა, მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი შეუძლებელი იყო საომარი ოპერაციების განვითარების მეტ-ნაკლებად ზუსტი პროგნოზირება. შესაბამისად, შეუძლებელი იყო საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და საიმედო მოკავშირის პოვნა. კავკასიის რეგიონში დამკვიდრებისთვის მაშინ რუსეთის გარდა, იბრძოდა თურქეთიც. ირანი ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის პრობლემების შექმნა მასაც შეეძლო. მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები რუსეთსა და თურქეთს შორის კავკასიისთვის დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტიად ვერ გამოდგებოდნენ. პირიქით, ანტანტის სახელმწიფოები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სცნობდნენ მთლიან და განუყოფელ რუსეთს, იმპერიაში შემაჯავალ ცალკეულ ერებს კი რუსეთის ნაწილებად განიხილავდნენ. მეორე მხრივ, ამ წონასწორობის დარღვევის არც ერთი ვარიანტი საქართველოს ხელს არ აძლევდა. რუსეთის წასვლა ამიერკავკასიიდან აქ თურქეთის უცილობელ გაბატონებას მოასწავებდა, თურქეთის პოზიციების შესუსტება კი რუსეთს გაუხსნიდა ხელ-ფეხს აქტიური მოქმედებებისთვის.

ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი პოლიტიკოსები რადიკალური პოლიტიკური კურსის დაფიქსირებას ერიდებოდნენ, რათა სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში მისი კორექტირების საშუალება ჰქონოდათ.

და მაინც, საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წ. 19-24 ნოემბერი) სრულიად მკაფიოდ განსაზღვრა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. ყრილობამ დაადასტურა, რომ ქართულმა დემოკრატიამ „დღიდან თავისი არსებობისა, თავისი სვებელი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას ...“ამასთან, მთავარმა მომხსენებელმა – ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ „თუ რუსეთში ვერ მოხერხდა ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების მოწვევა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვაწყოთ ადგილობრივი დამფუძნებელი კრება და ჩვენს თავს მივცეთ კონსტიტუცია ... უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მიენიჭოს სრული შინაური თვითმმართველობა...“<sup>1</sup>



ნოე ჟორდანიას მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია. ბოლშევიკ ფილიპე მახარაძის გარდა მას ყველა პარტიის წარმომადგენელი შეუერთდა. სოციალ-ფედერალისტების სახელით ყრილობაზე გამოსულმა გ. რცხილაძემ მოიწონა ჟორდანიას მიერ წამოყენებული ეროვნულ ძალთა საერთო ნიადაგზე დგომის იდეა. სოციალისტ-რევოლუციონერმა გ. ნათაძემ აღნიშნა, რომ მისი პარტია საჭიროდ არ მიიჩნევს მოხსენებისთვის რაიმეს დამატებას და მთლიანად იწონებს მასში ჩამოყალიბებულ დებულებებს. ჟორდანიას სიტყვა გვაერთიანებს ყველას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის არ არსებობს უთანხმოება, მაგრამ ამჟამად სავსებით ვეთანხმებით მოხსენებას და არ გამოვდივართ სეპარატისტული განცხადებითო, – აღნიშნა ეროვნულ-დემოკრატიკა გ. გვაზავამ.

რატომ არ აყენებდნენ ქართული ეროვნული პარტიები ქვეყნის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნას?

ქართველი პოლიტიკოსები ამ კითხვას სავსებით კონკრეტულად პასუხობდნენ: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში თურქეთი მიიტაცებს ქართულ მიწებს. ამიტომ გარკვეული დროით ჩვენ უნდა შევურიგდეთ სუვერენიტეტის შეზღუდვას და ამ გზით შევინარჩუნოთ ტერიტორიული მთლიანობა. ხელსაყრელ დროს სუვერენიტეტის აღდგენას ჩვენ კიდევ შევძლებთ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება კი ძალზე პრობლემური იქნება.

ქართველ პოლიტიკოსთა ასეთი პოზიცია მათ წინდახედულობაზე მეტყველებს. ისინი ქართულ საქმეს ისე აკეთებდნენ, რომ მთელი რუსული პოლიტიკური სპექტრის თუ არა, მისი დიდი ნაწილის კეთილგანწყობას ინარჩუნებდნენ. დამახასიათებელია, ამ მხრივ, 1917 წლის სექტემბერში პეტროგრადში გამართული რუსეთის დემოკრატიული ძალების თათბირზე ქართველ მხედართა კავშირის სახელით გამოსული ვ. მაჩაბელის სიტყვა: „თუ ჩვენ, ქართველებმა, დღემდე არავითარი ეროვნული მოთხოვნა არ წარვუდგინეთ რუსეთის დემოკრატიულ მთავრობას, ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეროვნული თვითშეგნება არა გვაქვს, ან კიდევ ძალა არ შეგვწევს განვახორციელოთ ჩვენი ეროვნული იდეალი, არა – ჩვენ ერთიც გვაქვს და მეორეც. მაგ-

რამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დროს, როცა სახელმწიფო და რევოლუცია ასეთ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება, არ შეიძლება გავართულოთ ისედაც უკვე გართულებული საერთო საქმე.“<sup>2</sup>

ქართველი პოლიტიკოსის ამ სიტყვების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა ორატორს.

სამწუხაროდ, ასეთივე მაღალი პოლიტიკური ინტელექტი, დიპლომატიური მოქნილობა და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინეს მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველმა პოლიტიკოსებმა. საბჭოთა იმპერიის ნგრევის ეტაპზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში იმძლავრა რადიკალიზმმა, ერთგვარმა მამლაყინწობამ, რაც პოლიტიკური ინტელექტისა და გამოცდილების არქონის შედეგი გახლდათ. ეს ლოგიკურიც იყო: მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს კლასიკური საუნივერსიტეტო განათლება ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული, მაშინ, როდესაც ეროვნული იდეით შეპყრობილ 80-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ელიტას, სკოლის მერხიდანვე დისიდენტურ მოძრაობაში ყოფნის გამო, ნორმალური საშუალო განათლებაც კი არ გააჩნდა.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქართული სახელმწიფოს ინტერესები, ისევე, როგორც 1917 წელს, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის სუვერენიტეტის რაღაც ნაწილზე დროებით უარის თქმას მოითხოვდა. 1988 წელს მაშინ უკვე მსცოვან პოეტს – კოლაუ ნადირაძეს ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დაუსვა: როგორ უნდა მოვიქცეთ ქართველები შექმნილ ვითარებაში? პოეტის პასუხი განსაცვიფრებელი იყო: არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გეცყვით: იმპერია ინგრევა. ახლა ჩვენ უნდა დავწვეთ და გავინაბოთ. იმპერიის დანგრევის შემდეგ კი წამოვდგეთ, მტვერი ჩამოვიბერტყოთ და ჩვენი საქმის კეთებას შევუდგეთო.

აი, ის ფორმულა, რომელიც მაშინ რუსეთთან კონფრონტაციას აგვაცილებდა. სამწუხაროდ, ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, ერთი მხრივ, დაბალი პოლიტიკური ინტელექტის, მეორე მხრივ კი ზღვარსგადასული ამბიციების გამო, ამისთვის მზაობა არ არსებობდა.

მოსალოდნელ რეალურ საფრთხეთა გაუთვალისწინებლობას, წინდაუხედავ ბაქი-ბუქს ლოგიკური შედეგი მოჰყვა: საქართველო რუსეთის მიერ თავსმოხვეულ შიდა კონფლიქტებში ჩაიძირა. რუსეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, შემდეგ კი ყველაფერი იღონა თავის მიერვე პროვოცირებულ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში საქართველოს დასამარცხებლად.

1994 წელს ხელი მოეწერა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მაღევე მოახდინა. რუსეთმა რატიფიკაციისგან თავი შეიკავა. ეს ფაქტი ნათლად მოწმობდა: დსთ-ში საქართველოს შესვლის (თუ შეთრევის) შემდეგაც კი რუსეთი აღარ ენდობოდა ჩვენს ქვეყანას და უკვე საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი მისი დანაწევრება. სწორედ ამიტომ არ სურდა მას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დამადასტურებელი ხელშეკრულების რატიფიკაციით თავის შეზღუდვა.

1997 წელს რუსეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა ე. წ. „ქართულ-აფხაზური საერთო სახელმწიფოს“ იდეა წამოაყენა. ამ გაერთიანების ორივე სუბიექტს რჩებოდა საერთო სახელმწიფოდან გასვლის უფლება. ეს იყო არცთუ ნიჭიერად დაგებული ხაფანგი ქართული სახელმწიფოს დასაშლელად.

1998 წლის მაისში (19-26) ქართულმა მხარემ სცადა პარტიზანული ძალებით გალის გათავისუფლება. მოგვიანებით ქართველი პარტიზანები და სამხედროები საუბრობდნენ ფარულ გარიგებაზე რუსეთის არმიის ოფიცრებთან, რომლებიც, თითქოს, დიდი ფულის სანაცვლოდ არ უნდა ჩარეულიყვნენ კონფლიქტში. ამ წამოწყებას თავიდანვე ავანტიურის სუნი ასდიოდა და ის ასევე დამთავრდა კიდევ. საქართველოს რეგულარული ჯარი პარტიზანებს ვერ დაეხმარა. გალი კიდევ ერთხელ დაიკარგა. აფხაზებმა გადაწყვეს ორიათასამდე სახლი, ბრძოლაში დაიღუპა 190 პარტიზანი და მშვიდობიანი მცხოვრები, გალიდან დევნილთა რაოდენობამ 50 ათასი კაცი შეადგინა.

იმავე წელს საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფი მოსკოვს ეწვია. თავის რუს კოლეგებს მათ სა-

კითხი შემდეგნაირად დაუსვეს: ქართულ მხარეს რუსეთისგან სურს ორი რამ: რუსეთმა ხელი არ შეგვიშალოს ჩვენი შიგა კონფლიქტების დარეგულირებაში და რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულად გადმოგვცეს ჩვენი წილი იარაღი. სანაცვლოდ ქართული მხარე მზადაა შეასრულოს რუსული მხარის ყველა მოთხოვნა, გარდა ისეთი მოთხოვნებისა, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის ჩვენს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. გიორგი ბარამიძე, რომელიც ამ ამბავს ღია ეთერში ყვებოდა, გაოცებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ქართულმა დელეგაციამ რუსი კოლეგებისგან კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულებამ განსაკუთრებული აგრესიული ხასიათი შეიძინა 1999 წლიდან, როდესაც, ერთი მხრივ, რუსეთის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად განმტკიცდა სახელისუფლებო ვერტიკალი, მეორე მხრივ კი საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა სასიკეთო ძვრებმა ქართულ სახელმწიფოს საშუალება მისცა ნათლად გამოეკვეთა ევროატლანტიკური კურსი. საქართველოს ტერიტორიების მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკა ახალ ფაზაში შევიდა.

იმავე წელს რუსეთმა საქართველოს თავის ტერიტორიაზე ჩეჩნეთის მიმართულებით ჯარის გატარება მოსთხოვა. საქართველოს უარის შემდეგ კი რამდენჯერმე დაბომბა პანკისის ხეობა.

2000 წელს რუსეთმა სავიზო რეჟიმი დაუდგინა საქართველოს, თუმცა, აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართ გამარტივებული წესი შემოიღო.

2001-2002 წლებში გაეროს და ეუთოს ეგიდით აქტიურად მიმდინარეობდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების გზების ძიება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში (ბოდენის გეგმა), თუმცა, სეპარატისტები და რუსეთი სისტემატურად ბლოკავდნენ ამ ინიციატივებს.

2002 წელს რუსეთმა დაიწყო თავისი პასპორტების დარიგება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში.

2004 წლის 7 ივლისს ოსმა სეპარატისტებმა დაატყვევეს, განაიარაღეს და დაამცირეს სოფელ ვანათში შესული ქართველი პოლიციელები. ისინი აიძულეს დაეწოქათ. ეს მიმღე კადრები ბევრჯერ გადაიცა ტელევიზიით.

ორი დღის შემდეგ (9 ივლისს) ირანიდან დაბრუნებული სააკაშვილი თათბირზე კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოს მთელი შეიარაღებული ძალების დაძვრას ცხინვალზე. თათბირის მონაწილეებმა მაშინ მოახერხეს პრეზიდენტის დარწმუნება, რომ ეს ნაბიჯი საბედისწერო იქნებოდა ქვეყნისთვისაც და მისი პრეზიდენტობისთვისაც.<sup>3</sup>

2006 წელს რუსეთმა აკრძალა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანა. დაწესდა სატრანსპორტო ბლოკადაც. ამავე პერიოდიდან დაიწყო რუსეთის სპეცსამსახურების გააქტიურება საქართველოს ტერიტორიაზე. სექტემბერ-ოქტომბერში ამას საქართველომ რუსეთის ჯაშუშების დაკავებით და ექსტრადაციით უპასუხა. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს მისთვის ჩვეული არადიპლომატიურობით და დემონსტრაციულობით გააკეთა. პუტინმა ეს რუსეთიდან ქართველი მოქალაქეების დეპორტაციის საბაზად გამოიყენა.

იმავე წელს პუტინმა სააკაშვილს პირდაპირ უთხრა, რომ საქართველოში ის „ჩრდილოეთ კვიპროსს“ შექმნიდა. ცოტა მოგვიანებით მან იგივე გაიმეორა გაეროს გენერალურ მდივანთან საუბრის დროსაც.

ამავე პერიოდიდან იმატა სეპარატისტული რეჟიმების აგრესიულობამ და რუსული სამხედრო შენაერთების აქტივობამ ჩვენს საზღვრებთან. რუსულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს კოდორის ხეობა, რამდენიმე რაკეტა ჩამოაგდეს სოფელ წითელუბანშიც.

სულ უფრო და უფრო აშკარად იკვეთებოდა, რომ რუსეთი კონფლიქტების დამრეგულირებელი კი არა – კონფლიქტების მხარეა.

2008 წლის 17 თებერვალს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა და აშშ-მ კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნეს. ამით მათ სერიოზული დარტყმის ქვეშ დააყენეს საქართველო. არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ რუსეთი ამ ფაქტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყო-

ფისთვის გამოიყენებდა. ჯერ კიდევ 2006 წლის 4 ოქტომბერს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოფილი გენერალური მდივანი ჰავეიერ სოლანა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ კოსოვომ შესაძლოა პრეცედენტი შექმნას და უარყოფითი შედეგები მოუტანოს საქართველოს. „ჩვენ ხაფანგში ვექცევით... პრეზიდენტი სააკაშვილი ხაფანგშია მოქცეული. ყველა ჩვენგანი ორმაგი მექანიზმის მსხვერპლი ვხდებით, რომელმაც, შესაძლოა, კარგი შედეგები მოუტანოს ერთს, მაგრამ არა – მეორეს. ეს ვერ იქნება სიტუაცია, სადაც ორივე მხარე იმარჯვებს – თუმცა ჩვენ უნდა შევძლოთ მოვძებნოთ და ვიპოვოთ ისეთი სიტუაცია, სადაც ორივე მხარე გაიმარჯვებს, მაგრამ ეს ადვილი არ იქნება.“<sup>4</sup>

დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან ხუთი დღის შემდეგ პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს დსთ-ს სამიტზე შეხვდნენ. პუტინმა სააკაშვილს უთხრა: არ მესმის, რატომ წამოიწყო ამერიკამ ევროპის ისლამიზაციის კამპანია. მას შემდეგ, რაც ალბანელებმა თავისას მიაღწიეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედონიასაც მისდგებიან. ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ დასავლეთს უპასუხოდ ვერ დაგტოვებთ, მართალია ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებით.

საკაშვილმა უპასუხა, რომ არ ესმოდა რა კავშირი ჰქონდა საქართველოში არსებულ ვითარებას კოსოვოსთან. მან ისიც თქვა, რომ თუ ჩრდილო კავკასიელები დღეს მხარს აფხაზებს და ოსებს უჭერენ, ეს იმიტომ, რომ თვითონაც დამოუკიდებლობა სურთ, ოღონდ რუსეთისგანო. პუტინმა მშვიდად მოუსმინა სააკაშვილს, შემდეგ კი ასეთივე სიმშვიდით უპასუხა, რომ ჩრდილო კავკასიელების პრობლემა არ ადევლებდა. მაგათ როგორმე მოვუვლითო – თქვა და ცერა თითის ყელში გამოსმით მიანიშნა, თუ როგორ გადაწყვეტდა ამ პრობლემას.

საკაშვილმა პუტინის დაყოლიება სცადა: საქართველო თქვენთვის საუკეთესო მეზობლად შეიძლება იქცეს. დავსხდეთ და ერთად ვიფიქროთ ერთმანეთის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე, სასიცოცხ-

ხლო სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებაზე, იმ საკითხთა ჩათვლით, რაც თქვენ ასე გაშფოთებთო, – უთხრა.

ეს იყო აშკარა მინიშნება, რომ ყველაფერზე შეიძლება ბოდა მორიგება, მათ შორის, თბილისის ნატოსკენ სწრაფვაზეც, თუკი მოსკოვი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების ნებას გამოიჩენდა. პუტინმა შემოთავაზებისგან თავი შორს დაიჭირა და არც სააკაშვილის მინიშნებაზე მოუხდენია რეაგირება. „მე აქ რაღაც დათმობების სანაცვლოდ მიწებს ვერ ჩამოვარიგებ...“, – იყო მისი პასუხი. პუტინმა საკმაოდ არაორაზროვნად განუცხადა ქართულ დელეგაციას (შეხვედრას მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე და მისი მოადგილე გრიგოლ ვაშაძეც ესწრებოდნენ), რომ შესაძლებელია საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლის განახლება, დაფიქრდებიან იმაზეც, რომ რუსულ ბაზარზე კვლავ დაბრუნდეს ქართული ღვინო, მაგრამ, რაც შეეხება სადავო ტერიტორიებს – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, ჩვენ მათთან დაკავშირებით პასუხს გაგცემთ არა თქვენ, არამედ დასავლეთს, შეერთებულ შტატებსა და ნატოს კოსოვოს ჭრილში. თქვენ არ უნდა ინერვიულოთ. ეს თქვენ არ უნდა გაშფოთებდეთ. ის, რის გაკეთებასაც ჩვენ ვაპირებთ, არ იქნება თქვენს წინააღმდეგ მომართული. ეს იქნება ჩვენი რეაქცია დასავლეთის მოქმედებაზეო.

ამ თემას რომ ეხება, რონალდ ასმუსი აღნიშნავს, რომ სააკაშვილის პირით პუტინმა საჯაროდ შეუთვალა დასავლეთს – კოსოვოს აღიარება ბუმერანგივით შემოგიტრიალდებათო.

სანტ-პეტერბურგიდან თბილისისკენ მომავალმა სააკაშვილმა დავით ბაქრაძეს შთაბეჭდილების შესახებ ჰკითხა. ომის სუნი მცემსო, – მიუგო ბაქრაძემ.<sup>5</sup>

ცხადზე ცხადი იყო, რომ რუსეთი კოსოვოს მოვლენებზე დასავლეთისთვის პასუხის გაცემას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებით აპირებდა. სააკაშვილი კარგად აცნობიერებდა ამ საფრთხეს და ამის შესახებ არაერთხელ აფრთხილებდა კიდევ დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს, თუმცა, მას პასუხად მუდმივად არწმუნებდნენ – მოსკოვი მხოლოდ იმუქრება და კოსოვოს

პრეცედენტი საქართველოსთვის არანაირ ნეგატიურ შედეგს არ გამოიღებსო. მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების გათვლები მცდარი იყო. რუსეთის ხელმძღვანელობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რეაგირების გარეშე არ დაეტოვებინა დასავლეთის ეს ნაბიჯი. აშშ-სა და ევროპისთვის სამაგიეროს გადახდა კი, კრემლის აზრით, საქართველოს დასჯით ყველაზე უკეთ შეიძლებოდა. პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული იყო, რჩებოდა მხოლოდ მისი ტექნიკური განხორციელება. ამ საქმეში კი რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი გამოცდილება გააჩნდა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ რუსეთმა ყველაფერი იღონა საქართველოს საბოლოოდ დასუსტებისთვის, მოთმინებით დაელოდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გარდაცვალებას, შემდეგ ქართლის დიდებულებს, ზოგს მუქარით, ზოგს დაყვავებით და შეპირებებით რუსეთის ქვეშევრდომობაზე მოაწარინა ხელი, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მანიფესტში კი ჩაწერა, რომ ამ ნაბიჯს პატარა ერთმორწმუნე ხალხის სიბრალულით, მის გადასარჩენად დგამდა. საქართველოს ხელმეორე ოკუპაციაც „აჯანყებული ქართველი ხალხის“ დახმარების სახელით მოხდა. ცხადია, რუსეთი ახლაც შეეცდებოდა „ქართველი შოვინისტებისგან“ დაჩაგრული მცირერიცხოვანი აფხაზი და ოსი ხალხების მფარველის მანტია მოერგო. თუმცა, ამჯერად ეს საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს პირსისხლიან აგრესორად, ომის გამჩაღებლად წარმოჩენა, რის შემდეგაც რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფლის დრო დადგებოდა. პირველი ამოცანა – აფხაზი და ოსი ხალხების მხარდაჭერა – რუსეთს გარანტირებული ჰქონდა. შედარებით რთული იყო მეორე ამოცანა – საქართველოს აგრესორად წარმოჩენა. თუმცა, რუსეთისთვის არც ამ ამოცანის გადაწყვეტა წარმოადგენდა პრობლემას. 1992 წელს რუსეთმა მოახერხა და გაცილებით გამოცდილი, გაწონასწორებული და წინდახედული პოლიტიკოსი – შევარდნაძე აცდუნა – აიძულა ის ჯარი შეეყვანა აფხაზეთში, მით უმეტეს არ გაუჭირდებოდა მას გაუწონასწო-



რებელი, წინდაუხედავი და არცთუ ისე შორსმჭვრეტელი სააკაშვილის გაბრიყვება.

რუსეთი აუჩქარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვებოდა თავის გეგმას: 4 მარტს სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა თხოვნით მიმართა რუსეთს, ეცნო მისი დამოუკიდებლობა. სამი დღის შემდეგ იგივე გააკეთა აფხაზეთის პარლამენტმაც. 6 მარტს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი „გარემოებათა შეცვლის გამო“ აღარ თვლის თავს ვალდებულად დაიცვას დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა კავშირების აკრძალვის შესახებ. 13 მარტს რუსეთის დუმამ დახურულ სხდომაზე განიხილა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნა. 21 მარტს დუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ თხოვნისთვის მსვლელობის მიცემას ითვალისწინებდა. 14 აპრილს „ნეზავისიმია გაზეტამ“ გამოაქვეყნა მარინა პერეგოზკინას სტატია სათაურით: „მოსკოვი ნატოს აფხაზეთით უპასუხებს“, რომელშიც ავტორს მოჰყავს რუსი დიპლომატის სიტყვები: „მოსკოვმა ორ შემთხვევაში უნდა სცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა: თუკი საქართველო მართლა შეეცდება ნატოში გაწევრიანებას და – ომის შემთხვევაში“.

2008 წლის მაისში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ ნატო-რუსეთის თანამშრომლობის ფარგლებში მოსკოვში გამართულ მორიგ კონსულტაციებზე ჩასულ ნატოელ კოლეგებს საღდაფონური პირდაპირობით უთხრა – ამ ზაფხულს საქართველოში შეიძლება ომი ატყდეს, ამიტომ გირჩევთ იქ დაგეგმილი ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნები გადადოთ. ნატოს წარმომადგენლებმა მაშინ ეს ჩვეულებრივ რუსულ აცეიობას და საქართველოს დაშანტაჟების მორიგ მცდელობას მიაწერეს, თუმცა შემდგომმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ რუსი გენერალი არ ხუმრობდა.

ავვისტოს ომის შემდეგ იგივე ბალუევსკიმ აღიარა, რომ ჯერ კიდევ 2005 წლის ბოლოს თუ 2006 წლის დასაწყისში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბში შემუ-

შავდა საქართველოსთან ომის გეგმა, რომლის თანაავტორი იყო ვლადიმერ პუტინი. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ მოხსენების მოსმენით და კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა, არამედ სახავდა ამოცანებს, უღრმავებოდა დეტალებს და ა. შ. გეგმა ჯერ პუტინმა, შემდეგ კი ხელმოწერედ შედგედგემაც დაამტკიცა.

მართალია, საქართველოსთან ომის ამ გეგმას ბალუეესკი „აგრესიის მოგერიების სისტემას“ და საქართველოს აგრესიაზე „ადეკვატურ ზომებს“ უწოდებს, მაგრამ იქვე საუბრობს მისი პრაქტიკული რეალიზაციის კონკრეტულ ვადებზე – 2008 წლის ივლის-სექტემბერზე. ვადის განსაზღვრაში გადაწყვეტ როლს პეკინის ოლიმპიადა ასრულებდა. რა გამოდის? ან რუსეთის გენშტაბს სამი წლით ადრე სცოდნია საქართველოს მხრივ აგრესიის განხორციელების ზუსტი თარიღი, რაც სრული ნონსენსია, ან რუსეთმა თვითონვე დაგეგმა აგრესია საქართველოს მიმართ მისთვის ხელსაყრელ დროს, რომლის აუცილებელ ელემენტს საქართველოს მხრივ აგრესიის ფარსის გათამაშება წარმოადგენდა.<sup>6</sup>

მოგვიანებით ასეთი გეგმის არსებობის შესახებ დიად ისაუბრეს პუტინმა და მედვედევმაც.

2008 წლის ივნისის შუა რიცხვებში დამოუკიდებელმა რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა განაცხადა, რომ კრემლმა და გენშტაბმა მიიღეს გადაწყვეტილება განხორციელებინათ სამხედრო ოპერაციები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ფელგენგაუერის აზრით, ეს მოხდებოდა არაუგვიანეს აგვისტოს მეორე ნახევრისა, ამ რეგიონებში კავკასიის ქედზე სეზონური კლიმატური ცვლილებების გათვალისწინებით.<sup>7</sup>

2008 წლის ივლისში იალტაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ერთმანეთს რონალდ ასმუსი და გერმანელი ევროპარლამენტარი ელმარ ბროკი შეხვდნენ. ამ უკანასკნელმა ასმუსს ასეთი რამ უთხრა: ამაწინათ ევროკავშირში რუსეთის ელჩს – ვლადიმერ ჩიჟოვს შეეხვდი და ვუთხარი, რომ სექტემბერში საქართველოში ჩასვლას ვგეგმავდი. რუსმა დიპლომატმა ჩაიღიმა და მითხრა: ეგებ უფრო ადრე ჩასულიყავით, ვაითუ სექტემბერი გვიან იყოსო.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი ომისთვის ემზადებოდა ქართული მხარეც.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულ პოლიტიკურად უმწიფარ ახალგაზრდებში ძალზე ძლიერი იყო სასურველის სინამდვილედ გასაღების განწყობა. აჭარაში მიღწეული წარმატების შემდეგ, სააკაშვილს და მის გარემოცვას გაუჩნდათ ილუზია, რომ ასეთივე გზით შეძლებდნენ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დაბრუნებასაც. საქართველოს ხელისუფლებაში ფიქრობდნენ, რომ რუსეთი იმდენად დასუსტებული და დაუძღვრებულია, მას საქართველოს ენერგიულ ქმედებებზე ადეკვატური პასუხის თავიც კი აღარ აქვს. ამ განწყობას ნათლად ასახავს ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ, რომელიც მან 2006 წლის 29 სექტემბერს მისცა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს: „არასოდეს ყოფილა რუსეთი ისეთი დაუცველი და სუსტი, როგორც დღეს არის. ახლა ის არის ძალიან დაბნეული, არაადეკვატურ, სპონტანურ ნაბიჯებს დგამს ... ისინი იმდენად დაბნეულები არიან, რომ დიპლომატების ოჯახების 100-დე წევრის გასაყვანად 800 კაცზე გათვლილი თვითმფრინავები შეუკვეთეს ... დღეს მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ რუსეთი არის ჩვეულებრივი უსუსური ქვეყანა და მითი მისი დაზვერვის სამსახურების ყოვლისშემძლეობის შესახებ ჩაბარდა ისტორიას. რა თქმა უნდა, რუსეთისთვის განსაკუთრებით მტკივნეული არის ის, რომ ასეთი დარტყმა მას მიაყენა საქართველომ (საუბარია რუსეთის 4 ჯაშუშის დაკავებაზე – უ. ბ.) ამიტომ მაინც ველო, რომ რუსეთი ვერავითარ სერიოზულ პროვოკაციაზე ვერ წამოვა და თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამს, პირველ ყოვლისა, რუსული მხარე დაზარალებდა.“<sup>8</sup>

სასურველის სინამდვილედ გასაღების განწყობას საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნული უბედურების მასშტაბები შესძინა სააკაშვილის პიროვნულმა თვისებებმა – სულსწრაფობამ, პოპულიზმმა, მეტად სერიოზული გადაწყვეტილებების დაუფიქრებლად და მეგობართა ვიწრო წრეში ან, სულაც, ერთპიროვნულად მიღებამ და ა. შ. საქართველოს პრეზიდენტი სერიოზულად ფიქრობდა, რომ ბოსნიაში ომის დროს ზაგრების მიერ განხორციელებული წარმატებული

ოპერაცია „გრიგალი“, რომლის შედეგადაც ხორვატიამ დაკარგული მიწები დაიბრუნა, ნატომ კი, დაინახა, რომ ახალი რეალობა კონფლიქტის დარეგულირებას უწყობდა ხელს და ეს არ გააპროტესტა, საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითი უნდა ყოფილიყო. „მსოფლიოს ფაქტის წინაშე დაყენება“ სააკაშვილის წარმოსახვით „დამბლადაცემული რუსეთის“ ფონზე, მისთვის იდეა-ფიქსად იქცა.

სწორედ სააკაშვილის ამგვარი განწყობის და, არა მხოლოდ პოპულიზმის, შედეგი იყო მისი განცხადებები იმის შესახებ, რომ მომავალი არჩევნების დროს საარჩევნო ყუთები ცხინვალშიც დაიდგმებოდა (2004 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სოფ. თამარაშენი); „სამხრეთ ოსეთში ვითარება აჭარის მსგავსად წარმართება და ამას თავად ხალხი უმოკლეს პერიოდში გააკეთებს“. (2004 წლის ივნისის ბოლო, სტამბოლი); და სხვ. სწორედ ამგვარ განწყობას მოჰყვა იმავე წლის 17-19 აგვისტოს ავანტიურა – ცხინვალის რეგიონში ქართული სამხედრო შენაერთების შეჭრა, ქალაქის გარშემო მაღლობების დაკავება და ცხინვალზე იერიშის სამზადისი. მაშინ სააკაშვილს ეყო გონიერება გაეცნობიერებინა, რომ რუსეთი მზად იყო კონფლიქტში ჩასართველად. ამიტომაც უპირობოდ გამოიყვანა კონფლიქტის ზონიდან სამხედრო შენაერთები, რითაც ქვეყანა კატასტროფას გადაურჩა.

საქართველოს ხელისუფლებას არც მომდევნო 2005-2006 და 2007 წლებში აუღია ხელი ოკუპირებული ტერიტორიების სამხედრო გზით დაბრუნების თავის გეგმებზე. რონალდ ასმუსი იხსენებს ოქრუაშვილთან დასავლელი ექსპერტების საუბრებს, რომლებსაც თავადაც ესწრებოდა. ოქრუაშვილი მაშინ ღია ტექსტით ეუბნებოდა მათ, რომ დასავლეთს ხელს აძლევს სტატუს-კვო სამხრეთ ოსეთში, საქართველოს მთავრობას კი არა და თუ დასავლეთი არ დაეხმარება საქართველოს ამ რეგიონზე კონტროლის აღდგენაში, მაშინ გაგებით უნდა მოეკიდოს იმას, რომ თბილისმა საკუთარი ძალებით გადაჭრას ეს პრობლემა.<sup>9</sup> 2008 წლის სექტემბერში კი, აგვისტოს ომიდან ერთი თვის შემდეგ, ოქრუაშვილმა „როიტერთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტი აფხაზეთი იყო, მაგრამ

2005 წელს შევიმუშავეთ როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის დაბრუნების სამხედრო გეგმები. თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა სამხრეთ ოსეთში შეჭრის ორმაგ გეგმას, როკის გვირაბსა და ჯავაზე კონტროლის დამყარებას<sup>10</sup> 2007 წლის გაზაფხულზე გიგა ბოკერია დაუინებით ითხოვდა ცხინვალში ჯარების შეყვანას. ის დარწმუნებული იყო, რომ რუსები ამ კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ. ამ ფაქტს რომ იხსენებს, ბიძინა ივანიშვილი ვანო მერაბიშვილისადმი თავის საჯარო მიმართვაში (2011 წლის ოქტომბერი) წერს: „მე მაშინ შევძელი ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა... ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ რის გაკეთებასაც ის გეგმავდა, წმინდა წყლის ავანტიურა იყო.“<sup>11</sup>

2006 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს კონფლიქტის ზონებში მყოფი რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე. „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქმედებები აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ბარიერს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის.“<sup>12</sup> – ნათქვამი იყო პარლამენტის დადგენილებაში.

2007 წლის 19 ივნისს ბაქოში გამართული სუამის ლიდერთა სამიტის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა, რომ კოკოითის „დრო იწურება“ და უახლოეს თვეებში თბილისი დაიწყებდა მოლაპარაკებებს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან – დიმიტრი სანაკოევთან საქართველოს შემადგენლობაში რეგიონის სტატუსის განსაზღვრის მიზნით. მისი თქმით, საქართველოს იურუსდიქციაში რეგიონის დაბრუნება „არის რამდენიმე თვის საკითხი. საქართველოს ყველა რესურსი გააჩნია იმისთვის, რომ ეს საკითხი მშვიდობიანად, მაგრამ დროულად და ჩქარა მოაგვაროს.“<sup>13</sup>

2007 წლის 28 ნოემბერს თბილისის მერიის შენობაში სააკაშვილი აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდა. „თუ 5 იანვარის არჩევნები ნორმალურად ჩაივლის, შემდეგ ზამთარს უფრო თბილი კლიმატის პირობებში გავატარებთ: ჩვენ სახლებში დავბრუნდებით. მე ამას გპირდებით

და ამის გარანტიას გაძლევთ. არასოდეს აქამდე ასე კონკრეტული არაფერი მითქვამს. მინდა დაგპირდეთ, რომ უახლოეს მომავალში – მე ამის გაკეთებას ჩემი პრეზიდენტობის პირველ ვადაში ვაპირებდი, მაგრამ კარგად ცნობილი მიზეზების გამო, ჩემი ვადა შევამცირე – უახლოეს მომავალში ვვულისხმობ უახლოეს თვეებს, არ ვამბობ უახლოეს წლებს, ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად შევქმნით პირობებს თქვენი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის აფხაზეთში,<sup>14</sup> – განაცხადა მან შეხვედრაზე.

იმავე წლის 4 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების წინაშე გამოსვლისას სააკაშივილმა განაცხადა: „ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალეული, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირების და არა თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს... ამრიგად, საუბარია ძალიან მოკლე პერიოდზე. რუსებსაც წამოსცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი აღარ აინტერესებთ. ეს მათ წამოსცდათ“.<sup>15</sup>

ცხადია, საქართველოს უმაღლესი პირების ასეთი რეკანშისტული განცხადებები ავიწროებდნენ დიალოგის წარმოების ჩარჩოებს, სპობდნენ ნდობის აღდგენისა და შერიგების შესაძლებლობებს. მოსკოვი ყურადღებით აკვირდებოდა სააკაშივილის განცხადებებს. „საქართველომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხების მოგვარების სამხედრო გზა აირჩია. ეს დანარჩენი პროვოკაციების წყაროა... საქართველოს ხელმძღვანელობის ქმედებებში ჩანს აშკარა ლოგიკა: პირველ რიგში, გააგდონ რუსი სამშვიდობოები, შემდეგ მოაგვარონ გაყინული კონფლიქტები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში სამხედრო გზით და ოფიციალურად მიმართონ ალიანსს წევრობისთვის“,<sup>16</sup> – აცხადებდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. საქართველოს ხელისუფლების რეკანშისტულ განწყობაზე ნათლად მეტყველებდა ქვეყნის თავდაცვის ხარჯების სწრაფი ზრდაც. 2007 წლისთვის ამ ხარჯებმა მილიარდ 300 მილიონს მიაღწია. ეს ქვეყნის ბიუჯეტის მეოთხედი იყო. რუსი სამხედრო ექსპერტები ამის შესახებ ბევრს წერდნენ. თა-

ვის ოფიციალურ განცხადებებში ამაზე მიუთითებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც: „ის, რომ გარკვეული წრეები თბილისში ომისთვის ემზადებიან, ეჭვსაც არ იწვევს იმ შეიარაღების ოდენობის გათვალისწინებით, რომელსაც საქართველო ფარულად თუ ღიად ყიდულობს“<sup>17</sup>, – აღნიშნავდა ის.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის მიმართ ინტერესის დაკარგვაზე რუსების „წამოცდენებს“: რუსეთის უშიშროების სამსახურზე სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ამგვარი წარმოდგენები მხოლოდ მათ პოლიტიკურ უმწიფრობაზე და გულუბეყრილობაზე მეტყველებს. ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორია რუსეთისთვის, სტრატეგიული თვალსაზრისით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი. ეს ტერიტორია ხომ საქართველოს გულში გაყრილი ხანჯალივითაა – აქედან ქვეყნის დედაქალაქამდე სულ რაღაც ორმოციოდე კილომეტრია და მხოლოდ ხუთიოდე კილომეტრი ქვეყნის მთავარ მაგისტრალამდე! მაშასადამე, ვიდრე ამ ტერიტორიაზე მტრის ტანკები დგანან, მანამდე ქვეყნის უსაფრთხოებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაშ, რატომ დაკარგავდა მის მიმართ ინტერესს რუსეთი? „წამოცდენები“ კი მოსკოვის მიერ სააკაშვილის ხაფანგში გასაბმელად წამოწყებული მრავალსკლიანი და კარგად დაგეგმილი თამაშის ნაწილი იყო, რომელიც ზუსტად ხვდებოდა მიზანში.

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ ომისთვის ემზადებოდა ორივე მხარე და ამისთვის მათ თავისი მიზეზები გააჩნდათ. რუსეთის მხრივ ომის უმთავრესი მიზეზი ამ ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესი იყო: ის ხედავდა, რომ საქართველოს დასავლეთისკენ ეჭირა თვალი და ამას ვერ ეგუებოდა. ერთი რუსი მაღალჩინოსნის თქმით, რუსეთის კონკრეტულ მიზნებს ამ ომში შეადგენდა: 1. სრული კონტროლის დამყარება სამხრეთ ოსეთში. საქართველოს მიერ კონტროლირებული ცალკეული კერების აღმოფხვრა და მათ გარშემო უსაფრთხოების კერების შექმნა; 2. აფხაზეთი ხელისუფლების დახმარება უპირატესად ქართველებით დასახლებული გალის რაიონის სრულად გასაკონტროლებლად და ქართული ძალების გამოდევნა კოდორის ხეო-

ბიდან; 3. რუსეთის მიერ კონტროლირებადი უსაფრთხოების ზონის შექმნა აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საზღვრის დასავლეთ მხარეს – ზუგდიდის გარშემო; 4. საქართველოს იძულება ძალის გამოყენებაზე უარის თქმის ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოსაწერად; 5. სააკაშვილის დამცირება და საქართველოს შიგნით მისი მუდმივი წინების ქვეშ ყოლა, რათა საბოლოოდ მასაც მილოშევიჩის ბედი გაეზიარებინა; 6. საქართველოს ნატოში ოდესმე გაწევრიანების ყველა შესაძლებლობის მოსპობა;<sup>18</sup>

ომისთვის, ოღონდ არა რუსეთთან, არამედ ოს და აფხაზ სეპარატისტებთან, ემზადებოდა ქართული მხარეც. სააკაშვილის გუნდი იმედოვნებდა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას ძღვევამოსილი კავალერისტული მიხტომით, ბლიც-კრიგის გზით მოახერხებდა. ამ მოსაზრებას მას შემდეგი მოტივები განუმტკიცებდა: 1. აჭარის პრობლემის უსისხლოდ გადაწყვეტა, რომლის დროსაც რუსეთი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და მის რეგიონს შორის დაპირისპირებაში არ ჩაერია; 2. ბოსნიაში ომის დროს ზაგრების მიერ განხორციელებული ოპერაცია „გრიგალის“ წარმატება, რომლის შედეგადაც ხორვატიამ დაკარგული მიწები დაიბრუნა, ნატომ კი, დაინახა, რომ ახალი რეალობა კონფლიქტის დარეგულირებას უწყობდა ხელს და ეს არ გააპროტესტა; 3. სააკაშვილისთვის იდეა-ფიქსად ქცეული „მსოფლიოს ფაქტის წინაშე დაყენება“; 4. სააკაშვილისა და მისი გუნდის რწმენა, რომ „დასუსტებული და დამბლადაცემული“ რუსეთი საქართველოს ამ ნაბიჯზე ადეკვატურ რეაგირებას ვერ მოახერხებდა; 5. რუსეთის სახელისუფლებო ვერტიკალიდან განზრახ „გაჟონილი“ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსეთს „სამხრეთ ოსეთი აღარ აინტერესებდა“; 6. საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელებს სწამდათ, რომ აშშ-ის ადმინისტრაციაში უკეთეს მოკავშირეს, ვიდრე ბუშის ადმინისტრაცია იყო, ვეღარ ეღირსებოდნენ, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასვლა ახლა სჯობდა; 7. 2008 წელს სააკაშვილის იდეას ბლიც-კრიგის მოწყობის თაობაზე ერთი სერიოზული მოტივიც დაემატა: 2008 წლის ხუთი იანვრის არჩევნებში მან ხმების მხოლოდ 53 პროცენ-



ტი აიღო. მაშინ ქართული საზოგადოებაში დადიოდა არცთუ უსაფუძვლო ხმები, რომ სინამდვილეში პირველ ტურში სააკაშვილმა ხმების 50 პროცენტი ვერ მოაგროვა. ეს კი ნიშნავდა, რომ უნდა გამართულიყო მეორე ტური, რომელშიც ოპოზიციის კანდიდატის – ლევან გაჩეჩილაძის გამარჯვება არავითარ ეჭვს არ იწვევდა. სააკაშვილი გრძნობდა, რომ ხალხის დიდ ნაწილში ნდობა დაკარგა და ამას მწვავედ განიცდიდა. ხალხის სიყვარულის დასაბრუნებლად კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის თუნდაც ნაწილობრივ აღდგენა საუკეთესო გამოსავალი უნდა ყოფილიყო.

რა ვითარება იყო კონფლიქტის ზონაში უშუალოდ ომის წინ?

ივნისის შუა რიცხვებში გახშირდა თავდასხმები და ურთიერთსროლა, მათ შორის მძიმე არტილერიის გამოყენებით. იყვნენ დაჭრილები და დაღუპულები ორივე მხრიდან, ინგრეოდა სახლები. ეუთოს 4 აგვისტოს ანგარიშში ნათქვამია, რომ 1 აგვისტოს შემდეგ გამართული ბრძოლები ყველაზე სასტიკი იყო ბოლო 4 წლის განმავლობაში. 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე დაიჭრა 6 ქართველი პოლიციელი, 11 სამშვიდობო ქვეგანაყოფის ჯარისკაცი, 14 სამოქალაქო პირი. 7 აგვისტოს დაიდუბა 2 ქართველი ჯარისკაცი, კიდევ ორი მიღებული ჭრილობებისგან მოგვიანებით გარდაიცვალა.

მსხვერპლი იყო ოსურ მხარესაც.

ქართულ მხარეს მოეპოვებოდა ცნობები ოს სეპარატისტებთან რუსი სამშვიდობოების კოორდინირებული მოქმედების შესახებ. სააკაშვილი ხედავდა, რომ ოსები სწორედ რუსების კარნახით და დახმარებით მოქმედებდნენ. ამიტომაც, მას უშუალოდ ომის წინ რუსების მხრივ ნეიტრალიტეტის დაცვის ილუზია გაუქრა. სააკაშვილს, ცხადია, ესმოდა, რომ ომში რუსეთის აქტიური ჩარევის შემთხვევაში გამარჯვების არანაირი შანსი არ არსებობდა. საქართველოს პრეზიდენტი ამოდ ცდილობდა თავის რუს კოლეგასთან დაკავშირებას. 6-7 ივლისს ყაზახეთში, ასტანას დაარსების 10 წლისთავის საზეიმო ღონისძიებებზე ჩასულმა სააკაშვილმა სადილობისას როგორც იქნა დაიმართოხელა მედვედევი და სამიტის თითქოსდა, წინასწარ შეთანხმებული იდეის პრაქტიკული რეალიზაციის დაჩქარება

სთხოვა. მედვედევემა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა – საქართველოს პრობლემა მე არ შემიქმნია, მემკვიდრეობით მერგო, რითაც აშკარად მიანიშნა – ეგ ამბავი ჩემი თავსატკივარი არ არისო. მერე ისიც დაამატა, ახლა ასეთი სამიტის გამართვა ნაჩქარევი გამოვა და კონკრეტულ შედეგებს ვერ მივიღებთ, რაც ხალხის იმედგაცრუებას გამოიწვევსო. როდესაც სააკაშვილმა უთხრა – ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდესო, მედვედევემა მიუგო: ბევრად უარესიცაა შესაძლებელი და საუბარი ამით დაასრულა.

მშვიდობის შენარჩუნებით დაინტერესებული მხარე ყველა საშუალებას უნდა იყენებდეს მეორე მხარესთან მოლაპარაკებისთვის, რუსეთის ხელმძღვანელობა კი ყველანაირად არიდებდა თავს ქართულ მხარესთან შეხვედრას. თვით 7 აგვისტოსაც კი, როდესაც სააკაშვილმა უკანასკნელად სცადა დიპლომატიური არხებით აეცილებინა თავიდან მსხვილმასშტაბიანი ომი და რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა სპეციალურ წარმომადგენელთან – იური პოპოვთან წინასწარ შეთანხმებულ მოლაპარაკებაზე ცხინვალში მიაგლინა, ეს უკანასკნელი შეხვედრაზე არ გამოცხადდა, ამის მიზეზად კი, იაკობაშვილთან სატელეფონო საუბარში, საბურავის დაშვება დაასახელა. იაკობაშვილის კითხვაზე კი, თუ რატომ არ დააყენა სათადარიგო საბურავი, პოპოვმა უპასუხა – ისიც დამეშვაო. იმავე დღეს იაკობაშვილთან კულახმეტოვმა აღიარა, რომ სროლები ქართული სოფლების მიმართულებით მართლაც რუსი სამშვიდობოების ახლომდებარე ტერიტორიიდან მიმდინარეობდა. მან ისიც თქვა, რომ „ოსები გამოვიდნენ მისი კონტროლიდან“.

6-7 აგვისტოს სააკაშვილი ამაოდ ცდილობდა მედვედევთან დაკავშირებას, რუსეთის პრეზიდენტი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა.

ვფიქრობ, ეს ფაქტები უტყუარად გვიჩვენებენ, თუ ვინ იყო დაინტერესებული მოცემულ მომენტში ომის გაჩაღებით.

საკაშვილმა ომის თავიდან აცილების უკანასკნელ საშუალებას მიმართა: 7 აგვისტოს 19 საათზე ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტა გამოაცხადა. პარალელურად გრძელდებოდა ქართული შეიარაღებული ძალების წაწევა კონფლიქტის

ზონის მიმართულებით. ეს გარემოება საფუძველს აძლევს რუსულ მხარეს ამტიცოს, რომ სააკაშვილის მხრივ ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა სინამდვილეში მოწინააღმდეგის სიფხიზლის მოდუნებას ისახავდა მიზნად. მაგრამ რატომ არ გამოეხმაურნენ რუსული და ოსური მხარეები სააკაშვილის ამ ინიციატივას? რატომ არ თანხმდებოდნენ ისინი ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვას, სადაც შეეძლოთ თავიანთი პრეტენზიების წამოყენება? ცხადია, იმიტომ, რომ ვითარების განმუხტვა მოსკოვის გეგმებში არ შედიოდა!

20 სთ-სა და 30 წთ-ზე სააკაშვილს მერაბიშვილმა დაურეკა და აცნობა, რომ ქართული სოფლების დაბომბვა არ შეწყვეტილა. „სროლით არ უპასუხოთ“, – იყო სააკაშვილის პასუხი. დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე სააკაშვილს ტელეფონით კეზერაშვილი ესაუბრა. მისი თქმით, ქართულ სოფლებს კვლავაც უშენდნენ ცეცხლს მძიმე არტილერიით. ცეცხლი გაუხსნეს ქართველ სამშვიდობოებსაც, რომელთა შორის არიან დაჭრილები და დაღუპულები. თუ ჩვენ საპასუხო ცეცხლს არ გავხსნით, დაჭრილების გამოყვანასაც კი ვერ შევძლებთო. სააკაშვილმა ამოიოხრა და კვლავ იგივე ბრძანება გასცა: „არ უპასუხოთ!“

საკაშვილი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. მოქმედება, რუსებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, თავიდანვე წარუმატებლობისთვის იქნებოდა განწირული. დასავლელი მეგობრები, მათ შორის პირადად ჯორჯ ბუშიც, მას მუდმივად არწმუნებდნენ რუსეთთან ომის წამოწყების სრულ უპერსპექტივობაში. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენ ფრიდი სახელმწიფო დეპარტამენტში სტუმრად მყოფ ქართულ დელეგაციას პირდაპირ ეუბნებოდა: „იქ (აფხაზეთში) თუ შეხვალთ, შეიძლება პირველი ბრძოლა მოიგოთ, იქნებ – მეორეც. მაგრამ ეს თქვენთვის უკანასკნელი გამარჯვება იქნება! რუსეთი აუცილებლად ჩაერევა და სულ სიმღერ-სიმღერით მოამთავრებს საქმესო“.<sup>19</sup>

მაგრამ, უმოქმედობა და უბრძოლველად უკანდახევაც არ იყო გამოსავალი. სააკაშვილს ესმოდა, რომ ამ შემთხვევაში ის, როგორც პრეზიდენტი, თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდა, რადგან ქართველი ხალხი არცერთ პრეზიდენტს არ აპატიებდა უმოქმედობას და უბრძოლველად ტე-

რიტორიების დაკარგვას. მას ისიც სწამდა, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი საგარეოპოლიტიკური მოთამაშე, არსებობას შეწყვეტდა.

აი, ასეთ რთულ ვითარებაში სააკაშვილმა ადგიშილთან, უგულავასთან, ლომიასთან, მერაბიშვილთან და კეზერაშვილთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციის დაწყების შესახებ.

ცხადია, სააკაშვილისა და მისი გუნდის ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, სასოწარკვეილი პასუხი იყო რუსეთისა და მის მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების აგრესიაზე. საქართველო, როგორც ასმუსი წერს, იმ პატარა ბიჭს ჰგავდა, რომელმაც წარამარა თავში წათაქებები ვედარ აიტანა და ვიღაც მასზე ასაკოვან მუტრუკს შეუბრუნა ხელი. თუმცა, სააკაშვილის გადაწყვეტილება გარკვეულ ლოგიკას და გათვლებსაც ეფუძნებოდა: ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილი იმედოვნებდა, რომ სეპარატისტებთან ქართული სახელმწიფოს ომში რუსული მხარე ამჯერადაც ნაცადი მეთოდით – ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების შემოგზავნით, ინსტრუქტორებით და იარაღით მიიღებდა მონაწილეობას. რუსეთის რეგულარული ჯარი კი ღიად და აშკარად ამ ბრძოლაში არ ჩაერეოდა. კოკოითის უდღეური დაჯგუფების წინააღმდეგობას ქართული ჯარი უმოკლეს დროში დაძლევა და სეპარატისტული რეგიონის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს თავის კონტროლს დაუქვემდებარებდა. საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლით ერთ კვირაში, მაქსიმუმ – ათ დღეში საბრძოლო მოქმედებები შეწყდებოდა. ქართული მხარე დათანხმდებოდა დაკავებული ტერიტორიებიდან გამოსვლას იქ ნეიტრალური სამშვიდობო ძალების ჩაყენების პირობით.

ამრიგად, საქართველო მიაღწევდა მიზანს, რომლისკენაც დიდი ხნის მანძილზე ამაოდ მიისწრაფოდა.

უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სააკაშვილის მიერ გაკეთებულ ამ ანალიზში გარკვეული ლოგიკა მართლაც არის. მაშინ ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა, რომ მოსკოვი ტაქტიკას შეიცვლიდა და ქართულ-ოსურ თუ ქართულ-აფხაზურ წინა დაპირისპირებებში აპრობირებული პრაქტიკის

საწინააღმდეგოდ, როცა ის ნახევრად ფარულ დახმარებას უწევდა სეპარატისტებს, ამჯერად ღიად, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, რეგულარული ჯარით შეიჭრებოდა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მით უმეტეს, მსოფლიოში არცერთი ექსპერტი არ უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ რუსული ჯარი გასცდებოდა კონფლიქტის ზონას და საფრთხის ქვეშ თვით საქართველოს დედაქალაქის უსაფრთხოება დადებოდა. დასავლეთს უჭირდა წარმოდგენა, რომ რუსეთი ასეთ მწვავე რეაგირებას მოახდენდა კოსოვოს პრეცედენტზე. და ეს არა იმიტომ, რომ გადაჭარბებულად კარგი წარმოდგენის იყვნენ რუსეთის ხელმძღვანელების ზნეობაზე, უბრალოდ, თვლიდნენ, რომ რუსებს ეყოფოდათ პრაგმატიზმი არ გადაედგათ მათთვის ასეთი წამგებიანი ნაბიჯი. საქართველოზე აშკარა თავდასხმით რუსეთი საჯაროდ დააფიქსირებდა თავს, როგორც კონფლიქტის მხარე, რასაც, წესით, ის უნდა მორიდებოდა.

დასავლეთის გათვლები ამჯერადაც მცდარი აღმოჩნდა. რუსეთმა მაინც გადადგა ეს ნაბიჯი სულ მცირე, ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ამით მან დასავლეთს აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად ის ყველაზე რადიკალური ქმედებისთვისაც კი მზად არის; მეორეც, საქართველოს მიერ უკანასკნელ წლებში ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ გადადგმული წარმატებული ნაბიჯები მას სხვა გამოსავალს აღარ უტოვებდნენ.

საქართველოს ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ გაეზარდა რუსულ მახეში. თავისი წინდაუხედავი, ბოლომდე გაუთვლელი ქმედებებით სააკაშვილი, უნდოდა თუ არა ეს მას, პუტინის საქმეს აკეთებდა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ამერიკელ პოლიტოლოგ ლინკოლნ მიტჩელს, როდესაც კითხულობდა: „თუ რუსეთს სააკაშვილის მსგავსი მტრები ჰყავს, მაშინ რაღაში სჭირდება მას მეგობრები?“<sup>20</sup> თუმცა, საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს, პუტინ-მედვედევის პროვოცირება სააკაშვილის გაუზარებელი, ავანტიურისტული ქმედებების შედეგი იყოს, როგორც ამის დამტკიცებას ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ცდილობს, აშკარა შეცდომაა.

განა გაწონასწორებული და ფრთხილი შევარდნადის დროს არ დაგვაკარგვინა რუსეთმა აფხაზეთი? განა გამსახურდიას დროს არ აგვიმხედრა მან შიდა ქართლის ოსები? ომის მთავარი მიზეზი იყო არა ეთნიკური დაპირისპირება, არამედ საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა. მართებულად აღნიშნავდა რონალდ ასმუსი რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში: პრობლემის არსი პერსონალიებში არ არის. „რუსებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სააკაშვილზე ნაკლებად არ სძულდათ. დაბრკოლება სააკაშვილი არ არის. ეს პიროვნებათა კონფლიქტი არ ყოფილა. ეს იყო მისწრაფებების, გეოპოლიტიკურ ინტერესთა ჭიდილი, ხოლო პუტინისა და სააკაშვილის პიროვნულმა ურთიერთობამ გაამძაფრა ისედაც დრამატული სიტუაცია. ქართველების 80-75 პროცენტს უსააკაშვილოდაც გეზი დასავლეთისკენ უჭირავს, ამიტომ კონფლიქტი საფუძველშივე გადაუწყვეტელია.“

და მაინც, ვინ დაიწყო ომი?

რუსეთმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ ომის გამჩაღებლად საქართველო გამოეყვანა. ეს მას ნაწილობრივ გამოუვიდა კიდევც. ფაქტია, რომ ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია პირველმა ქართულმა ჯარმა განახორციელა. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მან გააკეთა ოსი სეპარატისტების, და არა რუსი სამხედროების მიმართ, მეორეც, გააკეთა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოსი სეპარატისტების მიერ გახსნილი ცეცხლის (მათ შორის, მსხვილკარიბრიანი იარაღიდან) შედეგად პრაქტიკულად მიწასთან გასწორდა კონფლიქტის ზონის ქართული სოფლები, დაიღუპნენ ქართველი სამშვიდობოები, დაიჭრნენ მშვიდობიანი მოქალაქეები და პოლიციელები, და რაც მთავარია, ქართულმა ჯარმა ეს შეტევა განახორციელა მას შემდეგ, რაც რუსი სამშვიდობოების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა ქართულ მხარეს განუცხადა, რომ „ოსები გამოვიდნენ მისი კონტროლიდან“ და რომ მისი სამშვიდობოები ვეღარ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მისიას. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ ქართულმა მხარემ თავის თავზე აიღო კონფლიქტის ზონაში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების, იქ მცხოვრები თავისი მოქალაქეების სიცოცხლის დაცვის ფუნქცია.

და ეს მისი არა მხოლოდ უფლება, მოვალეობაც იყო.

რუსეთ-საქართველოს ომი კი ერთმნიშვნელოვნად დაიწყო რუსულმა მხარემ, რომელიც რეგულარული ჯარით შემოიჭრა სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებში, წერტილოვანი საავიაციო დარტყმები განახორციელა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მოახდინა ჩვენი მიწების ოკუპაცია, კონფლიქტის ზონიდან გამოდევნა ქართული მოსახლეობა...

რუსეთის მხარის სპეკულაციები იმის შესახებ, თითქოს, მან საქართველოს წინააღმდეგ „მშვიდობის იძულების“ სამხედრო ოპერაცია რუსი სამშვიდობოების დაღუპვის შემდეგ და მის საპასუხოდ დაიწყო, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თვით კულახმეტოვის აღიარებით, რუსი სამშვიდობოები 8 აგვისტოს, დაახლოებით დილის 6 საათისთვის დაიღუპნენ, რუსეთის რეგულარული არმიის პირველი ნაწილები კი საქართველოს ტერიტორიაზე უკვე 7 აგვისტოს, დაახლოებით დღის სამი საათისთვის შემოვიდნენ.

საქართველოში შემოჭრით რუსეთმა მთელი მსოფლიოს თვალში გამოიამჟღავნა თავი, როგორც აგრესორმა. საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: როგორც აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში სტივ ჰედლიმ რუსებს განუცხადა, „საქმე იმაში არაა, რომ ამერიკა და მისი მეგობრები თქვენს დასჯას იწყებენ, ეს, უბრალოდ, 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემის პასუხია, რომ მე-19 საუკუნის წესები ახლა უკვე სრულიად გამოუსადეგარია“<sup>21</sup>

თუმცა, საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხს აშკარად აკლდა სიმძაფრე და კატეგორიულობა. დღეს სრულიად აშკარაა, რომ დასავლეთის მიერ მაშინ რუსეთისთვის გაკეთებულმა რევერანსებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს მოვლენების ტრაგიკული განვითარება დღევანდელ უკრაინაში.

## HOW THE WAR OF 2008 WAS MADE

One part of the Georgian society sees the reason of the complicated relationship between Russia and Georgia in the expressionistic policy of the Russian government leaders, the other part sees the rough errors of the Georgian politicians. In all cases we see the attempt of the one-sided explanation of that complicated event, which makes narrow the range of investigation of its origin's reason, makes impossible its valuable and perfect analysis.

Russia could not accommodate to the fact of Georgia's strive to the west and had decided to punish excellently. In the 2008 August war Russia's concrete goals were the next: 1. The full control establishment on the whole territory of the former South Ossetia's autonomous district; 2. To help Abkhazia's government to fully control Gali's district populated primarily with Georgians and drive out the Georgian efforts out of the Kodori ravine; 3. To create the safe zone controlled by Russians in the west part of Abkhazia's and Georgia's other part's border; 4. To compel Georgia to sign the official document about refusing of effort use; 5. Humiliate Saakashvili and to have him under constant press inside Georgia; 6. To destruct all the possibility of Georgia's membership in NATO whenever

Georgia was preparing for the war with Ossetian and Abkhazian separatists (but no with Russia). Saakashvili team hoped that they could return the occupied territory using strong blitz-crieg way. These considerations were strengthened by the next motives: 1. The bloodless solution of the Adjaria's problem, when Russia did not interfered between Georgian central government and its region. 2. The success of the "tornado" operation in Bosnia during war realized by Zagreb, when Croatia returned its lost territories, and NATO did not protest this because the new reality was supporting the conflict regulation; the belief of Saakashvili that weakened Russia could not respond adequately to that step of Georgia; 4. The purposely leaked information by Russia's government that Russia "was not interested in the South Ossetia"; 5. The leaders of Georgia believed that they could not find better ally in the USA administration, than the Bush administration, that's why it was better to make decisive moves; 6. In the 2008 to the



idea of Saakashvili blitz-crieg added one serious motive: in the election of the 2008 5 January Saakashvili won with few advantage, and it was obviously made by use of government levers. In order to return the popularity the best way was to partly reconstruct the country's wholeness.

Russia could bait the Georgian government on the provocation. Saakashvili really started wade-scale military acts against Ossetian separatists. As for Russian-Georgian war, it was started undoubtedly by Russia, which with its regular army invaded sovereign territory of the country.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზ. „ერთობა“, 1917 წ. 23 ნოემბერი.
2. გაზ. „ალიონი“, 1917 წ. 5 ოქტომბერი.
3. პეტრე მამრაძე, ავანტიურა, 08.08.08. თბ. 2012, გვ. 33.
4. იქვე, გვ. 88.
5. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 116-117.
6. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 164.
7. პეტრე მამრაძე, ავანტიურა 08.08.08. თბ, 2012, გვ. 140.
8. იქვე, გვ. 64-65.
9. რონალდ ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 88.
10. იქვე, გვ. 88.
11. პეტრე მამრაძე, ავანტიურა, 08.08.08., თბ. 2012, გვ. 107.
12. იქვე, გვ. 52.
13. პეტრე მამრაძე, ავანტიურა, 08.08.08. თბ. 2012, გვ. 99.
14. იქვე, გვ. 118.
15. იქვე, გვ. 118.
16. იქვე, გვ. 64.
17. იქვე, გვ. 111.

18. რონაღდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ, 2010, გვ. 118.
19. რონაღდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 167.
20. პეტრე მამრაძე, ავანტიურა, 08.08.08; თბ. 2012, გვ. 252.
21. რონაღდ. დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ. 2010, გვ. 196.

საქართველოს ხელისუფლების საზინაო  
პოლიტიკის ტრადიციული ზიგზაგები 2008 წლის  
აგვისტოს ომის წინ

ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგ რონალდ ასმუსს, თავის ანგაჟირებულ წიგნში „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შექცა“ (თბ., 2010 წ.) აქვს ერთი, ჩვენი აზრით მეტად საინტერესო პასაჟი, რომელიც, რატომღაც, შეუმჩნეველი დარჩა წიგნის რედაქტორს ბატონ დავით დარჩიაშვილს და ეს ინფორმაცია უკომენტაროდ დატოვა. პატივცემული პოლიტოლოგი შენიშნავს: „ქვეყანაში ომი იყო გაჩაღებული. თბილისს კი არაფერი ეტყობდა და ხალხიც ერთობოდა ძირითადად რესტორნებში ატარებდა დროს“<sup>1</sup>.

ეს ქართველი ხალხის (თბილისელების) აშკარად შეურაცხყოფელი აზრი, როგორც ჩანს, დაებადათ ფრანგ დიპლომატებს, რომლებიც ომის ტრაგიკული შედეგების გასაჩივრებლად თბილისში იმყოფებოდნენ და ეს თავისი აზრი გაუზიარეს წიგნის ავტორს. გამოდის, რომ ქვეყანა ცეცხლის აღშია გახვეული, მისი ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია, მტერი თბილისს უახლოვდება

მოსახლეობა კი განცხრომასა და ნირვანაშია გადაშვებული. მე ასეთი მეორე მაგალითი მსოფლიოს ისტორიიდან მხოლოდ საფრანგეთში მახსოვს ჰიტლერის ოკუპაციის შემდეგ, ვიშის რეჟიმის პირობებში, არაოკუპირებული საფრანგეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სრულიად არ აღელვებდა რა ხდებოდა ფრონტებზე, როგორ იბრძოდნენ ფრანგი პატრიოტები ოკუპანტების წინააღმდეგ. ის რაც გააკეთა დე გოლის ხელისუფლებამ პირველ რიგში პარიზის განთავისუფლების შემდეგ – ვიშისტი თავკაცები, როგორც ერის მოღალატეები, სიკვდილით დასაჯა.

გამოდის, რომ ქართველებს, რომლებმაც თავი გამოვიჩინეთ I და II მსოფლიო ომების დროს საბრძოლო შემართებით და ე.წ. „სხვის ომებში“ ადამიანური მსხვერპლიც ბევრი გავიღეთ და შრომითი ენერჯიაც არ დაეზო-

გეთ, საკუთარი ტრაგიკული განსაცდელის ჟამს უდიდესი უპასუხისმგებლობა და გულგრილობა გამოვიჩინეთ.

ასეთ ბრიალდებს, სერიოზული შეფასება სჭირდება.

ჩემი დრმა რწმენით, ასეთ ვითარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ როცა ხალხი და ხელისუფლება დაპირისპირებულია, როცა ხალხსა და ხელისუფლებას შორის გადაულახავი უფსკრულია, როცა ხელისუფლება საძულველი და უნიათოა, როცა ხალხს მისი არცერთი სიტყვის არ სჯერა და როცა მთავრობას არ ძალუძს დარაზმოს საკუთარი ხალხი მტრის წინააღმდეგ.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის ასპექტები და საშინაო პოლიტიკის ის ზიგზაგები, რის გამოც ხელისუფლებაში უდიდესი უმრავლესობის მხარადაჭერით მოსული მთავრობა, სულ რაღაც 4 წლის გასვლის შემდეგ, აღმოჩნდა ვიშისტური რეჟიმის მსგავს აგონიაში.

შევეხებით, ჩვენი აზრით, ამ ვითარების ძირითად მიზეზებს:

**არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.** სააკაშვილის მთავრობამ ვერ მოახერხა ქვეყანაში ინტენსიური ეკონომიკური ცხოვრების ჩამოყალიბება-განვითარება, მისი ეკონომიკური პოლიტიკა იყო იმპულსური, არათანადიმდევრული და ქვეყნისათვის საზიანო. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარების ოპტიმალურ პირობებს პირდებოდნენ ქართულ ბიზნესს, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ: „ვერცერთი ბიზნესმენი, რომელმაც უარი თქვა „ნაციონალრი მოძრაობის“ და მათი პროექტების ნებაყოფლობით დაფინანსებაზე, ვერ გადაურჩა სააკაშვილის ხელისუფლების მსახურად კლანჭებს. ყველა მეწარმეს და ბიზნესმენს, რომელსაც თუნდაც მცირედი შემოსავალი აქვს, არაოფიციალურად ავალდებულებენ, წილი შეიტანოს „ნაციონალების“ ყულაბაში. ხელისუფლებამ თითოეული ბიზნესმენის ზუსტი შემოსავალი იცის, უკანასკნელ თეთრამდე, და თუ მათ საქმის კეთება უნდათ, ხარკიც უნდა გაიღონ. ეს არის ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის რეკეტი“<sup>2</sup>.

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შეფასებაა.

ხელისუფლება, რომელიც თავის წინამორბედს (ე. შევარდნაძეს) მუდამ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის არქო-

ნაში, ბიზნესის დევნასა და შევიწროებაში ადანაშაულებდა, თვითონ, რიტორიკის გარდა, ამ სერიოზული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში შორს ვერ წავიდა. ქვეყანაში ნორმალური საბაზრო ურთიერთობები ვერ ააშენა და მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის ამოქმედებით, ბიზნესის რეკეტით და აშკარა გამოძალვით ახერხებდა იმ ეკონომიკურ ნაბიჯების რეალიზებას, რითაც მუდამ თავს იწონებდა საკუთარი მოსახლეობისა თუ საზღვარგარეთელი პოლიტიკოსების წინაშე.

დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით კი, საქართველოს კვლავ მოკრძალებული ადგილი ეკავა სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების ეკონომიკური მიღწევების ფონზე. როგორც ისინი ამტკიცებენ, სააკაშვილის ხელისუფლების დროს მოსახლეობის ერთ სულზე განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელით საქართველო აზერბაიჯანს ჩამორჩებოდა 3,7-ჯერ, ხოლო სომხეთს 2-ჯერ<sup>3</sup>.

ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება, ფულის შოვნის ერთადერთი სფერო საბანკო კაპიტალი გახდა, ხელისუფლებასთან დაახლოებული ბანკები და ბანკირები „ფცქვნიდნენ“ საქართველოს მოსახლეობას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და უდიდეს ეკონომიკურ წარმატებებსაც აღწევდნენ. ექსპერტების გაანგარიშებით საბანკო აქტივების წილმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში 13 პროცენტადან (2003 წ.) 52,8 პროცენტამდე მიაღწია. ეს უკვე მოხდა სააკაშვილის ხელისუფლების დასასრულს<sup>4</sup>.

დიდი იყო უმუშევართა რაოდენობა, რაც სოციალურ დაძაბულობას აძლიერებდა, ვერ მოხერხდა საშუალო ფენის ფორმირება რის დაპირებასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ე. შევარდნაძის კრიტიკის ვითარებაში ასე უხვად იძლეოდა. საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლების დროს მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა, ღარიბი კიდევ უფრო გადარიბდა.

მაგრამ დრამატული აქ კიდევ უფრო ის იყო, რომ ხელისუფლება თვითონ, მისი „დიპლომათი ლაქიები“, ანგაჟირებული „ექსპერტები“ და უშუალოდ პრეზიდენტიც კი

საუბრობდნენ ეკონომიკაში წარმოდგენულ წინსვლაზე. რიგითი ქართველი კი ამას ვერ გრძნობდა. პირიქით, როგორც ამტკიცებენ, რისი ყიდვაც 2003 წელს 100 ლარით შეიძლებოდა, მოგვიანებით, სულ რამდენიმე წლის შემდეგ, ამისთვის უკვე 180 ლარი იყო საჭირო.

ამრიგად, არასწორი, შეიძლება ითქვას დანაშაულებრივი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც ვერ შექმნა მტკიცე საფუძველი ეკონომიკური აღორძინებისათვის, მხოლოდ ოლიგარქიული კაპიტალისთვის ხელის შეწყობა, მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება, ეკონომიკური სტაგნაცია, ბადებდა სოციალურ აპათიას, რაც აძლიერებდა უფსკრულს მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

„საკადრო რევოლუცია“, ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალურ ღონისძიებებს შორის, ჩვენი აზრით, სწორედ დანაშაულებრივი საკადრო პოლიტიკა არის ის ერთ-ერთი მთავარი (თუ არა ერთადერთი) მიზეზი, რომელმაც ხელისუფლებისა და მოსახლეობის დისტანცირება გამოიწვია. პიროვნება, ადამიანი ნებისმიერი საზოგადოების ძირითადი წამმართველი და მამოძრავებელი ბერკეტია. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოში, როცა იწყება ქვეყნის მშენებლობა, სწორედ ამ პირობებშია საჭირო საზოგადოების თვითოეული წევრის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება. სწორ საკადრო პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნისათვის. გავისხენოთ სტალინის ცნობილი ფორმულა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“, რამაც უზრუნველყო ის თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები, რამაც „კავის გუთნის რუსეთი ატომური იარაღით შეიარაღებული გახადა“ (უ. ჩერჩილი).

რა თქმა უნდა, იყო იმედი, რომ რევოლუციური შემართებით აღჭურვილი ახალი ხელისუფლება ამ საკითხსაც პრინციპულად დააყენებდა და მისი გადაწყვეტის ახალ მექანიზმსაც შესთავაზებდა საზოგადოებას. მაგრამ იმას, რაც ამ სფეროში საქართველოში გატარდა, ჩვენი აზრით, ანალოგი არ ეძებნება მსოფლიოს ისტორიაში ხელისუფლებამ პრაქტიკაში დანერგა გერონტოფობია, შემოიღო მკაცრი ასაკობრივი დისკრიმინაცია. საზოგადოების

ღვაწლმოსილი, დამსახურებული, მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები, შეთითხნილი საბაზით, ჩამოაცილეს როგორც სახელმწიფოს მართვის, ისე ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. მათ მაგივრად მართვის სადავეებთან მივიდნენ „თინეიჯერები“, გამოუცდელი, ინგლისური ენის მცოდნე, არაპროფესიონალი კადრები.

ასეთი პოლიტიკა, ჩვენი აზრით, ორი ამოცანას ისახავდა მიზნად 1. ხელისუფლებამ მართვას ჩამოაშორა ის კადრი ვინც მას გააკონტროლებდა, შენიშვნას მისცემდა, გააკრიტიკებდა, წინ აღუდგებოდა; 2. მის მიერ შერჩეული, ყოველგვარი დამსახურების გარეშე, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნული კადრი, რომელსაც ამასთან წინა პერიოდთან შედარებით კოლოსალური ხელფასიც დაენიშნა, მისი პოლიტიკის მორჩილი გამტარებელი, საკუთარი სკამის მოტრფიალე და „ვარდების“ რეჟიმის უერთგულესი მხარდამჭერი გახდა.

ასეთი პოლიტიკით სააკაშვილის ხელისუფლებამ ქვეყნის სხვადასხვა დონისა და რანგის ადმინისტრაცია საკუთარი ნების ბრმა აღმსრულებლად გადააქცია, ე.ი. „ადმინისტრაციული რესურსი“ წარმოუდგენლად გააძლიერა და თავისი ბატონობის მთავარ საშუალებად გადააქცია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საკადრო რევილუციის შედეგი ძალიან მალე გახდა საცნაური (გავრცელდა არაკომპეტენტურობა, ადგილი ჰქონდა მინისტრთა „ათთურმას“, უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებას და ა.შ.), მაინც ინიშნებოდნენ იურისტები – განათლების მინისტრად, ხოლო მალე, საქმის ჩაფლავების შემდეგ, ამერიკაში მიდიოდნენ სასწავლებლად; მოცეკვავე, პრეზიდენტის ფავორიტი გოგონები საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ყელყელაობდნენ, მებაჟე თავდაცვის მინისტრად მოგვევლინა და ა.შ. და ა.შ.).

მაგრამ „საკადრო რევილუციამ“ კიდევ უფრო ღრმად შეაღწია საზოგადოების წიაღში. მისი პრინციპები დანერგეს ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში. დარბევის მექანიზმი მეტად იოლი იყო ხელისუფლების მიერ შერჩეული და ანგაჟირებული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი საკუ-

თარი სურვილით აყალიბებდა საატესტაციო კომისიებს და შემდეგ ასევე, საკუთარი სურვილის მიხედვით აყალიბებდა ახალ შრომით ორგანიზაციას. ასეთ კოლექტივში, როგორც წესი, დარღვეული იყო საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული საკადრო პრინციპი, რაც მუდამ შემოქმედებითად ავითარებს ნებისმიერ შრომით კოლექტივს სამი თაობის: უფროსი, საშუალო და ახალგაზრდა თაობის ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობა საერთო საზოგადოებრივი მიზნის მისაღწევად. ამ ფუძემდებლური პრინციპის დარღვევა ძვირად დაუჯდა საქართველოს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოში 50 წელზე ზევით ადამიანი აღარ ცხოვრობდა, აღარავის არ აინტერესებდა მათი აზრი, არავინ არ ეკითხებოდათ მათ მოსაზრებას, არავინ არ იყენებდა მათ გამოცდილებას, ცოდნას, ერუდიციას.

რა თქმა უნდა, საკადრო პოლიტიკის ეს ზიგზაგები ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიებიდან იყო დაწყებული, მაგრამ ვისი კარნახით, რა მიზნით ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. ჩვენ არ გამოვირიცხავთ ფრეიდისტული „ოიდიპოსის კომპლექსით“ დასნებოვნებული ადამიანების ყოფნას სახელისუფლებო მაღალ სტრუქტურებში, რაც მათ აიძულებდა „სძულებოდათ მამა“. ეს საკითხი სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ფაქტი კი ერთია – საქართველოს საზოგადოებას გამოაცალეს სიბრძნე და გამოცდილება. ამის შედეგი ძალიან მალე საცნაური გახდა, საოცრად დაეცა კომპეტენტურობის დონე, ყველგან გაგრძელდა დილეტანტიზმი, ყველა სფეროში აშკარა იყო კადრების დეფიციტი, განსაკუთრებით სამართლებრივ სტრუქტურებში. „ფარცხალაძის სინდრომი“ (არაკვალიფიცირებული საექვო ბიოგრაფიის პირი უმაღლეს თანამდებობაზე), რომელმაც შესძრა საქართველო, სწორედ საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ უზრუნველყო.

ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება ამ მანკიერი, აშკარად დამღუპველი პრაქტიკიდან. მე მხოლოდ ორზე შევჩერდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივების დარბევა ასეთი პოლიტიკის საუკეთესო მაგალითია. ამ უკანასკნელში ანგაჟირებულმა ახალმა ხელმძღვანელობამ



ისე ჩაატარა „ატესტაცია“, რომ საუკეთესო, მაღალპროფესიული კადრი უაპელაციოდ სამსახურიდან გამოყარა, ატესტაცია წინასწარ შეუმუშავებული კრიმტერიუმებით კი არ მოაწყო, რაც სუბიექტური ფაქტორების აქტიურ გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავდა, არამედ კომისიის წევრების პირად მოსახრებებს დაუქვემდებარა. ვინც შეარჩიეს (ხელისუფლებასთან ლოიალურად განწყობილები) ხელფასი მოუმატეს გაყრილი თანამშრომლების (ყოფილი მეგობრების) ხარჯზე. ე. შევარდნაძის პერიოდის მიხერული ანაზღაურების შემდეგ ეს ხელფასი უკვე „ციურ მანანას“ ჰგავდა. მომავალი რეპრესიების შიშით და ამ „ციური მანანის“ დაკარგვის პერსპექტივით ეს ადამიანები გააჩუმეს, კომფორმისტებად აქციეს, ახალი ხელისუფლების ერთგულთა სიებში ძალით ჩაწერეს.

საქართველოში „საკადრო რევოლუციის“ რეალიზაციის ძირითად ეტაპზე არ ფიქსირდება ფაქტი (ჩვენ მის შესახებ არ ვიცით), რომ ორგანიზაციის თანამშრომლებს (კონკურსში გამარჯვებულებს) გაეპროტესტებინოთ სუბიექტურად ჩატარებული ატესტაციის შედეგები, რაც მიუთითებს იმას, რომ ხელისუფლებამ სწორად გათვალა ვითარება და ამ ეტაპზე გაიმარჯვა. ის რაც მოხდა მათ მიმინოშივით დაკავშირებით, როცა მის განთავისუფლებას მთელი შრომითი კოლექტივის დემონსტრაციული სამსახურიდან წამოსვლა მოჰყვა, ეს უკვე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მოხდა და მას უკვე სხვა მიზეზები და გარემოებები ასახრდოებდნენ.

**ამრიგად, „კადრების რევოლუციას“ მთავარ შედეგად, შრომითი ორგანიზაციების ბარბაროსული დარბევა, ადამიანების დაპირისპირება, კომფორმიზნის ელემენტების განვითარება, დეაწლმოსილი ადამიანების აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებიდან გამოთიშვა მოჰყვა. აშკარაა საქართველომ დაკარგა სიბრძნე და დასუსტდა მორალურად. ამის შედეგებს დიდი ხნის მანძილზე ვერ მოიშუშებს სრულიად საქართველო.**

**„ნულოვანი ტოლერანტობა“.** საქართველოსათვის მიულწეველ ოცნებად გადაიქცა მიუკერძოებელი, სამართლიანი სასამართლო სისტემის დამკვიდრება. ახალი საქარ-

თველოს მშენებლობის ყველა ეტაპზე ნანატრი ოცნებასავით ელოდა ქვეყნის მოსახლეობა ობიექტურ, მიუკერძოებელ, ნამდვილად ევროპულ სასამართლო სისტემის დამკვიდრებას. თვითონ მიხეილ სააკაშვილი, იურისტი, პოლიტიკურ სივრცეში გამოჩენისთანავე სწორედ სამართლებრივი სივრცის გაჯანსაღებას პირდებოდა საქართველოს საზოგადოებას ჯერ როგორც ედუარდ შევარდნაძის იუსტიციის მინისტრი, შემდეგ როგორც საქართველოს პრეზიდენტი.

მაგრამ ის რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დაინერგა, ნამდვილად შორს იდგა სამართალწარმოების ევროპული სტანდარტებისაგან. „ნულოვანი ტოლერანტობა“ – რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოში სამართლებრივ პრინციპად გამოაცხადა, გულისხმობდა არა მარტო „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ტოტალურ ბრძოლას, არამედ რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მიმართ ბარბაროსულ ქმედებებსაც, რაც საზოგადოების დაშინებას, რეჟიმის ძლიერებისა და ხელისუფლების შეურყეველობის ილუზიას აჩენდა საზოგადოებაში. ეს პროცესი თანდათან, რვაფეხასავით ეუფლებოდა სრულიად საქართველოს და მის ყველა ძირეულ ელემენტს ისრუტავდა. ზურაბ ჟვანიას, გირგვლიანისა და რობაქიძის, ბადრი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის, არასასურველი ბიზნესმენების, უამრავი რიგითი ადამიანის სასამართლო პროცესები თავისი ცინიზმით, არაადამიანური დამოკიდებულებით, სასამართლო სისტემის უსამართლობით აოცებდა მოაზროვნე საქართველოს. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება სასიკვდილო ლახვარს სცემს სააკაშვილის ხელისუფლების სამართლებრივი სისტემის ქმედითუნარიანობას და ააშკარავებს მის წყლულებს. სასამართლო გაოგნებულია იმ შეთანხმებული ქმედებით, რომლითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოები მოქმედებდნენ რათა ამ საშინელი მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო<sup>5</sup>.

ცალკე საკითხია და დღეს, ახალი ხელისუფლების პირობებში მიმდინარეობს გამოკვლევა 2006 წლის „ციხის ბუნტის“, 2007 წლის ნოემბრის მშვიდობიანი აქციის ბარბარო-

სული დარბევის, ნიღბიანების თარეშის, ზონდერბრიგადების ჩამოყალიბების და სხვა რეზონანსულ საკითხებზეც.

აშკარაა, სააკაშვილის მმართველობის წლებში საქართველოში სასამართლო პროკურატურის საცოდავ დანამატად გადაიქცა. ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ ყოველ 100 საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მაჩვენებლით საბჭოთა სასამართლო წინ უსწრებდა სააკაშვილის სასამართლოს, რაც სერიოზული ბრალდებაა დემოკრატიის მანტიით შემოსილი ხელისუფლებისათვის.

სასამართლო სისტემა გადაიქცა ბიუჯეტის შევსების წყაროდ. „სასამართლო გარიგებისათვის“ საჭირო თანხა დამოკლეს მახვილივით დაიკიდა ნებისმიერი ქართველის წინაშე, რომელსაც შეიძლება სასამართლოსთან რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა. საქართველოს პრეზიდენტი ხარობდა და ამყობდა ახალი კომფორტული საპატიმროების მშენებლობით და გამოეპარა ის, რომ მის ციხეებში უფრო მეტი პატიმარი იყო გამომწვევადეული ვიდრე ე.წ. „სტალინური რეპრესიების“ დროს საქართველოს ციხეებში (ლ. ბერიას საიდუმლო წერილში სტალინისადმი 1937 წელს მიუთითებულია 12 ათასი დაპატიმრებული, რომელთაგან საქართველოს ციხეებში მხოლოდ 5 ათასი კაცი იყო მოთავსებული<sup>6</sup>) მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის ორი წლის შემდეგ ციხეებში პატიმართა რაოდენობა გაორმაგდა 15 465 კაცი გახდა, ხოლო რეჟიმის დასრულების მომენტში უკვე 24 114 კაცი იყო<sup>7</sup>.

ცალკე აღსანიშნავი პრობლემაა, ახლადაშენებელ, ფეშენებელურ სასტუმროებში პატიმრების მიმართ განხორციელებული ზემოქმედების ხასიათი, შინაარსი და მიზნები. სამართალდამცავ ორგანოებში მყოფი მანიაკები იქამდეც კი მივიდნენ, რომ პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის წარმოუდგენელ ფაქტებს ახორციელებდნენ (გაეიხსენოთ „ცოცხის“ სინდრომი და ა.შ.). სწორედ არადემოკრატიული, შესაზარი სასამართლო სისტემა გახდა კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ამრიგად „ნულოვანი ტოლერანტობა“, არადემოკრატიული, მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებზე გათვლილი

სასამართლო ხელისუფლების არსებობა, ძალადობა და უსამართლობა როგორც ფაქტორი საშინაო პოლიტიკის სერიოზული გამრუდებისა და მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდისა, რაც, ასევე, აძლიერებდა უფსკრულს მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ზოგიერთი საკითხი. საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია ადმინისტრაციულ ტერიტორიული მოწყობა, ქვეყნის ერთიანობის მიღწევა და ა.შ.

„ვარდების რევოლუციის“ ინიციატორთა ერთ-ერთი დაპირება სწორედ საქართველოს ერთიანობის მიღწევა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ე. შევარდნაძის მიერ ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკის კრიტიკული შეფასებაც იყო. მაგრამ ის, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით განახორციელა ძალიან ძნელია მას პატრიოტული და შორსმჭვრეტელო უწოდო.

ჩვენ ქვემოთ ძალიან მოკლედ მიმოვიხილავთ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მ. სააკაშვილის ხელისუფლების „მცდელობებს“ კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების მოსაწესრიგებლად.

„ვარდების რევოლუციის“ მიმდინარეობისა და ახალი ხელისუფლების ფორმირების პირველ თვეებში, რა თქმა უნდა, მ. სააკაშვილს ამ რეგიონებისათვის არ ეცალა. 2004 წლის აპრილ-მაისში ის ასლან აბაშიძითა და აჭარის პრობლემით იყო დაკავებული და „გაიმარჯვა“ კიდევ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კვლავ იგორ ივანოვმა ასლან აბაშიძე (მართლაც, მახინჯი რეგიონალური სტრუქტურების შემოქმედი) მოსკოვში წაიყვანა.

აჭარაში შეიცვალა რეგიონალური მმართველობის ფორმა, რაც ბევრმა შემაშფოთებლად ჩათვალა, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტებმაც.

ამის შემდეგ ჯერი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე მიდგა. აი, რა ანშლაგებით გამოდიოდა იმ დღეებში ქართული გაზეთები: „აფხაზეთში ახალი „ვარდების რევოლუცია“ მწიფდება“ („რეზონანსი“, 2004 წ. 30 იანვარი); „ვარდების რევოლუციის“ რეპეტიცია ცხინვალის მისადგომებთან“ („რეზონანსი“, 2004 წ. 1 ივნისი); „ცხინვალში „ვარდუ-

ბის რევოლუციას“ ელოდებიან“ („რეზონანსი“, 2004 წ. 2 ივნისი); „სამხრეთ ოსეთის აუქჩარებელი სცენარი – №3 „ვარდების რევოლუცია“ („რეზონანსი“, 2004 წ. 14 ივნისი).

მდგომარეობა სამაჩაბლოში სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენიმე თვეში ისე დაიძაბა, რომ ადგილობრივი დეკუტატი სოსო ცოტნიაშვილი უკვე უკრიტიკებდა მ. სააკაშვილის ხელისუფლებას რეგიონში ზედმეტ აქტივობას: „სერიოზული შეცდომა იყო ვარაუდი, როგორც აჭარაში, ისე ცხინვალში ვერ მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც გაისროდნენ იარაღიდან. რომ არაფერით ვთქვათ ეთნიკურ სხვაობაზე, სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმზე, მათთვის სამშობლო ერთია და ისინი მზად არიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ მის დასაცავად. მათი პრეზიდენტი მათი სახელმწიფოს სიმბოლოა. რაც უფრო მეტად იღანძვება ედუარდ კოკოითი, მით უფრო მეტ ავტორიტეტს და თანაგრძნობას იძენს. ქართული ხელისუფლება გადაჭარბებით აფასებს ქართულ რეგიონებში მცხოვრებ ოსების შესაძლებლობას სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, რადგან ისინი ცხინვალში მცხოვრები ოსებისათვის გაქართველებული და მათი სახელმწიფოსათვის უცხო ელემენტებია. მათ ღაღადს ცხინვალში მცხოვრები ოსებისათვის არავითარი წონა არა აქვს... დღევანდელ ეტაპზე აუცილებლად მიმანია ისეთი მშვიდობის დამყარება, როგორც იყო თუნდაც 2 თვის წინ“<sup>8</sup>.

კარგად არის ნათქვამი: „ცუდი მშვიდობა სჯობია კარგ ომს!“ – ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება აუცილებლად უნდა დაეცვა საქართველოს ახალ ხელისუფლებას. მან კი ეს არ გააკეთა: რიტორიკულ ფრაზოლოგიას ძალიან სწრაფად მიაყოლა „ნოვაციები“, რაც არა მარტო კონფლიქტური რეგიონების „დე-ფაქტო“ ხელმძღვანელებს, ასევე რუსეთის, არამედ თვით გაეროს გენერალური მდივნის შემფოთებასაც კი იწვევდნენ.

ეს „ნოვაციები“ დაკავშირებული იყო კოდორის ხეობის „ზემო აფხაზეთად“ გამოცხადებასთან და ამასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებთან, რაც გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული მილიციის (ე. კვიციანის დაჯგუფება) ლიკვიდაციას, კო-

დორში აფხაზეთის დევნილობაში მყოფი ხელისუფლების გადასვლას, ამ ტერიტორიაზე ქართული რეგულარული შეიარაღებული ფორმირებების შეყვანას და ა.შ.

ასეთივე „ნოვაცია“ განხორციელდა ცხინვალის რეგიონში საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (ოლქის დაახლოებით მესამედზე) შეიქმნა „დროებითი ადმინისტრაციული ერთეული“ ვლადიმერ სანაკოვეთი (კოკოეთის მიმართ იმჟამად ოპოზიციურად განწყობილი, ადგილობრივი ყოფილი ჩინოსანი) სათავეში და ის ცხინვალში არსებული რეჟიმის მიმართ ალტერნატიულ, პროქართულ ძალად გამოცხადდა. ამას მოჰყვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხების დაბანდება ამ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალური ინფრასტრუქტურის ასაღორძინებლად (ყველაფერი ეს აგვისტოს ომმა უკვალოდ შთანთქა). ყოველმხრივ უწევდნენ პროპაგანდას ვლადიმერ სანაკოვეის მოღვაწეობას ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის აღდგენისა და ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების მიმართულებით. ის დაჰყავდათ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრაზე, გამოდიოდა სიტყვით. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ შემთხვევაში მ. სააკაშვილმა აშკარად მიბაძა ვ. პუტინს მის მიერ ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ საბედისწერო ბრძოლაში კადროვების ოჯახის, განსაკუთრებით კი კადროვ-უმცროსის პოლიტიკურ სტატუსს, რაც გულისხმობს ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი დაპირისპირებული, რუსეთისადმი ლოიალურად და რუსეთის მიერ კონტროლირებული პოლიტიკური დაჯგუფების ყოველმხრივ ხელშეწყობას. ეს „ნოვაცია“ რუსეთისათვის ჯერჯერობით გამართლებული ჩანს, თუმცა კოლოსალური საბიუჯეტო თანხები უჯდება ამ მახინჯი რეჟიმის შენახვა. ამასთან, ფულთან ერთად, უზარმაზარი რუსული შეიარაღებაც დარაჯად უდგას პუტინისეულ წამოწყებას. საქართველოს ასეთი ექსპერიმენტისათვის არც საბიუჯეტო სახსრები ჰქონდა საკმარისი და არც სამხედრო შესაძლებლობები. ეს პროექტი თავიდანვე განწირული იყო.

მ. სააკაშვილის ამ „ნოვაციებს“ კიდევ ერთი დაემატა – „პატრიოტული ბანაკების“ მშენებლობა სტრატეგიულად მგრძნობიარე და დაძაბულობის კერებში (კოდორის ხეობა-

ში, განმუხურში და ა.შ.). ესეც ხომ „სტატუს-კვოს“ ცვლი-  
და რეგიონში და ამის გამო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,  
თვითონ გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის კრი-  
ტიკაც კი დავიმსახურეთ და მან სპეციალური განცხადე-  
ბით მოითხოვა ამ ბანაკების დემონტაჟი, კოდორიდან აფ-  
ხაზეთის მთავრობის გაყვანა და ა.შ.<sup>9</sup>

ვინც დეტალურად შეისწავლის მოვლენათა ქრონო-  
ლოგიას 2004 წლის იანვრიდან 2008 წლის აგვისტომდე,  
მისთვის ძალიან აშკარაა და ნათელი გახდება მ. სააკაშვი-  
ლის უპასუხისმგებლო „კატა-თაგობანა“, აშკარად „ცეც-  
ხლთან თამაში“ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მისი პოლი-  
ტიკა აღნიშნული რეგიონების მიმართ არ ჰგავდა სიბ-  
რძნით და პოლიტიკური აღლოთი გათვლილ გეზს, არა-  
მედ, ქართული ზღაპრის გმირ მეცხვარეს წააგავდა...

**ამრიგად, მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ 4 წლის**  
**მანძილზე თავისი უმწიფარი, გაუწონასწორებელი პოლი-**  
**ტიკით კი არ განმუხტა, არამედ უკიდურესობამდე დაძაბა**  
**ვითარება კონფლიქტურ რეგიონში, რაც შედიოდა სწორედ**  
**ჩასაფრებული „მგლის“, აგრესორის გეგმებში და შესაძლო**  
**მომენტში, როგორც კი გამოჩნდა ამის საშუალება, მოვარ-**  
**და „ცხვრის“ დასაგლეჯად, მხსნელი და მფარველი კი**  
**არავინ გამოჩნდა...**

**„ოპოზიციაციაფობია“.** მ. სააკაშვილის რეჟიმი ვერ იტან-  
და ოპოზიციურ აზრს, კეთილ რჩევას. დარიგებას. რევო-  
ლუციური შემართებით მოსული ხელისუფლება ნარცისი-  
ვით ტკბებოდა ძალაუფლებით და თანდათან სწრაფად  
ეუფლებოდა შეუცდომლობის სინდრომი. ჯანსაღი პოლი-  
ტიკური ოპონირება მისთვის მიუღებელი იყო. ამას კი  
იმით ამართლებდა, რომ „საქართველოში ღირსეული ოპო-  
ზიცია არ არის“, „რომ მას ოპოზიცია არა ჰყავს“ და ა.შ.

მართალია, საქართველოსთვის ტრადიციისამებრ, ოპო-  
ზიცია, თანაც გამორჩეულად ძლიერი, ყოფილი სახელისუფ-  
ლო სტრუქტურებიდან სხვადასხვა მიზეზით წამოსული ადა-  
მიანების ხელმძღვანელობით იქმნებოდა (გავიხსენოთ ზვიად  
გამსახურდიას პერიოდში: თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სი-  
გუა, ე. შევარდნაძის ეპოქაში ზურაბ ჟვანია და მიხეილ  
საკაშვილი, ამ უკანასკნელის პრეზიდენტობის ხანაში:

ირაკლი ოქრუაშვილი, ნინო ბურჯანაძე, გოგა ხაინდრავა, ირაკლი ალასანია და ა.შ.), მაგრამ ტრადიციულად ასევე ამ შემთხვევაშიც კეთილგანწყობა საშინელი რეპრესიებით იცვლებოდა და სახელისუფლო „ჯიბის ტელევიზიებში“ ლაგამამოდუებული ჭორიკნობით გრძელდებოდა.

2007 წლის 7 ნოემბრის ტრაგიკული მოვლენებიც ხომ სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის მიხედვით სააკაშვილთან დაპირისპირების, მისი პოლიტიკაში შემობრუნების გადაწყვეტილებამ და ამის გამო საპროტესტო მოძრაობის მკვეთრმა გაძლიერებამ გამოიწვია.

მსგავსი შეურიგებელი მდგომარეობაა ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკური გაერთიანებისა და ტელეკომპანია „იმედის“ წინააღმდეგ განხორციელებულ სამთავრობო აქციებშიც.

საქართველოში ოპოზიცია არასოდეს არ იყო ერთიანი. ამას მუდამ პრობლემებს უქმნიდა „ჯიბის ოპოზიციის“ არსებობდა პოლიტიკურ არენაზე. მაგრამ ხომ იყვნენ ჭეშმარიტად ოპოზიციური აზრის წარმომადგენლები: „რესპუბლიკელები“, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, „სახალხო ფრონტი“ და სხვ. ქართული ოპოზიციის ლიდერები თავის დროზე და საკმაოდ მკაფიოდ შენიშნავდნენ ხელისუფლებას არ გადაედგა მცდარი ნაბიჯები, რაც ქვეყანას გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებდა. აი, მაგალითად, კოდორის ხეობაში განხორციელებულ „ნოვაციებს“ საქართველოს ოპოზიციურმა სპექტრმა ასეთი განცხადებით უპასუხა: „ხელისუფლების მიერ დემოკრატიული პრინციპების უგულვებელყოფამ, ძალადობის კულტის დანერგვამ, კანონის უზენაესობის იგნორირებამ და საკუთარი მოქალაქეების ღირსების განუწყვეტელმა შელახვამ შექმნა ნაყოფიერი ნიადაგი ქართული სახელმწიფოს მტრების მიერ შეიარაღებული ავანტურის ასპარეზად გამოსაყენებლად. სააკაშვილის უუნარო და უპასუხისმგებლო ხელისუფლება მომავალშიც არაერთი საფრთხის წინაშე დააყენებს ქვეყანას“<sup>10</sup>. ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ „ახალი მემარჯვენეები“, „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“, „სახალხო ფრონტი“, „ლეიბორისტები“, „მრეწველები“.



ქართულ გაზეთებში წერდნენ: „კოდორის ხეობაში განხორციელებული ავანტურის ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი ჩანაფიქრი იყო გაუწონასწორებული და იმპულსური ქმედებებით გამორჩეული საქართველოს ხელისუფლების პროვოცირება ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ოპერაციის წამოწყებაზე სტრატეგიული თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვან და მგრძობიარე რევიონში... საქართველომ კოდორის ხეობაში უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პლაცდარმის ნაცვლად შეიძლება მიიღოს დესტაბილიზაციის კიდევ ერთი კერა“<sup>11</sup>.

ცნობილი და დამსახურებული ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი ნოდარ ნათაძე დროებით ადმინისტრაციული ერთეული შექმნასთან დაკავშირებით აშკარად აცხადებდა: „კოკითი და სანაკოევი რუსეთიდან მართული გუნდის მოთამაშეები არიან“ .

**ამრიგად, საქართველოს ოპოზიციის ღირსეული წარმომადგენლები დროულად და არგუმენტირებულად უსაბუთებდნენ ხელისუფლებას მის მიერ გადადგმული ნაბიჯების შეუსაბამობას ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან, მათი რჩევის გათვალისწინება ქვეყანას თავიდან ააცილებდა ბევრ საფრთხეს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.**

**„ანტიდემოკრატიზმი“.** საქართველოს საზოგადოების დიდ რისხვას იწვევდა ხელისუფლების ანტიდემოკრატიზმი შეფუთული „სუპერდემოკრატიზმის“ იარლიყში და ავტორიტარული რეჟიმის დამყარების აშკარა მცდელობა. ამ თეზისს ჩინებულად ადასტურებს: 2007 წლის ნოემბრის მოვლენები, დემოკრატიული სპექტრის ბარბაროსული დარბევა, ტელესტუდია „იმედის“ განადგურება, ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის ბინძური მეთოდები, რომლებიც ისე შესაზარი აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი თანამდებობიდან გადადგა კიდევც.

მაგრამ 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ანტიდემოკრატიულმა ხასიათმა, ადმინისტრაციული რესურსის მაქსიმალური გამოყენებამ, ამორჩეველებზე ზეწოლამ (ამ დროს განსაკუთრებით საცნაური გახდა ჩვენ მიერ ზემოთ განხილული “საკადრო რევიოლუციის“

მახინჯი შედეგები კონფორმიზმი, უპრინციპო ელემენტების განსაკუთრებული აქტივობა, საარჩევნო სისტემის სიმახინჯეები, ხმების აშკარა გაყალბება და ა.შ.

სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლების ანტიდემოკრატიზმს უწყურადღებოდ ტოვებდნენ და სათანადო რეაგირებას არ აძლევდნენ დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები, აშშ-ის ადმინისტრაცია, რომლებიც კვლავაც სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურად“ თვლიდნენ.

მათი ასეთი სუბიექტური დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სერიოზულ კითხვებს უჩენდა დემოკრატიის დასავლური ფასეულობების მიმართ, მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელთა სამართლიანობის განცდის მიმართ, მათ აშკარად ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში ადანაშაულებდნენ. იგრძნობოდა საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაეჭვება საქართველოს დასავლური ორიენტაციის მიზანშეწონილობის გამო.

**ამრიგად, საქართველოს ხელისუფლების მიერ დემოკრატიული პრინციპების უგულვებელყოფა, ტოტალიტარული მართვის მეთოდების გამოყენება და ავტორიტარული რეჟიმის დამკვიდრება აძლიერებდა უფსკრულს ხელისუფლება-სა და საზოგადოებას შორის.**

**„ტაძარ-ქანდაკ-მებრძოლეობა“** სააკაშვილის ხელისუფლების მოღვაწეობის განსაკუთრებული მიმართულებაა, რაც კარგად ავლენს რეჟიმის ფსიქო-სოციალურ განწყობილობას, მისი მესვეურების ეროვნულ ტრადიციებთან, ფასეულობებთან, ღირებულებებთან ჭეშმარიტ დამოკიდებულებას. ტაძრების ნგრევა, ან მათი არადირსეულად აღდგენა (მაგალითად, ბაგრატიის ტაძრის), მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებების (დავით აღმაშენებლის თბილისში, გამარჯვების მემორიალის ქუთაისში) უაზრო გადაადგილება ან ბარბაროსული ნგრევა, თანაც ტრაგიკული შედეგებით, არქიტექტურული შედეგებისადმი უპატიური დამოკიდებულება (მაგალითად, ჩადენილი „იმელის“ შენობის, „ზარია ვოსტოკის“ უნიკალური არქიტექტორული შედეგის და სხვათა მიმართ) თბილისის რიყეზე განხორციელებული ნოვაციები და ამით ძველი თბილისის ტრადიციული ურბანული განაშენიანების სტილის დარღვევა, საეჭვო ღირებუ-

ლების შენობა-ნვაგებობებით ძველი თბილისის „დანაგვიანება“, რუსთაველის გამზირიდან ლეგენდარული „ლალიძის წყლის“ განდევნა-ამოძირკვა და მის ადგილზე მაღაზიის განთავსება, თბილისში (და საერთოდ ამიერკავკასიაში) პირველი აფთიაქის მოსპობა, დედაქალაქის მერიაში და მის ადგილზე ძვირფასი ბუტიკების დაფუძნება, თბილისის ფუნქციონირებისათვის ფუნქციის დაკარგვა და ა.შ. და ა.შ. აშკარად მიანიშნებს, რომ სააკაშვილის რეჟიმს არ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი დედაქალაქი – თბილისი. ეს ხომ პარლამენტის ქუთაისში ვოლუნტარისტულმა გადატანამაც ნათელყო.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაღიზიანებას იწვევდა ხელისუფლების პოლიტიკური ინფანტილიზმში გადაზრდილი ნარცისიზმი, იმის გაუთავებელი პროპაგანდა, რომ საქართველოში ყველაფერი დაიწყო 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომ საქართველო „პირველია მსოფლიოში“, რომ საქართველოში „პირველად მსოფლიოში“ გაკეთდა ესა თუ ის საქმე და ა.შ. და ა.შ.

საქართველოს ხელისუფლების ასეთი თარეში არ გამოპარვია მის უწმიდესობასა და უნეტარესობას. ილია II თავის სამშობლო ეპისტოლეებში ცხადად მიანიშნებდა ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების შესახებ და მას ლოგიკურ სახელ უძებნიდა. იგი წერდა: “წარმოიშვა უკიდურესი ამპარტავნება, თვითდაჯერებულობა და ქედმაღლობა, რის საფუძველზეც მოხდა ცნობიერების განშორება რწმენასა და სულიერი ფასეულობებისაგან”<sup>13</sup>.

მოგვიანებით მისმა უწმიდესობამ კიდევ უფრო გაამკაცრა ხელისუფლების კრიტიკა: „ამპარტავნება ეს არის უპირველესი და უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც თითქმის ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი ღმერთთან ჩვენი მიახლოებისა...”<sup>14</sup>

მის უწმიდესობას აქვს საქართველოში არსებული რეჟიმის ადეკვატური შეფასებაც: „არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რაც წმინდა მაქსიმე აღსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბა-

ტონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი ჭარბობს<sup>45</sup>.

**ამრიგად, ხელისუფლების მხრიდან ტრადიციული სულიერი ფასეულობებისადმი ნიჰილიზმი, ამპარტავნება, რწმენისა და სულიერი ფასეულობებისაგან განშორება, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ტრადიციებისა და სულიერი მისწრაფებების უგულვებელყოფა აპირობებდა გადაულახავ დაპირისპირებას ხელისუფლებასა და ხალხს შორის, რამაც თავისი დამოკიდებულება სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ასეთი ფორმით (რენსტორნებში ქეიფ-დროსტარებაში) გამოხატა.**

და ბოლოს, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საქართველოს საზოგადოების წიაღში არსებული სოციალურ-ეკონომიკური, შიდაპოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა აშკარად მიუთითებენ, რომ ხელისუფლებასა და მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შორის გადაულახავი უფსკრული იყო. შეუძლებელია ამის შესახებ საქართველოს უშიშროების სამსახურს საქმის კურსში არ ჩაეყენებინა უმაღლესი ხელისუფალი და მისი გარემოცვა.

ისტორიის ლოგიკით კი მსგავს ვითარებაში ყველა ადეკატური და ოდნავ მაინც გონიერი ხელისუფალი თავს შეიკავებდა ყოველგვარი ავანტურისგან, თვალს დახუჭავდა პროვოკაციებზე, მაქსიმალურად გააქტიურებდა საქმიანობას დიპლომატიურ არენაზე, წავიდოდა დათმობებზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის აგვისტოს ომის წინ არაადეკატური იყო.

**DRAMATIC ZIGZAGS OF THE INNER POLICY  
OF THE GEORGIAN GOVERNMENT BEFORE  
THE 2008 AUGUST WAR**

Before the 2008 August war the wrong and criminal social-economic policy, failure to form strong ground for the economic revival, supporting of only the oligarch capital, mass impoverishment of the citizens and economic stagnation gave rise to the apathy deepening the gap between the government and the population of the country.

The main result of the “Staff Revolution” was barbaric dismissal of the labor organizations, splitting of the citizens into groups and opposing them to each other, development of the elements of conformism, expelling of the honored persons from the active creative life. The fact is that Georgia lost its wisdom and weakened morally.

“Zero Tolerance “ of the Georgian authorities, non democratic, government, existence of the government – oriented court authorities, violence and injustice, as a factor of the inner policy distortion and increase of the population’s discomfort and dissatisfaction, was an additional factor for deepening the gap between the citizens and the Authorities.

M.Saakashvili’s government due to its immature, unbalanced policy, instead of discharging the conditions in the conflict regions, extremely strained the situation during the 4 years of its governance. It was the part of the so-called vigilant “wolf” or the aggressors plans and it stroke the right moment to rush in for a sheep to gobble it up, but the savor and protector was nowhere.

The worthy representatives of the Georgian opposition timely and with reason grounded to the authorities discrepancy of the steps being undertaken by the government and the national interests. The country would have avoided the dangour, should the authorities be more attentive to their advice, but unfortunately the reality was different.

Ignoring of the democratic principles, exploiting of the methods of totalitarian management and establishing of the authoritarian regime widened the gulf between the government and the society.

Nihilizms towards the traditional value orientations, ambition, arrogance, distancing from the faith and sipritual values, ignoring of the tradi-

tions and spiritual aspirations conditioned an irresistible opposition between the authorities and people. All this, from the very start excluded any serious foreign policy or military action from the Georgia's side.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რ. ასძესი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ., 2010, გვ. 213.
2. „ვარდების რევოლუცია“, შედეგები, თბ., 2012, გვ. 15.
3. იქვე, გვ. 6.
4. იქვე, გვ. 7.
5. <http://www.civil.ge/geo/>, p.3-4.
6. პარტიული არქივი, თბილისი, ფ. 14, აღ. 11, ს. 152(გ), ფურც. 171
7. <http://factcheck.ge/artikle/uca`nanuashvili..p3>
8. გაზ. „რეზონანსი“, 2004 წ. 10 აგვისტო.
9. გაზ. „ახალი თაობა“, 2007 წ. 25 ივლისი.
10. გაზ. „ახალი თაობა“, 2007 წ. 31 ივლისი.
11. გაზ. „ახალი თაობა“, 2007 წ. 31 ივლისი.
12. გაზ. „ახალი თაობა“, 2007 წ. 26 ივლისი.
13. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2003-2004 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 6.
14. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2011 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 4-5.
15. უწმიდესი და უნეტარესი ილია II, 2011 წლის საადღგომო ეპისტოლე, გვ. 9.

„პრიზისული დიპლომატია“ 2008 წლის  
აბზისტოს ომში

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი ერთგვარი ტეხილი და ახალი პოლიტიკური ყოფიერების დამწყები ტრაგიკული მოვლენაა ჩვენს უახლეს ისტორიაში. რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაციამ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებამ, ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდის ახალმა ტალღამ საგრძნობლად დაამძიმა საქართველოს უსაფრთხოების გარემო, წარმოშვა რისკებისა და გამოწვევების ახლებური პერსპექტივა. მიიმე ვითარებაა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში, გრძელდება მცოცავი ოკუპაციის და ფაქტობრივი სამხედრო ანექსიის მდგომარეობა. ბლოკირებულია უსაფრთხოებისა და კონფლიქტის პრევენციის საერთაშორისო მექანიზმები, დენონსირებულია 90-იანი წლების სამშვიდობო შეთანხმებანი, რომლებიც აგვისტოს ომამდე უზრუნველყოფდნენ მეტ-ნაკლებად მყიფე ბალანსს და თუნდაც კონფლიქტების გაყინვას თუ სტაგნაციას. ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზეც. პირველ რიგში ეს ეხება ძალაუფლების სტრუქტურის ცვლილებას. ამ მხრივ ომმა გააძლიერა ნოემბრის რეჟიმის სახელისუფლებო ვერტიკალი, ახალი იმპულსები შესძინა ოპოზიციის დათრგუნვის ტექნოლოგიას და, საერთო ჯამში, უფრო ინტენსიური გახდა დემოკრატიისაგან უკუსვლის ის ავტორიტარული ტენდენცია, რაც დაიწყო მმართველი „ტრიუმვირატის“ დაშლით და 2007 წ. ნოემბრის მოვლენებით.

ერთი სიტყვით, საქართველო ცხოვრობს აგვისტოს ომის პირველადი შედეგებით განპირობებული ტოტალური რისკის რეჟიმში.

ამიტომ აუცილებელია 2008 წლის ომის ყოვლისმომცველი შესწავლა, მისი სტრატეგიული ანალიზი, მისი მიზეზების, საომარ მოქმედებათა ოპერატიული მსვლელობის, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული შედეგების, ომის საერ-

თაშორისო ფაქტორების კომპლექსური და სისტემატიზებული გააზრება. უნდა შეიქმნას აგვისტოს ომის ერთიანი სურათი, სტრუქტურულად მთლიანი მაკროსოციოლოგიური მოდელი, რომელშიც თავს მოიყრის მისი ყველა ან თითქმის ყველა ასპექტის გაცნობიერების შესაბამისი სეგმენტი.

ვფიქრობ, ჩვენი დღევანდელი კონფერენციაც თავის საქმეს გააკეთებს და ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის აგვისტოს ომის კონცეპტუალიზაციის საჭირო პროცესში. ყოველ შემთხვევაში, მოხსენებათა სათაურები და კვლევითი სექციები, ასევე დისკუსიის შინაგანი ორიენტირები ხელს შეუწყობენ ღირებული პრობლემური ზონებისა და საკითხების ინიცირებას.

აგვისტოს ომის თემატიკა, როგორც ცნობილია, მრავალგანზომილებიანი და არაერთგვაროვანია თავისი შინაგანი აზრობრივი წყობით. არსებითად ეს არის რთული, სინთეტური დისკურსი, რომელიც თავის თავში აერთიანებს განსხვავებულ, ხშირ შემთხვევაში დიამეტრალულად საპირისპირო თვალსაზრისებს. პრინციპში ეს გარემოება ბუნებრივი და კანონზომიერია, ერთი მხრივ, აგვისტოს ომიდან მომდინარე ღრმად ტრაგიკული განცდის გამო, ხოლო მეორე მხრივ, მოსაზრებათა პლურალიზმის ინტელექტუალური სტანდარტების თვალსაზრისით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ადამიანს აზროვნების საკუთარი იმანენტური ორგანიზაცია აქვს, როცა ის მხოლოდ საკუთარ ავტონომიურ წესებს ემორჩილება და ნაკლებად ეგუება ან სულაც არ ჰგუობს დაშტამპულ იდეოლოგიურ აბსტრაქციებს თუ პროპაგანდისტულ კლიშეებს. მაგრამ შეხედულებათა სხვადასხვაობისა და კონცეპტუალური ნაკადების სიმრავლის მიღმა, ცხადია, უნდა არსებობდეს საერთო პლატფორმა „აგვისტოს ომის კონსენსუსის“ სახით: მწყობრი, ერთიანი, შინაგანად დიფერენცირებული, მაგრამ მაინც მთლიანი კონცეფცია აგვისტოს ომის ფუნდამენტური საკითხების შესახებ. მიგვანინია, რომ ნებისმიერი ასეთი კონცეფცია სრულყოფილი ვერ იქნება მანამ, სანამ აგვისტოს ომის გლობალური მნიშვნელობის შეფასება არ მოხდება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ომისა და მისი შედეგების საერთაშორისო განზომილების წარმოჩენას. ამ უკანასკნელი ამოცანის გადაწყვეტაში კი დიდ მნიშ-



ენელობას იძენს აგვისტოს ომის „კრიზისული დიპლომატიის“ მიუკერძოებელი, კვალიფიციური და, რაც მთავარია, პრაგმატული გააზრება.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ზოგიერთმა საერთაშორისო მოვლენამ (განსაკუთრებით -1956 წ. სუეცის კრიზისმა და 1962 წ. კარიბის კრიზისმა) წარმოშვა სახელმწიფოთა დიპლომატიური ქმედების ახალი სფერო – ე.წ. „კრიზისული დიპლომატია“. „კრიზისულ დიპლომატიას“ ტრადიციული დიპლომატიისაგან განსხვავებული წყობა, მეთოდი და პროცესის ორგანიზაციის ფორმები აქვს. მას მიმართავენ ამა თუ იმ საერთაშორისო კონფლიქტის მოწესრიგების წინასწარი პრევენციული მექანიზმების მოშლის დროს, კრიზისის ესკალაციის და ომში გადაზრდის პირობებში, ე.ი. კონფლიქტის სახიფათო მდგომარეობაში გარდატეხის კრიტიკულ მომენტში. „კრიზისული დიპლომატიის“ რესურსებს, როგორც წესი, მიმართავენ მაშინ, როდესაც გარდაუვალია მოვლენებზე მყისიერი, ზოგ შემთხვევაში წინასწარ გაუცნობიერებელი რეაგირება და სხვა გამოსავალი, არსებულ მძიმე მდგომარეობაზე გაცილებით კატასტროფული სიტუაციის თავიდან აცილების სხვა მექანიზმი უბრალოდ არ არსებობს.

აგვისტოს ომის „კრიზისული დიპლომატიის“ ანალიზი საჭიროდ გვესახება იმიტომ, რომ სწორედ ამ სფეროში გამოავლინა ყველაზე რელიეფურად ომის საერთაშორისო განზომილების მთავარი შრე – თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარი „მოთამაშეების“ კრიზისული ურთიერთდამოკიდებულება და „ცივი ომის“ ლოგიკის ინერცია („კრიზისული დიპლომატია“ არსებითად სწორედ „ცივი ომის“ პროდუქტია).

ჩვენი აზრით, აგვისტოს ომის „კრიზისული დიპლომატიის“ დასაწყის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ 2008 წ. აპრილი: ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე აშშ-გერმანიის დისკუსიამ ფაქტობრივად ჩააგდო საქართველოსათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის („მაპ“-ის) მინიჭების სტრატეგიული საკითხი. ამის საპასუხოდ „კოსოვოს პრეცედენტით“ (კოსოვოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება დაიწყო 2008 წ. 17 თებერვალს) ზურგმომავრებულმა

და რამდენადმე პოზიციამოტივირებულმა რუსეთმა დაიწყო წინების გაძლიერება და სიტუაციის დაძაბვა ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებში, მათ შორის სამხედრო კომპონენტების გაფართოების კუთხით. ფაქტობრივად, კულმინაციას მიაღწია რუსეთის მიერ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლებისათვის „სტრატეგიული მახის“ დაგების პროცესმა. კრემლმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამ „სტრატეგიულ მახეს“ პრეზიდენტ მ. სააკაშვილისა და მისი გარემოცვის აღქმაში მიეღო კონფლიქტური რეგიონების მშვიდობიან დაკარგვასა და კრიზისის სამხედრო გზით განმუხტვას შორის ბინალური ალტერნატივის ფორმა პრინციპით – არჩევანი ტერიტორიების დაკარგვასა და ომის დაწყებას შორის.

ამდენად, 2008 წ. აპრილში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების ირგვლივ არსებული ყველა სტრატეგიული ხედვებისა და დიპლომატიური ნაკადების ურთიერთგადახლართვამ, სამშვიდობო ფორმატების კრიზისისა და ვითარების ესკალაციის ტენდენციის გამოკვეთამ, სიტუაციის სახიფათო მდგომარეობაში გარდატეხის კრიტიკულმა ფაზამ დღის წესრიგში დააყენა „კრიზისული დიპლომატიის“ წარმოების აუცილებლობა. პირველად კონფლიქტების მიმდინარეობის 17-18 წლიან ისტორიაში გარდაუვალი გახდა ისეთი დიპლომატიური აქციების თუ ქმედებების ინიცირება, რომლებსაც, სრულმასშტაბიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგების ზოგადი პრობლემატიკის დროებით განზე გადადებით, უნდა უზრუნველყოთ კონკრეტული მოკლევადიანი ამოცანა – კრიზისის ომში გადაზრდის არდაშეება და ამასთან დაკავშირებული პრევენციული მექანიზმების ამოქმედება.

ვფიქრობთ, „კრიზისული დიპლომატიის“ პირველ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ე.წ. „ჰედლის მემორანდუმი“. 2008 წ. აპრილის მეორე ნახევარში ვაშინგტონის ადმინისტრაციაში გაიმართა რამდენიმე საგანგებო თათბირი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. თათბირებს უძღვებოდა პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში სტივენ ჰედლი<sup>1</sup>. კონსულტაციების შემდეგ შემუშავებულ სამუხტობიან გეგ-

მაში გათვალისწინებული იყო ისეთი ღონისძიებების კომპლექსი, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ, ერთი მხრივ, რუსეთის აქტიურობის შეკავება და, მეორე მხრივ, მ. სააკაშვილის მიერ სამხედრო არჩევანის უარყოფა, გარკვეული გარანტიების შეთავაზებით.

„მემორანდუმის“ პირველ პუნქტში საუბარი იყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის რეგიონალურ დე ფაქტო ხელისუფლებას შორის პირდაპირი დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე. მეორე პუნქტით გათვალისწინებული იყო სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაცია და რუსეთის მონოპოლიის შეზღუდვის საფუძველზე საერთაშორისო კონტინგენტის (საწყის ეტაპზე ევროკავშირის ინსტრუქტორების სახით) ჩართულობა.

კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო წარმომადგენლობის გაზრდის საპასუხოდ საქართველოს ძალის გამოყენებლობის მკაცრი პირობა უნდა დაედო. მესამე პუნქტში ხაზგასმული იყო მოლაპარაკებათა ფორმატის შეცვლა და ამ მიმართულებით ახალი ფორუმის, ერთგვარი დარეგულირების საბჭოს ჩამოყალიბება, რომელიც მხარეთა წარმომადგენლების უშუალო კავშირებთან ერთად პროცესში ევროკავშირის შემოყვანას გულისხმობდა.

პოზიტიური კონფლიქტოლოგიური ჩარჩოების მიღმა, „ჰედლის მემორანდუმში“ შეიცავდა რამდენიმე ისეთ მომენტს, რაც მას თავიდანვე ჩავარდნისკენ „უბიძგებდა“. ჯერ ერთი, ქართული მხარის კომპრომისის სანაცვლოდ „მემორანდუმში“ არ იყო დაფიქსირებული ადეკვატური გარანტიები რუსულ-აფხაზური ბლოკის მხრიდან გადადგმული ნაბიჯების ქმედითი შეკავებისათვის. რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებზე კრემლის მიერ გადადგმული ნაბიჯების მკვეთრი ასახვის დეკლარირების ზოგადი ტენდენცია, რასაკვირველია, არ იძლეოდა შესაძლო აგრესიის შეკავების პრაქტიკულ ბერკეტებს; მეორე, ერთობ ორაზროვანი და არაპრაგმატული იყო გეგმის პირველ პუნქტში დაფიქსირებული „თბილისი-სოსუმის პირდაპირი დიალოგის“, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ქვედა დონეზე“ თანამშრომლობის დაწყების საკითხი. ის თითქმის არ ითვალისწინებდა რუსეთის „სამშვიდობო“ პოლიტიკის შინაგან ლოგიკას,

კერძოდ იმას, რომ კრემლი არაფრის დიდებით არ დაუშვებდა აფხაზური მხარის დისტანცირებას რუსეთისაგან და რამდენადმე დამოუკიდებელ სუბიექტად პროცესში მონაწილეობას, მით უფრო კონფლიქტური რეგიონების „გახსნას“ დასავლეთისათვის. მესამე, რუსულ-აფხაზური ბლოკი აპრიორულად უარყოფდა დარეგულირების ფორმატის კორექტირებას, განსაკუთრებით კი ფორმატში პროქართული სუბიექტების (თუნდაც ევროკავშირის) ჩართვის კუთხით.

„ჰედლის მემორანდუმი“ დაიბლოკა, მას ვერც მაისის შუა რიცხვებში თბილისში მ. ბრაიზას (აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში კურირებდა სამხრეთ კავკასიის საკითხებს) ვიზიტმა უშველა და ვერც გაერო-ში საქართველოს ელჩის ი. ალასანიას მიერ აფხაზეთში გამართულმა მოლაპარაკებებმა.

ამ საქმეში განმსაზღვრელი როლი, ცხადია, რუსეთის დიპლომატიურმა ობსტრუქციამ შეასრულა. ამ შემთხვევაში (ისევე როგორც ზოგადად აგვისტოს ომის „კრიზისულ დიპლომატიაში“) კრემლის არარეგულარული და არაკონსტრუქციული პოზიციის საფუძვლების ჩვენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს 2008 წ. 13 მარტს სახელმწიფო დუმის მიერ მიღებულ დადგენილებას „დსთ-ს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ“<sup>2</sup>. დოკუმენტში, რომელიც თავის დროზე წარმოადგენდა ერთგვარ ინსტრუქციას რუსეთის დიპლომატიისათვის და დღეს წარმოადგენს რეპრეზენტატულ წყაროს რუსული პოლიტიკის ობიექტური ანალიზისათვის, ჩამოთვლილია ის მიზეზები, რომელთა გამოც „რუსეთის პრეზიდენტმა უნდა განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის მიზანშეწონილობის საკითხი“. მიზეზების „კატალოგში“ აღსანიშნავია პირველი, მეორე და მეოთხე პუნქტები.

პირველ პუნქტში საუბარია, რომ „ბოლო დროს სისტემური ხასიათი მიიღო წინააღმდეგობამ ახალ რეალიებსა და საერთაშორისო სამართლის აღიარებულ ნორმებს შორის“. ე.ი. თურმე დასაშვებია „ახალი რეალიების“ (ან მათზე საკუთარი წარმოდგენის) გამო დაარღვიო საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები, უფრო მეტიც – დაანგრიო საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული და კონვენციონალური წესრიგი; მეორე პუნქტში პირდაპირაა

მინიმუმებული „კოსოვოს პრეცედენტზე“ და ხაზგასმულია, რომ „კოსოვოს კაზუსი“ არ შეიძლება დარჩეს შედეგების გარეშე დსთ-ს გაყინული კონფლიქტებისათვის.

მეოთხე პუნქტი ეხება რუსეთის მონაწილეობას დარეგულირების პროცესში და აქ შავით თეთრზე წერია: „არსებობს მოწესრიგების არსებული ფორმატის ნგრევისა და საერთაშორისო პოლიციური ძალების განლაგების შესაძლებლობა, რაც ქმნის საფრთხეს რეგიონალური სტაბილურობისათვის...“ მაშასადამე, რუსეთი იმთავითვე დაუშვებლად მიიჩნევდა არსებული სამშვიდობო ფორმატების შეცვლას და მოწესრიგების საერთაშორისო მექანიზმების ჩართულობის გაფართოებას, რადგანაც ეს გამოიწვევდა პროცესში მისი ექსკლუზიური სტატუსის ტრანსფორმაციას.

სახელმწიფო დუმის 2008 წ. 13 მარტის დადგენილება გახდა ნორმატიული ბაზა ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებში კრემლის დესტრუქციული პოლიტიკის გააქტიურებისათვის, დაწყებული პრეზიდენტ ვ. პუტინის 2008 წ. 16 აპრილის დეკრეტით აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარების შესახებ და დამთავრებული 31 მაისს აფხაზეთში რუსეთის სარკინიგზო ჯარების (ვოლგოგრადის 76-ე ბატალიონის) შემოყვანით. მეორე მხრივ, სწორედ 13 მარტის დადგენილებამ განსაზღვრა (თანაც იმპერატიული ფორმით) „კრიზისულ დიპლომატიაში“ რუსეთის კონფლიქტოგენური პოზიციის ძირითადი კომპონენტები – ყბადაღებული „ახალი რეალიების“ დაპირისპირება საერთაშორისო სამართალთან (ე.ი. საქართველოს საზღვრების ურღვევობასთან\*) ვითარების „კოსოვიზაციის“ მაქსიმალური ხელშეწყობა, დარეგულირების ახალი მექანიზმების უარყოფა. არსებითად ეს იყო დიპლომატიური კონფლიქტის მატრიცა, „კრიზისული დიპლომა-

---

\* ამ მხრივ სიმპტომატურია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, ვ. კენიაიკინის 2008 წ. 25 აპრილის შემდეგი განცხადება: „რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შეცვლას თეორიული შესაძლებლობიდან პრაქტიკულ რეალობამდე. ამჟამად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა თეორიული ჰიპოთეზაა...“

ტიის“ ჩავარდნის და კრიზისის ომში გადაზრდის სტრატეგიული ხაზი. ამის გამო „ჰედლის მემორანდუმიც“, მოგვიანებით „შტაინმაიერის გეგმაც“ და „კრიზისული დიპლომატიის“ სხვა აქციები ფაქტობრივად განწირული იყო. კრემლში უკვე „ჩართული“ იყო საქართველოს ხელმძღვანელობისათვის სტრატეგიული მახის დაგების ტაქტიკური მექანიზმი. რაში მდგომარეობდა ეს მახე? მდგომარეობდა შემდეგ ღონისძიებათა კომპლექსში – „კრიზისული დიპლომატიის“ მიზანმიმართული შეფერხება და სამშვიდობო ფორმატების ნგრევის გამოწვევა, შეიარაღებული პროვოკაციების ინტენსიფიკაცია და ქართული მხარის პროვოცირება საპასუხო ფორს-მაჟორულ ძალისმიერ დარტყმებზე რუსეთის სამხედრო ჩარევისათვის სიტუაციური პლატფორმის შექმნა.

2008 წ. 15 მაისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მორიგი რეზოლუცია, რომელშიც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ღტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობა<sup>3</sup>.

ივნისში საქართველოს ხელისუფლებამ სცადა ოფიციალური სამშვიდობო ინიციატივების (მოწესრიგების პრინციპები, საბაზისო შეთანხმებათა პროექტები, „საგზაო რუკები“ და სხვ.) გვერდის ავლით, მიემართა ირიბი დიპლომატიის მექანიზმებისათვის უმძიმესი ვითარების განსამუხტავად.

21 ივნისს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა წერილით მიმართა პრეზიდენტ დ. მედვედევს<sup>4</sup>, რომელშიც გარკვეულწილად კონფიდენციალური ფორმით, წარმოდგენილი იყო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შუალედური გეგმის მონახაზი. ქართული მხარე აყენებდა აფხაზეთის ორად გაყოფის (მდ. კოდორზე) და გალისა და ოჩამჩირის რაიონებში საქართველოს ნაწილობრივი იურისდიქციის (შერეული ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციით ან საერთაშორისო მმართველობით) აღდგენის წინადადებას. ამ რაიონებში უნდა შექმნილიყო თავისუფალი ეკონომიკური ზონები, შერეული ქართულ-აფხაზური საპოლიციო სტრუქტურები, ერთობლივი ადმინისტრაცია საერთაშორისო სეგმენტის ჩართვით. ამის სანაცვლოდ ოფიციალური თბილისი თანხმდებოდა დსთ-ს (ე.ი. რუსეთის) სამშვიდობო ფორ-

მატის გაგრძელებაზე და ძალის გამოყენებლობის დოკუმენტის ხელმოწერაზე. თითქმის ორკვირიანი ღუმილის შედეგ, 3 ივლისს კრემლმა უარი განაცხადა აღნიშნული წინადადების განხილვაზე. ამდენად, სააკაშვილის წერილში წარმოდგენილი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთზე სუვერენიტეტის განაწილების გეგმა, ორმაგი პროტექტორატის ან, ასე ვთქვათ, კონდომინიუმის სახით.

ეს ფაქტი ძალიან ნიშანდობლივია, შეიძლება ითქვას, ორმაგად ნიშანდობლივია და აი, რატომ: ჯერ ერთი, რა უფლება ჰქონდა პრეზიდენტ სააკაშვილს, ესაუბრა ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის გაყოფაზე, მისი ნაწილის დათმობაზე, თუნდაც გარკვეული შუალედური დროით. ეს ხომ იმ კონსტიტუციის დარღვევის, ასე ვთქვათ, მცდელობითი, სიტყვიერი პრეცედენტია, რომლის თანახმად ის იყო სახელმწიფოს ერთიანობის გარანტი. მაგრამ, მეორე მხრივ და სწორედ „კრიზისული დიპლომატიის“ კონტექსტში ეს ნაბიჯი სხვაგვარად განიზომება: გრძნობდა რა კონფლიქტის უკიდურესი ესკალაციის საშიშროებას, მ. სააკაშვილის ხელისუფლება მზად იყო წასულიყო მაქსიმალურ დათმობაზე და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არარელევანტურ კომპრომისზე – აფხაზეთის გაყოფაზე, ოღონდ ომი არ დაწყებულიყო. ე.ი. საქართველოს ხელმძღვანელობა მოქმედებდა კომპრომისისა და ტერიტორიული კაპიტულაციის ზღვარზე, რათა ყველა მშვიდობიანი საშუალება, მათ შორის გარკვეულწილად კაპიტულანტური დიპლომატიური არხებიც კი არ ამოწურულიყო.

ფაქტობრივად უშედეგოდ დასრულდა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების ორივე შეხვედრა – 3 ივნისს ქ. სანკტ-პეტერბურგში და 5 ივლისს – ქ. ასტანაში. ამასთან, ასტანაში დ. მედვედევმა გამიზნულად ჩააგდო სანკტ-პეტერბურგის მოლაპარაკებაზე თითქმის შეთანხმებული წინადადება 2008 წ. სექტემბერში ქ. სოჭში ქართულ-რუსული ორმხრივი სამიტის მოწყობის შესახებ. შეხვედრებიდან ცხადი გახდა, რომ კრემლი ოდნავადაც არ ცვლიდა საქართველოსთან ტრადიციულ იმპერიულ პოლიტიკას. ამავე დროს (ან შესაძლოა, სწორედ ამიტომაც) არც მ. სააკაშვი-

ლი აღმოჩნდა მზად საკუთარი სამხედრო რიტორიკის კორექტირებისათვის.

2008 წ. 9 ივლისს თბილისში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კ. რაისი. მოლაპარაკების დროს მ. სააკაშვილი დათანხმდა ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების აღებაზე, ოღონდ არა განცალკევებული სახით, არამედ მოწესრიგების ერთიანი კომპლექსური პაკეტის შემადგენელი კომპონენტის ფორმით. კ. რაისის განცხადებაზე, „ძალის გამოყენების არჩევანი არც გაქვთ და ახლა მთავარი ისაა, ძალის გამოუყენებლობის განაცხადი გააკეთოთ, მ. სააკაშვილმა უპასუხა, რომ იგივე სურს, მაგრამ ეს უფრო ფართო შეთანხმების ნაწილი უნდა გახდეს...“.

ეხება რა შეხვედრის ამ მომენტს, მოგვიანებით გამოქვეყნებულ მემუარებში კ. რაისი პირდაპირ აცხადებს, რომ მან კატეგორიულად გააფრთხილა საქართველოს პრეზიდენტი სამხედრო არჩევანის უპერსპექტივობაში, ომის დაწყების შემთხვევაში აშშ-სგან სამხედრო დახმარების შესაძლებლობის სრულ გამორიცხვაში.

ამავე დროს, აბსოლუტურად არამართლზომიერია მოსაზრება, თითქოს 9 ივლისის მოლაპარაკებებმა ქართულ მხარეს ომის დაწყების შემთხვევაში ვაშინგტონისაგან ძალისმიერი მხარდაჭერის ფუჭი ილუზიები გაუჩინა და რამდენადმე წაახალისა კიდევ ის კრიზისის სამხედრო გზით გადაწყვეტის მიმართულებით. არც მოლაპარაკების ამსახველი მასალა, არც მოვლენათა ლოგიკა და არც ჯ. ბუშის ადმინისტრაციის დიპლომატიური ქმედებების დინამიკა არ იძლევა ნიადაგს ამგვარი რადიკალური მტკიცებისათვის.

„კრიზისული დიპლომატიის“ უკანასკნელი მცდელობა, მიეღწიათ ვითარების მეტ-ნაკლები დეესკალაციისათვის, იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის ვიზიტი საქართველოში 2008 წლის 13 ივლისს. შტაინმაიერმა წარმოადგინა კონფლიქტის დარეგულირების „გერმანული ვარიანტი“ სამეტაპიანი გეგმის სახით:

1) ნდობის აღდგენის ღონისძიებების დაწყება, პირდაპირი ქართულ-აფხაზური დიალოგი, საქართველოს მხრიდან ძალის არგამოყენების პირობა, კოდორის ხეობის დემილიტარიზაცია და ლტოლვილთა დაბრუნება;



2) რეგიონში ერთიანი აღდგენითი და ეკონომიკური პროექტების განხორციელება;

3) პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა საერთაშორისო შეამავალთა დახმარებით.

„შტაინმაიერის პროექტი“ ძირითადად ეყრდნობოდა უკვე არსებული სამშვიდობო ინიციატივების შინაარსობრივ ფორმატს. მაგრამ, ამავე დროს, შეიცავდა ისეთ სიახლეებსაც, რომლებიც ადრინდელი გეგმებისაგან (მაგ. „ჰედლის მემორანდუმისაგან“) განსხვავებით, ზრდიდნენ მხოლოდ ქართული მხარის კომპრომისების ველს და აფართოებდნენ მასზე დასაკისრებელი პასუხისმგებლობის არეალს. ეს იყო მთავარი განსხვავება ამერიკულ და გერმანულ კონცეფციებს შორის. ასეთები იყო, მაგალითად, ძალის არგამოყენების ვალდებულებების გაუწონასწორობლობა უფრო ქმედითი საპასუხო გარანტიებით, რუსეთის ექსკლუზიური ფუნქციების შეზღუდვა და საერთაშორისო ჩართულობის გაფართოება არა ზოგადად სამშვიდობო პროცესის ყველა ეტაპზე, არამედ კონკრეტულად მხოლოდ პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის ბოლო ფაზაში, არსებული ფორმატების შენარჩუნება და სხვ.

ამიტომ ქართული მხარე ერთგვარი სკეპსისით შეხვდა „შტაინმაიერის გეგმას“. მ. სააკაშვილი ბერლინის მომავალ კონსულტაციებში მონაწილეობას მხოლოდ იმ იმედით დათანხმდა, რომ აშშ-ის დახმარებით შეძლებდა გერმანული გეგმის რევიზიას და „შტაინმაიერის პროექტის“ ზოგიერთი პუნქტის ჩანაცვლებას „ჰედლის მემორანდუმის“ შესაბამისი ნაწილებით.

რაც შეეხება აფხაზურ მხარეს, მოსკოვის კარნახით მან გერმანული ინიციატივა სრულად უარყო. უბრალოდ დიმილისმომგვრელი იყო სეპარატისტთა მხრიდან შტაინმაიერის გეგმის დაბლოკვის მიზეზი – მათ დამატებითი დრო მოითხოვეს ორფურცლიანი და წინანდელი ინიციატივებით გაჯერებული ტექსტის აპრობაციისათვის.

„კრიზისული დიპლომატიის“ პრევენტული ფაზა ფაქტობრივად ჩავარდა, ვერ უზრუნველყო რა სამხედრო შეტაკების თავიდან აცილება. ამაში, კრემლის კონფლიქტოგენურ პოლიტიკასა და რუსეთ-სეპარატისტების ალიანსის

ესკალაციისკენ მიზანმიმართულ ქმედებებთან (როგორც უმთავრეს ფაქტორთან) ერთად, გარკვეული როლი შეასრულეს საქართველოს პრეზიდენტისა და მმართველი ჯგუფის ზოგიერთი სხვა წევრის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა. ფაქტია, რომ კრიზისული ვითარების ყველაზე გარდამტეხ მომენტში მათ ვერ გამოიჩინეს სათანადო დიპლომატიური ალლო, აუცილებელი სიფრთხილე, ელასტიურობა, ორიენტაცია რაციონალურ არჩევანზე და ასეთ სიტუაციებში უადრესად საჭირო სტრატეგიული ანალიზის სათანადო უნარი.

საყოველთაოდ ცნობილია 2008 წლის 29 ივლისი – 8 აგვისტოს სამხედრო კრიზისის, 7-12 აგვისტოს საომარი მოქმედებებისა და აგვისტო-სექტემბრის ე.წ. „ბუფერული ოკუპაციის“ პერიოდები.

როგორ წარიმართა ამ პერიოდის „კრიზისული დიპლომატია“? ცხადია, რომ პრევენტული სტადიის წარუმატებლობის შემდეგ და საკუთრივ ომის პირობებში, „კრიზისული დიპლომატიის“ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ცეცხლის შეწყვეტის მიღწევა და დაზავების რეჟიმის შექმნა.

2008 წლის 8 აგვისტოს, ომის დაწყებიდან რამდენიმე საათში, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კ. რაისმა წარმოადგინა ცეცხლის შეწყვეტის სამაჟნქტიანი გეგმა, რომელიც გულისხმობდა – საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანას და იქ ახალი არჩევნების ჩატარებას<sup>7</sup>. ეს გეგმა გახდა კ. რაისისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ლავროვის მოლაპარაკების მთავარი თემა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საწყის ეტაპზე ქართულმა მხარემ სცადა გეგმის ტორპედირება და პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა, პრინციპში მხარი დაუჭირა რა რაისის წინადადებათა პაკეტის პირობებს, განსაკუთრებული კატეგორიულობით მოითხოვა ე.კოკოითისა და მისი სეპარატისტული დაჯგუფების გადადგომა. ალბათ, ასეთი პოზიცია განპირობებული იყო ომის ფრონტზე იმხანს არსებული ოპერატიული ვითარებით – ქართული შენაერთები იმ მომენ-

ტში ქ. ცხინვალის უმეტეს ნაწილს და გარშემო არსებულ ანკლავებს აკონტროლებდნენ.

ხოლო მას შემდეგ, რაც ოპერატიული სიტუაცია შეიცვალა, რუსეთის ინტერვენციის მასშტაბები გაფართოვდა და ჩვენმა ძალებმა უკანდახევა დაიწყეს, უკვე რუსეთმა თქვა უარი რაისის პაკეტზე. უფრო მეტიც: კ. რაისთან სატელეფონო საუბარში (10 აგვისტოს) ს. ლავროვმა პირდაპირ აღნიშნა, რომ „რუსეთი აპირებს საქართველოს მთავრობის შეცვლას“. ეს კი აგრესიის პოლიტიკური მიზნების დეკლარირება უფრო იყო, ვიდრე ომის შეჩერების ლოგიკა.

საერთოდ, რუსეთის ინტერვენციის სამხედრო-პოლიტიკურმა მიზანდასახულობამ მნიშვნელოვნად შეზღუდა „კრიზისული დიპლომატიის“ არეალი და საგრძნობლად დაასუსტა დაზავების დიპლომატიური პლატფორმა. ამ მიზნებზე, რომლებიც საგრძნობლად სცილდება „გენოციდისაგან ოსი და აფხაზი ერების გადარჩენის“ და „საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის“ ყბადაღებულ ლოზუნგებს, ნათელ წარმოდგენას ქმნის რამდენიმე ფაქტობრივ-დოკუმენტური მონაცემი.

ომის დაწყებიდან ცოტა ხანში ვაშინგტონში გაიმართა ამერიკელი და რუსი მაღალჩინოსნების კონფიდენციალური შეხვედრა, რომელზეც, ამერიკული მხარის ინფორმირების კუთხით, რუსმა დიპლომატმა წარმოადგინა კრემლის განზრახულობათა ასეთი ჩამონათვალი: სრული კონტროლი სამხრეთ ოსეთზე და მის გარშემო უსაფრთხოების ზონის შექმნა; ქართული ძალების გამოდევნა კოდორის ხეობიდან; უსაფრთხოების ზონის შექმნა. ქ ზუგდიდის გარშემო; საქართველოს იძულება ძალის არგამოყენების დოკუმენტზე ხელმოსაწერად; სააკაშვილის დამცირება და საქართველოს შეგნით მისი მუდმივი წინეხის ქვეშ ყოლა, რათა მან საბოლოოდ მილოშევიჩის ბედი გაიზიაროს; საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების ყველა შესაძლებლობის მოსპობა<sup>8</sup>.

15 აგვისტოს ოკუპირებულ გორში გამართულ ერთ-ერთ ვახშამზე, რომელსაც რუსეთის მხრიდან ესწრებოდნენ გენ. ვ. ბორისოვი (საჰაერო-სადესანტო ძალების მთავარსარდლის მოადგილე და ფსკოვის 76-ე დივიზიის მეთა-

ური) და მისი მოადგილე გენ. ალ. კოლპაჩენკოვი, ხოლო საქართველოს მხრიდან უშიშროების საბჭოს მდივანი ა. ლომაია და სხვა მაღალჩინოსნები, ლომაიას შეკითხვაზე, თუ რას აპირებენ რუსები ცხინვალის დაკავების შემდეგ, გენ. კოლპაჩენკოვმა უპასუხა (თანაც, ვიზუალური ეფექტისათვის, მარჯვენა ხელი ასწია და მის ხელისგულთან მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მიიტანა): „აი, საქართველო... დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე იოლად დასათრევი ქვეყანაა. დასავლეთით აფხაზეთის და აღმოსავლეთით სამხრეთ ოსეთის ხელში ჩაგდებათ ამ ქვეყანას ახლა სულ ნაწილ-ნაწილ ვშლით... მთავარ სატრანსპორტო არტერიას შუაზე ვხლქით, საჰაერო და საზღვაო პორტებს ვბომბავთ... მერე კი ვსხდებით და ველოდებით, სანამ სასოწარკვეთილი მოსახლეობა ხელისუფლებას არ დაამხოვს!“<sup>9</sup>

ვფიქრობთ, რუსეთის ინტერვენციის სამხედრო-პოლიტიკური მიზნები ყველაზე რელიეფურად ჩანს იმ სქემაში, რომელიც 2008 წ. 19 აგვისტოს (საქართველოში ე.წ. „ბუფერული ზონების“ შექმნის პარალელურად) წარმოადგინა კრემლთან ძალიან დაახლოებულმა „მსოფლიო სტრატეგიების ინსტიტუტმა“:

1. საქართველოს სრული დემილიტარიზაცია;
2. „სააკაშვილის რეჟიმის“ დემონტაჟი;
3. საქართველოში კონფედერაციული წარმონაქმნის – „კავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანების (კსგ)“ შექმნა 10-ზე მეტი ეთნიკური ერთეულისაგან;
4. კსგ-ს ექნება საერთო საგარეო პოლიტიკა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ცენტრალური ბანკი და ვალუტა. საქართველოში უნდა დარჩეს მხოლოდ პოლიციური ძალები, ჯარი და უშიშროება – არასოდეს“<sup>10</sup>.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

2008 წ. 10-11 აგვისტოს თეთრ სახლში გაიმართა კონსულტაციები აშშ-ის მხრიდან საქართველოსათვის სამხედრო დახმარების გაწვევასთან დაკავშირებით<sup>11</sup>. განიხილებოდა ამერიკული სამხედრო ჩარევის სხვადასხვა ვარიანტები, საქართველოსთვის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის უახლესი ტიპების გადაცემით დაწყებული და როკის გვირაბის დაბომბვა-ჩაკეტვის შეზღუდული ოპერაციით თუ

რუსეთის აგრესიის დამაბრკოლებელი სხვა ქმედებებით დამთავრებული. მიმდინარე დისკუსიის ფარგლებში გამოიკვეთა ორი ჯგუფი: მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში სტ. ჰედლი და მისი მიმდევრები აგვისტოს ომის ძირითად მიზეზად მოიაზრებდნენ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტური ურთიერთობების თავისებურებებს და ჯ. ბუშს სთავაზობდნენ უაღრესად მოზომილი, ზომიერი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმას. მეორე ჯგუფი ვიცე-პრეზიდენტ რ. ჩეინის მეთაურობით ომს უფრო კრემლის იმპერიულ გეოპოლიტიკურ მიზნებს უკავშირებდა და, შესაბამისად, მოითხოვდა გაცილებით ქმედითი სამხედრო ნაბიჯების გადადგმას რუსეთის გეოსტრატეგიული ამბიციების შეკავებისათვის.

ეროვნული უშიშროების საბჭოს 11 აგვისტოს თათბირზე, ჩარევის დიპლომატიური და სამხედრო ვარიანტების განხილვის შემდეგ, პრეზიდენტმა ბუშმა დიპლომატიურ ვარიანტს მიანიჭა უპირატესობა. აშშ-რუსეთის პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კრიზისული ვითარების განმუხტვის ინიციატივა გადასულიყო ევროკავშირის ხელში, აშშ-ის აქტიური მონაწილეობით და, ასე ვთქვათ, საქართველოს დისტანციური, კულისებშიდმა მხარდაჭერით. ამასთან, რუსეთის აგრესიის შემაკავებელი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ამერიკული სამხედრო ძალებით ჰუმანიტარული დახმარების პროცესის წარმართვას და შავი ზღვის აკვატორიაში მენფლოტის რამდენიმე ხომალდის გამოჩენას.

ამრიგად, კ. რაისის სამპუნქტიანი გეგმის ჩაფარდნისა და აშშ-ის უშიშროების საბჭოს 11 აგვისტოს გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოს მთავარი მოკავშირე განზე დადგა და აქტიური, მაგრამ დისტანციური მხარდაჭერის ტაქტიკა არჩია. ქმედითი საერთაშორისო კოალიციის ჩამოყალიბებისა და რუსეთის აგრესიის შეკავების სტრატეგიული პლატფორმის ორგანიზაციის ნაცვლად, აშშ-მა პროცესის მართვის სადავეები ევროკავშირს გადაულოცა. ეს იყო შემობრუნების წერტილი აგვისტოს ომის „კრიზისულ დიპლომატიაში“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ევროკავშირის თავმჯდომარე-ქვეყანა – საფრანგეთი (ე.წ. „ევროპულ სამეულთან“ ერთად, რომელშიც საფრანგეთის პრეზიდენტ ნ.

სარკოზისტან ერთად შედიოდნენ – ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხ. სოლანა და ეუთოს თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალ. სტუბი). „კრიზისული დიპლომატიის“ ცენტრალური ფორმულა გახდა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და 7 აგვისტომდელი სტატუს-კვოს აღდგენა. საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაიწყო დაზავების კონკრეტული მექანიზმების ვარიანტთა შემუშავება.

საქართველოს ხელისუფლებამ 10 აგვისტოს საღამოს გამოაცხადა კონფლიქტის ზონიდან ჯარების გაყვანის შესახებ, ხოლო 11 აგვისტოს დილის 05.00 საათზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა ცეცხლის შეწყვეტისა და რუსეთთან დაზავების მოლაპარაკების დაწყებაზე. 12 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმაც განაცხადა ე.წ. „მშვიდობაზე საქართველოს იძულების“ ოპერაციის დამთავრების შესახებ. ამან რამდენადმე გააადვილა დიპლომატიური არხების ამოქმედება და მათი მეტ-ნაკლები ეფექტურობაც გაზარდა, ცხადია, „კრიზისული დიპლომატიის“ უაღრესად რთული პროცესის ფარგლებში.

პროცესის სირთულეს და წინააღმდეგობრიობას, უწინარეს ყოვლისა, განაპირობებდა ომის შედეგების სტრატეგიული და ოპერატიული შინაარსი. კრემლი ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს მიერ განცდილი მყისიერი კატასტროფა და საბრძოლო მოქმედებებში მოპოვებული წარმატება დიპლომატიურ ფრონტზეც გადაეგანა და საკუთარი იმპერიული ინტერესების სახელშეკრულებო ბაზა განემტკიცებინა.

მეორე მხრივ, „კრიზისული დიპლომატიის“ პროცესში რამენაირი ბალანსის აღდგენის საქმეს ართულებდა პოზიციათა არაერთგვაროვნება (შეიძლება ითქვას, შეუთავსებლობაც) საკუთრივ ევროკავშირის შიგნით. აქ ნამდვილად არ იყო ერთიანი კონცეპტუალური ხაზი და, შესაბამისად, ქმედებათა ერთიანი ტაქტიკა, განსაკუთრებით რუსეთთან ომისშემდგომი ურთიერთობის საკითხში.

ევროკავშირის ქვეყნები დაჯგუფდნენ ორი მთავარი მიდგომის ირგვლივ: „გერმანულ მოდელს“, რომელიც ით-

ვალისწინებდა რუსეთის მიმართ რბილი პოლიტიკის გატარებას, მხარი დაუჭირეს იტალიამ, ესპანეთმა, საბერძნეთმა, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, უნგრეთმა და სლოვაკეთმა; რუსეთის აგრესიაზე რეაგირების „ლატვიურ გზას“ კი, რომელიც მოითხოვდა აგრესორის მიმართ სანქციებისა და ლეგიტიმური რეპრესალიების მკაცრი სისტემის შემოღებას, მხარდაჭერა გამოუცხადეს დიდმა ბრიტანეთმა, პოლონეთმა, დანიამ, ბულგარეთმა, ჩეხეთმა, ესტონეთმა და ლიტვამ.

სტოკჰოლმში აშშ-ის რწმუნებული რ. სილვერმანი სახდებისადმი გაგზავნილ საიდუმლო შეტყობინებაში აღნიშნავდა, რომ „2008 წლის კავკასიური კრიზისის დროს გერმანია რუსეთის ინტერესებს ლობირებდა... გერმანია და საფრანგეთი ცდილობდნენ, შვედეთი და სხვა ქვეყნები დაეყოლიებინათ, რათა რუსეთის მიმართ სანქციები არ შემოეღოთ... რუსეთის ჯარების გაყვანის პოზიციას პარიზი, ბერლინი და რომი უკვე 2008 წლის შემოდგომაზე დაშორდნენ...“<sup>42</sup>

მართლაც, როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის და კონფლიქტური რეგიონების „დამოუკიდებლობის“ არადიარების პოზიტიური კურსის პარალელურად ევროკავშირმა არ გაატარა რუსეთის აგრესიის შეკავების, აგვისტოს ომის შედეგების აღმოფხვრის სტრატეგიული პოლიტიკა. 2008 წ. 1 სექტემბრის ბრიუსელის სამიტმა საბოლოოდ თქვა უარი რუსეთის მიმართ სანქციების შემოღებაზე, ხოლო 2008 წ. 14 ნოემბრის ნიცის სამიტზე ევროკავშირმა გამოაცხადა რუსეთთან ურთიერთობის სრულმასშტაბიანი აღდგენის შესახებ.

„კრიზისული დიპლომატიის“ მთავარი აქტორი – საფრანგეთი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ, ასე ვთქვათ, ორმაგი ასიმეტრიის მდგომარეობისათვის. პუტინ-მედვედევის ტანდემთან ურთულესი მოლაპარაკებებისა და მეტ-ნაკლები წონასწორობის აღდგენის პარალელურად, ნ. სარკოზის უნდა ეწარმოებინა ლავირების ერთგვარი ტაქტიკა საკუთრივ ევროკავშირის შიგნით ურთიერთკონსულტაციების პროცესში, რათა იქ არსებული განხეთქილება არ გაღრმავებულიყო და ერთიანი პოლიტიკური პლატ-

ფორმის შინაგანი რღვევის ხაზის გაფართოებით დიპლომატიური ძალისხმევა არ ჩაშლილიყო.

მთავარი მედიატორის სასტარტო მდგომარეობის სირთულეზე სარკოზის ადმინისტრაციის ერთმა წარმომადგენელმა ასეთი მინიშნება გააკეთა: „საქართველო არაა, არც არასოდეს ყოფილა და ვერც ვერასოდეს მოხვდება საფრანგეთის განსაკუთრებული ინტერესების არეალში. მაგრამ ჩვენი ამოცანაა თავად ევროკავშირის ფარგლებში მისი განხეთქილების ვაშლად გადაქცევა არ დაფუშვით. შესაბამისად, შუალედურ პოზიციას დავიკავებთ მათ შორის, ვისაც, ერთი მხრივ, მისი მეტი დახმარება სურს (ე.ი. „ლატვიური გზის“ ჯგუფი – დ.ჯ.) და, მეორე მხრივ, ვინც ამისგან თავს იკავებს (ე.ი. „გერმანული პოზიციის“ ჯგუფი – დ.ჯ.)“<sup>13</sup>.

ამდენად, „კრიზისული დიპლომატიის“ სტრუქტურამ მიიღო დუალისტური სინთეზური ხასიათი. მასში ერთმანეთს შეერწყა, ერთი მხრივ, რუსეთთან დაძაბული დიალოგის წარმოება და ცეცხლის შეწყვეტის მაქსიმალურად მისაღები რეჟიმის შექმნა, მეორე მხრივ კი, ევროკავშირის შიგნით შუალედური ცენტრისტული ხაზის მიღწევა, ძირითადადში გერმანია-იტალია-ესპანეთის „ბლოკის“ ე.წ. პრაგმატული პოზიციის გასანეიტრალებლად<sup>14</sup>.

ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტის პირველადი „შავი“ ვარიანტი შეიქმნა 10 აგვისტოს ღამით, თბილისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. კუმენერისა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ალ. სტუბის ვიზიტის დროს. მას პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა 10 აგვისტოს შუადღეს, რის შემდეგაც დოკუმენტი ბ. კუმენერმა პარიზში წაიღო. ამასთან, საფრანგეთის სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭომ (პრეზიდენტის მრჩეველის ჟან-დავიდ ლევიტის ხელმძღვანელობით) მოამზადა მეორე, ალტერნატიული პროექტიც.

12 აგვისტოს ნ. სარკოზი შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ მედვედევს და პრემიერ-მინისტრ პუტინს. რუსებმა იმთავითვე უარყვეს ორივე ხედვა (ფრანგულ-ფინურიც და ფრანგულიც) და საკუთარი პროექტი წარმოადგინეს, რომელიც ითვალისწინებდა კონფლიქტური რეგიონების ირ-



გელივ ფართო უსაფრთხოების ზონების შექმნით საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაციას.

უაღრესად მძიმე და დაძაბულ გარემოში მიმდინარე, ზოგ შემთხვევაში კი ჩაშლის ზღვარზე მყოფი მოლაპარაკებების შემდეგ, შემუშავებულ იქნა დაზავების დოკუმენტის ექვსპუნქტიანი ტექსტი, რომელიც იმავე საღამოს ნ. სარკოზიმ და ბ. კუშნერმა თბილისში ჩამოიტანეს. ცხადი გახდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილ პირველად ვარიანტში კრემლმა შეიტანა ისეთი ცვლილებები, რომლებიც საქართველოს ცალკეული ტერიტორიების ომისშემდგომი ოკუპაციისათვის ლეგიტიმურ საფუძველს ქმნიდნენ. პირველად ვარიანტში ხომ სპეციალურად იყო ხაზგასმული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მუხლი, ამასთან, არ იყო საუბარი „უსაფრთხოების დამატებით ზომებზე“, რომლებიც რუსეთის ჯარებს უნდა გაეტარებინათ. დოკუმენტის VI მუხლის ფორმულირება კი – „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საერთაშორისო დისკუსიის გამართვა“ – ქმნიდა სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარების საერთაშორისო პროცესის საწყისებს („კოსოვოს პრეცედენტის“ ანალოგიით).

საფრანგეთის დელეგაციის ვიზიტი თბილისში ისე დასრულდა, რომ მ. სააკაშვილს „სარკოზის დოკუმენტისათვის“ ხელი არ მოუწერია. შესაბამისად, „კრიზისული დიპლომატიის“ ძალისხმევა მიმართული იყო რადიკალურად ანტიქართული მუხლების განეიტრალებისაკენ. ამ მიზნით კ. რაისისა და ნ. სარკოზის შორის ქ. ევიანში გამართულ შეხვედრაზე გაჩნდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისათვის ერთგვარი დანართის დამატების იდეა<sup>15</sup>.

14 აგვისტოს მ. სააკაშვილმა მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტის წერილი, რომელიც შეიცავდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების V პუნქტის დამატებით განმარტებას<sup>16</sup>. ნ. სარკოზი განმარტავდა, რომ საერთაშორისო მექანიზმების შექმნამდე რუსული ძალები განახორციელებდნენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს. წერილში მითითებული იყო ამგვარი დამატებითი ზომების მანდატი და გეოგრაფიული ლოკალიზაცია: დროებითი პატრულირე-

ბა ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე, ადმინისტრაციული საზღვრიდან 7-12 კმ-ის სიღრმეში. დამატებითი ზომების ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო თავისუფალი გადაადგილება და საქართველოს დასავლეთი-აღმოსავლეთის სატრანსპორტო მაგისტრალების დებლოკირება. მოგვიანებით, 16 აგვისტოს ოფიციალურ კომუნიკეში საფრანგეთმა კიდევ უფრო დააკონკრეტა 12 აგვისტოს შეთანხმების დეფინიცია და ხაზგასმით მიუთითა, რომ „დამატებითი ზომები“ უნდა გატარებულიყო მხოლოდ ცხინვალის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიის ცალკეულ ზონებში<sup>17</sup>.

15 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა კ. რაისი<sup>18</sup>. მასთან კონსულტაციებისა და, როგორც ჩანს, აშშ-ს მხრიდან დამატებითი გარანტიების მიღების შემდეგ, მ. სააკაშვილმა ხელი მოაწერა 12 აგვისტოს შეთანხმებას. 16 აგვისტოს იგივე გააკეთა რუსეთის პრეზიდენტმა.

ასე შეიქმნა რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შეთანხმება, ე.წ. „სარკოზის დოკუმენტი“, ოფიციალური სახელწოდებით – „კონფლიქტის მოწესრიგების ექვსი პრინციპი“.

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. ყოველგვარი საომარი მოქმედების სრული და საბოლოო შეჩერება;
3. კუმანიტარული დახმარების თავისუფლად მიწოდების უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალების დაბრუნება მუდმივი დისლოკაციის ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალების დაბრუნება („გასვლა“) ომამდელ ხაზზე; საერთაშორისო მექანიზმების შემუშავებამდე, რუსეთის სამხედრო ძალები გაატარებენ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებს;
6. საერთაშორისო დისკუსიის დაწყება კონფლიქტის დარეგულირებისა და მშვიდობის აღდგენის მიზნით.

აგვისტოს ომის „კრიზისული დიპლომატიის“ ბოლო აკორდი იყო 2008 წლის 8 სექტემბერს მოსკოვსა და თბილისში ევროკავშირის უმაღლესი დელეგაციის (ნ. სარკოზი, ხ. სოლანა და ევროკომისიის პრეზიდენტი ჟ. მ. ბარო-

ზუ) ვიზიტები. მიღწეულ საიმპლემენტაციო შეთანხმებაში (ოფიციალური სახელწოდებით „2008 წლის აგვისტოს შეთანხმების შესრულება“) ასახვა ჰპოვა „სარკოზის დოკუმენტის“ ძირითადი პრინციპების დეტალურმა სამოქმედო გეგმამ. კერძოდ, საიმპლემენტაციო შეთანხმება აღგენდა რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ძალების დაშორიშორების ახალ მექანიზმს, აწესებდა ე.წ. „ბუფერულ ზონების“ დემონტაჟის პროცედურულ რეჟიმს; შეთანხმება ითვალისწინებდა ევროკავშირის მონიტორინგის მისიის განთავსებას და ჟენევის მოლაპარაკებების (ე.წ. „ჟენევის ფორმატი“) დაწყებას<sup>19</sup>.

მზარდი საერთაშორისო ზეწოლის პირობებში კრემლი წავიდა იძულებით კომპრომისზე: 9-15 სექტემბრის განმავლობაში განხორციელდა „ბუფერული ზონების“ დეოკუპაცია, 1 ოქტომბერს საქართველოში საქმიანობას შეუდგა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, ხოლო 15 ოქტომბერს დაიწყო „ჟენევის პროცესი“. მაგრამ რუსეთმა უხეშად დაარღვია შეთანხმების ძირითადი მუხლები: უარი თქვა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან ჯარების გაყვანაზე და დღემდე აგრძელებს მათ ოკუპაციას; 2008 წლის 26 აგვისტოს ცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ და დღემდე უარს ამბობს აღიარების უკანონო აქტების უკან წაღებაზე.

ასეთია 2008 წლის აგვისტოს ომის „კრიზისული დიპლომატიის“ ძირითადი ეტაპები, მისი, ასე ვთქვათ, შინაგანი ანატომია. რა დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა მისი ანალიზი?

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ „კრიზისულმა დიპლომატიამ“, ავად თუ კარგად პრინციპში მაინც შეასრულა თავისი ფუნქცია, გარკვეულწილად აღასრულა თავისი დანიშნულება, როგორც აგვისტოს ომის ირგვლივ მიმდინარე საერთაშორისო პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტისა და დაზავებაზე ორიენტირებული საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტისა.

ფაქტია, რომ სამხედრო მოქმედებები შეჩერებულ იქნა. საქართველო გადაურჩა რუსული ინტერვენციის დროში გაწვდვას, სრულ ოკუპაციას, ცენტრალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინსტიტუტების განადგურებას.

ე.ი. ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა გადაურჩა სრულ განადგურებას (შესაძლებელია, ქართველი ხალხი – ტოტალურ გენოციდს).

ფაქტია ისიც, რომ „კრიზისულმა დიპლომატიამ“ გაგლენა მოახდინა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ფაქტორებზე, როგორცაა დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობა. დასავლეთმა მიაღწია სამივე ტაქტიკურ მიზანს: შეაჩერა ომი, შეინარჩუნა ურთიერთობა რუსეთთან და შეინარჩუნა საკუთარი იმიჯიც, კრემლისათვის საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლაზე გზის გადაკეტვით.

ავვისტოს ომის „კრიზისულმა დიპლომატიამ“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ინტერესებისათვის დასავლეთი არ წავა გლობალური სტრატეგიული სტაბილურობის რღვევაზე, არ გასწევს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის რისკს, ხოლო დასავლური ისტებლიშმენტის გარკვეული ჯგუფები კი არც „ცივი ომის“ აღდგენაზე წავლენ და არც სხვადასხვა ინტენსივობის სანქციების პოლიტიკის გატარების პლატფორმაზე დადგებიან.

ამ მხრივ „კრიზისულმა დიპლომატიამ“ გარკვეული კორექტივები შეიტანა ჩვენი სახელმწიფოს დიპლომატიურ პარადიგმაში. როგორც ცნობილია, ამ პარადიგმის სტრუქტურა ეფუძნება ერთგვარი სასწორის პრინციპს: სასწორის ერთ პინაზე დევს ქართულ-რუსული ურთიერთობის კრიზისული ნეგატივი, ხოლო მეორეზე – ქართულ-დასავლური ურთიერთობების პრევენტული პოზიტივი. სასწორის მოქმედების მოდელი ძალიან მარტივია: ქართულ-დასავლური ურთიერთობების პოზიტივმა უნდა გადასწონოს ან, ყოველ შემთხვევაში, გააწონასწოროს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნეგატივი. მხოლოდ ასეთ პირობებში ანიჭებს დასავლეთთან ურთიერთობა საქართველოს უსაფრთხოებას მდგრადი სისტემური რეჟიმის ხასიათს. ნ. სარკოვის „კრიზისულმა დიპლომატიამ“ თავი ვერ გაართვა ამ დინამიკას, ვერ დაიცვა ეს ბალანსი, რის გამოც ქართულ-რუსული ურთიერთობების ნეგატივმა გადაწონა ქართულ-დასავლური ურთიერთობების პოზიტივი, აქედან გამომდინარე შედეგებით. ამიტომ ავვისტოს ომის მთავარი გაკვეთილი იმა-

შია, რომ საქართველომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა ააგოს პრაგმატული გონივრულობის საზრისზე, ტრადიციული ევროატლანტიკური ორიენტაციის ფარგლებში ვითარების შესაბამისი „შუალედური“ ტაქტიკური უკუსვლის განხორციელებაზე. სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს, რადგანაც საქართველო თავისუფალია გეოპოლიტიკურ არჩევანში, მაგრამ არა ამ არჩევანის სტრუქტურაში.

და ბოლოს, „კრიზისული დიპლომატიის“ კიდევ ერთი განზომილების შესახებ. რასაკვირველია, ეს იყო დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფრონტაციული ურთიერთდამოკიდებულების, ასე ვთქვათ, „რბილი ძალით“ დაპირისპირების მორიგი ეტაპი. ამის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს თუნდაც ნ. სარკოზის მოსკოვის მოლაპარაკებების დროს მომხდარი საყოველთაოდ ცნობილი კოლიზიები. მაგრამ თუ დრამა ჩავიხედავთ „კრიზისული დიპლომატიის“ შიდა შრეებში, ვნახავთ თანამედროვე დასავლეთის პოზიციის უსუსურობას, „ჩემბერლენიზმის“ ერთგვარ აღორძინებას, გატარებული პოლიტიკის არათავსებადობას რუსეთის აგრესიის შეკავების ამოცანებთან (ავიღოთ თუნდაც „უკრაინის კრიზისი“). ამ მხრივ ომმა გადააჯგუფა აშშ-ისა და რუსეთის გავლენის სფეროთა საზღვრები, გადაანაცვლა მათი სტრატეგიული წინააღმდეგობების წერტილები და ამით რამდენადმე შეცვალა რეგიონის გეოპოლიტიკური სურათი. ამ მხრივ აგვისტოს ომი უნდა განვიხილოთ რუსეთ-დასავლეთის საერთაშორისო ქცევის საერთო ტრაექტორიაში – იმ გეოპოლიტიკურ ბრძოლაში, რომლის ფრონტი გადის ბალტიკა-ბალკანეთი-კავკასია-ცენტრალური აზიის ხაზზე. რუსეთის აგრესია უნდა ავხსნათ არა მარტო ჩვენი ნატოსკენ სვლით, არამედ ეს არის რუსეთის რეაქცია „ფერად რევოლუციებზე“, რომლებსაც დასავლეთი მიმართავს 1974 წლის „პორტუგალიის კრიზისიდან“ დაწყებული. ამიტომ აგვისტოს ომი წარმოადგენს ერთგვარ ანალოგს ისეთი მოვლენებისა, როგორებიცაა მანჯურიის კრიზისი (1931 წ.), ეთიოპიის ომი (1935-1936წწ.), სსრკ-უინეთის ომი (1939-1940წწ.) და სუდეტის კრიზისი (1938 წ.). მაშასადამე, „კრიზისული დიპლომატია“ გვჩვენებს, რომ აგვისტოს ომი იყო არა მხოლოდ ომი, როგორც ასეთი, არამედ გეოპოლიტიკური პროცესი.

**„CRISIS DIPLOMACY” IN THE WAR OF 2008**

In the article “crisis diplomacy” of 2008 Russia-Georgia war is analyzed, the main stream of international context of the war is shown – crisis relations between the West and Russia.

Some attention is devoted to the period of preventive diplomacy in the article and relevant activities in April and May of 2008. The reasons for failure and military escalation of the conflict of the preventive diplomacy (“Hadley’s memorandum”, K. Rice’s plan, “Steinmeyer’s project”, M. Saakashvili’s letter) are analyzed.

Diplomatic events during the war are the subject of discussion in the article. “Sarkozy’s document”, a very complicated process of implementation of the agreement and the first results are characterized. The author devotes a great attention to the role of “crisis diplomacy” in the case of cease-fire and in the process of arranging a truce.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. რ.დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ., 2010, გვ. 167-169.
2. ტექსტი იხ. К. Затулин. Россия и Абхазия. Две страны один народ. М., 2011, გვ. 396-397.
3. გაზ. „24 საათი“, 2008 წ. 16 მაისი.
4. რ.დ. ასმუსი. დასახ. ნაშრ., გვ. 177-178.
5. რ.დ. ასმუსი. დასახ. ნაშრ., გვ. 179.
6. საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით, თბ., 2009, გვ. 387.
7. რ.დ. ასმუსი. დასახ. ნაშრ., გვ.44.
8. რ.დ. ასმუსი. დასახ. ნაშრ., გვ. 188.

9. [www.parliament.ge/index.php?!dhg\\_id=ENG\\_id=21134](http://www.parliament.ge/index.php?!dhg_id=ENG_id=21134)
10. გაზ. „Коммерсант“, 20 августа 2008 г.
11. რ.დ. ასმუსი. დასახ. ნაშრ., გვ. 204-205
12. იხ. „ვიკილიქსის“ მონაცემთა რეპრეზენტაცია ინტერნეტ პლატფორმაზე – [www.interpressnews.ge/ge/politica/161950/](http://www.interpressnews.ge/ge/politica/161950/)
13. რ.დ. ასმუსი. დასახ. ნაშრ., გვ. 210.
14. არადა, ა. მერკელისა და ს. ბერლუსკონის მთავრობათა პოზიცია აშკარად ტოვებდა ახალი „ჩემპერლენიზმის“, კრემლის დაშოშმინების, რუსეთის აგრესიისადმი წაყრუების სამარცხვინო პოლიტიკის შთაბეჭდილებას.
15. რ.დ. ასმუსი. დასახ. ნაშრ., გვ. 228-229.
16. მ. გაბედავა, რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. 2008 წელი. თბ., 2009, გვ. 109.
17. [www.mfa.ge](http://www.mfa.ge)
18. [www.president.gov.ge/?!=2712](http://www.president.gov.ge/?!=2712)
19. დ. ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები, თბ., 2010, გვ. 258-261.

## ბიორბი (ბია) ყარყარაყვილი

### რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები

წარმოდგენილი მოხსენება ძირითადად ეფუძნება ჩვენს მიერ 2009 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიას: „ეს ჩვენი სამშობლო იწვის“, რომელშიც ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის, წყაროების, საპარლამენტო კომისიის დასკვნებისა და თვითმხილველთა მონათხრობის მაქსიმალურად ობიექტურ ანალიზს ეფუძნება. მოხსენების ფორმატი საშუალებას არ იძლევა სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველა საკითხი სათანადო სიღრმით აქ წარმოვაგინოთ, ამიტომაც ჩვენ მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ასპექტს განვიხილავთ.

ნებისმიერი ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, ერთი მხრივ, გაანეიტრალოს მოსალოდნელი სამხედრო საფრთხე და, მეორე მხრივ, მზად იყოს თავდაცვისათვის. სამწუხაროდ, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმჟამად ვერც აგრესიის აშკარა ნიშნებს ხედავდა და ვერც მოვლენათა სავარაუდო განვითარებას აცნობიერებდა. თუმცა, მოსალოდნელი ომის ხასიათის გამოსაცნობი ყველა მინიშნება მისთვის უკვე დიდი ხანია ცნობილი იყო: კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებათა განახლების შემთხვევაში რუსეთის მხრიდან აუცილებელი ჩარევისა და სამხედრო ძალის გამოყენების თაობაზე ჩრდილოელი მეზობლის უმაღლესმა სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არაერთგზის გააკეთა ღია და დაუფარავი განცხადება. 2008 წლის 11 ივლისს ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა სერგეი მაკაროვმა განაცხადა, რომ აფხაზეთში ან ცხინვალში საომარ მოქმედებათა დაწყების შემთხვევაში რუსეთის არმია საქართველოში შეიჭრებოდა.

ასეთი მინიშნება საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჩვენს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას განესაზღვრა მოსალოდნელი ომის ხასიათი, მოწინააღმდეგის მხრიდან ავიაციის შესაძლო დომინანტური როლი და ბა-



ტონობა ჰაერში. ცხადია, რუსული აგრესია წინასწარ იყო მომზადებული. ქართული მხარე კი რატომღაც დაიმედებული იყო, რომ რუსეთი კონფლიქტში ჩათვას ვერ გაბედავდა(!), ხელისუფლება კარზე მომდგარი აგრესიის შეკავების ნაცვლად შეტევით ღონისძიებებს უფრო გეგმავდა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში განლაგებულ შერეულ სამშვიდობო ძალების სარდალთან, გენერალ-მაიორ მარატ კულახმეტოვთან საეჭვო გარიგებები და საუბრები მიმდინარეობდა, რომლის მიზანი იყო მოვლენათა ესკალაციის შემთხვევაში რუს სამშვიდობოთა მხრიდან ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება და ჩაურევლობის პოლიტიკა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას ამისი მიამიტურად სჯეროდა.

როგორი იყო კონფლიქტურ რეგიონში სამხედრო ვითარება? ცხინვალი, იქ მყოფი შეიარაღებული ფორმირებებითა და მართვის სისტემებით, ფაქტობრივად, კარგად გამაგრებული-დაცულ ქალაქს წარმოადგენდა და გარედან დამხმარე ძალების მიღებამდე შეტევების მოგერიება შეეძლო.

კონფლიქტის ზონაში სროლები და პროვოკაციები ადრეც ხორციელდებოდა, თუმცა მოწინააღმდეგე 20 ივლისიდან ქართველ მშვიდობისმყოფელთა პოსტების 82 მმ-იანი და 120 მმ-იანი ნაღმსატყორცებით სისტემატურ დაბომბვაზე გადავიდა. საპასუხო ცეცხლს ქართული მხარეც ხსნიდა. 1 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით ორმხრივმა ცეცხლმა ყველაზე მეტი ინტენსივობა მიიღო. 3 აგვისტოს ცხინვალიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოხდა. ქართულ სოფლებში უსაფრთხოდ თავს არც ქართველი მოსახლეობა გრძნობდა, მაგრამ რატომღაც, ცეცხლის ინტენსივობის ზრდის პირობებში, მათ ევაკუაციაზე არავინ ფიქრობდა. ვითარება ისე დაიძაბა, რომ პროვოკაციების შეჩერება უკვე აღარც ეუთოს დამკვივებლებს შეეძლოთ. 6 აგვისტოს მათ ცხინვალი დატოვეს.

კონფლიქტის ზონაში დაპირისპირებულ მხარეთა შორის შემაწუხებელი სროლებისა და წვრილ-წვრილი შეტაკებების ფონზე მიმდინარეობდა რთული პოლიტიკური პროცესები, სადაც აშკარად ჩანდა კონფლიქტის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზრდით დაინტერესება. რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომლის უმთავრესი მოვალე-

ობა შეიარაღებული დაპირისპირებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო, თავისი უმოქმედობით პირიქით – მოვლენათა ესკალაციას უწყობდნენ ხელს.

ჩვენი დრმა რწმენით, რთული მდგომარეობის მიუხედავად, მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ომის თავიდან აცილება, პოლიტიკოსებს საღი გონება და კეთილი ნება რომ გამოეჩინათ. მაგრამ, საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს თითქოს დავიწყებოდათ საქართველოს უახლესი ისტორიის მწარე გაკვეთილები, აფხაზეთის ომის შემდეგ ჭკუა ვერ ისწავლეს და ვერ ხვდებოდნენ, რომ მათი განცხადებები საომარ ყიჟინას უფრო წააგავდა, ვიდრე ომის თავიდან აცილების მცდელობას.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით და ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გორში ყოფნისას შეტევის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო ერთპიროვნულად, არ შეკრიბა უშიშროების საბჭო და არ დაელოდა მის გადაწყვეტილებას. მან ჯიუტად გაიმეორა მისი წინამორბედის, ე. შვეარდნაძის მიერ 1992 წელს დაშვებული შეცდომები. სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტილება მიიღო რისხვითა და ბრაზით. სამწუხაროდ, ომისა და მშვიდობის საკითხებს საღი გონება და პასუხისმგებლობის გრძნობა კი არ წყვეტდა, არამედ სიფიცხე და გახელება.

სამწუხაროა ის ფაქტი რომ სახელმწიფოში არ აღმოჩნდა არც ერთი ინსტიტუტი, არც პალამენტი, არც მთავრობა, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა ასეთ გადაწყვეტილებას. არც ერთ მინისტრს, ასევე უშიშროების საბჭოს მდივანს გამბედაობა და ვაჟკაცობა არ ეყო პრეზიდენტს წინ აღდგომოდა.

ქვეყნისათვის ასეთ საპასუხისმგებლო დროს არ სრულდებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებული ქმედებათა თანმიმდევრობა, არ ჩატარებულა უშიშროების საბჭოს სხდომა.

ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი გარემოება – საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა სადაზვერვო ინფორმაცია რუსეთიდან შესაძლო აგრესიის შესახებ და გაუგებარია, რატომ უმაღავდნენ საკუთარ მოსახლეობას

და საერთაშორისო თანამეგობრობას. არც ერთ ქართულ სა-  
აგენტოს მსგავსი ინფორმაცია არ გადაუცია.

ჩვენ არ შევუდგებით მოვლენათა ქრონოლოგიის დაწ-  
ვრილებით აღწერას ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. მაგ-  
რამ რამდენიმე ასპექტს გამოვყოფთ:

1. ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების იმჟამინდელი მოქმედების, მისი მერყეობისა და შეხვედრების ჩაშლის მიზეზი შესაძლოა ის გახლდეთ, რომ ოსური მხარე მზად იყო ნებისმიერი „მსხვერპლშეწირვისათვის“ რუსული აგრესიის გასამართლებლად, ოღონდაც საქართველო ომი ჩაეთრია.
2. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს თითქოსდა დაავიწყდათ როკის გვირაბთან მომდგარი რუსული სამხედრო კოლონები და მოსალოდნელ აგრესიაზე კი არ ელაპარაკობოდნენ კულახმეტოვს, არამედ მეგობრულად საეჭვო გარიგებებს აწარმოებდნენ მასთან.
3. დიდი იყო ქართული მხარის ცდუნება, როდესაც ეჭვი არ გეპარება საკუთარ წარმატებაში და იმავდროულად გარწმუნებენ, რომ რუსეთი ვერ ჩაერევა თავხედური გამოსხდომებისა და პროვოკაციების აღკვეთაში. ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის შესაძლო ჩარევასთან დაკავშირებით დეზინფორმირებული იყო. მას ჩვენთვის ჯერჯერობით „უხილავი მხარე“ ან ზედმეტად აიძვებდა, ან თავად რაღაც საეჭვო გარიგებების იმედად იმყოფებოდა.
4. აშკარად დასტურდება, რომ საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობას ვერ წარმოედგინა და ვერც აცნობიერებდა მოსალოდნელ კონფლიქტში ვინ იქნებოდა მათი მოწინააღმდეგე და ამგვარი ოპერატიულ-სტრატეგიული ვითარებიდან უსახავდა საბრძოლო ამოცანებს სამხედრო შენაერთებსა და დაჯგუფებებს. ჩვენს შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სამხედრო ხელმძღვანელობას, ხოლო სამხედრო ხელმძღვანელობამ საკუთარი ბრიგადებისა და შენაერთების მეთაურებს მოწინააღმდეგედ კონფლიქტის ზონაში მყოფი ბანდფორმირებები და ჩრდილო კავკასიიდან შემოსული მოხალისეთა ჯგუფები განუსაზღვრა.

2008 წლის 7 აგვისტოს, 23:40 საათზე მთავარსარდალმა საარტელერო ცეცხლის გახსნა ბრძანა. პრეზიდენტის ეს ბრძანება საბედისწერო აღმოჩნდა იმიტომ, რომ სწორედ ქართული მხარის მიერ მასირებული საარტილერიო ცეცხლის გახსნა დაგმო და გაამტყუნა საერთაშორისო საზოგადოებამ, ვინაიდან ცხინვალში კვლავ რჩებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა. რუსეთის ფედერაციის ომში ჩაბმის გადაწყვეტილების ერთ-ერთ საბაზად სწორედ მშვიდობიანი ქალაქის დაბომბვა გვევლინება. არც ქართველმა საზოგადოებამ გაამართლა ქართული მხარის მიერ დაწყებული იერიში. რაც შეეხება ცხინვალის მრავალსართულიანი კაპიტალური სამთავრობო შენობების მიმართულებით გაშვებულ 50-მდე რეაქტიულ ჭურვს, სამხედრო თვალსაზრისით მას არავითარი ეფექტი არა ჰქონდა.

შემოგთავაზებთ რამდენიმე დაკვირვებას:

ანალიზი I. ომის დაწყების პირველ წუთებიდან შეინიშნებოდა სამხედრო ქმედებებისა და პოლიტიკური განცხადებების ურთიერთშეუთავსებლობა. ამავდროულად, საწყისი წუთებიდანვე ჩანს, რომ სამხედრო ნაწილებს სავარაუდო მოწინააღმდეგედ ოსური შეიარაღებული ფორმირებები განესაზღვრათ და მათ ქმედებებს აღნიშნული სოფლების დაკავებისას არაფერი საერთო არა ჰქონდა აგრესიის მოგერიებასთან. ქართული მხარე ორჯოსანისა და წინაგორას დაკავებაზე აკეთებდა განცხადებებს, მაშინ როცა აღნიშნული სოფლები იგოეთი-გორის ტრასის გზის პირიდან მე-12 კმ-ზე მდებარეობს, ხოლო რაც შეეხება დმენისს და ზნაურს, ჩვენი ინფორმაციით იგი საერთოდ დაკავებული არ იყო მაშინ, როცა ამის შესახებ ხელისუფლების მხრიდან განცხადებები კეთდებოდა. განცვიფრებას იწვევს – რა ჰქონდა საერთო აგრესიის მოგერიებასთან იგოეთ-გორის ტრასასთან ახლომდებარე სოფლების დაკავებას და რატომ მიიხნევედა ამას წარმატებად ქართული მხარე!

ანალიზი II. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ დროისათვის უკვე დადასტურებული ინფორმაცია გააჩნდა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომ რუსეთი ნამდვილად ერეოდა სამხედრო კონფლიქტში და არამც და არამც არ დაუშვებდა საქართველოს პოლიტიკური მიზნების რეალი-

ზებას. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას ომის სავარაუდო ხასიათის გამოსაცნობად, წესით, გონება უნდა გახსნოდა და სამხედრო ნაწილებისათვის მომავალი სამოქმედო გეგმა დაესახა სწორედ აგრესიის შესაკავებლად. მაგრამ ჩანს, ომის პირველ ეტაპზე განცდილმა წარმატების სიხარულმა გონება დაუხშო... ცხინვალზე შეტევის დაგეგმვა არაფრით პასუხობდა აგრესიის შეკავების ამოცანას. არ ვიცი, როდის და ვის მიერაა მიღებული ეს გადაწყვეტილება. მაგრამ ამ დროს უკვე ცნობილია როგორც გვირაბიდან რუსული კოლონების შემოსვლის შესახებ.

ანალიზი III. გამორჩეულად უნდა ითქვას ჯარისკაცთა საბრძოლო შემართების შესახებაც. ისინი საწყის პოზიციაზე გულანთებულები მზად იყვნენ ქართველი ხალხის დასაცავად ჩართულიყვნენ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. იმ წუთისთვის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა სამხედრო ნაწილებისა და პირადი შემადგენლობისა იმდენად მტკიცე იყო, როგორსაც ნებისმიერი მხედართმთავარი ინატრებდა. მთავარი იყო მხოლოდ ამოცანის ზუსტად განსაზღვრა და დარტყმის მიმართულების სწორი შერჩევა.

არაორგანიზებულობა სათავეს იღებს 8 აგვისტოს 04:00-05:00 საათიდან. დაუშვებელი იყო მთელი ძალების კონცენტრაცია ზემო ნიქოზიდან შეტევის ერთ ვიწრო მიმართულებაზე. დაუჯერებელია, რომ ასეთი შეცდომა საბრძოლო ოპერაციის დაგეგმარებისას იმ სამხედრო ხელმძღვანელობამ დაუშვა, რომლებსაც სამხედრო განათლება აშშ-ის საუკეთესო სამხედრო სასწავლებლებში აქვთ მიღებული. ვინ შეარჩია მთავარი დარტყმის ერთადერთი მიმართულებად მარშრუტი, რომლის მიხედვითაც ქართულ დაჯგუფებას ორ რუსულ სამხედრო ბაზას შორის უნდა გაეგლო?

ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ცხინვალი მაინც განიხილებოდა მთავარი დარტყმის მიმართულებად და ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

საპარლამენტო კომისიის მასალებში ისეა წარმოდგენილი თითქოს პრეზიდენტის ბრძანება ცხინვალში შესვლა არ იყო, მაგრამ გაერთიანებულმა შტაბმა თვითნებურად შეცვალა ბრძანება და ოპერაციის მთავარ მიმართულებად ცხინვალი დასახა.

ანალიზი IV. მთელი გულითა და სულით მინდა ვირწმუნო, საპარლამენტო კომისიაზე სხვადასხვა თანამდებობის პირების მიერ მიცემული ჩვენებების გულწრფელობა, მაგრამ ჩნდება ეჭვი, რომ კომისიის მუშაობა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის არასწორი ნაბიჯების გამართლებას უფრო ემსახურება, ვიდრე ჭეშმარიტების დადგენას. საპარლამენტო კომისიის ინფორმაციით, ცხინვალში შესვლა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ დიდი ღიახვის ხეობის მოსახლეობის ევაკუაციისათვის უსაფრთხო დერეფნის შექმნა იყო საჭირო. როგორც ჩანს, ომის დასრულების შემდეგ რაღაც პოლიტიკური ჯგუფი იჯდა და მსჯელობდა საბრძოლო მოქმედებების გასამართლებელი არგუმენტების შექმნაზე და მხოლოდ ეს მოიფიქრეს. ოპერატიულ-ტაქტიკური თვალსაზრისით სრულ უგუნურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თითქოს დიდი ღიახვის ხეობის მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობამ განაპირობა ცხინვალზე შეტევა, თუნდაც იმიტომ, რომ ერგნეთიდან თამარაშენამდე ბევრად უფრო მოკლე გზა იყო უსაფრთხო დერეფნის გასაკეთებლად. როგორც ფაქტობრივად დადასტურდა: დიდი ღიახვის ხეობის მოსახლეობა ბედის ანაბარა იყო მიტოვებული.

როგორც აღვნიშნეთ, მთავარმა შეცდომამ უკვე სხვა დანაშაულებრივი შეცდომები გამოიწვიეს. დაბნეულობა უკვე 8 აგვისტოს ღამის 4 საათიდან შეინიშნებოდა. ნიქოზი მოწინააღმდეგის საარტერიუო ცეცხლის ქვეშ მოექცა, უზარმაზარი დაჯგუფება პირადი შემადგენლობითა და სამხედრო ტექნიკით, მისთვის წინასწარ უცნობ პლაცდარმზე, სიბნელეში ორი საათის განმავლობაში დაბომბვის ქვეშ ორი საათის განმავლობაში ელოდებოდა მეთაურების ბრძანებას შემდგომ მოქმედებებთან დაკავშირებით. უკვე 6 საათზე დაიკარგა ურთიერკოორდინირება ჯერ ბატალიონებსა და ასეულებს, ხოლო შემდეგ შეტევის მიმართულებაზე მოქმედ სხვა შენაერთებს შორის. სხვადასხვა ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა ერთმანეთში აირია.

პრობლემების მიუხედავად, ქართველმა საჯარისო ფორმირებებმა მაინც მოახერხეს ცხინვალის შესასვლელთან წინააღმდეგობის დაძლევა და 12:00 საათზე ცხინვალის რამდენიმე ქუჩა დაიკავეს, რითიც ქალაქის სამხრეთი და სამხრეთ-

დასავლეთი ნაწილის გაკონტროლება მოხერხდა. გმირთა ქუჩა გავსებული იყო ქართული ქვედანაყოფებით. სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა უკვე საკუთარ მოსახლეობას აცნობებდა ცხინვალი სრულად დავიკავეთო. რეალურად ჩვენ მხოლოდ ცხინვალის 30% ვაკონტროლებდით. მაგრამ მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენი მხრიდან ცხინვალში შესვლა იყო ქაოსური, ურთიერკავშირი და შეკავშირებული მოქმედება დაიკარგა. უბრალოდ, ნაწილებმა ვერ გაარკვიეს, თუ რა ამოცანა ჰქონდათ დაკისრებული და რა უნდა გაეკეთებინათ. ქვედანაყოფებში დაიწყო უმართაობა. შეინიშნებოდა ქაოსი და არაორგანიზებულობა. ქვედანაყოფები ერთმანეთი ისე იყვნენ არეული, რომ ვერც ვითარებაში გარკვევას ახერხებდნენ და ვერც იმას, თუ ვინ იყო ხელმძღვანელი და ვის ბრძანებას უნდა დალოდებოდნენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული და მესამე ოპერატიული სამმართველოს სპეცრაზმებში უფრო მეტი ორგანიზებულობა და მიზანსწრაფვა შეიმჩნეოდა. მოქმედებებში ჩანს, რომ მათ ამოცანები ჰქონდათ დასახული, იცოდნენ რომელ ქუჩაზე რომელი შენობა უნდა აეღოთ, გაეკონტროლებინათ და ა.შ.

მაგრამ ყველაფერს დუპაგდა ხელისუფლების გაუთავებელი უპასუხისმგებლო „პიარი“. ყველასათვის ცნობილია, რომ როცა რეზერვისტთა მობილიზაცია გამოცხადდა, გორის ბაზაზე იმყოფებოდნენ უგულავა, გაბაშვილი და ინწკირველი, ხოლო ვაზიანის რეზერვისტთა შეკრების ადგილას მივიდა პრემიერ-მინისტრი ლადო გურგუნიძე, რაც ტელევიზიითაც გადაიკა. ხელისუფლების წარმომადგენელთა სატელევიზიო ინტერვიუების გასვლის ნახევარი საათის შემდეგ რუსეთის ავიაციის მიერ რეზერვისტების მობილიზაციის რაიონების ვაზიანისა და გორის მასირებული დაბომბვა მოჰყვა.

სპეციალურად მინდა შევეხო რუსეთის აგრესიულ ჩანაფიქრს და მათ სტრატეგიას. რუსულ მხარეს დიდი ხნით ადრე ჰქონდა დაგეგმილი და შესწავლილი მოვლენათა განვითარების სავარაუდო ხასიათი. წინასწარ იყო განსაზღვრული და მოფიქრებული რუსული აგრესიის ამოცანები, თანაც ისე, რომ „აგრესორის“ იმიჯი თავად არ შექმნოდა.

მათი სურვილი იყო ქართული მხარის პროვოკაციაზე წამოგება და აგრესორად მისი წარმოჩენა. სწორედ ამის გამო შექმნეს შთაბეჭდილება, თითქოს ისინი საბრძოლო მოქმედებების პირველ ეტაპზე არ ერეოდნენ კონფლიქტში, რაც საქართველოს ხელისუფლებამაც მიამიტურად დაიჯერა. რუსეთს თავისი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად აუცილებლად სჭირდებოდა ქართული მხარის მიერ განხორციელებული შემდეგი მოქმედებები: ცხინვალზე ღამით საარტილერიო და რეაქტიული ჭურვებით ცეცხლის გახსნა; რუს მშვიდობისმყოფელთაგან 12 სამხედროს დაღუპვის ფაქტი; ცხინვალზე შეტევა, რასაც სამშვიდობო მოსახლეობის თითქოსდა დიდი მსხვერპლი მოჰყვა და ა.შ. როცა ეს ყველაფერი სახეზე იყო, რუსეთის არმიის სწრაფმა რეაქციამ არ დააყოვნა და გააკეთეს ყველაფერი, რომ არ დაეშვათ ქართველი რეზერვისტების საბრძოლო მოქმედების რაიონში შეყვანა. ეს მათ გააკეთეს ავიაციის საშუალებით. ამ წუთიდან უკვე აშკარა იყო რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის ჩანაფიქრი, რაც ითვალისწინებდა რუსული ავიაციის მიერ სრული ბატონობის მოპოვებას ჰაერში, აეროდრომებისა და ასაფრენი ბილიკების მწობრიდან გამოყვანას, საკუთარი ოპერატიული დაჯგუფებების შემოყვანისათვის ნიადაგის მომზადებას.

სამწუხაროდ, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ აუღო ალღო მიმდინარე ომის ხასიათს. ყოველივე ეს იმის შედეგი იყო, რომ სამხედროების ნაცვლად ომს პოლიტიკოსები ხელმძღვანელობდნენ.

რაც შეეხება ოსურ მხარეს ცხინვალის თავდაცვის ორგანიზაცია იძენად ჭკვიანურად იყო განსაზღვრული, რომ აშკარა გახდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა რუსეთის სპეცსამსახურების გენერლების დანიშვნა სხვადასხვა თანამდებობაზე კოკოითის ადმინისტრაციაში. წინასწარ იყო შერჩეული ყველა შენობა-ნაგებობა, რომელშიც წინააღმდეგობის პოზიცია იყო მომზადებული. გარდა ამისა, ოსურ მხარეს წინააღმდეგობის კერები მომზადებული ჰქონდა ქართული ნაწილების მიერ კონტროლირებად სამოძრაო გზაზეც.

სწორედ ამიტომაც იყო მართალი ის განცხადება, რაც საპარლამენტიო კომისიაზე გაუდურდა: ქართულმა შე-



ნაერთებმა ცხინვალი 50 წუთში დაიკავეს და 14 საათისათვის, წინააღმდეგობის გარეშე 10 წუთში დატოვეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობის შეცდომების გამო გამოწვეული ტრაგიკული ვითარებაზეც – „ღუბოვანია როშჩას“ ტრაგედიაზე, შუაგულ ცხინვალში განცდილ წარუმატებლობაზე, რის გამოც ქართულმა შეიარაღებამ უკვე 15 საათისათვის ცხინვალი სრულად დატოვა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება უტიფრად ატყუებდა საკუთარ მოსახლეობას 2 დღის განმავლობაში, რომ ცხინვალს კვლავ ქართული ჯარები აკონტროლებენო.

ცხინვალის გარდა საბრძოლო ოპერაციები მიმდინარეობდა კვაისის, პერევის, ზნაურის მიმართულებით, მაგრამ განსაკუთრებული საბრძოლო ეფექტი ამ მიმართულებებზე არ იქნა მიღწეული.

ქართული სამხედრო შენაერთების საბრძოლო საქმეების შესწავლა ავლენს გარკვეულ კანონზომიერებას: მათ მოქმედებაში ვერ ვხედავთ შეტევისათვის დამახასიათებელ მოთხოვნებს, ისეთს, როგორცაა შეუჩერებლად, დღისა და ღამის განმავლობაში სწრაფი ტემპით სვლა, ძალების სრული დაძაბვით გადამწყვეტი დარტყმების განხორციელება, მანევრირება, მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების გარღვევა და სიღრმეში გასვლა.

თანაც ჩვენთვის სრულიად გაურკვეველია: სამხედრო ფორმირებებისაგან ოსური სოფლების გაწმენდა რატომ ჰქონდა დავალებული 43-ე ბატალიონს მაშინ, როცა 16 საათზე რუსეთმა უკვე გააკეთა განცხადება საქართველოში სამხედრო ინტერვენციის დაწყების შესახებ. ბუნდოვანი საბრძოლო ამოცანიდან გამომდინარე 43-ე ბატალიონმა, რომელსაც შეტევის მიმართულებაზე პრაქტიკულად მოწინააღმდეგე არა ჰყავდა, ერთ მცირე საყრდენ პოზიციას მთელი საბრძოლო შემართება შეაღია და ფიზიკური სამხედრო ძალა სოფლების წმენდას მოახმარა.

რაც შეეხება ქართველ ჯარისკაცთა მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, გულანთებული სულისკვეთება ძალიან ძალე სრულ დაბნეულობაში გადაიზარდა. 7 აგვისტოს ღამით მათ მოწინააღმდეგედ განესაზღვრათ ოსური შეიარაღებული ფორმირებები, ხოლო 8 აგვისტოს შუ-

ადღემდე მათ არა ჰქონდათ არავითარი ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა ცხინვალსა და გორში. ბატალიონის წევრები ტელეფონებით იღებდნენ ინფორმაციას ოპერატიული ვითარების შესახებ.

იმ დროს, როდესაც 42-ე ბატალიონის ჯარისკაცები გამორბოდნენ ბრძოლის ველიდან, 41-ე ბატალიონს ანგევის ჩრდილოეთით, სიმაღლეზე თავდაცვითი რაიონი ეკავა და ხეთაგუროვო-ძარის გზას აკონტროლებდა, პერიოდულად კი მოწინააღმდეგის საარტერიო ცეცხლის ქვეშ ექცეოდა. მათ დაინახეს თუ როგორი დასისხლიანებული გამოდიოდნენ 42-ე ბატალიონის ჯარისკაცები და მათი მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა გადაედოთ. ათასგვარი ჭორი გავრცელდა დაღუპულთა რიცხვის შესახებ, ბრიგადა ისტერიამ და ქაოსმა მოიცვა, პირადი შემადგენლობა დაითრგუნა და უმართავ მასად გადაიქცა, მოიშალა ბატალიონებს შორის კავშირი.

რა თქმა უნდა, წარუმატებლობის გარდა აშკარა იყო ჯარისკაცების თავდადებაც, გარკვეული სამხედრო წარმატებებიც კი. მაგალითად, 8 აგვისტოს მცირე, მაგრამ ეფექტიანი ჰაერსაწინააღმდეგო ბრძოლების შედეგად, ქართველმა სამხედროებმა ბუდიტონოვსკის 368-ე მოიერიშეთა საავიაციო პოლკის სუ 25 ტიპის 3 მოიერიშე თვითმფრინავი ჩამოაგდეს და 3-4 მძიმედ დააზიანეს. ამის შემდეგ პოლკის მფრინავებმა უარი განაცხადეს ბრძოლებში მონაწილეობაზე. რუსეთში ნამდვილ კატასტროფად მიიჩნიეს ქართველი მეზენიტეების მიერ შაიკოვკის 52-ე მძიმე ბომბდამშენთა საავიაციო პოლკის ტუ-22მ3 ტიპის სტრატეგიული ბომბდამშენის ჩამოგდება, ვაჟკაცური ბრძოლა აჩვენეს ქართველმა მებრძოლებმა გენერალ ხრულოვის კოლონასთან დაპირისპირების დროს, როცა 58-ე არმიის სარდალი გენერალი ხრულოვი დაიჭრა კიდევც.

მაგრამ ქართველი მებრძოლის საბრძოლო შემართებას არ შეეძლო დაეძლია საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის საბედისწერო შეცდომები, რომლებიც აშკარად დანაშაულთან წილნაყარია.

ცხინვალის მისადგომებთან განცდილმა მარცხმა და მისი გამოსწორების მცდელობამ კიდევ ერთი დიდი შეც-

დომა გამოივწია. კონფლიქტის ზონაში გამოჩნდა სენაკის მე-2 ბრიგადა. საგარაუდოა, რომ მისი გამოყენება სამაჩაბლოში თავიდან არ იგეგმებოდა. შესაძლოა მათი ამოცანა სწორედ დასავლეთის მიმართულების კონტროლი იყო. ჩვენთვის უცნობია ამ დროისთვის საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა რამდენად აცნობიერებდა აფხაზეთიდან მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობას. მიგვაჩნია, რომ ეს ბრიგადა სწორედ ამ შემთხვევისთვის იყო აქ დატოვებული.

მაგრამ ვითარების გამწვავებამ გეგმები შეცვალა. დასავლეთის მიმართულების დაცვა შსს-ს სამეგრელოს ქვედანაყოფებს დაევალიათ. როგორც მოგვიანებით გახდა ნათელი, ეს კიდევ ერთი საბედისწერო შეცდომა იყო. ამ შეცდომის შედეგად დასავლეთ საქართველო რუსული აგრესიისაგან სრულიად დაუცველი აღმოჩნდა.

ასეთ საბედისწერო ვითარებაში ხელისუფლება კვლავ აგრძელებდა მოსახლეობის დეზინფორმირებას: მაგალითად, დავით ბაქრაძე 15:57 საათზე აცხადებდა: „ქალაქ ცხინვალსა და ცხინვალის რეგიონში ყველა სტრატეგიული პოზიციას ქართული საჯარისო ნაწილები ინარჩუნებენ და აკონტროლებენ, გარდა ამისა, აკონტროლებენ როკისა და ჯავის მიმართულებებს“. ძნელი ასახსნელია ვის გულისხმობდა პარლამენტის თავმჯდომარე როკის გვირაბის „მაკონტროლებლებში“ მაშინ, როცა კვანისის დაჯგუფება უკვე დიდი ხნის გადმოსული იყო ონისა და ამბროლაურის რაიონში, ხოლო თავად ონი და მისი სოფლები რუსული ავიაციის მიერ იბომბებოდნენ.

ცალკე საკითხია საბრძოლო ვითარების არეალში მოქცეული მშვიდობიანი მოსახლეობის ბედი. როგორც დგინდება, იმ დროს, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები (უგულავა, ლომია, გაბაშვილი) აცხადებდნენ, რომ ცხინვალს საქართველოს შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ, ლიახვის ხეობის მოსახლეობა საკუთარი თვალთ ხედავდა, რომ მეოთხე ბრიგადას ცხინვალის დასავლეთი მხარე მთლიანად ჰქონდა დატოვებული. დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობამ იცოდა, რომ ხეობა უბრძოლველად ერთ-ერთმა პირველმა დიმიტრი სანაკოვეის სპეც-

რაზმმა მიატოვა, მას უკან მიჰყვნენ ქართველი სამშვიდობოები და პოლიციელები. ბედის ანაბარად მიტოვებულ დიდი ღიახვის ხეობის მცხოვრებლებს მათ ახლოს განთავსებულ რუსეთის სამშვიდობლო ძალების შემადგენლობაში შემავალი ჩინური ასეულის მებრძოლები ეხმარებოდნენ საბრძოლო მოქმედების კერებიდან გამოსვლაში. უკვე 9 აგვისტოს დილით ღიახვის ხეობა დაცლილი იყო, სოფლებში დარჩნენ მხოლოდ მოხუცები.

რა თქმა უნდა, გარკვეული ლოკალური წარმატებები, საქართველოს არმიას მოპოვებულიც ჰქონდა და მოწინააღმდეგეს სერიოზულ მატერიალური დარტყმაც მიაყენეს. მაგალითად, რუსეთის წყაროების ინფორმაციით ოპერაციის საწყის ეტაპზე მათი 17 ტანკიდან მხოლოდ 5 გადაურჩა განადგურებას, მწყობრიდან გამოვიდა 40 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ცეცხის შედეგად პირველი რუსული კოლონა ფაქტობრივად განადგურდა, იყო სხვა წარმატებებიც, მაგრამ მათ უკვე ვეღარ შეცვალეს ვერც ომის ბედი, და ვერც რიგითი მებრძოლის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რადგან სამხედრო ოპერაციის დასაწყისში სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა აღარ მისცა შესაძლებლობა ქართველ მებრძოლებს ბოლომდე მიეყვანათ ლოკალური წარმატებები.

შედეგმაც არ დააყოვნა: გერის გზაზე მოწინააღმდეგის სამხედრო კოლონების შემოყვანისა და გაშლის შემდეგ საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობის მდგომარეობა სრულიად უპერსპექტივო გახდა. მაგრამ ამ დროისთვის საქართველოს ხელისუფლებას უკვე დაკარგული ჰქონდა რეალობის აღქმისა და ანალიზის უნარი.

ამასობაში რუსულმა ავიაციამ დაიპყრო საჰაერო სივრცე: მათ რამდენჯერმე დაბომბეს სენაკისა და ხონის სამხედრო ბაზები, ოთხჯერ ვაზიანის სამხედრო ბაზა, ორჯერ მარნეულისა და ერთხელ კოპიტნარის აეროდრომები. იბომბებოდა ქალაქები: გორი, ქარელი, სენაკი, ონის რაიონის სოფელი წედისი, ზემო აფხაზეთის სოფელი ჩხალთა, კოჯორი და მახათიას მთა. მოგვიანებით დაიბომბა ფოთის პორტიც.

რუსული ავიაციის აქტივობას მოჰყვა მეორე ფრონტის გახსნა: ოჩამჩირეში შემოდის ოთხი რუსული სამხედრო ხომალდი, 4000 რუსი სამხედრო მოსამსახურე შემოვიდა ოჩამჩირეში.

ვითარების გამოუვალობა თვითონ სააკაშვილისთვისაც კი ნათელი გახდა. 5 საათზე ის უკვე აცხადებს: „ქართული მხარე მზად არის შეწყვიტოს ცეცხლი და ჯარები სრულად იქნას გამოყვანილი კონფლიქტის ზონიდან. საქართველო მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთთან ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ“.

ამ განცხადების მიუხედავად, მოწინააღმდეგეს წუთითაც არ უფიქრია შეტევის ტემპის შეჩერება. მტერი უკვე ცხინვალიდან გორისკენ მიიწევდა და მისი საბრძოლო წინა ხაზი დასავლეთით მდინარე ღიახვის პირას, ხოლო აღმოსავლეთით ერედვთან და არბოსთან გადიოდა.

როცა ტრაგიკული ომის მიმდინარეობაზე ვფიქრობ, მინდა განვაცხადო, რომ აღწერილი ბრძოლები, რომლებიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ნამდვილად არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ამერიკელ პროფესიონალთა მიერ საგულდაგულოდ გაწვრთნილი და მომზადებული ჯარი ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო. ომის უუნარობა წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათის აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სამხედრო შტაბმა ბრძოლის პირველ წუთებიდანვე ომის მიმდინარეობის ხასიათს აწვდო ვერ აუღო. რუსული ავიაციის ჰაერში ბატონობის მიუხედავად, ქართული არმიის ხელთ არსებული ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებითაც შესაძლებელი იყო მოწინააღმდეგისათვის უფრო მეტი ზიანის მიყენება, მეტობაში სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ფსიქოლოგიურად მომზადებულნი რომ ყოფილიყვნენ.

ქართულ არმიას ზოგიერთი უპირატესობაც კი გააჩნდა. ქართველ სამხედროებს უპილოტო საფრანი აპარატების საშუალებით ყოველდღიურად ონლაინ რეჟიმში შეეძლოთ ენახათ სამხედრო მოქმედებების არეალი მოწინააღმდეგის არტილერიისა და ავიაციის აღმოსაჩენად, მისი განადგურების მიზნით. ქართული არმია რუსულს დისციპლინითა და წესრიგის

მხრიაც სჯობდა. სამწუხაროდ, საქართველოს შეიარაღებულ ძალების საბრძოლო ცოდნას ერაყში სამხედრო სამსახურმაც დალი დაასვა. ბატალიონების წვრთნები, მომზადება და სამხედრო ცოდნის დაუფლება ერაყში პატრულირებისათვის ხდებოდა. არ ტარდებოდა ისეთი წვრთნები, როგორც არის „ბატალიონი შეტევაზე“, „ბატალიონი თავდაცვაში“. **ჯარი პატრულირებისათვის ემზადებოდა და არა სამშობლოს დაცვისათვის.** როგორც მოვლენებმა დაგვანახა, ქართული ჯარში არსებული პრობლემები უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა.

სამხედრო აღმშენებლობაში დაშვებულმა შეცდომებმა ერთბაშად იჩინა თავი. სამწუხაროდ, პატრიოტიზმის ნაკლებობაც იგრძნობოდა.

ოთხი წლის განმავლობაში პოლიტიკოსთა მიერ შეთხზული ღეგენდები ქართული არმიის ძლიერების შესახებ მითი აღმოჩნდა, ხოლო სამხედრო აღმშენებლობისათვის გადებული ხარჯები არამიზნობრივი.

ომი წავაგეთ, ბრძოლის ველზე დავტოვეთ დაღუპულ თანამებრძოლთა ცხედრები, დაჭრილები, საბრძოლო შეიარაღება და ტექნიკა, საკუთარი პატივი და ღირსება. მოგვიანებით მოწინააღმდეგემ, გორიდან გასვლის შემდეგ, ქალაქის საარტყელირეო ბაზის კედლებზე გაკეთებული სამარცხვინო წარწერა დაგვიტოვა: **„ამხანაგო ქართველებო, ისწავლეთ სამხედრო საქმე, მოვალთ და შეგამოწმებთ...“**

ბოღმის მომგვრელი ეს სიტყვები მუდამ უნდა ახსოვდეს ყველას, ვისაც სამშობლოსათვის უცემს გული, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენს შეცდომებზე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს საქართველოში დილექტენტიზმის თარეში, განსაკუთრებით პოლიტიკური და სამხედრო უმწფრობა, რაც სამშობლოს დაღატკს უტოლდება. უნდა ჭკმ-მარიტად დავიწყეთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო აღმშენებლობა, რადგან აგვისტოს 5 დღიანმა ომმა კიდევ უფრო ბევრი პრობლემა დაუტოვა საქართველოს, ვიდრე მანამდე გეჭონდა და, როგორც შემდგომი დროის მოვლენებმაც დაგვანახა, ამ პრობლემების გადამწყვეტი მხოლოდ ქართველი ხალხია, მისი დაუშ-

რეტელი ენერჯია, სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული და გაასკეცებული შრომისუნარიანობა.

ჩემს მოსხენებას კი ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებით დავასრულებ: „ჭკუით ქართველებო, დაიცავით საქართველო!“.

## **G. KHARKHARASHVILI**

### **MILITARY STRATEGIC AND TACTIC PROBLEMS OF THE RUSSIAN-GEORGIAN WAR**

According to the analyses of the information I possess, sources, parliament commission conclusions and stories of the witnesses it is inevitable, that the military-political authorities of that time Georgia neither noticed the obvious signs of aggression, nor realized the probable course of actions. The character of the prospective war was not defined, as well as the dominant role and hegemony in the air.

From the very start, discrepancy of the military actions and political statements was on the surface. Planning of the Tskhinvali attack did not meet the aim of blocking the aggression.

The military courage of the Georgian soldiers at the beginning of the war was exclusive. They were ready to shed their own blood for Georgian people's sake and defend them. But the strategic and tactical military mistakes of the Georgian authorities deeply aggravated the existing conditions. Concentration of all the forces to one narrow direction of the attack from Upper Nikozi was intolerable. The main mistake triggered other unforgettable errors. The permanent, irresponsible “PR” of the government crushed everything. Instead of the military authorities the war was commanded by the politicians.

Unfortunately, the military courage of the Georgian soldiers was helpless in overcoming the fatal and dramatic mistakes of the military-political authorities of that time Georgia.

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართულ-ოსური  
მოსახლეობა 2008 წლის ომის წინ და ომის შემდეგ  
(ეთნობრაჟიული მასალების მიხედვით)

ქართულ-ოსური ურთიერთობის შესწავლას, როგორც ქართველი ისე ოსი ისტორიკოსებისა და ეთნოლოგების მიერ დიდი ხნის ისტორია აქვს. ოსების საქართველოში ჩამოსახლებისა და დამკვიდრების თარიღზე აზრთა სხვადასხვაობაა არა მარტო ქართველ და ოს ისტორიკოსებს, არამედ ქართველ მეცნიერთა შორისაც. შესაბამისად საკითხის გარშემო მრავალი სამეცნიერო გამოკვლევები არსებობს. მე შევეცდები 1990-იანი წლებიდან ყველა იმ ძირითადი მოვლენების მხილველი ეთნოლოგის თვალთ დანახული პრობლემებზე გაგამახვილო თქვენი ყურადღება რომელსაც ადგილო ჰქონდა ისტორიულ შიდა ქართლში, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“.

მართალია, 2008 წელს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის მოხდა, მაგრამ უდავოდ გასათვალისწინებელია ოსების ფაქტორი, მათი ამბიციური ზრახვები „ორი ოსეთის“ გაერთიანების შესახებ. სხვანაირად საკითხის გაუბრალოება, ცალმხრივი შეფასება გამოვა. ცნობილია, რომ XX ს-ის 90-იანი წლებიდან ოსი პოლიტიკოსები მოითხოვდნენ ოსური დამოუკიდებელი სახელმწიფოს (ავტონომიური ოლქი მათ თვითონ გააუქმეს) შექმნას საქართველოში, ოსების გარკვეული ნაწილი თავიდანვე უჭერდა მხარს ამ იდეას.

საქართველოში, როგორც ცნობილია, მისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. მრავალეთნიკურ ქვეყნებში კი ერთა შორის ურთიერთობის საკითხის მოგვარება, ეროვნული პოლიტიკა და ეროვნული ინტეგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული უმცირესობების მდგომარეობასაც და, ზოგადად, ქვეყნის სტაბილურობასაც. ქართველი ადამიანი ყოველთვის ამაყობდა თავისი ტოლერანტული ბუნებით და არც თუ უსაფუძვლოდ, ვინაიდან საქართვე-



ლოს ისტორიაში ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება არ მომხდარა. შეიძლება ითქვას, რომ ეთნოსთა შორის ურთიერთობები, მათ შორის ოსებთან, ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, თანდათან უარესდებოდა. ჯერ მეფის რუსთის, შემდეგ კი ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა და მოახერხა ოსების ქართველებისაგან გაუცხოება.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ოსებისათვის შექმნილმა ავტონომიურმა ოლქმა კი ოსებს ახალი ამბიციები გაუჩინა. ავტონომიური ოლქების პასუხისმგებელი მუშაკები კი ხელს უწყობდნენ რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ქართული ენის ხარჯზე, ავტონომიური ოლქის ოსურ სკოლებში კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სახელმწიფო ენა არ ისწავლებოდა. ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორი. როგორც ეთნოკონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი მეცნიერები თვლიან ეთნო-ტერიტორიული კომფლიქტი არის ეთნოსის ან ეთნიკური ჯგუფის „სახელით“ მიმდინარე დავა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრების, მისი ფლობის და მართვის უფლების გამო. მთელ ეთნიკურ ჯგუფს ან მის უმრავლესობას არასოდეს უჩნდება ტერიტორიული პრეტენზიები. მოთხოვნებს, როგორც წესი, წამოაჩენებს პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური პარტიები, მათი ლიდერები, ინტელიგენცია და სხვა. (მელიქიშვილი, 2006:83-84). ამდენად ეთნიკური ჯგუფის სახელით ტერიტორიული პრეტენზიების წინ წამოწევა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ეთნოსი უცხადებს სოლიდარობას ამგვარ მოთხოვნებს. ამის ნათელი მაგალითი იყო კონფლიქტის დასაწყისში (XX ს-ის 90-იანი წლები) ქსნის ხეობის ოსური მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებები და განწყობა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეროვნული მოძრაობის რადიკალურად განწყობილი ნაწილი ახერხებს მოსახლეობის უმრავლესობის ჩაბმას ეთნოკონფლიქტში. მართალია, ქსნის ხეობის ოსური მოსახლეობა იარაღით არ იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ, მათი უმრავლე-

სობა პირველად არც მიესაღმებოდა მომხდარს, მაგრამ დღეს განწყობა თანდათან იცვლება.

მნიშვნელოვანია გავეცნოთ ოსი ისტორიკოსების ნაშრომებს, გავიგოთ როგორ მოძღვრავენ ისინი საკუთარ ხალხს, მივიღოთ საპასუხო ზომები და მათ გამოვონილ ისტორიას ჩვენი სიმართლე დავუპირისპიროთ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებაში ლომის წვლილი ასეთ არაკეთილსინდისიერ ოს ისტორიკოსებს მიუძღვით, რომლებიც ამახინჯებენ ისტორიულ ფაქტებს. ქმნიან „მეცნიერულ“ ნაშრომებს იმის შესახებ, რომ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე შიდა ქართლი ოსთა განსახლების ოდინდელი არეალი იყო, რომ თურმე ვახტანგ გორგასლის დროსაც არსებობდა „სამხრეთ ოსეთი და ეს ტერიტორია მერე ქართველმა მეფეებმა და ფეოდალებმა მიითვისეს“.

ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი ისე შორს მიდის, რომ ყოველგვარი ისტორიული დასაბუთების გარეშე აცხადებს, რომ ეს მოხდა ხუთი ათასი წლის წინ (ნაფი ჯუსოითი), მარკ ბლივეისთვის კი ადრე შუა საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფო არც მეტი, არც ნაკლები, ქართულ-ოსური კონფედერაციაა (Топчишвили, 2006; რ. თოფჩიშვილი, 2012; №3 (15): 48-49). ოს ისტორიკოსებს ასეთი ამბიციისა და სხვისი მიწების მისაკუთრებაში, ბუნებრივია, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი უწყობს ხელს, რისი ნათელი დადასტურებაცაა 2004 წელს რუსეთის დუმისა და მაღალი სახელმწიფო პირების განცხადებები, რომელთა მიხედვითაც თურმე რუსეთმა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი 1774 წელს ერთად შეიერთა და სამხრეთ ოსეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი არც ყოფილა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების პოლიტიკამ და ტოტალური რეჟიმის კრიზისმა XX საუკუნის ბოლოს გაამწვავა „ერთიან ძმურ ოჯახში“ მცხოვრებ ერთა შორის ურთიერთობა და დასაბამი მისცა სეპარატიზმს. გაჩნდა კონფლიქტური კერები. ცნობილია, რომ ასეთი კერები უმთავრესად ჩნდება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში, იქ სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები და

უფრო ადვილად იჩენს თავს სეპარატისტული მოძრაობა. საქართველოს სასახდგრო ზოლი ამ მხრივ მეტად პრობლემატულია და, ბუნებრივია, საქართველოშიც გარე თუ შიდა მტრების ხელშეწყობით გაჩნდა ასეთი „ცხელი წერტილები“- სეპარატისტული რეგიონები, სადაც ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე აფხაზურ-ქართულ და ქართულ-ოსურ, დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რაც ქვეყნის გარედან იყო ინსპირირებული. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რუსეთმა ეს ორი რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. სამწუხაროა, რომ ქართულმა სახელმწიფომ ვერ აიცილა თავიდან ეს დამღუპველი ომი, რის შემდეგაც კიდევ უფრო გაიზარდა დაკარგული ტერიტორიები და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცეული მოსახლეობის რაოდენობა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად გავლებული პირობითი საზღვრის, დღეს კი უკვე მავთულხლართების, სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები.

როგორც უკვე აღვნიშნე, 1990-იანი წლებიდან ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე პროცესების თვითმხილველი ვიყავი, რადგან ახალგორის რაიონიდან ვარ. ამავე დროს მეცნიერთა ერთ ჯგუფთან (ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯალიაშვილი, ლ. მღებრიშვილი) ერთად რუსთაველის გრანტის ფარგლებში ვამუშავებთ თემას,- „ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობების დინამიკა“. აღნიშნული საკითხის შესახებ გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა მოძიებული, რაც საშუალებას გვაძლევს, წარმოვადგინოთ ჩვენი შეხედულებები. ცნობილია ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობა ისტორიული მოვლენების ახსნაში. ისტორიული პროცესების უკეთ ასახსნელად ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობაზე ხომ ჯერ კიდევ ვახსუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა. ასევე ცნობილია ი. ჭავჭავაძის და ივ. ჯავახიშვილის შეფასებებიც. ამ საკითხს სწორედ ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განვიხილავთ.

საკითხის უფრო რეალისტურად წარმოჩენისათვის ჩავატაროთ მოკლე ისტორიული ექსკურსი.

ქართველთა სახლ-კარში და სოფლებში ოსების და სახლების მიზეზების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამა ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 363-364) ეთნოგრაფი გ. ჩიქოვანი იმერეთში ოსთა ჩამოსახლების შესახებ წერს: „მდინარე ყვირილას სათავეების ტერიტორია ქართველებისაგან დაცლილი იყო (მე-18 საუკ. ბოლო და მე-19 სუკუნის დასაწყისი) და მემამულისათვის (აბაშიძე) სრულიად შემოუსავლიანი. ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად „აბაშიძეებმა ოსები ჩამოსახლეს მითითებულ ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე ოსები ხიზნების კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ... ამ ეტაპზე ოსებმა ოთხი სოფელი დააარსეს.“ (ჩიქოვანი, 2004: 230-231). 1938 წელს ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებში აკად. გ. ჩიტაია წერდა: რომ პროცესი მთიდან ბარში ეთნიკური გადაჯგუფებისა უკანასკნელ ხანამდე გაგრძელებულა, რასაც ახალგორის მაგალითზე განიხილავს: სოფ. ჟამურიდან ახალგორში, ხოლო ახალგორიდან ქანდაში; ლომისიდან იფნევი (ხალიბეგაანში), ხოლო იფნევიდან წირქვალში და ა.შ. და მიუთითებს, რომ ეს პროცესი სათანადოდ უნდა შეფასდეს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების დროს, ვინაიდან ამგვარი პროცესების შედეგად იქმნება ნარევი ეთნოგრაფიული კომპლექსები (ჩიტაია, 2001: 391-399).

ეს საშიში ტენდენცია (ქართველების მიერ სახლ-კარის მიტოვება) მთელი სისრულით 2008 წლის ომის შემდგომმა განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა. საბოლოოდ რა შედეგი მოჰყვება საქართველოს მთავრობის, ჩემი აზრით, სრულიად გაუაზრებელ ქმედებას, ვგულისხმობ ახალგორის რაიონიდან (სადაც საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა) მოსახლეობის გამოყვანას და მათთვის ახალი კომპაქტური დასახლებების შექმნას, ძნელი სათქმელია. დღეისთვის კი ქსნის ხეობაში (ახალგორის რ-ნი) ეთნიკური თანაფარდობა, სადაც ყოველთვის, ისტორიის ყოველ მონაკვეთზე ქართველები ჭარ-

ბობდნენ, დღეს ქართველების მხოლოდ მცირე რაოდენობაა დარჩენილი. ამას მრავალი მიზეზი აქვს: საქართველოში ჩაწერის ინსტიტუტი ბოლო წლებში აღარ მოქმედებდა, ამიტომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილები აღარ ცდილობდნენ მაინცდამაინც მშობლების ბინაში ჩაწერას, ამიტომ ქართველების ნაწილი აღმოჩნდა სრულიად დაუცველი, როგორც ქართული სახელმწიფოს მხრიდან (ჯერჯერობით ასეა), ისე ახალი „ოსური“ მთავრობა არ სცნობს მათ უფლებებს და პერმანენტულად აძევებდა მათ შესვლას ახალგორში, დღეს კი თითქმის შეუძლებელია. არ იძლევიან ე. წ. „ფორმა №9“. ადგილზე ქართველებისათვის გაძნელდა ცხოვრება, ძირითადად უფროსი თაობაა დარჩენილი (გარდა მასწავლებლებისა და ექიმებისა). დღეს უკვე ის ადამიანებიც, ვისაც ახალგორში/ღვინგორში აქვს ჩაწერა, მაგრამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად არ ცხოვრობდნენ იქ, ან როგორც საოკუპაციო ხელისუფლება აღნიშნავს „საქართველოში მუშაობენ“ და მხოლოდ დასვენების დღეებში შედიოდნენ ახალგორში, ახალ ცნობებს (შესასვლელ საშვს) აღარ აძლევენ. ქართველების გამოსვლას ხეობიდან კარგად იყენებენ ეთნიკური სურათის ძირფესვიანად შესაცვლელად. აქვე აღვნიშნავ, რომ ახალგორზე მეტ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ სხვა რაიონებში ქართული მოსახლეობა საერთოდ აღარ დარჩა. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის მიერ ახალგორში მამა-პაპური მემკვიდრეობის მქონე პირთა, ან მაცხოვრებელთა (რომლებიც კი ცხოვრობდნენ იქ მაგრამ ჩაწერა თბილისში ჰქონდათ) უფლებების დარღვევის შესახებ. ბუნებრივია, საქართველოში მცხოვრებ ყველა პიროვნებას, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფილი ყველა პირობა, მაგრამ მათ რიცხვში, რა თქმა უნდა, ქართველებიც უნდა შედიოდეს, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები ქართველები სულ ცდილობდნენ მოეპოვებინათ არა ზედმეტი, არამედ ოსების მსგავსი უფლებები, მაგრამ უშედეგოდ.

სამწუხაროა, რომ შეიცვალა თვით ქართველი დევნილების განწყობაც, კომპაქტურად დასახლებული ადგილებიდან საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე ყველა აღარც კი

ფიქრობს. გამოკითხულ რესპოდენტებს თუ ასაკობრივად დაგაჯგუფებთ, მაშინ შემდეგ სურათს მივიღებთ: უფროსი თაობიდან (პაპა-ბებია) ყველა დაბრუნდება; საშუალო თაობიდან (მშობლები) მუდმივ მაცხოვრებლად ნახევარზე ცოტა მეტი; ახალგაზრდებიდან კი ძალიან ცოტა. ასეთი განწყობა ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას ნამდვილად ვერ იძლევა.

ზემოთ აღვნიშნე, თუ როგორ ხდებოდა ქართველთა ნამოსახლარზე ოსების დამკვიდრება. ამჯერად უკვე ერთი სოფლის მაგალითზე წარმოვიდგენთ ამ პროცესს, რომელიც, ჩემს ასაკზე ახალგაზრდაა, რადგან მე კარგად მახსოვს. ჩემი მასალების მიხედვით ოლქის შექმნის შემდეგაც, 40-50-იან წლებამდე, სოფ. ახმაჯი დუშეთის რ-ნში შედიოდა. ამას 1938 წლის ექსპედიციის მასალებით გ. ჩიტაიაც ადასტურებს, იგი წერს, რომ სოფ. ახმაჯი/ახმაჯა, ოძისთან ერთად ეკუთვნოდა დუშეთის რაიონს (გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ. გვ. 398).

ამ სოფლის ისტორია ტიპიური მაგალითია იმისა, თუ როგორ იქცა წმინდა ქართული სოფელი შერეულ სოფლად. სოფელი ახმაჯი XX საუკუნის 50-იან-60-იან წლებამდე 45-50 კომლიანი პატარა ქართული სოფელი იყო, აქ ცხოვრობდნენ: მაჭარაშვილები, ბერიანიძეები, ხუციშვილები, ბუთხუზები, ბურდულები, კობოურები, კობაძეები, ღიჩელი (ერთი ოჯახი), შიუკაშვილები, ჩაბოშვილები, გაგიშვილები, თოგოშვილები (გაქართველებული), ღუნაშვილი (ერთი ოჯახი). ახმაჯში ოსების გეგმაზომიერი ჩამოსახლება გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან დაიწყო, მაღალმთიანი ოსური სოფლებიდან (ორხევი, ბელოიანი, ხუბაანი, გოჭიანი) – გუცაევები, კაძილოვები, თუაევები, ბელოევები, მუზაევები, ხუბაევები. ოსების ჩამოსახლების შედეგი იყო ის, რომ სოფელი დატოვა ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. ბუნებრივია დაისმება კითხვა, რატომ? ერთერთი მიზეზი ის იყო რომ სამოსახლო ადგილების სიმცირის გამო ქართველებს აღარ ჰქონდათ ოჯახის გაყოფის საშუალება, ანუ განაყარ ძმას აღარ აძლევდნენ სამოსახლოს. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ჩამოსახლებულ და დამხვდურ მოსახლეობას შორის წარმოიშვა უკმაყოფილება, რადგან ქარტველების მამაპაპეულ ნაფუძვრებში უცხო ეთნო-

სის წარმომადგენლები სახლდებოდნენ, მათ კი ამის საშუალებას არ აძლევდნენ. (აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩაატარეს ნაკვეთების ხელახალი გადაზომვები და თუ ვინმეს ოცდახუთ მეასედზე მეტი ჰქონდა ჩამოაჭრეს და ისიც ჩამოსახლებულებს დაურიგეს). თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ დაცლილი ოსიური სოფლების ტერიტორიის დიდი ნაწილი სოფლის კოლმეურნეობის სახნაუ-სათიბებს შეუერთდა.

დროთა განმავლობაში პირველი უკმაყოფილება და წინააღმდეგობები სამეზობლო ურთიერთობით შეიცვალა. 80-იანი წლებიდან დაიწყო უკვე ქართულ-ოსური ოჯახების შექმნა, ქართველები და ოსები დანათესავდნენ მოყვრობითა და ნათელმძირონობით და თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სიტუაცია შეიცვალა 90-იანი წლებიდან, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა. საბედნიეროდ სეპარატისტების იდეების გამზიარებული როგორც ზოგადად ქსნის ხეობაში, ისე სოფელ ახმაჯშიც მაშინ ძალიან ცოტა 2-3 კაცი აღმოჩნდა, რის გამოც ახალგორის რაიონის ოლქიდან გამოყოფის შემდეგ მხოლოდ ორმა ოჯახმა დატოვა სოფელი და გადასახლდა ალანიაში. მათ თავიანთი სახლები გაყიდეს და ისე წავიდნენ, 2008 წლის შემდეგ კი დაიბრუნეს ეს სახლები უკან სრულიად უფასოდ. მათ პატრონებს დღეს ახალგორში შესვლის საშუალება აღარ აქვთ. როგორც ვიცით, ახალგორის რაიონი XX ს-ის 90-იან წლებში გამოეყო ე.წ. სამხრეთ ოსეთს და მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციას დაექვემდებარა, სანაკოვეის ე.წ. „დროებითი ადმინისტრაციული მმართველობის“ დამყარებამდე (რომელიც დღესაც ფუნქციონირებს, როგორც თავად ლტოლვილები გადმოგვცემენ, თუმცა მისი ფუნქცია ცოტა გაუგებარია).

მიუხედავად 2008 წლის ომის შედეგებისა, მიუხედავად იმისა რომ საკუთარ სახლებში შესვლას სხვა უწესებს, ახალგორიდან დევნილმა საბავშვო ბაღის ქართველმა დირექტორმა გაოცება მაინც ვერ დამალა, როდესაც ვთხოვეთ ბავშვების ეროვნული სტატისტიკური მონაცემი მოეცა. „ახალგორიდან წამოვიდნენ ოსებიც და ქართველებიც. ნამდვილად არ ვიცით საბავშვო ბაღში რამდენი ქართველი და რამდენი ოსი ბავშვია, ამაზე არასოდეს არ

დავფიქრებულვართ. 475 ბავშვი გვეყავს, წილკნის დეენილ-თა დასახლებაში მცხოვრებთა ბავშვებიც ჩვენთან დადიან, ფრეხეთშიც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი“.

თუმცა იგივე ქალბატონი და მასთან ერთად კიდევ 5-6 სხვა ქალიც, აღშფოთებას ვერ მაღავედნენ ქართული მთავრობის მიერ ჩატარებულ ღონისძიების გამო, კერძოდ, 2012 წლის ზაფხულში ოს ქალებს, დედებს, მოუწყეს თურმე დასასვენებელი ტური შავ ზღვაზე, „როცა ავტობუსში სხდებოდნენ ირონიული ღიმილით გვიყურებდნენ, მინდოდა ის ავტობუსი ამეფეთქებინა, იმდენად დამორგუნველად იმოქმედა ამან ჩემზე, რა საჭირო იყო ასე გამორჩევა ეროვნების მიხედვით არ ვიცი“-ო.

არც მე ვიცი, ამაზე პასუხი არ მაქვს, დღევანდელ მთავრობას ვერ მოვთხოვთ პასუხს ამ მართლაც უპასუხისმგებლო მოქმედებისათვის, რომელიც ქართველებისა და ოსების დაახლოებას კი არა გათიშვას უფრო ემსახურება, მაგრამ ვისურვებდი ასეთი შეცდომები აღარ დაემვათ, ისინი ისედაც ბევრია.

ასე მოხდა კოტეჯების განაწილების დროსაც, აქაც ქართველები მეტად დაინაგრნენ, არა მარტო იმათ ვისაც ჩაწერა არ ჰქონდა ახალგორში, არამედ ერთ სულიან ოჯახებსაც (ოჯახიდან მხოლოდ ერთი თუ იყო ჩაწერილი), არ მისცეს საცხოვრებელი კოტეჯი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კიდევ აქვს ადგილი ქართულ-ოსური ოჯახების შექმნას. ახალგორში დარჩენილი მოსახლეობა (როგორც ქართული, ისე ოსური) სამედიცინო დახმარებისათვის კვლავ თბილისს მიმართავს და ამაში ხელს თავად საოკუპაციო რეჟიმიც უწყობს. ეკონომიურად ბოლო წლამდე კვლავ თბილისის ბაზართან იყო დაკავშირებული, მაგალითად, მოწეული მოსავლის გაყიდვა, თუ საჭირო პოდუქტების შეტანა თბილისიდან, თუმცა ბოლო დროს, ეს შესაძლებლობა აღარ არის. ზოგიერთი პროდუქტი (მაგალითად, ფქვილი) უფრო ადრე ცხინვალის მხრიდან ახალგორში შემოტანილი, შედარებით იაფი რუსული ფქვილით ჩაანაცვლეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგორში, და მათ შორის ახმაჯშიც რუსული ბაზები აშენდა. 2012 წლის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემო-



სული მუშახელი ახალგორიდან დაბრუნდა ცხინვალში ახალი ობიექტების ასაშენებლად. რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა ჩამოიყვანეს ცოლშვილი, მათთვის კომფორტული საცხოვრებელი ბინები (კორპუსები) აშენდა, მათი შვილები ახალგორის რუსულ სკოლაში სწავლობენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქსნის ხეობის მოსახლეობა მათთვის აშენებულ სხვადასხვა საცხოვრებელ ადგილებში ჩაასახლეს, ხეობა დაიცალა. 2009 წლიდან ქსნის ხეობაში დაიწყო რუსების სამხედრო ბაზების მშენებლობა, სადაც ადგილობრივებს, არც ოსებს და არც ქართველებს არ ამუშავებდნენ, ქსნის ხეობელი ოსების უმრავლესობა მათთვის მისაღები კონტინგენტი არ არის. აქ მუშაობდნენ ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა, ჩეჩნები, ლეკები და სხვ.). ბაზების მშენებლობის დროს რუსები და ჩამოსული მუშახელი ადგილობრივი მოსახლეობისაგან ყიდულობენ სხვადასხვა სახის სასოფლო სამეურნეო პროდუქტებს, სასმელს. რამდენიმე ოჯახი სავაჭრო ბიზნესითაც დაკავდა: – თბილისიდან შეაქვთ მათთვის საჭირო პროდუქტი. ვაჭრობა ძირითადად ლარით წარმოებს. ეკონომიური თვალსაზრისით ეს იქ დარჩენილი მოსახლეობისათვის მომგებიანი იყო. დღეს მდგომარეობა შეიცვალა. გაძნელდა მიმოსვლა ახალგორსა და თბილისს შორის.

მოგეხსენებათ სოფ. ახმაჯი სანაპირო, ე.წ. ბუფერული ზონაა, აქ რუსებმა ააშენეს სამხედრო ბაზა, მისი მშენებლობა დაიწყო 2009 წელს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაზის მშენებლობა რამდენჯერმე შეჩერდა, მიზეზად სამშენებლო ბრიგადების არაკვალიფიციურობა სახელდებოდა, მაგრამ შესაძლოა სხვა მიზეზიც აფერხებდა, კერძოდ, რუსები, როდესაც იწყებდნენ ბაზების მშენებლობას და ოლქის რუკებით დადიოდნენ და ამოწმებდნენ საზღვრებს, ოლქის რუკაზე ამ სოფელს ვერ პოულობდნენ, – „თქვენი სოფელი ამ რუკაზე არ არის, თქვენ აქ არ უნდა ცხოვრობდეთ“, მათი აზრით ეს სოფელი მეტე განჩნდა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე ახმაჯი XX ს-ის 50-იან წლებამდე დუშეთის რაიონს ეკუთვნოდა, ოლქის საზღვარი ჩრდილოეთით, 2 კმ-ში, თადიანთხევეზე გადიოდა (აქვე აღვნიშნავ, რომ 2008 წლის აგვისტოდან ოქტომბრის ბოლომდე ამ

ადგილზე ქართველი სამხედროები იდგნენ). ჩემი აზრით, ვინაიდან საქართველოს მთავრობამ არ განაცხადა პროტესტი ფაქტობრივად დუშეთის რაიონში სამხედრო ბაზის მშენებლობაზე, შემდეგ უკვე სწრაფი ტემპით გაგრძელდა მშენებლობა და 2012 წლის გაზაფხულისათვის უკვე დამთავრდა და სოფელში ცხოვრებაც უკვე გაუსაძლისი გახდა, ამავე წლის ბოლოსთვის სოფელში თბილისიდან შესასვლელი გზა საბოლოოდ გადაიკეტა. ამიერიდან ახალგორში ჩასვლის გარეშე დანარჩენ საქართველოსთან კავშირი გაწყდა, გზა 20 კმ-ით დაგრძელდა. ამას დაემატა ე.წ. „ფორმა №9“ აღების გართულებული პროცედურები, რის გამოც სოფელ ახმაჯის, ისევე როგორც ახალგორის მოსახლეობის უმრავლესობა ამ ცნობის გარეშე დარჩა და შესაბამისად მშობლიურ სახლში შესვლის უფლებაც დაკარგა.

2014 წლის გაზაფხულიდან დაიწვეს ახალი ცნობების გაცემა „ფორმა №9“-ის საფუძველზე, მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით აღნიშნული ცნობის მფლობელი მოსახლეობის ნაწილიც მოხვდა ე.წ. „შავ სიაში“, რომლის მიზეზი არავინ იცის და არც აინტერესებთ, შედეგი კი ისაა, რომ გადაადგილების უფლების მქონე ადამიანთა რაოდენობა თითქმის განახევრდა, ასე მაგალითად, ასეთი ცნობა სოფ ახმაჯის ათიოდე მაცხოვრებელს აქვს, 2008 წლის აგვისტომდე სოფელი ოთხმოცამდე კომლს ითვლიდა.

ზოგადად საოკუპაციო რეჟიმის დინამიკა ასე გამოიყურება: 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის გაზაფხულამდე ახალგორში შესვლა მხოლოდ ქართული პირადობის მოწმობით იყო შესაძლებელი; 2009 წლის მეორე ნახევრიდან მოითხოვეს პირადობის მოწმობის რუსული თარგმანი დამოწმებული ნოტარიუსის მიერ; 2010 წლიდან მოითხოვეს უკვე საკუთრების დამადასტურებელი ცნობის რუსული თარგმანიც; 2012 წელს სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე ჩაკეტეს ახალგორის ადმინისტრაციული საზღვარი, იმავე წლის შემოდგომიდან ე.წ. „ფორმა №9“-ის გარეშე უკვე აღარავის უშვებდნენ; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2014 წლიდან ახალი საბუთების აღება ახალგორში შეს-

ვლის უფლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა.

დღეს ახალგორის რაიონში სულ ხუთი სკოლა ფუნქციონირებს მოსწავლეთა მცირე კონტინგენტით. მაგალითად, სოფ. ახმაჯის ცხრაწლიან სკოლაში 2012 წლის მონაცემებით შვიდი მოსწავლე და ცხრა პედაგოგი იყო, დღეს მათი რიცხვი ხუთამდეა დასული. უნდა აღინიშნოს, რომ ქსნის ხეობა თვითაღიარებულ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში“ იმითაა გამონაკლისი, რომ მისი მოსახლეობის ნაწილს (არა ყველას) ჯერ-ჯერობით ძველ საცხოვრებელ ადგილებს შორის გადაადგილება შეუძლია, მაგრამ ეს როდემდე გაგრძელდება არავინ იცის, მოსახლეობა მუდმივად სტრესულ მდგომარეობაშია.

კიდევ ერთ მომენტზე მინდა შევაჩერო ყურადღება. ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა ჩემი აზრით საშიში ტენდენციები გამოკვეთა. თუ წინა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოსახლეობა ნაკლებად იღებდა მონაწილეობას, ამას ვერ ვიტყვი საპრეზიდენტო არჩევნებზე. ახალგორის რაიონში ჩაწერილები აიძულეს აეღოთ ცნობები და მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. უმრავლესობამ დააფიქსირა თავისი „არჩევანი“. საგულისხმო ფაქტია, წინასაარჩევნო შეხვედრებში მოსახლეობის მიერ დაფიქსირებული პრობლემები და დაპირებები. მოსახლეობის (როგორც ქართველების, ისე ოსების) უპირველესი მოთხოვნა და ასევე მიღებული დაპირებები ეხებოდა „საქართველოსთან შეუზღუდველ და თავისუფალ გადაადგილებას“. რის პირობასაც საპრეზიდენტო კანდიდატებისაგან უყოყმანოდ იღებდნენ. მაგრამ, ბუნებრივია, წინასაარჩევნო დაპირება დაპირებად დარჩა.

ახალგორის რაიონის (ქსნის ხეობის) კეთილმეზობლური ქართულ-ოსური ურთიერთობებს მძიმე გამოცდის ეპიზოდი დაუდგა. ასეთი ურთიერთობა იყო, ჩემი აზრით იმიტომ, რომ იქ მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და ადგილობრივ ოსურ მოსახლეობაზე ანტიქარტული პროპაგანდა ნაკლებად მოქმედებდა. ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქსნის ხეობა დაიცალა ქართველებისაგან და ოსებისგანაც, გარდა იმ ოსებისა, რომლებ

ბიც მიესალმნენ მომხდარს, ასეთებიც ნამდვილად იყვნენ. დღეს ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბრუნებულია ახალგორში, ბუნებრივია, საცხოვრებელი სახლები შენარჩუნებული აქვთ მუხრანის ველზე. ქართველ მოსახლეობაზე ამას ვერ ვიტყვით, კითხვაზე თუ რატომ არ ბრუნდებიან, ასეთი პასუხია, „იქ ჩვენ ადამიანური უფლებები არ გვაქვს, ჩვენთან ვერ მოვა ნათესავი და ახლობელი ჭირში თუ ლხინში, ეგეთ დაბრუნებას კი რა აზრი აქვსო“, ვფიქრობთ ანგარიშგასაწევი არგუმენტია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შერეული (ქართულ-ოსური) ოჯახების სიმრავლე დადებით გავლენას ახდენდა და ახდენს ქართულ-ოსურ ურთიერთობაზე. უნდა აღინიშნოს რომ არანაირ დაპირისპირებას ადგილობრივ ოსებსა და ქართველებს შორის ადგილი ჯერჯერობით არ ჰქონია. კონფლიქტის პირველ თვეებში ცხინვალიდან და ჯავიდან შემოსული ოსების მხრიდან კი ადგილი ჰქონდა ძარცვარბევის ფაქტებს.

დღეს ოსი ისტორიკოსები თვლიან, რომ დადგა „ჟამი ქვათა შეგროვებისა“. ასეთი სათაურის მქონე სტატიაში, ვინმე რობერტ კულუმბეგოვი მოძღვრავს ოსებს. მის მიხედვით ოსი ხალხი ადვილად ასიმილირებადია, ამიტომ ქართველთა მიერ მოხდა მათი ასიმილირება და რომ „ოსთა ნაციონალური მიდრეკილება ასიმილირდეს სხვა ხალხებთან“ უნდა დამთავრდეს და დაიწყოს უკუპროცესი, და რომ ოსეთი დიდი ხნის განმავლობაში „არიგებდა თავის ტერიტორიებს, რომლის ბოლო მკაფიო შემთხვევა გახლდათ 1997 წელს საქართველოსთვის გადაცემული ღარსის ხეობა საქართველო-რუსეთის საზღვარზე“, რომ „თანამედროვე გორის ტერიტორიაზე XIV საუკუნეში არსებობდა ამიერკავკასიის ალანთა ცენტრი, რომლის საზღვრებიც მცხეთამდე აღწევდა..“ და ა.შ. და ა.შ. და რომ ნაციონალური ტერიტორიების დაბრუნება მნიშვნელოვანი მომენტია ნაციონალურ მსოფლმხედველობაში. სტატიის ავტორი არნიშნებს, რომ მართალია ეს ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ მთავარია „ჩვენ ვიცოდეთ რომ ჩვენი სამშობლოს ნაწილი ჯერ კიდევ იმყოფება ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ და ვიფიქროთ მის დაბრუნებაზე, რომ ყველა ოსურ ოჯახში ისმოდეს სადღეგრძელო: რათა მომავალ წელს

ჩვენ შევსვით თრუსოს ხეობის წყალი, ან იმისთვის რომ მომავალ წელს ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ვილოცოთ თარანჯელოს სალოცავში. არაფერი ირეალური ამაში არ არის. ჯერ ხომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, ჩვენ თვითონაც არ გვჯეროდა, რომ მოვიპოვებდით აბსოლუტურ გამარჯვებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და რესპუბლიკის აღიარებაში. ასეა ჩვენს ყულაბაში გარდა რუსეთისა არის ნიკარაგუას, ვენესუელას და ნაურუს აღიარებაც და ეს მხოლოდ ნაწილია დიდი ალანის აღორძინების საქმეში. დადგა უამი ქვათა შეგროვებისა. და დაე ეს მოხდეს ათეული წლების შემდეგ. ამის შესახებ ლაპარაკი უკვე დღეს არის საჭირო“ (Курумбеов, 2011).

მეც ვფიქრობ დროა რეალობას თვალი გაგუსწოროთ, ასეთი იდეოლოგიით ზრდიან დღეს მომავალ თაობას ოსები, ახალგორის რუსულ სკოლაში ასწავლიან ოსეთის ისტორიას, რა თქმა უნდა, სეპარატისტულად შელამაზებულს (ეს წიგნი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ მოვიპოვე, რადგან როგორც გვეუბნებიან, ის მხოლოდ მასწავლებელს აქვს და აწერინებს ბავშვებს).

და ჩვენც თუ მუდმივად გავიმეორებთ ზ. ჭიჭინაძის შეგონებას ოსების მიმართ, რომ საქართველოში გადმოსახლებულ ოსებს სულს იქით არაფერი გააჩნდათ და ქართველებმა ჩააცვეს, დაასახლეს და დააპურეს, რომ ბოროტება ძველად ოსთა და ქართველთა შორის ამბადაც არ თქმულა და ა.შ. (ჭიჭინაძე, 1916) გულუბრყვილობა იქნება და მხოლოდ საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს.

2008 წლის ომის შემდეგ, იმავე წელს ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, 18 წლის ახალგაზრდამ (ე.ი. თითქმის კონფლიქტის დასაწყისის ასაკის) მითხრა: „თუ სამხრეთ ოსეთია, ე. ი. ოსეთი ყოფილა და რას ვერჩით იმ ხალხს, თავიანთ ქვეყანაში არიან და დავანებოთ თავიო“. ამით კარგად ჩანს თუ როგორ მოქმედებს ტერმინები ადამიანის შემეცნებაზე და ბუნებრივია ვინც ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ დაამკვიდრა, ეს ძალიან კარგად იცოდა. აქვე მივუთითებთ, რომ ეს ტერმინი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩნდება. ფფიქრობთ, აღნიშნული ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის, ისტორიის სასწავლო

პროგრამის ბრალია, როდესაც ახალგაზრდას წარმოდგენა არა აქვს როგორ და როდის დაიწყო შიდა ქართლის ცალკეულ რეგიონებში ოსების ჩამოსახლება ოსეთიდან. სამწუხაროა რომ დღეს საჭირო გახდა იმის მტკიცება, რომ საქართველოში არ შეიძლება არსებობდეს ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ქსნის ხეობაში, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობენ ქართველები, რუსულ-ოსური ხელისუფლება ისე ამკაცრებს საოკუპაციო რეჟიმს, რომ ქართველებისთვის გაუსაძლისი გახდეს იქ გაჩერება. ოსებსაც უკვე გაუარათ პირველმა ეიფორიამ, მათაც გაუჭირდათ დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირება, ნათესაუბისა და შვილების მონახულება, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად გავლებული პირობითი საზღვრის, ხოლო დღეს უკვე მავთულხლართების, სხვადასხვა მხარეს დარჩათ ოჯახის წევრები და ახლობლები. ყოფით დონეზე კი ქსნის ხეობის ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობაში თითქოს არაფერი შეცვლილა, გრძელდება კეთილმეზობლური ურთიერთობები, კიდევ აქვს ადგილი შერეულ (ქართულ-ოსურ) ქორწინებებს. ზოგიერთი რესპოდენტი (ახალგორში) კითხვაზე თუ როგორია ახალგორში დარჩენილ ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა, დამაიმედებლად მპასუხობს, რომ „მათაც (ოსებმა) კარგად იციან, რომ ეს მდგომარეობა დროებითია, რომ სულ ესე არ იქნება, ამიტომ იმ ტოტს არ ჭრიან რომელზეც სხედან-ო“.

**GEORGIAN AND OSSETIAN POPULATION  
OF THE CONFLICT ZONE BEFORE AND AFTER  
THE 2008 AUGUST WAR**

(According to Ethnographic materials)

Representatives of various ethnic groups have always lived in Georgia, but ethnic conflicts on political basis did not take place there until the Soviet Times. The resettlement of Ossetians from the central highland area of the North Caucasus in Georgia, motivated by different purposes, began in the 15th century. Over the centuries Georgians and Ossetians established fine neighborly and later the kinship (due to mixed marriages) relations. After Georgia was subordinated to Russia the relations between Ossetians and Georgians gradually worsened. First, Tsarist Russia and then the Bolsheviks had managed to alienate Georgians and Ossetians. Establishment of Ossetian Autonomous Oblast by the Soviet authorities on the territory of the historical Shida Kartli inspired Ossetians' new ambitions.

Notwithstanding the fact, that the 2008 War was the confrontation between Georgia and Russia, the Ossetians' ambitious intentions to "unite two Ossetia" should be taken into consideration. Already since the 1990s Ossetian politicians demanded creation of an independent state of Ossetia in Georgia. They benefited well from the Georgian-Russian confrontation turning the disputed territory of Shida Kartli into a "hot spot" with the support of Russia.

Unfortunately, Georgia could not avoid an open confrontation with Russia; the State has temporarily lost its territories and the number of refugees in their own country increased. The Georgian population was expelled from the Didi and Patara Liakhvi Gorges and ethnic cleansing was carried out. In the Ksani Gorge (Akhlagori District) the situation is different. Georgian population is still living there, but the Russian-Ossetian authorities gradually strengthen the occupation regime and it becomes difficult for the Georgians to stay there.


When the first euphoria left Ossetians, the difficulties of connection with the rest of Georgia became evident: they were unable to visit their relatives and children; due to the August 2008 War, they appeared on different sides of conditional borders (today already the

installed wire entanglements). But, in fact, on an everyday level as if nothing has changed in the relations between Georgians and Ossetians: good neighborly relations continue, the mixed (Georgian-Ossetian) marriages still occur, etc. However, this situation is really encouraging.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. მელიქიშვილი, კონფლიქტის ანთროპოლოგია (ეთნიკური ასპექტები), თბ., 2006.
2. Р. Топчишвили, Грузино-осетинские этнографические очерки, Кутаиси 2006.
3. რ. თოფჩიშვილი, როდის დასახლდნენ ოსები საქართველოში, ჟურნალი „ისტორიანი“, 20012, №3 (15).
4. გ. ჩიტაია, – 1938 წ. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში), „შრომები“, ტ. II, 2001.
5. Роберт Кулумбегов, Время собирать камни, газета „Республика“ №41-42 (571-5726 июль 2011 год).
6. ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში, თბ., 1916; (ახალი გამოცემა 1990).
7. გ. ჩიქოვანი, მიწის ნასყიდობის აქტები ზემო იმერეთის ოსების საოჯახო არქივიდან“, იხ. კრბ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, თბ., 2004.





ღაპით მუსხელიშვილი

როდის აწამეს აბიბოს ნეკრესელი და როდის დაიწერა მისი მარტვილობის არქიტიპი?

მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა X ს-ის დასაწყისის თუ პირველი ნახევრის სინური ხელნაწერი, ცხადი გახდა, რომ აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ ე.წ. ვრცელი რედაქციის სათაურში, მის ავტორად გამოცხადებული „არსენ დიდი ქართლისა კათალიკოსი“ (1: 188) არ შეიძლება იყოს არსენ II საფარელი (X ს-ის მეორე ნახევარი), არამედ არის სწორედ არსენ დიდად წოდებული, IX ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწე (2; 422).

დიდი ხანია გარკვეულია ისიც, რომ აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ე.წ. მოკლე რედაქცია, რომელიც ზოგიერთი მეცნიერის მიერ მიჩნეული იყო არქეტიპად (17:25; 8: 14: 165) ან ვრცელზე უფრო ძველად (5; 87, 88), სინამდვილეში სვინაქსარული ტიპის შემოკლებული რედაქცია უნდა იყოს (1: XXXI), ვრცელზე უფრო გვიანდელი (2; 426).

სინურ ხელნაწერში შემონახული ტექსტი დღემდე ცნობილი ვრცელი ვარიანტის ტიპისაა, თუმცა მისგან მინც განსხვავდება და, ფაქტობრივად, მესამე რედაქციას წარმოადგენს (2: 418, 419).

სამივე დღეს არსებული რედაქციის ტექსტებში შემონახულია (სინურში დაზიანებული და ნაკლები სახით, რადგან სწორედ აქ წყდება, სამწუხაროდ, ამ ხელნაწერის შემორჩენილი ფურცლები) აბიბოს ნეკრესელის ცნობილი წინასწარმეტყველება: „დედაკაცსა მას უწინასწარმეტყუელა შემდგომად ხოლო მისა მოსლვად ბერძენთად და დაპერობად ქუეყანისა ამის ჩუენისად, რომელიცა იგი იქმნა მსწრაფლ, მისსავე დედაკაცისა ზე; მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქუეყანად ესე ჩუენი. მიერთვან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქარ-

თლისა.. ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა“ (1: 194). იგივე, თითქმის სიტყვასიტყვით, წერია მოკლე რედაქციაში (1: 194, 195) და სინურშიც, რომლის ტექსტი წყდება სიტყვებით – “განასხნეს უსჩულონი“ (12: 280), თუმცა, ეჭვი არ არის, ხელნაწერის შემდგომი ფურცელი რომ შემონახულიყო, იქაც იქნებოდა აღნიშნული, რომ ყველაფერი ეს ეწერა “წიგნსა მას წამებისა მისისასა“!

აქედან ნაწილი მეცნიერებისა, ბუნებრივია, ასკენის, რომ არსებობდა პირველწყარო, მარტვილობის არქეტიპი, რომელშიც უფრო დაწვრილებით ყოფილა მოთხრობილი აბიბოს ნეკრესელის ბიოგრაფია და მისი წამების ამბავი.

სადისკუსიოა: როდის აწამეს აბიბოსი და როდის დაიწერა მისი მარტვილობის არქეტიპი.

აბიბოს ნეკრესელი რომ VI ს-ში ცხოვრობდა, ამაზე არავინ დავობს. მარტვილობის შემორჩენილი ტექსტებიდან კარგად ჩანს, რომ მის დროს ქართლში გაუქმებულია მეფობა, “რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა“ (1: 189). ქვეყნის უზენაესი მმართველია სპარსთა დიდმოხელე მარზპანი (1: 190, 192, 193 ); თვით აბიბოსი შიო მღვიმელის (1: 191) და სვიმეონ მესვეტის (უმცროსის) თანამედროვეა (1:190). ეს უკანასკნელი კი ცხოვრობდა VI ს-ში, დაიბადა 521 წელს და გარდაიცვალა 596 წელს (6: 895).

ჯერ კიდევ მბროსე ფიქრობდა, რომ ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველების მითითებანი ზუსტია და გუარამ კურაპალატის და მისი მემკვიდრეების ერის- მთავრობის ხანას გულისხმობს (4: 131) ანუ VI ს-ის 90-იან წლებს და VII ს-ის დასაწყისს.

ს. კაკაბაძე, გამომდინარე აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველებიდან, თვლის, რომ “ეს ადგილი ათარიღებს თვით ნაწარმოებს საკმაოდ მტკიცედ. ბერძნების მოსვლად ავტორი, ცხადია, გულისხმობს 571 წლიდან და VII ს-ის სიგრძეზე ქართლისათვის ხანმოკლე შეწყვეტებით არსებულ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელსაც ახასიათებდა ბიზანტიასთან დაკავშირება, გარდა სპარსელების და შემდეგ არაბების მძლავრების ცალკე პერიოდებისა“ (8: 11, 12). იგი სწორედ ამ “სპარსელების და შემდეგ

არაბების მძლავრების ცალკე პერიოდებს“ ეხება (ჩემი აზრით, საკმაოდ არასწორად) VII ს-ის განმავლობაში და, საბოლოოდ, ასკენის; “ყველაფერ ამისდა მიხედვით ცხადია, რომ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების ზემოდ მოყვანილი ცნობა, რომელიც უნდა გულისხმობდეს ცხოვრების დაწერის დროს როგორც ერისთავების ქართლში ბატონობას, ისე აგრეთვე.. შიდა ქართლში ბერძნების პოლიტიკურ გააღენას, შეიძლება VII ს-ის მეორე ნახევარში ყველაზე უფრო უდგებოდეს სწორედ 687-701 წლების ხანას“ (8; 14). იქვე ქვემოთ ს. კაკაბაძე კიდევ უფრო აზუსტებს თარიღს. მისი აზრით, იოანე ზედაზნელის და შიო მღვიმელის “ცხოვრებანი“ უფრო ადრე უნდა დაწერილიყო, “680-690 წლების ახლო ხანებში. ამის შემდეგ დაახლოებით 690-700 წლებში უნდა დაწერილიყო აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“ (8; 14). რაც შეეხება სპარსთა მიერ მის დასჯას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ს. კაკაბაძის მიხედვით “აბიბოსის წამება დაახლ. 550 წელს“ მოხდა (8; 16).

კ. კეკელიძე, რომელსაც აბიბოსის მარტვილობა IX ს-ის ძველი ჰგონია (10: 141), დაახლოებით მ. ბროსეს აზრისაა. იგი წერს; “ცნობილია ისტორიულად, რომ 591 წელს ხვასრო მეფემ “ბერიის მომეტებული ნაწილი, ქალაქ ტფილისამდე, მავრიკი კეისარს გადასცა“.. მეფობის გაუქმების შემდეგ (522 წ.) 591 წლამდე მთელი ქართლი სპარსთა ხელში იყო. 591 წელს ბერძნებმა ჩამოართვეს სპარსეთის ხელისუფლებას უდიდესი ნაწილი ამ ქვეყნისა, ქ. ტფილისამდე და “განასხნეს აქიდან უსჯულონი იგი სპარსნი“. ამის შემდეგ ქართლში, მართლაც, იწყება ერისთავთა მპყრობელობა.. ჩვენ გვგონია, რომ აბიბოსის წინასწარმეტყველება ბერძენთა მოსვლისა და სპარსთა ქართლიდან განსხმის შესახებ ჰგულისხმობს სწორედ 591 წელს. თუ ეს ასეა, აბიბოსი უწამებიათ 590 წელს, ვინაიდან წარმოითქვა თუ არა მისი წინასწარმეტყველება ბერძნების მოსვლის შესახებ, იგი “მსწრაფლ“ მაშინვე შესრულდა, ესე იგი დიდხანს არ დაუყოვნებია“ (9: 101,102).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, აბიბოს ნეკრესელი VI ს-ის მეორე ნახევრის ან დამლევის მოღვაწეა (18; 410), ხოლო მარტვილობის წინასწარმეტყველების მიხედვით “აბი-

ბოს ნეკრესელის წამების თავდაპირველი წიგნი უნდა ან VI ს. დამდევის, ან VII ს. დამდევის, თუ პირველი ნახევრის ძველად ვიგულისხმობთ“ (18: 401). ე.ი. ივ. ჯავახიშვილი იზიარებს კ. კეკელიძის აზრს, რომ წინასწარმეტყველება უკავშირდება 591 წლის ფაქტს, როდესაც სპარსეთის შაჰმა ხოსრო ფარვიზმა, ბარამ ჩუბინის აჯანყების ჩაქრობისათვის მავრიკი კეისრის დახმარების გამო, ქართლი თბილისამდე ბიზანტიას დაუთმო.

ილ. აბულაძის მიხედვითაც აბიბოსის მარტვილობის ვრცელი რედაქციის ავტორს “გამოუყენებია ადრე არსებული მარტვილობის წიგნი VI-VII სს-ისა, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა“ (1; XXXII).

უნდა აღვნიშნოთ ფრანგი მკვლევარის, ბ. მარტენ-იზარის მოსაზრება, რომელიც ასევე გულისხმობს, რომ არქეტიპი ანუ, მისი აზრით, მარტვილობის მოკლე რედაქცია VII ს-ის პირველ ნახევარშია შექმნილი და მოაქვს საამისოდ გონებამახვილური ორიგინალური არგუმენტაცია. მან ყურადღება მიაქცია “ქართლის ცხოვრებაში“, ჯუანშერთან დაცულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ VII ს-ის შუახანში სტეფანოზ II ერისმთავრის დროს (დაახლოებით 642-650 წწ.), დაწესდა “ყოველთა სამშაბათთა კრება და ხსენება პირველმოწამეთა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა, დიდთა მისგან ძლიერებისა სპარსთასა რომელ წამებულ იყვნეს, და აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმან მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლეთნი, ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადევს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა. და დღესასწაულსა მისსა უფროს ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და ადიდებდიან ღმერთსა“ (16; 229).

ბ. მარტენ-იზარის აზრით, სწორედ ამ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა შექმნილიყო, აბიბოსის დიდი ღვაწლის აღსანიშნავად, წამების წიგნი, მაგრამ მისი გვამის მცხეთაში გადმოსვენებამდე, რადგან ეს ფაქტი (გადმოსვენება) მარტვილობის არცერთ ტექსტში არ არის აღნიშნული (14: 164, 165).

დასასრულ, ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო ზ. ალექსიძე წერილში, რომელშიც მარტვილობის სინური რე-

დაქციის აღმოჩენასთან დაკავშირებით, თავმოყრილი და კრიტიკულად განხილულია ამ ძეგლის შესახებ არსებული მთელი სამეცნიერო ლიტერატურა. იგი წერს: “ფიქრობ “აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ არქექტიპის დასათარიღებლად სინურსა და ვრცელ რედაქციებში მოცემულია საკმაოდ ზუსტი რეალია. მათში ნათქვამია, რომ “ნეტარი აბიბოზ“ იყო “ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოზი (ეპისკოპოსი), ჴევისა კახეთისაჲ“. ცხადია, როდესაც იგი იწერება, კახეთი “ყოველი ქართლის“ ნაწილია, მისი ხეგია და არა დამოუკიდებელი სამეფო ან სამთავრო (VIII ს-მდე). დამახასიათებელია, რომ ასე მოიხსენიება იგი ანონიმურ “სომხურ გეოგრაფიაში“, რომელიც უეჭველად VII ს-ზე ადრინდელია.

როდესაც მოკლე რედაქცია იწერება, კახეთი უკვე დამოუკიდებელი სამთავროა და ამიტომ არის მასში “ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, სამთავროდსა კახეთისაჲ“ (VIII-ის II ნახევრის შემდეგ)“ (2: 425, 426).

ამგვარად, როგორც ვხედავთ მეცნიერთა ნაწილს აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის თავდაპირველი ტექსტი (არქექტიპი) VI საუკუნის დამლევის ან VII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლი ჰგონია (ივ. ჯავახიშვილი, ილ. აბულაძე, ბ. მარტენ-იზარი), კ. კეკელიძეს იგი IX საუკუნეში შექმნილად მიაჩნია. ზ. ალექსიძე თვლის, რომ მარტვილობის არქექტიპი VIII ს-მდეა დაწერილი, ხოლო ს. კაკაბაძე საამისოდ კონკრეტულ თარიღსაც კი უთითებს – 690-700 წლებს.

ამასთანავე ზოგს, როგორც ვიცით, არქექტიპად მიაჩნია მარტვილობის დღემდე შემორჩენილი მოკლე რედაქცია (მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, ბ. მარტენ-იზარი) ან ეს უკანასკნელი ვრცელზე უფრო ძველი ჰგონია (ე. გაბიძაშვილი).

მოკლე რედაქციის ჩათვლა არქექტიპად იმთავითვე სრული გაუგებრობა იყო ერთი უბრალო ფაქტის გამო, რომლისთვისაც არავის მიუქცევია ყურადღება.

ვრცელი რედაქციის ბოლოს ვკითხულობთ; „ამას რაჲ გითხრობ თქუენ ნეტარისა ეპისკოპოსისა აბიბოსისსა, არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუენ, ანუ ვითარ იგი დაღეწნა კერპნი და უღრმთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა მათ სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, ანუ ვითარ დედაკაცსა

მას უწინასწარმეტყუელა.. და სხუანნი მრავალნი, ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა“ (1: 194). მსგავსი ტექსტია სინურ ხელნაწერშიც, თუმცა ცუდად იკითხება და, როგორც ვიცით, ბოლონაკლულია (12: 282). ანალოგიური შინაარსის, მაგრამ ოდნავ განსხვავებულია, მოკლე რედაქციის შესატყვისი პასაჟი და იქაც იგულისხმება არსებობა „წიგნისა წამებისად“, რომელშიც აბიბოსის ბიოგრაფიის „სხუანი მრავალნი საქმენი და საკურველებანი“ იყო მოთხრობილი (1: 195). მაშ როგორღა შეიძლება, რომ მარტვილობის ე.წ. მოკლე რედაქცია იყოს არქექტიპი?

არსებობს მოსაზრება, რომ ეს მოკლე რედაქცია თითქოს ვრცელზე უფრო ძველია, კერძოდ, IX ს-ის ძველია (6: 87,88), თუმცა საამისო არგუმენტაცია არავის წარმოუდგენია.

არსებობს ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც გარკვეულ დასაბუთებას ეყრდნობა. ასე მაგალითად, ილ. აბულაძე თავის მონოგრაფიაში წერს: „ივ. ჯავახიშვილის აზრით წამების ვრცელი წიგნი მომცროსთან შედარებით ისეთ ენობრივ ნიშნებს შეიცავს, კერძოდ ზოგიერთი ტერმინის ხმარების მხრით, რომ ის უკანასკნელზე ადრინდელი ჩანს“ (1: XXVI). მართლაც, ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ „აბიბოს ნეკრესელის ცხორების მერმინდელ გარდანაკეთებში (ანუ მოკლე რედაქციაში, დ.მ.), რომელსაც მ. ჯანაშვილი შეცდომით ყველაზე უძველესად სთვლის, თითქმის ყველგან ტერმინი „სოფელი“ „ქვეყანად“ არის შეცვლილი“ (18: 400). ჩემთვის მთლად ნათელი არ არის, რის „მერმინდელ გარდანაკეთებად“ თვლის ივ. ჯავახიშვილი მოკლე რედაქციას? თუ არქექტიპისას, მაშინ ჩვენი რედაქციების ურთიერთიმართებას ამით ვერ გავარკვევთ, ხოლო თუ ვრცელისას, მაშინ ცხადია, ივ. ჯავახიშვილი ამ უკანასკნელს მოკლეზე (ანუ ილ. აბულაძისეულ „მომცროზე“) ადრინდელად თვლის. მაგრამ რა საფუძველით? თუ მხოლოდ აღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიაა საამისო საბუთი, როგორც ეს ილ. აბულაძეს ჰგონია, მაშინ ეს არგუმენტაცია, ჩემი აზრით, არაკორექტულია.

საქმე ის არის, რომ, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილმა ნათლად აჩვენა, ვრცელი რედაქციის ავტორს, მისი აზრით, კათოლიკოს არსენის, „IX ს. (თუ უფრო მერმინდელის?) მწერალს“ (18: 400) გამოუყენებია და გადაუკეთებია აბიბოს ნეკრესელის „წამების“ უძველესი, VI ს-ის დამლევს თუ VII ს-ის პირველ ნახევარში შექმნილი წიგნი, საიდანაც უცვლელად გადმოუტანია თავის ნაშრომში იმდროინდელი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია (18: 399-401). ამდენად, ეს უკანასკნელი (ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია) არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ვრცელი რედაქცია მოკლეზე ადრინდელია. ჩვენ მხოლოდ იმის მტკიცება შეგვიძლია, რომ ვრცელ რედაქციაში გამოყენებული (და უცვლელად შემონახული?) პირველწყაროა უფრო ადრინდელი, ვიდრე მოკლე რედაქცია და არა საკუთრივ ვრცელი რედაქცია.

ასე რომ, თუმცა მოკლე რედაქციის ვრცელთან შედარებით ადრინდელობის საბუთიერი მოსაზრება არავის გამოუთქვამს, მაგრამ არც საწინააღმდეგო არგუმენტაციაა აღეკვებური!

X ს-ის პირველი ნახევრის სინური ხელნაწერის აღმოჩენის შემდეგ აბიბოს ნეკრესელის წამების ვრცელი რედაქციის ავტორად არსენ II-ის (X ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწის) გამოცხადება, ცხადია შეუძლებელია, მაგრამ არ არის გამორიცხული იგი (წამების ვრცელი რედაქცია), მართლაც, იყოს „თქუმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ“ (IX ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწის), როგორც ეს თვით ვრცელი რედაქციის სათაურშია აღნიშნული (1: 188).

რაც შეეხება აბიბოს ნეკრესელის მოკლე რედაქციას, იგი საკმაო ზედმიწევნილობით შეიძლება დათარიღდეს. ტექსტში მოიხსენიება: მ. ჯანაშვილის გამოცემით: „ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, სამთავროდსა კახეთისაჲ“ (17: 26); ს. კაკაბაძის გამოცემით: „ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი სამჯროდსა (? დ.მ.) კახეთისა“ (8:43); ილ. აბულაძის გამოცემით: „ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი, სამთავროდსა კახეთისაჲ“ (1:189).

კახეთის სამთავრო არსებობდა IX-X საუკუნეებში. ასევე დათარიღდება მარტვილობის მოკლე რედაქცია. ამგვარად, ვრცელი და მოკლე რედაქციები ერთმანეთს ქრონოლოგიურად ემთხვევიან.

და მაინც ვრცელი რედაქცია უფრო ადრინდელი უნდა იყოს მოკლეზე. ამას ადასტურებს ერთი გარემოება, რომლისთვისაც აგრეთვე არავის მიუქცევია ყურადღება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვრცელი რედაქციის ე.წ. ეპილოგში (სინურში, როგორც ვიცით, აქ ტექსტი ნაკლებულია) ავტორი მიუთითებს რომ იგი აბიბოს ნეკრესელის ღვაწლის მხოლოდ მცირედს გადმოგვცემს, მოკლედ ჩამოთვლის წამებულის „საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა“ ნაწილს და დასძენს, რომ აბიბოსს გაკეთებული აქვს კიდევ სიკეთენი „სხუანი მრავალნი, ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა“ (1:194). ასევეა მოკლე რედაქციაში მცირე, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავებით: „სხუანი მრავალნი საქმენი და საკრველებანი არიან ამის წმიდისანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას წამებისა მისისასა,, (1:195; 17: 29;8: 46).

ამ ორი რედაქციის პარალელური ტექსტების შედარებიდან, მგონია, ცხადად ჩანს, რომ პირველის ანუ ვრცელი რედაქციის ავტორს „წინ უღევს“ არქეტიპი, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი აბიბოს ნეკრესელის ნამოღვაწარი, ხოლო მეორის ანუ მოკლე რედაქციის მწერალს „წინ უღევს“ სწორედ ვრცელი რედაქცია, რომელშიც აღარ იყო შეტანილი აბიბოს ნეკრესელის ბიოგრაფიის ეს ფაქტები. „წიგნსა ამას“, რომ ამბობს, თვით მოკლე რედაქციას რომ გულისხმობდეს ავტორი, ალბათ, იტყოდა: „რომელნი არა დაწვერე წიგნსა ამას“, როგორც ეს გააკეთა ვრცელი რედაქციის მწერალმა (იხ. ზემოთ): „არა თუ ყოველთა საქმეთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა გაუწყებ თქუნენ“!

ასე რომ, ჩემი აზრით, ე.წ. მოკლე რედაქცია აბიბოს ნეკრესელის მარტვილობისა არამც თუ არქეტიპზე, არამედ ე.წ. ვრცელ რედაქციაზეც გვიანდელია და დაწერილია, როგორც აღვნიშნე, არა უადრეს IX-ისა და არა უგვიანეს X საუკუნისა.



რაც შეეხება საკუთრივ არქეტიპს, მისი დათარიღება IX საუკუნით, როგორც ეს კ. კეკელიძეს მიაჩნდა, მიუღებელია უკვე იმ ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიის გამო, რომელზედაც მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი (18:399, 400) და ზემოთაც იყო გაკვრით საუბარი.

გარდა ამისა, მარტვილობის ტექსტში (ვრცელშიც, სინურშიც და მოკლემშიც) აღნიშნულია თუ აბიბოსმა „ვითარ დედაკაცსა მას უწინასწარმეტყველა შემდგომად ხოლო მისსა მოსლვაჲ ბერძენთაჲ და დაპყრობაჲ ქუეყანისა ამის ჩუენისაჲ, რომელიცა – იგი იქმნა მსწრაფლ, მისსავე დედაკაცისა ზე; მოვიდეს ბერძენნი და განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი“ (1:194; 12: 282). ე. ი. ეს ფაქტი მოხდა აბიბოსის სიკვდილის შემდეგ – „შემდგომად ხოლო მისსა.. მსწრაფლ, მისსავე დედაკაცისა ზე.“ ასე ვერ იტყოდა VI ს-ში მომხდარ ფაქტზე IX ს-ის ავტორი, რომ არ ჰქონოდა წერილობითი წყარო. ეს ფრაზა, ჩემი აზრით, უეჭველად, თანამედროვე თვითმხილველის დაწერილია.

არ არის სწორი არქეტიპის არც ს.კაკაბაძისეული დათარიღება 690-700 წლებით. საფუძვლით სამართლიანია მისი მოსაზრება, რომ მარტვილობაში შემონახული ზემოხსენებულ წინასწარმეტყველება „ათარიღებს თვით ნაწარმოებს საკმაოდ მტკიცედ“ (8:11), მაგრამ შემდგომი მსჯელობა მეცნიერისა ყოველგვარ ლოგიკასა აცდენილი (8: 12-14). წინასწარმეტყველება აბიბოსის სიკვდილის შემდეგ ბერძენების მოსვლისა და სპარსთა განდევნის შესახებ, დროში ლოკალიზებულ კონკრეტულ ფაქტს გულისხმობს და არა პროცესს გაწეილს ერთი საუკუნის მანძილზე, მით უმეტეს, როდესაც VII ს-ის მეორე ნახევრიდან ქართლში არაბები შემოდიან და ამდენად, 690-700წლებში მომხდარი ფაქტი რომ ყოფილიყო ნაგულისხმევი აბიბოსის წინასწარმეტყველებაში, როგორც ს. კაკაბაძის მსჯელობიდან გამომდინარეობს, საუბარი არაბებზე იქნებოდა და არა სპარსელებზე.

მარტვილობის თავდაპირველი წიგნი აბიბოსის სიკვდილის შემდგომ მალე უნდა შექმნილიყო იმიტომ, რომ მისი წინასწარმეტყველების სწრაფი ახდომის „ცოდნა მხოლოდ თანამედროვეს შეიძლება ჩარჩომოდა მესხიერებაში“

(18:401). სწორედ ამიტომ ათარიღებდა ივ. ჯავახიშვილი არქეტის VI ს-ის დამლევი თუ VII ს-ის პირველი ნახევრით. ვფიქრობ, თარიღის დაზუსტება უფრო ზედმიწევნითაც შეიძლება.

როდის აწამეს აბიბოს ნეკრესელი?

როგორც ვიცით, ს.კაკაბაძე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მისი სიკვდილით დასჯას დაახლოებით 550 წლისთვის ვარაუდობდა, ხოლო მარტივობის თავდაპირველ ტექსტს საუკუნენახევრით უფრო გვიან, 690-700 წლებში შექმნილად აცხადებდა.

სხვათა შორის, ამავე ხანებში გულისხმობს აბიბოს ნეკრესელის წამებას აბოგვერაძეც, რომელიც საგანგებოდ ამ საკითხს არ შეხებია, მაგრამ, სხვა პრობლემების განხილვისას, გაკვრით წერს: „აბიბოს ნეკრესელი, როგორც ჩანს ირანელებმა დაახლოებით იმ ხანებში აწამეს, როცა ევსტათი მცხეთელი დასაჯეს“ (3:74). ხოლო ევსტათის დასჯას იგი, კ. კეკელიძის მიხედვით, „არა უგვიანეს 551 წლისა“ (10:511) გულისხმობს.

კ. კეკელიძე აბიბოსის წამებას, როგორც ვიცით, 590 წლით ათარიღებდა, ხოლო მისი წამების ამსახველ წიგნს არსენ I დიდს (IX ს.) მიაწერდა (10:141,142).

VI საუკუნის დამლევეს გულისხმობდა აბიბოს ნეკრესელის დასჯას ივ. ჯავახიშვილიც (18:410).

ყველა ამ მეცნიერისათვის საამისო საფუძველია აბიბოს ნეკრესელის ზემოხსენებული წინასწარმეტყველება ბერძნების ქართლში მოსვლისა და მანამდე აქ გაბატონებულ სპარსთა განდევნის შესახებ. ამ ფაქტს უკავშირებენ 591 წელს.

საქმე შედეგშია: 590 წელს ერანში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. შაჰანშაჰი ჰორმიზდ IV გადააყენეს და თვალები დასთხარეს. მის მემკვიდრეს, ხოსრო ფარვიზს მხედართმთავარი ბარამ ჩუბინი უჯანყდება, ამარცხებს და თვით ჯდება სამეფო ტახტზე. ხოსრო გარბის ბიზანტიაში, ცოლად ირთავს მავრიკი კეისრის ქალიშვილს, 591 წელს ბიზანტიური ლაშქრის დახმარებით ამარცხებს ბარამ ჩუბინს და ხელმეორედ ჯდება ერანის ტახტზე. ამის საზღაურად იგი, პირობისამებრ, თავის სიმამრს,

ბიზანტიის იმპერატორს, უთმობს სპარსეთის იმპერიის დასავლურ პროვინციებს, მათ შორის, როგორც VII ს-ის სომეხი ისტორიკოსი გადმოგვცემს, „ქართლის დიდ ნაწილს ქალაქ თბილისამდე“ (15:245,246).

ეს უკანასკნელი ფაქტი იგულისხმება, კ. კეკელიძის მიხედვით, აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველებაში. მაგრამ ეს არ არის სწორი. ჯერ ერთი, 591 წელს ბერძნებმა კი არ „განასხსნეს აქიდან უსჯულონი იგი სპარსნი“, არამედ ხოსრო ფარვიზმა „ნებაყოფლობით“ დაუთმო მათ ეს ტერიტორია. შემდეგ, ბერძნებმა მთლიანად კი არ „დაიპყრეს ქვეყანაჲ ესე ჩუენი“, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი დაიჭირეს. დედაქალაქი და კახეთი (და, ალბათ, ქვემო ქართლიც) კვლავ სპარსთა ხელში დარჩა. ამდენად, აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება არ შეესატყვისება 591 წელს მომხდარ ისტორიულ ფაქტს. ამიტომ წამების თარიღად 590 წლის დადებაც არ უნდა იყოს სწორი.

მართლაც, ამ წელს სპარსი მარზპანი ვერ აწამებდა რეხში აბიბოს ნეკრესელს. საქმე ის არის, რომ 589 წელს შეიქმნა ბიზანტიისა და შუააზიელ თურქთა სახაკანოს ანტიერანული კოალიცია, რომელშიც ჩართული იყვნენ არაბული ტომები და ქართლის საერისმთავროც. ქართლის ერისმთავარი გუარამ კურაპალატი ქართულ-კავკასიური ლაშქრით შეიჭრა ერანში და იქ იბრძოდა (15:242, 243). 590 წელს, როგორც ვიცით თვით ერანში ხდება გადატრიალება. ასე რომ ამ წლებში, როდესაც ქართლი ბიზანტიის გავლენის ქვეშაა, ხოლო მისი ერისმთავარი კურაპალატის ტიტულს ატარებს და სპარსელებს ებრძვის მათივე ქვეყანაში, არამცთუ სპარსთა მარზპანის ჯდომა რეხში (შიდა ქართლში) და მისი ბრძანებით აბიბოსის წამება, არამედ სპარსთა ქართლში ყოფნაც სრულიად გამორიცხულია.

ამიტომ არც აბიბოს ნეკრესელის წინასწარმეტყველება და არც მისი წამება არ შეიძლება დაუკავშიროდ 590-591 წლებს.

მაშ როდის აწამეს აბიბოსი და რა მოვლენას გულისხმობს მისი წინასწარმეტყველება?

ვფიქრობ, აბიბოსის წინასწარმეტყველება დაკავშირებულია გურგენ ქართლის ერისმთავრის 571 წლის აჯანყე-

ბასთან. სწორედ ამ თარიღს უნდა უკავშირდებოდეს მარტვილობის ცნობა ბიზანტიელთა ქართლში შემოსვლისა და სპარსთა აქედან „განსხმის“ შესახებ, რომლებიც ვახტანგ გორგასლის დამარცხების შემდეგ მკვიდრად დაეუფლნენ ქართლს. მართლაც, VII-ის 70-იანი წლების განმავლობაში, 80-იანი წლების დასაწყისამდე მაინც, ქართლში ბიზანტიური ლაშქარი იდგა, რომლის გაყვანასაც სპარსული დიპლომატია ამაოდ ცდილობდა (15: 235-239). სწორედ 571 წლის „მიერთგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქართლისა“ ანუ მარზპანის გარეშე განაგებდნენ ქართლის საერისმთავროს და არა უფრო ადრე (7:113).

ზემოთქმულის საფუძველზე, მგონია, არ შეეცდებით თუ აბიბოს ნეკრესელის წამებას VI ს-ის 60-იანი წლების ბოლოსთვის ვივარაუდებთ, რადგან, როგორც ვიცით, წინასწარმეტყველება „მსწრაფლ“ აღსრულდა, შეიძლება არა ერთ წელიწადში, როგორც ამას კ. კეკელიძე ვარაუდობდა, მაგრამ რამოდენიმე წელიწადში მაინც.

დაგვრჩა იმის გარკვევა თუ როდის დაიწერა აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის არქეტიპი.

ზემოთ აღვნიშნე, რომ წინასწარმეტყველების კონტექსტი გულისხმობს მთელი ქართლის საერისმთავროს ტერიტორიის განთავისუფლებას სპარსთა მძლავრობისაგან. ეს კი, ჩემი აზრით, უცილობლად გულისხმობს, რომ თვით მარტვილობის ტექსტიც მაშინ იწერება, როდესაც ასეთი პოლიტიკური ვითარებაა. სხვათა შორის, ასევე ფიქრობდა, სავსებით სწორად, ს. კაკაბაძეც (იხ. ზემოთ). თუ ეს ასეა, მაშინ გამორიცხებულია აბიბოს ნეკრესელის წამების არქეტიპის შექმნა VI ს-ის 90-იან წლებში, როდესაც ქართლის საერისმთავროს ერთი მესამედი თუ მეტი არა, თბილისიანად 591 წლის შემდეგ სპარსთა ხელშია. მით უმეტეს გამორიცხებულია ეს VII ს-ის პირველ მეოთხედში, ერან -ბიზანტიის ომის დროს, როდესაც სტეფანოზ I-ის მემკვიდრე ადარნასეს ერისმთავრობისას, 604 წლიდან მაინც ქართლი გაერთიანებულია (15:312) და, როგორც იმდროინდელ სომეხს და ქართველ კათოლიკოსთა ცნობილი მიმოწერიდან ჩანს, ერანის შაჰს ემორჩილება. ყოველ შემთხვევაში ეს უცილობლად ასეა 606/7 წლებიდან, როდესაც ხოსრო ფარვიზ-

მა თეოდოსიოპოლი (არზრუმი) დაიჭირა (13:480;18:300). ქართლი სპარსთა ხელშია 628 წლამდე ანუ ბიზანტია -ერანის ომის დასასრულამდე. ასე რომ ბიზანტიის მფლობელობა აქ, საბოლოოდ, VIII-ის 30-იან წლებში დამყარდა. მშვიდობიანი პერიოდი გაგრძელდა 642 წლამდე, როდესაც ქართლში არაბთა პირველი მარბიელი გამოჩნდა (15:345).

დაახლოებით ამ წლებში ვარაუდობს, როგორც ვიცით, ბ. მარტენი-ზარი აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის თავდაპირველი ტექსტის შექმნას (რომელიც მისი მცდარი აზრით, „წამების“ დღემდე შემონახული ე.წ. მოკლე რედაქციაა). ეს მოსაზრება ყველა სხვა დანარჩენზე უფრო ოპტიმალურია, მაგრამ მაინც მგონია, რომ არ უნდა იყოს სწორი.

მიუხედავად კ. კეკელიძის სკეპსისისა (11:48), მარტვილობის ტექსტის კითხვისას (მე ეს ზემოთ გაკვრით აღვნიშნე) შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ იგი თანამედროვეის, კიდევ მეტი – აღწერილ მოვლენათა თანადამხდურის მიერ არის დაწერილი. ამას ივ. ჯავახიშვილიც საგანგებოდ აღნიშნავდა (იხ. ზემოთ). თუ აბიბოსის სიკვდილის თარიღს VI ს-ის 60-იანი წლების ბოლოსთვის დავდებთ, მაშინ მისი მარტვილობის ფრანგი მეცნიერის მიერ ნავარაუდები დაწერის დრომდე 60 წელზე მეტი გამოდის, რაც მაინცდამაინც არ ეთანხმება ზემოხსენებულ შთაბეჭდილებას, თანაც ამ 60 წლის განმავლობაში იმდენი რამ მოხდა ქართლში, რომ ავტორს ეს აღუნიშნავი არ დარჩებოდა.

რომ „მარტვილობა“ თანადამხდურის მიერ არის დაწერილი, ასეთ აღქმას აძლიერებს ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციის ტექსტი, რომლის ავტორი, როდესაც სპარსი მარზპანის ბრძანებით აბიბოსის დასაპატიმრებლად გამოგზავნილ „მტარვალთა“ შესახებ მოგვითხრობს, წერს: „და ამოვიდეს მივლინებული იგი მტარვალნი\* და წარიყვანეს, მრავალ-ფერითა ჭირითა მიჰყვანდა იგი“ (12:273;2: 423). სხვათა შორის მოკლე რედაქციაში ეს პასაჟი ასეა გადმოცემული: „მოვიდეს მოვლინებულნი იგი“ (1:190), რაც შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ თავდაპირველი დედანი ასეთი იყო: „და ამოვიდეს მოვლინებულნი იგი მტარვალნი“. ასეა თუ ისე, ვფიქრობ, კონტექსტი უნდა მოწმობდეს არა მხოლოდ იმას, როგორც ეს მართებულად შენიშნა ზ.

აღექსიძემ, რომ ამის დამწერი ზის ნეკრესში (2:423), არამედ იმასაც, რომ იგი თვითმხილველია ამ აქციისა.

ყოველივე ზემოთქმული, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ ავტორი გაცილებით უფრო ადრე წერდა, ვიდრე VII ს-ის 30-იანი წლებია. VII ს-ის პირველი მეოთხედი და VI ს-ის 90-იანი წლები, როგორც ვიცით გამორიცხებულია. გამოსარიცხია 80-იანი წლებიც, რამდენადაც, როგორც ნუმიზმატიკური მასალა გვაგვარაუდებინებს 580-584 წლებს შორის სპარსელებს მოუხერხებიათ ქართლზე თავისი გავლენის გავრცელება (15:239). მართალია, 589-590 წლებში ქართლი კვლავ ბიზანტიის ვასალური ქვეყანაა, მაგრამ მგონია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით VI ს-ის 70-იანი წლებია ერთადერთი შესაფერისი პერიოდი აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის შესახებ ასეთი ცოცხალი შთაბეჭდილებების განწყობის მქონე ტექსტის დასაწერად.

ამგვარად, ჩემი დასკვნა ასეთია:

1. აბიბოს ნეკრესელი აწამეს VI ს-ის 60-იანი წლების ბოლოს.

2. აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ არქეტიპი შეიქმნა VI ს-ის 70-იან წლებში.

**WHEN WAS SAINT ABIBO NEKRESELI  
MARTYRED AND THE ARCHETYPE  
ON HIS MARTYRDOM WRITTEN?**

“The Martyrdom of Abibos Nekreseli” is the most important and significant source for studying the cultural and political situation of the 6<sup>th</sup> century Kartli. According to the existing point of view St. Abibos Nekreseli was tortured at the end of the 6<sup>th</sup> century and the original book on his martyrdom (archetype) is the monument of the end of the 6<sup>th</sup> century and the first part of the 7<sup>th</sup> century. The modern interpretation of the original source makes possible correction of the above mentioned position:

1. Abibos Nekreseli was tortured at the end of the 60ies of the 6th century.
2. The archetype of the Martyrdom of Abibos Nekreseli was written in the 70-ies of the 6<sup>th</sup> century.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. აბულაძე ილ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა რედაქციები, თბ., 1955.
2. ალექსიძე ზ. „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები, კრებულში: ალექსიძე ზაზა, ქრისტიანული კავკასია, 1, თბ., 2010.
3. ბოგვერაძე ა. VI საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიის საკითხები 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში (კრიტიკული მიმოხილვა). „ანალები“, №2, თბ., 2001.
4. როსსეგ M. Additions et éclaircissements à L' Histoire le la Géorgie.St.Petersbourg, 1951.

5. გაბიძაშვილი ე. ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე.წ. არქეტიპების ურთიერმიმართებისათვის. შრომები, ტ. II, თბ., 2011.
6. გაბიძაშვილი ე. მამაცაშვილი მ. ღამბაშიძე ა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2007.
7. გოილაძე ვ. VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1979.
8. კაკაბაძე ს. ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ტფ. 1928.
9. კეკელიძე კ. საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქარლში მოსვლის შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, ტფ. 1926.
10. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1980.
11. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1950.
12. Le nouveau manuscrit géorgien sinaitique NSIN 50. Edition en facsimilé. Introduction par Z. Alekcidze. Traduite du géorgien par J-P. Mahé. Levanii, 2011.
13. არქუარტ I. Osteuropäische und ostasiatische Streifzüge. Leipzig, 1903.
14. Martin-Hisard B. Les “traize Saint pères”. Formation et evolution d’une tradition hagiographique géorgienne (VIe -XIIe siècles). revue des études Georgiennes et Caucasi-ennes, №1. Paris, 1985.
15. მუსხელიშვილი დ. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2004.
16. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილთა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
17. Джанашивили М. Г. Описание рукописей церковного музея Духовенства Грузинской Епархии, кн III, Тифлис, 1908.
18. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979.



## АНТИТЕЗА: ВНУТРЕННИЙ МИР - ВНЕШНИЙ МИР

Исследуемая проблема интересна с двух точек зрения: с одной стороны, в аспекте отношения грузин к пришедшему извне, которое основано на историческом опыте, а с другой стороны – в аспекте современности, когда Грузия, как и многие другие страны, оказалась вовлеченной в глобальный мир.

Универсальное деление мира на «внутреннее» и «внешнее» пространство формируется параллельно генезису этноса, поскольку возникновение этноса из простого единства людей, как правило, происходит в естественно или искусственно созданном изолированном внутреннем мире. У расселенных на этой территории людей уже имеются все необходимые для этногенеза предпосылки: вербальная коммуникация – собственный язык, самоназвание – этноним, являющийся носителем отличительных свойств и признаков конкретной группы людей, духовная и материальная культура, социальная структура (с присущей закрытому обществу экзогамией). Здесь же заметим, что отношения этноса с внешним миром (за некоторым исключением) наблюдаются уже на ранней ступени его развития.

Если вышесказанное рассматривать на примере истории Грузии, получим следующую картину. Согласно распространенному в новейшей научной литературе воззрению, генезис грузин, осуществленный на Кавказе в исторических пределах Грузии, следует датировать VI тысячелетием до н. э., и ранний этап их отношений с внешним миром приходится на эту же пору, что достоверно подтверждается анализом артефактов археологических культур, засвидетельствованных на территории распространения грузинской палеолексикой и расселения грузин [14:3-27], [15: 17-37], [1: 434-438; 439; 461], [2: 255-267].

Одним из аспектов отношений грузин к внешнему миру является феномен «пришедшего извне». Такая постановка проблемы имеет большое значение для осмысления как прошлого, так и современности. Дело в том, что в контексте данных истории человечества, зафиксированных и в мифологии, и в исторических

письменных источниках, становится очевидным, что пришедший во внутреннее пространство «извне» обуславливает трансформацию этого пространства – его регресс или прогресс.

Формирование концепции феномена «пришедшего извне» протекало на протяжении тысячелетий. С этой точки зрения вполне закономерно, что особое значение должно было придаваться целям и намерениям пришедшего из внешнего мира. Исходя из этого, разорительные набеги на населенный грузинами регион Кавказа пришедших извне в XII-VI вв. до н. э. сначала ассирийцев, затем урартийцев, киммерийцев, скифов, иранцев, разумеется, не могли заслужить положительной оценки. Если сделать ретроспективный анализ истории Грузии, то увидим, что численность иноплеменников, вторгавшихся в Грузию в разные периоды с целью захвата власти, весьма впечатляет. В этот длинный список входят и римляне, и византийский кесарь, и персы, арабы, монголы, турки-сельджуки, османы и единоверные русичи. Обычно всеми ими двигала одна цель: их привлекала благодатная территория, природные богатства, рабочая сила. Последствия этих захватнических нашествий для страны всегда оказывались плачевными. Уничтожалось всё: экология, интенсивное земледелие, памятники материальной и духовной культуры страны. Изменялась и ее демографическая ситуация.

По нашему мнению, негативную концепцию «пришедшего извне», из внешнего мира, наиболее четко сформулировал еще автор XI века Леонтий Мровели, который, в отличие от «Мокцеваи Картлисаи» («Обращение Грузии»), первым царем Картли объявил Фарнаваза [3: 36-46].

Сопоставительный анализ сведений грузинских исторических источников – «Мокцеваи Картлисаи» и сочинения Леонтия Мровели – приводит нас к заключению, что противостояние Фарнаваза и Азо (Азона, Азове) органически связано с проблемой внутреннего и внешнего мира в борьбе за власть. В данном случае для нас особенно примечательно то, что Фарнаваз, по свидетельству Леонтия Мровели, первый царь Картли, родом из самой Картли («по отчеству картлиец»), уроженец внутреннего пространства – Мцхета, а Азо (Азон, Азове) приведен Александром Македонским из Ариан-Картли, то есть из другой Картли, из внешнего пространства. Независимо от того, какой гипотезы

локализации Ариан-Картли мы будем придерживаться (Страбонской «Мосхике», или исторической Юго-Западной Грузии, Каппадокии, Средней Азии), она все-таки подразумевает иное пространство, находящееся за пределами Шида (Внутренней) Картли [4: 348-361; 383-403]. Антитеза внешнего и внутреннего пространств, где «внутреннее» – позитивное понятие, а «внешнее» – негативное, отчетливо проявляется и в представленных Леонтием Мровели портретах Фарнаваза и Азо – образах-антиподах. Фарнаваз – созидатель, Азо – разрушитель; Фарнаваз – носитель энергии любви, Азо – носитель ненависти, «жаждущий крови» [3: 36-46]. Фарнаваз благословлен богом, он воздвиг идол Армази, возле которого и похоронен, а Азо далек от богов. Согласно обоим вышеупомянутым летописям, возведение в Картли идолов Гац и Га связано с именем Азо, но после вынужденного бегства Азо из Картли мы больше не видим его близости со своими божествами. Напротив, он погибает вдали от них, а Гац и Га занимают место рядом с Армази [5: 258-261].

В контексте власти феномен «пришедшего извне» имеет и другой отличительный аспект. Как свидетельствуют проведенные разыскания и исследования, пришедшим извне не всегда является тот, кто переступает границы государства. Когда Грузия распалась на самепо (царства) и самтавро (владетельные княжества), или, иначе говоря, на множество малых «Грузий», и каждая политическая единица осмысливала себя в собственных пределах, пересечение границ соседнего царства или княжества с враждебными намерениями также заслуживало негативной оценки. К сожалению, история Грузии знает немало таких примеров.

Если осмыслить в целостности всё вышесказанное, вполне естественным окажется то отношение, которое фиксируется относительно внешнего мира в грузинских мифах, сказаниях, фольклоре, лексике, например обороты речи (присказки) типа: «чири ика, лхини ака, като ика, пквили ака» (букв.: «горе там, радость здесь, отруби там, мука здесь»); «чемс венахши курдзенио, схвис венахши пурцелио» (букв.: «в моем винограднике виноград, в чужом винограднике листочек»); «чири ик цагвигиа, лхини ак мовитаниа» (букв.: «горе мы отнесли туда, радость принесли сюда») и т. д. [6: 36-56], [7: 140].

На наш взгляд, заслуживает внимания и то обстоятельство, что со внешним миром, как правило, ассоциируется термин **«уцхо»** («не своё, другое, чужое, чуждое»). В этом плане грузинская лексикографическая литература предлагает нам интересные примеры. Согласно толкованию Сулхан-Саба Орбелиани, **«уцхо»** означает принадлежность «другой стране» («чужестранец»), **«уцхотесли»** (букв. «чужое семя») означает принадлежность «другому роду» («чужеродный»), **«уцхотоми»** (букв. «чужого рода-племени») является синонимом «уцхотесли» («иноплеменник») [8: 177]. По нашему мнению определенный интерес представляют и данные этнографии горной Грузии, а именно характерные для социальной системы этого региона антитеза **«мквидри»** («коренной») – **«мосули»** («пришедший извне») [9: 9-35].

Примечательно и то, что чужой, или пришедший извне, может и не быть завоевателем, но его приход в любом случае обусловлен определенной целью. Если взглянуть на нашу историю с этой точки зрения, получим следующую картину. Еще в последние века II тысячелетия до н. э. в Восточном Причерноморье появились эгейские (греческие) купцы, которые, в отличие от Северного Причерноморья, основывали здесь не греческие полисы и колонии, а греческие эмпории, или торговые центры. Их, разумеется, мы не причисляем к захватчикам. В этом случае деятельность пришедшего извне была обоюдодополнительной, поскольку способствовала развитию экономических отношений региона с внешним миром [10: 161-261]. Нельзя не вспомнить пришедших извне европейских католических миссионеров, занимавшихся в Грузии распространением католичества, но в то же время имевших здесь экономические интересы [11: 83-125]. Их деятельность в Грузии началась еще в XIII веке (друг друга сменяли доминиканцы, францисканцы, театинцы) [12: 95-111]. В позитивном контексте следует рассматривать и появление в Грузии европейских и восточных путешественников, что, несомненно, благотворно влияло на имидж страны [13: 5-51]. Хотя они тоже преследовали определенные цели.

Говоря о феномене пришедшего из внешнего мира, в самом положительном контексте все же следует рассматривать приход в Грузию и деяния тринадцати ассирийских отцов. Несмотря на то, что вопрос их этнической принадлежности в научной литературе

остаётся предметом дискуссий, они бесспорно внесли неизмеримый вклад в дело укрепления в Грузии христианского вероучения и заложили основу монастырского строительства.

Размышляя о проблематике феномена «пришедшего извне», естественно, мы не должны забывать вопрос репатриации наших соотечественников. При оценке данного процесса, конечно, необходимо учитывать как мотивацию их ухода (перемещения) из страны, так и мотивацию возвращения на родину. С этой точки зрения, как правило, однозначно положительной оценки заслуживают люди, покинувшие страну с целью получения за границей соответствующего образования, осуществления научно-исследовательских работ и разысканий, освоения инновационных технологий с тем, чтобы обретенные там знания использовать в дальнейшем на благо своей страны. Тем более что мы имеем множество подобных примеров (Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Иванэ Джавахишвили, Эквтимэ Такашвили, Петрэ Меликишвили, Иванэ Тархнишвили и многие другие). Этот опыт следует учитывать и сегодня.

Несмотря на то, что с точки зрения коммуникации мир стал более открытым и доступным, на современном этапе развития человечества антитеза – внутренний и внешний мир – по-прежнему остаётся реальностью, что совершенно закономерно. Только благодаря её существованию и правильному восприятию возможно сохранение и регулирование внутреннего пространства.

**ANTITHESIS: INNER WORLD – OUTER**

The universal point of view of division of the world into “outer” and “inner” spaces comes into being already at the time of the genesis of an ethnos, as the formation of an ethnos from a mere unity of people, as a rule, takes place in an isolated inner world, created naturally or artificially. The persons settled on the given territory already have all the necessary prerequisites for ethnogenesis: verbal communication – their own language, the self-name – ethnonym, which carries features of distinctiveness of a particular group of people, the spiritual and material culture, social structure (with exogamy, typical of the closed society). The relations of an ethnos with the outside world (with some exceptions) are observable already at an early stage of its development.

The authors share the view, widespread in the recent scholarly literature, about the genesis of the Georgians, which took place in South Caucasia within the historical boundaries of Georgia and should be dated to the 6th millennium BC). The early stage of relations with the outside world is presumable in the same period, which is confirmed by the analysis of artifacts of the archaeological cultures brought to light on the territory of settlement of the Georgians.

As a result of the conducted research, the authors arrive at the conclusion that one of the aspects of the attitude of the Georgians towards the outside world is the phenomenon of those having come from outside. To pose the question from this viewpoint is important for interpretation of the past as well as the modern period.

As a result of the retrospective analysis of the history of Georgia it is demonstrated that those having come from outside cause transformation, regress or progress of the inner space.

The conducted research is interesting in two ways: on the one hand, from the viewpoint of the attitude of the Georgians towards those having come from outside, which is based on historical experience, and, on the other hand, from the modern viewpoint, when Georgia as well as many other countries have found themselves involved in the global world.

### Использованная литература:

1. Джапаридзе О. Основные вопросы археологии Грузии (статьи, очерки, воспоминания). – Тб., 2012. – Груз.
2. Гиоргадзе Г., Хазарадзе Н. Этногенез грузинского народа и древневосточный этнокультурный мир // Хазарадзе Н. Кавказско-ближневосточный мир. – Тб., 2011. – Груз.
3. Картлис цховреба. – Тб., 2011. – Груз.
4. Хазарадзе Н. Древневосточно-картвелологические разыскания. – Тб., 2001. – Груз.
5. Цуцкиридзе Д. Фарнаваз/Азо в контексте системы национальных ценностей // Труды Международной картвелологической научной конференции. – Тб., 2011. – Груз.
6. Сургуладзе И. Миф, культ, ритуал в Грузии. – Тб., 2003. – Груз.
7. Сванские сказки. – Тб., 1991. – Груз.
8. Сулхан-Саба Орбелиани. Сочинения. Т. IV-2. – Тб., 1966. – Груз.
9. Эриашвили Ж. Древнейшие социально-религиозные институты в горных районах Грузии. Тб., 1982. – Груз.
10. Инадзе М. Вопросы истории древней Колхиды. – Тб., 2009. – Груз.
11. Папашвили М. Отношения Грузии и Рима. – Тб., 1995. – Груз.
12. Папашвили М. Прошлое, настоящее и будущее отношений Грузинской православной церкви и действующей в Грузии католической церкви // Исторические вертикали. – 2008. – № 14. – Груз.
13. Бердзенишвили Д. Грузия глазами иностранцев. – Тб., 2010. – Груз.
14. Мухелишвили Д. Происхождение Грузин. Тб., 2010.
15. Мухелишвили Д. Происхождение Грузин. В книге «История Грузии». Тб., 2012.

## ნესტორიანები კავკასიაში

## ღვინის I კრება

ღვინის 506 წლის კრებაზე უკვე წამოიჭრა ნესტორიანთა საკითხი, თუმცა თვითონ ნესტორიანები კავკასიაში ჯერ არ გამოჩენილან. საქმე ის იყო, ბიზანტიის კეისარ ზენონის (474-491) მიერ დიოფიზიტა და მონოფიზიტა შემარიგებელი ჰენოტიკონის (482) გამოცემამ დააბნია ირანის ხელისუფლება. იგი ტრადიციულად მხარს იმ ქრისტიანულ მრწამს უჭერდა, რომელსაც ბიზანტია ებრძოდა. ამიტომ ირანის ქვეშევრდომმა ქრისტიანებმა, რომელთა შორის უმეტესობა სირიელი უნდა ყოფილიყო, სთხოვეს კავად მეფეს, რომ გაეშვა ისინი კავკასიაში, რათა დაემტკიცებინათ, რომ მათ ისეთივე სარწმუნოება აქვთ, როგორც სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს. კავად მეფემ გამოაგზავნა კავკასიაში დელეგაცია იმის გასაგებად, თუ რა მრწამსს უჭერდნენ მხარს კავკასიელი ქრისტიანები. დელეგაციის საბედნიეროდ ყველა ეს ეკლესია შეკრებილი იყო ღვინში ბერძნებთან ერთად.<sup>1</sup>

ძნელი გასაგებია, რა მრწამსს მისდევდნენ სპარსეთიდან წამოსული ქრისტიანები, იმდენად ზოგადია ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის მიერ გადმოცემული მათი მრწამსი. სავარაუდოა, რომ ისინი მონოფიზიტები არიან, მაგრამ ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ არაფერს ამბობენ. ვერ იქნებიან ისინი იაკობიტები (იაკობ ბარადეის მიმდევრები) და ვერც იულიანიტები (იულიანე ჰალიკარნასელის მიმდევრები, აუთარტოდოკეტები), რადგან ჯერ ცოტა ადრეა მათი მოძღვრებისათვის. ერთი, რაც სრულიად გარკვევით ჩანს არის ის, რომ ისინი ანტინესტორიანები არიან.

<sup>1</sup> ზ. ალექსიძე, მასალები ღვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის: ზ. ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია, I, თბ., 2010, გვ. 132-133.



პეროზ მეფის 27-ე წლიდან (484) დაიწყო სპარსეთში ბიზანტიიდან დევნილი ნესტორიანების გაძლიერება და დევნა სხვა მრწამსის მიმდევარი ქრისტიანებისა:

“ეს სარწმუნოება (ნიკეის 325 წლის მსოფლიო კრებისა ზ.ა.) ჰქონდა ნამდვილად მთელ ჩვენ ქვეყანას ერთხმად და სრულიად არავითარი ცოდვა არ გამოჩენილა პეროზის მეფობის 27-ე წლამდე. ხოლო მაშინ გამოჩნდა ბოროტების ცომი, რომელიც დამალული იყო უწმინდურ სულებში... გავრცელდა ეჭვიანობა და დასნეუდნენ მრავალნი საშინელი სენით იქამდე, რომ ადგილ-ადგილ კრებებს იწვევდნენ ხან გუნტშაპუჰში, ხან ასორესტანში<sup>2</sup>, აკაკი, ბარ-წუმა, მანი, იოჰანან, პავლე, მიქა და სხვა მოზირენი *ნესტორის*, დიოდორისა და თეოდორიტის გამონათქვამებსა და უღმრთოებას უღრმავდებოდნენ და ამნაირი საქმიანობით მთავართა და მსაჯულთა წინაშე დიდ გარჯასა და საფრთხეში გვაგდებდნენ ჩვენ და ყველა მართლმადიდებელს ჩვენს ქვეყანაში. ვეღარ შევძელით ასეთი ბოროტი, საშინელი და მწარე შეურაცხყოფის ატანა და ვიზრუნეთ, რომ მეფისათვის გვეცნობებინა, მოვალწიეთ თქვენამდეც, იმავე საფრთხისა და შევიწროების გამო.”<sup>3</sup>

საინტერესოა, რომ სომეხებს (ალბათ ქართველებსა და ალბანელებსაც) არა მარტო პირდაპირი კონტაქტი არა ჰქონიათ ნესტორიანებთან, არამედ მათი მოძღვრების შესახებაც ბევრი არაფერი სცოდნიათ და ყველაფერს ირანიდან ჩამოსული დელეგაციისგან იგებენ (“ზოგი ზეპირ და ზოგი წერილობით”). ბაბგენ სომეხთა კათალიკოსი ირანის ქვეშევრდომ ქრისტიანებს სწერს:

“თქვენმა მოციქულებმა, ძმებმა შამუელ მონაზონმა, შმავონ ხუცესმა და სხვა მათმა მოყვასებმა გვითხრეს, რომ ბაბე ასორესტანის კათალიკოსი (498-503 ზ.ა.) და სხვა ნესტორიანი ეპისკოპოსები ამბობენ: ორი ძე ჰყავსო ღმერთს – ერთი ღმერთი-სიტყვა, თანასწორი მამისა, რომელიც გარდამოვიდა ზეცით, და მეორე იესუ, ჩვენს მსგავსად მოკვდავი კაცი, რომელიც მარიამისგან იშვა და, რად-

<sup>2</sup> იგულისხმება 484 წლის ბეთ-ლაპატის კრება.

<sup>3</sup> მასალები, გვ. 126.

გან განმართლდა ყველა კაცზე მეტად, პატივი დაედო და მადლით ეწოდა სახელით ოდენ ძე ღმრთისა და არა [ნამდვილი] ძე ღმრთისა; მამის სწორი კი არა, არამედ კაცი იყო ქმნილი, მოკვდავი ჩვენსავით, და რადგანაც სული წმიდა შეეწია... ღირსი შეიქნა მადლისა, ყოფილიყო ღმრთის სიტყვის ტაძარი...“<sup>4</sup>

ყურადღების ღირსია ისიც, რომ არა მარტო კავკასიის ეკლესიებმა არ იცოდნენ არაფერი ნესტორიანების მრწამსის შესახებ, არამედ ნესტორიანებსაც ბევრი არაფერი სცოდნიათ მათი და, დამატებით, ბერძენთა მრწამსის შესახებ:

“ასე ამბობენ (ნესტორიანები – ზ. ა.), ბერძენებს, სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს იგივე სჯული და სარწმუნოება აქვთ, რაც ჩვენათ. ეს შევიტყვეთ მათგან (ირანის ქრისტიანთაგან ზ. ა.), თუ [რას] ამბობენ ნესტორიანები”<sup>5</sup>

არც არის გასაკვირი, რადგან ბიზანტიის ეკლესიასა და ხელისუფლებაში კალეიდოსკოპურად იცვლებოდნენ ერთი ან მეორე მრწამსის მიმდევრები მესხეთე საუკუნის მეორე ნახევარში და, სურვილის შემთხვევაში, ზენონის “ჰენოტიკონის” წაკითხვაც შეეძლო ყველა მხარეს თავის სასარგებლოდ. ეს საკითხი კავკასიის ეკლესიების მიმართ უკვე გამოკვლეულია და მკითხველს შეუძლია შესაბამის ნაშრომს გაეცნოს.<sup>6</sup>

ბაბგენის მეორე ეპისტოლე დაწერილია მას შემდეგ, რაც „სპარსელი მართლმადიდებლები” მიიქცნენ სამშობლოში, ნესტორიანებმა არ მოიშალეს მათი დევნა-შევიწროება და სიმეონ [ბეთ-არშამელი] კვლავ დაბრუნდა სომხეთში ახალი წერილის წასაღებად (დაახლოებით 510 წლამდე). არის მეორე მიზეზიც მათი დაბრუნებისა ბაბგენთან: მისი პირველი ეპისტოლე, ზენონის “ჰენოტიკონის” მიმდევრობის გამო, იმდენად ბუნდოვანია მრწამსის გადმო-

---

<sup>4</sup> იქვე, გვ. 127-128.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 128.

<sup>6</sup> მასალები, გვ. 131-144.

ცემის თვალსაზრისით, რომ ცხადია, ვერც კავადს დააჯერებდნენ რაიმეში და ვერც ნესტორიანებს.

მეორე ეპისტოლეს შედგენისას მდგომარეობა არსებითად განსხვავდება. სომხეთის ეკლესიის მესვეურები უკეთ არიან გარკვეული თანადროულ რელიგიურ სიტუაციაში და მხარს, თუმცა ჯერ კიდევ შემარიგებლურ დონეზე, მაგრამ მაინც უფრო მონოფიზიტობას უჭერენ.

## დვინის I და II კრებებს შორის

ბაბგენ კათალიკოსის ეპისტოლეების შემდეგ დვინის II ადგილობრივ კრებამდე დოკუმენტურად არაფერი ვიცით კავკასიაში ნესტორიანების გამოჩენის შესახებ. არის ერთადერთი, მეტი რომ არა ვთქვათ საეჭვო ცნობა, რომელიც შეგვიძლია ამოვიკითხოთ თომას არწრუნის “არწრუნთა სახლის” ისტორიაში:

“პეროზ მეფეთა მეფის დროს (459-484) იყო ერთი [კაცი], ნესტორის სარწმუნოებისა, სახელად ბარწუმა, რომელსაც ეპისკოპოსის სახელი ჰქონდა და ძლიერი მიმდევარი იყო ნესტორიანული წვალებისა. მან დააბეზდა სომეხი ნახარარები პეროზთან და ბევრი სისხლიანი ბოროტება მოიმოქმედა.

იმ დროს წმიდა გრიგორის საყდარი ამაყად და დიდებით ეპყრა უფალ ქრისტაფორს, სომეხთა კათალიკოსს (539-545). მან მისწერა ასორისტანის მხარეში გაფრთხილებით, რომ არ გაკარებოდნენ ნესტორიანებს, იგივე მისწერა ხუჟასტანში მართლმადიდებლებს, აგრეთვე მისწერა დერჯანის მხარეში და ხალდეის ხევში მცხოვრებთ, ქვეყნის მპყრობელ უფალთ და ეპისკოპოსებს.

ბარწუმამ მოტყუებით ჩაიგდო ხელთ ეს წერილები და მიუტანა მეფე პეროზს და უთხრა: ეს ყოველივე, რაც დაწერა სომეხთა კათალიკოსმა შენს წინააღმდეგ ასაჯანყებლად არის და სომეხი ნახარარების წასაქეზებლად, რომ ბიზანტიის მეფეს დაემორჩილონო.”

შემდეგ, აგრძელებს თომას არწრუნი, ბარწუმა ჩავიდა სომხეთში, არზნარზიუნსა და მოკელთა ქვეყანაში, რათა ენახა, როგორ “იხარა ნესტორიანთა თესლმა”. იმ ხანებში

მოკელთა ქვეყანაში იმყოფებოდა ისტორიკოსი ელიშე (დაახლოებით 410-475 წწ.), რომელსაც მოტყუებით გამოართვა წიგნი “ვარდანისა და სომეხთა ომის შესახებ”. ამასობაში არწრუნთა დიდმა იშხანმა მერშაპუჰმა უბრძანა ბარწუმას, დაეტოვებინა სომხეთი. ელიშე რშტუნიქში იმყოფებოდა და იქვე გარდაიცვალა. ამით ისარგებლა ბარწუმამ და დასაჯა არწრუნთა საგვარეულო: ელიშეს ნაშრომიდან ამოხია ის ფურცლები, სადაც არწრუნები იყვნენ განდიდებულები, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანობისთვის თავგანწირულნი.<sup>7</sup>

მხოლოდ თარიღებსაც რომ დავხედოთ, დავინახავთ, როგორ ქრონოლოგიურ, თითქმის ერთ საუკუნოვან, აღრევასთან გვაქვს საქმე და მთელი ისტორია თომას არწრუნის შეთხზულია. არცერთი სხვა წყარო, რომელიც ეხება სომეხთა კათალიკოსს ქრისტაფორ პირველს, მიუხედავად იმის, რომ მათ (იოანე დრასხანაკერტელის “სომხეთის ისტორია”, სტეფანოს ტარონელის “მსოფლიო ისტორია”) ასახელებს ენციკლოპედია “ქრისტიანული სომხეთი”,<sup>8</sup> არ იხსენიებს მის მამხილებელ წერილებს “შუამდინარეთში, სპარსეთსა და ზემო სირიაში”.<sup>9</sup> არაფერს ამბობენ სხვა წყაროები, აგრეთვე, ბარწუმას აქტივობის შესახებ სომხეთში. ცხადია, ამას მოიხსენიებდნენ ნერსეს მეორე სომეხთა კათალიკოსი და სირიელი იულიანიტები, რომლებიც ქრონოლოგიურად მასთან ძალიან ახლოს იყვნენ და ასეთი არგუმენტები სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ.

---

<sup>7</sup> Թովմայի վարդապետի արժույնսյ Պատմութիւն Տան Արժույնեաց, Ս. Պետերբուրգ, 1887, A facsimile Reproduction with an Introduction by Robert W. Thomson, Delmar, New York, 1991 გვ. 80-81; Thomas Artsruni, History of the House of the Artsrunik, Translation and Commentary by Robert W. Thomson, Detroit, 1985, გვ. 147-148.

<sup>8</sup> საინტერესოა, რომ ენციკლოპედია “ქრისტიანული სომხეთი” სწორედ თომას არწრუნის “არწრუნთა სახლის ისტორიას” არ უთითებს მის მიერ დასახელებულ წყაროებში.

<sup>9</sup> ერთადერთი შეფასება ქრისტაფორესი გვაქვს სტეფანოს ტარონელთან (ასოლიკი), რომელიც მას ფილოსოფოსს უწოდებს (იხ. Ստեփանոսի Տարոնացոյ Ստոլկան Պատմութիւն տիեզերական, Երկրորդագրութիւն, Ս. Պետերբուրգ, 1885, გვ. 81.

თომას არწრუნის ცნობას თუ გავათავისუფლებთ უხეში ქრონოლოგიური აღრევისაგან, მივიღებთ, რომ VI ს-ის 30-იან წლებში სომხეთის დასავლეთ საზღვრებთან უკვე გამოჩენილან ნესტორიანები. რა თქმა უნდა, კავკასიაში მათ დამკვიდრებას დიდი დრო დასჭირდებოდა და ამას უკვე კარგად გვიჩვენებს დვინის II კრებისა და შემდგომი პერიოდის მასალები.

### დვინის II კრება და ნესტორიანები

VI ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში სომეხთა კათალიკოსმა ნერსეს II აშტარაკელმა (548/549-556/557) მიიღო სირიელი იულიანიტებისგან წერილი, რომელშიც ისინი აუწყებენ, რომ განიცდიან დევნას ჭეშმარიტი სარწმუნოების გამო, სთხოვენ ეპისკოპოსად დაასხან ხელი აბდიშო მღვდელს და ამასთანავე აცნობენ თავიანთ მრწამსს, რომლის მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ისინი იულიანე ჰალიკარნასელის მიმდევრები არიან. თუ ვისგან იდევნებიან, ისინი პირდაპირ არ ასახელებენ, მაგრამ როდესაც მწვალებლებს ჩამოთვლიან, აშკარა ხდება, რომ გულისხმობენ ნესტორიანებს, ვინაიდან სიის თავში ნესტორს ასახელებენ:

“შევაჩვენებთ ბილწ ნესტორიოსს, თეოდოროსს და დიოდოროსს, მათ ნაწერებს და მათ თანამოაზრეთ – ბარწუმა მწბინელს და მათ ბილწ კანონებს, თეოდორიტოსს, ქალკედონის კრებას და ლეონის ტომარს, და აპოლინარისს, ეგტიქოსს და სევეროსს და მათ განმრყენულ ნაწერებს”.<sup>10</sup>

ცხადია, ჩამოთვლილთაგან ყველა ნესტორიანი არ არის და ზოგი მათგანი (მაგ., ეგტიქე და სევეროსი) მონოფიზიტიც კია, მაგრამ იულიანიტები ყველას ერთ ქვაბში ათავსებენ, თუ კი ისინი მაცხოვრის ხორცს ხრწნადად მიიჩნევენ.

---

<sup>10</sup> Գիրք թղթոց, Թիֆլիս, 1901, შემდგომში, Գիրք թղթոց [I], გვ.53; Գիրք թղթոց, Երկրորդ հրատարակություն, Երուսաղեմ, 1994, შემდგომში, Գիրք թղթոց, [II], გვ. 174.

ნერსეს აშტარაკელი საპასუხო ეპისტოლეს უგზავნის სირიელ იულიანიტებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრება ხელს დაასხამს აბდიშო ასურს ეპისკოპოსად და იგი თავის ქვეყანაში დაბრუნდება. სომეხთა კათალიკოსი აცნობს სირიელებს თავისი ეკლესიის მრწამსს, საიდანც ჩანს მისი და ეპისკოპოსების მხარდაჭერა იულიანიტობისა. იგი გმობს იმავე ერესებს და ერესიარქებს, ნესტორით სათავეში, რომლებიც დაგმობილი ჰყავდათ ასურელ იულიანიტებს. საყურადღებოა, რომ ნერსეს აშტარაკელი არაფერს ამბობს სომხეთში ნესტორიანთა არსებობისა და მათთან ბრძოლის შესახებ.<sup>11</sup>

ნერსეს აშტარაკელს პასუხი გასცა აბდიშო ასურმა. მის წერილში განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა იმ რეაქციაზე, რაც ნესტორიანებს ჰქონდათ სომხეთის პატრიარქის ეპისტოლესთან დაკავშირებით:

“შეიკრიბნენ ერთად (ნესტორიანები – ზ.ა.), რათა გამოეცხადებინათ ჩვენთვის ბრძოლა და მოითათობირეს ერთმანეთში ჩემს შესახებ: «თუ ეგ სომეხთა კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მიერ არის ხელდასხმული, მამასახლისებთან და სხვა ქვეყნის მთავრებთან ერთხმად, და უბრძანეს, რომ ჩვენთან არ ეზიარონ, ხოლო მეფეთა მეფის ბრძანებაა, რომ ყველას თავისი სარწმუნოება უნდა ჰქონდეს, ვაითუ, როდესაც ჩვენ მას ვებრძვით და ვაწუხებთ, მან სომხებს აცნობოს, ხოლო სომხებმა მეფეთა მეფეს ამაზე მიუთითონ და ჩვენ ცუდ ხიფათს გადაგვეყაროთ». ამის შიშით დადუმდებიან და ჩვენც ცუდად არ მოგვექცვიან».<sup>12</sup>

როგორც ვხედავთ, არც ამ წერილიდან ჩანს სომხეთში ან კავკასიის რომელიმე სხვა ქვეყანაში ნესტორიანების გამოჩენის შესახებ, ჯერ კიდევ მხოლოდ დასავლეთი სირიის შესახებ არის მხოლოდ ლაპარაკი. დვინში 550-იანი წლების დასაწყისში სომეხი სამღვდელთა პირველმა შეკრებამ, როგორც ჩანს, მხოლოდ აბდიშოს ხელდასხმის აქტი შეასრულა და, შესაძლოა, კიდევ რაიმე ადგილობ-

<sup>11</sup> Գիրք թղթոց [I], გვ.55-58; Գիրք թղթոց [II], გვ. 176-180.

<sup>12</sup> Գիրք թղթոց [I], გვ.60; Գիրք թղթոց [II], გვ. 162.

რივი პრობლემები მოაგვარა. აბდიშოსთვის ეს არ არის საკმარისი და განაგრძობს სომხეთის კათალიკოსის შეგონებას ნესტორიანებთან დაკავშირებით.

აბდიშოს შემდეგი წერილი ნერსეს სომეხთა კათალიკოსისა და მერშაპუჰ ტარონისა და მამიკონიანთა ეპისკოპოსის მიმართ უკვე პირდაპირ ნესტორიანთა შესახვევებლად არის დაწერილი:

“თქვენ თვითონ უწყით, რაც მოგწერეთ მე თქვენ და თქვენ კიდევ მე: არა მხოლოდ ჭეშმარიტი სარწმუნოების სიმტკიცისათვის, არამედ შეჩვენებისთვის მატყუარა მწვალებელთა, *განსაკუთრებით ბილწი ნესტორისა და ქალკედონის კრებისა* და სევერიოს ხრწნადობის მქადაგებლისა, რომლებიც ჭეშმარიტად შეიჩვენებიან ამიერიდან ყველგან, ვინაიდან ისინი არიან ამამღვრეველნი ღმრთის ეკლესიისა”.<sup>13</sup>

არ ვიცი, არსებობდა, თუ არა ნერსეს სომეხთა კათალიკოსის მიერ აბდიშოსთვის გაგზავნილი კიდევ სხვა რამ ეპისტოლე, მაგრამ იმაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ასეთი არაფერი წერია.

რადიკალური ნაბიჯები ნერსესს ჯერ კიდევ არ გადაუდგამს, ჯერ კიდევ არ მოუხდენია აბდიშოს მასზე ასეთი გავლენა იმ მასალის მიხედვით, რაც დღეისათვის ცნობილია. ნერსეს სომეხთა კათალიკოსი აქამდე დაწერილ წერილებში გამოხატავს ნესტორიანობას, მაგრამ სომხეთის ტერიტორიაზე პრობლემა ჯერ არ გადააქვს, ჯერ კიდევ არა “გოდებს”, ჯერ კიდევ არა “დვენის და წყევლის” ნესტორიანებს, რომელთაც შეუძლიათ “გახრწნან თავისი ბილწი სწავლებით” სომხური სარწმუნოება.

როგორც ჩანს, აბდიშო ჯერ კიდევ არ არის კმაყოფილი, რომ ნერსესმა ნესტორიანებთან ბრძოლის ფრონტი სომხეთის ტერიტორიაზე არ გადაიტანა. ამის შემდეგ იგი კიდევ ორ წერილს უგზავნის ნერსეს სომეხთა კათალიკოსს, ერთს საკუთრივ ნესტორიანთა მწვალებელთა შესახებ, ხოლო მეორეს – საერთოდ მწვალებელთა შესახებ. ეს ორი წერილი უკვე რადიკალურია და ცალკე გამოყოფით

---

<sup>13</sup>Գիրք թղթոց [I], გვ.62; Գիրք թղթոց [II],გვ. 184-185.

წყველის ყველა ერესიარქს, თუმცა ნესტორს, რომლის მიმდევრებთანაც უშუალო შეხება აქვს, მაინც ყველაზე მეტად ერჩის: “უმეტესად ვწყევლით ბილწ ნესტორს”.

აბდიშომ მიაღწია საწადელს და ნერსეს კათალიკოსს ნესტორიანებთან ბრძოლის ფრონტი სომხეთის ტერიტორიაზე გადაატანინა. კათალიკოსმა მისწერა “ბრალდების ეპისტოლე” ცხრა სომეხ ეპისკოპოსს, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს იმ კრების მუშაობაში, რომელზედაც ნერსესმა აბდიშო ასურს ხელი დაასხა ეპისკოპოსად. ტრადიციული მოკითხვის შემდეგ კათალიკოსი თავის ეპისკოპოსებს წერს შემდეგ სიტყვებს:

“[გწერთ] წყეული ხუჯიკი ნესტორიანების შესახებ, რომლებიც დამკვიდრნენ ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობის მომიზეხებით და ახლა ბოროტგანმზრახი სიბილწით აღსავსე დაწყევლის ხელოვნებით მათი სულელები ჩვენსაზე ზემოქმედებენ, როდესაც მათი ბილწი სარწმუნოების წინამძღვარი არაეპისკოპოსი მოვიდა და ჩვენი განმანათლებელი, მართლმადიდებელი და მტკიცე სარწმუნოების დამაბრკოლებელ ზედამხედველად დააყენეს”.<sup>14</sup>

“ბრალდების წერილიდან” კარგად ჩანს, როგორი სიტუაციაც შექმნილა სომხეთში უკანასკნელ ხანებში. სპარსელი ნესტორიანები ადრევე ყოფილან სომხეთში “დამკვიდრებულნი” “ვაჭრობის მომიზეხებით”. აქამდე ისინი სარწმუნოების საკითხებში არ აქტიურობდნენ და სომხეთის საკათალიკოსოც მათ ყურადღებას არ აქცევდა. ალბათ ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, მოქმედებდა დვინის I კრებაზე მიღებული ზენონის “ჰენოტიკონი”. მაგრამ აი, ჩავიდა სომხეთში მათი სულიერი წინამძღვარი, სირიელი ეპისკოპოსი (“არაეპისკოპოსი”) და გართულდა სიტუაცია.

როგორც აბდიშო ატყობინებდა ნერსესს, მისმა წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სირიელ ნესტორიანებსა და სევერიანებზე. ნესტორიანები შეფიქრიანდნენ, ვაი თუ სომხებმა სპარსეთის მეფეთა მეფე ჩვენს საწინააღმდეგოდ განაწყოსო. სევერიანებიც ამბობდნენ, რომ ჩვენ წავალთ სომხეთში, რომ მათ კათალიკოსსა და ეპისკო-

<sup>14</sup> Գիրք թղթոց [I], გვ.70; Գիրք թղթոց [II], გვ. 196-197.



პოსებს გავაგებინოთ ჩვენი მრწამსიო. როგორც ჩანს, ასეთმა განწყობილებებმა გამოიწვია “ახლა” სომხეთში ნესტორიანი ეპისკოპოსის ჩასვლა. ნერსეს სომეხთა კათალიკოსი აგრძელებს თავის წერილს განმდგარი ეპისკოპოსების მიმართ:

“მათ (ნესტორიანთა) საქმეებზე ადრე ჩვენ და ჩვენი ქვეყნის ტანუტერებმა და აზატებმა ერთხმად წერილობით გიბრძანეთ სასწრაფოდ დვინში, წმიდა ეკლესიაში შევეკრებილიყავით და აქ თანხმობით ღმრთის სათნოდ მოგვეთათბირა და გვეცადა ასეთი აუტანელი უბედურება და ჩვენი სულების განუწყვეტელი წეწვა აგვეცილებინა თავიდან. ხოლო თქვენ, რადგანაც არა გქონდათ შური ღმრთისა, დაიზარეთ და დაყოვნდით და თქვენს გამო წმიდა ეკლესიის მრავალი საქმე [შეუსრულებელი] დარჩა”.<sup>15</sup>

ნერსეს სომეხთა კათალიკოსი თვალთმაქცობს. დვინში პირველ შეკრებაზე ნესტორიანთა საკითხი არა მდგარა. ამას ყველა მისი აქამდე დაწერილი ეპისტოლე ადასტურებს. ამ კრებაზე იულიანიტი აბდიშო ასურის ეპისკოპოსად ხელდასხმა განხორციელდა და, შესაძლოა, რაღაც სხვა მიმდინარე შიდა ადმინისტრაციული საქმეებიც მოწვესრიგდა. ამ კრებაზე არ გამოცხადდა ცხრა განდგომილი ეპისკოპოსი. კათალიკოსი ახალი კრების მოწვევას ბრძანებს, სადაც უნდა გადაწყდეს ნესტორიანთა მიმართ დამოკიდებულება და მრწამსის საკითხები.

“ამის გამო ვბრძანეთ ამ წერილის ერთობით თქვენთვის მოწერა და თქვენი უფალნი გაჩქარებთ, რომ სასწრაფოდ მოხვიდეთ, არა ხორციელი საჭიროების გამო, არამედ მოშურნე რომ იყოთ ღმრთის საქმისა და სულთა ხსნისა. დანიშნულ დროს მთელი სიმტკიცით, გადაუდებლად წმიდა გრიგორის კრებაზე ერთად წმიდა ეკლესიაში შევიკრიბოთ. ხოლო თუ ვინმე ავადმყოფობის მიზეზის გარდა, აღმოჩნდება, რომ ცხოვრების სიამის გამო დაიზარა და დათქმულ დროს არ მოვიდა, ასეთი განკვეთილ იქნება ეპისკოპოსობის ერთობიდან”.<sup>16</sup>

<sup>15</sup> ԳԻՐԻ ՔՈՒԹՅՈՒՆ [I], ԳՅ. 70-71; ԳԻՐԻ ՔՈՒԹՅՈՒՆ [II], ԳՅ. 197.

<sup>16</sup> ԳԻՐԻ ՔՈՒԹՅՈՒՆ [I], ԳՅ. 71; ԳԻՐԻ ՔՈՒԹՅՈՒՆ [II], ԳՅ. 197.

კრება შედგა “ხოსრო მეფეთა მეფის ოცდამეოთხე წელს (554/555), წმიდა დიდმარხვას, ბზობის კვირას ხუუიკ ნესტორიანთა ბოროტი სექტის გამო”. კრებამ დაღო “ერთობის აღთქმა” ყველა საეკლესიო პირთა და ერისაგანთა შორის (რა თქმა უნდა, ვინც კრებაზე მივიდა) ნესტორიანთა ერთხმად დაწყველის შესახებ. “ერთობის აღთქმა” ზუსტად აღწერს ნესტორიანებთან დაკავშირებით სომხეთში შექმნილ სიტუაციას:

“ხელში ჩაიგდეს (ნესტორიანებმა – ზ.ა.) ხუუასტანის მხარე, მათგან ზოგმა პირველყოფლისა ჩვენ ქვეყნამდე მოაღწია, ვაჭრობით ცხოვრობდნენ ჩვენს მამებთან და ჩვენთან ერთად, ერთხმად ჩვენს ეკლესიაში, აღიარებდნენ თავიანთ თავს ჩვენთან საერთო სარწმუნოებით. და ხოსრო მეფეთა მეფის მეჩვიდმეტე წელს (547/548), ნიჰორაკანის მარხპანობისას შეაკეთეს ჩემი აშენებული [ეკლესია] მანაჭიპრ რაჟიკის სახელობისა, რომელმაც ირწმუნა ქრისტე და ნათელღებული უწოდა გრიგორმა და მოიკლა ამ სარწმუნოებისათვის, და შემდეგ”.<sup>17</sup>

როგორც ტექსტიდან ჩანს, კრება თავს იმართლებს ნესტორიანებთან ნორმალური კონტაქტების გამო. ძნელი სათქმელია, როდიდან დაიწყეს სომხეთში შესვლა ნესტორიანებმა. გ. ტერ-მინასიანი ვარაუდობს, რომ 554/555 წლის კრების მონაწილეთა მამებთან თანხმობით ცხოვრება შეიძლება 480-490 წლებით დათარიღდეს.<sup>18</sup> ვინაიდან საშუალოდ ერთი თაობის აქტიობა 20 წლით განისაზღვრება, სავარაუდოდ, ნესტორიანებთან ასეთი მშვიდობიანი ცხოვრების საწყისი შეიძლებოდა დათარიღებულიყო VI ს-ის დასაწყისით. მაგრამ ასეთ დათარიღებას პირდაპირ ეწინააღმდეგება ბაბგენ კათალიკოსის ეპისტოლეები, რომლებშიც შეჩვენებულები არიან (პირველ ეპისტოლეში ძლიერ თავშეკავებულად) ნესტორი და მისი მიმდევრები.

ასეა თუ ისე, ნესტორიანები 547/548 წელს ნერსეს მეორის მიერ მანაჭიპრ რაჟიკის სახელზე აგებულ ეკლესიას

<sup>17</sup> Գիրք թղթոց [I], გვ.72; Գիրք թղթոց [II], გვ. 200.

<sup>18</sup> Ե. Գ. Մինասյն, Նեստորականություն Հայաստանում, Պատմաբանասիրական հետազոտություններ, Երեվան, 1971, გვ. 367.

რომ დაეპატრონენ, სომხებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ მათთან რაიმე სადავო. “შემდეგ” კი, როდესაც ნესტორიანები გაეცვნენ ნერსეს კათალიკოსის ეპისტოლეს იულიანიტი სირიელუბისადმი, მათ გადაწყვიტეს სომხეთში პოზიციების გამაგრება, როგორც იტყობინება ნერსეს აშტარაკელი:

“მოიყვანეს (551-554 წლებს შორის ზ.ა) აგრეთვე მოძღვარნი, წინამძღოლნი მათი წარწყმედისა, რომლებიც მოვიდნენ და იწყეს თავიანთი ხრწნადობის შემოტანა ჩვენს წმიდა და ჭეშმარიტ სარწმუნოებაში და აცთუნეს უმეცარ ხალხთაგან კაცნი და ქაღნი, აზიარეს თავიანთ შელახულ ღოცვებს, მიართვეს პური ძღვენისა თავიანთი უსჯულოების ადგილას, რომ მიეღოთ მათი ხელიდან ზიარებადა ის ადგილი გამოაცხადეს თავისი სიბილწის შესაკრებელად”.<sup>19</sup>

დაიწყო კონფლიქტი. უფრო მოგვიანო ხანის ეპისტოლეები, რომლებზეც ქვემოთ იქნება მსჯელობა, გვიჩვენებენ, რომ სომხებმა გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში. 554 წლის დვინის კრებაზე მათ დაწყველეს ნესტორიანები და მოიკვეთეს ისინი ეკლესიიდან:

“ხოსრო მეფეთა მევის ოცდამეხუთე წელს, ჩვენ და სხვა ეპისკოპოსები, სომხეთის იშხანები და აზატები, ყველანი ერთად შევიკრიბეთ წმიდა ეკლესიაში წყეულ ნესტორიანთა მოსაკვეთად წმიდა ეკლესიისგან და ჩვენი მართლმადიდებლობის განსაკარგავად. მოვიკვეთეთ და მოვიშორეთ და ერთხმად ყველამ გუბრძანეთ ჭეშმარიტად ქრისტეს მორწმუნეთ, არ ეზიარონ მათ არც ღოცვაში, არც ჭამაში, არც სმაში, არც მეგობრობაში, არც მოყვრობაში, არც დედა-მძუქეობაში, არც ხორციელ საქმეში მისცეს ან მიიღოს მისგან, მხოლოდ მიჰყიდონ და იყიდონ როგორც ებრაელთან ან სხვა ხალხთან, რომლებიც სრულიად არა სცნობენ და არ აღიარებენ წმიდა სამებას”.<sup>20</sup>

<sup>19</sup> ԳԻՐԲ ՔՒՒԹԻԳ [I], გვ.73; ԳԻՐԲ ՔՒՒԹԻԳ [II], გვ. 200.

<sup>20</sup> ԳԻՐԲ ՔՒՒԹԻԳ [I], გვ.72; ԳԻՐԲ ՔՒՒԹԻԳ [II], გვ. 204-205. თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა სომეხთა კათალიკოსის აბრაჰამ ალბათანელის ენციკლიკური ეპისტოლეს იმ ნაწილს, სადაც იგი სომეხ სამღვდელთაგან და ხალხს უკრძალავს ქართველებთან

მაგრამ როგორ მოხდა ეს და სად იყო ამ დროს მეფეთა მეფე სპარსეთისა ხოსრო (531-579). ამაში უკვე კარგად გვარკვევს არსენი საფარელი, თუმცა ვრცელი ისტორიის გადმოცემისას ზოგ ქრონოლოგიურ თუ ფაქტობრივ შეცდომასაც უშვებს.

“ხოლო ეშმაკმან, რომელი ჰბრძავს სიკუდილად კაცთა ნათესავსა, აღძრა ნათესავი უღმრთოდ ნისტორის წვალებისა და დიდძალი ქრთამითა ოქროდსათა ითხოეს მეფისაგან კეთილად მიქცევად სომხითი სჯულსა მათსა. და განდრიკეს გუელი მეფისად... და აიძულნა მეფემან პეროზ სომეხნი მსახურებად სჯულის ნისტორის უღმრთოდსასა. ხოლო სომეხთა ყოვლადვე არა თავს-იდევს ესე...”

ხოლო მეფე იქცა კუალად სხუად მანქანებად და განუცხადა საქმე თვისი განყოფისათუს ბერძენთაგან და ესრეთ მიუვლინნა მოციქულნი, ვითარმედ: “ერთი ორთაგანი ყავთ – ანუ გამირჩიეთ ყოველთა ასურთაგან სჯული თვნიერ მელქთაძსა მელქთაძსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტყვევთ ქუეყანად თქუენი და ივლტოდეთ ჩუენგან!”.

მაშინ სომეხნი შეწუხნეს ფრიად ორსავე მას სახესა ზედა და შეიპყრა ურვამან და იქმნა ანჯმნობჲ მრავალთა დღეთა. და მიუგდეს საქმე ესე ნერსე კათალიკოზსა, რომელსა ეწოდა “მიჯინ”...

ხოლო მან საწყალობელმან დაამონა სული ხორცთა და არა მიხედნა ყოვლადვე საუკუნეთა გუემათა და შუებათა...

და მიუვლინეს მეფესა მწუხარებით და ითხოვეს სჯული იაკობთად, რამეთუ სხუანი ყოველნი უძურეს შეპრაცხნეს... ხოლო მეფე დაჯერებულ იქმნა და მოუვლინნა მოძღვარნი იაკობნი ბოროტნი ცხრანი..., რომელთა სახელები ესე არს: აბდიშოდ, პეტროზ მკაწვრელი, სუმონ ბოროტი, იაკობ, და თანა ჰქონდეს წიგნნი ფილაქსოსისნი, ივლია-

---

ურთიერთობას: “სრულიად არ ეხიაროთ მათ არც ღოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედა-მამუძეობაში... მათთან ქორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ. მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებს” (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 121-123).

ნესნი ალიკარნელისნი, ტიმოთე კუერნი და სევეროს ნაბიკელი.

და ყვეს კრებაჲ ქალაქსა შინა დვინს და შესძინეს ხაჩეცარი (ესე არს: სამწმიდარსსა შორის შეჰმატეს ჯუარცუშული, დაახემეს ვნებაჲ ღმრთეებისა ძალსა უვნებელსა – სიკუდილი) და განდგესა მართლისა და ჭეშმარიტისაგან... და განაწესეს არაჯორი მუნვე დვინს, რამეთუ თქუეს: 'ესე არს დღე პირველი სარწმუნოებისა ჩუენისაო'. და შესძინეს კუალად ბოროტი ბოროტსა და ნებით დაიწყევნეს თავნი, რადთა არა ეზიარნენ კრებასა ქალკედონისასა".<sup>21</sup>

ძალიან საინტერესო ცნობებს გვაძლევს არსენი საფარელი. ძველ სომხურ წყაროებში არა გვაქვს ინფორმაცია სპარსელთა მეფის პეროზის (457-484) მიერ სომხეთისათვის ნესტორიანობის თავმოსხვევის შესახებ, გარდა თომას არწრუნის ცნობისა სომხეთში ბარ-წუმა ასურის ჩამოსვლისა და მისი კონტაქტების შესახებ ისტორიკოს ელიშე/ელიშესთან. ეს ცნობა მნიშვნელოვან ანაქრონიზმებს შეიცავს, მაგრამ სიმართლის მარცვლებიც შეიძლება იყოს მასში. მართლაც, ამ ხანებში ნესტორიანები განსაკუთრებით ძლიერდებიან ირანში და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში. ნიზიბინის ეპისკოპოსი ბარ-წუმა ძალიან ახლო მეგობრულ ურთიერთობაშია ირანის შაჰ პეროზთან და დიდ გავლენასაც ახდენს მასზე. მაგრამ პეროზის გარდაცვალების შემდეგ იგი კარგავს თავის პოზიციებს და სამწყსოსაც კი.<sup>22</sup>

მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, დვინის 506 წლის კრების დროს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის მიერ სპარსეთში გაგზავნილი I ეპისტოლეჲს ცნობა. ირანიდან სომხეთში ჩასული "მართლმადიდებელი ქრისტიანი" სირიელები დვინის კრებას ატყობინებენ:

"ეს სარწმუნოება ჰქონდა ნამდვილად მთელს ჩვენ ქვეყანას ერთხმად და სრულიად არავითარი ცოდვა არ გა-

---

<sup>21</sup> არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო, ზაზა ალექსიძემ, თბ., 1980, გვ. 79-80.

<sup>22</sup> Aziz S. Atiya, A History of Eastern Christianity, Millwood, N.Y., 1980, გვ. 252.

მოჩენილა აშკარად პეროზის მეფობის 27-ე წლამდე (483/487). ხოლო მაშინ გამოჩნდა ბოროტების ცომი, რომელიც დამალული იყო უწმინდურ სულებში, რომელთაც იწვევს შემდგომეა ჭეშმარიტი სამების ნათელი რწმენისა, თავის მოტყუება დაუმტკიცებელი ხორციელი ვნებით; გავრცელდა ეჭვიანობა და დასნეულდნენ მრავალნი საშინელი სენით იქამდე, რომ გმობა-წვალების მეთაურნი ადგილ-ადგილ კრებებს იწვევდნენ ხან გუნტშაპუჰში, ხან ასორესტანში აკაკი, ბარ-წუმა, მანი, იოჰანან, პავლე, მიქა და სხვა მათი მოზიარენი ნესტორის, დიოდორისა და თეოდორტის გამონათქვამებსა და უღმრთოებას უერთხმად ებოდნენ და ამნაირი საქმიანობით მთავართა და მსაჯულთ წინაშე დიდ გარჯასა და საფრთხეში გვაგდებდნენ ჩვენ და სხვა ყველა მართლმადიდებელს ჩვენს ქვეყანაში. ვეღარ შევძელით ასეთი ბოროტი, საშინელი და მწარე შეურაცხყოფის ატანა და ვიზრუნეთ, რომ მეფისათვის გვეცნობებინა, მოვადწიეთ თქვენამდეც იმავე საფრთხისა და შევიწროების გამო, რომ საღმრთო წერილთა შემწეობა ვპოვოთ, რათა მტკიცედ და ურყევად ეგონ წმიდა მამათა გარდამოცემანი და მცნებანი, არ შეგვადონოს მუდმივმა სულიერმა და ხორციელმა შევიწროებამ ასეთ საქმთა გამო ეჭვით”.<sup>23</sup>

არსენი საფარელი გვაუწყებს, რომ მცირე ხნის შემდეგ სომხებმა მეორე, ახლა უკვე დიდი, კრება გამართეს კვლავ დვინში (554/555):

“კუალად შეაჩუენეს წმიდა იგი კრება და სახელსდევს ნესტორიანი სიტყუსაებრ აბდიშო უღმრთოსა”.<sup>24</sup>

არსენი საფარელის მონათხრობი რომ სინამდვილესთან ახლოს არის, ამას მოწმობს “აბდისო ასურთა ეპისკოპოსის მოკითხვის ეპისტოლე ნერსეს სომეხთა კათალიკოსს”. ამ წერილში აბდიშო მოუთხრობს ნერსესს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ეპისტოლემ ზოგადად ყველა “მწვალებელზე” და კონკრეტულად ნესტორიანებზე.

---

<sup>23</sup> Գիրք թղթոց [I], გვ. 43-44; Գիրք թղթոց [II], გვ. 150-151; არსენი საფარელი, კომენტარები, გვ. 102; აქვე იხილეთ სათანადო ლიტერატურა.

<sup>24</sup> არსენი საფარელი, გვ. 86.

“ყოველივე ეგ გაიგეს იმ გარყვნილებმა, დაეცათ მათ დიდი ძრწოლა და შიში, რადგან დაცვივდნენ თქვენი წყევლისაგან როგორც ისრით განგმირულნი. შეიკრიბნენ ერთად, რათა გამოეცხადებინათ ჩვენთვის ბრძოლა და მოითათობირეს ერთმანეთში ჩემს შესახებ: თუ ეგ სომეხთა კათოლიკოსისა და ეპისკოპოსების მიერ არის ხელდასხმული, მამასახლისებთან და სხვა ქვეყნის მთავრებთან ერთხმად, და უბრძანეს, რომ ჩვენთან არ ეზიარონ, ხოლო მეფეთა მეფის ბრძანებაა, რომ ყველას თავისი სარწმუნოება უნდა ჰქონდეს, ვაითუ, როდესაც ჩვენ მას ვებრძვიით და ვაწუხებთ, მან სომეხებს აცნობოს, ხოლო სომეხებმა მეფეთა მეფეს ამაზე მიუთითონ და ჩვენ ცუდ ხიფათს გადავყვართო.”<sup>25</sup>

ამგვარად, პირველი დიდი ბრძოლა სომეხმა მონოფიზიტებმა, ასურელ იულიანიტებთან ერთად, “თავიანთ მოედანზე” მოუგეს ნესტორიანებს. მაგრამ სომეხი იერარქების რწმენით, მათ ბრძოლა ჯერ კიდევ მოსაგები ჰქონდათ მთლიანად ქრისტიანული კავკასიის მასშტაბით. დვინის მეორე კრების პირველსავე შეკრებაზე (551 წ.) არსენი საფარელის მიხედვით:

“ხოლო ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა (მეოთხე სომხეთი – ზ.ა.) განეყენეს ჰელთ-დასხმასა მდღელობისასა სომეხთაგან, არამედ ჰერნი (აღბანელები – ზ.ა.) და სივნიელნი ჟამ ერთ განეყენეს და კუალად შეერივნეს ნერსეს (უნდა იყოს იოჰანეს, 726 წ. – ზ.ა.) ვისმე, რომელი წუერთა ოქრო-ცხებულ ჰყოფდა.”<sup>26</sup>

აქვე უნდა გაგვაკეთო ერთი შენიშვნა: სივნიელები მაშინვე არ გამოიჯვნიან სომხეთის საკათალიკოსოსთან ერთობას. დვინის II კრებას (554 წ.) ესწრებოდა და ნესტორიანთა წინააღმდეგ “ერთობის აღთქმას” ხელს აწერდა პეტროს სივნიელი. ამას ადასტურებს მოგვიანებით (568 წელს) სივნიეთის ეპისკოპოს ვრთანესისათვის გაგზავნილი იოანე გაბელენელის ეპისტოლე, სადაც პეტროს სივნიელი კრების მონაწილეთა შორის არის დასახელებული:

<sup>25</sup> Գիրք թղթից [I], გვ.60; Գիրք թղթից [II], გვ. 182-183.

<sup>26</sup> არსენი საფარელი, გვ. 84.

“ვისწრაფეთ ჩვენ და ამ სომეხთა ქვეყნის სხვა ეპისკოპოსებმა, რომელთა შორის იყო თქვენი ნეტარი ეპისკოპოსი პეტროსიც და მღვდელნი და აღმსარებელნი წმიდა ეკლესიისა, მონასტერთა ბერები, აზატები და მართლადიდებელი სრულიად ერისაგანნი შევიკრიბეთ წმიდა ეკლესიაში და ბილწი ნესტორიანები და ქალკედონიტები და სხვა მწვალებლები ერთხმად წყევლით განვდევნეთ”.<sup>27</sup>

სივნიელთა განდგომა სომხურ ეკლესიასთან ერთობისაგან 554-568 წლებს შორის მოხდა, უფრო, როგორც ჩანს, 554 წლის ახლოს.

ბრძოლა ნესტორიანთა წინააღმდეგ ქრისტიანული  
კავკასიის მასშტაბით

### სივნიეთი

გარდაიცვალა სომეხთა კათალიკოსი ნერსეს II აშტარაკელი (557). მის მაგიერ აღესაყდრა იოჰანეს II გაბელენელი (557-574). მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ცენტრალური ეკლესია დასუსტებული იყო განდგომილი საეპისკოპოსოებით, მან ნესტორიანებთან ბრძოლა მაინც თავისი საზღვრებიდან გაიტანა და საერთო კავკასიური სახე მისცა. ბუნებრივია, ირანის უმაღლესი ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა.

568 წელს იოჰანეს II სომეხთა კათალიკოსმა ერთდროულად მისწერა წერილები სივნიელთა და ალბანთა ეპისკოპოსებს. როგორც არსენი საფარელის მონათხრობიდან ვიცით, საბოლოო ჯამში არცერთი მათგანი არ დაემორჩილა საერთო ანტიბიზანტიური რელიგიური ფრონტის შექმნას კავკასიაში.

სივნიელთა ეპისკოპოსს, მეუფე ვრთანესს და სივნიეთის მმართველ მიჰრარტაშირს იოჰანეს სომეხთა კათალიკოსი ნესტორიანთა შესახებ ამცნობს:

“ხოლო იმ დროს, წყეული ნესტორისა, რომელმაც დააბრმავა ბოროტი წვალებით ხუჟასტანის მხარე, გამოჩ-

<sup>27</sup>Գիրք թղթոց [I], გვ.79; Գիրք թղթոց [III],գვ. 207.



ნდა საფუარი ბოროტებისა ჩვენს ქვეყანაშიც, რომელიც დამალული ჰქონდათ უწმიდურებს, რომლებმაც იწყეს საფუძველში ამღვრევა წმიდა სამების ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, აცთუნეს არამტკიცენი ხორცისმოყვარე სურვილებით და გავრცელდა ეჭვი და დასნეულდნენ მრავალნი აუტანელი სნებით. ვერ შევძელით ატანა ასეთი ბოროტი და მწარე ღმრთის გმობისა, ვისწრაფეთ ჩვენ და ამ სომეხთა ქვეყნის სხვა ეპისკოპოსებმა, რომელთა შორის იყო თქვენი ნეტარი ეპისკოპოსი პეტროსიც და მღვდელნი და აღმსარებელნი წმიდა ეკლესიისა, მონასტერთა ბერები, აზატები და მართლადიდებელი სრულიად ერისაგანნი შევიკრიბეთ წმიდა ეკლესიაში (დვინის II კრებაზე 554 წელს – ზ.ა.) და ბილწი ნესტორიანები და ქალკედონიტები და სხვა მწვალებლები ერთხმად წყევლით განვდევნეთ წმიდა და დიდების შემწყნარებელი საკურთხეველისა და მაცხოვრებელი წმიდა სახარების და მხსნელი წმიდა ჯვრის წინაშე დაეთქვიტ, რომ სრულიად განვეშორეთ მათთან ზიარებას და სრულიად არ ვუსმინოთ მათ მომაკედინებელ სიტყვებს.

და ვინაიდან სანდო ადამიანთაგან შევიტყვეთ, რომ ბილწი ნესტორიანები მრავლად დამკვიდრებულან თქვენს ქვეყანაშიც და თქვენ მათ წმიდა ეკლესიაში იღებთ და მათ ეზიარებით... ამისათვის ჩვენი სამწესოდან სანდო კაცი, *მღვდელი მათეოსი გამოვიგზავნეთ* და გვევდრებით ჩვენი ქრისტე ღმრთის მიერ, როგორც აქამდე იყავით წმიდა ტომი, საზეპურო ხალხი უფალი ღმრთისა, ასევე იყავით ახლაც უკუნისამდე თქვენ და მომავალნი თქვენნი, გაგაძლიეროთ უფალმა და მისი ძალის შემწეობით აისხათ ჯავშანი ღმრთისა. წმიდა და ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელიც მიიღეთ წმიდა გრიგოლისა და სხვა სულიერ ნეტარ მამათაგან, მტკიცედ და შეურყევლად დაიცავით თავი თქვენი. და ბილწი ნესტორიანნი და სხვა მწვალებელნი, რომლებიც თქვენს ქვეყანაში არიან, აგრეთვე, თქვენს ეკლესიაში, თქვენი ზიარებისგან წყევლით გაიშორეთ და ყველა მართლმადიდებელს უბრძანეთ, რომ არ

ეზიარონ მათ უნაყოფო საქმეთ და არ მოუსმინონ მათ მომსყიდველ და უბოროტეს, სიკვდილისმთესველ სიტყვებს.”<sup>28</sup>

ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი ცნობები, თუ როგორ მოიქცნენ სივნიელი იერარქები და საერო მმართველები. თუ არსენი საფარელის ცნობით ვიმსჯელებთ, ისინი მონოფიზიტობას უნდა დაბრუნებოდნენ 726 წლის კრებაზე, როდესაც თვითონ სომხებიც მთელი საუკუნის მანძილზე ქალკედონიტებთან ზიარების შემდეგ (631-726 წლები) დაუბრუნდნენ თავიანთ სარწმუნოებას, მაგრამ უკვე არა იულიანიტური რიგისას.

### აღბანეთი

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იმავე 568 წელს იოჰანე II სომეხთა კათალიკოსმა წერილი მისწერა აღბანელ ეპისკოპოსებს, რომელთაც სათავეში ედგათ “აბას პარტავის ეპისკოპოსი”, აღბანთა კათალიკოსი.<sup>29</sup> საინტერესოა, რომ ამ წერილში ნესტორი მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები პერსონალურად, თუმცა ყველგან იგულისხმება:

“ვინაიდან ჩვენამდე მოაღწია საშინელი ამბავის ხმამ, რამეთუ არიან ზოგიერთნი მტაცებელნი მგელნი ცხვრის ტყავში, რომელნიც მოვიდნენ თქვენ ქვეყანაში, მონასტრიდან ბილწი პეტროსისა, რომელსაც სახელად უპოვართა მოყვარულს უწოდებენ და საქმით ქრისტეს მოძულენი არიან და წმიდა სამების უარმყოფნი”.<sup>30</sup>

იოანე გაბელენელი აღბანელებს მეტი პატივისცემით ეკიდება, ვიდრე სივნიელებს. ის მათ სპეციალურ მოციქულს უგზავნის წერილით ხელში და მათგანაც “სამს ან

<sup>28</sup> Գիրք թղթոց [I], გვ.78-79; Գիրք թղթոց [II], გვ. 207.

<sup>29</sup> იგივე ეპისტოლე შეტანილი აქვს თავის “აღბანთა ქვეყნის ისტორიაში” მოსე კალანკატუელს, სადაც სომეხთა კათალიკოსი მას აბასს კათალიკოსად მოიხსენიებს (Մովսես Կաղանկատու-ացի, Պատմութիւն Աղուանից աշխարհի, քննական բնագիր եւ ներածություն՝ Վարազ Առաքելյանի, Երեւան, 1983, გვ. 122.

<sup>30</sup> Գիրք թղթոց [I], გვ.80; Գիրք թղթոց [II], გვ. 211.

მეტ ეპისკოპოსს” ელოდება თეოლოგიური საკითხების განსახილველად:

“და გამოგიგზავნეთ ჩვენი სამწყსოდან სანდო კაცი, მღვდელი მათეოსი, რომ მოგიტანოთ ჩვენი თქვენდამი წერილი... თუ ვინმე მოიკითხავს ასეთს, მონაწილე იქნას მის ბოროტ საქმეთა, რადგან ვინც აღიარებს უფალ ქრისტეს ხორციით მოსულად, ის ნამდვილად არის ანტიქრისტე და მაცდუნებელი. ასეთები განდევნეთ თქვენი სახლიდან და საზღვრებიდან და მათი სიკვდილის მთესველი მოძღვრება სრულიად არ გახადოთ ღირსი მოსმენისა. ხოლო ვინაიდან თქვენი მამები ჩვენ მამებთან ერთად მტკიცენი იყვნენ და თქვენ ჩვენი, სასურველად ჩავთვალეთ, რომ თქვენგან აქ მოსულიყვნენ ეპისკოპოსთაგანნი სამი ან მეტი, რათა მოისმინონ ჩემგან პირისპირ ჭეშმარიტი მოძღვრება.”<sup>31</sup>

მთავარი, მაინც, რის მიღწევასაც ცდილობდა სომეხთა კათალიკოსი, ეს იყო “სამწმიდა გალობაში” (“წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო”) პეტრე ანტიოქელის მიერ შემოტანილი დამატების (“რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვი” – “ხაჩეცარი”), ჩართვას ალბანური ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში. იოანე გაბელენელი დარწმუნებული იყო, რომ ამ დანამატის მიღება, ავტომატურად გამორიცხავდა რომელიმე ეკლესიის მიერ ორბუნებიაობის (ქალკედონური თუ ნესტორიანული სახის) მირებას, ვინაიდან ჯვარცმულად ცხადდებოდა ღვთაებრივი ბუნება.

როგორც ჩანს, ალბანეთში სიტუაცია აირია. “ხაჩეცარს” ალბანელთა შორის გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომელთაც ეკლესია არ სდევნიდა.

იერუსალიმში პანტის/პანდის მონასტრის წინამძღვარმა, ალბანელმა თომამ იერუსალიმის პატრიარქს იოანე IV-ს (574-595) მისწერა წერილი და თან აახლა ორი დოკუმენტი: ერთი, სომეხთა კათალიკოსის იოანე გაბელენელის ეპისტოლე, გაგზავნილი 568 წელს აბას ალბანთა კათალიკოსისადმი და მეორე, დვინის მეორე კრების (554 წ.) განსაზღვრებანი ნესტორიანობისა და ქალკედონიტობის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, თომამ თვითონ ალბანეთში შექმნილი

---

<sup>31</sup> Գիրք թղթոց [I], გვ.83-84; Գիրք թղթոց [II], გვ. 213-214.

სიტუაციაც აღუწერა იოანე იერუსალიმელს. ამიტომ საყვედურობს იგი აბასს:

“გვესმა, რომ შენი სამწყსოდან ზოგმა შეიწყნარა ამაო და ცრუ სიტყვები ცდუნებისა და თქვენმა სიწმიდემ არ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ... არა ჯერ არს ღმერთის ღიძების მიგება ეგვიპტეთის, ევსებისთვის [დორილიელი], პეტრე ანტიოქელისთვის და ივლიანე ჰალიკარნასელი-სთვის. და არც ღმერთის ძალისა აბდიშო ასურისათვის, რომელიც იყო წინამძღვარი სომეხთა ან კიდევ სომეხთა კრების დაღუპვისა... უნდა მოუსმინოთ შრომისმოყვარეთ, როდესაც გიხსნიან, რომ მაგ სიტყვებს (სამწმიდა გალობაში დამატებას სიტყვებისა, “რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვო” – ზ.ა.) მწვალებლური აზრი აქვთ და არა წმიდა წერილებს. ხოლო მას შემდეგ, რაც გაიგე, შენც უნდა მიგეწერა, რომ ვინც მათთან დგანან და მათ ეზიარებიან, შეგნებული მწვალებლები არიან”.<sup>32</sup>

როგორც იოანე იერუსალიმელის წერილიდან ჩანს, იგი კარგად არის გარკვეული ქრისტიანულ კავკასიაში თეოლოგიური პოლემიკის შესახებ და ცდილობს სომხური ეკლესიის გავლენა არ გავრცელდეს სხვა ქვეყნებშიც. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ზოგი ალბანელი მთავარიც გადასულა სომხური ეკლესიის მხარეს და ამის შესახებაც აფრთხილებს იოანე იერუსალიმელი აბას ალბანთა კათალიკოსს (ტექსტში – ეპისკოპოსს):

“მაგრამ გვესმა, რომ ზოგი თქვენი მთავარი ავიწროებს და სდევნის კეთილმსახურებს. ეგ უკანონობა წარმართ მეფეთა დამახასიათებელია, რომლებიც ქრისტეს მიმდევრებს მსხვერპლად წირავენ. და თქვენც გესმით და მიუტევებთ ასეთ უკანონობას და უერთდებით მათ უსჯულოებას?! ნუ იყოფინ ასე, არამედ დიდი მრისხანებით გააკიცხე

---

<sup>32</sup>ზ. ალექსიძე, რელიგიური სიტუაცია კავკასიაში VI საუკუნის ბოლო მეოთხედში: იოანე იერუსალიმელის ეპისტოლე, პუბლიცისტარული კვლევები (წელიწადური), 3, თბ., 2912, გვ. 232-233. ტექსტს სომხურ და ქართულ ენებზე, კომენტარებსა და ლიტერატურას აქვე ნახავს დაინტერესებული მკითხველი.

ასეთი, რადგან არ არიან ისინი ეკლესიის მცველნი, არამედ მეგლნი მტაცებელნი!”<sup>33</sup>

სამწუხაროდ, არ შემონახულა აბასის პასუხი, თუკი არსებობდა ასეთი, რომ დოკუმენტურად ვიცოდეთ, რით დამთავრდა კამათი, გასჭრა თუ არა იოანე იერუსალიმელის ეპისტოლეშ და მის მიერ გაგზავნილმა წიგნებმა<sup>34</sup>. მაგრამ ამაზე პასუხიც შემოგვინახა არსენი საფარელმა:

“და ვითარცა იხილეს კათალიკოზმან ქართველთა კურიონ მცხეთისამან და კათალიკოზმან ჰერთა აბაზ, რამეთუ ხელითა აბდიშოლ ასურისადათა კრებად ყვეს სომეხთა ქალაქსა დვინსა და შეჩუენებით განდგეს აღსარებისაგან წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა... ესე რად ცნეს ჭეშმარიტად კურიონ კათალიკოზმან, აბაზ ჰერთა კათალიკოზმან და გრიგოლი სიენელთა ეპისკოპოსმან<sup>35</sup> და იქმნა ცილობად დიდი შორის სომხითისა და ქართლისა.”<sup>36</sup>

აღბანელები და ქარველები რომ დიდი საეკლესიო განხეთქილების დროს მონფიზიტობის წინააღმდეგ ერთად იყვნენ, ამას ადასტურებს აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ენციკლიკური ეპისტოლე, სადაც აღბანელები ქართველებთან ერთად არიან დაწვევლინი.<sup>37</sup>

## ქართლი

ქართლში ნესტორიანების არსებობის შესახებ მთელი VI საუკუნის მანძილზე ცნობები არა გვაქვს. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვთქვათ, ის არის, რომ ქართლმა აღბანეთთან ერთად, მიუხედავად ირანის ზეწოლისა, არ მიიღო მონაწილეობა დვინის II კრებაში, რომელზედაც სომ-

---

<sup>33</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>34</sup> იოანე იერუსალიმელის მიერ აღბანეთში გაგზავნილი წერილების შესახებ იხ. იქვე, გვ. 249.

<sup>35</sup> გრიგოლის შესახებ იხ. არსენი საფარელი, გვ. 123-125.

<sup>36</sup> არსენი საფარელი, გვ. 81.

<sup>37</sup> ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968, გვ.122.

ხეთის ეკლესიამ მიიღო უკიდურესად მემარცხენე მონოფიზიტობა იულიანიტობის სახით და დაგმო ნესტორიანობა ქალკედონის კრებასთან ერთად.

599 წელს ქართლის კათალიკოსის საყდარზე ავიდა კირონ მცხეთელი და აი, ამ დროიდან იწყება ქართლში ნესტორიანების არსებობაზე ლაპარაკი თანადროულ დოკუმენტებში. აღსაყდრებიდან ძალიან მალე კირონ ქართლის კათალიკოსმა გაუგზავნა მოციქული რომის პაპს გრიგოლ I-ს (540-604) შეკითხვით: ნესტორიანი სამღვდლო პირების მართლმადიდებლურ ეკლესიაში შესაწყნარებლად საჭირო იყო მონათვლა, თუ საკმარისი იქნებოდა მათგან აღსარების თქმა. რომის პაპი ჯერ მოკლედ განუმარტავს:

“ამ საგნისა ჩვენ ვუწყით ჩვენის მამების ძველის დროის ჩვეულება, რომ როდესაც ვინმე მოიქცევა მწვალებლობისაგან, რომელშიაც მონათლულან წმიდა სამების სახელით, მათ ვუერთებთ წმიდა ეკლესიას ან ზეთის ცხებით, ან ხელდასხმით და ან მარტო სარწმუნოების აღსარებით... ნესტორიანები ჩვენის ხელდასხმით, ხოლო მონოფიზიტები სარწმუნოების აღსარებით უერთდებიან ეკლესიას”<sup>38</sup>

წერილის ბოლოს უკვე გრიგოლ I ვრცლად აღწერს ნესტორიანთა მოქცევის წესს, რადგან კითხვა სწორედ მათ შესახებ იყო დასმული:

“ვინც ნესტორის შეცდომილებიდან მოიქცევიან, თქვენი წმინდა კრებულის წინაშე მისი (იესო ქრისტეს – ზ.ა.) ჭეშმარიტი შობა აღიარონ და შეაჩვენონ ნესტორი, მისნი მიმდევარნი და სხვა დანარჩენი მწვალებელნი. აგრეთვე, შემოგპირდნენ, რომ პატივს სცემენ და შეიწყნარებენ იმ ყველა კრებათა, რომელსაც მსოფლიო ეკლესია აღიარებს. შემდგომ თვინიერ რამ სიძნელისა, მიიღეთ ესრეთი პირნი თქვენს საზოგადოებაში და დასტოვეთ იმ წესსა ანუ ხარისხში, რომელშიც არიან. განუბნიეთ მათ შეცდომილებანი და ასწავლეთ ყველაფერი, რაც კი საჭი-

---

<sup>38</sup>მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1995, გვ. 289.

როა; სიტკობებით მოეპყარით, ნურავითარ სიძნელეს აღმოუჩენთ მათი ხარისხის შესახებ, რათა იგინი თავიანთი მტრის ხელისაგან დაიხსნათ.”<sup>39</sup>

კირონ ქართლის კათალიკოსმა იდეალურად შეასრულა რომის პაპის მითითებები. ეტყობა თვითონაც ასეთ პასუხს ელოდებოდა, რათა ადვილად გადაეწყვიტა შიდა ეკლესიური პრობლემები. სიტუაციას კარგად აღწერს სომეხი ისტორიკოსი უხტანესი (X-XI სს):

“როცა მიაწია კირონმა თავის სამთავრო სამწყსოს და თავის ქალაქს, რომელსაც მცხეთა ეწოდება, შემოიკრიბა ეპისკოპოსები, ქვეყნის წარჩინებულები, მთავრები და ერისთავები და დაიმორჩილა მათთან ერთად სრულიად მთელი ქვეყანა თავისი ხელმწიფების ქვეშ, ხოლო მერე, როდესაც დაინახა, რომ ყოველივე მისი სურვილისამებრ მოეწყო, ამის შემდეგ გულში მზაკერული განზრახვა გაიფლო: ხელი დაასხა ერთ ხუჟიკ ნესტორიან ეპისკოპოსს, რომელსაც სახელად კისი ეწოდებოდა, რაც სისასტიკეს ნიშნავს... იგი მასთან მოვიდა რომაელთა ქვეყნიდან, კოლონიის გაგარიდან, წარმოშობით იმ სოფლიდან, რომელსაც ეწოდება ზუტარიმა, ნიკოპოლისის მახლობლად... ვფიქრობ, რომ ორივე არა მხოლოდ ერთი გაგარიდან, ან ვინდაც ერთი სოფლიდან იყვნენ, არამედ თანამწვალებელნიც და ბოროტი სწავლების ბოროტ მოძღვართაგან ერთად მოსწავლენიც. ხელი დაასხა მას უცხოთა ზედამხედველად, ესე იგი მწვალებელ ეპისკოპოსად”.<sup>40</sup>

უხტანესი ნესტორიანი კისის ეპისკოპოსად ხელდასხმის თარიღზეც მიუთითებს, რომელიც ზუსტი ჩანს, რადგან მაშინდელ რეალიებს კარგად განსაზღვრავს:

“მის (მოსე ელივარდელის ზ.ა.) ოცდამეხუთე წელს (599 წ.) იპერა ქართველთა სახლის საკათალიკოსო საყდარი, რომელიც საველეს მსგავსად ორ წელს (601 წ.) ემორჩილებოდა ჭეშმარიტებას, ხოლო ამის შემდეგ დაიწყო უღ-

<sup>39</sup> იქვე, გვ. 290.

<sup>40</sup> უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსი ქართულითარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა აღექსიძემ, თბილისი, 1975, გვ. 24-25.

მრთობა და ჭეშმარიტების მოტყუება: ხელი დაასხა ხუჟიკს თავისი მამათმთავრობის მესამე წელს (602 წ.)”<sup>41</sup>

ვფიქრობ, ყველაფერი სწორია. 599 წელს აღსაყდრებულ კირონს ორი წელიწადი დასჭირებოდა ქართლში საყოველთაო მხარდაჭერის მიღებას (არ დაგვავიწყდეს, რომ ის სომხეთიდან იყო ჩამოსული, ხოლო ქართლში ერთმანეთს ეცილებოდნენ პრობიზანტიური და პროირანული ძალები) და იერუსალიმსა და რომში მოციქულის მოგზაურობას მხარდაჭერის მისაღებად ნესტორიანების მოსაქცევად. იერუსალიმის პატრიარქის პოზიცია ჩვენთვის ცნობილი არ არის, რადგან მის ეპისტოლეს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ რომის პაპს რომ მის მართლმადიდებლობაში ეჭვი არ ეპარება, ეს ცხადია. თავის წერილს იგი ასე ამთავრებს:

“უგოდნათ ყოვლისმპყრობელის უფლისაგან განიმრავლებთ საუკუნო დიდების სასყიდელს, რაოდენად უფრო მომეტებულად შემოჰკრებთ მათ, რათა თქვენთან სამარადისოდ ადიდონ უფალი. თქვენთვის ვევედრებით სამებას, რათა თავიანთი მფარველობით დაგიცვათ და სიყვარული არ მოგაკლოთ”<sup>42</sup>

სრულიად აშკარაა, რომ ეს დიალოგი ორ მართლმადიდებელს (ქალკედონიტს) შორის არის გამართული 599-601 წლებს შორის. ისიც აშკარაა, რომ არ არის მართალი უხტანესი, როდესაც კირონ ქართლის კათალიკოსს სწამებს აღსაყდრების პირველ ორ წელს მალაყდაო თავის ჭეშმარიტ მრწამსს და მხოლოდ მესამე წელს გამოავლინა, როდესაც ნესტორიან ხუჟიკს ეპისკოპოსად ხელი დაასხაო.

როგორც ჩანს, კირონ ქართლის კათალიკოსმა სომეხი წარმომშობის მოსე ცურტავის ეპისკოპოსის მოქცევაც სცადა, რომის პაპის რჩევის შესაბამისად, და დაიბარა იგი თბილისში, სიონის ტაძარში. ამ ცდას შედეგი არა ჰქონია და მოსე პირდაპირ ცურტავიდან გაიქცა სომხეთში.

ძალიან ბუნდოვანია, საკითხი ერთ ნესტორიანს ეხება, თუ რამდენიმეს. კათალიკოსი მოსე ელივარდელი (574-

<sup>41</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>42</sup> მ. თამარაშვილი, გვ. 290.



604) ერთის შესახებ სთხოვს ახსნა-განმარტებას (“გავიგეთ, რომ ერთი ხუჟიკი კაცი ნესტორიანი მოსულა შენთან და შენგან მიიღო ხელდასხმა ეპისკოპოსად”<sup>43</sup>) თავის ყოფილ მოწაფეს კირონ ქართლის კათალიკოსს, ერთის განდევნას ითხოვს ქვეყნიდან<sup>44</sup>. კირონი პასუხობს:

“მე ჩემს ეპისკოპოსებთან და ამ ქვეყნის წარჩინებულლებთან ვითათბირე და კანონიერად მივიჩნიე, რომ არ დამებრკოლებინა მოსვლისას ყველა ისინი, რომლებიც მოდიან სინანულითა და მონანიებით და ავუკრძალებთ ხალხს მისი მოკითხვა... ხუჟიკის შესახებ... როგორც ზემოთ მოგწერეთ, ადრევე განვიშორეთ”<sup>45</sup>

ამის შემდეგ კირონ ქართლის კათალიკოსი ხუჟიკ ნესტორიანს აღარ ახსენებს. მაგრამ უხტანესი მას ბრალს სდებს, რომ მან იგი მოსე ცურტაველის მაგიერ დანიშნა ცურტავის ეპისკოპოსად. ეგვევ აცნობა მოსე ცურტაველ-ყოფილმა ახლად არჩეულ აბრაამ სომეხთა კათალიკოსს, რომელმაც ნესტორიანის ხსენების გარეშე გადაკვრიო მისწერა კირონ ქართლის კათალიკოსს (თუმცა კონტექსტით ხუჟიკ ნესტორიანს გულისხმობდა), ახალი ეპისკოპოსის დანიშვნით თქვენ “სომხური მსახურება, წმინდა შუშანიკისგან დადგენილი მესმის, რომ შეგიცვლიათ”<sup>46</sup>.

კირონმა მშვიდად უპასუხა აბრაამს:

“უკეთუ ხუჟიკთა შესახებ ამბობთ, ჩვენ მაშინ ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსებითა და წარჩინებულებით ქვეყანასთან ერთად ვიზრახეთ, რომ როგორც სჯული გვიბრძანებს, არა თუ გავგეგდო, არამედ შეგვეწყნარებინა ისინი, რომლებიც მოიქცევიან უკეთურებიდან ანდა წვალებიდან სინანულად. იგი მართლაც შევიწყნარეთ, მაგრამ, როცა შევიტყვეთ, რომ მათ აღსარება სიცრუით ქმნეს და იქვე მათი უკეთურების წუმპე მიიქცნენ – დავამხეთ, დავწყველეთ ისინი და გავაძევეთ კათოლიკე ეკლესიიდან და

---

<sup>43</sup>უხტანესი, გვ. 29.

<sup>44</sup>იქვე, გვ. 33.

<sup>45</sup>იქვე, გვ. 35.

<sup>46</sup>ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 67.

ჩვენგან, ქრისტიანეთაგან. ახლა ვერავინ იკადრებს მათ მოკითხვას”.<sup>47</sup>

მე მგონი, ცხადია, რომ კირონ ქართლის კათალიკოსი სულ ცოტა რამდენიმე ხუუიკი ნესტორიანის შესახებ ლაპარაკობს, მხოლოდობითში კი იმ ხუუიკ ნესტორიანს გულისხმობს, რომელსაც ხელი დაასხა ეპისკოპოსად. ამას უხტანესიც ადასტურებს:

“თანამოსაქმედ და სარწმუნოების მოწინააღმდეგედ ეპოვნა (კირონ ქართლის კათალიკოსს – ზ.ა.) ის ხუუიკი ნესტორიანი და მისი თანამზრახველნი, რომლებიც მასთან იყვნენ, მათით ემტრო წმინდა მამათ...”

ცხადია, ნესტორიანები ხუუასტანიდან VI ს-ის მეორე ნახევარშიც იქნებოდნენ ქართლში, ისე როგორც იყვნენ სომხეთში, სივნიეთსა და ალბანეთში. მაგრამ, ჩანს, მათ მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშიათ ქართლის ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში ისეთი, როგორც უნდოდა წარმოედგინა უხტანესს.

რაც შეეხება ნიკოპოლისიდან, ქრისტიანული ბიზანტიიდან ჩამოსულ ქრისტიანს, რომელიც უხტანესის მტკიცებით კირონის ბავშვობის მეგობარი უნდა ყოფილიყო, შეუძლებელია მას ხუუასტანელი ნესტორიანობა მივაკეროთ. არც ცურტავის ეპისკოპოსი შეიძლებოდა ყოფილიყო ხუუიკი ნესტორიანი, რადგან იგი მსახურებას ქართულადაც ასრულებდა და სომხურადაც. კირონ მცხეთელის სასიცოცხლო პროგრამა კი იყო საქართველოს სასაზღვრო პერიფერიებში მღვდელთმსახურებაში ქართული ენის გაბატონება. მაგრამ ეს ყველაფერი სტატის ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან გამოდის.

---

<sup>47</sup> ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 69-70.

**NESTORIANS IN THE CAUCASUS VI C.**

Based on various documents and narrative sources the article discusses the arrival and establishing of Nestorians in the Caucasus “on the grounds of commerce” in the 530s. By the middle of the sixth century they started using Armenian churches and even brought their own abbots and bishops. Armenians declared a fierce battle against them not only on their own territory, but also on neighbouring lands. Struggling against Nestorians they adopted the most radical monophysitism – Julianism. The matter is complicated further by the identification of Nestorians with the Chalcedonians. With the support of the Roman Pope, the Church of Iberia chose a more loyal policy and tried to convert the Nestorians and Monophysites to the Chalcedonian faith, but without success. The Patriarch of Jerusalem was also involved in the theological controversies in the Caucasus.

კასპიის კარები, იბერიის საზღვრები და  
საერთაშორისო ურთიერთობები მემქმნე საშუალებაში

ბიზანტია-სპარსეთის სამშვიდობო მოლაპარაკებებში საზღვრების საკითხს ცენტრალური ადგილი ეკავა. ამ იმპერიათა უსაფრთხოებისათვის არც თუ მცირე მნიშვნელობა კავკასიის ზეკარებს – დარიალსა და დარუბანდს – ენიჭებოდა. 562 წლის საზავო ხელშეკრულებაში „პირველ დებულებად დაწერილი იყო, რომ სპარსელები ნებას არ აძლევენ არც ჰუნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს ვერეთ წოდებული ჩორისა და კასპიის კარების შესავალი ვიწროებით გადავიდნენ რომაელთა სამფლობელოს წინააღმდეგ, და რასაკვირველია არც რომაელები გზავნიან ჯარს სპარსელების წინააღმდეგ არც ამ ადგილს და არც მიდიელთა სხვა საზღვრებზე...“ (Men. Prot. fig. 11 – [4/III: 216-17]).

მენანდრე პროტიქტორთან დაცული ეს ცნობა ხაზს უსვამს არა მხოლოდ დარუბანდისა (ჩორის) და დარიალის (კასპიის კარის)<sup>1</sup> მნიშვნელობას საერთაშორისო პოლიტიკაში, არამედ სასანიდების სრულ ჰეგემონიას რეგიონში. უკვე დიდი ხანი იყო, რაც რომაელებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაც და კავკასიის ზეკარებიც სპარსელთა კუთვნილებად აღიარეს.<sup>2</sup> ჯერ კიდევ V ს-ის I ნახევარში შაჰის თხოვნას, საერთო ძალით დაეცვათ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალი გზები, „რომაელებმა... უპასუხეს, რომ ყველა ვალდებულია, თავისი ქვეყნისთვის რომ იბრძვის, იზრუნოს თავისი ციხეების შენახვაზე“ (Prisc., fig. 37 – [4/I: 259-60]).

<sup>1</sup> კასპიის კარის სახელით დარუბანდიც მოიხსენიებოდა (იხ. [14]).

<sup>2</sup> მკვლევართა ნაწილი (ჯ. ბარი, ა. კრისტენსენი, ტ. დარიაე) ვარაუდობს, რომ სპარსელთა უშუალო კონტროლი კავკასიის ზეკარებზე IV საუკუნის შუახანებიდან დამყარდა, თუმცა ამგვარი ცალსახა დასკვნა არც იოანე ლიდეს თხზულებიდან (De Magistr. III.52) გამომდინარეობს და არც ამიანე მარცკლინეს ჩვენებებითაა დამყარებული (იხ. 40: 63-65; 41: 434, 442-43; 43: 143).

შექმნილმა რეალობამ გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაშიც კპოვა. ანონიმი მეისტორიეს ერთი ცნობით „... ვითარცა მეფობად დაესრულა ქართლს შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერთი და სომხითი დაიპყრეს. ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთვე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს ღურძუკეთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს. და სხუად ვინმე კაცი დაადგინეს მთავრად წანარეთისა ჭევსა და მორჩილებად დასდევს მისი. და ოდეს ერაკლე მეფე მოვიდა, მაშინ დაიმჯუნეს სპარსნი. და სპარსთა ხაზარეთისა კარნი შექმნეს და ხაზარნი მეოტ ყვნეს“ (29/I: 94-95). ფიქრობენ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი VI ს-ის 30-40-იან წლებში შექმნილ ვითარებას აღწერს (21: 103; 20: 204). წყაროს ჩვენება მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ ყოვლისა, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ გზა-გარდასავალთა ჩამონათვალი იპყრობს ყურადღებას; ამათგან უმთავრესი, „ოვსთა დიდი კარი“, დარიალი უნდა იყოს. თერგისა და ხდეს შესართავთან, მაღალ კლდეზე აღმართული ციხის ციტადელსა და დასავლეთის ფერდზე შემორჩენილია იზოდომური ანუ „უჯარმული“ წყობით ნაგები კედლები, რომლებიც V-VI სს. თარიღდება (13: 451; 16: 107-108). დარიალის ციხე (თამარის ციხე) სხვადასხვა დროს ნაშენ თუ განახლებულ ძეგლთა კომპლექსია (16: 105-50); მის გარდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დარიალი სხვა ციხე-სიმაგრეებსაც აერთიანებდა. ანალოგიური სამშენებლო ფენები, რაც საქართველოს სხვა თანადროული საფორტიფიკაციო არქიტექტურისთვისაცაა დამახასიათებელი, დვალეთის ციხე-სიმაგრეებზეც გამოვლინდა (77: 148-49). დვალეთის ეს ორი კარი კასრის კარი და ხევიხილაკას კარია, რომლებიც არდონ-ფიაგდონის ვიწრობებს ხერგავდა ჩრდილოეთიდან (3; 20: 204. შდრ. 37: 4).<sup>3</sup> ერთ

<sup>3</sup> „ხოლო კასრის კარი წერს ვახუშტი ბატონიშვილი არს ... კარი კლდისაგან და ქვიტირით ქმნილი, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნილი, რათა არა ვიდოდნენ თვნიერ მათსა ოვსნი“ (ვახუშტი, აღწერა... [25/IV: 644-45]).

განედზე განლაგებული დვალეთისა და დარიალის კარიბჭენი ქმნიდნენ თავდაცვით ნაგებობათა ერთიან ხაზს და კეტავდნენ იმ მთავარ ხეობებს, – თერგს, ფიაგდონს, არდონს – რომლითაც ქართლი „ოვსებს“ უკავშირდებოდა (3: 32-33).

დურძუკეთის კარი, ქართველ მემბტიანეთა წარმოდგენით, საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიას ითვლიდა. ის ყოფილა „სიმაგრე“ დურძუკეთს „გარდასავალთა გზასა“ „ზედა“, რომელიც ჩრდილოკავკასიელ მთიელებს ქართლის მოწოლისგან იცავდა; მის მახლობლად მეფე მირვანმა (ძვ.წ. II ს.) დურძუკეთა დასამორჩილებლად და სამეფოს საზღვრების განსამტკიცებლად კიდევ ერთი ქვითკირის კარი შეაბა (ლეონტი მროველი [25/I: 27-28]). შესაძლოა, სწორედ ის ყოფილიყო პარჭუანს დურძუკეთის კარი (შდრ. 5: 144), რომელიც ფშავ-ხევსურეთიდან ჩეჩენ-ინგუშეთში მიმავალ გზას აკონტროლებდა; მისი ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია (37: 4-5; 20, იქვე).<sup>4</sup>

ირკვევა, ასევე, რომ VI ს-ის I ნახევრისთვის (და ამაზე უწინარესაც) ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიონის ზეკარები ქართლის საზღვრებში შემოდიოდა (20: 204-205).<sup>5</sup> ქვეყნის უშუალო ინკორპორაციის კვალდაკვალ

---

<sup>4</sup> 1984 წ. ა. ქაღანმა სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ინფორმაცია ქავის კარის შესახებ. ეს გვიანდელი თავდაცვითი კედელი და კოშკი მდებარეობს პირიქითა ხევსურეთში, ინგუშეთის საზღვართან, არხოტისწყლის (ასას) ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილას (ა. ქაღანი, „ქავის კარი“ – სახელო დაცვითი ნაგებობა არხოტში, ძეგლის მეგობარი № 66, 1984, გვ. 17-20). დ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით, რომელიც პატივცემულმა მკვლევარმა პირად საუბარში გამიზიარა, ქავის კარი, შესაძლებელია, პარჭუანის კარის ადგილას ყოფილიყო ნაშენი.

<sup>5</sup> ჯერ კიდევ პ. უვაროვა მიუთითებდა, რომ ოსეთის დამორჩილების შემდეგ ვახტანგ გორგასალმა კასრისხევში, ზრამაგასთან ააგო ციხე, რათა ქვეყანა ოსებისგან დაეცვა (იხ. 74: 92). ვ. კუზნეცოვი ამ თვალსაზრისს ასეთ კომენტარს ურთავს: „**Здесь все верно, кроме утверждения о строительстве стены в V в.**“ (74: იქვე. ხაზი ჩემია ვ.ჭ.). როგორც ვხედავთ, ხანდახან რუსულ და ოსურ ისტორიოგრაფიაშიც აღიარებენ, რომ დვალეთის სიმაგრეები ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებია, რომლებიც საქარ-

სპარსელებმა ისინი საგანგებოდ გაამაგრეს, დაცვა კი მთის მოსახლეობას დააკისრეს. იმპერიის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სპარსული კოლონიზაციაც არაა გამორიცხებული. ცნობილია, მაგალითად, რომ მოგვიანებით, არაბმა დამპყრობლებმა, რომლებიც სასანიდების პრაქტიკას სწირად მისდევდნენ, იქ თვისტომნი ჩაასახლეს და მათგან დარიალის ციხის დამცველთა რაზმი შექმნეს. გარნიზონი თბილისიდან მარაგდებოდა და სახალიფოს საზღვრებს ხაზარ-ალანთაგან იცავდა (მასუდი, მურუჯ ად-ზაჰაბ, XVII.17 [49: 156-57]; დაკუთი I, 351 [22: 18]).

სასანიანებმა სამხედრო-სტრატეგიულ ღონისძიებებთან ერთად ადმინისტრაციული ცვლილებებიც განახორციელეს და ცალკე ერთეულად გამოჰყვეს წანარეთის ხევი, იგივე ხევი, რომლის ჩრდილოეთით დარიალის კლდოვანი ხეობაა გადაჭიმული. ხევში საგანგებო მოხელე („მთავარი“) დანიშნეს; ის „ციხისთავის“ (ქართლის ქალაქებში მჯდარ სპარსელ ხელისუფალთა მსგავსად), „პიტიახშის“ („ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ მთავრად იწოდება ვარსქენ „ერისთავი“) თუ, სულაც, „მარზპანის“ მდგომარეობამდე აღახევეს. „მარზპანის“ ტიტულს ატარებდა ჩორის კარის გამგებელიც, რომლის ხელისუფლება მრავალრიცხოვანი სპარსული გარნიზონითაც იყო განმტკიცებული. წყაროებში იმის მინიშნებასაც ვხვდებით, რომ ჩორის კარიბჭის დაცვაში სპარსელებს ადგილობრივი მთიელებიც ეხმარებოდნენ (ელიშე, თავი III [81: 148-56]; ლაზარ ფარპეცი, II.35 [56: 106-108]).

მოგვიანებით, წანართა ხევის „სამთავროს“ ბაბ-ალლანის ანუ დარიალანის ქვეყანა ჩაენაცვლა. აბულ-ფედას

---

თველოს „ოვსთა“ ძარცვა-რბევისგან იცავდა. კასრისკარის კედლებს შორის სივრცე ფლეითი ქვითა და თიხითა ამოვსებული; ამის წყალობით შექმნილია თავდაცვითი მონოლითი, რომლის სისქე 12 მეტრამდე აღწევს. ასეთი სიმძლავრის კედელი კავკასიაში სხვაგან არც გვხვდება (74: 121-24). ეს ფაქტი კი თავისთავად მეტყველებს, რომ ის აღმართული იყო ორი, სრულიად განსხვავებული სოციალური და კულტურული ტრადიციების მატარებელი, საზოგადოების საზღვარზე.

ნაშრომებმა შემოგვინახა ცნობილი არაბი გეოგრაფის იაკუბის ჩვენება, რომ მეორე არმინია ჯურზანის, თბილისისა და ბაბ-ალ-ლანის ქვეყნებს მოიცავდა (იაკუბი, გვ. 61 – [78]). იაკუბის ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებში კი მეორე არმინიის შემადგენელ ნაწილებად დასახელებულია ქალაქები ჯურზანი, თბილისი და მესჯით-ზულ-კარნაინი ანუ ალექსანდრეს მიზგითი (იაკუბი, გვ. 61). იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს უკანასკნელი დარიალის კიდევ ერთი სახელწოდება? მით უფრო, რომ ალანთა კარის გაჭრას თუ გამაგრებას ევროპაშიც და აზიაშიც ალექსანდრე მაკედონელის სახელს უკავშირებდნენ.

მასული მესჯით-ზულ-კარნაინს ჯურზანის მეფეთა სატახტო ქალაქად მოიხსენიებს (მურუჯ ად-ზაჰაბ, XVII.23). ვ. მინორსკი ამ გეოგრაფიულ სახელში მცხეთის შერყენილ ფორმას ხედავდა [49: 161, n. 2]. მართლაც, რა უნდოდა თურგის კლდოვან ვიწრობებში ქალაქს და მით უფრო, სატახტო ქალაქს? სკეპსისის დასაძლევად უნდა გაეიხსენოთ, რომ დარიალის ხეობამ და მის კლდოვან ფერდებზე ამოზიდულმა ციხეებმა ისე ააღელვა აღმოსავლეთის ვაჭარ-მოგზაურთა, სწავლულთა თუ სამხედროთა წარმოსახვები, რომ დარიალს არა მხოლოდ აუღებელი ციხე-სიმაგრის, არამედ „აყვავებული ქალაქის“ სახელიც კი დაუმკვიდრეს (მურუჯ ად-ზაჰაბ, XVII.17; ჰოდუდ ალ-ალემი, §§5, 48 [46]). უფრო მეტიც; არსებობდა ადგილობრივი გადმოცემები, თითქოს ბაგრატიონებს ეს „ძნელად გასავალი ადგილები“, საიდანაც „თანდათან განიერცნენ და გამრავლდნენ და დიდ ერად იქცნენ“ ქართველები, თვით განგებისგან ჰქონდათ ბოძებული (De Admin. Imp. 45 – [4/IV<sub>2</sub>]; 4/IV<sub>2</sub>: 257, შენ.1). ამგვარი ახსნის შემთხვევაში მაინც რჩება კითხვა: რატომ განასხვავებს მასული ერთმანეთისგან ბაბ-ალ-ლანს და მესჯით-ზულ-კარნაინს?

როგორც არ უნდა გადაწყდეს ჩვენთვის საინტერესო ორი ტოპონიმის ურთიერთმიმართების საკითხი, ის თითქოს უდავოა, რომ არაბობის ხანაშიც არსებობდა დარიალანის (resp. წანარეთის ხევის) ქვეყანა. საინტერესოა, რომ არაბი ისტორიკოსები ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ ქართლის დამორჩილებულ „ხევეს“ // „ქვეყნებს“ შორის ცალ-ცალკე



ასახელებენ დარიალს (ბაბ-ალ-ლალა) და წანარეთის ხევს (სანარია) და მათ კლარჯეთის, თრიალეთის, კახეთის, კუხეთის, არტაანის და სხვათა ტოლფარდ ტერიტორიულ ერთეულებად მიიხნევენ (ბალაზური [65: 13]). ამაზე უწინარეს კი, IV–V საუკუნეებში წანარეთის ხევი წექენის (წილკნის) კარიდან ვიდრე ალანთა (ოვსთა) კარამდე ვრცელდებოდა („აშხარაცუიცი“ [45: 55-57]).<sup>6</sup>

მოიცავდა თუ არა წანარეთის ხევი ოვსთა კარს ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც, ეს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ციტირებული ფრაგმენტიდან, მაინცდამაინც, კარგად არ ჩანს. წანარეთის ხევის ხელისუფლის განსაკუთრებული სტატუსით („მთავარი“) მოხსენიება ამ უკანასკნელის საგანგებო მდგომარეობაზეც მიანიშნებს და დიდი ალბათობაა, რომ „ოვსთა კარ(ნი)“ მის ძალაუფლებას ემორჩილებოდა. უფრო მეტიც. არაა გამორიცხული, რომ სპარსელებმა წანარეთის ხევის „მთავარს“ დარიალთან ერთად დვალეთისა და დურძუკეთის გზების დაცვაც დააკისრეს, ანუ დვალეთიცა და ფხოვიც მასვე დაუქვემდებარეს. წყაროს კონტექსტის გარდა ამას უფრო გვიანდელი ისტორიულ-გეოგრაფიული ანალოგიები გვაფიქრებინებს: ცნობილია, რომ არაგვის ერისთავებს, რომელთა სამფლობელოებშიც ხევიცა და დარიალიც შედიოდა, ხელი მიუწვდებოდათ დვალეთის ერთ ნაწილზე, ზახაზე (63: 347). ურთიერთობები თრუსოს მოხელეთა საშუალებით ხორციელდებოდა (63: 349). მსგავსადვე შეგვიძლია დავეუშვათ, რომ წანარეთის ხევის მთავარი თრუსოს ხეობით დვალეთზეც ბატონობდა. აქვე იმის გახსენებაც შეიძლება, რომ არაგვის ერისთავები ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებასაც ცდილობდნენ (6: 62). თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, გამოდის რომ სპარსელები

---

<sup>6</sup> „სომხურ გეოგრაფიაში“ ნახსენები წექენის ანუ წილკნის კარი (34: 43; 21: 104; 69: 171), სრულიად დამაჯერებლად ლოკალიზდება ხადას ხეობაში, სოფ. წკერესთან, ისტორიული ციკარასთან (7: 199-204; 6: 50-53, იქვე, შენ. 12; 20: 189-90). ნაკლებდამაჯერებელია წექენის კარის ლოკალიზაცია ჯვრის უღელტეხილთან (45: 116, n. 71) ან ფასანაურთან (82: 56), რომელიც გუდამაყრისა და ჭართალის საზღვარზე მდებარეობდა.

ჯერ ისევ წარმართული მთის<sup>7</sup> კონსოლიდაციასაც ცდილობენ ქრისტიანული ბარის წინააღმდეგ.

არაბი ავტორები, ზოგადად, მთლიანად ამოწმებენ ქართველი მემატიანის ცნობას კავკასიაში სასანიდების გააქტიურებისა და ჩრდილოეთ კავკასიაში გარდამავალ ზეკარებზე კონტროლის დამყარების შესახებ VI საუკუნეში; მათი თხრობის დეტალები კი გაცილებით სრულად წარმოგვიდგენს ირან-კავკასიის ურთიერთობათა ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდს.

აღმოსავლური წყაროებიდან ვიგებთ, რომ ერთ დროს ჯურხანი და არანი ხაზარებს ეპყრათ, ხოლო სომხეთი ბერძნებს. ხაზართა ლაშქრობებით თავმოებურებულმა კავადმა (კუბაზ იბნ ფირუზ მეფემ) მათ წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. გამარჯვებულმა შაჰმა არანში დააარსა ქალაქები ბაილაკანი, ბარდა (ბარზანა) და კაბალა. ხაზარები განდევნა სამხრეთ კავკასიიდან და შირვანსა და ალანთა კარს (აღ-ღანს) შორის ალიზის კედელი ამოიყვანა, ხოლო მის გასწვრივ 360 ქალაქი ააშენა. კავადის მემკვიდრემ, ხოსრო ანუ შირვანმა დააფუძნა ქალაქი აღ-ბაბ-უ-აღ-აბუაბა (ბაბ აღ-აბუაბი), აღმართა შაკანის კარი (კარნი შაქქისა და კამირანისა) და დუდანიტების კარი (კარები დუდანიისა). ყოველივე ეს მან არანთა ქვეყანაში მოიმოქმედა. ხოსრომ ააგო, ასევე, დურზუკის კარი (დურზუკიდა), რომელიც ქვის კოშკებით გამაგრებული თორმეტი კარისგან შედგებოდა. სპარსელთა „უკუდაემა სულმა“ მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო სამუშაოები ქართლში ანუ ჯურხანის ქვეყანაშიც ჩაატარა. მან ააშენა ქალაქი სოღდებილი, ხოლო ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც საბერძნეთს (რუმს) ესაზღვრებოდა ციხე ბაბ ფირუზიკობადი, ციხე ბაბ ლაზიკა და ციხე ბაბ ბერიკა (ბარიკა), ტრაპეზუნდის ზღვის ნაპირზე. ააგო, აგრეთვე, ალანთა კარი, სამსახის კარი, ჯარდმანი და სამშვილდის ციხე (სამ-

---

<sup>7</sup> არქეოლოგიური მასალა თვალნათლივ მოწმობს, რომ VI-VII საუკუნეებშიც ხევის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილია გაქრისტიანებული (16: 156).

შულდა) (ბალახური, გვ. 5-6; დაკუთი, I. 221-222; იბნ ალ-ასირი, I. 183, 194, 196 [72: 9-10]).

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებულ დამატებით დეტალებს ტაბარის თხზულებაში ვხვდებით. მისი ცნობით, ქვის ნაგებობათა მშენებლობა სულასა (= ჩორის) და ალანთა ქვეყნებში პეროზმა დაიწყო, კავადმა გააგრძელა, ხოსრომ ქალაქებითა და ციხე-სიმაგრეებით დაავიერგინა. მაგრამ მხოლოდ კედლები არ აღმოჩნდა საკმარისი იმპერიის საზღვრების უზრუნველსაყოფად და სასანიანებს ფულადი სუბსიდიების გადახდაც უწევდათ ჩრდილოელი მეზობლებისთვის. ხოსრო ანუშირვანის მეფობაში აფხაზები, ბანჯარები, ბალანჯარები და ალანები გაერთიანდნენ, სწორი და ადვილადსავალი ბილიკებით შეიჭრნენ სპარსეთის იმპერიაში და არმინია მოაოხრეს. ხოსროს ჯარმა ისინი გაანადგურა, ტყვეები აზერბაიჯანსა და მიმდებარე მხარეებში გაფანტა. მოგვიანებით, თურქთა ხაკანმა სინჯიბუმ დაიმორჩილა აფხაზები, ბანჯარები და ბალანჯარები და გაერთიანებული ძალებით სცადა სპარსეთზე თავდასხმა. მაგრამ იმპერიის ჩრდილოეთის საზღვრები საგულდაგულოდ დაცული დახვდა – ჩორის კედლები გამაგრებული, სახელმწიფოში შემომყვანი ხეობები დახშული, 5000 მეომარი, ქვეითი და მხედარი, არმინიაში განლაგებული (ტაბარი, I, 895-896 – [55a: 151-53; 80: 454-55]). მკვლევარები სამართლიანად შენიშნავენ, რომ არაბი ავტორის „არმინია“ სპარსულ „კუსტი კაპოქს“ უდრის (38: 2, n. 2), ანუ წყაროში საუბარია სასანიანების მიერ სამხრეთ კავკასიის, მათ შორის კავკასიონის ზეკარების, საგანგებო გამაგრებაზე.

ამრიგად, არაბი მწერლები კავკასიაში ციხე-სიმაგრეთა თუ ციხე-ქალაქთა გრანდიოზულ მშენებლობას კავადსა (488-496, 498-531) და ხოსრო ანუშირვანს (531-579) მიაწერენ.<sup>8</sup> ამ უკანასკნელის სახელს უკავშირებენ, კერძოდ, და-

---

<sup>8</sup> სასანიანებმა აღმოსავლეთ კავასიონზე თავდაცვითი ხაზის გამართვა ამაზე ბევრად ადრე დაიწყეს. ელიშეს ნიშანდობლივი თხრობიდან ირკვევა, რომ ამ „კედელს“ მიეკუთვნებოდა იეზდიგერდ II-ის ზეობაში (438-457) დასრულებული „სასაზღვრო ცი-

რილის კარის აგებას ჯურზანში (ქართლში), თუმცა იმასაც მიანიშნებენ, რომ იქ გარკვეული სამუშაოები კავადის დროსაც უწარმოებიათ. დურძუკთა (დურზუკის) კარის დასახელება კიდევ ერთი საინტერესო დეტალია, რომლითაც ქართული წყაროს ჩვენება არაბულისას უახლოვდება.

აღმოსავლურ მატთანეთან ირკვევა, რომ შაჰანშაჰებმა სხვა საგანგებო ზომებსაც მიმართეს: გამაგრებულ ზეკარებში ირანული ტომები ჩაასახლეს, უპირატესად, სამხრეთ კასპიისპირეთიდან, აღმოსავლეთ კავკასიონის ეთნოპოლიტიკურ ერთეულებს საზღვრები დაუწესეს, ადგილობრივ ხელისუფალთ კი სხვადასხვა ტიტული უწყალობეს. კარგად ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სასანიდებმა ირანულ ელემენტზე დაყრდნობით შექმნეს ვასალურ სამეფო-სამთავროთა ქსელი, რომელიც იმპერიის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა სტეპებში მოთარეშე ნომადებისგან (ბალახური, გვ. 7; მასუდი, XVII. §§1-2; დერბენდ-ნამე [70: 20-22]; 49: 13-15).<sup>9</sup> ამ კონტექსტში კარგად ეწერება წანარეთის ხევის მთავარიც – ახალი პოლიტიკური ფიგურა ამიერკავკასიაში და ცენტრალური კავკასიონის ზეკარებიც.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ წყაროთა სანდობაში ეჭვი, შეიძლება, ხაზართა მოხსენიებამ შეიტანოს – VI საუკუნისათვის ეს აშკარა ანაქრონიზმია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულ მატთანეებში, ისევე როგორც არაბულ და არაბულენოვან წყაროებში ეს კრებითი სახე-

---

ხე-სიმაგრე“ (დარზუბანდი?), რომლის აგებაც დიდი ხნის წინ დაწყებულია, აგრეთვე ალბანთა, ლფინთა, ჭიღბთა, ჰეჰმატაკთა, თავასპართა და ხიბიოვანის ქვეყნების სიმაგრეები. კრიტიკულ მომენტში მათი საიმედოება ეჭვს ქვეშ დადგა ისინი ადვილად მოთარეშეს ჰუნებმა. ეს გარემოება შაჰის კარის დიდ შემფოთებას იწვევდა (ელიშე, თავი VI).

<sup>9</sup> ეს „მეფენი კავკასიანნი“ ადრეც არსებობდნენ; პირველად ვახტანგ გორგასალმა დარაზმა ჰუნ-ალან-ოვსების წინააღმდეგ (ჯუანშერი [25/I: 151]). სხვადასხვა დროს ისინი ხან მასაგეტებთან და ჰუნებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის წინააღმდეგ ლაშქრობებში (ფავსტოს ბუზანდი, III. 7 [55:736-75], ხან ალბანეთის მეფესთან კავშირში სპარსელებს ებრძოდნენ (ელიშე, თავი VII).

ლი ჩრდილოეთ კავკასიის თურქულ- თუ ირანულენოვან მომთაბარე ტომებს და, მათთან ერთად, ზოგჯერ, მკვიდრ „კავკასიანთაც“ ფარავს. ტაბარის ზემოთმოტანილი ცნობა ამის საუცხოო მაგალითია (9; 1; 38: 3; შდრ. 55a: 153-54, n. 394).

არაბი ავტორები თავის წყაროდ სპარსულ წიგნებსა და გადმოცემებს ასახელებენ. ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ გვხვდება ცნობა იმის შესახებ, რომ ანუშირვანმა კედელი ააგო ირანსა და თურანს შორის, შემდეგ კი ალანთა წინააღმდეგ გაილაშქრა, რათა დაესაჯა სასაზღვრო მიწების დარბევისათვის. მაგრამ საქმე უბრძოლველად გადაწყდა ანუშირვანმა შეიწყალა ალანთა უხუცესების ვედრება, აპატია დანაშაული და აოხრებულ საზღვრებში ციხე-ქალაქის აგება უბრძანა, თვითონ კი ჰინდუსტანში გაემართა (59/VII: 236-41). ნაწარმოების გეოგრაფია (თურანი, ალანები, ჰინდუსტანი) გვაფიქრებინებს, რომ მოტანილ ფრაგმენტში შუა აზიის ალანებზეა საუბარი.<sup>10</sup> თუმცა გასათვალისწინებელია ა. ალემანის თვალსაზრისი, რომ აქ კავკასიის ალანები იგულისხმებიან (38: 2-3). ის ყურადღებას მიაპყრობს „შაჰ-ნამეს“ ისეთ საინტერესო დეტალებზე, როგორიცაა ხოსრო ფარვიზის „ალანთა მეფობა“ და სპარსეთის სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრის „ალანთა“ სახელით მოხსენიება (59/VIII: 208, 209, 213, 369; 38: 4-5). მკვლევარი იშველიებს, აგრეთვე, გვიანსასანურ ხანაში შექმნილ „ტანსარის წერილს“, სადაც სპარსეთის მონაპირეებად დასახელებულნი არიან ალანის, დასავლეთის (მალრიბის), ხვარაზმისა და ქაბოლის მთავრები, რომლებსაც „მეფის“ ტიტულის ტარების უფლებაც ჰქონდათ (57: 35; 38: 2). „ტახტის მეფის“ ტიტულს, არაბული ენციკლოპედიის „ნიჰაიატ ალ-არაბის“ ცნობით, ხოსროს მიერ დანიშნული არმინის მარზპანიც ატარებდა (57: 35, nn. 4, 5). შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „ალანთა საზღვარიც“ და „არმენიაც“, მართლაც, იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარს შეეფარდება და გულისხმობს „აზერბაიჯანისა და ხაზართა ქვეყნის“ ჩრდი-

<sup>10</sup> ფირდოუსის უმცროსი თანამედროვე აღ-ბირუნი აღნიშნავს, რომ ალანები არაღისა და კასპიის ზღვებს შორის ცხოვრობდნენ (იხ. 67: 550, прим. 17).

ლოეთის სასპაპბედოს (ტაბარი, I, 894), იგივე „კუსტი კაპ-კოჰს“ ანუ „კავკასიის მხარეს“, რომელიც სასანიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთ პროვინციებს – ატრაპატაკანს, არმენიას, ვარჯანს ანუ ქართლს, რანს ანუ ალბანეთს, ბაღსაკანს, სისაკანს და სხვ. (სულ ცამეტ ქვეყანას) – აერთიანებდა („მხარაცუიცი“: 72; 62: 213-15, 217-21).

კავკასიის მხარის სპაპბედის // პოდოსპანისა და „აღანთა მონაპირის // მეფის“ ურთიერთმიმართების გარკვევისათვის საინტერესო პარალელური მასალაა დაცული სომხურ საისტორიო მწერლობაში (შდრ. 62: 214). ცნობილია, რომ დიდი არმენია იყოფოდა ოთხ საპიტიახშოდ, რაც სამყაროს ოთხივე მხარეზე სომეხთა მეფის ბატონობის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა (60: 79, 163). სომხური სახელმწიფოს ჩრდილოეთის „კარის“ ანუ საზღვრის მონაპირედ ითვლებოდა გუგარქის ბდემში, რომელიც, ტრადიციულად, „ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის“ „განმგებლად“ (მოვსეს ხორენაცი, II.11 – [17: 111]) ან „კავკასიის მთათა და ჭანთა მხარეების“ „მცველად“ (Ag. §98 – [4/I: 71])<sup>11</sup> იწოდებოდა. V საუკუნის ავტორი აგათანგელოსი კავკასიის მთების // ჩრდილოეთის მთების ამ განმგებელს „მასქუთთა მხარის მონაპირეს“ უწოდებს (Aa § 873 – [58: 474]).<sup>12</sup> სომხეთშიც და სპარსეთშიც აშკარაა პოლიტიკურ-გეოგრაფიული („კავკასიის მხარე“, „კავკასიის მთები“) და ეთნოპოლიტიკური („მასქუთები“, „აღანები“) ტერმინების მონაცვლეობა ჩრდილოეთის საზღვრის მონაპირის ტიტულატურაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე სახელმწიფოში ჩრდილოეთის საზღვრის სახელდების პრინციპიც ერთი იყო ის სახელს იღებდა ან უშორესი გეოგრაფიული რეგიონიდან (კავკასია) ან მის საზღვრებთან გაბატონებული

<sup>11</sup> ბერძნულ აგათანგელოსში, მართალია, გუგარქის პიტიახშის ნაცვლად ოსპიტიანი ანუ ბაგრატუნთა გვარის წარმომადგენელია დასახელებული, მაგრამ მისი ტიტული, აშკარად, პიტიახშისგანაა ნასესხები.

<sup>12</sup> ბერძნულ რედაქციაში „მასქუთების“ ნაცვლად „ჰუნები“ ფიგურირებენ (58: 474, შენ. 17). „მასქუთთა პიტიახშის“ ინტერპრეტაციისათვის იხ. [32].

ეთნოსიდან, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნიდა; სომხებისთვის ასეთ ტომად „მასქუთ-მასაგეტები“ მოიაზრებოდნენ,<sup>13</sup> ხოლო სპარსელებისთვის – „აღანები“ (იხ. ზემოთ).<sup>14</sup>

ახლა კი, თუ ფირდოუსის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტს დავუბრუნდებით და ჩავთვლით, რომ ის მართლაც კავკასიის აღანებს შეეხება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასანიდების კავკასიურ სამფლობელოებში, რომლებიც აღანთაგან იყო დარბეული, აღანებმა სპარსელების ბრძანებით ციხე-სიმაგრე აღმართეს. ერთი შეხედ-

<sup>13</sup> ლაპარაკია IV საუკუნის პირველ მესამედზე, როდესაც განსაკუთრებულ სიძლიერეს აღწევენ კასპიისპირეთის დასავლეთ სანაპიროებზე დამკვიდრებული მასაგეტები. მათი მბრძანებელი „დიდი მეფის“ ტიტულს ატარებს და თავის ძალაუფლებას კასპიისპირეთიდან ცენტრალურ კავკასიონამდე ავრცელებს (Aa, § 842; ფავსტოს ბუზანდი, III.7; მოვსეს ხორენაცი, II.86). მასაგეტების ძარცვა-რბევის ერთ-ერთ უმთავრეს ასპარეზად სომხეთი ხდება (ფავსტოს ბუზანდი, III.6-7; მოვსეს ხორენაცი, III.9). სწორედ მასქუთთა ამ მოწოლის ხანაში ჩნდება „მასქუთთა ქვეყნის მონაპირეც“. მასქუთების ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ იხ. 73: 25-35; 45: 121-22, n. 103.

<sup>14</sup> აღანური საფრთხე გაცილებით ხანგრძლივი და მასშტაბური იყო. ის ერთნაირად ემუქრებოდა კავკასიასაც და მახლობელ აღმოსავლეთსაც. ნომადური საშიშროება კარგად ჰქონდათ გააზრებული პართელ არშაკიდებსაც და სპარსელ სასანიდებსაც; ამიტომაც იყო, რომ იმპერიის ჩრდილოეთის საზღვრის ერთ-ერთ მონაკვეთს, დარუბანდს, „აღანთა კარი“ შეარქვეს (ŠKZ §22, KKZ §12 – იხ. 53: 14, 52; 47: 22-23). წყაროში დამოწმებული W-1'n'n BBA // W-1'nn TROA-ს შესახებ იხ. 53: 79; 76: 392, прим. 163; 30: 327-37; 27: 109-16; 75: 13, 126; 15: 21, 37; 47: 25-26. „აღანთა კარი“ კარგად წარმოაჩენს მომთაბარე მასის მთავარ ძალასაც და ამ ძალის განსახლების არეალსაც, მით უფრო, თუ მათი მოსვლა შუა აზიიდანაა სავარაუდოებელი (იხ. 66: 866).

ზოგიერთი ბერძენ-რომაელი ავტორი აიგივებს მასაგეტებსა და აღანებს (Dio, LXIX. 15. 1 – [10: 82]; Amm. Marc., XXIII. 5. 16 – [4/I: 120]). „დერბენდ-ნამეს“ მიხედვით, მასკუტების მიწა-წყალზე აღანიდან ჩამოსახლებული ტომები ცხოვრობდნენ (გვ. 22).

ვით ისე სჩანს, რომ ალანები „გომარდად“ დაყენებული „მთიულნი“ არიან, რომლებსაც ალანთა კარის შეკერა და იმპერიის ნომადთა თავდასხმებისგან დაცვა აქვთ დაკისრებული. თუმცა ცნობა, შეიძლება, ისეც გავიგოთ, რომ კავკასიის ერთ მონაკვეთზე ალანთა ბატონობა დამყარდა. ეს სასაზღვრო ზოლი – „ალანთა კარი“ – შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც დღევ. დარიალის ხეობა (38: 3), ისე დარუბანდი (იხ. შენ. 14).

უფრო მკაფიო ცნობები მომთაბარე ტომების მიერ კავკასიონის ზეკარების ხელში გდების შესახებ პროკოპი კესარიელს მოეპოვება. იუსტინიანეს ისტორიკოსი გვამცნობს, რომ კასპიის კარები და მისი სიმაგრეები ეპყრა ამბაზუკის, „შთამომავლობით ჰუნნს“ და კეისრის მოკავშირეს. სიკვდილის წინ მან ბიზანტიელებს კასპიის კარის გადაცემა შესთავაზა გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მაგრამ ანასტასი კეისარმა (491-518) წინადადება არ მიიღო, რადგან „...მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ჯარისკაცების შენახვა იქ, ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულ ადგილას, სადაც მეზობლად არ მოიპოვებოდა რომაელთა ქვეშევრდომი ტომები“. ამით ისარგებლა კავადმა და ამბაზუკის გარდაცვალების შემდეგ დაიპყრო კარები (Bell. Pers., I, 10 – [4/II: 46-47]). კავადის მიერ კასპიის კარის აღებას პროკოპი თავისი თხზულების სხვა ადგილასაც აღნიშნავს (Bell. Pers., I, 16).

ბიზანტიელი ისტორიკოსის, ვითარცა თანამედროვისა და კავკასიის პოლიტიკურ გეოგრაფიაში ფრიად გათვითცნობიერებული პირის, ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მისი მონათხრობიდან, ჯერ ერთი, ირკვევა, რომ კასპიის კარი უკვე კავადმა დაიპყრო, რაც ადასტურებს ზემოთმოტანილ ცნობებს, რომ ალანთა კარში გარკვეული საფორტიფიკაციო სამუშაოები ხოსროვზე ადრე კუბაზმა (კავადმა) გასწია. საინტერესოა ცნობათა ის ნაწილიც, სადაც ხაზგასმულია ბიზანტიისა და სპარსეთის დიამეტრულად განსხვავებული დამოკიდებულება კასპიის კარის ფლობის საკითხისადმი: თუ კეისარი ამ ამოცანას გულგრილად უყურებს, შაჰი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული მის გადაწყვეტაში. კასპიის კარში სიმაგრეე-



ბის აგებითა და გარნიზონების განლაგებით სასანიდები, ცხადია, სრულებითაც არ ზრუნავდნენ „რომაელთა“ ინტერესებზე (Bell. Pers., I, 16). მათ საკუთარი საზღვრების უსაფრთხოება ადარდება. ერანშაჰებს ისიც კარგად ახსოვდათ, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში ანტიმაზდეანური აჯანყებებისას ქართველებსაც, სომხებსაც და ალბანელებსაც ჩრდილოკავკასიელები უმაგრებდნენ ზურგს (ელიშე, თავი III, IV, VII; ლაზარ ფარპეცი II.45, III.65-67, 70). მეფობის მოსპობის მიუხედავად კავკასიის ხალხები მაინც არ იხრიდნენ ბოლომდე ქედს და თვალი დამოუკიდებლობისკენ ეჭირათ (Bell. Pers., II.28). კავკასიონის ზეკარების დაკავებით კი სპარსელებს საშუალება ეძლეოდათ, მათთვის ზურგიც მოეშალათ და ბატონობის უღელიც დაემძიმებინათ.

კიდევ უფრო საინტერესოა პროკოპი კესარიელის ის ჩვენება, რომ კასპიის კარები იბერიის საზღვრებს მიღმა იდო და მას, სპარსელთა გაბატონებამდე, ჰუნები ფლობდნენ.

მეისტორიეს ფრაზა, რომ „ეს სიმაგრე დროთა განმავლობაში ბევრს ეჭირა“ (Bell. Pers., I, 10), გვაფიქრებინებს, რომ კასპიის კარების დაუფლებისათვის მწვავე ბრძოლები წარმოებდა მეზობლებს შორის. ჰუნების ყურადღება ამ გადმოსასვლელმა უკვე IV საუკუნის მიწურულს მიიპყრო. კლაუდიანეს ცნობით, 395 წელს ჰუნებმა გადმოლახეს კასპიის კარი, მოაოხრე არმენია, ხოლო შემდეგ კაპადოკია, კილიკია და სირია დაარბიეს (In Rufin., II.28-35 – [42: 62-63]). ე. გიბონის კლასიკურ ნაშრომში ნათქვამია, რომ ჰუნები კასპიის ზღვით შემოიჭრნენ (44: 629; შდრ. 39: 136 და 41: 501, Fig. 11). მაგრამ ცენტრალური კავკასიონის ზეკარები და პირველ რიგში, დარიალის ხეობაც რომ გამოსარიცხი არაა, ეს პეტრე იბერის ასურული „ცხოვრებიდანაც“ შესანიშნავად ჩანს. წყაროში, კერძოდ, ნათქვამია, რომ იმპერატორ არკადიუსზე (395-408) განაწყენებულმა მეფე ფარასმანიოსმა, „როდესაც ის იბერებზე ბატონობდა და თან მოიყვანა თეთრი ჰუნები, იბერთა მეზობლები“, რომაელთა ქვეშევრდომებს მრავალი უბედურება დაატეხა თავს (4/II: 249).

იმ დროისთვის იბერთა პოლიტიკური ბატონობა თერგის ხეობაში რამდენიმე საუკუნეს მოითვლიდა (36: 251-52; 20: 54; 12: 63; 19: შესაბამისი რუკები). ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, დარიალის ხეობას – უკეთ, „არაგვისკარს“, როგორც ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ მას შორეულ წარსულში<sup>15</sup> – უკვე პირველი ფარნავაზიანები ფლობდნენ (ვახუშტი, აღწერა, გვ. 358). ამ ცნობას შესანიშნავად ამოწმებს არქეოლოგიაც (16; 31) და წერილობითი წყაროებიც (Strabo XI.3.5 – [26: 129]). ახ.წ. I საუკუნის რომაელი ავტორები პირდაპირ მიუთითებენ, რომ იბერები „კასპიის გზით“ (დარიალის ხეობით) შემომავალი „ადგილების მფლობელები“ იყვნენ (Tac., Anal., VI. 33 [24: 54-55]); ამიტომაც „კასპიის კარს“ // „კავკასიის კარს“ ისინი „იბერიის კარსაც“ უწოდებდნენ (Plin., Nat. hist., VI.40 – [50: 367-68]).<sup>16</sup> უნდა ვიფიქროთ, ამ უკანასკნელთანაა კავშირში გვიან ანტიკური-ადრე შუა საუკუნეების მწერლობაში დამოწმებული „იუროპახის“ // „ვირაპარახის“ ციხის სახელი (Ioan., Lydus, De Magist., III.52 – [4/II: 236-37]; ŠĚ § 18 [52: 18]; „აღექსანდრეს რომანის“ სირიული ვერსია [39, იქვე, შენ. 25]; Aa-ის ზოგიერთ ხელნაწერი [48: 101]) – მასაც ხომ სომხურიდან სპარსულში შესულ „იბერთა/ვრაცთა საფარად/კარად“ გაიაზრებენ.<sup>17</sup> თეოფანე უამთაადმწერელთან კვლავ „იბერიის კარები“ დატურდება (4/IV: 103).

<sup>15</sup> ძველ ქართულ მატყანეებში „თერგი“ „არაგვად“ მოიხსენიება (ჯუანშერი, გვ. 151), ხოლო „დარიალი“ „არაგვისკარად“ (ლეონტი მროველი, გვ. 12).

<sup>16</sup> იბერები ცენტრალური და აღმოსავლეთი კავკასიონის სხვა მნიშვნელოვან უღელტეხილებსაც იცავდნენ უშუალოდ თუ მათზე დამოკიდებული (?) ტომების საშუალებით: ტაციტუსი ამბობს, რომ ყველა შემოსასვლელი დარიალიდან დარუბანდამდე პართიის მოკავშირე სარმატების მტრებს ჰქონდათ ჩაკეტილი, ამიტომ ამ სარმატებს იბერები ადვილად აჩერებდნენ (Tac. Anal. VI.33).

<sup>17</sup> თავდაპირველად იუროპახი, საფიქრებელია, დარიალის ხეობას მიემართებოდა; ტაციტუსის თხრობიდან აშკარად ჩანს, რომ ნომადებთან ურთიერთობაში კავკასიის ზეკარებიდან უპირატესობა იბერიის კასპიის კარს (დარიალის ხეობას) ენიჭებოდა,

საზღვრები, რა თქმა უნდა, არ ყოფილა სტატიკური მთიელთა მოწოლის შედეგად ის იცვლებოდა. ჩვენამდე მოაღწია თემისტოსის სრულიად უნიკალურმა ცნობამ იმის შესახებ, რომ „რომაელთა სარდლებმა გაიარეს კასპიის კარები, გააძევეს ალანები და საზღვრები დაუწესეს იბერებს და ალანებს“ (Orat., XXXIV.8 – [4/I: 48]).<sup>18</sup> ეს სიტყვა 385 წლის დასაწყისშია წარმოთქმული (61: 214); იქ აღწერილი ამბავიც, შესაძლოა, IV ს-ის 70-იანი წლების მოვლენებს ეხებოდეს. ცნობა თუ გაზვიადებული არაა, მაშინ ჩვენ გვეჩვენებოდა წერილობით წყაროებით დადასტურებული პირველი შემთხვევა, როდესაც რომაელებმა კასპიის (იგივე, კავკასიის ანუ იბერიის) კარების გავლით ჩრდილო კავკასიაში ილაშქრეს. მისი სანდლობისათვის უნდა გავიხსენოთ, რომ სანამ სპარსელები საბოლოოდ განდევნიდნენ რომაელებს არმენიიდან და იბერიიდან, არტაშატში დაბანაკებული ლეგიონები სამხრეთ კავკასიას სხვადასხვა ნომადებისგანაც იცავდნენ (Ioan., Lydus, De Magist., III.52); ამ კონტექსტში მოკავშირე იბერიის დაცვაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. იბერებსა და ალანებს შორის საზღვრის დადება, როგორც ჩანს, ცენტრალური კავკასიონის ზეკარების გამაგრებას გულისხმობს (შდრ. 18: 66-68).

მომთაბარე სტეპის შემოტევა ქართლზე სპარსეთის გაბატონების შემდეგაც გრძელდებოდა. მისი საზღვრების

---

რადგან „ზღვასა და ალბანთა მთის კიდეს შორის“ გასასვლელი (დარუბანდი) ზაფხულობით გაუვალი იყო (Tac., Anal., VI. 33). სასანიდების ბატონობის დამყარებასთან ერთად იზრდება დარუბანდის მნიშვნელობა და იუროპახის სახელწოდებაც კასპიის ზღვისკენ ინაცვლებს. იუროპახის ეტიმოლოგიისა და ლოკალიზაციის შესახებ იხ. 48: 99-101, 105-106; 39: 143 და იქვე, შენ. 25; 4/II: 240-241, შენ. 2; 14: 63; 18: 147; 64: 64, прим. 69; 52:140.

<sup>18</sup> გ. დინდორფისა (Themistii Orationes ex Codice Melionensi, Lipsiae, 1832, გვ. 452) და ლატიშვეის გამოცემებში (SC,I: 697), საიდანაც გადმობეჭდილია თემისტოსის „სიტყვების“ ბერძნული ტექსტი, მოტანილ ფრაგმენტში იბერიის და ალბანეთის საზღვრებზეა საუბარი; ასევეა რუსულ თარგმანშიც. „ალბანეთის“ ხსენება, როგორც ჩანს, უფრო *lapsus calami*-ა. ანალოგიურ შემთხვევებს ვადასტურებთ სომხურ საისტორიო მწერლობაშიც (იხ. ქვემოთ).

გამაგრებაზე, ამჯერად, უკვე სასანიანები ზრუნავდნენ და საამისოდ კონსტანტინოპოლისგან ჯარსა და ფულს მოითხოვდნენ (Prisc., frg. 31, 37; Ioan., Lydus, De Magist., III.51-53; Proc., Bell. Pers., I.16, 22; ჯუანშერი, გვ. 145-46). კასპიის კარს (დარიალს) განსაკუთრებული მნიშვნელობა მაშინვე სელოდა, როდესაც ჩორი მათ კონტროლს მიღმა რჩებოდა. ასე მოხდა, მაგალითად, V საუკუნის შუახანებში, როდესაც ალბანეთის მეფემ მოთხარა ჩორის ციხე, გადმოიყვანა მასკუტები და თერთმეტი მეფენი კავკასიანნი და სპარსელებს შეებრძოლა. საპასუხოდ, სპარსელებმა ალანთა კარი გახსნეს, იხმეს ჰონთა ურიცხვი ლაშქარი და ალბანელებს გაუსიეს (ელიშე, თავი VII). კარგად ჩანს, რომ სპარსელებიცა და ქართლის ხელისუფალნიც ნომადური შემოტევების წინაშე მხოლოდ თავდაცვით პოზიციებში არ ყოფილან. დარიალის ფლობა მათ ჰონებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დამყარებისა და მათგან დამხმარე ჯარის გადმოყვანის საშუალებას აძლევდა.

ზეკარების კონტროლი, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შაჰის მიერ გამოგზავნილ მარზპანს ევალებოდა. 450-451 წწ. აჯანყებისას ვასაკ სივნიელი იკვებნიდა, რომ შეეძლო ჰუნთა მრავალი მეომრის გადმოყვანა, რადგან ქართლის მარზპანობისას ალანთა კარი ეპყრა და ჰუნთა ბელადებთანაც კავშირი ჰქონდა გაბმული.<sup>19</sup> ამ ცნობაზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნა, თითქოს დარიალის კარს საუკუნეთა განმავლობაში სომეხი ნახარარები აკონტროლებდნენ (68: 58-61, 82), აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ლაზარ ფარპეცის თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ ალანთა კარის კონტროლი ქართლის ხელისუფალთა – იქნებოდა ეს მეფე თუ მარზპანი – პრეროგატივას წარმოადგენდა, ვასაკ სივნიც დარიალში როგორც შაჰის მოხელე მოქმედებდა, მის ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა; თანაც ეს სახელო მას სიცოცხლეშივე ჩამოერთვა. VI საუკუნის 10-30-იან წლებში კი „ჩრდილოეთის საზღვრის“ „გამგებლად“ დანიშნულია მიჰრანთა სახლის წარმომადგე-

---

<sup>19</sup> ლაზარ ფარპეცი II.45. ტექსტში „ალბანთა კარია“, რაც მერმინდელ გადამწერთა დამახინჯება უნდა იყოს (35: 130-31).

ნელი რეიდან ფირან გუშნასპი, ვისაც „მეფის ბრძანებით გურზანის და არანის ქვეყნების დაცვა ჰქონდა დავალებული“ (8; 18: 221). სამხრეთ კავკასიას სპარსელი მარზპანი, ცხადია, ჩრდილოკავკასიელთაგან იცავს, საამისოდ კი ის, წინამორბედთა მსგავსად, კავკასიონის ზეკარებს, დარი-ალსა და დარუბანდს, სდარაჯობს.

მომთაბარეთა საკითხის გადაჭრას სპასელები, როგორც ეს ქართული, სომხური და ბიზანტიური წყაროებიდან შესანიშნავად ჩანს, ლოიალურად განწყობილი ქართლის მეფის მონაწილეობითაც ცდილობენ ერთობლივი ლაშქრობები ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიონში, სამხედრო ოპერაციების გადატანა ჩრდილოეთ კავკასიაში და საზღვრების გამაგრება ამის საუცხოო დადატურებაა (ლეონტი მროველი, გვ. 67-68; ჯუანშერი, გვ. 150, Prisc., frg. 41). სწორედ სპარსელთა დახმარებით ვახტანგ გორგასალმა განახორციელა გრანდიოზული შეტევა მთასა და სტეპზე და, როგორც ერთი მემატთანე გვამცნობს „... დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მადალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი: არა ჰველ-ეწიფების გამოსლვად მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თუნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“ (არსენ ბერი [27/III: 48]). V ს-ის სომხური წყაროებიც გარკვევით მიანიშნებენ ჰონთა დამოკიდებულებაზე ქართლის მეფისადმი (ლაზარ ფარპეცი III. 67-73; 20: 205-206).

ჩრდილოეთის სტეპის მოწოდის შედეგად თერგის ხეობის ზემო წელზე ეთნიკური მდგომარეობაც იცვლება: ბალთა-ჩმის მიდამოებში, დარიალის ხეობის უშუალო მისადგომებთან, ალანები იწყებენ ჩამოსახლებას; ეს პროცესი, განათხარი კატაკომბური მასალის მიხედვით, VI ს-ის დასარულითა და VII ს-ით (სხვა თვალსაზრისით, V ს-ით) თარიღდება (იხ. 16: 142).

მოტანილი წყაროები, თითქოს, ავსებს ერთმანეთს და საკმაო სიცხადით წარმოაჩენს იმ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ვითარებას, რომელიც ცენტრალურ კავკასიონზე შეიქმნა V ს-ის II ნახევარსა და VI ს-ის I ნახევარში. თუმცა

ლიად რჩება საკითხი კასპიის კარის ანუ დარიალანის კუთვნილების შესახებ V-VI სს. მიჯნაზე – ფლობდნენ მას იბერები თუ ჰუნები?

ცნობილია, რომ ქართულ წყაროებში „კარი“ ერქვა ქვეყანაში შემომყვან უმთავრეს გზას, ვიწრობებს, რომელნიც კედლითა და ციხე-სიმაგრით იყო გადაკეტილი და ჩვეულებრივ, გამაგრებათა მთელ სისტემას წარმოადგენდა (34: 15). არაბი ავტორებიც ერთხმად განმარტავენ, რომ „კარი“ შესასვლელია კავკასიის მთათა ხეობებში“, ან, მთის ხეობებში აღმართული ციხე-სიმაგრეებია (იხ. 49: 14, n. 3). სომეხი ისტორიკოსები კი „კასპიის კარის“ სახელით მოიხსენიებენ ვრცელ ტრაქტს, რომელიც ციხე-სიმაგრეთა კომპლექსს – ჩორაპაპაკს, ჰუნთა კარსა და საკუთრივ კავკასიის კარს – აერთიანებდა (სებეოსი, თავი LI – [54: 148]).<sup>20</sup> სებეოსი აღმოსავლეთ კავკასიონის საფორტიფიკაციო სისტემებზე საუბრობს; ანალოგიური ვითარება ცენტრალური კავკასიონის „კასპიის კარზეც“ დასტურდება. ძველ ქართულ მწერლობაში მას „არაგვის კარი“, „ოვსთა კარი“, ან „დარიალანი“ შეესატყვისება. ნარატიულ წყაროებში „დარიალი“ ხეობას აღნიშნავს, ხოლო „ციხე დარიალისა“ ამ ხეობაში აღმართულ ნებისმიერ ციხე-სიმაგრეს (ძველი ერისთავთა, 5(3r)<sub>13-16</sub> [26: 347]). ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერასა“ და „ატლასში“ დარიალის ხეობაში შემდეგი ციხე-სიმაგრეებია ნაჩვენები: გველეითი, დავითის სასახლე (დღევ. დარიალის ანუ თამარის ციხე, თერგისა და ხდეს შესართავში), დარეილა (იგივე ღარსი), ნასახლევი მეფეთა (ჯარიახთან) (აღწერა, გვ. 358; ატლასი, გვ. 28-33 [11]; 33: 13; 23). მეცნიერი ბატონიშვილი მნიშვნელოვან განმარტებებსაც ურთავს: ქართლის მესამე მეფის, მირვანის მიერ აგებულ დარეილას უფრო თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონია („შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვ-

---

<sup>20</sup> სებეოსის თხზულების კომენტატორების აზრით, „კასპიის კარი“ დღევ. სუმგაითიდან მაპახყალამდე ვრცელდებოდა (იქვე, ნაწ. II, გვ. 278).

სათაჳს, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ<sup>21</sup>), ხოლო მეფეთა ნასასახლევს – შეტვეითი („ოდეს გაილაშქრიან (მეფენი გ.ჭ.) ოვსეთად, მუნ დადგიან“<sup>22</sup>).

მსგავს ვითარებას დავითის ისტორიკოსიც ადასტურებს: 1118 წელს დავით აღმაშენებელმა „აღისუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისათანი, და შექმნა გზად მშუდობისად...“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისი დავითისი [25/I: 336]) აქედან, ჯერ ერთი, ცხადი ხდება, რომ მემატიაზე განასხვავენ დარიალის ციხეს და ოვსთა კარს; შემდეგ, დარიალის (ოვსეთის) კარი, ისევე როგორც, დარიალის ხეობა და კავკასიონის სხვა მისადგომები, გამაგრებულია ციხე-კოშკებით და ყველა ისინი ქმნის ერთ მთლიან სისტემას, რომელზეც კონტროლი აუცილებელი პირობაა ჩრდილო კავკასიის ეთნო-პოლიტიკურ წარმონაქმნებზე და, კერძოდ, ოვსეთზე გაბატონებისთვის და ბატონობის განმტკიცებისათვის.

ძეგლების ადგილზე შესწავლაც ცალსახად მეტყველებს, რომ დარიალი (თამარის) ციხე და მის ქვევით განლაგებული სიმაგრეები „ბარბაროსთა“ წინააღმდეგ მიმართული თავდაცვის ერთიან ჯაჭვი იყო; მთავარ რეოლს კი დღევ. დარიალის ციხე წარმოადგენდა (51: 73).

წყაროებზე დაკვირვება გვიჩვენებს, უკვე ახ.წ. I საუკუნიდან (თუ უფრო ადრე არა), დარიალის გზამ და დარიალის კარმა მიიღო ის შინაარსობლივი დატვირთვა, რაც ასე რელიეფურად წარმოჩინდა მომდევნო საუკუნეებში და, განსაკუთრებით, დავითის ეპოქაში: შეტვეა და გაულენის დამყარება კავკასიის მთიანეთსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებზე. მხედველობაში მაქვს „საბუნებისმეტყველო ისტორიის“ შემდეგი კარგადცნობილი ფრაგმენტი: „კავკასიის კარები, რომელიც მრავალთაგან მეტად შეცდომით კასპიისად ითქმის, ბუნების უზარმაზარი ქმნილებაა,

---

<sup>21</sup> ღარსთან, კლდეზე აწოწილი გზის ჩამკეტი ციხესიმაგრის ნაშთებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კერ პორტერზე (51: 70).

<sup>22</sup> „მეფეთაგან“ „აღშენებულ“ ციხე-კოშკების სიმაგრე „ოვსეთში“ (ვახუშტი, გვ. 642-43) ექსპანსიის სიმბოლოცაა და მიმართულების მანველებელიც.

მთათა უეცარი გაპობის შედეგად წარმოქმნილი. ნაპრაღში აგებულია რკინით მოჭედილი ძელებიანი კარები, რომლის შუიდან მყრალი სუნის მდინარე მოედინება; ხოლო გამოღმა მხარეს, კლდეზე აღმართულია კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრე, კუმანიად წოდებული, რომელიც უამრავ ტომთა გადმოსვლას აბრკოლებს“ (VI.XII.30). გარდა იმისა, რომ ავტორი განასხვავებს მდინარის სხვადასხვა ნაპირას განლაგებულ კავკასიის კარსა და კუმანიას (ამ უკანასკნელს, ჩვეულებრივ, დღევ. დარიალის ციხესთან აიგივებენ), მას სხვადასხვაგვარად წარმოუდგენია მათი ფუნქციაც: თუ კუმანიის ციხე თავდაცვითი ნაგებობაა და მისი დანიშნულებაა ჩრდილო მომთაბარეთა შემოსევების შეჩერება, კავკასიის კარი ალან-სარმატებზე გალაშქრების პლაცდარმია (VI.XV.40). გავიხსენოთ, რომ ვახუშტის მიხედვითაც ოსეთზე ლაშქრობის წინ ქართველი მეფენი დარიალის კარს „ქვემოთ“ აგებულ სასახლეში „დადგინან“. კიდევ ერთი საინტერესო რემარკა „საბუნებისმეტყველო ისტორიიდან“: კავკასიის კარი სამყაროს ორ ნაწილად ჰყოფს (VI.XII.30). ცხადია, აქ ცივილიზებული სამხრეთისა და ველური ჩრდილოეთის ურთიერთდაპირისპირება იგულისხმება.

ამგვარი შეხედულება ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე ჩამოყალიბდა. უკვე სტრაბონს სცოდნია, რომ „ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან“ იბერიაში შემოდის და „დაახლოებით სამი დღის ძნელი ამოსასვლელი“, რომელსაც მოსდევდა „საცალფეხო გზა მდინარე არაგოსის ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის [სავალი], ხოლო გზის ბოლოს ძნელად ასადები კედლით“ ყოფილა გამაგრებული“ (XI.3.5).

„არაგოსის“ დასახელება ნიშანდობლივია: ძველ ქართულ წყაროებში („მეფეთა ცხოვრება“, ვახტანგ გორგასლის ისტორია) არაგვი მდ. თერგს ეწოდებოდა, ხოლო არაგვისკარი – დარიალს. აშკარაა, რომ ბერძენი გეოგრაფოსი დარიალის ხეობას გულისხმობს, ხოლო ხეობის ჩამხერგავ კედელს იბერიის სახელმწიფო საზღვარს უფარდებს (36: 251). ამასთან, საზღვარი სტრაბონს კავკასიის



მთავარ ქედს იქით წარმოედგინა:<sup>23</sup> მისი განცხადებით, კავკასიონი „საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს“ (XI.2.15). სარმატთა დაბლობებთან მოსაზღვრეობა არა ზოგადი განსაზღვრებაა, არამედ კონკრეტული ხასიათის მითითება; ამას გვაფიქრებინებს როგორც სტრაბონის გათვითცნობიერება კავკასიის ფიზიკურსა და პოლიტიკურ გეოგრაფიაში, ასევე იმდროინდელი რეალური ვითარება: ისტორიული ალბანეთი დაღისტნის ნაწილსაც მოიცავდა, ხოლო იბერიის სამეფო წარმატებით ახორციელებდა მთის შემოერთება-შემომტკიცების პროცესს.

არაგოსას კედლის („არაგვის კარის“) ანუ იბერიის ჩრდილოეთის საზღვრის მდებარეობა ჩრდილო კავკასიის სტეპებთან (სარმატთა დაბლობებთან) ის სახასიათო გარემოებაა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავენ ადრე შუა საუკუნეების ქართველი და ბიზანტიელი ავტორები.

ჯუანშერის თანახმად, ოსებზე მიმავალმა ვახტანგმა „განვლო კარი დარიალანისა“; მტერი მიეგება „მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოფსეთისასა... და დაიბანაკეს ორთავე სპათა იმიერ და ამიერ, რამეთუ მდინარისა მის პირსა ორგნითვე ქარაფნი იყვნეს კლდისანი, ჭალაკნი და ველოვანნი პირსა მდინარისასა, და განეკრძაღნეს ერთმანერთისაგან. და დაიცვნეს გზანი ქარაფთანი...“ (ჯუანშერი, გვ. 151). ოსები დამარცხდნენ. მათ ვიწრობების ჩახერგვა სცადეს, მაგრამ „მაშინ წინა ცხენ-თორნოსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, ავჯდეს ვაკესა, და აღუდგეს უკუანა ქუეითნი და შემდგომად სიმრავლე მკვდართა...“ (ჯუანშერი, გვ. 156). ირკვევა, რომ დარიალის კარს შემდგომ იწყებოდა ოსეთის დაბლობები, რომელთაგან ქართლის სამეფო ქარაფიანი ვიწრობებით გამოიყოფოდა.

ჯუანშერთან სრულ თანხმობაშია მისგან დამოუკიდებელი ბიზანტიური წყარო. პროკოპი კესარიელის ცნობით,

---

<sup>23</sup> ს. ჯანაშია იბერიის ჩრდილოეთ საზღვარს, სტრაბონის ცნობებზე დაყრდნობით, ხან დარიალ-ბაღთის მიდამოებში (36: 251), ხან კი „საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი საზღვრის მახლობლად, მის სამხრეთით“ (2: 77) დებდა.

კასპიის კარს „...იქით არის გაშლილი ველები, წყლით მდიდარი ... და მიწები, ცხენთსაძოვარი და, სხვათა შორის, გაშლილი. იქ თითქმის მთლიანად ჰუნთა ტომები დამკვიდრებულან ვიდრე მეოტის ტბამდე“ (BP, I.10). ორივე შემთხვევაში გეოგრაფიული გარემო თითქმის იდენტურია: დარიალის // კასპიის კარს ჩრდილოეთით ოსთა // ჰუნთა დაბლობები იწყება. იუსტინიანეს ისტორიკოსი კიდევ უფრო აკონკრეტებს თავის ჩვენებას, როდესაც კასპიის კარის სამხრეთ მისადგომებსაც აღწერს: „... იბერთა საზღვრებს რომ გადახვალ, ვიწრობში ერთი ბილიკი შეგხვდება, ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე გადაჭიმული, ეს ბილიკი ერთ ციცაბო და სრულიად გაუვალ ადგილს მიადგება: არავითარი გასავალი აქ აღარ ჩანს, ისღა არის მხოლოდ, რომ ბუნებას აქ გაუკეთებია თითქოს ხელქმნილი კარი, რომელსაც ძველთ განვე კასპიის კარი ჰქვია“ (BP, I.10). ცოტა ქვევით ის კვლავ იმეორებს, რომ იბერ-ჰუნების დამაკავშირებელი ვიწრობები 50 სტადიონს აღწევდა (BP, I.10). სავარაუდოდ, აქ ლაპარაკია მდინარე თერგის ხეობის ანტეცენდენტურ მონაკვეთზე და, მაშასადამე, პროკოპი კესარიელის წარმოდგენით, კასპიის კარი თერგის ხეობის კლდოვანი დერეფნისა და კავკასიის დაბლობების გასაყარზე მდებარეობდა.

ამრიგად, დარიალის კარი (იგივე კავკასიის კარი // კასპიის კარი) ეწოდებოდა თერგის ხეობის დაახლოებით ათ კილომეტრიან ვიწრო მონაკვეთს, რომელიც თავდაცვისა თუ ექსპანსიისთვის განკუთვნილ ციხეების მთელ სისტემას მოიცავდა. ჩრდილო კავკასიის სტეპებში მომთაბარე ტომთა შემოსევების შესაჩერებლად თუ მათი მასების გადმოსაყვანად უპირატესობა დავითის ციხესა და დარიალს ენიჭებოდა, ხოლო სამხედრო-პოლიტიკური თუ კულტურული გავლენის გაფართოებისთვის მნიშვნელოვანი იყო ფეხის მოკიდება ჯარიახ-ჩიმში, საიდანაც თერგის ხეობა დავაკებას იწყებს.

ამ დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ნომადებსაც და ახლოაღმოსავლურ იმპერიებსაც; ამიტომც ცდილობდნენ დარიალისა თუ მისი ცალკეული ციხეების ხელში გდებას. ჯუანშერისა და პროკოპი კესარიელის ჩვენებათა ურთიერთშეპირისპირება გეაფიქრებინებს,

რომ ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ (?) დარიალის (კასპიის კარის) დიდ ნაწილზე ჰუნების კონტროლი დამყარდა; მხოლოდ დარიალის (იგივე დავითის თუ თამარის) ციხე რჩებოდა ქართლის საზღვრებში. ცვლილებები საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ამ მონაკვეთზე პერიოდულად მეორდებოდა,<sup>24</sup> ვიდრე დასუსტებულმა ქვეყანამ მთის ჩამოწოლის შედეგად ჯერ ლარსამდე, შემდეგ კი დავითის ციხემდე მონაკვეთები არ დაკარგა.<sup>25</sup> მოშლილი

---

<sup>24</sup> არაბულ და სპარსულ წყაროებში (იბნ-რუსტე, ჰადუდ ალ-აღემი) დარიალი, ზოგჯერ, ალანთა საზღვრებშია ნაჩვენები. ცნობათა ინტერპრეტაციისთვის იხ. 5: 147-48; 16: 127-29, 138-50. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, დარიალის ხეობაში ჯარები მონღოლ დამპყრობლებსაც ეყენათ. დავით დემეტრეს ძის აჯანყების აღწერისას სომეხი ისტორიკოსი აღნიშნავს: დავითმა მთიულთა, ფხოვთა და სხვა მთიულთა დახმარებით მონღოლთა რაზმები გარეკა ალანთა კარიდან, რომელსაც ძველად დარიალი ეწოდებოდა, ახლა კი ჯასანის ხეობა ჰქვია. ამ გზით შემოდიოდნენ საზარები, ალანები, ოსები, ყივჩაღები და ბერქას მემკვიდრე ჩრდილოეთის მეფეთა ჯარები (К. П. Патканов, *История монголов по армянским источникам*, вып. 2 (СПБ 1873), 62-63).

<sup>25</sup> XVI-XVII სს. მიჯნაზე ხევზე გაბატონებას აღზევებული ყაბარდოელი მთავრები ცდილობდნენ. ლარსის მიდამოებში მათ მოუხერხებიათ კიდევ ფეხის მოკიდება. ლარსი ერთგვარ ნეიტრალურ ზონად გადაიქცა: მოსკოვიდან კახეთს მიმავალ რუს ელჩებს ლარსამდე ყაბარდოელები მიაცილებდნენ, ხოლო ლარსიდან ქართველები. ლარს ზემოთ „სონთა ვიწრობები“ არაგვის ერისთავებს მტკიცედ ეპყრათ (79: 286-87, 289, 294-95, 304-305, 454-56). ვახტანგ VI-ის 1733 წლის მოხსენებაში რუსეთის მინისტრთა კაბინეტისადმი საქართველოს საზღვარი „ჩიმიტის ოსური პროვინციის“ სამხრეთითაა დასახელებული; ჩიმის მებატონეები ვახტანგისგან იღებდნენ ჯამაგირს და მასვე მსახურებდნენ (71: 128-29). იმავე წელს შედგენილ თერგის ხეობის რუკაზეც ქართლის სამეფოს საზღვარი ჯარიან-ლარსის მიდამოებშია ნაჩვენები (71: 118-19). XVIII ს-ის 70-80-იანი წლების მონაცემების თანახმად ქართლ-კახეთის ჩრდილოეთი საზღვარი დარიალის ციხესთან ან დარიალსა და ლარსს შორის გადიოდა (გოულდენშტედტი, შტედერი, რაინეკსი, ერეკლე II-ის მიმოწერა რუს ჩინოსნებთან).

საზღვრის სახელწოდება (დარიელა) კი ახალ, სამხრეთით გადმონაცვლებულ საზღვარზე (დავითის ციხე) გადავიდა.

**G. TCHEISHVILI**

### **CASPIAN GATES, IBERIAN FRONTIERS AND INTERNATIONAL RELATIONS IN THE SIXTH CENTURY**

The present article deals with the northern frontiers of the kingdom of Kartli (Iberia), and in particular the status of the Daryal Pass (or the Caspian Gates) in the sixth century. The issue is discussed within a context of Persian-Byzantine relations and of Persian policy towards the Caucasus as well as towards the Alan and Hun nomads.

Special attention is given to the account of a seventh-century Georgian chronicle *Mokcevoy Kartlisay* (The Conversion of Kartli) describing Persian activities in the Central Caucasus: building the gates, i.e. strong-walled and garrisoned border fortresses; carving out a new principality/administrative unit, Tsarnetis Khevi, under the local prince; and establishing garrisons from local mountaineers. The study shows that this policy was in line with the Sasanians' practice of reinforcing their northern frontiers through military engineering of Caucasian passes ("gates"), and by organising local tribes into vassal principalities.

The article identifies the Caspian Gates or Daryal, of which the main pass connected Iberia with the Northern Caucasus by a 10 km road running north from modern Daryal on the Georgian-Russian border to Chmi in today's North Ossetia. This passage consisted of a chain of fortresses that contributed to Iberia's military defense against the Northern Caucasus and also permitted its political/cultural expansion to the north. Georgian/Iberian as well as Persian-Hun attempts to control this strategic access are also discussed.

## ბიბლიოგრაფია:

1. გ. ანხაბაძე, ტერმინ „ხაზარის“ მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VIII (1993).
2. ნ. ბერძენიშვილი. ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, *საქართველოს ისტორია*, ნაწ. I (თბილისი, 1948).
3. ვ. გამრეკელი, დვალეთის კარნი ცენტრალურ კავკასიონზე, *ძეგლის მეგობარი*, № 5 (1965).
4. *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, I (აღ. გამყრელიძის თანარედაქტორობით) (თბილისი, 1961); II (თბილისი, 1965), III (თბილისი, 1936), IV<sub>1</sub> (თბილისი, 1941), IV<sub>2</sub> (თბილისი, 1952).
5. ჯ. გვასალია, არაგვის კარი (დარიალანი), *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან* (თბილისი, 1976).
6. ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, V (თბილისი, 1975).
7. ჯ. გვასალია, მთიულეთის ისტორიულ გეოგრაფიიდან (ცხავატი, წილკანი, წანარნი), *კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული*, III (1971).
8. ვ. გოილაძე, ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, *მაცნე, ისტორიის ... სერია*, № 2 (1988).
9. ლ. დავლიანიძე, ლეონტი მროველის ერთი ცნობის განმარტებისათვის, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IV (1973).
10. *დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ*, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა (თბილისი, 1966).
11. ვახუშტი ბაგრატიონი, *საქართველოს ატლასი* (თბილისი, 1997).
12. პ. ზაქარაია, *ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია* (თბილისი, 2002).
13. პ. ზაქარაია, დ. მინდორაშვილი, დარიალის ციხე, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, II (თბილისი, 2004).

14. მ. ინაძე, კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ-ის I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, *ქართული დიპლომატია*, № 3 (1996).
15. ნ. ლომოური, *ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან* (თბილისი, 1975).
16. დ. მინდორაშვილი, *არქეოლოგიური გათხრები ხევში* (თბილისი, 2005).
17. მოვსეს ხორენაცი, *სომხეთის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ (თბილისი, 1984).
18. დ. მუსხელიშვილი, *საქართველო IV-VIII საუკუნეებში* (თბილისი, 2003).
19. დ. მუსხელიშვილი (რედ.), *საქართველოს ისტორიის ატლასი* (თბილისი, 2003).
20. დ. მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, I (თბილისი, 1977).
21. დ. მუსხელიშვილი, *ციხე-ქალაქი უჯარმა, ივერია-აღვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან* (თბილისი, 1966).
22. *დაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, ნაკვ. 1, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ (თბილისი, 1964).
23. *საქართველოს ისტორიული რუკა* შედგენილი ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის მიერ, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით (ტფილისი 1923).
24. *ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ*, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ (თბილისი, 1973).
25. *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I (თბილისი, 1955), IV (თბილისი, 1973).
26. თ. ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ*, (თბილისი, 1957).
27. თ. ჩხეიძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში, *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, (თბილისი, 1993).

28. ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატია-  
ნე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებე-  
ლი დაურთო შ. მესხიამ, მსკი, 30 (1954).
29. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,  
ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, I  
(თბილისი, 1963), III (თბილისი, 1971).
30. გ. წერეთელი, შაპურის წარწერის 'Inn TR', თბილისის  
უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს (თბილისი, 1969).
31. ლ. წითლანაძე, დარიალის ციხე, ძეგლის მეგობარი, № 27-  
28 (1971).
32. გ. ჭეიშვილი, საზღვრები საზღვრებს გარეშე: სომხური  
კოსმოკრატიზმი ადრე შუა საუკუნეებში, სამეცნიერო  
პარადიგმები (თბილისი, 2009).
33. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად  
და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, წგნ.: ივ.  
ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული  
რარიტეტები (თბილისი, 1989).
34. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II (თბილისი,  
1983).
35. ლ.-ნ. ჯანაშია, ღაზარ ფარაპეცის ცნობები საქართველოს  
შესახებ (თბილისი, 1962).
36. ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური  
გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, შრომები, II  
(თბილისი, 1952).
37. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრო-  
მები, I (თბილისი, 1949).
38. A. Alemany, *Sixth Century Alania: between Byzantium, Sasanian Iran  
and the Turkic World*. [www.transoxiana.org/Eran](http://www.transoxiana.org/Eran).
39. A. R. Anderson, Alexander at the Caspian Gates, *Transactions and  
Proceedings of the American Philological Association*, ed. by J. W.  
Hewitt, vol. LIX (1928).
40. R. C. Blockley, Subsidies and Diplomacy: Rome and Persia in Late  
Antiquity, *Phoenix*, Vol. 39 No 1 (1985).
41. CAH XIII (2003).
42. Claudian, volume 1, Latin texts with facing English translation by  
Maurice Platnauer: Harvard University Press (1922).

43. T. Daryaei, *Sasanian Persia, the Rise and Fall of the Empire* (London, New York 2009).
44. E. Gibbon, *The Decline and Fall of the Roman Empire*, Wordsworth Classics of World Literature (1998).
45. R. Hewsen (ed.), *The Geography of Ananias of Širak (Ašxarhac'oyc')*, The Long and Short Recensions (Wiesbaden, 1992).
46. *Hudud al-'Alam (The Regions of the World)*. A Persian Geography 372 A.H. – 928 A.D. Translation and Commentary by V. Minorsky (London, 1937, repr. 1982).
47. Ph. Huyse, *Die dreisprachige Inschrift Šābuhrs I. an der Kā'ba-I Zardušt (ŠKZ)*, 2 vols., Corpus Inscriptionum Iranicarum, pt. 3, vol. I (London, 1999).
48. J. Marquart, *Ērānšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i* (Berlin, 1901).
49. V. Minorsky, *A History of Sharvan and Darband in the 10th-11th Centuries* (Cambridge, 1958).
50. Pliny, *Natural History*, with an English Translation by H. Rackham, II (London, Cambridge, Massachusetts, 1961).
51. Robert Ker Porter, *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, &c. &c. during the Years 1817, 1818, 1819, and 1820*, vol. I (London, 1821).
52. *Šahrestānīhā ī Ērānšahr*, A Middle Persian Text on Late Antique Geography, Epic and History, with English and Persian Translation and Commentary by Touraj Daryaei, Costa Mesa (CA, 2002).
53. M. Sprengling, *Third Century Iran, Sapor and Kartir* (Chicago, 1953).
54. *The Armenian History Attributed to Sebeos*, translation with notes by R. W. Thomson, historical commentary by J. Howard-Johnston, assistance from T. Greenwood, Part I: Translation and Notes, Part II: Historical Commentary (Liverpool University Press, 1999).
55. *The Epic Histories Attributed to P'awstos Buzand (Buzandaran Patmut'iwnk')*, Translation and Commentary by Nina G. Garsoian (Cambridge, Massachusetts, 1989).
- 55a. *The History of al-Tabari*, vol. V, translated and annotated by C. E. Bosworth (Albany, New York, 1999).
56. *The History of Lazar Parpeci*, translated by R. Thomson (Atlanta, 1991).



57. *The Letter of Tansar*, trans. by M. Boyce / Literary and Historical Texts from Iran, ed. by G. Tucci and E. Yar-Shater, 1 (Roma, 1968).
58. *The Lives of Saint Gregory: The Armenian, Greek, Arabic, and Syriac Versions of the History Attributed to Agathangelos*, Robert W. Thomson translation (Ann Arbor, MI: Caravan Books, 2010).
59. *The Shahnama of Firdausi*, done into English by A. G. Warner and E. Warner, vol. VII (London 1915), vol. VIII (London, 1923).
60. C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History* (Georgetown University Press, 1963).
61. J. Vanderspoel, *Themistius and the Imperial Court* (The University of Michigan Press, 1995).
62. Н. Адонц, *Армения в эпоху Юстиниана* (Ереван, 1971).
63. *Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею*, VII, Издан под редакциею ... Ад. Берже (Тифлис, 1878).
64. М.И. Артамонов, *История хазар* (Москва, 1962).
65. Баладзори, *Книга завоевания стран*. Текст и перевод П.К. Жузе (Баку, 1927).
66. В.В. Бартольд, *Аланы*, Соч., II (Москва, 1963).
67. В.В. Бартольд, *Очерк истории туркменского народа*, Соч., II (Москва, 1963).
68. Р.А. Габриелян, *Армяно-аланские отношения (I-X вв.)* (Ереван, 1989).
69. Дж. Гвасалиа, *Историческая география Восточной Грузии (Шида Картли)* (Тбилиси, 1991).
70. *Дербенд-наме*. Дагестанские исторические сочинения (Москва, 1993).
71. *Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в.* Документы подобрал, подготовил к печати и предпослал им исследование В.Н Гамрекели (Тбилиси, 1968).
72. Ибн-ал-Асир, *Тарих-ал-Камиль* (Баку, 1940).
73. В.А. Кузнецов, *Очерки истории алан* (Владикавказ, 1992).
74. В.А. Кузнецов, *Реком, Нузал и Царазонта* (Владикавказ, 1990).
75. В. Г. Луконин, *Культура сасанидского Ирана* (Москва, 1969).
76. Г.А. Меликишвили, *К истории древней Грузии* (Тбилиси, 1959).
77. Р. Меписашвили, В. Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли* (Тбилиси, 1975).

78. *Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербейджане*. Перевод и примечания Н. А. Караулова, *СМОПК*, Вып. 32 (1903).
79. *Сношения России с Кавказом*. Материалы, извлеченные из Московского Главного Архива Министерства Иностранных Дел С. Белокуровым. Вып. 1 (Москва, 1889).
80. А. Э. Шмидт, Материалы по истории Средней Азии и Ирана, *Ученые записки института востоковедения*, Том 16 (1958).
81. Եղիշե, *Վարդանի եվ Հայոց պատերազմի մասին*. Թարգմանությունի եվ ծանոթագրությունները Ե. Տեր-Սիմապյանը (Երևան, 1989).
82. Ս. Երեմյան, *Հայաստանը ըստ «Աշխարհացոյց»-ի* (Երևան, 1963).

## 2. ორსოლის თვალთ ნახული თბილისი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ კი 1882 წელს, კავკასიას ეწვია ე. ორსოლი როგორც ტურისტი, რომელმაც თავისი მოგზაურობა აღწერა წიგნში „კავკასია და სპერსეთი“, რომელიც 1885 წელს პარიზში გამოვიდა (ფრანგულ ენაზე)<sup>1</sup>. ავტორი მასში საკმაო ადგილს უთმობს თბილისს – ამიერკავკასიის მაშინდელ კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრსა და საქართველოს დედაქალაქს. ე. ორსოლმა იმოგზაურა საფრანგეთიდან გერმანია-ჩეხეთის გავლით ოდესისაკენ, საიდანაც გემით მიაღწია ქ. ფოთს (14 აგვისტოს) და შემდეგ რკინიგზით ჩავიდა თბილისში, სადაც კვირაზე მეტხანს დაჰყო.

ე. ორსოლი მოიხიბლა ქალაქის რელიეფითა და განსხვავებული უბნების ხილვით – ეს იყო ქალაქის ძველი და ახლად გაშენებული ნაწილები, მათ შუა მდებარე მოედნებით. „მდ. მტკვარზე გაშლილი, ღრმა ქვაბურში მდებარე, სრულიად მოშიშველებული მთებით გარშემორტყმული, მაგრამ მომხიბვლელი თავისი ფერებითა და რელიეფით ამიერკავკასიის დედაქალაქი არის კონტრასტების ქალაქი, – წერს ორსოლი, – ახალ ქალაქში – რუსულ უბანში, თავი წარმოვიდგებათ სანკტ-პეტერბურგში ან მოსკოვში, მაშინ როდესაც ძველ ქართულსა და სპარსულ უბნებს შემონახული აქვთ აზიური ფიზიონომია. ერევნის მოედანი, რომელიც აღმოსავლურსა და რუსულ ქალაქებს შორის მდებარეობს, რომლებიც წარსულისა და მომავლის თბილისს განასახიერებენ, საშუალო, მაგრამ უკვე ევროპიზებული სახისაა“ (გვ. 40). ქ. თბილისი განსაკუთრებით XIX ს. შუა ხანებიდან (მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მმართველობის დროიდან) დამშვენდა და გაიზარდა. XIX საუკუნის II ნახევარში აქ ნამყოფი სხვა მოგზაურებიც თბილისს ევროპულ-აზიური კონტრასტების მქონე ქალაქად მიიჩნევენ<sup>2</sup>. ორსოლის აღწერილობაში ახალი ევროპიზირებული უბნის რუსულ ქალაქად მოხსენიება რუსული ადმინისტრაციული

რეჟიმის დამკვიდრებისა და, გარკვეული მხრივ, კავკასიის ეკონომიკური ათვისების შედეგი იყო.

ე. ორსოლი ახასიათებს ქალაქის თვითოეულ უბანს. ქალაქის ახალ ნაწილში, სადაც ქუჩები ფართო და კარგად იყო მოკირწყლული, მისი თქმით, გამოირჩეოდა გოლოვინის მშენებელი პროსპექტი. აქ მდებარე მაღაზიების მეტი წილი ფრანგების ხელში იყო და შეეძლოთ მეტოქეობა გაეწიათ ნევის პროსპექტისა და ბოლშოი სადოვაიას (სან-პეტერბურგსა და მოსკოვში არსებული) მაღაზიებისათვის. კარგად გამართული სკვერები აცოცხლებდნენ კვარტლებს (გვ. 40-41). პროსპექტზე ხალხმრავალი ბაღის პირდაპირ აღმართული იყო კავკასიის მთავარმართებლის სასახლე. ეს შენობა, ორსოლის აზრით, თუმცა გარედან განსაკუთრებული არ იყო, მაგრამ შიგნით დარბაზების დეკორაცია, ერთი ნაწილისა ვეროპულად, ხოლო დანარჩენის სპარსულად ყაიდაზე მორთულისა, მდიდრულობისა და დახვეწილობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდა (გვ. 41)<sup>3</sup>.

შემდეგ ავტორი ასახელებს ამავე პროსპექტზე მდებარე მაშინდელ ღირშესანიშნაობებს. პირველ რიგში არისტოკრატიულ კლუბ „კრუჟოკს“, რომელიც ფლობდა სპარსული გემოვნებით მორთულ ჰოტელს მდიდრული მხატვრული ტილოებით, ოქროვანი ჩუქურთმებით, რაც მას „ათას ერთ ღამეში“ აღწერილ ზღაპრულ სასახლეს ამსგავსებდა<sup>4</sup>. ამ კლუბს, ისევე როგორც საკრებულოს კლუბს, სადაც მაღალი წრის სომეხი კომერსანტები დადიოდნენ ხოლმე, ჰქონდა კიდევ შესანიშნავი საზაფხულო სამყოფელი – ბალი დიდი დარბაზითურთ, სადაც კვირაში ბევრჯერ ცეკვები იმართებოდა<sup>5</sup>. ავტორი იხსენიებს ამავე გამზირზე მდებარე მუზეუმსაც, რომელიც კავკასიის ეთნოგრაფიას, ფლორასა და ფაუნას ეძღვნება, რომელსაც უძღვებოდა გერმანელი მეცნიერი გ. რადლე, რომლის სახელი და ნაშრომები კარგად იყო ევროპაში ცნობილი (გვ. 41).

ე. ორსოლი საგანგებოდ ახასიათებს თბილისის მთავარ სასტუმროებს, რომლებიც ქალაქის ცენტრში მდებარეობდნენ და რომლებსაც ავტორის თქმით ფრანგები უძღვებოდნენ. მათგან ყველაზე განთქმული იყო „ევროპა“, რომელიც ერეენის მოედანზე მდებარეობდა, მისი საყავე თბი-

ლისის ფრანგთა და გერმანელთა ჩვეულებრივი შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა და მათ აქ ნაციონალური ქიშპობანი (მათ სამშობლო ქვეყანაში დამახასიათებელი) მიეტოვებინათ. შემდეგი სასტუმრო „კაკასია“ ცნობილი იყო ყველაზე კომფორტაბელური აპარტამენტებითა და მაღალი ფასებით. ამ სასტუმროს განაგებდა ბატონი დელალანდი. ჰოტელი „ლონდონი“ კი ცენტრიდან შედარებით უფრო მოშორებით მდებარე, ძალზე სასიამოვნო იყო მეზობელი სკვერისა და მდ. მტკვრისაკენ ჩამავალ ტერასიანი ბალის წყალობით. სასტუმროს უძღვებოდა ძალზე თავაზიანი ცოლ-ქმარი კონტები. „ლონდონი“ რუსი და ქართველი მაღალი საზოგადოების სასტუმრო იყო და თბილისის ინგლისური კაფეც (გვ. 41-42).

ამ სასტუმროს ქვემოთ მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის სახ. ხიდი აერთიანებდა ქალაქს გერმანელთა კოლონიასთან, რომელიც დასახლებული იყო ვიტემბერგელი გერმანელებით, რომლებიც რელიგიური დევნის გამო იძულებულნი შეიქმნენ თავიანთი ქვეყანა 70 წლის წინ მიეტოვებინათ. კოსტა მიმზიდველი სახლები წინარე პატარა ეზოებით, ავტორის თქმით, ამ კოლონიას აძლევდა მომხიბლავი გერმანული ქალაქის შესახედაობას. მის შუაგულში მდებარეობდა ბაღი „ევროპა“, სადაც სადამოლობით თბილისის საზოგადოება თავს ირთობდა. აქ იმართებოდა ნიღბიანი მეჯლისეები, უკრავდა ხოლმე 4-5 კაცი საგან შემდგარი აზიური ორკესტრი, რომელიც ასრულებდა ქართულსა და სპარსულ მელოდიებს, დიდად მოწონებულს ადგილობრივი ხალხისა და თვით რუსების მიერ. კოლონიისა და ქალაქის ბოლოში მდებარეობდა „მუშტადის“ ბაღი, რომელიც ავტორის სიტყვებით, აქაურ „ბულონის ტყედ“ (სასაიერო ადგილი პარიზში) ჩაითვლებოდა. ნაკადულების წყალობით ეს ბაღი მთელი დღის განმავლობაში სიგრილეს ინარჩუნებდა. აქ მაღალი საზოგადოება თითქმის ყოველ სადამოს მოდიოდა და ელევანტურად ჩაცმული მოსაიერენი, ორსოლის თქმით, „შეუცდომელი მორთვა-მოკაზმულობით ახდენდნენ პარიზის უკანასკნელი მოდების დემონსტრირებას“ (გვ. 42-43).

ევროპული ქალაქისათვის დამახასიათებელი ასპექტების თბილისში ხედვით ნასიამოვნები ორსოლი წერს, რომ მაინც „ეს არ არის ის, რაც უმეტესად ტურისტს სიბლავს. მისთვის ქართული ძველი ქალაქი – ავლაბარი მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ციხე-სიმაგრის ნანგრევებითა და ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში დაარსებული მეტეხის ძველი საყდრით ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე დასავლური ხასიათის ყოველგვარი მიბაძვა (გვ. 45).

ავტორი ძველი თბილისის აღწერას სწორედ იმ ძველი უბნის დახასიათებით იწყებს, სადაც ხიდი აერთებს მდ. მტკვრის ყველაზე მოახლოებულ ნაწილებს და ციცაბო ნაპირებზე აღმართულია ძველი ციხეები მეტეხი და ნარიყალა. „აქ თავს ისე შორს იგრძნობთ ევროპისაგან, როგორც ბომბეში ან იეზიდში – მონაცისფერო სახლები, ტერასები, ერთმანეთზე განლაგებულნი, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, გადახლართული გადასასვლელებითა და ლაბირინთებით ქმნიან ძალზე ჭრელსა და უცხო სურათს, ამ ქუჩებს რამდენიმე საუკუნეა შენარჩუნებული აქეთ თავიანთი ძველი სახე“ (გვ. 43-44).

ე. ორსოლი შემდეგ აგვიწერს ქალაქის აზიურ უბარში მდებარე მთავარ ბაზარს. სხვა მოგზაურების მსგავსად მისი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ აქ თითოეულ პატარა ქუჩაზე გარკვეული სპეციალობების ხელოსნები გამვლელთა თვალწინ მუშაობდნენ და ქმნიდნენ ნაწარმს. თვითოეული ეს ქუჩა გავსებული იყო მიყოლებით ერთმანეთის გვერდით მდებარე მაღაზიებით, რომლებიც ერთდროულად სახელოსნოებსა და ფარდულებს წარმოადგენდნენ<sup>6</sup>. ორსოლი განსაკუთრებით დაინტერესდა ვერცხლეულისა და საჭურველ-იარაღის რიგით, სადაც ოქრომჭედელნი და იარაღის მკეთებელნი, კაკასიის ეს დიდი ოსტატები, პრიმიტიული იარაღებით აღჭურვილნი, რკინასა და ვერცხლს ამუშავებდნენ საუკეთესო ნახატებითა და დახვეწილი გემოვნებით.

ორსოლი აღნიშნავს, რომ თბილისის ბაზრებზე ძალზე დიდი იყო ქსოვილებისა და აბრეშუმის არჩევანი – ფარჩეულობა ნუხისა და შემახიდან, ერევნის პროვინციის ქურთების მიერ მოქსოვილი ნოხები და სხვა. გასაყიდი იშ-

ვიათი და ძვირფასი საქონელი შემოზიდული იყო არა მარტო კავკასიიდან, არამედ სპარსეთიდან, თურქეთიდან და ისეთი შორეული მხარეებიდანაც, როგორცაა ბუხარა. აქ იყო ოქროთი ინკრუსტირებული სპილოს ძვლის ნაკეთობანი ყაზი-ყუმუხიდან, მოვერცხლილი შავი ემალით მორთული თოფები და პისტოლეტები შურიდან, მოლურჯო, მოლუნული ხმლები დაღესტნიდან და სხვა (გვ. 44).

ორსოლი დიდად მოიხიბლა ბაზარზე თავმოყრილი მრავალი ეროვნების წარმომადგენელთა (ქართველების, რუსების, თათრების, სპარსელების, სომხების, ოსების, გერმანელების და სხვ.) ხილვით. მათი ჩაცმულობის ნაირგვარობით ხალხის ამ გროვას დროდადრო არღვევდა სპარსეთის საქონლით დატვირთული გრძელი რიგი აქლემებისა, კახეთის ღვინით აღვსილი ხარის ტყავის ტიკებით დატვირთული ურმები, მტკვრის წყლით სავსე თულუხჩებიანი ცხენები და სხვა; და ამრიგად შთამბეჭდავი, მიმზიდველი სურათი იქმნებოდა (გვ. 45).

ე. ორსოლმა თბილისის ისტორიული ძეგლებიც დაათვალიერა. ძველ უბანში მისი ყურადღება მიიქცია ქართველთა სიონის კათედრალმა, რომელიც ადრე ფეოდალური ხანის ძვირფას რელიკვიას ფლობდა – კავკასიის განმანათლებლის წმ. ნინოს ჯვარს, ვაზის ორი შტოსაგან შედგენილს. ავტორი ასახელებს სხვა ძეგლებსაც ფეთხანის (ბეთლემის) ძველ ეკლესიას, როსტომ მეფის სასახლეს, მოშორებით (მთაწმინდაზე) მდებარე წმ. დავითის სამლოცველოს. ნარიყალას ძველი ციხე-სიმაგრიდან კი ავტორის თვალწინ მთელი ქალაქისა და მდ. მტკვრის ველის შესანიშნავი პანორამა გადაიშალა, რომელსაც აგვირგვინებდა მოლურჯო ბურუსში ნახევრად ჩაფლული თოვლითა და მყინვარებით მზინავი ყაზბეგის მწვერვალი (გვ. 46).

საერთო ჯამში თბილისით მოხიბლული ავტორი ერთ ადგილას აღნიშნავს: „თბილისი არის ერთი იმ ალაქთაგანი, სადაც მხატვარს შეუძლია დარჩეს ბევრ თვეს და ტურისტი კი მრავალი კვირის განმავლობაში და დაუღალავად ერთი მას ხატავს და მეორე ათვალიერებს“ (გვ. 50). ორსოლი არ იყო მხატვარი, რომ თბილისის სიუჟეტები ფერწერულად აეხსნა, რის შესახებაც მას კიდევაც სინანულით აღნიშნული

აქს (გვ. 44), სამაგიეროდ მის მიერ კალმით აღწერილი დანახული სინამდვილე ინტერესის აღმძვრელია. ყურადღებას იმსახურებს, მაგალითად, ავტორისეული დაკვირვებანი თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა ცხოვრებისეულ წესზე, ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ავტორის თქმით რუსები – ჩინოვნიკები, ოფიცრები თუ ვაჭრები, თბილისს გასავალ ქალაქად მიიჩნეოდნენ და ცდილობდნენ რაც შეიძლება ჩქარა მის მიტოვებას, როგორც კი სამსახურის ვადა ამოეწურებოდათ ანდა შეიქმნიდნენ გამდიდრების წყაროს. პარიზი ან სანკტ-პეტერბურგი – ასეთი იყო მისი მიზანი. მათ საპირისპიროდ თბილისელი გერმანელი კოლონისტები, ისევე როგორც ახლო სოფლებში (მარიენფილდში და სხვა) მცხოვრები გერმანელები სრულიად არ ფიქრობდნენ თავიანთ სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ ამისდამიუხედავად ისინი გარუსების არავითარ ტენდენციას არ ამჟღავნებდნენ და მთელი სიმკვეთრით ინარჩუნებდნენ თავიანთ ინდივიდუალობას. მათ ჰქონდათ თავიანთი ეკლესიები, სკოლები, ლაპარაკობდნენ გერმანულად. ქალებიც ასევე უგულვებელყოფდნენ რუსებს და რადგან გერმანელები მხოლოდ ურთიერთშორის ქორწინდებოდნენ, შესაძლებელია ისინი დიდხანს შეინარჩუნებდნენ თავის ნაციონალურ სახეს. გარდა ამისა, – განაგრძობს ავტორი, – ამ კოლონისტებმა ვერ იქონიეს გავლენა (თავიანთი ცხოვრებისეული წესით) რუსებსა და თათრებზე, რასაც მათგან მოელოდნენ. ყველა გერმანული სოფელი აყვავებული იყო, მათი მოსახლეობა და მატერიალური კეთილდღეობა ყოველწლიურად იზრდებოდა მათ აპათიურ მეზობელთა საპირისპიროდ, რომლებიც ტრადიციულ უმეცრებასა, სიზარმაცესა და სიბინძურეში რჩებოდნენ. მოშურნეობა და სიზარმაცე ხელს უშლიდათ გერმანელებისათვის მიებაძათ და მათდამი სიძულვილით კმაყოფილდებოდნენ (გვ. 47).

ე. ორსოლი შემდეგ ახასიათებს თბილისის ძველ მკვიდრ მოსახლეობას – ქართველებს და სხვ. „ქარველები ბუნებრივია, მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ, – წერს იგი. – მათი მეტი წილი წარჩინებული წარმოშობისაა და ღარიბი და ეს არაა ის ერთადერთი შტრიხი, რაც



მათ ესპანელებს ამსგავსებთ. უკანასკნელთა მსგავსად ისინი ამაყნი, დიდსულოვანნი არიან, ფლანგავენ თავიან ქონებას და არ უფრთხილდებიან თავიანთ სიცოცხლესაც“. ავტორის აზრით ამ თვისებებს, სამწუხაროდ, აქარწყლებდა სმისადმი მათი მიდრეკილება (ღვინის სიყვარული) და სიზარმაცე, რაც იწვევდა მათში მუშაობისადმი სიძულვილს საომარი საქმის გამოკლებით. ქართველნი, ჩვეულებრივ ღარიბნი, ცხოვრობდნენ როგორც მოხერხებულად, მდიდრები კი სიამოვნებისა და ფუფუნებისადმი მიდრეკილების გამო მალე ამოსწურავდნენ ხოლმე თავიანთ რესურსებს და დახარბებულ სომეხთა ხელში ვარდებოდნენ. ასაღვაზრდა ქართველი კაცები, რომლებიც ყველაზე ძველ ოჯახებს ეკუთვნოდნენ, დიდ შარავზაზე ყაჩაღობასაც არ ერიდებოდნენ, რის გამოც მათ ხშირად ციმბირში ასახლებდნენ.

„ასეთ ცდომილებათა მიუხედავად, – აცხადებდა ე. ორსოლი, – ეს არის ინტელიგენტური, სიმპათიური რასა, რომლისგანაც ბევრს უნდა მოველოდეთ, როცა იგი ევროპულ ცივილიზაციას სრულყოფილად გაეცნობა (გვ. 47-48) და ეს შეხედულება გარკვეულ საფუძველს ემყარებოდა. იგი განპირობებული იყო ორსოლის ქუთაისში ყოფნისას ქართველთა პირველი გაცნობისას მიღებული შთაბეჭდილებებით, როცა მან იქ მოქმედი სასწავლებლები დაინახა, შენიშნა ქართველი ქალების დიდი სწრაფვა ევროპული ცოდნისა და ენებისადმი მოსახლეობის სიყვარული ნაციონალური ლეგენდებისადმი, როგორც რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ (XII ს.), ასევე XIX საუკუნის ქართველი პოეტების, განსაკუთრებით კი ჭავჭავაძისადმი (არ ჩანს ალექსანდრე თუ ილია ივულისხმება), ამ კავკასიელ ბერანუეს ნაწარმოებთა ცოდნა-თაყვანისცემა. გარდა ამისა, როცა იგივე ორსოლი დარწმუნდა, რომ ქართული პერიოდული ლიტერატურაც სულ უფრო ვრცელდებოდა და ფართოდებოდა მისი არეალი (მისივე დასახელებით: „დროება“, „ივერია“, „იმედი“ გამოცემული თბილისსა და ქუთაისში). ყოველივე ამას, მთელ ამ ინტელექტუალურ ძაღისხმევას, როგორც შენიშნა ორსოლმა, თან ახლდა ნაციონალური გრძნობის გამოღვიძება და ზოგი ეგზალტირებული პირი დამოუკიდებელ სახელმწიფოზედაც ოცნებობდა (გვ. 33).

ავტორი შემდეგ ლაპარაკობს სომხებზე, რომლებიც მისი თქმით, ქართველთა შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ. „ესაა ყველა ხელობის ხალხი, ოღონდ კი იყოს ანაზღაურება. მათი მიდრეკილებაა ვაჭრობა და საბანკო საქმე, – წერს იგი. – მათთვის დამახასიათებელი შრომა და მომჭირნობით ისინი ხშირად ახერხებდნენ დიდი სიმდიდრის დაგროვებას... ისევე როგორც ებრაელებს, მათ კარგად ესმით, რომ ფული ყველაზე დიდი ძალაა თანამედროვე საზოგადოებაში და ყველანი მისკენ მიისწავფიან და ამ მიზანს მტკიცედ მისდევენ, ხშირად ყველაფრისდა განურჩევლად“. ორსოლის შეხედულებით სომხებმა თავიანთი საქმიანობით ებრაელთა არსებობა არასაჭირო გახადეს კავკასიაში. უკანასკნელთაგან განსხვავებით სომხები მიწათმოქმედნი იყვნენ, გულმოდგინედ ამუშავებდნენ მიწას. „ისინი (სომხები) აღმოსავლეთის პოლონელებია, – ასკვნის ავტორი. – თავიანთი შრომის წყალობით სომხები მდიდრდებიან, მაშინ როდესაც ქართველნი სულ უფრო და უფრო ღარიბდებიან, ყოველ შემთხვევაში მათი უმეტესობა“ (გვ. 48).

საინტერესოა ორსოლის დაკვირვებანი ქართველთა და სომეხთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. „სიღრმეში ნიშან-თვისებებით ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული ეს ორი რასა საკმაოდ მტრულადაა განწყობილი, – წერს ავტორი, – შერეული ქორწინებანი მათ შორის ძალზე მცირეა. ქართველ მამაკაცს სომეხზე დაქორწინება უთანასწორო ქორწინებად მიაჩნია, თუმცა ბევრი გაკოტრებული ნამდვილი თავადი თავისი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ირთავს მდიდარი სომხის ქალიშვილს. ამ ორ რასას შორის შერწყმის არარსებობა ძალზე დასანანიია, – დასძენს ავტორი, რადგან ფიქრობს, რომ მათი შეჯვარება შექმნიდა შთამომავლობას, რომლის თვისებები გააძლიერებდა ორივეს შესაძლებლობებს არსებობისათვის ბრძოლაში (გვ. 49).

ორსოლი ახასიათებს თბილისში მცხოვრებ სპარსელებსაც, რომელთა რიცხვი, მისი თქმით, 10-12 ათასს შეადგენდა. მათი ნაწილი აქ გაჩნდა ძველი დროიდან, როდესაც სპარსელი მეფეები ბატონობდნენ საქართველოში. მათ დროდადრო ემატებოდა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სპარ-

სეთიდან ფორტუნის საძიებლად მოსული ემიგრანტები. მათი უმრავლესობა ვაჭრობას მისდევდა და მატყუარა, გაქნილი საქმოსნები იყვნენ. სპარსელებს ქვის საუკეთესო ოსტატთა რეპუტაციაც ჰქონდათ. სპარსელთა ნაწილი კიდევ ერევნის პროვინციიდან იყო მოსული 1827-1928 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ნებაყოფილობით რუსეთის სამსახურში შესული ეს სპარსელები განირჩეოდნენ ენების ცოდნით, დახვეწილი ჯენტლმენობით და მაღალ თანამდებობებს აღწევდნენ (გვ. 49).

დაახლოებით სპარსელთა რაოდენობისა იყვნენ თათრებიც თბილისში. ეს იყო ღარიბი რასა, მაგრამ მოკრძალებული და მშრომელი, – წერს ორსოლი. ისინი ასრულებდნენ მძიმე სამუშაოებს, დაყავდათ სატრანსპორტო საშუალებანი, რომლითაც სავაჭრო მიმოქცევა სწარმოებდა სპარსეთსა და კავკასიას შორის (ვირებისა და აქლემთა ქარავნები, მძიმე მარხილები). თათართა ნაწილი საძრახისს საქმიანობასაც ეწეოდა, მათგან ქურდებისა და მკვლელთა ბანდებს ადგენდნენ ხოლმე (გვ. 49-50).

ბოლოს ე. ორსოლი ლაპარაკობს თბილისში მცხოვრებ დასავლეთევროპელებზე, რომლებიც სხვადასხვა ეროვნებებს განეკუთვნებოდნენ. ევროპელთა კოლონია, – წერს იგი, – საკმაოდ მრავალრიცხოვანია, თუ არა ძალზე რჩეული. ფრანგების მეტი წილი, მისი თქმით, მოდური საგნების გამყიდველები იყვნენ, ზოგიერთი კი აბრეშუმით მოვაჭრენი. იტალიელები და ბერძნები მისდევდნენ სხვადასხვა წვრილ ხელობას. გერმანელები მოხელეებად მსახურობდნენ კომერციულ დაწესებულებებში. მცირერიცხოვანი ინლისელები კი ინდო-ევროპული ტელეგრაფის სამსახურში იყვნენ დასაქმებულნი (გვ. 50)<sup>7</sup>.

თბილისის პოლიეთნიკურობასთან დაკავშირებით საინტერესოა ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ გარკვეული კონტაქტების მიუხედავად რიგი განმასხვავებელი ელემენტების არსებობა ამ ერთა ურთიერთშერწყმას გამორიცხავდა. „რადგან თბილისის სინამდვილეში მკვეთრად განსხვავებულ სამ ქალაქს შეიცავს – რუსულ, გერმანულსა და აზიურ ქალაქს – მის მოსახლეობას ძალზე განსხვავებული ელემენტი

შეადგენს და მე ვთვლი, რომ ისინი ნაკლებ გამზადებულია შერწყმისათვის“, – წერს ორსოლი (გვ. 47).

უნდა ითქვას, რომ კავკასიის რიგი მესვეურნი დიდად მოწადინებულნი იყვნენ ეროვნებათა რუსიფიკაცია-შერწყმის გზით კავკასიაში (განსაკუთრებით კი თბილისში) ადგილობრივი ხალხი რუსეთის მთავრობისადმი მონა-მორჩილი გაეხადათ. მეფისნაცვალი მიხ. ვორონცოვი მაგალითად, მეფისადმი თავის უქვეშევრდომლეს ანგარიშში (1849-1851 წწ.) აღნიშნავდა, რომ მის მიერ კულტურის სფეროში მიღებულ ღონისძიებებს გავლენა უნდა ჰქონოდა მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებაზე, ზნე-ჩვეულებების დახვეწაზე და ადგილობრივ მცხოვრებთა რუსეთთან შერწყმაზე. მეფისნაცვალი ასევე იმედოვნებდა, რომ კავკასიის მმართველობის სამხედრო და სამოქალაქო ნაწილებში მის მიერ ჩატარებული გარდაქმნა-გაუმჯობესებათა შედეგად „თანდათანობით კავკასიის მრავალტომიანი (მრავალეროვანი) მოსახლეობის შერწყმა განხორციელდებოდა“<sup>8</sup>.

როგორც დავინახეთ, ორსოლს თბილისის მრავალეროვან მოსახლეობაში შერწყმის პროცესი ან საამისო მნიშვნელოვანი ტენდენცია არ შეუნიშნავს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არაა 1886 წლის თბილისის საოჯახო აღწერის რიგი მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს თბილისური მოსახლეობის ეთნიკური თვითშეგნების სიმყარეს თბილისში მცხოვრებ ყველა ეთნოგრაფიულ ჯგუფში.

ასე, მაგალითად, ქართული მოსახლეობის უმეტეს ნაწილში ქართული ენის პოზიციები სტაბილური იყო. ქართული მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენებისა და პროფესიული ჯგუფების უმეტესი ნაწილი ქართულ ენას ასახელებდა მშობლიურ „საოჯახო ენად“. რუსული ენის გავრცელება შემოიფარგლებოდა ძირითადად პრივილეგირებული ფენებით, თავადაზნაურობისათვის დამახასიათებელი იყო მშობლიური ენის საყოველთაო წერითი ცოდნა, რასაც ემატებოდა წერითი ცოდნა რუსულისა და გარდა ამისა რომელიმე დასავლეთ ევროპული ენისა (ფრანგულის, გერმანულის). ქართული წერა-კითხვის ცოდნა გავრცელებული იყო ქართველ შეძლებულ მოქალაქეთა წრეშიც.

რაც შეეხება სომხებს, ამავე აღწერით მშობლიურ ენად სომხურის დასახელების შემდეგ „საოჯახო ენად“ ხშირად სახელდება ქართული (უმეტესად თბილისში მცხოვრებ ძირძველ ანდა საქართველოს შიდა რაიონებიდან მოსულ სომხებში) და რუსული ენა ანდა რომელიმე ერთი მათგანი. პრივილეგირებული ფენისათვის დამახასიათებელი იყო დასავლეთეუროპულ ენათა ცოდნა. დასახელებული ენები სომხებმა სხვადასხვა ვარიანტით წერითაც იცოდნენ. გასათვალისწინებელია, რომ სომხებში მთავარ ეთნო-დიფერენციალურ ფაქტორს კონფესიური ანუ რელიგიური ფაქტორი წარმოადგენდა, რომელიც მათ არ აძლევდა საშუალებას თბილისის მართლმადიდებელ მოსახლეობაში გათქვეფილიყვნენ.

რუსების ენობრივი კომპეტენცია, როგორც წესი, მშობლიურ ენას არ სცილდება. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნებოდა ადგილობრივი ენის ცოდნა. პრივილეგირებულ ფენაში გავრცელებული იყო დასავლეთეუროპული ენების ცოდნა (ფრანგულის, გერმანულის).

გერმანელებში ხსენებული აღწერით მშობლიურ ენად გერმანულია ჩაწერილი, იშვიათად რუსული. ვაჭართა, „საპატიო მოქალაქეთა“, მემკვიდრეობით წარჩინებულთა წრეში შეინიშნებოდა გერმანულის, რუსული ენის წერითი ცოდნა. გერმანელთა უმრავლესობამ (პრივილეგირებული წოდების გამოკლებით) რუსული მეორე ენად არ იცოდა (სავარაუდებელია ცოტაოდენი სალაპარაკო რუსული ალბათ კი ეცოდინებოდათ)<sup>9</sup>.

თბილისის პოლიეთნიკურობასთან დაკავშირებით ე. ორსოლის მიერ მოწოდებული ცნობები ზოგიერთი მხრივ, როგორც ჩანს, ახლოსაა სინამდვილესთან და სხვადასხვა ასპექტით, ისევე, როგორც მთლიანობაშია ავტორისეული თბილისის აღწერილობა, ყურადღებას იმსახურებს.

## E.ORSOLLE'S INFORMATION ABOUT TBILISI

E. Orsolle, the French traveler, who visited the Caucasus and Persia in 1882, described his voyage in his book "The Caucasus and Persia"<sup>1</sup>. It was published in 1885 in Paris. Beside others it contains the description of Tbilisi, the capital of Georgia and the center of the whole Transcaucasia at the same time. The author shows Tbilisi as city with contrast – Asiatic and European physiognomy and diversity of everyday life. Orsole depicts the old and new areas of the city, appearance, clothes and the way of life of inhabitants of Tbilisi, the representatives of divers nationalities – Georgians, Armenians and other Caucasians, also Russians, Western Europeans and others.

The author's conclusion about the multi-national population of Tbilisi is significant. According to his opinion the variety of ethnic groups included such elements, which didn't stipulate their amalgamation.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. E. Orsolle, *Le Caucase et la Perse*, Paris, 1885.
2. G. Sansrefus, *De Paris à Tiflis*, Paris, 1898, გვ. 418.
3. თავდაპირველი შენობა 1802 წელს აიგო, შემდეგ ხელახლა აშენდა და რამდენჯერმე გადააკეთდა. სასახლის საბოლოო რეკონსტრუქცია ჩატარდა არქიტექტორ თ. სიმონსონის პროექტის შესაბამისად (1865-1869 წწ.). თ. გერსამია, ძველი თბილისი, ალბომი, თბ., 1984. სურათი №152-153. ანოტაციითურთ.
4. კლუბი „კრუჟოკი“ დაარსდა 1869 წელს „თბილისის არტისტული წრის“ („Тифлисский артистический кружок“) სახელწოდებით. მისი დამაარსებელი იყო თბილისელი მოხელე ნ. იგნატიუსი. „კრუჟოკი“ უპირატესად სახელ-

მწიფო სამსახურში მყოფი პირებისათვის კულტურულად დროის გატარების ამოცანებს ისახავდა მიზნად (მუსიკის მოსმენა, ცეკვები, მეჯლისი, წიგნებისა და ჟურნალების კითხვა, ლიტერატურული და სხვა სახის სადამოების გამართვა და სხვა). 1886 წლამდე კლუბი იმყოფებოდა შენობაში, რომელიც მდიდარ სომეხ მრეწველ ვ. არშაკუნის ეკუთვნოდა. ეს შენობა აიგო 1850-იანი წლების ბოლოს არქიტექტორ გ. ივანოვის პროექტით. შინაგანი გაფორმება თბილისში მცხოვრები ირანელი ოსტატების მიერ იყო შესრულებული კლუბის საზაფხულო სამყოფელი იყო როტინოვის ბაღში, ვერის ხიდთან (კოროჩნაიას ქუჩაზე). Г. Гуманов, Тифлис и его окрестности, приложение к справочной книге сторожила «Кавказ». Тиф., 1896, გვ. 27, 69; გაზ. «Кавказ», 1869, №17; «Кавказский календарь на 1872 год», Тиф., 1871; თ. გერსამია, დასახ. ალბომი, სურ. №159, 180 ანოტაციითურთ.

5. თბილისის საკრებულო-კლუბი მდებარეობდა შენობაში, რომელიც ეკუთვნოდა ქართველ ცნობილ მოღვაწეს ი.კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის (1812-1895). ეს სახლი აშენდა 1854 წ. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. იგი გადაკეთდა ა. ფონ სკოიანის პროექტით.

1839 წლიდან თბილისში არსებობდა თბილისის კეთილშობილთა საკრებულო, რომელიც მაღალი წოდებრივი ფენისათვის იყო განკუთვნილი. 1855 წელს ამ საკრებულოს მიუერთდა ამავე წელსვე ცოტა უფრო ადრე დაარსებული თბილისის კომერციული საკრებულო, რის შემდეგ ეს ახალი დაწესებულება თბილისის საკრებულოდ იყო ცნობილი. მისი წევრები იყვნენ როგორც მაღალი, ასევე საშუალო ფენების წარმომადგენლები. ეს ფაქტი იმდროინდელმა თბილისურმა პრესამ შეაფასა როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ხელს უწყობდა ევროპული საზოგადოებრივი წესების დანერგვას თბილისის საქალაქო ცხოვრებაში. საკრებულოში წარმოებდა პერიოდულ გამოცემათა კითხვა, იმართებოდა ცეკვები, მეჯლისები, სხვადასხვა სახის სადამოები, ეწყობოდა გამოფენები და სხვა. გაზ. «Кав-

каз», 1855, #2, 55, 1856, №11; Акты собранные Кавказской археографической комиссией, Тиф., 1904, т. XII, გვ. 1358; სცია, ფონ. 8, აღწ. 1, საქ. 1267, ფურც. 28, 32 და სხვა; თ. გერსამია, დასახ. ალბომი, სურათი №178-179 ანოტაციითურთ.

6. ხელოსანთა დარგობრივი განაწილება, საერთოდ, დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის მაზრებისათვის, მაგრამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, რომლებიც მზის ჩასვლისთანავე შემდეგი დღის სრულ გათენებამდე იკეტებოდნენ, თბილისის ბაზრებზე მუშაობა გვიან საღამოსაც, სანთლის შუქზე გრძელდებოდა. J. Buchan Telfer. The Grimea and Transcaucasia, London, 1876, v. I, გვ. 151, 153.
7. 1876 წლის ერთდღიანი აღწერით თბილისში იყო (დამრგვალებული ციფრებით) 2400 ქართველი, 37000 სომეხი, 20000 რუსი (ჯარის გამოკლებით), 2000 თათარი, 1700 სპარსელი, 2000 გერმანელი, 300 ფრანგი და სხვ. სულ 10400 მცხოვრები (12 ათას კაციანი ჯარის ჩათვლით), «Кавказский календарь на 1889 год», Тиф., 1888, отд. I, прилож. I, გვ. 36-37; Ю, Анчабадзе, И. Волкова, Старий Тифлис, М., 1990, გვ. 29.
8. Акты собранные Кавказской археографической комиссией, Тиф., 1885, Т. X, გვ. 875, 881-882.
9. Ю, Анчабадзе, И. Волкова, დასახ. წიგნი, გვ. 244-247, 249. 1876 წლის აღწერით რუსებმა და ქართველებმა იშვიათად იცოდნენ სომხური. სომხურად ლაპარაკობდნენ ძირითადად სომეხი მამაკაცები (საქმიანი ურთიერთობებისას), სომეხი ქალები კი (განსაკუთრებით უბრალო ოჯახებში) ქართულად საუბრობდნენ. «Кавказский календарь на 1889 год», Тиф., 1888, отд. I, прилож. I, გვ. 37.



### არმაზის კულტის რაობისათვის

ძვ. წ. I ათასწლეულში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთში. ერთის მხრივ, წყვეტენ არსებობას ოდესღაც ძლიერი სახელმწიფოები (ასურეთი, ურარტუ, ფრიგია) და იქმნება ახალი პოლიტიკური ერთეულები (კოლხეთისა და მიდიის სამეფოები), ხოლო მეორეს მხრივ, ადგილი აქვს ტომთა მასობრივ გადაადგილებას (კიმირიელ-სკვითების შემოჭრა მცირე აზიაში, სომხური ტომების დასახლება არარატის ველზე, მესხების/მუშქების სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დამკვიდრება) [1. 129; 2. 485]. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ძვ. წ. VI-V ს.ს.-ში ქართლის ტერიტორიაზე სამხრეთიდან, ურარტუს არეალში მყოფი, საფიქრელია, ქართველური ტომების შემოჭრაზე, რაც კარგად ჩანს მანამდე უცნობი წითელგამომწვარი კერამიკის უეცარი გაურცელებით ქვემო და შიდა ქართლში [3. 92]. ნიშანდობრივია, რომ მოსახლეობის ახალი ტალღის შემოსვლას ქართლში არ გამოუწვევია რაიმე სახის ნგრევა, არსად შეიმჩნევა ხანძრის კვალი ან საცხოვრებლების მიტოვება და განადგურება [3.90]. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა მონათესავე ტომების მშვიდობიან ინფილტრაციას ადგილობრივ ტომებში. მაგრამ ვინ იყვნენ ეს ტომები?

ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში ურარტუს სახელმწიფოს განადგურებაში მიდიის სამეფოსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სკვითებმა და სასპერების (იბერების) მსხვილმა ტომობრივმა გაერთიანებამ (სახელწოდება „იბერია“, მომდინარეობს „სპერ“ ეთნონიმიდან, ხოლო სასპერი მიღებულია აღმოსავლურ-ქართული მაწარმოებელი თავსართის – „სა“ დართვით) [4. 232]. ამ აღმოსავლურ-ქართული გაერთიანების ცენტრი მდ. ჭოროხის ზედა წელზე (სპერის ოლქი) მდებარეობდა [5. 233]. ეს ის რეგიონია, რომელიც ადრე (ძვ.წ. XII-VIII ს.ს.-ში) დიაუხის შემადგენ-

ლობაში შედიოდა, ხოლო მისი განადგურების შემდეგ ურარტუს პოლიტიკურ-კულტურულ გავლენის ქვეშ მოექცა. აღმოსავლურ ქართული (იბერთა) ტომების პოლიტიკური ჰეგემონიის გავრცელება მოხდა გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე, არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, არამედ ყოფილ ურარტუს ჩრდილო ოლქებზე [2. 485]. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი, რომ იბერები და მათ მიერ ასიმილირებული ურარტული ტომები შეიჭრნენ ქვემო და შიდა ქართლში და სტიმული მისცეს ადგილობრივი ტომების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამ აზრის მართებულობას ადასტურებს რამდენიმე ფაქტორი: 1. ძვ.წ. VI საუკუნიდან ქართლში ჩნდება განსხვავებული არქეოლოგიური მასალა – წითლად გამომწვარი და გაპრიალებული კერამიკა სრულიად ახალი დამზადების ტექნიკითა და ფორმებით (გრეხილსარტყლიანი ქვევრები, დერგები, ქილები, ტუჩიანი დოქები, მილიანი ხელადები), რაც მიგვითითებს ახალი ეთნიკური ელემენტის შემოჭრაზე, რომელმაც თან ურარტული კულტურული ნაკადი შემოიტანა [3. 91]. 2. ჰეროდოტეს ცნობა, რომ სპარსეთის ყურედან ვიდრე შავ ზღვამდე სულ ოთხი ხალხი მოსახლეობს – სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები [6. 65-82]. ამ ცნობის მიხედვით ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულთან, რომელიც აკონტროლებდა ტერიტორიას კოლხეთსა და მიდიას შორის [5. 232]; 3. სომხურსა და ძველ სპარსულში აღმოსავლეთ ქართველების (ქართვების) და შემდგომ საერთოდ ქართველების დასახელება არა „ქართლის“ ფორმიდან წარმოსდგება, არამედ უკავშირდება „იბერ“ ძირს – VIლ – სომხურად და Vლ – ძველსპარსულად [7. 50-51]. ხოლო სომხებსა და სპარსელებს აღმოსავლურ-ქართულ ტომებთან შეხება პირველ რიგში სწორედ სასპერების (იბერების) განსახლების რაიონში ჰქონდათ; 4. ისტორიული სპერის ოლქი ანუ მდ. ჭოროხის ზემო წელის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა სოხმის (ზოხმის) ქვეყანა, რომელიც იხსენიება ძველ ხეთურ და ასურულ წყაროებში ძვ.წ. XIV-IX ს.ს.-ში. ამ ოლქის სახელი, სავარაუდოდ გადაიქცა სომხების სახელად აღმოსავლურ-ქარ-

თულ ტომებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ უძველეს ხანაში სომეხ (სოხმ>სომხ) ტომებს იბერების ტომები ემეზობლებოდნენ [8. 223]; 5. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, ცენტრალური ქართლის – „შიდა ქართლის“ პირვანდელი დასახელება იყო „ზენა სოფელი“ და ეს დასახელება უნდა გაჩენილიყო მანამდე სანამ, მცხეთა არ გახდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი [4. 282-305]. თვით დასახელება „ზენა სოფელი“ უნდა გაჩენილიყო იმ მოსახლეობაში, რომელიც „შიდა ქართლის“ სამხრეთით ცხოვრობდა. ასევე აღმოსავლეთ-ქართველების პოლიტიკური ცენტრიც მცხეთის რაიონის სამხრეთით არის საძიებელი [2. 493] და შესაძლოა, სპერის ოლქში, სასპერ-იბერების განსახლების მხარეში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული წყაროების მიხედვით, აზოს სამეფოს პოლიტიკური ცენტრი მცხეთა იყო, ხოლო მანამდე აქამენიდური ირანის ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული შიდა ქართლის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, მაშინ აშკარაა, რომ აღნიშნული სიტუაცია ემთხვევა ჰეროდოტეს ცნობაში ასახულ მოვლენებს; კერძოდ, სასპერ-იბერების ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებას ძვ. წ. VI საუკუნეში.

ძვ.წ. IX-VI სს-ის განმავლობაში არზრუმის ზეგანზე და მდ. ჭოროხის აუზში მოსახლე ქართველური ტომები ძირითადად ურარტუს გავლენისა და მათი ჰეგემონობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამგვარი ინტენსიური ურთიერთობები საომარი შეტაკებების გარდა მშვიდობიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობებშიც აისახა. ეს კი მათი კულტურული მონაპოვრების ურთიერთგაზიარებას და ურთიერთშედწევას უწყობდა ხელს [9. 62-74]. სწორედ ამგვარმა კავშირებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პირველყოფილურ-თემური ურთიერთობების რღვევასა და დიდი და მყარი გაერთიანებების – ადრეკლასობრივი სახელმწიფოების წარმოქმნაში (მაგ.: დიაუხი, იგანიეხი, უითერუხი) [10. 249-269]. საკმაოდ შორს წავიდა სოციალური დიფერენციაცია, იქმნება შეძლებულთა ფენა, რომელთა ხელშიც თავს იყრის ძალაუფლებაც. ხდება საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარება. სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის გამოყოფის პროცესის შედეგად წინა-

ურდება ცალკეული დარგები: მეტალურგია (რკინის), ოქრომჭედლობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, ყალიბდება ქალაქები, რომელთა გარშემოც ერთიანდება თემები [5. 209-214]. ჩვენის აზრით, სწორედ ეს აღმოსავლურ-ქართული (იბერები) ტომები, რომლებიც მძლავრ ურარტულ გავლენას განიცდიდნენ, იჭრებიან ქვემო და შიდა ქართლში და ხდება მათი ამ ტერიტორიაზე მშვიდობიანი ასიმილაცია და შერწყმა ადგილობრივ მონათესავე ქართუს ტომებთან. ამ შერწყმის შედეგი გახდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ძვ.წ. VI-V ს.ს.-ში ქართლის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ძვრებისა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, სოციალური დიფერენციაცია უკიდურეს მიჯნას აღწევს, ან თუ უკვე კლასობრივ საზოგადოებასთან არ გვაქვს საქმე. ამას მოწმობს წინწყაროს (ქვემო ქართლი), საძვეურ-ყანჩაეთის (შიდა ქართლი) მდიდრული სამარხები და აგრეთვე „ყაზბეგი განძი“ [11. 44-45]. ამავე პერიოდიდან ხდება ქართლის ბარის დაწინაურება. იქმნება დიდი სარწყავი სისტემები – ურბნისის, ტირიფონის, მუხრანის\*. შენდება ქალაქური ტიპის სამოსახლოები – უფლისციხე, ურბნისი, სარკინე, ოძრხე. ხდება ბარის სამიწათმოქმედო კულტურათა ათვისება, რომელთა შორის მთავარი ადგილი ვენახს ეჭირა. აღნიშნული პროცესი იმ მსხვილ დასახლებათა ჩამოყალიბებაში გამოიხატა საიდანაც აღმოცენდნენ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები [12. 91; 13. 63-72].

ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში აქემენიდურმა ირანმა დაიპყრო და შეიერთა მიდია, ხოლო შემდეგ თითქმის მთელი მცირე აზია [1. 146]. სპარსეთის ძალაუფლება გავრცელდა ამიერკავკასიაშიც, კერძოდ, ამ იმპერიის ერთ-ერთი დიდი ადმინისტრაციული ერთეულის- XVIII სატრაპიის შემადგენლობაში მოექცნენ სამხრეთის აღმოსავლურ-ქართული ტომები, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ამ რეგიონში მსხვილი გაერთიანებების ან აღრეკლასობრივი

---

\* საგულისხმოა, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული საირიგაციო მეურნეობა ურარტუსა და მის დაქვემდებარებულ პროვინციებში [10. 330].

სახელმწიფოს შექმნის პროცესი [14. 433]. უფრო ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მყოფმა ტომებმა მოახერხეს აქემენიდური ირანის მიმართ (ნახევრად) დამოუკიდებელი მდგომარეობის შენარჩუნება [1. 147]. ამაზე უნდა მიუთითებდეს პლუტარქესთან დადასტურებული წყარო, რომლის მიხედვითაც „იბერები“ (ანუ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა) არ ემორჩილებოდნენ არც სპარსელებს, არც მიდიელებს და მაკედონელის უღელცი აიცილეს [15. 358].

აქემენიდური ირანის გაძლიერების პერიოდში ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე უკვე არსებობდა სხვადასხვა დამოუკიდებელი ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი ერთეული – „ხეები“, ქვეყნები“ [2. 490; 16. 248], რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცენტრების – ქალაქების გარშემო. შესაძლოა, ამ მოვლენაზე მიგვიითებდეს „მოქცევაი ქართლისაი“-ს ერთი ადგილი, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე მაკედონელმა „იხილნა ნათესავნი ბუნთურქნი მსხდომარენი მდინარესა ზ’ა მტკვარს: მიხუევით ოთხ ქლქდ და დაბნები მათნი: სარკინე ქლქი კასპი: ურბნისი და ოძრხე და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისა და უფლის ციხე...“ [11. 51] ძვ. წ. V-IV სს.-ში ასეთ წვრილ პოლიტიკურ ერთეულებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის, რაც მიმართული იყო მსხვილი, ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები გაჩაღდა ცალკეულ არისტოკრატიულ გვარებს შორის აქემენიდური ირანის განადგურების შემდეგ. ამის ნათელი ანარეკლს ჩვენ ვხედავთ ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში („ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“).

„მოქცევაი ქართლისაი“ მიხედვით ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის დაპყრობის შემდეგ, ქვეყნის გამგებლად დატოვა „აზო, ძე არიან ქართლისა მეფესაი“. ამის შემდეგ აზო წავიდა მამის სამეფოში და იქიდან „წამოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამამჟუქეთანი [17. 81]. ამ ცნობის სხვა ვარიანტის მიხედვით (არსენ ბერის რედაქციით XII ს.) აზომ მამის ქვეყნიდან მოიყვანა ათასი სახლი „მდაბიოი უფლისაი“ და ათი სახლი „მთავართა-

გან“. მაგრამ ყველა ავტორი ერთსულოვნები არიან იმ ფაქტის კონსტატაციისას, რომ აზომ არიან-ქართლიდან მოიტანა ღმერთების გაცისა და გაიმის კერპები [18. 81-82]. „მოქცევაი ქართლისაი“-ში მოხსენიებული არიან-ქართლი ირანის ქართლად განიმარტება (არიანა ძველსპარსულად ირანს ეწოდებოდა), ანუ იგი უნდა აღნიშნავდეს იმ სამხრეთ ქართულ პროვინციებს, რომლებიც აქემენიდური იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ [5. 276-380]. იგივე საისტორიო ქრონიკა აზოს ქართლის „პირველ მეფედ“ მოიხსენიებს, თუმცა ოფიციალური ვერსია („ქართლის ცხოვრება“) მას ასეთად არ აღიარებს, რადგანაც აზო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დასახმარებლად გარეშე ძალას იყენებს და თვითონაც ქართლის უცხო ბოროტ დამპყრობლად გვევლინება: „იყო კაცი ძნელი და მოსისხლე და ეს დააწესა და ამცნო სპათა მისთ, ვითარმედ: ყოველმან ქართველთაგან-მან რომელმან ჰპოვოს საჭურველი მოჰკალთ იგი და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა და ვითარცაჲ ვინ გამოჩნდეს ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლან იგი და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა“ [19. 20]. დამპრობ ძალაზე დამყარებულ აზოს ბატონობას ქართლში ბოლო მოუღო აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ედგა აღგილობრივი წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, მცხეთის მამასახლისის ძმისწული – ფარნავაზი: „მამულად ქართლელი, კაცი გონიერი, მხედარი შემართებული... და მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისი“ [19. 20-23]. მან მოიმხრო ვერისის მმართველი – ქუჯი, აგრეთვე ოსები და ლეკები, მას მხარი დაუჭირეს სელეკიდების მეფემ და სომხეთის ერისთავებმა. აზო გაიქცა მცხეთიდან და დამკვიდრდა თავის მამულში – კლარჯეთში, სადაც მოუვიდა დამხმარე ლაშქარი „საბერძნეთიდან“. მეორე წელს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ფარნავაზმა გაიმარჯვა, ხოლო აზო დაიღუპა. გამარჯვებულმა ფარნავაზმა მოარბია ანძიძორი და ეკელეციის ოლქის გავლით დაბრუნდა კლარჯეთში; ხოლო იქიდან მცხეთაში [19. 23].

ძველი ქართული საისტორიო მატიანეთა ძირითად მოტივს წარმოადგენს ბრძოლა ორ პოლიტიკურ ერთეულს

შორის ქართლში ჰეგემონობისათვის. ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს აქემენიდური ირანის კულტურის არეალში მყოფმა სამხრეთ ქართულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ უცხო ძალის დახმარებით შესძლო ქართლში გაბატონება. თუმცა ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ძირითადად ადგილობრივ ქართულებერ ტომებზე დაყრდნობით, ეგრისის მოსახლეობისა და ჩრდილო-კავკასიელთა ხელშეწყობით ფარნავაზმა მოახერხა მოწინააღმდეგის დამარცხება და ქართლის ერთიანი სამეფო თავის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანა. დაპირისპირება ორ პოლიტიკურ ძალას შორის არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. სამადლოს, ციხიაგორისა და ურბნისის ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნის ფენები გადამწვარი და ნაცრადქცეულია [12. 107].

ფარნავაზმა განახორციელა რეფორმები, რომელთა შორის გვინდა გამოვყოთ არმაზის კერპის შექმნა: „ამან ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსაზედა თვისსა, ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა“ [19. 25] მრავალი მკვლევარი შეეცადა ქართლის მთავარი ღვთაება – არმაზის იდენტიფიცირებას და იგი გაიგივებულ იქნა: აჰურამაზდასთან, მითრასთან, თეშუბთან, იუპიტერთან, არმასთან. თუმცა საერთო აზრი მაინც ვერ ჩამოყალიბდა, ხოლო აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხის მიმართ, პრობლემის გადაულახაობის ნიშანია.

წყაროები არ გვაძლევენ რაიმე საფუძველს, რომ შეგვეძლოს მტკიცება, თითქოს მაზდეანობა საქართველოს სახელმწიფოებრივი რელიგია ყოფილიყო. მართალია, სპარსეთთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების შედეგად საქართველოში ვრცელდებოდა ცეცხლთაყვანისცემლობა\*, მაგრამ იგი უმთავრესად ეხებოდა ზედა ფენას, ხოლო ხალხში და-

---

\* ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შიდა ქართლში აქემენიდური ირანი არ გაბატონებულა და თვისი ზეგავლენა არ განუვრცელებიადა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძირითადად სავაჭრო-კულტურული სფეროთი შემოიფარგლებოდა [3. 96]. ხოლო ცეცხლთაყვანისცემლობის ადვილად შესამჩნევი დალი ქართულ კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ სამყაროზე უპირატესად სასანიანთა სპარსეთის ხანისაა [21. 119].

საყრდენს ვერ პოულობდა [20. 204], ამიტომ მაზღეიზმი სა-  
ქართველოში ოფიციალურ კულტად არასდროს არ ყოფილა.

ქართულ საისტორიო წყაროებში მოიპოვება ცნობები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არმაზი სპარსული ზოროასტრიზმისგან განსხვავებული ეროვნული კულტია. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ლეონტი მროველის ცნობები: – ფარნაჯომ მეფემ უღალატა ეროვნულ სარწმუნოებას, განუდგა მას და „შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლმსახური და მოგუნი და დასხნა ივინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგვთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ.“ ფარნაჯომის წინააღმდეგ შეთქმულთა მოციქული ასე ახასიათებს მას: „მეფე ჩუენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურობს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტოვა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩვენდა“ [19. 29,4-7]. აშკარაა, რომ მატიანეს მიხედვით, ცეცხლთაყვანისცემლობა კერპთაყვანისცემლობასთან შედარებით უცხო სჯულად განიხილებოდა, რომელიც არმაზისა და მის თანმხლებ ღვთაებებთან მკვეთრად დაპირისპირებული მოძღვრებაა [21. 123]. ლ. მროველის სხვა ცნობის მიხედვით ქასრე სპარსთა მეფემ თავისი შვილი მირიანი ქართლის მეფედ დასვა და ქართველებს დაუბარა, რომ „იყოს შვილი ჩემი ორსავესა სჯულსა ზედა: მამათასა და ცეცხლმსახურებასა და თქვენთა კერპთასა“ [19. 65]. აქ პირდაპირ არის ნათქვამი რომ მირიანის მამათა, ანუ სპარსელების სარწმუნოება ცეცხლის მსახურებაა, ხოლო ქართველებისა მისგან განსხვავებული – კერპთაყვანისცემლობა. თვით ირანული წყაროც კი ადასტურებს მკვეთრ დაპირისპირებას ქართულ ადგილობრივსა და ირანულ სარწმუნოებებს შორის. ახ.წ. III საუკუნის მოღვაწის, მთელი ირანის ზოროასტრული ეკლესიის მეთაურის, კარტირის წარწერის მიხედვით, მას ყველგან აღმოუფხვრია ადგილობრივი ერეტიკული სარწმუნოებები, სადაც კი ირანის ჯარი შესულა. ჩამოთვლილთა შორის იბერია მეოთხე ადგილზე დგას [22.



108-113]. არმაზი რომ რამდენადმე აპურამაზდასთან ყოფილიყო დაკავშირებული, მაშინ ირანელთა მხრიდან ასეთი სარწმუნოებრივი აგრესია არ განხორციელდებოდა [23. 209].

მაზდიანობასთან არმაზის კულტის ანტაგონიზმზე ასევე მოგვითხრობს „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ ნაწყვეტი, რომლის მიხედვითაც მცხეთის მოსახლეობა ცდილობს ახსნას მათი კერპის განადგურების მიზეზი: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან, ამან რამე მას ზედა ზღვა მოაქია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“ [19. 91,18;92,1-2]. ამ დაპირისპირებაში მკაფიოდ ჩანს, რომ ითრუჯანი ისეთი სტიქიის ღმერთი იყო რომლის მოსპობას ქართველთა არმაზი წყლით ცდილობს. ამგვარად, ითრუჯანი ცეცხლის ღვთაებად გვევლინება, ხოლო არმაზი წყალმპყრობელია, წვიმის მომცემი და ცეცხლის მსპობელი.

კ. კეკელიძემ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ „ითრუჯანი“ ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახული ცეცხლთაყვანისცემლობასთან დაკავშირებული ღვთაების ფონეტიკურად სახეშემცვლილი ფალაური „ატრაშან/ატრუშანია“ [24. 268-270]. ეს სიტყვა გეხვდება ი. ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი“, ხოლო სხვა ადგილას შუშანიკი ასე მიმართვს თავის გამაზდიანებულ მეუღლეს: „მამამან შენმან აღმართნა სამარტვილონი და ეკლესიანი ალაშეჰნნა... ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უარ-ჰყავი და ცეცხლსა თაყვანის ეც.“ [25. 12]. ამდენად ითრუშან/ითრუჯან – ატრუშანი არსებითად ერთი და იგივე ცეცხლის ღვთაებაა, რომელთანაც შეურიგებელი დაპირისპირება აქვს ქართულ არმაზს.

საყურადღებოა, რომ არმაზს, ისევე როგორც ზადენს, საუკუნეების მანძილზე ქართლის მოსახლეობა სწორავდა მსხვერპლს (ადამიანების ჩათვლით) [19. 85.], რაც აბსოლუტურად შეუთავსებადია მაზდიანობასთან. ასევე აღსანიშნავია, რომ არც გარეგნულად ჰგავს არმაზის კერპი აპურამაზდას გამოსახულებას. „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია, რომ წმინდა ნინომ ქართლის მთაზე ნახა აღმართული „კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვი

ოქროსი, და თავსა მისსახაბლახი მყარი, და თვალნი ეს-  
ხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა  
ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა დაიქცეოდახელთა  
შინა უკეთუ ვინმე შეეხებოიან, თავი თვისი სიკუდილად  
განწიროს...“ [19. 89,9-12].

მოტანილი აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ არმა-  
ზი ანთროპომორფული არსებაა და იგი მებრძოლი ღვთაე-  
ბაა: ტანზე აცვია ოქროს აბჯარი, თავზე ახურავს ჩაფხუ-  
ტი და ხელში უჭირავს „ხრმალი ღესული“. აღნიშნულ გა-  
მოსახულებას არაფერი აქვს საერთო სპარსულ აპურამაზ-  
დასთან, რადგან იგი ძველირანულ ხელოვნებაში ფრთოსან  
მზისწრედ წარმოგვიდგება. ამის გარდა „ავესტაში“ და-  
ცულ ტექსტებში მითითებულია, რომ აპურამაზდას ანთრო-  
პომორფული სახით გამოსახვა გამორიცხულია [26. 54-55].

ფუნქციონალურადაც ზოროასტრიზში დუალისტური  
რელიგიაა, ერთმანეთს უპირისპირდება ორი საწყისი – სი-  
კეთე და ბოროტება, რომელთა მუდმივი ჭიდილი გამარ-  
ჯვებისათვის მსოფლიო განვითარების პროცესის შინაარს  
განსაზღვრავს. აპურამაზდას – სიკეთისა და სინათლის მე-  
უფეს უპირისპირდება აპრიმანი – ბოროტებისა და წყვილი-  
დის გამგებელი [27. 537]. არმაზი კი გვევლინება ომისა და  
ნაყოფიერების მფარველ ღვთაებად, რომელიც თავისი  
ფუნქციონალობით ძალიან წააგავს ურარტელთა მთავარ  
ღმერთს – ხალდის. ძველდამოსავლური წყაროების მიხედ-  
ვით, ხალდი ასტრალური ღვთაებაა, რომელიც ერთის  
მხრივ, ომის მფარველია, წინ მიუძღვის ურარტელთა ჯარს  
და ესმარება მტრის დამარცხებაში, ხოლო მეორეს მხრივ,  
ხალდი ნაყოფიერების, მოსავლისა და წყლის მფარველა-  
დაც წარმოგვიდგება. მოსავლის აღებისა და საირიგაციო  
არხების გაყვანისას მას სწირავდნენ მსხვერპლს და აწ-  
ყობდნენ დღესასწაულებს. [10. 365-375].

არმაზს ვერც მზის ღვთაება – მითრასთნ გაავიგი-  
ვებთ, რადგან ამის არანაირი მტკიცე საბუთი არ არსე-  
ბობს. მეტიც, ამ კულტებს თვით ქართული წყაროები გა-  
ნასხვავებენ. მაგალითად, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შატ-  
ბერისეულ ტექსტში ნათქვამია: „იტყვან: ვაი თუ დასადავა-  
ულ რაი დ'ბსა დიდისა ღვრთისა არმაზისა და შერასმეცყო

სიტყვას ებრაელთა თანა, გინა მოგვთასმენასა ოდენ, დახუდ-გომელ ვიყო მზის მსახურთა და რ'ნიმე იტყვიან უცემნი დიდისა ვისმე ღ'ა ცათასა და ნუ უკუე პოვოს რაიმე ჩემთანა ბიწი და მცეს მახვილი იგი მისი რ'ლისაგან ემინის ყ'ლსა ქუ'ნსა და შიშითა თყ'ნის სცემენ ყ'ლნი“. [28. 752]. ამ ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველები შიშს გამოსთქვამენ, ვაი თუ მზის მსახურთ-მოგვთა სიახლოვით არმაზმა ისინი არ დასაჯოს. შესაბამისად, არმაზი უპირისპირდება მზის ღვთაებას, რაც გამორიცხავს მათ გაიგივებას.

არმაზი ქართულ წყაროებში წარმოდგენილია როგორც მამრობითი სქესის მებრძოლი ღვთაება. გარეგნობა აბჯარ-შეჭურვილი მეომრისა აქვს, ხელში უჭირავს ელვარე მახვილი და ყველას სიკედილით ემუქრება, ვინც მის შეხებას გაბედავს. ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში, საკმაოდ ადრეული პერიოდიდან (მტკვარ-არაქსის კულტურა) მოხდა მზისა და დიდი დედის კულტის შერწყმა, რის შედეგადაც მზე ქალური ბუნების ნაყოფიერების ღვთაების რანგში იქნა აყვანილი. რელიგიური პანთეონის ასტრალიზაციის შედეგად სწორედ ეს მზის ქალღვთაება ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს [29. 160-161]. მზე ხალხურ წარმოდგენებშიც ქალად გვევლინება, შესაბამისად, მისი დაკავშირება არმაზთან მიუღებლად გვეჩვენება.

ფარნავაზის მცხეთაში გამეფებამდე შიდა ქართლის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი გაერთიანების ცენტრი უნდა ყოფილიყო უფლისციხე. მკვლევართა აზრით, ამ კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქის შექმნა უკვე ადრეანტიკურ ან უფრო ადრეულ ხანაში უნდა დაწყებულიყო [30. 61]. იმის გათვალისწინებით, რომ ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისამდე მცხეთა არ წარმოადგენდა დიდი გაერთიანების ცენტრს (ამ პერიოდის ქალაქური დასახლება მცხეთაში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, ასევე სამთავროს მრავალფენიან სამაროვანზე ეს ეპოქა საკმაოდ ღარიბულად არის წარმოდგენილი [16. 246]), საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში უფლისციხე შიდა ქართლში გაბატონებულ პოზიციაზე მყოფ ცენტრად გვევლინება [14. 436; 30. 54]. ფარნავაზის მიერ ქართლის სამეფოს შექმნისა და მცხეთის დედაქალაქად გამოცხადებით მოხდა აქ ცენტრების გადაადგილება, კერძოდ, წინა პლანზე გამოვიდა და

ჰეგემონის როლი იტვირთა ქართლის მთის მიდამოებში მცხოვრებმა ტომებმა. მნიშვნელოვან სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე მცხეთამ, რომელიც ამავე დროს, ფარნავაზის რეფორმების შედეგად, რელიგიურ ცენტრს და მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა, შესძლო უფლისციხის როლის დაკნინება და მოკლე ვადაში მთელი ქართლის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრად გადაიქცა. უფლისციხე მზის ღვთაების საკულტო ადგილი იყო [30. 21-25] და რადგანაც მცხეთა მასთან დაპირისპირებულ ქალაქად გვევლინება, ამიტომ მიუღებლად გვეჩვენება, რომ ფარნავაზს მზის კულტი თავის მთავარ ღვთაებად წარმოეჩინა.

რაც შეეხება უშუალოდ მითრას კულტს, უნდა აღინიშნოს, რომ აქემენიდური ირანში გავრცელებულ ზოროასტრული რელიგიის მთავარი ღვთაება აჰურამაზდაა, ხოლო მითრა მეორე ხარისხოვან ღვთაებად გვევლინება, რომლის ძირითადი ფუნქციაა აჰურამაზდასა და ადამიანებს შორის ურთიერთობების მოწესრიგება, ამიტომ მისი ფუნქციებია კანონისა და წესრიგის დაცვა. ამავე დროს იგი გვევლინება დოვლათის, ნახირისა და ნაყოფიერების მბოძებლად და არა მებრძოლ ღვთაებად [31. 672]. შესაბამისად, არადამაჯერებლად გვეჩვენება რომ ფარნავაზს მეორეხარისხოვანი ღვთაება (განსხვავებული ფუნქციებით) ქართლის მთავარ ღმერთად გამოეცხადებინა.

თვით მითრაიზმი ელინისტურ ხანაში ვრცელდება მთელ წინა აზიაში, ხოლო ახ.წ. I საუკუნიდან ფეხს იკიდებს საბერძნეთსა, რომსა და ძვ. ევროპის ქვეყნებში, სადაც ძლიერ კონკურენციას უწევს ქრისტიანობას [27. 683]. მითრას კულტი საქართველოშიც უნდა გავრცელებულიყო წინაქრისტიანულ პერიოდში, მაგრამ უფრო გვიან ვიდრე ფარნავაზმა შექმნა არმაზის კულტი\*.

---

\* მითრა ჩემის აზრით, იკონოგრაფიულად და ფუნქციონალურად დიდ მსგავსებას ავლენს ქართულ წარმართულ კვირიას კულტთან, ხოლო ქრისტესთან მისი მსგავსება იმდენად თვალშისაცემია [31. 672; 33. 342-353], რომ წარმოუდგენლად გვეჩვენება მისი დაკავშირება წმინდა გიორგისთან, რომელთანაც მჭიდრო კავშირს ავლენს არმაზის კულტი [34. 90].

ზოგი მკვლევარი არმაზს რომის იმპერიის უმაღლეს ღვაება- იუპიტერს უკავშირებს [21. 119]. რომი, რომელიც მხოლოდ ძვ. წ. II საუკუნიდან გამოჩნდა მცირე აზიაში, ხანგრძლივ ომებს აწარმოებდა პონტოსა და სომხეთის წინააღმდეგ და მხოლოდ ძვ.წ. I საუკუნეში მოხდა რომაელთა პოლიტიკური გავლენის დამყარება ამიერკავკასიაში [16. 260]. შესაბამისად, არმაზის კულტის შექმნა იუპიტერის გავლენით, არამართებულად მიმაჩნია. თუმცა არმაზის სინკრეტული ბუნების გათვალისწინებით, ქართლში რომის იმპერიის დომინირების პერიოდში, მას გარკვეული თვისებები იუპიტერისაგან უნდა შეეძინა.

მკვლევართა ნაწილი არმაზის კერძს განიხილავს „ტრიადად“ და აკავშირებს მას ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროსთან. „არმაზული ტრიადა“-ს სამივე ღვთაება გამოხატავდა ერთ მთლიან კულტს [32. 199-209]. ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან ჯერ ერთი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ეს სამეული უმთავრესად დაცალკევებულად არიან განხილულნი. მაგალითად, მირიან მეფე ქართლის უზენაესი ღვთაებების დახასიათებისას თანაფარდად წარმოგვიდგენს არმაზსა და ზადენს: „აჰა ესერი, ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემელნი და ქვეყნის ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ“ [19. 106]. ამავე დროს გაცი და გაიმი ფუნქციონალურადაც განსხვავდებიან არმაზისაგან: „ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი, ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი, გაცი და გაიმი“ [19. 106]. ეფთვიმე მთაწმინდელის სიტყვით: „სახელსა დებანი იგი საწარმართოთა კერპთანი, რ’ლნი მათ ღ’თდ შერაცხნეს რ’ლნიზე მიმართა და რ’ლნიმე დედათა სრულიად მოისპენ – დიოს, ანუ აპოლოს, ანუ არტემის ანუ ბონო და გაცი და ბადაგონ და არმაზ ... ესე ყოველი საეშმაკოი არს და მოისპენ ქრისტეანეთაგან“ [34. 126]. ამ ტექსტში საერთოდ გამოტოვებულია „ტრიადის“ ერთი ღვთაება-გაიმი, ხოლო დანარჩენი ორი, ჩამოთვლისას ერთმანეთის გვერდითც კი არ მოიხსენიება. ამიტომ „საკულტო მთლიანობის“ საკითხი ღვთაებათა გვერდი-გვერდ დგომით ვერ გადაიჭრება. მეორეც, არმაზის აღწერილობის ანალოგად მარტო ხეთურ-

მცირეაზიური კერპების მოხსენიება არ მიგვაჩნია მართებულად. ურარტული ღვთაებებიც თავიანთი ანტროპომორფულობით, იკონოგრაფიული და მასალისმიერი ნიშნით დიდ მსგავსებას ავლენენ არმაზთან.

ვანის სამეფოს დროინდელი წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით მათი ღვთაებების უმრავლესობა ანტროპომორფულია, რომლებიც მოთავსებულნი იყვნენ ან ღია ცის ქვეშ სპეციალურ ნიშებში – „კარებში“, ანდა უშუალოდ ტაძრებში [35. 224]. მამაკაცი ღვთაებები მდგომარე, ხოლო ქალღვთაებები მჯდომარე პოზაში არიან. ხშირად მათ თან ახლავთ მსახური ღვთაებები [35. 226-227] არმაზის მსგავსად ურარტელები თავიანთ კერპებს ძირითადად სპილენძისგან (იშვიათათ ბრინჯაო ან ქვა) ამზადებდნენ, ხოლო მათი სახეები და განსაკუთრებით თვალები თეთრი და ფერადი ძვირფასი ქვებით იყო ინკრუსტირებული, თვით ღვთაებათა ქანდაკებები სხვადასხვა ლითონით (ოქრო, ვერცხლი) იყო შემოსილი [36. 52-53]. არმაზის, როგორც მეომარი ღვთების ადჭურვილობანი – ჯაჭვის პერანგი, ჩაფხუტი, სამხარნი ასევე ტიპურია ურარტული ღმერთებისათვის. საგულისხმოა, რომ არმაზის მთავარი ატრიბუტი – „ხრმალი ღესული“, რომელიც ბრწყინავდა ვითარცა ელვა და „იქცეოდა ხელთ შინა“ ძალიან წააგავს ხალდის, ომის ღვთაების ძირითად იარაღს – ოქროს ხმალს, რომლითაც იგი შიშის ზარს სცემდა და ანადგურებდა ვანის სამეფოს მტრებს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ წარმართულ და ურარტულ რელიგიებს საკმაოდ მტკიცე ტრადიციები აკავშირებთ, მაგ.: ურარტ.ჰარადე და ქართ. არადე; ურარტ. კუერა და ქართ. კვირია; ურარტ. ანაფსა და ქართ.ფაზისი; ხურ.ურარტ. ვიშაშპ და ქართ. ვეშაპის კულტი; ხურ.-ურარტ. ხუბა და ქართ. ვობი [9. 67-70]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძვ.წ. VI საუკუნიდან ადგილი ჰქონდა შიდა და ქვემო ქართლში ურარტული კულტურის მატარებელი ქართული ტომების – იბერების შემოსვლას, მაშინ უფრო დამაჯერებელია რომ არმაზის კერპის გარეგნული სახის შექმნაში ურარტულ რელიგიურ ტრადიციებს უფრო უნდა ჰქონოდათ გავლენა ვიდრე ხეთურს, რომელთა შესახებაც ძველი ქართული ის-

ტორიული ტექსტების შემდგენლებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ [32. 208].

მკვლევართა უმრავლესობა არმაზის სახელს ხეთურ-ლუვიურ მთვარის ღმერთს – არმა(ს) უკავშირებს და ქართველთა უზენაეს ღვთაებას ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროდან შეთვისებულად მიიჩნევენ, რომელიც ქართველ ტომთა კიდევ ერთი ტაღლის – მუშქების (მესხების) ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადმოადგილებისას უნდა შემოეტანათ. [10. 420-421; 37. 177; 16. 251].

მუშქები, აღმოსავლურ ქართული ეთნოსის დასავლური შტო, თავდაპირველად მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში დამკვიდრდა. ძვ.წ. XII საუკუნიდან დაიწყო მათი განსახლება ჩრდილო მესოპოტამიის მიმართულებით, ხოლო მოგვიანებით, მცირე აზიის დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონში შეიქმნა მუშქების სამეფო [16. 240], ძვ.წ. VII საუკუნის 70-იან წლებში, მას შემდეგ რაც ურარტუელებმა და კიმირიელებმა გაანადგურეს ეს სახელმწიფო, მუშქები (მოსხები) ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გადაადგილდნენ და ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით დღევ. ტოკატ-ყარაჰისარ-გიუმუშხანეს სანახებში (ურდუს სამხრეთით და ყიზილ-ირმაკის სათავეებთან) განთავსდნენ [38. 34]. პირველად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კონკრეტულად მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის აუზში მოსხური (მუშქები) ტომები ძვ.წ. IV-III საუკუნეებში გამოჩნდნენ, სადაც შექმნეს „მოსხთა ქვეყანა“, რომელსაც ბერძნები „მოსხიკეს“ სახელით მოიხსენიებენ [38. 70; 11. 59]. ეს ის მხარეა, რომელიც ძველქართულ საისტორიო წყაროებში აზოს სამშობლოდ – არიან ქართლად არის წარმოდგენილი [14. 440; 12. 101] და როდესაც მემბტიანე აზოსა და მის თანამოსახლეთა მცხეთაში დამკვიდრებაზე საუბრობს [19. 17-20], უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოსხური ტომების გარკვეული ნაწილის შიდა ქართლში შემოსვლაზე [16. 241]. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდს, ანუ ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარს ემთხვევა შიდა ქართლსა და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ქვეერში დამარხვის წესისა და მოხატული კერამიკის გავრცელება. ეს ინოვაციები

კი მცირეაზიული კულტურული ტრადიციების მატარებელ მუშქთა/მოსხთა ტომებს ეკუთვნით [38. 171; 16. 247; 39. 65]. შესაბამისად აზოს მიერ ქართლში მოტანილი თავისი ღვთაებები – გაცი და გაიმი, ასევე მოსხთა ტომების საკუთრებად უნდა განვიხილოთ და ისინი შემოტანილ, უცხო, მცირეაზიული წარმოშობის ღმერთებად უნდა მივიჩნიოთ\*.

რაც შეეხება არმაზს, იგი ფარნავაზმა დააწესა მთავარ ღვთაებად: „მანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელისა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი“ [19. 25]. უმაღლესი ღმერთი თვით სახელმწიფოს მბრძანებელს განასახიერებდა. მეფის კულტის დაწესება ქართლის მეფის ხელისუფლების უზენაესობის შესახებ ქვეშევრდომთა შორის რწმენის განმტკიცებას ისახავდა მიზნად [16. 251]. გაღმერთებული მეფის კულტი საკმაოდ გავრცელებული იყო საბერძნეთსა და ელინისტურ აღმოსავლეთში [40. 279].

ფარნავაზი წარმოშობით ადგილობრივი ძლიერი არისტოკრატიული გვარისგან იყო. იგი მცხეთის მამასახლისის სამარის ძმისშვილი და ქართლოსიანთა გვარის გამგრძელებელია. „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“ [19. 26,8]. ეგრისის მმართველი ქუჯი ასე მიმართავდა ფარნავაზს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართლებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“ [19. 22,22-23]. „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში ეს პასაჟი ასეა წარმოჩენილი: „ქართლის

---

\* „წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ მიხედვით გაცი და გაიმი „რომელნი იგი ღმერთად უწნდეს ერსა მას ქართლისასა [19. 90,1-2], ანდა“...ყოელისა დაფარულისა გამომძიებელნი, ძველნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გაიმი...“ [19. 106,15-18] წარმოჩენილნი არიან როგორც ქართველთა ძველი ღმერთები. ეს მოვლენა სავსებით ბუნებრივია, რადგან აზოს გამეფებიდან, როცა მან თავისი ღვთაებები ქართლში დაამკვიდრა, 600 წელზე მეტი გავიდა, ამიტომ მირიანის მეფობის დროისათვის გაცი და გაიმი მართლა იყვნენ „ძველნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი“. სამაგიეროდ, როდესაც ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში საუბარია აზოს მეფობის პერიოდზე, აუცილებლად გაცი და გაიმი არიან-ქართლიდან, აზოს მიერ მოტანილ კერპებად წარმოგვიდგებიან.



სახლს პირველი მამასახლისთაგანი ხარ შენ...“ [18. 31]. ამ გვარად, ფარნავაზმა, როგორც ქართლოსის უშუალო შთამომავალმა შექმნა ადგილობრივი ტრადიციების გამომხატველი უბეველესი და უხენაესი ღვთაება – არმაზი, რომელიც აღმართა იქ, სადაც ადრე ქართლოსის საფლავს სცემდნენ პატივს: „მტკიცე და უფროსი მათი საფიცარი იყო საფლავი ქართლოსისი“ [19. 7], ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, იგი „დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“ და მას ისევე სცემდნენ პატივს როგორც ადრე ქართლოსის საფლავს; მირიან მეფე „აღასრულებდა მსახურებას კერპთასა და შეამკო საფლავი ფარნავაზისი“ [19. 41].

არმაზი ვერც სპარსული ღვთაება იქნებოდა (აქემენიდური იმპერიის დანგრევის შემდეგ ირანის რელიგიური წარმოდგენების გამოვლინება თითქმის მთლიანად გადაფარული იყო ელინისტური ტალღით [21. 124] და ვერც მცირეაზიულ (მოსხური) – ელინისტური ღმერთი (როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, აზო სასტიკი დამპყრობი იყო, რომლის ქმედებები და რწმენა-წარმოდგენები მიუღებელ იქნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და თვით ფარნავაზისთვისაც). ასევე, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში არსად არმაზი „არიან-ქართლიდან“ შემოტანილ ღვთაებად არ არის არც ნაჩვენები და არც ნაგულისხმევი, პირიქით, იგი მაშინ იძენს პირველობას, როდესაც „შემოსული ელემენტი“ – აზო გარდაიცვლება და მისი მამააპაუელი შემოტანილი ღმერთები მეორესხარისხოვნები ხდებიან\*.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს აგრეთვე „ქართული მწიგნობრობის“ ე.ი. ქართული დამწერლობის შექმნას და ქართული ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრებას: „ფარნავაზ განავრცო ენა ქართუ-

---

\* დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ფარნავაზის მხარეზე გადავიდა აზოს თანამოსახლეთ 1000 რჩეული მხედარი, რომელთაც ქართლის მეფემ შემდგომ აზნაურობა უბოძა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ფარნავაზმა კი არ დაამსხვრია და მოსპო შემოტანილი ვაცისა და გაიმის კერპები, არამედ ისინი რანგით ჩამოაქვეითა, არმაზს დაუქვემდებარა და მეორესხარისხოვან ღმერთებად აქცია.

ლი და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა [19. 27]. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მანვე ადგილობრივ ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნა უზენაესი ღვთაების კერპი – არმაზი. ამგვარად, ფარნავაზის მოღვაწეობა, მისი რეფორმები აღიქმება როგორც ქართული ცივილიზაციის დაბადება. „შეიქმნა ქართველთა სახელმწიფო, ქართული ტერიტორიით, ქართული ენით, ქართული წეს-წყობილებით (თუმცა ნასესხები), ქართული სარწმუნოებით, ქართული მწიგნობრობით და ქართველი მეფით“ [1. 165; 41. 157]. თუ ჩვენი თვალსაზრისი მისაღებია, მაშინ იბადება კითხვა: რომელი ადგილობრივი ღვთაება გახდა ფარნავაზმა უზენაესად? ხალხური გადმოცემები და მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემები გვჩვენებენ, რომ ადრეკლასობრივი საზოგადოების დროს ქართველებს ჰყავდათ არამარტო ადგილობრივი, ტომობრივი ან სატომათაშორისო ღვთაებები, არამედ საერთო დიდი ღმერთებიც [1. 236]. ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში განსაკუთრებულად თაყვანს სცემდნენ ციურ მნათობებს. ღვთაებათა ასტრალიზაციის შედეგად მიწის ნაყოფიერების ქაღღვთაება დაუკავშირდა მზეს, ხოლო მისი მამაკაცური კორელატი განასახიერებდა მთვარეს [42. 107]. წინარექრისტიანულ პერიოდში რელიგიური უმაღლესი პანთეონი ღვთაებათა შვიდეულს წარმოადგენდა, რომელიც შვიდ მნათობს განასახიერებდა და მთვარის კალენდრის თითოეულ დღესთან იყო დაკავშირებული [34. 60]. საქართველოში არსებულ უძველეს რელიგიად მიიჩნევა მნათობთა თაყვანისცემას ლეონტი მროველიც: „და იქმნა მსახური მზისა და მთვარისა და ვარსკვლავთა სხვათა“ [19. 11].

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის პირველ ნახევარში ქართულ მითო-რელიგიურ წარმოდგენებისათვის დამახასიათებელია მამრი ძალების საგრძნობი გააქტიურება [23. 200]. ამავე პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებიდან (ნაცარგორა, მელი-ღეღე II, ყათლანისხევი, მელაანი და სხვა) მოპოვებული მასალაც ადასტურებს ნაყოფიერების ფუნქციით დატვირთული მეომარი ღვთაების წინა პლანზე წამოწევას [29. 222], რომლის შემდგომი განვითარების ფაქტს ვამოწმებთ ადრეანტიკური ხანის ძეგ-

ლებზე: ახალგორი, ყაზბეგი, ყანჩაეთი, წინწყარო და სხვა [43. 23-48]. სწორედ იგი იქცა ქართული წარმართული პანთეონის უზენაეს ღმერთად – მთვარის ღვთაებად [44. 10-22]. მთვარის კულტის თაყვანისცემა ყველაზე უფრო გავრცელებული იყო საქართველოში წინაქრისტიანულ პერიოდში [34. 88-101]. ამ მოვლენის კიდევ ერთ მაგალითად გვესახება აღბულაღის რაიონში აღმოჩენილი რელიეფური ქანდაკება. იგი დადგმული ყოფილა კვარცხლბეკზე და მას ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანს სცემდა როგორც წმინდა გიორგის [26. 57]. ამ სტელაზე დაბალი რელიეფით ამოკვეთილია მამაკაცის გამოსახულება მეტად საინტერესო ატრიბუტებით. აღსანიშნავია ამ ფიგურის თავსაბურავი. იგი მოგვაგონებს კონუსს, რომელსაც ქვემოთ წვეტიანი ქიმები აქვს. ამგვარი ფორმის ჩაფხუტი უცილობელი ატრიბუტია მცირეაზიური მთვარის ღვთაებისათვის [26. 58]. საქართველოს მრავალ არქეოლოგიურ ძეგლზე გამოვლენილია ქიმიანი კერები და რქიანი სადგამები, რომელნიც ხარის რქების სიმბოლურ გამოხატულებად არის მიჩნეული [45. 28; 29. 167], ხოლო ხარი ქართველთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში მთვარის ღვთაებას უკავშირდება და მის ზომორფულ ინკარნაციას წარმოადგენს [46. 53-54]. შ. ამირანაშვილი თვლის რომ რელიეფის მარცხენა მხარეს გამოსახულია მცირე ზომის მშვილდი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ არ ჩანს მშვილდის ლივი და ვერც ისრებს ვხედავთ გამოსახულებაზე, ამიტომ მიმაჩნია, რომ მამაკაცის ფიგურას წელზე მარჯვნიდან ჩამოკიდებული აქვს რკინის ტანმოსხრილი ერთპირლესილი დანა, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო ქვემო და შიდა ქართლში ძვ.წ. VII საუკუნიდან, ხოლო მარცხნივ – შედგენილტარიანი სატევარი. ადამიანის ფიგურას ზურგს უკან ორი მასრაშეკრული შუბი ჰკიდია. ამგვარი იარაღები აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო ძვ.წ. XII-VII საუკუნეებში\*.

შესაბამისად, აღბულაღის რაიონში აღმოჩენილი სტელა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს. ამ მო-

---

\* საყურადღებოა, რომ ანალოგიური იარაღები საკმაოდ გავრცელებული იყო ურარტუშიც [48. 54].

საზრებას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ მელაანის მებრძოლი ღვთაების (მთვარის) სამლოცველოში, რომლის განადგურება ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის დასაწყისით განისაზღვრება, ანალოგიური ტიპის იარაღები იქნა აღმოჩენილი [47. 117-122]. ამრიგად, საერთო ქართული უმაღლესი ღმერთი – მთვარის ღვთაება ფარნავაზმა თავისი სახელმწიფოს მთავარ კერპად აქცია და სწორედ ამიტომაც სხვა ვერცერთმა ღვთაებამ მას კონკურენცია ვერ გაუწია და ექვსას წელზე მეტხანს არმაზი რჩებოდა „ღმერთი ღმერთთა“ და „რომელ არა არს მისსა გარეშე სხუა კერპი“ [19. 89,2-3].

აღსანიშნავია, რომ ფარნავაზიანთა ხანაში მცხეთაში აღიმართა ექვსი კერპი: არმაზი, გაცი, გაიმ, ზადენი, აინინა, დანინა. ხოლო რვე მართალმა მიამატა მეშვიდე კერპი – აფროდიტისი. ამით თითქოს აღსდგა შვიდეულის თაყვანისცემა, რომელიც ასე ფართოდ იყო გავრცელებული ქართულ-ეთნიკურ ჯგუფში [23. 209]. ანუ ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენლებმა ადგილობრივი საყოველთაო ღვთაებები სახელმწიფო რელიგიის დონეზე აიყვანეს და ქვეყნის ოფიციალურ კერპებად აქციეს. მაგრამ, თუ არმაზი მთვარის ღვთაებას წარმოადგენდა, რომელი კერპი განასახიერებდა მზეს? ძველ ქართული საისტორიო ტარდიციები არმაზის გვერდით, მის (შედარებით) თანასწორად ასახელებენ ზადენს – „ღმერთნი დიდნი“ [1. 245]. გამორჩეულად მხოლოდ მათ სწირავდნენ მსხვერპლს: „ხადოდეს ღმერთთა მათთა არმაზს და ზადენს და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა“ [19. 85]\* ასევე მხოლოდ ამ ღმერთებს აუგეს ციხე-ქალაქები: არმაზ-ციხე და ციხე ზადენი: „ამან ფარნავომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხეზადენი და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენ“ [19. 29]. მიუხედავად იმისა, რომ წყაროები არაფერს ამბობენ ზადენის სქესზე, „ქართლის ცხოვრებაში“ წმინდა ნინოს მიმართ ნათქვამმა მირიან მე-

---

\* საგულისხმოა, რომ არქეოლოგიური მასალის მოხედვითაც საქართველოში გავრცელებული იყო მთვარისა და მზის ღვთაებების მიმართ მსხვერპლშეწირვა [34. 101]

ვის სიტყვებმა მიიქცია ყურადღება: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი ანუ შვილი ზადენისი...“ [19. 106,9-10]. ამ ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ მირიანი წმინდა ნინოს არმაზის ქალიშვილად სცნობს, ანუ ეს ღვთაება მამად გვევლინება და რადგანაც ორი მამა ერთდროულად ვერ იქნება, შესაბამისად ზადენი დედად უნდა მივიჩნიოთ. საგულისხმოა, რომ ქართულ მწერლობაში თუ მამაკაც-მამასთან მიმართებაში ხმარობენ როგორც შვილს, ასევე ასულს, ძეს, ვაჟს; ქალ-დედის მიმართებაში ძირითადად ტერმინი – შვილი გამოიყენება [49. 11;500;524]. ამგვარად გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზადენი მდედრობითი სქესის ღვთაებაა და მისი ქართველთა წარმართული პანთეონის ერთ-ერთ მთავარ კერპად წარმოჩენის შემთხვევაში, მზის კულტს შეიძლება დაეუკავშიროთ.

თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ საკმაოდ მარტივად და ბუნებრივად გვესახება არმაზისა და ზადენის დახასიათებანი: „რამეთუ აჰა ესერა, ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემელნი და ქვეყანისა ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ“ [19. 106,15-17]\*. კერძოდ ამ ტექსტში ასახულია ცხოვრების მთელი ციკლის რიტუალი, რომელიც ნათლად გამოხატული კოსმოგონიური პრინციპითაა აგებული: ციური ძალებისგანმასახიერებელი მამრი – მთვარის ღვთაება („სოფლის მპყრობელი“) მიწის აღორძინების ძალასთან – მდედრ მზის ღვთაებასთან („მზის მომფენელი“) წვიმის საშუალებით ახორციელებს განაყოფიერების აქტს, რის შედეგადაც წარმოიშობა ახალი სიცოცხლე – ნაყოფი („ქვეყნის ნაშობი“) [50. 48-49]. ამ რიტუალის კოსმოგონიური პრინციპი უაღრესად არქაულია და აბსოლუტური უნივერსალობით ხასიათდება ქართულ-ეთნიკურ ტომებში [51. 143; 42. 106].

რაც შეეხება არმაზის სახელწოდებას, იგი უცხო სამყაროდან შეთვისებულად უნდა მივიჩნიოთ. ლეონტი მროვე-

---

\* საგულისხმოა, რომ ეს დახასიათება მაშინ არის მოყვანილი, როცა საუბარია ადამიანის გადარჩენაზე, სიცოცხლის აღორძინებაზე.

ლის მითითებით იგი სპარსულია. თუმცა არაა გამორიცხული, რომ მემატიანე საერთოდ წინააზიურს სპარსულად მიიჩნევს. ჯერ ერთი, „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ ფარნავაზმა თავისი ქვეყანა მოაწყო „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ [19. 25,4]. იმის გათვალისწინებით, რომ ფარნავაზის დროს ირანი ელინისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და თვით ქართლის მეფე განსაკუთრებით დაახლოებული იყო სელევკიდების სახელმწიფოსთან (ანტიოქოს I-მა ფარნავაზს „უწოდა შევილად თვისად და წარმოსცა გვირგვინი“ [19. 23,14-15], თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფარნავაზმა ქართლის სამეფოში შემოიღო არა სპარსული, არამედ იმდროინდელი მოწინავე ელინისტური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება [16. 250]. მეორეც, მემატიანეთათვის დამახასიათებელია მათთვის უფრო ნაცნობი გვიანდელი სახელწოდების გავრცელება ადრინდელ ისტორიულ მოვლენებზე. მაგალითად, სპარსელების სახელი ვრცელდება არაბებზე და თურქებზეც, ხოლო სკვითებს უწოდებენ ხან ხაზარებს და ხანაც ყიფჩალებს [5. 35-37]. ამგვარად სახელწოდება „არმაზი“, ისევე როგორც სხვა კერპთა სახელები, მცირეაზიული სამყაროდან შეთვისებულად უნდა მივიჩნიოთ. ისინი ადგილობრივი ღვთაებების ოფიციალურ სახელებს წარმოადგენდნენ და სხვა მხრივ არაფერი ჰქონდათ საერთო (ანატოლიურ მთვარის ღვთაება „არმა“-ს სულ სხვა ფუნქციონალური და იკონოგრაფიული დატვირთვა ჰქონდა ვიდრე „არმაზს“ [52. 8]).

სწორედ ამის გამო, ქართველი ხალხის არც ერთი თემის მეხსიერებაში, რწმენა-წარმოდგენებში, ადათ-წესებში არმაზი, როგორც ღვთაება, ან გმირი, ანდა ხატი არ შემორჩენილა იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენ ერს წარმართობის არაერთი სხვა ნაშთი აქვს შემონახული ქართულ ხალხურ თქმულებებში. მთვარის ღვთაება მხოლოდ მთვარის სახელით არის ცნობილი [34. 88-99] და სწორედ ამიტომ ვერ შეინარჩუნა ხალხის მეხსიერებამ ღვთაების ოფიციალური სახელი. ბუნებრივია, მხოლოდ ამიტომ „არმაზი“

დაცულია ოფიციალურ წერილობით წყაროებში და ჰქვია იმ ადგილს სადაც მისი კერპი იქნა აღმართული.

არმაზს, რომ ხალხურ მეტყველებაში „მთვარის“ სახელით იხსენიებდნენ ადასტურებს თეიმურაზ ბატონიშვილის ერთი საინტერესო ცნობა: „კვლავად ესეცა წერილი არს, ვითარმედ დაუკვლიდესო, რეცა მსხვერპლად კერპთა ქართლოსიანნი ძეთა და ასულთა თვისთა, ესეცა არა არს ჭეშმარიტ, ვინაითგან უძველესნი ერნი ქართლოსიანთა არა თუ ძეთა და ასულთა დაუკვლიდეს, არამედ პირველსა ჟამსა მხოლოდ შესაწირავი მათი იყო კერპთა მიმართ მფრინველთაგან წმინდათა, გარდა ქათმისა, ხილნი ფერად ფერადნი ახალნი და ძველნი, თაფლნი ახალნი გარდაუმდნარნი გოლეულთა, განმტკიცებულნი პური შოთად გამომცხვარნი ფრიად წმინდაგან იფქლითა, რომელსაცა სახელის-დება მისევე არმაზ ღვთად საგონებლისა აქვნდა. შოთთა არს არმაზ ღმერთისა სახელი, ხოლო შოთი პურისა მისდამი შეწირულისა.“ [53. 56-57]. ამ ტექსტში გარკვევით არის ნათქვამი, რომ „შოთთა“ და „არმაზი“ ერთი და იგივე ღვთაების სახელის შემცველი ტერმინებია. ესლა მთვარია გავარკვეით თუ რამდენად შეეფარდება სინამდვილეს ეს ცნობა. აქ აღსანიშნავია, რომ ღვთაების სახელი გადასულია მისადმი შეწირულ პურზე. ეს უსათუოდ სინამდვილეს უნდა წარმოადგენდეს, რადგან ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ღვთაების სახელი გადადის მისადმი შეწირულ ცხოველებზე, ნამცხვრებზე და მის მსახურ ქურუმებზე. შეიძლება მოყვანა რამდენიმე მაგალითისა თვით საქართველოს სინამდვილიდანაც. მზის ღვთაება ქალ-ბაბარისადმი შესაწირავად სვანები ამზადებდნენ სპეციალურ პურებს (ლავაშს), რომელსაც ასევე ქალ-ბაბარი ეწოდებოდა [44. 217]. ასევე მიწის ნაყოფიერების შვილიერების და ქალების მფარველი ღვთაების ღამარიასადმი შეწირულ კვერებს ღამარია-ღემზირ ჰქვია. ღვთაების სახელიავეა გადასული იანასადმი შეწირულ ნამცხვარზე – იანა გუიხ. [44. 206]. ხევსურეთში ცნობილია ერთი რიტუალური დანიშნულების ნამცხვარი, რომელსაც „თოშოლ“ ჰქვია. ამავე სახელის ღვთაება (თუშოლ) დამოწმებულია ინგუშეთში. აქაც ღვთაების სახელი პირდაპირ ემთხვევა მისადმი შეწი-

რულ ნამცხვრის სახელს. მაშასადამე თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომ არმაზის სახელი გადასულია მისადმი შეწირულ პურზე სიმართლეს შეესაბამება.

აღსანიშნავია შოთის პურის ფორმაც. იგი მოგვაგონებს ახალ მთვარეს. სვანეთში დამოწმებულია ნახევარ მთვარის ფორმის რიტუალური დანიშნულების პური, რომელსაც პირდაპირ ეწოდება „დომდოლ“ (სვანურად მთვარეს ნიშნავს) [54. ტაბულა მეორე]

მაშასადამე, თეიმურაზ ბატონიშვილი რომელიღაც ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით დღესაც კარგად ცნობილ შოთის პურს არმაზისადმი შესაწირავ ნამცხვრად მიიჩნევს. თვით სახელიც „შოთთა“ – არმაზის იგივეობად მოიაზრება.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? თვითონ მთვარის უძველესი სახელი უნდა ყოფილიყო „თუთე“ (მეგრულში და ჭანურში მთვარეს დღესაც „თუთა“ ეწოდება, ხოლო სვანურად „დომდოლ“; სადაც შდ=თ); შემდეგში მან მიიღო „თუთე“-ს ფორმა, საიდანაც განვითარდა დღევანდელი „თვე“ [34. 122-124]. ამგვარად, მთვარის სახელის უძველესი ფორმა ძალიან ემსგავსება „შო-თთა“-ს მეორე მარცვალს (თითქმის იგივეა). თუ გავიხსენებთ, რომ პრეფიქს „სა“-ს უძველესი სახე „შო“ იყო („შო“ მეგრულში დღესაც თანამედროვე ქართული პრეფიქსის „სა“-ს შესატყვისად იხმარება), მაშინ შოთის პურის (თეიმურაზით – „შოთთა“) სახელი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც „სა-მთვარეო“ ე.ი. მთვარისადმი განკუთვნილი, შეწირული. აქვე გასათვალისწინებელია, რომ გარეგნული ფორმით შოთის პური ძალიან წააგავს ნახევარმთვარეს. მაშასადამე არმაზისადმი შეწირულ პურს „სამთვარეო“ (შოთთა) ერქვა – ესეც კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია, რომ არმაზი იგივე მთვარის ღვთაებაა და ხალხში იგი გავრცელებული ყოფილა არა „არმაზის“, არამედ მთვარის ჩვეულებრივი სახელით – „თუთე“. ამიტომაც საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ სახელი „არმაზი“ ადვილად მიეცა დავიწყებას, ხოლო მთვარის თაყვანისცემა დიდხანს შემორჩა ქართველ ხალხში, ოღონდ უკვე „წმინდა გიორგის“ სახით და სახელით.



## ON THE ESSENCE OF ARMAZI CULT

In VI-V centuries B.C. Kartvelian tribes presumably entered the territory of modern Kartli from the south (the Urartu area), which is clearly evidenced by the sudden spread of previously uncommon red ceramics in Kvemo and Shida Kartli regions. Taking into consideration the fact that influx of the new wave of population didn't cause any type of destruction, as there are no traces of fire and ruined or abandoned houses, and on the other hand, based on the ancient Greek, Armenian, Persian and Georgian sources, we could talk about a peaceful infiltration of Saspers/Iberians and their merging with local kindred "Kart" tribes. This merger stimulated social and economic development of the area; in particular, it caused highest level of social differentiation. Various, independent early class state entities – "Khevs", "Countries" – are being formed, and are united around administrative-territorial centers – towns. In V-IV centuries B.C. the struggle for leadership ensued between such small political entities; this struggle was directed towards formation of a unified state. This is clearly reflected in the conflict between Azo and Parnavaz depicted in ancient Georgian historic sources. Parnavaz was victorious in this struggle, he created a strong Kartli kingdom and carried out a series of reforms among which we would like to single out the creation of Armazi idol. Many researchers tried to identify the main deity of Kartli – Armazi it has been identified with Ahura Mazda, Mithra, Teshub, Jupiter and Armah. However, scholars failed to come to a common conclusion.

Parnavaz created Armazi as the highest God in order to position himself as the embodiment of that deity. Introduction of the king's cult aimed at strengthening the subjects' faith in the supremacy of the king's rule. Idolized king cults were quite widespread in Greece and Hellenistic Orient. Parnavaz hailed from a strong local aristocratic family. Correspondingly, as a direct descendant of Kartlos, he created an ancient and supreme deity Armazi as an embodiment of local traditions. During the reign of Parnavaz dynasty, six more idols were erected in Mtskheta. It evidently restored the worship of the Seven

Deities, which was so wide spread among Georgian ethnic groups. In other words, representatives of Parnavaz dynasty elevated the local deities to the status of state religion, and turned them into the official idols of the kingdom. Taking into consideration the fact that the Moon cult was the most widespread cult in pre-Christian Georgia, Parnavaz turned the Moon deity into the main idol of the kingdom – Armazi.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია, (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტ. I, თბილისი, 2012;
2. Н. Ломоури, Возникновение Древнеиберского Картлийского Государства. Проблемы античной культуры, Тбилиси, 1975;
3. დ. მუსხელიშვილი, სოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი, 1978;
4. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბილისი, 1952;
5. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959;
6. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960;
7. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959;
8. გ. მელიქიშვილი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 2, თბილისი, 1962;
9. შ. ასათიანი, ურარტუს სახელმწიფო და ქართველური ტომები ძვ.წ. I ათასწლეულში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XIV, თბილისი, 2011;
10. Г. Меликишвили, Наири-Урарту, Тбилиси, 1954;
11. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977;
12. გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბილისი, 1979;

13. დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966
14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1970;
15. Плутарх, Сравнительные жизнеописания, Т. II, Москва, 1963;
16. ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002;
17. მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბილისი, 1964;
18. ი. აბულაძე, კრებ.: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, ტ. I, თბილისი, 1964;
19. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი, 1955;
20. მ. ქუთათელაძე, არქეოლოგიური არტეფაქტები და ქართული წარმართობის კვლევის საკითხები, ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2011;
21. გ. ქავთარაძე, წარმართული იბერიის ღვთაებათა არსი-სათვის, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, XIII, თბილისი, 2009;
22. თ. ჩხეიძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და ქართულ ენებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი, 1993;
23. ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისი, 2003
24. კ. კეკელიძე, ითრუჯანი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი, 1956;
25. ძველი ქართული მოთხრობა, რ. თვარაძის რედაქციით, თბილისი, 1979;
26. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბილისი, 1944;
27. ქართული საბჭოთ ენციკლოპედია, ტ. I, თბილისი, 1975; ტ. VI, 1983;
28. ე. თაყაიშვილი, Описание рукописей, «Обшства распространения грамотности среди грузинского населения, том 2, вып. 4, Тбилиси, 1906-1912;

29. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976;
30. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, I, თბილისი, 1964;
31. Топоров, Митра, Мифра, Мифологический словарь, Москва, 1990;
32. გ. გიორგაძე, ხეთურ-არმაზული ტრიადები, ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1999;
33. კ. კეკელიძე, ქრისტიანიზმი და მითრიაიზმი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1945;
34. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბილისი, 1979;
35. Б. Пиотровский, Ванское царство, Москва, 1959;
36. Б. Пиотровский, Искусство Урарту, Ленинград, 1962;
37. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963;
38. ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბილისი, 1984;
39. ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბილისი, 1980;
40. St.H. Rapp, jr. Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian context. Corpus scriptorium christianorum orientarium; Subsidia. Tomus 113. Lovanii: Peeters, 2003;
41. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990;
42. მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბილისი, 1982;
43. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბილისი, 1964;
44. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1941;
45. ო. ჯაფარიძე, ქართველურ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1958;
46. ი. კიკვიძე, სიზანაანთ გორის ადრეპრინჯავოს ხანის ნასახლარი, თბილისი, 1972;

47. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII ს.ს.), თბილისი, 1973;
48. Б. Пиотровский, Кармир-Блур, том I, Ереван, 1950;
49. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973;
50. V. Haas, Magic und Mithen in Reich der Hethiter, Hamburg, 1977;
51. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986;
52. გ. გიორგაძე, კიდევ ერთხელ არმაზის კერპის დეფინიციისათვის, ანალები, 2, თბილისი, 2004;
53. თ. ბატონიშვილი, ისტორია ივერიისა, სანკტ-პეტერბურგი, 1848;
54. ვ. ბარდაველიძე, სვანი ხალხის დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, თბილისი, 1939.

აზნაუთის პირველი „ბოლშევიკური რევოლუციის“  
ისტორიისათვის

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ერთი ხელის მოს-  
მით დაამსხვრია მარქსისტული მოძღვრების ერთ-ერთი ძი-  
რითადი დებულება მუშათა საერთაშორისო სოლიდარო-  
ბისა და კაპიტალიზმთან ბრძოლის ინტერნაციონალური  
ფრონტის ერთიანობის შესახებ. „ევროპული აზრდელის“  
იდეოლოგიის ქვეშ „ყველა ქვეყნის პროლეტარებმა“ ვერ  
შეძლეს შეერთება და ერთიანობის შენარჩუნება. კაცობრი-  
ობამ კი შეძლო თავი დაედწია „მატერიალისტური წუმი-  
სათვის“, როგორც ამას თავის დროზე დიდი პრუსიელი  
მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, ფელდმარშალი  
ჰელმუტ ფონ მოლტკე<sup>1</sup> წინასწარმეტყველებდა რაიხსტაგში

<sup>1</sup> ჰელმუტ ფონ მოლტკე (1800-1891) – დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის იმპერიის ფელდმარშალი, რუსეთის არმიის გენერალ-ფელდმარშალი. XIX საუკუნის უდიდესი სამხედრო თეორეტიკოსი და სტრატეგოსი. პრუსიის სამხედრო აკადემიის რექტორი და ომის კოლეჯის დამაარსებელი. პრუსიისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შემქმნელი და უფროსი. სამხედრო საქმეში ოპერაციების დაგეგმვის პროცედურებისა და სამხედრო თამაშების შემომტანი. XIX საუკუნის ახალი გერმანული და ევროპული სამხედრო აზრისა და სტრატეგიული შეტევითი კონცეფციის ავტორი. ჯარების სტრატეგიული მარშისა და მოკლევადიანი ომების წარმოების კონცეფციის ავტორი და აპოლოგეტი. დანიის (1864), ავსტრიისა (1866) და საფრანგეთის (1870-1871) წინააღმდეგ შემუშავებული საომარი გეგმებისა და ამ ომებში მიღწეული ტრიუმფალური გამარჯვებების ავტორი. ოტო ფონ ბისმარკთან და ალბრეხტ ფონ რუნთან ერთად გერმანიის იმპერიის (II რაიხის) შემქმნელი. პრუსიული სამხედრო რევოლუციის ფუძემდებელი. 1867-1891 წლებში გერმანიის რაიხსტაგის დეპუტატი კონსერვატიული პარტიიდან. სამხედრო თეორეტიკოსი და პუბლიცისტი, სამხედრო ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის თემაზე გამოცემული რამოდენიმე წიგნის ავტორი. I მსოფლიო ომის ძირი-

თავისი უკანასკნელი გამოსვლისას, 1890 წლის 14 მაისს... და მსოფლიოშიც „ახალი წესრიგი“ დამყარდა. დაიწყო დასავლურ ისტორიოგრაფიაში „დიად ომად“ (The Great War) წოდებული I მსოფლიო ომი, რომლისკენაც განვითარებული ევროპა და მსოფლიო წლების განმავლობაში დაჟინებით და მეთოდურად მიიწვედა. აკი სწორედ ფონ მოლტკე შეიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან I მსოფლიო ომის თეორიული და სტრატეგიული აზრის მთავარ აპოლოგეტად და წინასწარმეტყველად, როცა სტრატეგიული გარემორტყმისა და გამანადგურებელი ომის თეორიულ კონცეფციებს უყრიდა საფუძვლებს. და ამავე დროს კაცთა მოდგმის ზნეობრივი ღირებულებების პრიმატს უსვამდა ხაზს – „ომი ღმერთისაგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩნდებიან პირველ პლანზე – სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობისადმი ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა... ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევა“[1, 256] – წერდა იგი.

ღმერთისაგან მართულ სამყაროში ომის როლსა და I მსოფლიო ომში „ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის მოწყობის გზა კი ნამდვილად შეიცვალა. და ამ ცვლილებების პიონერებად რუსეთი და რუსი ბოლშევიკები იქცნენ. ევროპაში კი, ნაციონალური სიამაყის გრძნობამ გვერდზე გადასწია მარქსისტული ინტერნაციონალიზმის იდეები, რომლისადმი ერთგულების შენარჩუნებაც რადიკალურად განწყობილი სოციალისტების მხოლოდ მცირე ჯგუფმა შეძლო. ევროპის მუშათა მოძრაობა კი, II ინტერნაციონალის დაარსებიდან ყველაზე დიდი განხეთქილების ფაზაში შევიდა. II ინტერნაციონალი I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დაიშალა, როდესაც მასში გაერთიანებულმა ყველა წამყვანმა პარტიამ, ბოლშევიკების გამოკლებით, მხარი თავიანთი ქვეყნების მთავრო-

---

თადი სამხედრო სტრატეგიის თეორიული საფუძვლების ავტორი. კლაუზევიცთან და შლიფენთან ერთად ითვლება XIX საუკუნის უდიდეს სამხედრო მოღვაწედ და თეორეტიკოსად.

ბებს დაუჭირა. ასე გაჩნდა რუსულ პოლიტიკურ სივრცეში მარგინალური იდეოლოგიის განმსაზღვრელი ტერმინები – „პორაჟენცები” და „ობორონცები”. „პორაჟენცებად” რუსი ბოლშევიკები ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც I მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის დამარცხება და მსოფლიო ომის რუსეთის სამოქალაქო ომად გადაქცევა დაისახეს მიზნად. რუსეთის სხვა სოციალისტური ტიპის პარტიები, და პირველ რიგში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) მენშევიკური ფრთის წევრები კი, რომლებიც ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანას უჭერდნენ მხარს, „ობორონცებად” ჩამოყალიბდნენ. „პორაჟენცების” ლიდერს ლენინი წარმოადგენდა, „ობორონცებისას” კი – გიორგი პლექხანოვი<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, I მსოფლიო ომთან და-მოკიდებულება და რუსული სოციალ-დემოკრატიის ბოლ-შევიკური ფრთის სტრატეგიის შემუშავება ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ ომის მიმდინარეობის საწყის ეტაპზე დაიწყეს. მარქსისტული მოძღვრება ბოლშე-ვიკებს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპ-

---

<sup>2</sup> გიორგი ვალენტინოვიჩ პლექხანოვი (1856-1918) – მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი, რუსი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და სოციოლოგი. 1883 წელს რუსეთის პირველი მარქსისტული ორგანიზაციის, ხოლო 1894 წელს „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის” დამფუძნებელი. რუსეთისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი იდეოლოგი. რსდმპ მენშევიკური ფრთის ლიდერი და გაზეთ „ისკრის” ერთ-ერთი დამაარსებელი. რსდმპ მე-2 დამფუძნებელი ყრილობის ორგანიზატორი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას სოციალ-დემოკრატების „ობორონცული” პოლიტიკის გამტარებელი და დროებითი მთავრობის მიერ წარმოებული კურსის მხარდამჭერი. ვ. ი. ლენინის ცნობილი „აპრილის თეზისების” მგომბელი, რომელსაც იგი „ბოღვას” უწოდებდა. ბოლშევიკთა მიერ ხელისუფლების შეიარაღებული გზით მიტაცებისა და ოქტომბრის გადატრიალების დია მოწინააღმდეგე. ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და იდეოლოგიური გზამკვლევი.



ბისადმი ერთგულებას ავალდებულებდა და რუსმა ბოლ-  
შევიკებმა, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით,  
ომში მონაწილე ყველა ქვეყნის მუშათა „ინტერნაციონა-  
ლური გაერთიანების“ იდეა წამოაყენეს, რაც პირველ  
ეტაპზე მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას  
გულისხმობდა. მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის მთავ-  
რობების დამარცხება კი, პროლეტარული რევოლუციის  
გამარჯვების წინაპირობად იქნა დასახული.

ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, 1914  
წლის სექტემბერში, ბერნში გამართულ ბოლშევიკთა შეხ-  
ვედრაზე, შემდეგ კი ცეკას ისტორიულ მანიფესტში „ომი  
და რუსული სოციალ-დემოკრატია“, რომელსაც საფუძ-  
ვლად დაედო ლენინის ცნობილი „თეზისები ომის შესა-  
ხებ“, ბოლშევიკებმა ნათლად ჩამოაყალიბეს თავისი პოზი-  
ციები და მოქმედებების ტაქტიკა ომთან, მშვიდობასთან  
და რევოლუციასთან მიმართებაში:

1. იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად  
და საკუთარი ქვეყნის მთავრობების დამხობა;
2. მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანების შექმნა, შო-  
ვინიზმის ნებისმიერი სახის წინააღმდეგ გადამწყვეტი  
და დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება, კოლონიათა  
ხალხების გათავისუფლება იმპერიალიზმის  
ჩაგვრისაგან;
3. ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების შექ-  
მნა. და მისი ერთ-ერთი უახლოესი ლოზუნგის „გერმა-  
ნული, პოლონური, რუსული და ა.შ. რესპუბლიკების“  
პროპაგანდა.

ამასთან ერთად, ევროპის თითოეული სახელმწიფოს  
გადაქცევა ევროპის რესპუბლიკურ შეერთებულ შტატე-  
ბად”. [2, 4]

ხოლო იმავე წლის 21 ოქტომბერს გაზეთ „Голос“-ში  
დაბეჭდილ სტატიაში – „სიტყვა გ. ვ. პლехანოვის რეფერა-  
ტზე „სოციალისტების დამოკიდებულების შესახებ ომი-  
სადმი“, ლენინი ხაზს უსვამს სოციალ-დემოკრატების მო-  
ვალეობასა და პროლეტარიატის ადგილს ამ ომში: „მხო-  
ლოდ მაშინ ასრულებენ სოციალ-დემოკრატები თავიანთ მო-  
ვალეობას, როცა ებრძვიან თავიანთი ქვეყნის შოვინისტურ

ხურვებას და ამ მოვალეობის შესრულების საუკეთესო მაგალითს სერბიელი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენენ.

პროლეტარიატმა არ უნდა დაივიწყოს მარქსის სიტყვები, რომ „მუშებს სამშობლო არა აქვთ“, და მონაწილეობა უნდა მიიღოს არა იმაში, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ძველი ფარგლები დაიცვას, არამედ უნდა შექმნას სოციალისტური რესპუბლიკების ახალი ფარგლები. და პროლეტარიატის ფართო მასებს არ შეუძლიათ არ გაიგონ ეს თავიანთი უტყუარი ალლოთი. ის, რაც ახლა ევროპაში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა უცუდე სი და, ამასთან ერთად, უადრესად მტკიცე ცრურწმენათა სპეკულაცია. ჩვენი ამოცანა ის კი არაა, რომ მდინარებას გავყვით, არამედ ის, რომ ეროვნული, ცრუეროვნული ომი გადავაქციოთ პროლეტარიატის გადამწყვეტ შეტაკებად მმართველ კლასებთან“.[3, 324-325]

1915 წელს კი, I მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, ვ. ლენინმა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და სტრატეგიული ინტერესების არეალიც გააფართოვა. ამჯერად მის სამიზნეში არ მხოლოდ ევროპა, არამედ მთელი მსოფლიო აღმოჩნდა – „მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თავისუფლების იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმთან ვაკავშირებთ, სანამ კომუნიზმის სრული გამარჯვება არ მიგვიყვანს ყოველგვარი სახის, მათ შორის დემოკრატიული სახელმწიფოს გაქრობამდე. როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, ლოზუნგი „მსოფლიოს შეერთებული შტატები“ სამართლიანი იქნება იმიტომ რომ, პირველ რიგში ის სოციალიზმს ერწყმის; მეორე კი ისაა, რომ მან შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ამ ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში“.[4]

უმიძიესი და დამდღელი, გამანადგურებელი ომის მესამე წლის თავზე რუსი ჯარისკაცისათვის ომიდან რევოლუციური გამოსვლის პერსპექტივა რეალობად იქცა. ომის დამამთავრებელ ეტაპზე კი, ისარგებლა რა მემარცხენეთა გამოსვლებით, ლენინმა III ინტენაციონალის, კომუნისტურ-

რი ინტერნაციონალის, ანუ „კომინტერნის“ შექმნა დაისახა მიზნად, რომლის ამოცანასაც მსოფლიოს ყველა სოციალისტური პარტიის გაერთიანება და რევოლუციური მოძრაობის განვრცობა წარმოადგენდა.[5]

„რევოლუციური მოძრაობის განვრცობისათვის“ ბოლშევიკებმა, რუსეთში არსებული საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური და ანტიხალხური ლოზუნგი: „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!“.

თებერვლის დემოკრატიული რევოლუციიდან სულ მოკლე ხანში, 1917 წლის 3 აპრილს, სრულიად რუსეთის ბოლშევიკთა კონფერენციის მუშაობის ბოლო დღეს პეტროგრადში ემიგრაციიდან ლენინი ბრუნდება. ფაქტია, რომ ლენინის ეს ვოიაჟი ციურიხიდან რუსეთამდე და მასთან დაკავშირებული საკითხები დღესაც არაა ბოლომდე ცალსახად ნათელი. როგორ მოახერხა და ვის ინტერესებში შედიოდა ბოლშევიკთა ლიდერის ესოდენ სარისკო გადაწყვეტილებების რეალიზაცია? ისიც ფაქტია, რომ შვეიცარიიდან რუსეთამდე ლენინი ბერლინის თანხმობის გარეშე ვერ მოხვდებოდა, მას გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ტრიტორიები უნდა გაეგლო და I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტი უნდა გადაეღახა. აქ კი, ნათლად იკვეთება ის მოსაზრება, რომ გერმანიის ხელისუფლება ნამდვილად დაინტერესებული იყო ევროპაში მყოფი ემიგრანტი ბოლშევიკებისა და რევოლუციონერების რუსეთში დაბრუნებით მათი „პორაუენცული“ პოლიტიკის გამო.

ფაქტია, რომ რუსეთის I მსოფლიო ომიდან გამოთიშვა კაიზერისა და მისი გენერალიტეტისთვის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა. და გერმანელებმაც ლენინს დალუქული, საგულდაგულოდ დაცული დიპლომატიური სალონ-ვაგონი გამოუყვეს, რომელმაც დაუბრკოლებლად გადმოღახა I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტი და მშვიდობიანად ჩამოვიდა რუსეთში. დიდი მთავრის, ანდრეი ვლადიმეროვიჩის თქმით, „ლენინისა და მისი ამხანაგების ჩამოსვლა ვილჰელმისა და ჰინდენბურგი-

სათვის<sup>3</sup> სასარგებლო რომ არ ყოფილიყო, მას არ გამოუყოფდნენ დიპლომატიურ ვაგონს. ამის შესახებ მეორე აზრი არ არსებობს. როდესაც გერმანელებმა ლენინის განკარგულებაში სალონი გამოყვეს, ისინი ანტიმილიტარისტული და სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ გერმანიისათვის სარგებლის მიცემის იდეით, როგორც ეს მათ, ჰინდენბურგებს ესმოდათ”.<sup>[6]</sup> როგორც რიჩარდ პაიპსი<sup>4</sup> (Richard Edgar Pipes) აღ-

<sup>3</sup> პაულ ფონ ჰინდენბურგი (1847-1934) – პრუსიელი იუნკერი, XIX-XX საუკუნეების დიდი პრუსიელი და გერმანელი სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის ეროვნული გმირი. ავსტრია-პრუსიის, (1866) საფრანგეთ-პრუსიისა (1870-1871) და I მსოფლიო ომების მონაწილე. 1893 წლიდან პოლკოვნიკი, 1897 წლიდან გენერალ-მაიორი, 1900 წლიდან – გენერალ-ლეიტენანტი, კორპუსის სარდალი. 1903 წლიდან ინფანტერიის გენერალი. 1911 წლიდან თადარიგშია. I მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით კადრში იწვევენ. ომის საწყის ეტაპზე აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედი გერმანიის მე-8 არმიის წარმატებული სარდალი, 1914 წლის ნოემბრიდან ფელდმარშალი, ორი რუსული არმიის ფაქტობრივი განადგურების ტანენბერგის ოპერაციის გმირი. შემდეგ გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. 1916 წლის აგვისტოდან საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი და შემდეგ იმპერიის შეიარაღებული ძალების ფაქტობრივი მთავარსარდალი. 1918 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში მის მიერ შემუშავებული გერმანელთა სტრატეგიული შეტევის კამპანიის ხელმძღვანელი დასავლეთის ფრონტზე. I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისიდან ისევ თადარიგშია. 1925-1934 წლებში გერმანიის რაიხსპრეზიდენტი, სადაც ორჯერ ზედიზედ იქნა არჩეული. 1933 წელს მისი თანხმობით „ეკურთხა“ გერმანიის რაიხსკანცლერად ადოლფ ჰიტლერი და გერმანიის ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტები მოვიდნენ. გარდაიცვალა 1934 წელს. მისი გარდაცვალების შემდეგ გერმანიის რაიხსპრეზიდენტის პოსტი გაუქმდა, სრული ხელისუფლება რაიხსკანცლერის ხელში გადავიდა.

<sup>4</sup> რიჩარდ პაიპსი – ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რუსეთის ისტორიის საკითხებში, რუსეთის შემსწავლელი ცენ-

ნიშნავს, გერმანელ ხელისუფალთ თავიცი კი არ შეუწუხებიათ ლენინის პოლიტიკური პროგრამის შესწავლით, მათთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ლენინი და მისი თანამოაზრეები რუსეთის მხრიდან ომის გაგრძელების სასტიკი მოწინააღმდეგეები იყვნენ. გერმანელებმა ისიც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ეს ადამიანები ისეთივე „მეგობრები“ იყვნენ მათთვის, როგორც რუსული იმპერიალიზმისა. ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ და განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახეს, რომ სულ მოკლე ხანში ბოლშევიკებმა ინტენსიური რევოლუციური პროპაგანდა თავად გერმანიაშიც გააჩაღეს, რასაც მალე „გერმანული რევოლუცია“, I მსოფლიო ომში გერმანიის მარცხი და 1918 წლის ნოემბერში, რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ბოლშევიკთა მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დაუყოვნებლივი ანულირება მოჰყვა შედეგად.

საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად გახმაურებულ მოვლენად რჩება ის ფაქტიც, რომ ლენინთან ერთად, დაღუპულ ვაგონებში კიდევ რამდენიმე ათეული ბოლშევიკი – „პორაჟენცი რევოლუციონერი“ იმყოფებოდა. ისინი ლენინთან ერთად მოემგზავრებოდნენ. ბოლშევიკების გარდა, გერმანიის გავლით რუსეთში ასევე დაღუპული ვაგონებით 159 ესერი, მენშევიკი და სხვადასხვა ნაციონალური პარტიის წარმომადგენელიც ჩამოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ 1917 წლის გაზაფხულზე გერმანელთა მიერ დიდი იდეოლოგიური დესანტირების ოპერაცია განხორციელდა – რუსეთში რევოლუციური და „პორაჟენციული“ იდეოლოგიით შთაგონებულ პოლიტიკშიგრანტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი იქნა შემოგზავნილი.

მაშ ასე, 3 აპრილს პეტროგრადში, სადგურ „ბელოოსტროვში“ რევოლუციონერებით დატვირთული დაღუპული მატარებლის შემადგენლობა ჩამოდის. ლენინსა და ბოლშევიკთა ამ ჯგუფს სტალინი ხვდება, რომელიც სულ მცირე ხნის წინ იყო დაბრუნებული ტურუხანის გადასახლე-

---

ტრის დირექტორი, სტენფორდის უნივერსიტეტთან არსებული რუსეთის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი. რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის აღიარებული სპეციალისტი.

ბიდან. მასთან ერთად სადგურზე იმყოფებოდნენ აგრეთვე მ. ულიანოვა,<sup>5</sup> ა. კოლონტაი<sup>6</sup> და სხვები. ბოლშევიკთა ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი ლენინს მხურვალე დახვედრას უწყობს. ფინეთის ვაგზალზე გამართული შეხვედრა კი, უფრო ხალხმრავალი და წარმომადგენლობითი იყო, სადაც მუშათა და ჯარისკაცთა ბრბოსთან ერთად, შეხვედრაზე მონაწილეობას იღებდნენ სოციალ-დემოკრატები და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მენშევიკი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.<sup>7</sup> ჩხეიძე ლენინს შემდეგი სიტყვე-

---

<sup>5</sup> მარია ილინინა ულიანოვა (1878-1937) – ვლადიმერ ლენინის უმცროსი და, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. რსდმპ წევრი 1898 წლიდან. 1903 წლიდან ბოლშევიკი, რსდმპ(ბ) ცეკას სამდივნოს წევრი. 1917 წლიდან რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, 1918 წლის მარტიდან გაზეთ „პრავდის“ პასუხისმგებელი მდივანი. 1925-1934 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კონტროლის კომისიის წევრი, 1932 წლიდან ცენტრალური კონტროლის კომისიის პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 1935 წლიდან – სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

<sup>6</sup> ალექსანდრა მიხაილოვნა კოლონტაი (1872-1952) – რუსი რევოლუციონერი ქალი, საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, საბჭოთა რუსეთის ფემინისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. 1901 წელს ჟენევაში ეცნობა პლევხანოვს, ხოლო 1905 წელს პეტერბურგში ლენინს. 1906 წლიდან რსდმპ წევრი – მენშევიკი, 1915 წლიდან რუსეთის ბოლშევიკთა რსდმპ(ბ) წევრი. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. ოქტომბრის გადატრიალების მონაწილე, პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. საბჭოთა რუსეთის პირველი მთავრობის წევრი – „სახელმწიფო მზრუნველობის“ სახალხო კომისარი.

<sup>7</sup> ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) – რუსეთისა და საქართველოს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი რევოლუციონერი. 1892 წლიდან ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასის“ წევრი. რუსეთის

ბით მიესალმა: „ამხანაგო ლენინ, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა და რევოლუციის სახელით მოგესალმებით... ჩვენ ვთვლით, რომ ამჟამად რევოლუციური დემოკრატიის მთავარ ამოცანას ჩვენი რევოლუციის როგორც შიგნიდან, ასევე გარედან დაცვა წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა არა გათიშვა, არამედ მთელი დემოკრატიის რიგების დარაზმვა... იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენც ჩვენთან ერთად იბრძოლებთ ამისათვის”. მაგრამ ლენინმა დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი ჩხეიძესა და სხვა „ობორონცებს”. შემდეგ კი, მღელვარე ჯარისკაცებისა და მატროსების ბრბოსკენ შეტრიალდა და მათ მიმართა „იმპერიალისტური ომის” დასრულებისა და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის” ბრძოლის მგზნებარე მოწოდებით:

„ვირფასო ამხანაგებო, ჯარისკაცებო, მატროსებო და მუშებო! ბედნიერი ვარ თქვენი სახით მივესალმო გამარჯვებულ რუსულ რევოლუციას, მოგესალმით თქვენ, როგორც მსოფლიო პროლეტარული არმიის მოწინავე

---

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) წევრი 1898 წლიდან, 1903 წლიდან მენშევიკი და რუსეთის მენშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, რუსეთის სახელმწიფო დუმის მე-3 და მე-4 მოწვევების დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან და ამავე დროს, 1912 წლიდან დუმის მენშევიკური ფრაქციის თავმჯდომარე. 1917 წლის თებერვლიდან პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1918 წელს ამიერკავკასიის სეიმის (ფაქტობრივი პარლამენტის) თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისიდან – საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი. 1919 წლის 12 მარტიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) თავმჯდომარე. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია. სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით, პარიზში, 1926 წელს.

რაზმს... მძარცველური იმპერიალისტური ომი მთელი ევროპის სამოქალაქო ომის დასაწყისია... და შორს არაა ის საათი, როცა ჩვენი ამხანაგის, კარლ ლიბკნეხტის<sup>8</sup> მოწოდებით ხალხები იარაღს თავიანთი კაპიტალისტი-ექსპლოატატორების წინააღმდეგ აღმართავენ...

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის განთიადი უკვე დაიწყო... გერმანიაში ყველაფერი დულს...

დღეს თუ არა, ხვალ, ევროპული იმპერიალიზმის კრახი გარდაუვალია. და ამას რუსულმა რევოლუციამ დაუდო დასაბამი, რომელიც თქვენ მოახდინეთ.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!"[7]

რუსეთის თებერვლის რევოლუციისა და მეფის გადადგომის შემდეგ, რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებამ უაღრესად უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო სულისკვეთებასა და მორალზე. რუსულ ფრონტებზე შეუქცევადი პროცესები იწყება – ე.წ. „ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოების“ ჩამოყალიბება, გაუთავებელი მიტინგები და შეკრებები, პირად შემადგენლობაში რევოლუციური პროპაგანდა და ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელება, მასობრივი დაუმორჩილებლობა, ჯარისკაცთა დიდი ნაწილის მიერ ბრძანებების შეუსრულებლობა და

---

<sup>8</sup> კარლ ლიბკნეხტი (1871-1919) – გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა და სოციალისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, ინტერნაციონალისტი, პროფესით ადვოკატი. კარლ მარქსის ნათლული და ნათლის სეხნია. გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918 წლის დეკემბერი). სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1900 წლიდან. გერმანული კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი. რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის მხურვალე მხარდამჭერი. 1907 წელს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1912 წლიდან რაიხსტაგის წევრი. I მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ, გამოდიოდა ომის საწინააღმდეგო მოწოდებებით. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების მხურვალე მხარდამჭერი. 1919 წლის იანვრიდან როზა ლუქსემბურგთან ერთად გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.



საწესდებო ურთიერთობების მოშლა, დეზერტირობა, მოწინააღმდეგე მხარის ჯარისაკაცებთან მასიური „დაძმობილებები“, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კი ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდა. მთელი რუსეთი და ამიერკავკასია განუკითხაობამ და სრულმა ქაოსმა მოიცვა...

რევოლუციურად განწყობილი ჯარისაკაცები მასიურად, ასობით და ათასობით იხსნებოდნენ ფრონტებიდან და ყველანაირი გზებითა და საშუალებებით ცდილობდნენ რუსეთში დაბრუნებას რევოლუციის მონაპოვრების დაცვის საბაბით. სწორედ ეს ჯარისაკაცები წარმოადგენდნენ ახლადშექმნილი ბოლშევიკური წითელი გვარდიის ძირითად ბირთვს, რომელიც „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ განხორციელების გზაზე შეიარაღებული გზით დაადგა რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიებისა და ხალხების გასაბჭოების ხანგრძლივ და სისხლიან პროცესს... პროლეტარული ნეოკოლონიალიზმის ეპოქა იწყებოდა...

1917 წლის ბოლოდან რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა ნაწილში საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამყარების სპონტანური პროცესები დაიწყო. ამ პროცესებმა განსაკუთრებული სიმწვავეით იმპერიის განაპირა მხარეებში იჩინა თავი, სადაც ათწლეულობით დაგროვილმა იდეოლოგიურმა, პოლიტიკურმა, ნაციონალურმა და სოციალურმა დაძაბულობამ სწორედ ამ დროისათვის მიაღწია პიკს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რევოლუციური პროცესების განმახორციელებელ მთავარ ძაღვს კი, „თებერვლის რევოლუციის პირმშო“ – ე.წ. „მუშათა წითელი გვარდია“ წარმოადგენდა. „მუშათა წითელი გვარდიის“ ჩამოყალიბება რუსეთში, მეფის გადადგომისთანავე, 1917 წლის მარტიდან იწყება. რუსეთში უნიკალური პოლიტიკური სიტუაცია „ორხელისუფლებიანობა“ მყარდება – ერთის მხრივ „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები“ და მეორეს მხრივ – „დროებითი მთავრობა“. თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით ემიგრაციაში მყოფი ლენინი წერდა: „...გამოიყენებს რა, არსებული გარდამავალი პერიოდის თავისებურებებს, პრო-

ლეტარიატს შეუძლია წავიდეს, და წავა კიდევ ჯერ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისაკენ, შემდეგ კი – სოციალიზმისაკენ”.[8, 47] თვით ტერმინმა „წითელი გვარდია” კი, საყოველთაო გაერცვლება 1917 წლის 26 მარტს რსდმპ(ბ) ცეკას ბიუროს რეზოლუციის – „დროებითი მთავრობის შესახებ” გამოქვეყნების შემდეგ ჰპოვა.[9, 28]

ბოლშევიკთა მიერ დაუყოვნებლივ იქნა დასმული საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანა – „მოთელ ქვეყანაში მუშათა წითელი გვარდიის” შექმნის შესახებ: „Ближайшей и важнейшей задачей Советов, выполнение которой единственно гарантирует победу над всеми силами контрреволюции и дальнейшее развитие и углубление революции, партия считает всеобщее вооружение народа и, в частности, немедленное создание рабочих красной гвардии во всей стране”.[10] წითელი გვარდიული რაზმების შექმნის წინაპირობას კი, ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დროს ჩამოყალიბებული მუშათა საბრძოლო რაზმები შეადგენდნენ, რომელთა მნიშვნელობას ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს. თავდაპირველად ეს რაზმები ადგილობრივი საბჭოების დაქვემდებარებაში უფრო იყო, ვიდრე ბოლშევიკური კომიტეტებისა.[11, 64] თავისი დანიშნულებითა და სტრუქტურული მოწყობის წესით წითელი გვარდია წარმოადგენდა გასამხედროებულ პარამილიტარულ ორგანიზაციას, რომლის სტრუქტურა რევოლუციური ჯარის მსგავსად იყო აგებული. უმცირეს საბრძოლო ერთეულს ათეული წარმოადგენდა, შემდეგ – ოცეული, ასეული (დრუჟინა) და ბატალიონი (რაზმი).

წითელი გვარდიის გაძლიერება 1917 წლის აგვისტოდან იწყება გენერალ კორნილოვის<sup>9</sup> გამოსვლების პერიოდ-

---

<sup>9</sup> ლავრ გეორგიევიჩ კორნილოვი (1870-1918) – ცნობილი რუსი მხედართმთავარი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი. რუსეთი-იაპონიის ომის მონაწილე და I მსოფლიო ომის გმირი. სამხედრო მზვერავი, დიპლომატი, გეოგრაფი და მოგზაური-გზამკვლევია. 1914 წლის 19 აგვისტოდან 48-ე, ე.წ. „რკინის დივიზიის” მეთაური, 1916 წლის სექტემბრიდან დასავლეთის ფრონტის 25-ე საარმიო კორპუსის სარდალი. 1917 წლის 2 მარტს დროებითი მთავრობის მიერ ინიშნება პეტროგრადის

ში. დროებითმა მთავრობამ კორნილოვის ამბოხის დროს ბოლშევიკები მოიხმო მთავრობის დასაცავად, რის შედეგადაც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები ნელ-ნელა ბოლშევიკთა კონტროლქვეშ გადავიდნენ, ამან კი, ბოლშევიკთა ლეგალურად შეიარაღების შესაძლებლობა გააჩინა... და ადგილებზე მასიურად დაიწყო წითელი გვარდიის რაზმების შექმნა, რომლის სათავეშიც ბოლშევიკი ლიდერები აღმოჩნდნენ. წითელი გვარდიის რაზმების ჩამოყალიბება დაიწყო აგრეთვე ყოფილი იმპერიის განაპირა ტერიტორიებზე – დონზე, ყუბანში, შავიზღვისპირეთში, ამიერკავკასიაში, შუა აზიაში. ასევე – ბელორუსიაში, ურალში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში. საერთო ჯამში, 1917 წლის სექტემბრისათვის წითელი გვარდიის რაზმები უკვე ყოფილი იმპერიის 104 „პროლეტარულ ცენტრში“ არსებობდა. ზოგიერთი მონაცემებით, წითელი გვარდიის პირადი შემადგენლობა ამ მომენტისათვის 250000-ს აღწევდა.[9, 24]

1918 წლის იანვრიდან კი დაიწყო წითელი გვარდიის ნაწილების შეყვანა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ორგანიზებულ „მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში“ (РККА – Рабоче-Крестьянская Красная Армия). ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა და იგი 1919 წლისათვის დასრულდა კიდევ. ბოლო წითელგვარდიული რაზმები წითელ არმიას 1919 წლის ოქტომბერში გადაეცა, რომლებიც თურქესტანში იყო განლაგებული.[9, 24] საბჭოთა სამხედრო ისტორიოგრაფია: „საბრძოლო მოქმედებების ორგანიზაციისა და წარმართვის პირველი გამოც-

---

სამხედრო ოქტის ჯარების მთავარსარდალად. 1917 წლის აპრილის ბოლოდან სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მე-8 არმიის სარდალი, ხოლო 1917 წლის ივლისიდან – რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. 1917 წლის ბოლოდან თეთრგვარდიული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სამხედრო-იდეოლოგიური ლიდერი. რუსეთის სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. 1918 წელს მოხალისეთა არმიის უმაღლესი მთავარსარდალი. თეთრგვარდიელთა ყუბანის პირველი „ყინულოვანი ლაშქრობის“ გმირი. გიორგის ჯვრის სრული კავალერი. დაიღუპა ჩრდილოეთ კავკასიაში წითელარმიელებთან ბრძოლაში 1918 წლის ბოლოს.

დიდება საბჭოთა რესპუბლიკამ 1917 წლის დასასრულსა და 1918 წლის დასაწყისში მიიღო ანტისაბჭოთა გამოსვლებისა და კონტრრევოლუციური კერების ლიკვიდაციის დროს. სამხედრო აჯანყებების ჩაქრობა მოკლე დროში ხორციელდებოდა წითელგვარდიელთა რაზმების ენერგიული შეტევებით, აგრეთვე აჯანყებულებში ბოლშევიკი აგიტატორების შეგზავნით, რომლებიც რეაქციონერების მიერ მოტყუებულ ჯარისკაცებს და მშრომელ კაზაკობას უხსნიდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჭეშმარიტ მიზნებსა და ამოცანებს”.[12, 23]

მეტად ნიშანდობლივი და საინტერესო ფრაზაა – „რეაქციონერების მიერ მოტყუებული ჯარისკაცები და მშრომელი კაზაკობა”... დიახ, კრემლს კარგად ესმოდა, რომ პროლეტარული რევოლუციის არსში, მის სიკეთეებში, მიზნებსა და ამოცანებში „რეაქციონერების მიერ მოტყუებულ ჯარისკაცებს და მშრომელ კაზაკობას”, ანუ, „მშრომელთა მასებს” ყველაზე ქმედითად სწორედ ბოლშევიკი აგიტატორები და წითელგვარდიელთა ხიშტები გაარკვევდნენ. „საბჭოთა ხელისუფლების ჭეშმარიტ მიზნებსა და ამოცანებში” გარკვეული და წითელგვარდიელთა ხიშტებით ზურგამაგრებული „მშრომელთა მასები” კი, უმაღლესად აღებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას იქ, სადაც სახალხო წინააღმდეგობის სისხლში ჩახრჩობა ხერხდებოდა. ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე მინი „სოციალისტურ რევოლუციებს” ახალი ფსევდო-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების შექმნის პროცესი – ე.წ. „საბჭოთა რესპუბლიკების” აღლუმი მოჰყვა...

სწორედ ამ „სქემით” ჩნდებიან 1918 წლის აპრილიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ყუბანი-შავიზღვისპირეთის, სტავროპოლისა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც მალე გაერთიანდნენ ყუბანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, დედა-ქალაქით ეკატერინოდარი (დღევანდელი კრასნოდარი). შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი შეიქმნა შავიზღვისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. შემდგომში, მათი შეერთებით იქმნება ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა. ამ ე.წ. „რესპუბლიკების” შესახებ და მათი ტრანსფორმაციის გა-

მომწვევ სამხედრო-პოლიტიკურ მიზეზებზე ქვემოთ გვექნება უფრო საგნობრივი განხილვა, რამეთუ მოცემული საკითხი პირდაპირ ეხმიანება ჩვენს თემას.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ უკვე ამიერკავკასიაში 1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკურ-დაშნაკური ე.წ. „ბაქოს კომუნის“, ხოლო 1919 წლის დასაწყისში იგივე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ე.წ. „მულანის“ ან „ლენქორანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნაც. საერთო ჯამში, ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე 200-დე ასეთი ფსევდოსახელმწიფოებრივი საბჭოთა წარმონაქმნის სპონტანურ გაჩენას ჰქონდა ადგილი. რევოლუციურ ეპოქას რევოლუციური ცვლილებები მოჰყვა შედეგად.

„მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ“ მიმავალ დიად გზაზე, რუსი ბოლშევიკების მიერ საქმეში წითელ გვარდიაზე უფრო წონადი არგუმენტიც – უკვე „ოქტომბრის რევოლუციის პირმშო“ – „მუშურ-გლეხური წითელი არმია“ (PKKA) იქნა ჩართული. ოქტომბრის რევოლუციიდან სულ მცირე ხანში, ლენინმა ძველი არმიის დემობილიზაციისა და მუშათა და გლეხთა ახალი, წითელი არმიის შექმნის ბრძანება გასცა, რომელიც მოკლე ხანში იქცა ევექტურ სამხედრო მანქანად.

საბჭოთა რუსეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრად საგარეო საქმეთა ყოფილი კომისარი, რუსეთის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ლევ ტროცკი დაინიშნა, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად კი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი – იოაკიმ ვაცეტისი.<sup>10</sup> 1919 წლის ივლისიდან მას ამ თანამდევ

---

<sup>10</sup> ოაკიმ იოაკიმოვიჩ ვაცეტისი (1873-1938) – მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1909 წლიდან, გენშტაბის აკადემიის დასრულების შემდეგ – კაპიტანი, სასწავლო ასეულის მეთაური. 1912 წლიდან – პოდპოლკოვნიკი. 1915 წლიდან პოლკოვნიკი – მე-12 არმიის მე-5 პოლკის მეთაური. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ თავის პოლკთან ერთად გადავიდა ბოლშევიკთა მხარეზე. 1917 წლის დეკემბრიდან რევოლუციური საველე შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი, 1918 წლის აპრილიდან წითელ ლატვიელ მსროლელთა დივიზიის მეთაური. 1918 წლის ივლისიდან აღმოსავლეთის

ბობაზე ძველი რევოლუციონერისა და ლენინთან დაახლოებული პირის, ივარ სმილგას რეკომენდაციით, ასევე ცარისტული არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, სერგეი კამანევი<sup>11</sup> შეცვლის.[13]

წითელი არმიის ახალი ტიპის ნაწილების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება და ფორმირება ფრონტებიდან დაბრუნებული რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებისა და ძველი არმიის იმ სამხედრო მოსამსახურე

---

ფრონტის სარდალი, 1918 წლის 1 სექტემბრიდან 1919 წლის 9 ივლისამდე საბჭოთა რუსეთის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. ამავე დროს, 1919 წლის იანვარი – მარტის პერიოდში საბჭოთა ლატვიის არმიის მთავარსარდალი. 1919 წლის აგვისტოდან სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრი. 1921 წლიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიის პედაგოგი, მე-2 რანგის კომანდარმი.

<sup>11</sup> სერგეი სერგეევიჩ კამანევი (1881-1936) – მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი. რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების მონაწილე. I მსოფლიო ომში 1914 წლის სექტემბრიდან I-ლი დასაველეთის ფრონტის არმიის შტაბის კვარტერმეისტერის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ – არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი. 1917 წლის აპრილიდან პოლკოვნიკი, პოლტავის 30-ე პოლკის მეთაური. 1917 წლის ნოემბრიდან მე-15 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემხრობა ბოლშევიკებს. 1918 წლის აპრილიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაშია. 1918 წლის ივნისიდან ვიტებსკის წითელი ქვეითი პოლკის მეთაური, 1918 წლის აგვისტოდან – სმოლენსკის რაიონის სამხედრო ხელმძღვანელი, 1919 წლის აგვისტოდან აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარსარდალი. 1924 წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი სამხედრო ინსპექტორი, 1925 წლიდან – შტაბის უფროსი. 1926 წლის აგვისტოდან წითელი არმიის მთავარი სამმართველოს უფროსი, ამავე დროს მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ტაქტიკის ციკლის უფროსი. 1927 წლიდან სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1935 წლიდან I რანგის კომანდარმი.

რეებისაგან ხდებოდა, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ემსახურათ წითელ არმიაში. ამ უკანასკნელთ „სამხედრო სპეციალისტებს“ – „Военных специалистов“, მოკლედ, „Военспец“-ებს, ან კიდევ უფრო მოკლედ – „Спец“-ებს უწოდებდნენ. ასეთი სქემით სასწრაფოდ ხდებოდა წითელი არმიის რაზმების შედგენა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც უფრო დიდ და ჰომოგენურ შენაერთებად ერთიანდებოდნენ, ისეთები როგორებიც იყო მაგალითად, 1-ლი არმია, მე-11 არმია, მე-12 არმია და ა.შ. ეს შენაერთები ცვალებადი რიცხოვრივი შემადგენლობის ოპერატიული დონის ერთეულებს წარმოადგენდნენ (20000-30000 კაცი) და ძირითადადში ქვეითებისა და მსუბუქი არტილერიისაგან შედგებოდნენ. მათი საბრძოლო მომზადებისა და მზადყოფნის დონე კი საკმაოდ დაბალი იყო. გამონაკლისებს წარმოადგენდნენ ისეთი შენაერთები, როგორებიც იყო მაგალითად, ტამანის არმია, ლატვიელი მსროლელები და წითელი ცხენოსანი არმია. თუმცა ამ შენაერთებს ისეთი პიროვნებები მეთაურობდნენ, როგორებიც იყვნენ ბუდიონი, ჩაპაევი, ტუხაჩევსკი... ადამიანები, რომლებსაც ცარისტულ პერიოდში არასდროს არ ყოლიათ 50-ზე მეტი კაცი დაქვემდებარებაში. არმიებს მართავდნენ აგრეთვე არაპროფესიონალი სამხედროები, რევოლუციონერები, როგორებიც იყვნენ მაგალითად, ანტონოვ-ოვსეენკო და ვოროშილოვი, რომლებსაც ფაქტობრივად არავითარი სამხედრო გამოცდილება არ გააჩნდათ. საერთო ჯამში, 1918-1920 წლების პერიოდში, წითელი არმიის არსებულ 14 საარმიო შენაერთში 38 მსროლელი დივიზია იყო ჩართული.[14]

საბრძოლო მოქმედებების დიდი მასშტაბების გამო წითელი არმიის სტრატეგიული შეტევა ხორციელდებოდა ერთი ან რამდენიმე არმიის (შენაერთის) რამდენიმე თანმიმდევრული შეტევითი ოპერაციის ჩატარებით ძირითადი მაგისტრალებისა (რკინიგზის) და საკომუნიკაციო ხაზების გასწვრივ, რომელიც სტრატეგიულ სამიზნეებზე იყო მიმართული, ოპერაციებს შორის მცირე პაუზებით. ამ ოპერაციების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის დადევნება მისი ძალების სრული განად-

გურების მიზნით. მიხაილ ფრუნზე<sup>12</sup>: „წითელი არმიის ტაქტიკა არის და იქნება განმსჭვალული შეტევითი მოქმედებების წარმოების გაბედული და ენერგიული სულისკვეთებით. ეს მუშურ-გლეხური არმიის კლასობრივი ბუნებიდან გამომდინარეობს და ამავე დროს ემთხვევა სამხედრო ხელოვნების მოთხოვნებს” [12, 86]. შეტევით ოპერაციებში ძირითადად გამოიყენებოდა ოპერატიული მანევრის შემდეგი ფორმები: ფრონტალური შეტევა, ფლანგური იერიში, ერთი ან ორივე ფლანგის გარშემოვლა, გარშემორტყმა. ძირითად ფორმას ფლანგური იერიში წარმოადგენდა.

მოგვიანებით ლენინი, ლევ ბრონშტეინ-ტროცკის, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის შესახებ აღნიშნავდა: „მანვენეთ მეორე ისეთი კაცი, ვინც რეალურად შეძლებდა ერთ წელიწადში შეექმნა ისეთი არმიის მოდელი, რომელიც ახალი არმიის პირადი შემადგენლობისა და ამავე

---

<sup>12</sup> მიხაილ ვასილევის ფრუნზე (1885-1925) – რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, რუსეთის წითელი არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, სამხედრო თეორეტიკოსი. რსდმპ წევრი 1904 წლიდან. რსდმპ მე-4 ყრილობის დელეგატი. 1917 წლიდან მინსკის გუბერნიის გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მინსკის რსდმპ ქალაქკომის ორგანიზატორი, დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა საბჭოების აღმასკომის წევრი. რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის აგვისტოდან იაროსლავლის სამხედრო ოლქის სამხედრო კომისარი. 1919 წლის თებერვლიდან ბოლშევიკთა მე-4 არმიის სარდალი, მაის-ივნისში თურქესტანის არმიის სარდალი. 1919 წლის 15 აგვისტოდან 1920 წლის 10 სექტემბრამდე თურქესტანის ფრონტის სარდალი. შემდეგ სამხრეთის ფრონტის სარდალი. 1920 წლის 3 დეკემბრიდან სამხედრო რევოლუციური საბჭოს რწმუნებული უკრაინაში, უკრაინისა და ყირიმის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ამავე დროს უკრაინის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1922 წლიდან უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1924 წლის აპრილიდან წითელი არმიის მთავარი შტაბის უფროსი და ერთდროულად სამხედრო აკადემიის უფროსი. 1925 წლის იანვრიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი.



დროს, ძველი სამხედრო სპეციალისტების (Военных специалистов – ა. ჩ.) პატივისცემას მოიპოვებდა”.[15, 55]

ბოლშევიკი ინტერნაციონალისტები ისე იყვნენ აღტაცებული და ისე ჩქარობდნენ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის” დიადი მისიის აღსრულებას, რომ „მუშურ-გლეხური წითელი არმიის” შენაერთებმა შეტევითი სამხედრო მოქმედებები დასავლეთით, პოლონეთისა და გერმანიის მიმართულებით უკვე 1918 წლის ბოლოდან დაიწყეს. დასმული იქნა სამხედრო-პოლიტიკური ამოცანაც – „პროლეტარული რევოლუციის ექსპორტის” გზით „ევროპის შეერთებული შტატების” შექმნა. ამოცანა მართალია, ძალიან ბუნდოვანი, ძალიან სათუო და ამორფული იყო, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან რევოლუციური და ძალიან გაბედული. კრემლის იდეოლოგთა აზრით, საერთო ჯამში, პოლონეთისა და გერმანიის გასაბჭოების შემდეგ, რუს ბოლშევიკთა მიერ დაწყებული შეიარაღებული ექსპანსია „მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაში” უნდა გადაზრდილიყო. ლევ ტროცკიმ, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის” ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, ვორონეჟში გამოსვლისას, თავის მოხსენებაში – „მსოფლიო რევოლუციის სადარაჯოზე”, განაცხადა: „...თავისუფალი ლატვია, თავისუფალი პოლონეთი და ლიტვა, თავისუფალი ფინეთი, ისევე როგორც თავისუფალი უკრაინა, არ შეიქმნებიან დაბრკოლებად, არამედ შემაერთებელ რგოლად იქცევიან საბჭოთა რუსეთსა და მომავალ საბჭოთა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. ეს ფედერაციის, ევროპული კომუნისტური ფედერაციის, ევროპული პროლეტარული რესპუბლიკების კავშირის საწყისი იქნება”.[16, 45]

1918 წლის 15 დეკემბერს კი, გაზეთ „Жизнь Национальностей”-ს მოწინავე სტატიაში „С Востока свет” – საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისარი, იოსებ სტალინი „მსოფლიო სოციალიზმისათვის” ბრძოლისაკენ მოუწოდებდა „ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს” – „ამ უდიდესი მოვლენების ცენტრში დგას მსოფლიო რევოლუციის მედროშე – საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს გამარჯვების რწმენით ადავსებს და მხარს უჭერს მათ განმანთავი-

სუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სოციალიზმის სასარგებლოდ. დასავლეთი მისი იმპერიალისტური კაციჭამიებით სიბნელისა და მონობის კერად გადაიქცა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და სანუგეშოთ დავამსხვრიოთ ეს კერა” [17].

ძალიან მალე ტროცკი თავისი იდეოლოგიის გავრცელებისა და რეალური ქმედებების არეალს აფართოებს და III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოწყობას უკვე დასავლეთ ევროპასა და სტალინის მსგავსად, მთელ მსოფლიოშიც გეგმავდა. იგი იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა: „თუ დღეს III ინტერნაციონალის ცენტრს მოსკოვი წარმოადგენს, – ჩვენ ამაში ღრმად ვართ დარწმუნებულნი, – ხვალ ეს ცენტრი დასავლეთისაკენ გადავა: ბერლინში, პარიზში, ლონდონში... და საერთაშორისო კომუნისტური კონგრესის გამართვა ბერლინში ან პარიზში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მაუწყებელი იქნება ევროპაში, და ესე იგი – მთელ მსოფლიოშიც” [18, 39].

„მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იდეოლოგიით შემაგრებული მუშურ-გლეხური წითელი არმიის „წითელი მარში“ ევროპისაკენ დიდი ენთუზიზმით დაიწყო. მაგრამ ბოლშევიკთა სამხედრო შენაერთების დასავლეთის მიმართულებაზე შეიარაღებულ აგრესიას აღმოსავლეთ ევროპის ახლადშექმნილი სახელმწიფო, „მეორე რქ პოსპოლიტა“ – პოლონეთი აღუდგა წინ, ერთ დროს აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი ქვეყანა, რომელსაც თავისი სახელმწიფოებრიობა მთელი 123 წელი, 1795 წლიდან პქონდა დაკარგული და მისი ტერიტორიები სამ იმპერიას – რუსეთს, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის იყო განაწილებული...

I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1918 წლის ნოემბრიდან, პოლონელმა ხალხმა შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთ–პოლონეთის ომი...

ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური წითელი გვარდიისა და წითელი არმიის პირველადი ფორმირებების

შექმნის პროცესს კი, სათავეში ეროვნებით ქართველი ბოლშევიკები ჩაუდგნენ – ე.წ. „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის“ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ძველი ბოლშევიკი ნოე (სამუელ) ბუაჩიძე<sup>13</sup>, რომელიც ბოლშევიკთა პარტიის ცეკას მანდატით იყო აღჭურვილი, და ჩრდილოეთ კავკასიაში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო კომისარი, გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე<sup>14</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს ის-

<sup>13</sup> ნოე (სამუელ) ბუაჩიძე (1882-1918) – ძველი ბოლშევიკი და პროფესიონალი რევოლუციონერი, რსდმპ(ბ) წევრი, ლენინის თანამებრძოლი. 1917 წლის აპრილს ლენინთან და რევოლუციონერთა სხვა ჯგუფთან ერთად დაბრუნდა რუსეთში ემიგრაციიდან დალუქული შემადგენლობით. მგზავრობდა ერთ ვაგონში ლენინთან ერთად. ჩრდილოეთ კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და რსდმპ(ბ) საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ე.წ. „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის“ მთავრობის თავმჯდომარე. მოკლულ იქნა მიტინგზე სიტყვით გამოსვლის დროს, 1918 წელს.

<sup>14</sup> გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე (1886-1937) – ცნობილი ქართველი და რუსი პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. საბჭოთა, პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, განათლებით ფერმალი. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა ამიერკავკასიაში, შავიზღვისპირეთში. 1909 წელს სპარსეთის ე.წ. „საკონსტიტუციო რევოლუციის“ აქტიური მონაწილე. 1911 წელს საფრანგეთში ლონკუმოს პარტიული სკოლის მსმენელი. იმავე წლის ივლისში ლენინის პირადი დავალებით ბრუნდება რუსეთში სრულიად რუსეთის პარტკონფერენციის რწმუნებულად. თბილისის ორგანიზაციის დელეგატი, რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების აქტიური მონაწილე. 1918 წლის დასაწყისიდან რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საგანგებო რწმუნებული უკრაინაში, იმავე წლის ზაფხულიდან – საგანგებო რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიაში. კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე. 1920 წლის აპრილიდან ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ბოლშევიკური ოკუპაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, იდეური, იდეოლოგიური და სამხედრო ხელმძღვანელი. 1922 წლიდან ამიერკავკასიის, ხოლო 1926 წლიდან კომპარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტების პირველი მდივანი. 1912-1917, 1921-

იც, რომ ცარისტი გენერალიტეტის, რუსული არმიების პირადი შემადგენლობის, აგრეთვე კაზაკთა და გლეხთა ერთი ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ბოლშევიკური იდეოლოგია, კლასთა ბრძოლის თეორია და პროლეტარული რევოლუციის არსი. რუსეთისა და რუსული საზოგადოების ეს ნაწილი, რომლებიც ისტორიაში „თეთრების“ სახელით შევიდნენ, შეურიგებელ ბრძოლას იწყებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ... მთელი რუსეთი და განსაკუთრებით მისი განაპირა მხარეები, საყოველთაო განუკითხაობის, სამოქალაქო ომისა და ქაოსის ღრმა წყველიაღში ჩაიძირა...

ამონარიდი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, ზურაბ ავალიშვილის<sup>15</sup> მემუარიდან, რომელიც 1918 წლის მარტში პეტროგრადიდან თბილისისაკენ მატარებლით მგზავრობის შთაბეჭდილებებს გვაცნობს: „...საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა უკაცრიელი

---

1927 წლებში და 1934 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926-1930 წლებში კომპარტიის ცეკას ცენტრალური კონტროლის კომისიის წევრი და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1930 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის მინისტრი. 1930-1937 წლებში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრი.

<sup>15</sup> ზურაბ ავალიშვილი (1874-1944) – ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, დიპლომატი, განმანათლებელი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი და იურისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1917 წლიდან საქართველოშია. ტრაპიზონისა და ბათუმის სახაფო მოლაპარაკებებში ამიერკავკასიის დელეგაციის წევრი. გერმანიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის პროცესების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაშია.

სადგურები. უკვე ბევრგან თავისი კვალი დაეტოვებინა მიშვებულობას, რკინიგზები ნახევარი სიცოცხლით ცხოვრობდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობოდა ძველი წესრიგის ინერცია... როსტოვში ორ დღე-ღამემდე დავეყონდით... წინ იგრძნობოდა სამოქალაქო ომი. თვით როსტოვშიც არ იყო სიმშვიდე. ვაგზლის მიდამოებს პანიკა მოიცავდა ხოლმე. აყენებდნენ და ხსნიდნენ გუშაგებს, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ტყვიამფრქვევები, და ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ამშვიდებდა, ვის ამშვიდებდნენ, ვინ იყო სეირის მაყურებელი და ვის ჰქონდა ძალაუფლება. მოკლედ, საშინელება იყო...

გაჭირვებით გავიარეთ სადგური ტიხორეცკაია. სადგურ არმავირის წინ დიდი ხნით გაგვაჩერეს; სადგურის ბაქნიდან გამოჩნდა უამრავი ხალხით გარშემორტყმული მეორე მატარებელი. რა ხდებოდა იქ, ვერ გაარკვევდი.

როცა, ბოლოს და ბოლოს, გზა განთავისუფლდა და ჩვენი მატარებელი მიუახლოვდა სადგურს, აფორიაქებული ბრბო ის იყო იშლებოდა. აქ ბევრი იყო, როგორც წინათ ეძახდნენ მათ, „საზოგადოების ნაძირალა“ – ის ჩამოხეული, ჩამოკონკილი, უსიამოვნო შესახედაობის ხალხი, რომლითაც ყოველთვის სასვე იყო ყუბანის ოლქის რკინიგზის ცენტრები. სჭარბობდნენ აშკარად თავგზააბნეული ჯარისკაცების მთელი ბრბოები მტრული გამომეტყველებით; უფრო ნაკლებად იყვნენ კაზაკები, მკვიდრი ყუბანელები, რომლებიც დაბნეულად გამოიყურებოდნენ...”[19, 30]

სამოქალაქო ომის – „წითლებსა“ და „თეთრებს“ შორის დაწყებული ამ სისხლიანი დაპირისპირების ფონზე, უბრალო რუსი „მუჟიკის“ ცხოვრების წესი და ამ ეპოქაში მიმდინარე პროცესები მეტად საინტერესოდ, რეალისტურად და ერთობ ეგზოტიკურად აქვს წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთის იმდროინდელ სამხედრო მინისტრს, სერ უინსტონ ჩერჩილს (Sir Winston Churchill), თავის სქელტანიან მონოგრაფიაში „The World Crisis 1918-1925“:

„რუსეთის მილიონობით გლეხი ათეულ ათასობით სოფელში ცხოვრობს. მიწა მიწად დარჩა, ბუნებას კი ძველებურად მოჰქონდა თავისი ნაყოფი. და როგორი იყო რუსული სოფლის ცხოვრება სამოქალაქო ომის დროს? სა-

ვინკოვმა<sup>16</sup> რუსული სოფლის ცხოვრების საინტერესო აღწერა მოგვცა, როცა მე და ლოიდ-ჯორჯს (დევიდ ლოიდ-ჯორჯი (David Lloyd-George) – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი – ა. ჩ.) საშუალება მოგვეცა მასთან ერთად გვევახშმა. რაღაც ნიშნებით მისმა მონათხრობმა გარდასული ხანის

---

<sup>16</sup> ბორის ვიქტოროვიჩი სავინკოვი (1879-1925) – რუსეთის ცნობილი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. პროფესიონალი რევოლუციონერი, ტერორისტი, პოლიტიკოსი, ესერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და პარტიის საბრძოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. რუსეთის გლეხთა პარტიზანული („მწვანეთა“ და „თეთრ-მწვანეთა“) მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, „თეთრი მოძრაობის“ მხარდამჭერი და აქტიური მონაწილე, პროზაიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, მექუარისტი. 1898 წლიდან სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების „Социалист“ და „Рабочее знамя“ წევრი. 1901 წლიდან „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა პეტერბურგის კავშირის“ პროპაგანდისტი. 1903 წლიდან ემიგრაციაშია, ჟენევაში, სადაც შედის ესერთა პარტიის რიგებში. ირიცხება პარტიის საბრძოლო რაზმის წევრად და მონაწილეობს რუსეთის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ტერორისტული აქტების დაგეგმვაში – შინაგან საქმეთა მინისტრსა და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორზე თავდასხმები და მკვლელობები, ასევე სხვა მაღალი თანამდებობის სამხედრო-პოლიტიკური პირებზე განხორციელებული ტერორისტული აქტები. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში. დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ იქნა 7-ე არმიის კომისრად. 1917 წლის 28 ივნისიდან – სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისრად. 1917 წლის ივლისში ინიშნება დროებითი მთავრობის თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრის, კერენსკის თანაშემწედ. ოქტომბრის გადატრიალებას შეხვდა მტრულად, ეწეოდა ბრძოლას ბოლშევიკთა წინააღმდეგ. 1918 წლის მარტში მოსკოვში შექმნა იატაკქვეშა კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაცია „სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის კავშირი“. 1919 წლიდან ემიგრაციაშია. პარიზში აწარმოებდა მოლაპარაკებებს ანტანტის ქვეყნების მთავრობებთან რუსეთის თეთრი მოძრაობის მხარდაჭერის მიზნით.

ინდიელთა სოფლების ბედი გაგვახსენა, როდესაც ისინი ერთი დამპყრობლის ხელიდან მეორეში გადადიოდნენ.

ახლა გლესებს ეკუთვნოდათ მთელი მიწა. მათ დახოცეს ან გაყარეს წინა მფლობელები. ახლა ისინი გახდნენ ახალი და კარგად დამუშავებული მიწების პატრონები, ხოლო მემამულეთა სახლ-კარი, რომლის ფლობაზეც ადრე მხოლოდ ოცნება შეეძლოთ, ახლა მათ ეკუთვნოდათ. მემამულეები აღარ არსებობდნენ, აღარ არსებობდა მიწის გადასახადიც. გლესები მიწისა და მთელი სიმდიდრის პატრონები გახდნენ. თუმცა მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ კომუნიზმის დროს მათ ახალი მემამულე ეყოლებოდათ – საბჭოთა სახელმწიფო; მემამულე, რომელიც მათგან უფრო მაღალ საარენდო გადასახადებს მოითხოვდა მშვიერი ქალაქების გამოსაკვებად, კოლექტიური მემამულე, რომელსაც ვერ მოკლავ, და რომელიც პირიქით, მოკვლას დაუწყებდა მათ.

სამეურნეო თვალსაზრისით გლესები დამოუკიდებლები იყვნენ. თავიანთი ცხოვრების მარტივი წესით, თანამედროვე ცივილიზაციის გარეშე შეეძლოთ თავის კარგად გატანა. ცხოველთა ტყავისაგან ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს იმზადებდნენ. ფუტკარი თავფლს იძლეოდა, რომელიც მათთვის შაქარს ცვლიდა, ხოლო ცვილს გასანათებლად ხმარობდნენ. პურიც ჰქონდათ, ხორციც და ნაირ-ნაირი მცენარეული საკვებიც. სვამდნენ, ჭამდნენ და ოფლისღერამდე მუშაობდნენ. და სიტყვები: კომუნიზმი, ცარიზმი, დედა რუსეთი, იმპერია თუ პროლეტარიატი, ცივილიზაცია თუ ბარბაროსობა, ტირანია თუ თავისუფლება, მათთვის ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. ყველა ეს თეორიები მათთვის გაუგებარი იყო, ხოლო მათდამი დამოკიდებულება – გულგრილი. მათ ეს ფრაზები არ აინტერესებდათ. ისინი მიწის შვილებად რჩებოდნენ და მძიმე შრომით მოიპოვებდნენ თავის სარჩო-საბადებელს.

და ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდებოდა კახაკთა პატრონი:

„ქრისტე აღსდგა! მოკავშირეები გვიახლოვდებიან, რუსეთი გადარჩენილია. თქვენ თავისუფლები ხართ. საბჭოები აღარ არსებობენ“. ისინი ბუზღუნით მიიჩქაროდნენ

მამასახლისების ასარჩევად, კაზაკთა პატრული კი მიემგზავრებოდა და თან მიჰქონდა ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ. რამდენიმე კვირის, ან რამდენიმე დღის შემდეგ კი, ავტომობილით ბოლშევიკი მოვიდოდა შეიარაღებული ჯარისკაცებით, რომელიც აცხადებდა: „თავისუფლები ხართ, თქვენი ბორკილები დამსხვრეულია, ქრისტე – ეს მონაგონია, რელიგია კი – ხალხის ბანგია. ძმებო, ამხანაგებო, გიხაროდეთ თავისუფლების დადგომა!“ გლეხები კი ისევ ბუზღუნებდნენ. ბოლშევიკი აგრძელებდა: „ძირს მამასახლისთა საბჭო და ღარიბთა ექსპლოატატორები, ძირს რეაქციის მსახურნი! მათ მაგივრად სოფლსაბჭოები აირჩიეთ. ამიერიდან საბჭოები, და ნამგალი და ურო – თქვენი პროლეტარული უფლებების საწინდარია“. და გლეხებიც ერეკებოდნენ მამასახლისებს და რთული პროცედურების გარეშე ირჩევდნენ სოფლსაბჭოებს. მაგრამ სოფლსაბჭოებში ისევ იმ გლეხებს ირჩევდნენ, რომლებიც ადრე მამასახლისთა საბჭოებში შედიოდნენ.

ბოლშევიკი და მისი შეიარაღებული ხალხი კი მიდიოდა. მათაც მიჰქონდათ თან ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ და სოფელს ცილდებოდნენ... ვინ იცის, იქნებ სწორედ კაზაკთა იმ პატრულთან შესახვედრად”.[20]

რევოლუციის ექვს სულ მალე მოაღწია შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთამდე. აქ განვითარებულმა „რევოლუციურმა პროცესებმა“ და მისმა თანმდევმა მოვლენებმა კი, მკვეთრად განსაზღვრული ეთნიკური შეფერილობა მიიღო. რევოლუციური და ბოლშევიკური მოძრაობის გააქტიურება სოჭისა და ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქებში, ისევე როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში, ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, 1917 წლის გაზაფხულიდან იწყება ბოლშევიკური აგიტაციების წარმოების, მიტინგებისა და გამოსვლების ორგანიზებით. მეტად საინტერესოა ის საკითხი, რომ თემა რომელსაც ახლა ვიხილავთ, ისევე როგორც სხვა მრავალი, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ათწლეულების განმავლობაში ტაბუდადებულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ესაა, ე.წ. „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის“ შემდეგ რუსეთში დამყარებული ორხელისუფლებიანობის



ხანა, და რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დროის მოკლე პერიოდში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმების მთელი კასკადი.

1917 წლის 3 მარტს დროებითმა მთავრობამ საყოველთაო ამნისტიის აქტი გამოაქვეყნა პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებში. გაუქმებულ იქნა ამიერკავკასიისა და თურქესტანის გენერალ-საგუბერნატოროები, ჟანდარმერიისა და პოლიციის სამმართველოები, „ოხრანკის“ ორგანოები. გამოცხადებულ იქნა სიტყვის, ბეჭდვის, საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის, შეკრებებისა და მიტინგების ჩატარების თავისუფლება. პოლიტიკური ნების გამოხატვის თავისუფლება მიეცათ სამხედრო მოსამსახურეებს. გაუქმებულ იქნა ჩამომავლობითი, აღმსარებლობითი და ნაციონალური ხასიათის შეზღუდვები. მოსახლეობას მოეწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით. სიკვდილით დასჯა შეჩერებულ იქნა, გაუქმდა სამხედრო-საველე სასამართლოები. გამოცხადდა სრული პოლიტიკური ამნისტია, პოლიტპატიმრები კატორღებიდან გათავისუფლდნენ, სისხლის სამართლის დამნაშავეების ნახევარი საპყრობილებიდან გამოვიდა, მძიმე დანაშაულის მუხლებით ახლადგასამართლებულებს კი, პატიმრობის ვადა გაუნახვერდათ. საერთო ჯამში, 1917 წლის მარტის თვეში ციხეებიდან 100000-მდე პატიმარი გამოვიდა, მათ შორის ქურდები, ყაჩაღები, მკვლელები, ტერორისტები და სხვა ათასი ჯურის ავანტიურისტი. ხალხმა ისინი „კერენსკის ბარტყების“ სახელით მონათლა.

ყოველივე ამან კი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთში მოქმედ სხვადასხვა ტიპის ლეგალურ თუ ნახევრად-ლეგალურ პარტიებს შემდგომი მოღვაწეობის ფართო არეალი გადაუშალა წინ. ამავე დროს ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ჩამოყალიბება – დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტები, სხვადასხვა წარმომადგენელთა დეპუტატების საბჭოები, ასევე ეროვნული მოძრაობების ორგანიზაციები,

პარტიები, სხვადასხვა ტიპის კავშირები. დემოკრატიის სი-  
ომ ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე დაჰბერა თით-  
ქოს, მაგრამ სულ მალე პოლიტიკური აქცენტების გადანა-  
წილებისა და იდეოლოგიური ვექტორების გადალაგების  
პროცესებიც დაიწყო. იმპერიის განაპირა ადგილებში პო-  
ლიტიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრმა საყოველთაო  
დემოკრატიული ერთიანობის ეიფორიიდან სულ უფრო და  
უფრო მეტად დაიწყო გადახრა დაუნდობელი ბრძოლის მი-  
მართულებით. პროფესორ ზაიცევის თქმით: „სახელისუფ-  
ლებო ურთიერთობების უკიდურესად ჩახლართულმა რეა-  
ლობებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა რადიკალური განწყო-  
ბების ჩამოყალიბებასა და დესტრუქციული ღინებების გა-  
ჩენას“ [21].

დესტრუქციულ ძალებად კი, პოლიტიკური ექსტრე-  
მისტები, და პირველ რიგში, ბოლშევიკები იქცნენ. იმ მოვ-  
ლენების მომსწრე ერთი თანამედროვის სიტყვებით: „პო-  
ლიტკატორღელების დაბრუნებისთანავე დაიწყო პოლიტი-  
კური ბრძოლა“ [21].

უადრესად დამძიმდა ზოგადი კრიმინალური სიტუაცი-  
აც, ხოლო „კერენსკის ბარტყების“ გარკვეულმა ნაწილმა  
რადიკალურად განწყობილი პარტიების წიაღში ჰპოვა თავ-  
შესაფარი, სადაც მათთვის ჩვეული საქმიანობა გააგრძე-  
ლეს. როგორც მეტროპოლიაში, ასევე პროვინციებში პარ-  
ტიები აქტიური მოქმედებების რეჟიმზე გადავიდნენ. ამ  
თვალსაზრისით განსაკუთრებით გააქტიურდნენ მარქსის-  
ტული ტიპის სოციალ-დემოკრატიული პარტიები, ხოლო  
ბოლშევიკებს თავიანთი „რევოლუციური“ საქმიანობისათ-  
ვის აქამდე არნახული ასპარეზი გადაეშალათ წინ. ზურაბ  
ავალიშვილი: „მაგრამ რევოლუციის ეპოქის პირველ დღე-  
ებში საქართველოში ყველაზე დარაზმული და მრავალ-  
რიცხოვანი პოლიტიკური პარტია (სოც.-დემ.) რაღაც გაურ-  
ბოდა ამ საერთო სახალხო, ესოდენ ბუნებრივი და მარტი-  
ვი მისწრაფებებისა და იმედების საერთო ნაკადს. ქართვე-  
ლი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის რუსეთის სოციალ-  
დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში იყვნენ. საქარ-  
თველოში ისინი სასტიკად და, უმეტეს წილად, თვითონ  
ასე ეგონათ, წარმატებით ებრძოდნენ საქართველოს ავტო-

ნომის მომხრეებს „ცენტარლიზმის“ დასაცავად. ასეთ პოზიციას ინარჩუნებდნენ ისინი, ბუნებრივია, დროებითი მთავრობის დროსაც, სანამ რუსეთის „მენშევიზმს“, რომლის პოლიტიკური მიმდევრები და მეპაიეებიც სოც.-დემ.ები იყვნენ, გავლენა ჰქონდა რევოლუციის ხელმძღვანელობაში. ამ დროს ისინი მაინცდამაინც არ იწონებდნენ საქართველოსა და რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნების „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგის წარმატებას.

ყველაფერ ამას ჰქონდა თავისი მიზეზები და ახსნა, რომელთა აქ მოყვანა, ალბათ უადგილოა; მხოლოდ განსამარტავად მოჰყვას სიტყვას, რომ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ქართულ საზოგადოებაში რევოლუციის პირველი დღეებიდანვე გამომჟღავნდა-მეთქი” [19, 17].

ამ კონტექსტში ჩვენი კვლევის მიზანი, გასაგები მიზეზების გამო, ჩრდილოეთ კავკასია, ჩრდილო-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი და აფხაზეთის რეგიონებია – აქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. შავიზღვისპირეთში რევოლუციური პროცესების დასაწყისი 1905-1907 წლების რევოლუციას უკავშირდება. ამ პროცესების წარმმართველ ძალას რსდმპ ბათუმის კომიტეტი და კომიტეტის სოჭის ორგანიზაცია იყო, რომლის წევრებსაც სოჭში მცხოვრები ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ: ა. გვათუა, გ. ხუციშვილი, ნ. კონიაევი (ქონიაშვილი), მ. ხორავა, უ. ბახია. ქართველ რევოლუციონერთა ამ ჯგუფში რუსი ეროვნების ნ. პოიარკო და ნ. სალნიკოვიც შედიოდნენ. 1905 წლის დეკემბერში ბათუმის რსდმპ კომიტეტის სოჭის ჯგუფის წევრებმა შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომლის მეთაურებიც გახდნენ ნ. კონიაევი, ა. ჩიტაია, პ. ჯანაშია, ნ. პოიარკო, ა. გვათუა. აჯანყებას ოლქის გლეხთა დიდი ნაწილიც შეუერთდა. შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ კი, მასში მონაწილეთა დიდი ნაწილი ტყვეებში გავიდა, აჯანყების ხელმძღვანელები დაპატიმრებულ იქნენ, ნაწილი იატაკქვეშეთში გადავიდა [22], თუმცა, ამით სოჭის ჯგუფს არსებობა არ შეუწყვეტია. ასეთი მდგომარეობა 1917 წლამდე გაგრძელდა.

თებერვლის რევოლუციიდან სულ რამდენიმე დღეში კი, უკვე 1917 წლის 1 (14) მარტს, სოჭის ოლქის ადგილობ-

რივი სოციალ-დემოკრატები ისევ აქტიურდებიან. იატაკქვეშეთიდან გამოდიან ბოლშევიკები ლ. ტირაკიანი და ფ. ცხომარია, აგრეთვე მენშევიკი მ. მგელაძე. ამავე დღეს შედგენილ იქნა სოჭის რსდმპ საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს ოქმი. გამოცხადდა პარტიის წევრთა რეგისტრაცია. 1917 წლის მარტში არჩეულ იქნა რსდმპ-ს სოჭის საოლქო კომიტეტის შემადგენლობა. მასში შევიდნენ სოჭელი ბოლშევიკები ვ. კოროლიოვი, ნ. გორელოვი, ი. სტოკისი, (ბერზინი), ლ. ტირაკიანი და ფ. ცხომარია, აგრეთვე ქართველი მენშევიკები – მ. ხოფერია, მ. მგელაძე, და კრასოვსკი. მოგვიანებით კომიტეტში შეყვანილ იქნენ ნ. პოიარკო და ლ. მოსკვიხოვი. კომიტეტის თმჯდომარე ვ. კოროლიოვი გახდა, მდივანი კი, ი. სტოკისი, ლატვიელი რევოლუციონერი, შემდგომში ცნობილი საბჭოთა და პარტიული მოღვაწე. სოჭის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ხელმძღვანელი თანამდებობები ესერებმა და მენშევიკებმა დაიკავეს.

როგორც ვხედავთ, სოჭის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახლადშექმნილ საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში ისევ მნიშვნელოვანი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) წილი, რადგან სოჭის ოლქში მოქმედი ბოლშევიკების რაოდენობა ამ დროისათვის უმნიშვნელო იყო. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოშიც ხელმძღვანელი თანამდებობები ესერებმა დაიკავეს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სოჭის პირველადი ორგანიზაციის ფუძემდებლებადაც ქართველი რევოლუციონერები გვევლინებიან. ეს ისტორიული ფაქტია, რასაც ზოგიერთი რუსი ავტორიც აღიარებს. არა გვგონია ეს ფაქტი არ იყოს ცნობილი „გრუზინოფობულად“ განწყობილი სხვა საბჭოთა და რუსი ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე პრორუსული ორიენტაციის იმ პირებისათვის, რომლებიც მუდმივად და დაუინებით იმეორებენ იმას, თითქოს სოჭის ოლქში არასდროს არ ცხოვრობდნენ ქართველები, და ეს მიწებიც უხსოვარი დროიდან საქართველოს კი არა, არამედ რომელიღაც სხვა სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა. ფაქტია, რომ, XX საუკუნის პირველივე წლებიდან დაწყებული, ქართველი ეროვნების რევოლუცი-

ონერებს სოჭის ოლქის პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინანტური მდგომარეობა ეკავათ.

ცნობილი „აპრილის თეზისების“ გამოქვეყნებისა და ლენინის მიერ ძალაუფლების შეიარაღებული გზით ხელში ჩაგდების პირდაპირი მოწოდების შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადადიან. „აპრილის თეზისები“ რსდმპ(ბ)-ს კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდათ, რომელთა შორის სოჭის ორგანიზაციის სახელით, ბოლშევიკი ვ. კოროლიოვიც იღებდა მონაწილეობას. სწორედ მისი თაოსნობით ხდება სოჭისა და ადღერის ბოლშევიკებში „აპრილის თეზისების“ გავრცელება. მაისის ბოლოს კი, შავიზღვისპირეთის რკინიგზის ხაზის მშენებლობის დასრულებისათვის, სოჭში, პეტროგრადიდან რკინიგზის მუშათა ბატალიონი იგზავნება, სადაც გაბოლშევიკებულ ჯარისკაცთა ძლიერი ჯგუფი მოქმედებდა, უნტერ-ოფიცერ ნ. პიროუკოვის ხელმძღვანელობით. აღნიშნულმა ჯგუფმა, გააქტიურების მიზნით, მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ადგილობრივ ბოლშევიკებთან [23]. უკვე 2 ივლისისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში ბოლშევიკებმა შეძლეს ვ. კოროლიოვის, ნ. პოიარკოს, ხ. ნიპარდასა და კ. ქუკოვის შეყვანა. სოჭელმა ბოლშევიკებმა ნელ-ნელა ძალების მოკრეფა დაიწყეს. ამავე დროს, ყოფილი ცარისტული იმპერიის მთელ ტერიტორიაზე იწყება ზემოთ ხსენებულ წითელგვარდიულ რაზმებზე ბოლშევიკთა მიერ კონტროლის მოპოვება, აგრეთვე ე.წ. „გლეხთა რევოლუციური რაზმების“ შექმნა და ბოლშევიკური შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება.

1917 წლის გაზაფხულსვე იწყება აფხაზი ბოლშევიკების გააქტიურებაც. აქ წინა პლანზე ევრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა და წითელი ტერორის ერთ-ერთი ფუძემდებელი [24, 136] გიორგი ათარბეგოვი,<sup>17</sup> აგრეთვე ს. კუსალეიშ-

---

<sup>17</sup> გეგორქ ათარბეგიანი (ათარბეგოვი) (1892-1925) – „რკინის გეგორქი“, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო უშიშროების (ВЧК) ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკი, პროფესიონალი ჯაღლათი, ცნობილი თავისი საღიზმითა და დაუნდობლობით. 1918 წელს სოხუმის საოლქო რევკომის წევრი და აფხაზეთის რევ-

ვილი, კ. მაკაროვი, ა. დობროვოლსკი, ნ. სვანიძე გამოდიან. რევოლუციონერების ამ ჯგუფის იდეოლოგიურ ლიდერად მოსკოვის უნივერსიტეტის ნასტუდენტარი იურისტი, სტუდენტობის დროს ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიკედლებული ეფრემ ეშბა გვევლინება. აქვე, მოსკოვში ხდება მასა და ქართველ მარქსისტებს შორის განხეთქილება, რის შემდეგაც ეფრემ ეშბა რადიკალურად იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას და იგი ბოლშევიკების მხარე გადადის. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოსუმის ოლქში ბოლშევიკური მოძრაობის პიონერები ისევ და ისევ ქართველი რევოლუციონერები იყვნენ – დოლიძე, ურუშაძე, შარაშენიძე, სევერიან (სიოვა) კუხალეიშვილი, კატო კუხალეიშვილი, ნიკოლოზ სვანიძე. სწორედ ეს ჯგუფი შეადგენდა სოსუმის ოლქში არსებული პირველადი ბოლშევიკური უჯრედის იმ ბირთვს, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა.

1917 წლის აპრილში ბოლშევიკთა მიერ სოფელ ღიხნში, აფხაზური ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის ამ ცენტრში, მიმდინარე მოვლენების შეფასების მოწოდებით აფხაზების ე.წ. „გლეხთა შეკრება“ გაიმართა, რომელზეც შეკრების მონაწილეებმა, ბოლშევიკი რევოლუციონერების გავლენით, დროებით მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს. სოციალისტური სიკეთეების უხვი დაპირებების სა-

---

კომის თავმჯდომარის მოადგილე. 1918 წლის ოქტომბრიდან საგანგებო კომისიის წევრი. 1919 წლის 1 თებერვლიდან ბოლშევიკთა კასპიისპირეთი-კავკასიის ფრონტის რეკომის პოლიტიკანოფილების წევრი. 1920 წლიდან ბოლშევიკთა მე-9 არმიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ყუბანი-შავიზღვისპირეთის ოლქის, შემდეგ კი ბაქოს ოლქის საგანგებო რწმუნებული. 1921 წლიდან სომხეთის ჩრდილოეთ რაიონების რეკომის თავმჯდომარე, ამიერკავკასიის ფოსტისა და ტელეგრაფის სახალხო კომისარი. დაიდუპა ავიაკატასტროფაში 1925 წლის 22 მარტს ამიერკავკასიის საგარეო დაზვერვის (ГПУ) უფროსთან, მოვილევსკისთან და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან, მიასნიკოვთან (მიასნიკიანი) ერთად თბილისთან ახლოს.

ნაცვლოდ ამ შეკრებაზე აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ნესტორ ლაკობა გუდაუთის საუბნო კომისრად იქნა არჩეული. თავის გამოსვლაში მან გლახობას ერთიანობისაკენ მოუწოდა... აქვე დაიბადა გლახობა რევოლუციური რაზმების, ე.წ. – „კიარაზ“-ის შექმნის იდეა”.[25, 15]

ნესტორ ლაკობას მალე ეფრემ ეშბაც უერთდება. დროებითი მთავრობის მიერ საყოველთაო ამნისტიის გამოცხადებისა და „ოხრანკაში“ მისი სტუდენტობისდროინდელი რევოლუციური და კრიმინალური საქმეების დახურვის შემდეგ, ეფრემ ეშბა სოხუმში ჩამოდის და აქტიურად ერთვება ახალ საქმიანობაში. მას სამურზაყანოს საუბნო კომისრად ირჩევენ. როგორც ვხედავთ, დემოკრატიული პროცესები, დემოკრატიული არჩევნების პრაქტიკა აფხაზეთში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობდა. საწყის ეტაპზე ბოლშევიკთა ლიდერებმა შეძლეს მოსახლეობის ნაწილზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა და მათი შცდომაში შეყვანა – ხალხმა ისინი საუბნო კომისრებათ აირჩია.

რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის VII კონფერენციის გამართვის შემდეგ, 1917 წლის მაისიდან ქართველი სოციალ-დემოკრატებიც საბოლოოდ ემიჯნებიან ერთმანეთს. ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკები რადიკალურ ფრთად ყალიბდებიან და ბრძოლის მეთოდად შეიარაღებული აჯანყების გზას ირჩევენ, მენშევიკები კი უფრო ზომიერი პოლიტიკის მომხრეებად გამოდიან და მარქსისტულ პოზიციებზე რჩებიან. როგორც შემდგომში ეფრემ ეშბა წერდა: „ჩვენ განხეთქილება შევიტანეთ სოციალ-დემოკრატების გაერთიანებულ საოლქო კომიტეტში და საკუთარი, ბოლშევიკების კომიტეტი ჩამოვაყალიბეთ” [26, 26].

ავვისტოს ბოლოდან სოჭის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შეიარაღებული გზით დაიწყო ხელისუფლების მიტაცებისათვის მზადება. საქმეში „კერენსკის ბარტყებიც“ ჩართეს. ცნობილი სოჭელი ბოლშევიკი აგიტატორის, ლ. მოსკვიროვის მემუარიდან: „აგიტაცია იმ დროს საბრძოლო იყო, მისი ჩატარების დროს კი, დიდ ხიფათში ვიგდებდით თავს – შეიძლება ვეცემეთ ან მოვეკაალით კიდევ. და მიუხედავად ამისა... ჩვენ მგზნებარე, დაუდგრომელი, უშიშარი

აგიტატორები ვიყავით” [27]. მალე ადღერშიც შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, სადაც დეპუტატთა უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ. უკვე შემოდგომისათვის სოჭსა და ადღერში ბოლშევიკებმა შეიარაღებული გამოსვლები დაიწყეს რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. ამავე დროს, სოჭის ოლქიდან ბოლშევიკი პროპაგანდისტებისა და ცალკეული შეიარაღებული ბანდების შეგზავნა დაიწყო აფხაზეთშიც. აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ საქართველოს ამ რეგიონში, აფხაზეთში, რეალურად არავითარი ბოლშევიკური ორგანიზაცია, როგორც ასეთი, უბრალოდ არ არსებობდა. ე.წ. „აფხაზი ბოლშევიკები” ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა, ზემოთ ხსენებულ ქართველ ბოლშევიკებთან ერთად მედროვე ავანტიურისტთა რამდენიმეკაციან მცირე ჯგუფს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ, რომლებიც კარგად სარგებლობდნენ I მსოფლიო ომის მიმდინარეობის ფონზე არსებული უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური ფონით და მოსახლეობაზე ბოლშევიკური იდეოლოგიის ეფემერული სიკეთეების მოტანით სპეკულირებდნენ. სოციალური კეთილდღეობისა და ნათელი მომავლის პანაცეად კი ცხადია, ბოლშევიზმის იდეოლოგია, კლასთა ბრძოლის თეორია და პროლეტარიატის დიქტატურა იყო დასახული.

ამიერკავკასიაში არსებული ზოგადი პოლიტიკური ფონი კი ასეთი იყო. მეფის გადადგომის შემდეგ ამიერკავკასიაში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან ფაქტიურად დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ე.წ. „ოზაკომი” (Особый Закавказский Комитет) ყალიბდება, დონის კახაკთა ჯარების ოლქის რუსეთის დუმის დეპუტატის, კადეტთა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წევრის, ვასილი ხარლამოვის<sup>18</sup> თავმჯდომარეობით. კომიტეტი უშუა-

<sup>18</sup> ვასილი აკიმის ძე ხარლამოვი (1875-1957) – რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი. კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტიის წევრი 1906 წლიდან და პარტიის ცენტრალური კომიტეტის



ლოდ დროებით მთავრობას ექვემდებარებოდა და მას ის ფუნქციები უნდა აეღო ხელში, რომელსაც მეფის ყოფილი ხელისუფლება ანხორციელებდა ამიერკავკასიაში [28, 71].

„ოზაკომი“ ამიერკავკასიის ფაქტობრივი ხელისუფლება იყო და შექმნიდან სულ მცირე ხანში მის ხელმძღვანელ რგოლში აფხაზეთის მკვიდრი, რუსეთის მე-4 დუმის დეპუტატი სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან, აკაკი ჩხენკელი იქნა შეყვანილი. ხარლამოვი კი, იმავე წლის ნოემბრიდან სათავეში ჩაუდგა ზემოთ ხსენებული წარმონაქმნის – „კახაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს“. როგორც ვხედავთ, ეს ე.წ. „კახაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი“ და მისი ე.წ. „მთავრობა“, რომელთანაც აფხაზთა კავშირებსა და ინტეგრაციაზე აკეთებენ განცხადებებს დღევანდელი სეპარატისტი თუ რუსოფილი ავტორები, რეალურად რუსეთის ცენტრალური მთავრობის ადგილობრივ ორგანოს წარმოადგენდა და მას ეროვნულობასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. ძალიან მაღე, სულ რამდენიმე კვირაში, მისი „მთავრობის“ თავმჯდომარემ, კადეტმა ვასილი ხარლამოვმა თავისი პარტიული წარმომავლობა სრულიად დაივიწყა და აშკარა პრომონარქისტული და იმპერიული პოზიციები დაიკავა.

---

წვერი. რუსეთის დამფუძნებელი კრების წვერი. რუსეთის დუმის ოთხივე მოწვევის დეპუტატი დონის კახაკთა ჯარების ოლქიდან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ ინიშნება ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარედ. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, დონის ჯარების მთავრობის ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე. 1918 წლის ნოემბრიდან ე.წ. „კახაკთა ჯარების, კავკასიელ მთიელთა და სტეპის თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის“ მთავრობის თავმჯდომარე. 1918 წლიდან იმყოფებოდა კოლაბორაციაში გენერალ ალექსევევისა და დენიკინის თეთრგვარდიული ე.წ. „სამხრეთ რუსეთის მთავრობასთან“. თეთრგვარდიული მოძრაობის დამარცხების შემდეგ, 1920 წლიდან ემიგრაციაშია.

რაც შეეხება ამიერკავკასიას. ამავე პერიოდში, „ოზა-კომთან“ ერთად, თბილისში ყალიბდება მეორე სახელისუფლებო ორგანო – მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლების მრავალი ფუნქცია უნდა აეღო ხელში და „მოეხდინა რევოლუციური ზეწოლა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებზე იმ შემთხვევაში, თუ მათი მოქმედებები დემოკრატიის ინტერესების საწინააღმდეგო და არასაკმარისად რევოლუციური იქნებოდა“ [29, 57-58]. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს ძველი მარქსისტი და რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ნოე ჟორდანი<sup>19</sup> ჩაუდგა სათავეში.

---

<sup>19</sup> ნოე ჟორდანი (1869-1953) – რუსეთისა და საქართველოს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მენშევიკი. ძველი მარქსისტი და რევოლუციონერი, პუბლიცისტი და მემუარისტი. ქართველ მარქსისტთა ორგანიზაცია „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, ოპორტუნისტული ფრთის ხელმძღვანელი. რსდმპ წევრი 1898 წლიდან და რსდმპ მე-2 ყრილობის დელეგატი. 1905 წელს თბილისში გამომავალი მარქსისტული გაზეთის „სოციალ-დემოკრატის“ რედაქტორი. 1906 წელს რუსეთის 1-ლი მოწვევის დუმის დეპუტატი თბილისიდან, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1907-1912 წლებში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეური მოწინააღმდეგე. 1912 წელს ბაქოში გამომავალი მენშევიკური გაზეთის – „Наше слово“-ს რედაქტორი. I მსოფლიო ომის მსვლელობისას, იდეოლოგიური „ობორონეცი“ და პლენხანოვის იდეების მხარდამჭერი, მუშათა საერთაშორისო გაერთინების – II ინტერნაციონალის იდეოლოგიურ-პოლიტიკური კურსის ერთგული მიმდევარი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს თავმჯდომარე, 1917 წლის 26 ნოემბრიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის ფაქტობრივი დროებითო პარლამენტის თავმჯდომარე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, დაწყებული 1918 წლის 24 ივლისიდან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეორე და უცვლელი თავმჯდომარე. საქართველოს

რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც ფაქტობრივი ორ-ხელისუფლებიანობა ჩამოყალიბდა. მაგრამ რუსეთისაგან განსხვავებით, ხელისუფლების ამ ორ შტოს შორის რადიკალურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. თბილისის გუბერნიის კომისარი, მენშევიკი ჯაფარიძე აღნიშნავდა: „ამიერკავკასია ანარქიის აღშია გახვეული. მრავალხელი-სუფლებიანობა, ნამდვილი უფროსის უყოლობა ქვეყანაში ნგრევის მთავარი მიზეზია. ამიერკავკასიის კომისარიატი, აღმასრულებელი კომიტეტის სამხარეო ცენტრი, ნაციონალური საბჭოები – ყველანი უფროსები არიან, ყველანი მართავენ, ყველანი კანონებს სცემენ, რომელიც არ სრულდება, რადგან ბოლოს აღარ ვიცით ვის დავემორჩილოთ, ვინ განაგებს...“

წესრიგის აღსადგენად აუცილებელია მტკიცე, სრული და გაუყოფელი ავტორიტეტული და ყველასაგან აღიარებული ხელისუფლების შექმნა. აუცილებელია, რომ მოქალაქეები გრძნობდნენ ასეთი ხელისუფლების არსებობას“.[30, 437]

ამიერკავკასიაში წამყვან რევოლუციურ ძალას სოციალ-დემოკრატები – მენშევიკები წარმოადგენდნენ. ისინი აკონტოლებდნენ თბილისის საბჭოს და თავიანთი წარმომადგენლები „ოზაკომშიც“ ჰყავდათ. ბოლშევიკების გავლენა კი, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ძალიან სუსტი იყო და სხვა პოლიტიკურ ძალებთან მიმართებაში ისინი განხეთქილების შეტანისა და გამიჯვნის კურსს ატარებდნენ. სოციალ-დემოკრატების ორ ფრთას შორის სრული იდეოლოგიურ-პოლიტიკური მარგინალიზაცია სახეზე იყო.

1917 წლის 2 ივლისს სოხუმში ოლქის სათათბიროს არჩევნები გაიმართა. გამარჯვება სოციალ-დემოკრატებმა

---

დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო საბჭოსა და თავდაცვის საბჭოების უცვლელი თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდენტის წევრი და საპატიო თავმჯდომარე. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაშია. 1921 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, 1954 წლამდე, საქართველოს გადასახლებული მთავრობის თავმჯდომარე.

მოიპოვეს (18 მანდატი). სათათბიროს ორგანოში შევიდნენ აგრეთვე სოციალისტ-რევოლუციონერები – ესერები (10 მანდატი) და სოციალისტ-ფედერალისტები (2 მანდატი). 1917 წლის 30 სექტემბერს სოხუმის საოლქო სათათბირომ საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია: ბ. ჩხიკვიშვილი, ბ. ზახაროვი, ა. წიგწივაძე, ი. გოგელაშვილი, მ. ცარიოვი და სხვა.

1917 წლის ბოლოს კი, ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, – „როდესაც კავკასიელი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ იმაში, რომ რუსეთი, როგორც ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა, პეტროგრადსა და მოსკოვში ჩამსხდარი ბოლშევიკები კი თავისი ყაჩაღური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის მზად იყვნენ ნახევარი სამეფო დაეთმოდნენ ავსტრიელების, გერმანელებისა და თურქებისათვის, საკუთარი თავის გადასარჩენად მათ გასაბჭოებული რუსეთიდან გამოყოფაზე დაიწყეს ფიქრი“, – აღნიშნავს თავის ნაშრომში ანდრეი ზუბოვი.<sup>[31]</sup> ახალ პირობებში, ე.ი. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ – ავტონომიის ღოზუნგი თითქმის ავტომატურად იცვლებოდა დამოუკიდებლობის ღოზუნგით. ასე იყო, კერძოდ, საქართველოში, და მთლიანად ამიერკავკასიაში, რომ არაფერი ვთქვათ, სხვა განაპირა მხარეებზე. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში, პეტროგრადის მსგავსად, იქმნება ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა – კომისარიატი, ძველი რევოლუციონერისა და სოციალ-დემოკრატის, ევგენი გეგეჭკორის<sup>20</sup> თავმჯდომარეობით. ნოემბერშივე მოწვე-

---

<sup>20</sup> ევგენი გეგეჭკორი (1881-1954) – ცნობილი ქართველი რევოლუციონერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ძველი სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი. პროფესიით იურისტი. რსდმპ წევრი 1903 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე. 1907-1912 წლებში რუსეთის დუმის მე-3 მოწვევის წევრი, სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1917 წლის ნოემბრიდან ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობის – ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე. 1918 წლის მაისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, 1918 წლის ბოლოდან – რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ულ იქნა აფხაზეთის გლეხთა I ყრილობა, რომელიც მთიელთა კავშირის წარმომადგენლის, ასლანბეკ შერიფოვის ინიციატივით იქნა ორგანიზებული. მან განაცხადა რომ „აფხაზები ჩრდილო კავკასიელ მთიელთა კუნთებს წარმოადგენენ, იმ ნაწილს, რომელიც ამ მხარეს იქნა ხელიდან გაგდებული. აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი გმირების ძმურ გრძნობას შეუძლია გაადნოს მათ შორის მდებარე კავკასიის ცივი მთები და საერთოდ, მათ შორის არებული ყოველგვარი წინააღმდეგობა” [32, 13]. ყრილობის მუშაობაში აფხაზი ბოლშევიკებიც იღებდნენ მონაწილეობას – ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა. შემდგომში ნესტორ ლაკობა წერდა: „ყრილობის მუშაობის ქვაკუთხედს შემდეგი კითხვა წარმოადგენდა – „ვისთან ერთად ვიყოთ? წავიდეთ ამიერკავკასიის კომისარიატთან და მუშათა კლასის ფარულ გამცემლებთან – მუსავატებთან, დაშნაკებთან, მენშევიკებთან და ყველა ამ პოლიტიკურ გაიძვერებთან ერთად ერთ ბლოკში, რომლებთანაც აფხაზეთი დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული და ფინანსური კუთხით, თუ უნდა გაგვეწყვიტა ამიერკავკასიასთან ყოველგვარი კავშირი და შევსულიყავით მთიელ ხალხთა კავშირში, სადაც ასე დაჟინებით გვიწვევდნენ მთიელთა დელეგაციები” [33, 49]. ყრილობაზე დეკლარირებულ იქნა მთიელთა კავშირთან ურთიერთობების დამყარება, დამტკიცებულ იქნა აფხაზთა სახალხო საბჭოს კონსტიტუცია და არჩეულ იქნა მისი შემადგენლობა. საბჭოს თავმჯდომარედ სიმონ ბასარია იქნა არჩეული [34, 69]. აფხაზთა სახალხო საბჭოს მიეცა დავალება ემუშავა „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის” საკითხებზე. ამ ე.წ. „თვითგამორკვევის” ფორმები დაზუსტებული არ იყო.

ყრილობამ დაგმო ბოლშევიზმი, ოქტომბრის გადატრიალება და სრული ნდობა ამიერკავკასიის მთავრობასა და საბჭოებს გამოუცხადა. მხარდაჭერილ იქნა საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ხელისუფ-

---

ტრი, 1921 წლის დასაწყისიდან – რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტიდან, ემიგრაციაშია.

ლების შექმნა. ამავე დროს, აღდგენილ იქნა ადმინისტრაციული საზღვრის ძველი, 1904 წლამდე არსებული მდგომარეობა.[35] ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით სოხუმის ოლქს გაგრისა და ბზიფის რაიონები შეუერთდა.[36, 213-214] ყრილობამ სრული ნდობა ყრილობის დელეგატებს აკაკი ჩხენკელს,<sup>21</sup> ვალიკო ჯუღელს, ბენია ჩხიკვიშვილსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს – მენშევიკებს გამოუცხადა. სოხუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ ძველი სოციალ-დემოკრატი და გამოცდილი რევოლუციონერი ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი იქნა არჩეული. როგორც ვხედავთ, სოჭის ოლქის მსგავსად, სოხუმის ოლქშიც, მოსახლეობის ნდობის სრული მანდატი სოციალ-დემოკრატებმა – მენშევიკებმა მოიპოვეს.

მცირერიცხოვან აფხაზ ბოლშევიკთა ავანტიურისტული ჯგუფისათვის, ყრილობის ეს გადაწყვეტილება, მიუღებელი აღმოჩნდა. ეფრემ ეშბამ და ნესტორ ლაკობამ ბოლშევიკთა საერთო პოლიტიკური ხაზის გასატარებლად მოითხოვეს მუშათა და გლეხთა მათთვის მისაღები საბჭოების ჩამოყალიბება და ლენინური კურსის შესაბამისად, მათთვის სრული ძალაუფლების გადაცემა. ამ მოთხოვნით რეზოლუციაც იქნა წარმოდგენილი, მაგრამ, ცხადია, ეს

---

<sup>21</sup> აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი. იურისტი და პუბლიცისტი. მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი რუსეთსა და საქართველოში. რუსეთის მე-4 მოწვევის დუმის დეპუტატი სოხუმის ოლქიდან. ეროვნული კულტურული ავტონომიზაციის ერთ-ერთი ავტორი. 1917 წლის თებერვალში რსდმპ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ) 1-ლი მოწვევის წევრი. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი, შინაგან საქმეთა კომისარი (მინისტრი). 1918 წლის 9 აპრილიდან ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 1918 წლის 26 მაისიდან 1918 წლის ივლისამდე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. 1921 წლიდან ემიგრაციაშია..

აშკარა ექსტრემისტული მოთხოვნები გლახთა ყრილობის მიერ არ იქნა მიღებული. ყრილობის ამ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ, უკვე 1917 წლის დეკემბერში, სოფელ ჯირხუაში ექსტრემისტ ბოლშევიკთა მიერ იქმნება გლახთა პირველი შეიარაღებული რაზმები, ე.წ. „Анханы Кырыз“ (გლახთა „კიარაზები“). მის ორგანიზატორად და ხელმძღვანელად „პროფესიონალი რევოლუციონერი“ ნესტორ ლაკობა გვევლინება. „კიარაზები“ წარმოადგენდა ბოლშევიკთა წითელგვარდიული რაზმების ანალოგიურ პარამილიტარულ ორგანიზაციას, იმ განსხვავებით, რომ მას ფაქტობრივად არავითარი სამხედრო და საბრძოლო გამოცდილება არ გააჩნდათ, ამავე დროს „პოლიტიკური სიმწიფის“ დონითაც არ გამოირჩეოდა.

ბოლშევიკი აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ფსევდოპატრიოტული და სოციალისტური ფრაზეოლოგიით უხვად შეზავებულმა გამოსვლებმა და ეფემერულმა დაპირებებმა ნელ-ნელა თავისი შხამიანი ნაყოფი გამოიღო. ისევე, როგორც რუსეთის ყოფილი იმპერიის ზოგიერთ ყოფილ ნაწილში, და მათ შორის საქართველოში, აფხაზეთშიც, გაუნათლებელ გლახთა ერთი ნაწილი ადვილად მოექცა ბოლშევიკთა იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ. მაშინ რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს ნესტორ ლაკობა წერდა: „ჩვენი ორგანიზაცია მაგარი და ძლიერია. მოცემულ მომენტში, როცა მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა დანაშაულებრივად, ბურჟუაზიის წინაშე შიშისა და ძრწოლის გამო უღალატეს პროლეტარიატის ინტერესებს... ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც ორმაგადა აქვს გაცნობიერებული თავისი პასუხისმგებლობა, მთელი ძალებით იბრძოლებს ბოლშევიზმის იდეების გამარჯვებისათვის...“ [37, 19]

გამოკვეთილად უნდა ითქვას ისიც, რომ შექმნილ სიტუაციაში იმ დროისათვის აფხაზეთში არ არსებობდა არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, ჯგუფი, თუნდაც პერსონა, რომლებიც აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის მომხრეები იქნებოდნენ. სეპარატიზმის ასეთი ხარისხი, ასეთი ცნება იმ დროისათვის, უბრალოდ, არ არსებობდა. იმ პოლიტიკური ძალებიდან, რომლებიც მაშინ აქტიურობდნენ, ერთნი ე.წ. „მთიელ ხალხთა რესპუბლიკაში“ გაერ-

თიანების მომხრეებად გამოდიოდნენ – სიმონ ბასარია და მისი მომხრეები, უმრავლესობა კი – საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის მომხრე იყო, ეთნიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრებიდან გამომდინარე. ამ ჯგუფს სოციალდემოკრატები წარმოადგენდნენ. მემამულეებისა და მიწათმფლობელების ერთ ნაწილს კი, სოციალისტური იდეების შიშით და საკუთარი სოციალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ოსმალეთის იმპერიისაკენ ეჭირა თვალი. მათზე დიდი იყო ოსმალთა იმპერიაში გადახვეწილ აფხაზ მუჰაჯირთა ზეგავლენა, აგრეთვე ისლამური ფაქტორი. ამ ჯგუფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, თავადი ალექსანდრე შარვაშიძე წარმოადგენდა. მოგვიანებით მას სოხუმის საოლქო მილიციის უფროსი, პოლკოვნიკი ტატაშ მარშანიაც შეუერთდა. ხოლო ექსტრემისტულად განწყობილ ავანტიურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი – ე.წ. „აფხაზი ბოლშევიკები“ და „კიარაზის“ ხელმძღვანელები, ეშბა, ლაკობა და აკირთავა, უფრო პერსპექტიულად აფხაზეთის საბჭოთა რუსეთში შეყვანას მიიხედავდნენ. თუმცა, ამავე დროს, ნესტორ ლაკობაც და ალექსანდრე შარვაშიძეც, მთიელ ხალხთა კავშირთან აფხაზეთის დაახლოების მომხრეებად გამოდიოდნენ.

ფაქტია, რომ თითოეული ეს დაჯგუფება კერძო მერკანტილური ინტერესებიდან გამოდიოდა და ნაკლებად ადარდებდათ უბრალო ადამიანების ბედი. საკუთარი ძალაუფლების მოპოვებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის, ისინი განსხვავებული ძალების, განსხვავებული საშუალებებისა და მფარველების ძიებაში იყვნენ.

ქართული მხარე და საქართველოს ეროვნული საბჭო, ფაქტობრივი საკანონმდებლო ორგანო, შექმნისათანავე აფხაზეთთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ისახავდა მიზნად, რასაც ნათლად გამოხატავს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი – საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 7 იანვრით დათარიღებული №24 მიმართვა. ბუნებრივია, ამ მიმართვაში მხოლოდ სოხუმის ოლქსა და იქ მაცხოვრებელ აფხაზ მოსახლეობაზეა საუბარი, რომლის ქვეშაც იგულისხმებოდა ტერმინ



„აფხაზეთის“, როგორც ასეთის, გაგება. დღევანდელი გალი-ოჩამჩირის რაიონის, ანუ ისტორიული სამურზაყანოს, დადიანების კუთვნილ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ მეგრულ მოსახლეობას კი, ცალკე შეტყობინება გაეგზავნა:

„აფხაზეთა სახალხო საბჭოს

საქართველოს ეროვნული საბჭო, თავისი შექმნის დღიდან ცდილობდა დაემყარებინა უფრო მჭიდრო კავშირები ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, რის განსახორციელებლადაც გადადგმული იქნა პრაქტიკული ნაბიჯები. ეროვნული საბჭო ღრმად და დარწმუნებული, რომ აფხაზებიც ცდილობენ შექმნან საკუთარი და თავისი მეზობლებისათვის მშვიდობიანი ცხოვრებისა და კულტურული განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. ამ მიზნით საჭიროა აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთგაგება და ნდობა. ქართველები თავის მხრივ გულწრფელად ცდილობენ იპოვონ გზები აფხაზეთთან მჭიდრო და ძმური ერთიანობის დასამყარებლად. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული საბჭო აპირებს მოაწყოს შეხვედრა აფხაზეთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლებთან საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების გასარკვევად, ასევე ჩვენი ხალხების თანაცხოვრებისათვის კონტაქტების დასამყარებლად. საქართველოს ეროვნული საბჭო თხოვს აფხაზეთა სახალხო საბჭოს გამოაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ქალაქ თბილისში ამა წლის 20 იანვარს.

ამასთან ერთად გატყობინებთ, რომ აღნიშნულ შეკრებაზე მოწვეულნი არიან აგრეთვე სამურზაყანოს წარმომადგენლები.

ხელმოწერა: თავმჯდომარის მოადგილე – ჩხენკელი” [38].

საბოლოოდ, უფრო აქტიურები და აგრესიულები ბოლშევიკები გამოდგნენ, რომელთაც რუსი ბოლშევიკების დიდი ფინანსური, იდეოლოგიური და სამხედრო მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მაშინ, 1918 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი, ძირითადად გუდაუთის აფხაზი მოსახლეობა, დინების საწინააღმდეგოდ წავიდა. მათ საკუთარი ისტორიული და ბუნებრივი განვითარების გზა უარყვეს და რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილი ერთი მუჭა პოლიტიკური ავანტიურისტების ეფემერულ ვნე-

ბებს აყვნენ. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზთა ამ ნაწილმა ირწმუნა ბოლშევიკთა სოციალური ხასიათის დაპირებები და ისევ რუსეთი და რუსები აღიარა, ის ერი, ის იდეოლოგია და ის ეთნოსი, რომელმაც აფხაზი და კავკასიელი ხალხების ისტორიაში ყველაზე შავი ფურცლები ჩაწერა. ისტორიული ფაქტია, რომ მუჰაჯირობის შავი ეპოქა, იყო და ახლაც რჩება ყველაზე უფრო დიდ ეროვნულ ტრაგედიად კავკასიელი ხალხების არსებობისა და განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

მაშინ აფხაზმა სეპარატისტებმა ყური არ უგდეს თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტის, აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი მთავრის, თავად მიხეილ შარვაშიძის ვაჟის, გიორგი შარვაშიძის<sup>22</sup> შეგონებას ქართველთა და აფხაზთა

---

<sup>22</sup> გიორგი შარვაშიძე (1846-1918) – უბრწყინვალესი თავადი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, უბრწყინვალესი თავადის, მიხეილ შარვაშიძისა და ალექსანდრა დადიანის ვაჟი. 1863 წლიდან კავკასიის ჯარების სარდლის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ადიუტანტი. 1876 წლიდან ჰუსართა პოლკის ლეიბგვარდიის შტაბს-როტმისტრი, 1879 წლიდან – ფლიგელ-ადიუტანტი. 1887 წლიდან – პოლკოვნიკი. ცნობილი ეროვნული მოღვაწე, აფხაზი და ქართველი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, თერგდალეულთა თანამოაზრე. წერდა სამ – აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. თერგდალეულებთან ერთად იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, საერთო-ეროვნული ფასეულობების, ენისა და კულტურის განვითარებისათვის, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ფალსიფიკაციის გამოვლენისათვის, ორი მოძმე ერის ეროვნული ფესვებისა და მათი ურთიერთობების შენარჩუნებისათვის. ბრწყინვალედ იცნობდა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, აფხაზეთის ისტორიასა და ფოლკლორს. მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის მთავრობის კოლონიზატორულ პოლიტიკას, ითხოვდა მათგან ტაქტიკის შეცვლასა და ხალხის ტრადიციების პატივისცემას. მეფის მთავრობის მიერ რეპრესირებულ იქნა ორენბურგში გადასახლებით, საიდანაც დაბრუნების შემდეგ აეკრძალა აფხაზეთში ცხოვრება. წლების განმავლობაში ცხოვრობდა ქუთაისში. მშობლიურ ქალაქში, სოხუმში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1905 წელს მიიღო, სადაც გარდაცვალებამდე, 1918 წლის თებერვლამდე ცხოვრობდა.

საუკუნოვანი ერთიანობისა და ახალი ბოლშევიკური იდეოლოგიიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ:

„Правда, наша Родина, Иверия пережила большие культурные сдвиги, но наше прошлое заморозилось в такое время, что сбились с пути, отошли от закона естественной эволюции. Да, мы можем смело сказать, что если не помешали превратности судьбы, были бы сегодня впереди Европы, т.к. когда апостол Андрей здесь проповедовал учение Христа, тогда в Европе сами дуки были одеты в шкуры буйвола и босые охотились в лесах с копьем в руках.

После этого, с трудом, путем войны, постоянных ссор довели нашу культурную жизнь до времени царицы Тамар, которое являлось золотым веком Иверии.

А затем произошел поворот в жизни нации. Пришедшие враги не давали покоя и народ устал. Постепенно иссяк славный умственный и имущественный потенциал страны и разрушилась самобытная жизнь. Обеднел язык, испортились нравы, потеряли мощь, рыцарство и честность отбросили и, наконец, достигли до века, когда благосостояние находили в шпионаже и в предательстве Родины.

В то время, когда сознательная часть раздробленного иверского народа, скрестив руки на груди, стояла у могил своего бывшего величия, сегодня вдруг раздался голос справедливости и свободы!

Грузия бьет в набат, раздался возглас ура, ура!... Но слышится другой голос: мы не хотим свободы, не ищем автономию, все народы мира едины, мы только хотим предоставить льготы рабочему народу. Для этого необходимо отобрать имения у помещиков и раздать земли рабочим. Долой сословия и частная собственность на землю...

Так, до земных расчетов опустилось светящее солнце освобождения, оживления нации...”[39, 387-388]

პირველი ქართული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, იმ დროისათვის საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებული „სამუსულმანო საქართველოში“, პირველი რესპუბლიკის პერიოდში სხვადასხვა სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობების

პირი, შემდგომში ვერმახტის გენერალი, შალვა მაღლაკელიძე: „მაშინ გაიგეს აფხაზებმა, რომ აფხაზები არიან, რადგან რუსებმა შთააგონეს, თქვენ ქართველებთან არაფერი საერთო არა გაქვთ, თქვენ ხართ ჩვენი ჯიშის ხალხი, ჩრდილოეთ კავკასიელების, ამიტომ რა გაქვთ საერთო ქართველებთანო. რომ ამბობენ დავიკავეთ სოხუმით, არაფერი არ დაუკავებიათ, Совет солдатских и рабочих депутатов იყო. მაგალითად, როგორც ის მუტრუკი არსლანი მივიდა და გაძარცვა ქუთაისში დუქნები, მაგრამ დაიკავეს ქუთაისი, ასეთივე იყო აქაც. შეიჭრებოდნენ სოხუმში ან სადმე, და ფეხსაცმელებზე და ჩოხა-ახალუხზე „პოგრომებს“ აწყობდნენ, გაძარცვამდნენ და იძახდნენ კომუნისტები ვართო!..

რაც შეეხება აფხაზეთს, აფხაზეთს ავტონომია ჩვენ მივეცით, ე.ი. აფხაზეთს ქონდა Абхазский народный совет, თავისი მთავრობა ყავდათ არზაყან ემხვარის, მენშევიკის მეთაურობით. თავადი იყო, სემინარიაში გაზრდილი, ქართველობდა, ამიტომ მენშევიკებმა დანიშნეს, თუმცა აფხაზი იყო ნამდვილი, მერე დაიღუპა, მოკვდა, ემიგრაციაში გაყვანოე ქორდანიას“.[40, 102]

მართალია, ბატონ შალვა მაღლაკელიძის ამ მემუარში ცალკეული დეტალების გადმოცემაში მცირე უზუსტობები შეინიშნება, მაგრამ მიმდინარე პროცესების არსი ზუსტადაა გადმოცემული. ბოლშევიკთა მიერ წამოყენებული და უპოვართათვის ერთობ პოპულარული ღენინური ლოზუნგები – „Бей буржуев!“ და „Грабь награбленное!“, აქაც, აფხაზეთში, და მთლიანად ამიერკავკასიაშიც, ნელ-ნელა ძალებს იკრებდა.

1918 წლის დადგომისთანავე სოჭისა და სოხუმის ოლქებში მდგომარეობა იცვლება. ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური ფაქტორის გაძლიერებასთან ერთად, 5 იანვარს სოჭის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების კრებაზე არჩეულ იქნა რევოლუციის მმართველი ორგანო – სოჭის ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი“ (რევკომი), რომელსაც სათავეში ნ. პიროუკოვი ჩაუდგა. აქვე ჩამოყალიბდა „რევკომის“ სამხედრო ძალა – I მსოფლიო ომის ფრონტებიდან დაბრუნებული გადუხერტირებული ჯარის-

კაცებითა და „კერენსკის ბარტყებით“ უხვად გაჯერებული საოლქო წითელი გვარდია ნ. პოიარკოს მეთაურობით. სწორედ ბოლშევიკთა ამ წითელი გვარდიის ქვედანაყოფები იქცნენ სულ მცირე ხანში საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში განხორციელებული ბოლშევიკური აგრესიის მთავარ დამრტყმელ ძალად.

სიტუაცია იცვლება სოხუმის ოლქშიც. იდეოლოგიური და სამხედრო თვალსაზრისით სოჭისგან მხარდაჭერილმა სოხუმელ ბოლშევიკთა ჯგუფმაც აშკარა შეიარაღებული გამოსვლებისათვის დაიწყო მზადება. ცალსახად და გადაჭრით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ მოვლენების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად კავკასიის ფრონტის მოშლა და ფრონტიდან დაბრუნებული „რევოლუციურად“ განწყობილი, რეალურად კი, გადუხერტირებული, უმართავი და ზნეობადაკარგული რუს ჯარისკაცთა ნაკადები იქცნენ. არავითარი მითიური „მუშათა კლასი“ და არავითარი „რევოლუციური მასები“ ამ მომენტისათვის არც სოხუმში და მით უმეტეს, არც მთლიანად აფხაზეთში, უბრალოდ, არ არსებობდა.

საკითხის არსში უფრო საფუძვლიანად გარკვევისათვის კი, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე 1917 წლის მიწურულს არსებული ოპერატიული ვითარება და აქ განვითარებული მოვლენები. წარმატებული სამხედრო ოპერაციების შედეგად, 1917 წლის მდგომარეობით, რუსეთის კავკასიის არმიას (სარდალი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი ნიკოლაი იუდენიჩი)<sup>23</sup> ოსმალთა იმპერიის მნიშვნელოვანი ტერი-

---

<sup>23</sup> ნიკოლაი ნიკოლაევიჩი იუდენიჩი (1862-1933) – წარმოშობით ბელარუსი, რუსი მხედართმთავარი, გენერალური შტაბის ინფანტერიის გენერალი, რუსეთ-იაპონიისა და I მსოფლიო ომების აქტიური მონაწილე, I მსოფლიო ომის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი და წარმატებული სარდალი, თეთრიგვარდიული მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1887 წლიდან შტაბს-კაპიტანი და გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებული. 1892 წლიდან თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტი და პოდპოლკოვნიკი. 1896 წლიდან პოლკოვნიკი. 1900 წლიდან თურქესტანის 1-ლი მსროლუ-

ტორიები ჰქონდა ოკუპირებული და თითქმის 700 კმ-იანი ფრონტი შავი ზღვის სანაპიროდან, ქალაქ გირესუნიდან, ვანის ტბამდე გრძელდებოდა. იგი გირესუნი-ერზინჯანი-მუში-ბითლისის ხაზზე გადიოდა. ფრონტიდან მოხსნილი და რუსეთისაკენ მიმავალი ჯარისკაცთა და მატროსთა მასების გადაადგილებისათვის კი, ამ დროისათვის მხოლოდ ორი მარშრუტი არსებობდა. ერთი სახმელეთო – რკინიგზით, სარიყამიში-ყარსი-ალექსანდროპოლისი-ელიზავეტპოლი-ბაქო-პორტ-პეტროვსკი (დღევანდელი მახაჩყალა), მეორე კი საზღვაო – ტრაპიზონი ან ბათუმი, ხოლო შემდეგ – სოხუმი, ადლერი, სოჭი, ნოვოროსიისკი. შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ სარიყამიში, ხოლო მეორეს მხრივ ტრაპიზონი და ბათუმი იქცნენ „რეოლუციონერი“, რეალურად კი, გაყაჩაღებული რუსი ჯარისკაცების თავმოყრის ერთგვარ პუნქტებად. სარიყამიში ბოლო სარკინიგზო სადგურსა და რუსეთ-ოსმალეთის I მსოფლიო ომამდელ სასაზღვრო ქალაქს წარმოადგენდა, ხოლო ტრაპიზონი და ბათუმი, კავკასიის ფრონტის ხაზთან მდებარე უახ-

---

ლი ბრიგადის შტაბ-ოფიცერი. 1902 წლიდან მე-18 მსოფლიო პოლკის მეთაური. 1907 წლიდან კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერი. 1912 წლიდან გენერალ-ლეიტენანტი და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი. I მსოფლიო ომის საწყის ფაზაში კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი. 1915 წლიდან ინფანტერიის გენერალი და კავკასიის ფრონტის სარდალი. 1916 წელს არზრუმისა და ტრაპიზონის წარმატებული ოპერაციების გამო დაჯილდოებულ იქნა გიორგის II ხარისხის ჯვრით. ეს იყო რუსეთის იმპერიის მიერ გაცემული ამ სინჯის უკანასკნელი ჯილდო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იგი, როგორც დაჯერებული ცარისტი, უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას, იგი გადადგა და ტოვებს კავკასიის ფრონტს. 1918 წლის ბოლოდან თეთრგვარდიელი მოძრაობის ერთ-ერთი იდეური ლიდერი და ხელმძღვანელი ჩრდილოეთ რუსეთსა და ბალტიისპირეთში, თეთრგვარდიელთა ე.წ. „ჩრდილოდასავლეთის ფრონტის“ სარდალი. პეტროვგადზე განხორციელებული რამდენიმე უშედეგო ოპერაციის შემდეგ, 1920 წლის დასაწყისში ტოვებს ფრონტის სარდლის თანამდებობას და მიდის ემიგრაციაში.

ლოეს საზღვაო პორტებს. გადებურტირებულ ჯარისკაცთა და მატროსთა ამ დამანგრეველ ნაკადებს, მათი გადაადგილების მთელ მარშრუტზე „მოროდლორული შლეიფი“ მიუყვებოდა უკან. კავკასიის ფრონტის სწორედ ეს „რევოლუციონერი“ ჯარისკაცები და შავი ზღვის ფლოტის მატროსები იქცნენ სოჭის ოლქის წითელი გვარდიის ძირითად ბირთვად, ხოლო სოხუმის ოლქში – „ბოლშევიკური რევოლუციის“ მაპროვოცირებელ მთავარ ფაქტორად. ამ „რევოლუციის“ მთავარ არსს კი, არსებული ადგილობრივი ხელისუფლებების დამხობა, „პროლეტარიატის დიქტატურის“ დამყარება და ექსპროპრიაცია-კონფისკაციების ჩატარება წარმოადგენდა. ცხადი გახდა, რომ ლენინურ-ბოლშევიკური ლოზუნგები – „Бей буржуев!“, და „Грабь награбленное!“, აგრესიული მოწოდებების ფორმიდან რეალური ხორცშესხმის ფაზაში შედიოდა.

უკვე 1918 წლის 16 თებერვლისათვის, ისარგებლა რა ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ოსმალური შენაერთების მიერ კავკასიის ფრონტის გარღვევით, საერთო ქაოსითა და ამიერკავკასიის მთავრობის შეიარაღებული ძალების სისუსტით, რუსი ბოლშევიკების სამხედრო დახმარების იმედით აფხაზეთის ბოლშევიკთა ე.წ. „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა“ ეფრემ ეშბას ხელმძღვანელობით სოხუმში ხელისუფლების სადავეები იგდო ხელთ.

აფხაზეთში ე.წ. „საბჭოთა ხელისუფლების“ დამყარება კი, სოხუმის პორტში შავი ზღვის ესკადრის დამხმარე კრეისერ „Дакия“-ს შემოსვლას უკავშირდება, რომელიც კავკასიის ფრონტიდან წამოსული დებურტირი და გარევოლუციონირებული მატროსებითა და ჯარისკაცებით იყო დატვირთული. როგორი იყო კრეისერის მარშრუტი? რას წარმოადგენდა მისი ეკიპაჟი და რითი იყო იგი დაკავებული? პასუხს საარქივო დოკუმენტები იძლევიან: „Дакия“, რომელიც თვეზე მეტ ხანს დაცურავდა შავ ზღვაში და ტრაპიზონში ნაძარცვი საბრძოლო აღჭურვილობითა და საინტენდანტო ქონებით ვაჭრობდა, შიშსა და ძრწოლას თესავდა შავი ზღვის ყველა იმ ქალაქში, სადაც კი შედიოდა. მისი ეკიპაჟის მიერ დანგრეულ იქნა იალტა, დაბობილ იქნა ტრაპიზონი და ა.შ. იგივე ეკიპაჟი წინა რეიდე-

ბის დროს ორჯერ დაეცა რუკოვიშნიკოვის აგარაკს სოხუმში და გაძარცვა იგი...”[41]

აი ასეთი „იდეური რევოლუციონერებით” დატვირთულმა კრეისერმა ჩაუშვა ღუზა სოხუმის რეიდზე, მორიგი ვოიაჟის შემდეგ, 1918 წლის 15 თებერვალს. და გასაგებია თუ რა ჩანაფიქრები და მიზნები ექნებოდათ ხომალდის კაპიტანსა და მის „რევოლუციურ” ეკიპაჟს. მეტად ნიშანდობლივია საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ სოხუმში არსებული იმდროინდელი ვითარების აღწერა, სადაც ნათლად ჩანს საბჭოთა პროპაგანდისტული იდეოლოგიის მთელი სიყალბეც და ისტორიის ფალსიფიკაციის აშკარა მცდელობაც:

„მეტად დაძაბული მდგომარეობა იყო სოხუმში. აქ თავმოყრილი იყვნენ ყოფილი მეფის ოფიცრები, ყოყონა თავადები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენტები, რომლებიც მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ თავაშვებულ აგიტაციას ეწეოდნენ, მაგრამ მათ საპირისპიროდ სოხუმში მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ბირთვი მოქმედებდა და მემამულურ-ბურჟუაზიულ ბანაკზე იერიშის მისატანად ძალებს იკრეფდა”.[30, 443] რა ნაცნობი, მაგრამ უკვე საფუძვლიანად გაცვეთილი ფრაზეოლოგიაა ამ ერთ წინადადებაში – „ყოყონა თავადები”, „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენტები”, „მუშურ-გლეხური რევოლუცია”, „მძლავრი ბოლშევიკური პარტიული ბირთვი”, „მემამულურ-ბურჟუაზიული ბანაკი”... მაგრამ მხოლოდ პროპაგანდისტული და ბელეტრისტიკული ფრაზეოლოგიის უხვად ხმარებაში არაა საქმე. ამ ამონარიდთან დაკავშირებით, ყველაზე მთავარი და არსებითი ისაა, რომ რამდენი სიტყვაცაა მასში, იმდენი სიცრუე და ტყუილია დანთხეული საბჭოური იდეოლოგიის მიერ, იდეოლოგიურად შეფუთული ლამაზი ტყუილი.

სოხუმის ე.წ. „გასაბჭოების” უშუალო საბაბად კი, ერთობ პროზაული მომენტი იქცა – სოხუმის პორტში გადმოსულ მატროსებსა და აფხაზ თავადს, „კავკასიის ველური დივიზიის” ყოფილ ოფიცერს, პორუჩიკ ნიკოლოზ ემუხვარს შორის მომხდარი ინციდენტი, როდესაც „რევოლუციონერმა” მთვრალმა ჯარისკაცებმა სამხრეების ჩა-



მოვლევჯა დაუპირეს თავადს. ცხადია, თავმოყვარე და ღირსების მქონე ოფიცერმა ჯარისკაცთა თავხედური მოქმედებების შესაბამისად იმოქმედა. მან ერთი ჯარისკაცი იქვე მოკლა, მეორე დაჭრა, თვითონ კი – მიიმალა. „Дакия“-ს კაპიტანმა სოხუმის ხელისუფალთ ემუხვარის გადაცემა მოსთხოვა, რაც ამ უკანასკნელთა მხრიდან დროზე ვერ იქნა დაკმაყოფილებული. ამას კი, „Дакия“-ს საგემბანო ატილერიიდან სოხუმის დაბომბვა, ბორტზე მყოფი გავეშებული პირადი შემადგენლობის ქალაქში გადასვლა და მოსახლეობის მასობრივი დატერორება მოჰყვა შედეგად.

სოხუმში განვითარებული მოვლენების შესახებ სოხუმის ოლქის კომისარი, ზახაროვი, ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა კომისარს, აკაკი ჩხენკელს ატყობინებდა: „თებერვლის 15-ს ერთმა მეზღვაურმა შეურაცხყო აფხაზთა ასეულის ავიცერი ემუხვარი. მან მეზღვაური მოჰკლა. იშბაიამ (ეფრემ ეშბამ – ა. ჩ.), სვანიძემ და სხვებმა ისარგებლეს ამ ინციდენტით და მეზღვაურებში ადევნება გამოიწვიეს. მათ ჩააგონეს მეზღვაურებს რომ თავადები მეზღვაურების წინააღმდეგ ილაშქრებენო. შეადგინეს სამხედრო სარეგოლუციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ თვითონ და რამოდენიმე მეზღვაური. მათვე მიეკედლა მოხალისე მოყარაულეთა როტა. ემუხვარი გაიქცა, მაგრამ დრანდის მცხოვრებლებმა იგი შეიპყრეს, ჩამოიყვანეს სოხუმში და ნაღმოსანზე მყოფ მეზღვაურებს გადასცეს. მეზღვაურებმა ოფიცერი ემუხვარი ორთქლში ჩაახრჩვეს, მასთან დაჭერილი ცხენოსანი კი, გაგლიჯეს...“[42]

ღიახ, ასე დაიწყო რუსეთის „ღიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ გამოძახილი სოხუმში, და ბრძოლისა და დასჯის ასეთი მეთოდები იქნა გამოყენებული „კონტრრევოლუციონერებისა“ და „რევოლუციის მტრების“ წინააღმდეგ. შემდეგ კი, ფერები უფრო გამუქდა და სოხუმი და სოხუმის ოლქი საომარი მოქმედებების ზონად გადაიქცა: „მოდარაჯეთა პოლკმა ამ დროს გაანთავისუფლა ტუსადები. განთავისუფლებულები მოდარაჯეთა პოლკს მიემხრნენ. ქალაქში და მის მიდამოებზე ჰიდროპლანები ირეოდნენ და ყუმბარებს ისროდნენ ეშხერში (ეშერა – ა. ჩ.), სადაც აფხაზთა სახალხო საბჭო გაემგზავრა. მოჰკლეს 2

ბავში. წითელი გვარდია მარტო დარჩა და იძულებული იყო ეშხერისაკენ წასულიყო და აფხაზებს შეერთებოდა. თებერვლის 19-ში მოვიდა ჯავშნოსანი „პრინც კარლი“ და ხანგრძლივი სროლა აუტეხა ქალაქს. შემდეგ სროლა ეშხერებზეც გადმოიტანა. თავზარდაცემული მაცხოვრებლები გაიქცნენ. გამეფდა ცარცვა გლეჯა... ქალაქს გადაახდევინეს კონტრიბუცია 15000 მანეთი”. [43]

გაზეთ „სახალხო საქმის“ 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში კი, სათაურით, „საშინელი ამბები სოხუმიდან“, სოხუმში განვითარებული მოვლენები ასეა აღწერილი: „... დაიწყო ქლაქში სრული ანარქია. აფხაზთა რაზმი იძულებული შეიქმნა გასულიყო ქალაქს გარეთ. აქ მოელის აფხაზთა პროვინციებიდან დამხმარე რაზმებს. მართვა-გამგეობა ბოლშევიკების ხელშია. ქალაქში განუწყვეტელი სროლაა. ორთავე სამხედრო გემები განუწყვეტლივ უშენენ ქალაქს ზარბაზნებს. ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი და ოლქის კომისარი ქალაქში ორი დღეა არ არიან. ფიქრობენ ქალაქ გარეთ აფხაზებთან პროვინციებში თათბირობენ, რათა თავიდან აცილებული იქნეს ნაციონალური განხეთქილება, რომელსაც პროვოკატორები ეცდებიან გააჩაღონ და საერთო ძალით შეეცადონ წესიერების აღდგენას”. [43]

ასე განვითარდა 1918 წლის თებერვალში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ გამოძახილი სოხუმში. „ბოლშევიკი ჯარისკაცების“ მიერ ქალაქის მოსახლეობის დარბევები, ძარცვა-გლეჯა და სისხლიანი ანგარიშსწორებები დაიწყო. ამ მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ბოლშევიკებმა ეშბამ, სვანიძემ, ლაკობამ, და სასწრაფოდ შეუდგნენ „რევოლუციური ნაპერწკლის აალებას“. სოხუმის „რეკომი“ აფხაზთა სახალხო საბჭოსა და მთლიანად აფხაზ ხალხს დაუპირისპირდა. მერე რა, რომ სოხუმი და მისი გარშემოგარენი საგემბანო მძიმე არტილერიით იბომბებოდა, მერე რა, რომ ქალაქს ავიაცია ურტყამდა, მერე რა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპებოდა, მერე რა, რომ ბავშვები იხოცებოდნენ, მერე რა, რომ ქალაქში ე.წ. „ბოლშევიკები“ და კრიმინალები დათარეშობდნენ, მერე რა, რომ მორღოდრობამ და ძარცვა-გლეჯამ არნახულ მასშტა-

ბებს მიაღწია, მერე რა, რომ სოხუმი ბოლშევიკური ტირანიის პოლიგონად იქცა საქართველოში, მერე რა, რომ... და კიდევ ბევრი „მერე რა“. როგორც ვხედავთ, უსასრულოდ შეიძლება კაცთა მოდემის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებების ამ ჩამონათვლის გაგრძელება. მთავარს ხომ ლენინურ-ტროცკისტული მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეები, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და მუშათა და გლეხთა უნიფიცირებული საბჭოთა იმპერიის შექმნა წარმოადგენდა.

ზემოთ მოყვანილი პროცესების პარალელურად, ამუშავებას იწყებს ბოლშევიკური ოკუპაციის ჩვეული სქემა, რაც სხვა ქვეყანაში ჯარების შეყვანამდე ითვალისწინებდა ადგილზე უკმაყოფილებებისა და ვითომ სახალხო აჯანყების ინსპირირებას, „მშრომელთა ინტერესების დამცველი“ ე.წ. „რეკომების“ („სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი“) შექმნას და მის დროებით მთავრობად გამოცხადებას. ბოლო ფაზას კი წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა და ქვეყანაში რუსული სამხედრო შენაერთების შემოყვანა. ოკუპაციის ამ სქემას საბჭოელები წარმატებით ანხორციელებდნენ უკვე შემდეგშიც, ათწლეულების განმავლობაში...

ზემოთ მოყვანილი სქემის შესაბამისად, სოხუმშიც შეიქმნა ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მას სათავეში ეფრემ ეშბა ჩაუდგა, რომელიც მანამდე არაღვებულად ცხოვრობდა ტრაპიზონსა და ბათუმში და რევოლუციურ ტალღას შემოჰყვა აფხაზეთში. ნიკოლოზ სვანიძეს, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას მალე გვეორქ ათარბეგოვიც უერთდება, ეფრემ ეშბას სტუდენტობისდროინდელი მეგობარი და თანამოაზრე, ე.წ. „პრავდისტთა“ არაღვებული ჯგუფის წევრი.[26, 12] ამ ე.წ. „რეკომის“ მიერ სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. „რეკომის“ მიერ სასწრაფოდ გამოცემულ ბიულეტენში კი ნათქვამი იყო: „Знайते, товарищи и граждане, что власть в твердых руках и всякий, посягнувший на нарушение революционного порядка, будет предан военно-революционному суду“.

მოკლედ რომ ვთქვათ, სოხუმს „ოქტომბრის რევოლუციის“ პირველმა ზვირთმა გადაუარა და აქ „რევოლუციური წესრიგი“ დამყარდა. „წესრიგის“ უზრუნველსაყოფად კი, სასწრაფოდ შეიქმნა ბოლშევიკთა ე.წ. „სამხედრო-საგეგმე სასამართლოც“, რომლის მეშვეობითაც დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა „კონტრრევოლუციასთან“. საბჭოთა და რუსული ისტორიოგრაფიის მიერ სოხუმში განვითარებული ეს ბანდიტური მოვლენები უმაღლეს სოციალისტურ რევოლუციად და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებად იქნა მონათლული. რეალურად კი, როგორც ვნახეთ, ეს იყო შავი ზღვის ფლოტის გარეოლუციონერებული მატროსების, კავკასიის ფრონტის დეზერტირი ჯარისკაცებისა და სოხუმის საპყრობილედან გამოშვებული „კერენსკის ბარტყების“ – ადგილობრივი კრიმინალების სისხლიანი თარეში, რომლებმაც მოკლე ხანში გააპარტახეს შავი ზღვის ეს უღამაზესი ქალაქი.

ქალაქის მოთარეშებისა და მნიშვნელოვანი „კონტრობუციის“ ართმევის შემდეგ, მალე კრეისერი „Дакия“ ტოვებს სოხუმის პორტს, მას კი მორიგი „რევოლუციური ხომალდები“, საეკადრო ნაღმოსანი „Дерзкий“ და ჯავშნოსანი „პრინც კარლი“ („Король Карлос“) და მათი ეკიპაჟები – გაბოლშევიკებულ ყაჩაღთა ახალი ბრბოები ესხმიან თავს. ქალაქ სოხუმს „ოქტომბრის რევოლუციის მეორე ზვირთმა“ გადაუარა. როგორც პროფესორი სვეტლანა ჩერვონაია აღნიშნავს: „რეეკომის“ სამხედრო ძალა – შავი ზღვის ფლოტის რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურები კრეისერ „Дакия“-დან და სატორპედო კატარდა „Дерзкий“, თავისი მხეცობებით შიშსა და ტერორს თესავდნენ აფხაზეთის მოსახლეობაში“.[44]

სისხლის სამართლის დამნაშავეების, გაყაჩაღებული მატროსებისა და ბოლშევიკი უზურპატორების წინააღმდეგ აგორებულ მასობრივ სახალხო წინააღმდეგობას აფხაზთა სახალხო საბჭო ჩაუდგა სათავეში. ისევ ოლქის კომისრის, ზახაროვის ჩხენკელისადმი მიმართვის ტექსტიდან: „ჯავშნოსნის წასვლის შემდეგ წითელი გვარდიელები შეუერთდნენ აფხაზებს, ბერძნებს, სომხებს, შევიდნენ ქალაქში,

იარაღი აჰყარეს მოდარაჯეთა როტას და ქალაქში წესიერება ჩამოაგდეს. შედგა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომიტეტი. მეგრელები ბოლშევიკებს უთანაგრძნობენ. გთხოვთ მათ ავტორიტეტული სიტყვით მიმართოთ. საჭიროა სოხუმში სამხედრო ნაწილის შექმნა. ასეთი იქნება აფხაზთა ბატალიონი, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ დახმარებას”.<sup>[45]</sup>

რაც შეეხება აკაკი ჩხენკელს და მის პოზიციას სოხუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. უნდა განვაცხადოთ, რომ, როგორც ჩანს, ჩხენკელმა ბოლომდე ადეკვატურად ვერ აღიქვა სოხუმში განვითარებული მოვლენების მთელი სერიოზულობა. მან „ავტორიტეტული სიტყვით მიმართვისათვის” საკუთარი უფლებამოსილებების დელეგირება ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადასცა.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, 1918 წლის თებერვალში სოხუმში დატრიალებული სისხლიანი ვანდეა<sup>24</sup>, არა ქართულ-აფხაზური ეთნიკური დაპირისპირება იყო, რის კულტივირებას ადრეც ცდილობდნენ, და ახლაც ცდილობენ იმპერიული და სეპარატისტული ძალები, არამედ – ქართულ-რუსული იდეოლოგიური ომის შემადგენელი ნაწილი, ბოლშევიკურ-კრიმინალური აგრესია საქართველოსა და იქ მაცხოვრებელი ხალხების წინააღმდეგ, და ამ ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ბოლშევიკური შეიარაღებული აგრესიის მიზანს კი, საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამყარება და განმტკიცება, შემდეგ კი, ახალი ტიპის ბოლშევიკური იმპერიის შეკოწიწება წარმოადგენდა, რა-

---

<sup>24</sup> ვანდეა (ფრანგულად Vendée) – ისტორიული დეპარტამენტი საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ლუარის რეგიონში. შეიქმნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში – 1790 წელს. ოპოზიციისა და როიალისტური კონტრრევოლუციის მთავარი კერა, 1793 წელს დაწყებული კონტრრევოლუციური ამბოხება, სადაც XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ხდებოდა გლეხთა გამოსვლები სამღვდელოებისა და მემამულეთა მეთაურობით.

საც ხალხი აღუდგა წინ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ ამ ე.წ. „რევოლუციის“ ჩახშობის საქმეში, სოხუმის მოსახლეობის დიდი ნაწილი – ქართველები და აფხაზები, ისევე როგორც ბერძნები და სომხები, ერთად იღვნენ.

საზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ ამ მომენტისათვის მსგავსი პროცესები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დაიწყო. კერძოდ, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში, ძველი რევოლუციონერებისა და ბოლშევიკების, ალექსი (საშა) გეგეჭკორისა<sup>25</sup> და შალვა ასკურავას ხელმძღვანელობით. ცხადი იყო, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაწყებული შეიარაღებული გამოსვლები ბოლშევიკთაგან იყო ინსპირირებული და იგი ერთიანი სტრატეგიული გეგმით, ჩრდილოეთიდან იმართებოდა. სამეგრელოში, ბანძის მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას, შალვა ასკურავა აცხადებდა: „თქვენ მე აქ მარტო არ გეგონოთ. ჩემი ამხანაგები „ბალშევიკები“ სხვაგანაც ბლომად მუშაობენ. დღეს თუ

---

<sup>25</sup> ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887-1928) – ძველი პროფესიონალი რევოლუციონერი და ცნობილი ბოლშევიკი, ტერორისტი, საბჭოთა და პარტიული მოღვაწე. 1902 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. ბოლშევიკური ტერორისტული ჯგუფის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. რსდმპ(ბ) წევრი 1908 წლიდან. 1917 წელს ქუთაისის ბოლშევიკთა ბიუროს შემქმნელი. 1918 წლის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში მოქმედი ბოლშევიკთა საბრძოლო შტაბის ხელმძღვანელი და ბოლშევიკური აჯანყების ლიდერი. იმავე წელს ღუშეთის მაზრის ბოლშევიკური აჯანყების ხელმძღვანელი. 1919 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ბოლშევიკური შეიარაღებული რაზმების მეთაური. 1920 წელს მეტეხის ციხის პატიმარი. 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე გათავისუფლებული. საქართველოს გასაბჭოების აქტიური მონაწილე. 1921 წელს ქალაქ თბილისის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს რევკომის წევრი. 1922-1924 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

არა, ხვალ, ისინიც შემოგვიერთდებიან. მთელი რაჭა-ლეჩხუმი, სოხუმი და ბაქო დღეს ჩვენს ხელშია და შორს არაა ის დროც, როდესაც შეერთებული ძალით ძირს დავსცემთ ამიერკავკასიის სეიმს და მთავრობას, და მტკიცე ზავს ჩამოვაგდებთ”.[46]

შალვა ასკურავასთან დაკავშირებით ერთობ საინტერესო და ნიშანდობლივია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსის, ვალიკო ჯუღელის ის მოგონებები, სადაც კარგად ჩანს „მშრომელთა მასების ბედნიერებისათვის დამაშვრალი” ამ ბოლშევიკი ლიდერების ზნეობრივი და მორალური სახე. ეს მემუარი ჟურნალ „სახალხო გვარდიელის” 1921 წლის 1 თებერვლის ნომერში იყო დაბეჭდილი:

ვალიკო ჯუღელი: „...აუცილებელია სწრაფად გავანადგუროთ ავაზაკთა ბანდები.

ამ ბანდების სათავეში სდგანან ყოფილი ჩაფრები, ყოფილი მელა ოჩიგავა, უნიჭო შალიკო ასკურავა და შანტაჟისტი მიშა გეგეჭკორი. თმახუჭუჭა შალიკოსთან ერთად მე ვიჯექი მეტეხის ციხეში ერთი პროცესის – ბოლშევიკების პროცესის გამო. ეს იყო რევოლუციამდე და მე ვიყავი მაშინ მტკიცე ბოლშევიკი, თუმცა ფრაქციონერად მე თავს არასდროს არ ვთვლიდი. დამფუძნებელი კრების გარეკვამ საბოლოოდ დამაშორა აფეთქებულ ბოლშევიზმს და მე გავხდი უბრალოდ სოციალ-დემოკრატი...<sup>26</sup>

ღიას, ასკურავა ბოლშევიზმისათვის იჯდა, მარა ამას გარდა ის იყო პასუხისგებაში მიცემული იმის გამო, რომ ინახავდა ყალბ ბლანკებს და ბეჭედს სამოქალაქო სასწავლებლის კურსის დამთავრების შესახებ, ყალბი მოწმობების დასამზადებლად.

---

<sup>26</sup> ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი, მოგვიანებით, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, ვალიკო ჯუღელი, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ბოლშევიკი იყო და შემდეგ გავხდა მენშევიკი, განსხვავებით საბჭოთა რუსეთის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის, ლევ ტროცკისაგან, რომელიც პირიქით – ორთოდოქსი მარქსისტი მენშევიკიდან ბოლშევიკად იქცა.

სულელი, უკულტურო ბავშვი, რომელმაც გოგოლის ქალის მსგავსად არ იცის „სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. და ახლა ის ჩემი მოწინააღმდეგეა და მას უჯეროიან უბედური სოფლებები... ეს ძალიან სასაცილოა, ძალიან სამწუხარო რომ არ იყოს“.[47]

მაღე ბოლშევიკთა მიერ ინსპირირებულმა აჯანყებებმა და ანარქისტულმა პროცესებმა შიდა ქართლის ჯავისა და ცხინვალის რაიონები და დუშეთის მაზრაც მოიცვა.

ბოლშევიკური ე.წ. „რევოლუცია“ კი, აფხაზეთში ისევე მოულოდნელად დასრულდა, როგორც დაიწყო. „Дерзкий“-ისა და მისი გარეოლუციონირებული მატროსების მიერ სოხუმის მორიგი მოთარეშების შემდეგ, საესკადრო ნაღმოსანმა 21 თებერვალს პორტი დატოვა. როგორც კი „Дерзкий“ თვალს მიეფარა, სოციალ-დემოკრატებმა მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინეს. ანარქიას, უკანონობასა და განუკითხაობასთან საბრძოლველად ჩამოყალიბდა „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომიტეტი“, ქალაქის თავის, ბენია ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით.

კანონიერებისა და მართლწესრიგის აღსადგენად სოხუმის ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა რიგი ზომებისა. აფხაზეთა სახალხო საბჭომ, ცხადია, ისევე ქართველი სოციალ-დემოკრატების მხარე დაიკავა. სოხუმის მოსახლეობამ თავის თავზე იწვნია ერთი მუჭა ავანტიურისტი ბოლშევიკების, კრიმინალებისა და გარეოლუციონირებული ყაჩაღური ბრბოების თავნებობა და სისხლიანი თარეში. „სასოწარკვეთილებამდე მისული აფხაზები, – წერდა ქალაქ სოხუმის თავი, ბ. ჩხიკვიშვილი, – რომლებიც ღლიაღურად იყვნენ განწყობილნი ქართველებისა და სხვა ხალხებისადმი, „შეიძლება იქამდეც კი მივიდნენ, რომ თურქებს სთხოვონ დესანტი, თუ ჩვენი მხრიდან არ იქნება მიღებული ზომები წესრიგის აღსადგენად“.[39, 404]

ნაღმოსანმა და მისმა ეკიპაჟმა სოხუმი დატოვა, ხოლო ადგილობრივმა შეიარაღებულმა ბანდიტებმა და ციხიდან გამოშვებულმა კრიმინალებმა სასწრაფოდ დატოვეს სოხუმი და დრანდის რაიონს შეეფარნენ. საკუთარი თავი მათ ბოლშევიკებად გამოაცხადეს. აქვე დაიწყეს ადგილობ-



რივი ქართველი მოსახლეობის შემოკრება „აფხაზებისა და მენშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად“.[48, 454]

საბჭოთა და სეპარატისტი იდეოლოგიები 1918 წლის თებერვალში სოხუმის ოლქში განვითარებულ ამ მოვლენებს, რა თქმა უნდა „სოციალისტურ რევოლუციად“ ნათლავენ და საგულდაგულოდ ნიღბავენ მის არსს, თუმცა მაინც ვერ ახერხებენ ბოლომდე დამაღონ რეალური სურათი. ასე მაგალითად, ცნობილი აფხაზი საბჭოთა, პარტიული და სახელმწიფო ფუნქციონერი, მიხეილ ბლაჟბა,<sup>27</sup> თავის პუბლიცისტურ ნაშრომში – „ნესტორ ლაკობა“, ამ ამბების შესახებ წერს: „ბოლშევიკი აგიტატორები უწყვეტად აწარმოებდნენ რევოლუციურ მოღვაწეობას აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში. სულ უფრო მეტი და მეტი მშრომელი ერთიანდებოდა ამბოხებულთა რაზმებში. აფხაზურ სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობდა დატაკთა მასების თავმოყრა ბოლშევიკთა გარშემო. სოფლის მშრომელი მასები, და პირველ რიგში ღარიბები, სულ უფრო მძლავრად გამოდიოდნენ მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივი კონფისკაციისა და განაწილების მოთხოვნით. ზოგიერთ სოფელში გლეხები სიტყვიდან საქმეზე გადადიოდნენ და ძალით იტაცებდნენ მიწებს“.[37, 21] ისევ ტიპიური ტერმინოლოგია – „მშრომელთა მასები“, „ბოლშევიკი აგიტატორები“, „ღარიბი მასები“, „მემამულეები“... მაგრამ აქ ეს არ არის არსებითი. მთავარი და საინტერესო ის რეალობაა, რომ ბოლშევიკ პროვოკატორთა მიერ შეგულიანებულია და თავგზააბნეულმა გლეხობამ მართლაც დაიწყო მიწებისა და სხვათა ქონების ძალისმიერი დატაცებები, ანუ, შეუდგა „რევოლუციური ალის“ აგიზგიზებას...

---

<sup>27</sup> მიხაილ ბლაჟბა (1915-1993) – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, პუბლიცისტი. 1945 წლიდან სხვადასხვა საბჭოთა და პარტიულ თანამდებობებზეა. 1957 წლამდე საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი. 1957-1958 წლებში აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1958-1965 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცეკას წევრი.

ამავე საკითხთან მიმართებაში კი, საარქივო დოკუმენტები გვაუწყებენ: „...მიწების დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო... აფხაზეთში, ქუთაისის გუბერნიაში. აფხაზეთის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ დიდი მთავრის, რომანოვის მამულებს „სინოპსა“ და „გიაურს“ სეკვესტრი დაადო“.[30, 376]

ღიას, სწორედ მარქსისტული „რევოლუციური ექსპროპრიაცია-კონფისკაციები“ და ლენინური ლოზუნგის – „Грaбь нaгрaблeннoе!“-ს რეალიზაცია წარმოადგენდა აფხაზეთის „პირველი ბოლშევიკური რევოლუციის“ ძირითად არსსა და მიზანს. ფაქტები უამრავია, რაც საარქივო დოკუმენტებითაც დასტურდება. მაგალითად, ათონის მონასტრის არქიმანდრიტი ილარიონი თბილისის სამხარეო კომისარიატს შეშფოთებით წერდა, რომ აფხაზები, ლიხნის კომიტეტის რწმუნებულის, მიხაილ მიქანბას ხელმძღვანელობით იკავებდნენ ახალი ათონის სამონასტრო მიწებს, ახდენდნენ მონასტრის კუთვნილი საქონლისა და სამეურნეო იარაღის რეკვიზიციას, ჩეხავდნენ კულტურულ ნათესებს, აჩანაგებდნენ სამონასტრო მეურნეობას.[49]

აღნიშნულ მოვლენათა შედეგების ლიკვიდაციისა და სოხუმის ოლქში საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით, 1918 წლის 4 მარტს, სოხუმში გაიხსნა გლეხთა დეპუტატების II ყრილობა, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების 300-მდე დელეგატი მონაწილეობდა: აფხაზები, ქართველები, სომხები, რუსები, ბერძნები, ესტონელები და სხვა. პირველი სხდომა არზაყან ემუხვარმა<sup>28</sup> გახსნა,

---

<sup>28</sup> არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი (1880-1939) – ცნობილი აფხაზი და ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ძველი აფხაზური არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი. ძველი რევოლუციონერი, „მესამე დასის“ წევრი. სოციალ-დემოკრატი მენშევიკი, რსდმპ წევრი 1902 წლიდან. 1905-1907 წლებში ეწ. „სოხუმის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელი. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ОЗAKOM) რწმუნებული სოხუმის ოლქში. 1919 წლიდან აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი და აფხაზეთის პირველი მთავრობის – აფხაზეთის კომისარიატის პირველი თავმჯდომარე. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

სხდომის თავმჯდომარედ კი ერთხმად იქნა არჩეული ბ. ჩხიკვიშვილი.[50]

საბოლოოდ, 4-9 მარტს სოხუმში გამართულ გლეხთა II ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარების საფუძველზე, მოსახლეობის მიერ სოხუმის ოლქსა და მთლიანად აფხაზეთში მოხერხდა ერთი მუჭა ავანტიურისტებისა და კრიმინალების სისხლიანი თარეშის აღკვეთა და მდგომარეობის დასტაბილურება. ამავე დროს, ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის შესვლის შესახებ ამიერკავკასიის ხალხთა ერთიან ოჯახში, რათა „დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოჭედილიყო უკეთესი მომავალი“.

სოხუმის ოლქის გლეხთა II ყრილობის ანგარიშიდან: „ყრილობა ბ. ჩხიკვიშვილმა დახურა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ყრილობამ შეძლო მოქმედების საერთო ხაზის გამონახვა, რომ პროვოკატორებისა და ბნელი ძალების ბოროტმა აგიტაციამ ვერ მიაღწია მიზანს და სოხუმის ოლქის სხვადასხვა ეროვნების გლეხობა ერთად შეიკრნენ...“

ამგვარად, სუთდღიანი მუშაობის შემდეგ ყრილობამ მუშაობა დაასრულა. იგი შეიკრიბა ძალიან ცუდ ატმოსფეროში. ამიტომ მრავალი საკითხი გადაუჭრელი დარჩა, მრავალი კი – ისე გადაწყდა, როგორც არ უნდა გადაწყვეტილიყო. თუმცა ერთი რამ ნათელია: სოხუმის ოლქის გლეხობამ ზურგი შეაქცია ბოლშევიკებს, უარყო მათი ღოზუნგები და ამიერკავკასიის დემოკრატიასთან ერთად ჩვენი ქვეყნის გადარჩენას ამიერკავკასიის სეიმში ხედავს. ამას გარდა, ამ ყრილობაზე საბოლოოდ გაირკვა აფხაზთა დამოკიდებულება ქართველების მიმართ. აფხაზი ხალხისა და მისი ინტელიგენციის შეგნებული ნაწილის სურვილები ახდა. აფხაზეთმა გადაწყვიტა შევიდეს ამიერკავკასიის ხალხთა ერთიან ოჯახში, როგორც თანაბარუფლებიანი

---

1921 წლის მარტიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაშია. გარდაიცვალა 1939 წელს პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართული სათვისტომოს სასაფლაოზე.

წვერი და გამოჭედოს თავისი საუკეთესო მომავალი საქართველოს დემოკრატიასთან ერთად...

ყრილობის მიერ არჩეულმა გლეხთა საბჭომ გამოყო აღმასრულებელი კომიტეტი. არჩეულ იქნა 9 წვერი: არ. ემუხვარი, მ. ცავა, დ. გულია, დოცენკო, ვ. ესვანჯია, აბუხბა, ძიძარია და ბარციცი, მდივნად – აჯამოვი. მათგან 6 სოციალ-დემოკრატი მენშევიკია, სამი ესერი და ერთი უპარტიო”[50] ყრილობის მიერ მიღებული იქნა სათანადო რეზოლუცია:

ძარცვებისა და ყაჩაღობის საკითხში – დაევალოს გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო კომიტეტსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტმა მიიღოს გადამწყვეტი ზომები ქალაქში ყაჩაღობების და ძარცვების აღსაკვეთად.

მობილიზაციის საკითხში – გადაუდებლად იქნა მიხნეული მობილიზაცია და მხარის დაცვა გარეშე მტრისაგან. აფხაზთა მიმართ კი გადაწყდა, რომ ისინი ფორმირებას გაუკეთებდნენ მოხალისეთა რაზმებს ფრონტზე გასაგზავნად”[51]

ძალიან მნიშვნელოვანი იყო მიღებული 9 პუნქტიანი რეზოლუციის სამი – 1-ლი, მე-2 და მე-7 პუნქტები:

1. აფხაზეთი, რომელიც ეყრდნობა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს, შიდა ცხოვრების მოწყობის საკითხში თავს სრულიად დამოუკიდებლად აცხადებს;
2. აფხაზეთის ტერიტორიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აღიარებულია აფხაზთა სახალხო საბჭო;

.....

7. აღიარებს რა, ამიერკავკასიის სეიმს ამიერკავკასიის ყველა ხალხების უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებად, აფხაზეთი, როგორც ხალხთა ამიერკავკასიური ოჯახის წვერი, აგზავნის თავის წარმომადგენლებს როგორც სეიმში, ასევე სეიმის მიერ ორგანიზებულ მთავრობაში.[52]

ამიერკავკასიის მთავრობის მიერ სათანადოდ იქნა შეფასებული „რევოლუციონერი” მატროსებისა და მათი მეკობრეობისაგან მომავალი საფრთხეები. აღნიშნული სახის „რევოლუციების” აღკვეთის მიზნით სათანადო ზომების განხორციელება დაიწყო. კერძოდ, ბათუმის რეიდზე მყოფი ხომალდების ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების

კუთვნილებაში გადაცემა. აფხაზეთში გამოძავალი გაზეთი „Известия“ იტყობინებოდა: „5 მარტს, დილის 5 საათზე ჩვენი ნაწილების მიერ მატროსებს ჩამოერთვათ მთელი ფლოტი და ტრანსპორტი, რომელიც ბათუმის პორტში იმყოფებოდა. ყველა მატროსი დაპატიმრებულია. მოკლულია ქართველი ოფიცერი. საქმის ვითარება შემდეგია: ღამით მატროსები ფლოტთან და ტრანსპორტთან ერთად ცდილობდნენ გასულიყვნენ ბათუმიდან ჩრდილოეთის პორტების მიმართულებით. მიღებული ცნობებით, კრეისერზე „კაროლ კარლი“ შეპყრობილნი არიან თურქეთის წარმომადგენლები, რომლებსაც თითქოსდა მატროსებმა მიჰყიდეს ეს კრეისერი. მატროსთა დაპატიმრებები გრძელდება. ქალაქში სიწყინარეა“.[53]

ყურადსაღებია რომ კრეისერ „კაროლ კარლთან“ ერთად „რევოლუციონერ“ რუს მატროსებს სატრანსპორტო ხომალდი „წმინდა მიხეილიც“ ჩამოერთვათ, რომელიც სულ მალე შეიქმნება იგივე აფხაზეთში გაშლილი მორიგი საომარი კამპანიის ერთ-ერთ გადამწყვეტ ელემენტად, მაგრამ ამჯერად არა ბოლშევიკების „რევოლუციური“ მეკობრეობის ავანგარდში, არამედ ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. შავი ზღვის ფლოტის გემების ნაწილის ხელში ჩაგდების წარმატებული ოპერაციის შესახებ, ბათუმში მყოფი ნოე რამიშვილი ევგენი გეგეჭკორს ატყობინებდა: „...300 მეზღვაური დავატყვევეთ. გავვექცა ერთი ნაღმოსანი, რომელიც ზარბაზნის ტყვიით არის დაზიანებული. ჩვენ დაგვრჩა კრეისერი „კაროლ კარლ“, ერთი ნაღმოსანი, რამდენიმე გამანადგურებელი, „კატერები“ და ბევრი სატრანსპორტო გემი, რომელთაც შეაიარაღებენ“.[54]

საბჭოთა ისტორიოგრაფია „აფხაზეთის პირველი ბოლშევიკური რევოლუციის“ მარცხის მიზეზებს შემდგენიარად აღწერს: „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა დაკვრითი წესით განახორციელა ღონისძიებები ბურჟუაზიის ასაღაგმავად, მაგრამ მან ვერ გამონახა საშუალებანი, რომ სოსუმში მოპოვებული ძალაუფლება რაიონებზე განეგრძო, მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა აფხაზეთის რაიონულ ბოლშევიკურ ჯგუფებთან...“[30, 443] ისევ ტიპიური საბჭოური დემაგოგია...

რა მოხდენილადაა შენიღბული ფრაზაში „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა დაკვრითი წესით განახორციელა ლოსისძიებები ბურჟუაზიის ასალაგმავად” – სოხუმში დატრიალებული სისხლიანი ვანდუა, მშვიდობიანი მოსახლეობისა და ბავშვების ხოცვა-ჟლეტა.

„აფხაზეთის პირველი სოციალისტური რევოლუციის”, ანუ, პროლეტარული ექსპროპრიაცია-კონფისკაციების ექო კიდევ დიდხანს ისმოდა აფხაზეთის მიწაზე. გაზეთ „Возрождение”-ს რედაქტორი, ნიკოლაი მაზურკევიჩი, გაზეთის 12 მარტის ნომერში წერდა: „Вчера в 7 часов в Новом Афоне дерзко ограблен Земсоюз, взята касса, 20000 отчетные приходо-расходной бумаги. Абхазцы без ведома абхазского Совета категорически решили реквизировать частично монастырскую землю, продать монастырский скот”. [55]

რეალობა კი ის იყო, რომ სოხუმის თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით ფასად მოხერხდა ერთი მუჭა ბოლშევიკი ავანტიურისტებისა და კრიმინალური ბანდების თარეშის აღკვეთა სოხუმის ოლქში. „მეზნებარე რევოლუციონერებისათვის” ბოლშევიკური გადატრიალების პირველი მცდელობა კი, როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოს სხვა კუთხეებში, წარუმატებელი და ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა.

**AR. CHACHKHIANI**

### **TO THE HISTORY OF THE FIRST ABKHAZ “BOLSHEVIST REVOLUTION”**

The article concerns the ideological-political premises, development and outcomes of the so called “first bolshevist revolution” in Abkhazia.

At the end of 1917 the spontaneous processes of settling the Soviet power in the different parts of the former Russian Empire, took its

start. These processes turned especially severe in the outer regions, where the ideological, political, national and social tensions had been accumulating for many years and reached the culmination just at that time. Echo of the revolution soon came to the Black Sea region and to Abkhazia in particular. From the beginning of the 1918, the group of the bolsheviks from Sokhumi apparently began getting ready for the armed rebellion. It should be noted clearly and resolutely, that the Russian soldiers, who flooded the region after the WWI, as the Army of Russia had disintegrated, became the main determining factor for those activities; they were appealed to as having revolutionary spirit, but in fact, they were mostly deserters, demoralized and out of control. It can be said for sure that there were no such factors as “Working class” or “Revolutionary masses” neither in Sokhumi nor in Abkhazia generally. These phenomena simply did not exist.

The destructive flows of the deserting soldiers and sailors had a ruinous train of robbing and other violations, along their routs. The essential goals of this “revolution” were overthrowing the local authorities, establishing the dictatorship of proletariat and carrying out expropriations or confiscations. It became clear that the slogans proliferated by Lenin and other bolshevik leaders, “Strike the bourgeois” and “Steal what have been stolen” (in Russian: „Бей буржуев!”, „Грабь награбленное!”), were on the stage of becoming absolutely real.

On 16 February 1918, having exploited the chance, as the Ottoman units broke through the Caucasian front, spreading of overall chaos and weakness of the Transcaucasian government armed forces, the Abkhaz “military revolutionary committee,” under the leadership of Ephrem Eshba, expecting full support from the Russian bolsheviks, resumed the authority. Even more violations followed this fact which were immediately given the name of the “Socialist revolution” in the Soviet historiography.

Finally, based on the resolutions of the II congress of peasants held in Sokhumi, on 4-9 March, the population managed to establish relative order, preventing violations from the groups of criminals. The first attempt of the ardent revolutionaries to make a bolshevik coup, turned out unsuccessful and short-lived in Abkhazia as well as in other parts of Georgia.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Makers of Modern Strategy from Machiavelli to the Nuclear Age. Edited by Peter Paret. Hajo Holborn. *The Prusso-German school: Moltke and the Rise of the General Staff*. Princeton University Press. Princeton. New-Jersey. 1986.
2. В. И. Ленин. Сочинения, т. 21.
3. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი 36. გამოცემა მეოთხე. საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1959.
4. В. И. Ленин. О лозунге Соединенные Штаты Европы. Социал-Демократ, № 44, 23 августа 1915 г. Печатается по тексту газеты „Социал-демократ“. <http://www.marxists. Org/russkij/lenin/ 1915/08 /10a.htm>.
5. Резников А. Б. О восточной политике Коминтерна. – В кн.: Коминтерн и Восток. Критика критики. М., 1978.
6. Великий князь Андрей Владимирович. Выдержки из дневника за 1917 год.
7. Суханов Н. Н. Записки о революции. Книга 3. Создание единого фронта крупной и мелкой буржуазии 3 апреля - 5 мая 1917 года.
8. Ленин В.И. Полн. Собр. соч. Т. 31, т. 34, т. 40.
9. Конев А. М. Организация первых отрядов Красной гвардии и их вооружение // Красная гвардия на защите Октября / Отв. редактор Н. Н. Азовцев. – 2-е изд. – М.: Наука, 1989. – С. 19-21, 23-28. – ISBN 5-02-008463-8.
10. Из резолюции Бюро ЦК РСДРП(б), 26 марта 1917 г.
11. Чураков Д. О. Как это было: Красная гвардия в 1917-м // Диалог. – 1998. – № 4. – С. 64-67. – ISSN 0236-0942.
12. История войн и военного искусства. Под редакцией Маршала Советского Союза И. Х. Баграмяна. Военное издательство. Москва. 1970.
13. Книга воспоминаний. Часть 1 ::15. И.Т. Смилга ::Bo0k.net.
14. The Red Army 1917-1923: Victor of the Russian Civil War. <http://www.suite101.com/ content /the-red-army-19171923-a32832#ixzz19bBpleBL>.
15. V. I. Lenin. Tasks of the Proletariat in our Revolution, Collected Works, Vol. 24.



16. И. И. Вацетис, Н. Е. Какурин. „Гражданская война 1918 – 1921“.
17. „Жизнь Национальностей“. № 6, 15 декабря 1918 г. Передовая. Подпись: И. Сталин.
18. Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Троцкий Л.Д. Пять лет Коминтерна. М.-Л. 1925.
19. ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. ნაწილი I. მოგონებანი, ნარკვევები. თბილისი. 1990.
20. Черчилль В. Мировой кризис 1918-1925. / Пер. с англ.; с предисл. И. Минца. – М.; Л.: Государственное военное издательство, 1932. – 328 с. Тираж 5000. ≡ Churchill W.S. The World Crisis 1918-1925. – London: Thorton Butterworth, 1923-27. 5 vols. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.
21. ЗАЙЦЕВ Андрей Алексеевич. Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (На Материалах Дона и Кубано-Черноморья). Автореферат. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Ведущая организация: Московский государственный университет им. М. В. Ломоносова. Москва – 2009. [http://oldvak.ed.gov.ru/common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/2009/07-09/Zaytsev AA.doc](http://oldvak.ed.gov.ru/common/img/uploaded/files/vak/announcements/istorich/2009/07-09/Zaytsev_AA.doc). ЦДНИРО. Ф.12. Оп.2. Д.153. Л.18.
22. Н. Е. Герасимова. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Вооруженное восстание 1905-1906 гг. Иллюстрированный сборник статей (2003 год). [http://sochionline.3dn.ru/blog/sochi\\_stranicy\\_proshlogo\\_i\\_nastojashhego\\_illjustrirovannyj\\_sbornik\\_statej\\_2003\\_god/2011-08-31-66](http://sochionline.3dn.ru/blog/sochi_stranicy_proshlogo_i_nastojashhego_illjustrirovannyj_sbornik_statej_2003_god/2011-08-31-66).
23. Развитие политической ситуации на Кубани и в Сочинском округе в 1917 году. Глава 3.1. Сочи в период двух революций и гражданской войны. Част 1. <http://www.lovlinskaja.ru/html/article-sochi-preface.php>.
24. Ефимов Николай. Алексеевич – кандидат исторических наук. Атарбеков – один из зачинщиков красного террора. ВИ. 2000. № 6. С. 130-136. Великая Октябрьская социалистическая ре-

- волюция, с. SO; РГАСПИ, ф. 17, оп. 66, д. 66, л. 144.  
<http://105384.dyn.ufanet.ru/knigi>.
25. Дзидзария Г.А. Роль Советов и „Киараза” в истории революционной борьбы в Абхазии 1917 - 1921 гг. - Сухуми, 1971.
  26. Г. А. Дзидзария. Ефрем Эшба. Издательство политической литературы. Москва – 1967.
  27. Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф. 14, оп. 1, д. 1, л. 1.
  28. Вестник Временного правительства. 1917 г. №5. Цит. По: Диманштейн С. М. Революция и национальный вопрос. – М., т. 3.
  29. Махарадзе Ф. Советы и борьба за Советскую власть в Грузии 1917-1918 гг. Тифлис. 1928.
  30. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი VI. თბილისი. 1970. სვსსა. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 118. ფურცელი 9.
  31. Андрей Зубов. Доктор исторических наук, профессор МГИМО, ведущий научный сотрудник Института востоковедения РАН. История и современность. Кавказ без России. Гражданин, и демократ, и государственный. Периодический политический журнал. №1, 2003.
  32. Сагария Б. Е. 1970. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931). Сухуми.
  33. Лакоба Н. А. 1987. Статьи и речи. Сухуми.
  34. Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997.
  35. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 1818, ანაწერი 2, საქმე 135, ფურცელი 21.
  36. Статус автономных регионов Абхазии и Юго-Осетии в составе Грузии (1917-1988). Сборник политико-правовых актов. Тбилиси. 2004.
  37. Михаил Бгажба. Нестор Лакоба. Институт истории партии при ЦК КП Грузии. Филиал института Марксизма-Ленинизма при ЦК КПСС. Издательство. „Сабчота Сакартвело”. Тбилиси. 1965. „К истории революционного движения в Абхазии. (Сборник воспоминаний)”, Сухуми, 1922 г.  
[http://apsnyteka.org/1178bgazhba\\_m\\_nestor\\_lakoba.html](http://apsnyteka.org/1178bgazhba_m_nestor_lakoba.html).

38. Абхазия \_ документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми - 2009. Музей Абхазии, дело №8, л. 27. Абгосмузей, ф., 4, оп. 1, д. 72, л. 1.
39. Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия \_ историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Стр. 387-388. Док. №209. Из статьи Г. Шервашидзе „Социализм в Грузии”. 25-29 июня 1917 г. Сакартвело, 1917, 25-29 июня. <http://abkhazeti.info/history/20050617221157965354.php>.
40. შალვა მალდაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები. გამომცემლობა „პეგასი”. თბილისი. 2012.
41. Письмо Сухумского городского главы В.Чхиквишвили о политической ситуации в Абхазии. 21 февраля 1918 г. ЦГАА, ф. И-4, оп.1, ч.II, д. 256, лл. 2-11. <http://abkhazeti.info/history/20050617431371358753.php>.
42. სოხუმის ამბები. ოლქის კომისრის ცნობა. კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო”. შაბათი, 1918 წლის თებერვლის 24. 42.
43. საშინელი ამბები სოხუმიდან. გაზეთი „სახალხო საქმე”. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. მთავარი კომიტეტის ორგანო. 176. სამშაბათი, თებერვლის 20(5) 1918.
44. Svetlana Chervonnaya. History and Controversy: Short History of Abkhazia and Abkhazian-Georgian Relations. (Chapter 2 from the book "Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow", Glastonbury, 1994).
45. სოხუმის ამბები. ოლქის კომისრის ცნობა. კავკასია და ზავი. გაზეთი „საქართველო”. შაბათი, 1918 წლის თებერვლის 24. 42.
46. „ბალშევიკები” ბანძაში. გაზეთი „ერთობა”. ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 7 აპრილი. 193.
47. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი”. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო. 1921 წლის 1 თებერვალი. 4.
48. Дж. Гамахария. „Абхазия – в составе Грузинской Демократической Республики”. Абхазия с древнейших времен до наших дней. Очерки из истории Грузии. Министерство образования и

- культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интелекти“. Тбилиси. 2009.
49. Архимандрит Илларион. Из Афона Краевому Комиссариату. Абгосмузей. Ф. 1472, д. 56, л. 32. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми – 2009. Стр. 15-16. [http://apsnyteka.org/file/Abkhazja\\_dokumenty\\_i\\_materialy-1917-1921.pdf](http://apsnyteka.org/file/Abkhazja_dokumenty_i_materialy-1917-1921.pdf).
50. Из отчета о работе второго крестьянского съезда Сухумского округа. 4-9 марта 1918 г. Эртоба, 1918, 22 и 24 марта, на груз. яз. <http://abkhazeti.info/history/20050617424748874028.php>.
51. Газета „Воля вольных“. Гудаута. 17/30 марта, №11, 1918. Абгосмузей, ф. 4, оп. 1, д. 77, л.л. 13. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми – 2009. <http://apsnyteka.org/file/Abkhazja-dokumenty-i-materialy-1917-1921.pdf>.
52. „Известия“. 09. 03. 1918. №231. Стр. 3-4. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми – 2009. Стр. 20. [http://apsnyteka.org/file/Abkhazja\\_dokumenty\\_i\\_materialy-1917-1921.pdf](http://apsnyteka.org/file/Abkhazja_dokumenty_i_materialy-1917-1921.pdf).
53. Газ. „Известия“. 1918. 9/III. №213. Стр. 3. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми – 2009. [http://apsnyteka.org/file/Abkhazja\\_dokumenty\\_i\\_materialy-1917-1921.pdf](http://apsnyteka.org/file/Abkhazja_dokumenty_i_materialy-1917-1921.pdf).
54. ბათუმის ამბები. ამიერკავკასიის მთავრობის ცნობა. გაზეთი „ერთობა“. ორგანო ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. 1918 წლის 7 მარტი. 53.
55. Из Афона. Тифлис. Газета „Возрождение“. Закавказский Сейм. 12 марта 1918 г. Абгосмузей. Ф. 4, оп. 1, д. 66, л. 71. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми – 2009. [http://apsnyteka.org/file/Abkhazja\\_dokumenty\\_i\\_materialy-1917-1921.pdf](http://apsnyteka.org/file/Abkhazja_dokumenty_i_materialy-1917-1921.pdf).

ელდარ ბუზულაშვილი

**სასულიერო სასწავლებლის დაარსების მცდელობა  
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის  
პირველ წლებში**

საქართველოში უძველესი დროიდან ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც ძირითადად სასულიერო კადრებს ამზადებდნენ. თავის მხრივ, ეკლესია დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო კადრების მომზადებას. საღვთისმშასხურო პრაქტიკასთან ერთად, მათ შესაბამისი სასულიერო განათლებაც უნდა ჰქონოდათ. მომავალ სასულიერო პირთა სწავლება საუკუნეების განმავლობაში შექმნილ ქართველ მოღვაწეთა ორიგინალურ სასულიერო მწერლობასა და ამავე შინაარსის ნათარგმნ ლიტურგიკულ ძეგლებს ეყრდნობოდა.<sup>1</sup> ეკლესია-მონასტრებთან არსებული ქართული სასულიერო სასწავლებლები არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ უცხოეთშიც არსებობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია X-XI საუკუნეებში საზღვარგარეთ (სინას მთა, ათონის მთა, შავი მთა და სხვ.) დაფუძნებული სასწავლო კერები, რომლებიც აგრეთვე მძლავრ სამონასტრო სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესები გარკვეული გავლენას ახდენდა სასულიერო განათლების ხარისხზე. XVI-XVIII საუკუნეებში გარეშე მტერთა შემოსევების შედეგად მრავალი ეკლესია-მონასტერი განადგურდა, საზღვარგარეთ არსებულმა ქართული ქრისტიანული ცენტრების უმრავლესობამ არსებობა შეწყვიტა. მართალია, დასახელებულ პერიოდში სამონასტრო ცხოვრება არ შეწყვეტილა, მაგრამ აღნიშნული მიზეზების გამო გარკვეული ხარვეზები შეინიშნებოდა სასულიერო კადრების მომზადებაში.<sup>2</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ ეტაპზე

სასიკეთოდ შეცვლილი პოლიტიკური პროცესები კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა სასულიერო კადრების მომზადებაზე. კერძოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ პირველისა (1744-1788 წწ.) და ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის (1745-1798 წწ.) ძალისხმევით თბილისსა და თელავში დაარსებულმა სასულიერო სასწავლებლებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს სასულიერო განათლების დონე, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა (1801 წ.) და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის (1811 წ.) შემდეგ ზოგიერთმა სასწავლებელმა არსებობა შეწყვიტა.<sup>3</sup>

ავტოკეფალიადაკარგულ და რუსეთის უწმინდეს სინოდს დაქვემდებარებულ საქართველოს საეკლესიოსოს სახელით ჩამოყალიბებული სასულიერო უწყების სათანადო კადრებით უზრუნველყოფა რუსეთის ხელისუფალთა განკარგულებით, დაევადა 1817 წელს თბილისში დაარსებულ რუსულ სასულიერო სემინარიას. ამას გარდა, ჩამოყალიბდა დაბალი საფეხურის სასწავლებლები: სამრევლო სკოლები და სასულიერო სამაზრო სასწავლებლები. ეკლესიის პერიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდნენ. მათი მეშვეობით რუს მოხელეებს გამოიზნული ჰქონდათ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაცია და იმპერიის ერთგული მოხელეების აღზრდა.<sup>4</sup> სასულიერო სასწავლებლების პროგრამებიც ამ პოლიტიკის შესატყვისად შემუშავდა. გაძლიერებული კურსით მიმდინარეობდა რუსული ენის სწავლება. ამავე ენაზე ასწავლიდნენ ძირითად საღვთისმეტყველო საგნებს, სლავურ საეკლესიო გალობას, რუსეთის ეკლესიისა და რუსეთის სამოქალაქო ისტორიას, კლასიკურ ენებს. რაც შეეხება მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლებას, იგი იგნორირებული იყო. უფრო მეტიც, მოსწავლეებს რუსული სიტყვების ასახსნელად მშობლიური ენის გამოყენება ეკრძალებოდათ.<sup>5</sup>

რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი ხალხის სულიერი გათიშვის მიზნით XIX საუკუნის მეორე ნახევარში სასულიერო სასწავლებლებში სცადა ქართული ენის ნაცვლად მეგრული და სვანურის დამკვიდრება, მაგრამ ქარ-

თველი საზოგადოების დიდი წინააღმდეგობის გამო სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს.<sup>6</sup>

საეკზარქოსოს დაქვემდებარებული სასულიერო სასწავლებლების მძიმე მდგომარეობა 1917 წლის 12 მარტამდე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე, გაგრძელდა. 1917 წლის 12 მარტს შექმნილი დროებითი მმართველი კომიტეტის მიერ საქართველოს ეკლესია და სასულიერო სასწავლებლები რუსეთის სინოდისაგან დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამ დროისათვის თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი დეკანოზი კორნელი კეკელიძე იყო, რომელიც ამ მოვალეობას 1916 წლიდან ასრულებდა. 1917 წლის 8-17 სექტემბერს ჩატარებულმა პირველმა საეკლესიო კრებამ, ახალი ეპარქიების დადგინებისა და კათოლიკოს პატრიარქის არჩევის გარდა, მიიღო მართვა გამგეობის ახლადშექმნილი დებულება. პირველმა საეკლესიო კრებამ განიხილა ახლადავტოკეფალია აღდგენილ ეკლესიას დაქვემდებარებული ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლის რეორგანიზაციის საკითხი. საეკლესიო კრებამ ამ მიზნით შეიმუშავა 8 მუხლისაგან შემდგარი დებულება. დებულების შესატყვისად სწავლება ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე უნდა წარმართულიყო და მათი კურსდამთავრებული გათანაბრებული უნდა ყოფილიყო საერო სასწავლებლებების კურსდამთავრებულებთან. პირველ საეკლესიო კრებაზე სასულიერო სასწავლებელთა შესახებ მიღებული დებულებების შესრულება დაევადა ეპარქიის ხელმძღვანელებისა და საერო პირებისაგან შექმნილ კომისიას.<sup>7</sup>

სასულიერო სასწავლებელთა რეორგანიზაციის გამო საერო და სასულიერო პირთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. ზოგიერთი მოითხოვდა მანამდე არსებული სასულიერო სასწავლებლების გაუქმებას და ახალი ევროპული ტიპის სასწავლებლების დაარსებას. დეკანოზი კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა მომხრენი იყვნენ, თბილისის სასულიერო სემინარიის ბაზაზე ჩამოყალიბებულიყო მაღალი საფეხურის სასულიერო სასწავლებელი. მათი აზრით, ასეთი რეორგანიზაცია უნდა გატარებულიყო სამაზრო და სამრევლო სკოლებშიც. ისინი თავიანთ მოსაზრე-

ბას იმით ასაბუთებდნენ, რომ ზემოაღნიშნულ სასწავლებლებს უკვე შესაბამისი მატერიალური ბაზა ჰქონდა. საზოგადოების მცირე ნაწილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ მოსაზრებას არ იზიარებდა და ისინი მომხრენი იყვნენ და არსებულყოფიერ ევროპული ტიპის სასულიერო სასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ მათ თავიანთი შეხედულება წერილობით არ დაუსაბუთებიათ და იგი არ წარმოუდგენიათ პირველ საეკლესიო კრებაზე შექმნილ სასულიერო სასწავლებელთა რეორგანიზაციის კომისიის წინაშე.

ორი განსხვავებული შეხედულების მიუხედავად, საინტერესოა დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის მიერ შედგენილი სასულიერო სასწავლებელთა რეორგანიზაციის ორი პროექტი. პირველი მათგანი, „სამრევლო და საეპარქიო სასწავლებელთა დებულება“, მანამდე არსებული სამრევლო და სამაზრო სასულიერო სასწავლებელთა მოწყობის მისეულ ხედვას წარმოადგენს. ამ პროექტის მიხედვით, დაბალი ტიპის სასულიერო სასწავლებელში სწავლება 6 წლის ასაკიდან უნდა დაწყებულიყო და თითოეული სასწავლებელში სწავლება უნდა განხორციელებულიყო სამრევლო სასწავლებელთა წესდებით. სამრევლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოზარდი სწავლას აგრძელებდა საეპარქიო სასწავლებელში, სადაც სწავლა 4 წელიწადს გრძელდებოდა. ეროვნული საგნების გარდა, მათ უნდა ესწავლათ უცხო ენები, საღვთისმსახურო საგნები და გალობა, სათანადოდ უნდა დაუფლებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და სხვა.<sup>8</sup> ორივე დაბალი ტიპის სასწავლებლის კურსდამთავრებულს, ვასილ კარბელაშვილის მიერ შედგენილი დებულებით, იმდენი მომზადება უნდა ჰქონოდა, რომ გაეგრძელებინა სწავლა „საკათალიკოზო ინსტიტუტში.“

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ვასილ კარბელაშვილის პირად ფონდში ინახება მის მიერ შედგენილი, 1917 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული „საკათალიკოზო ინსტიტუტის შექმნის პროექტი.“ მართალია, აღნიშნულ პროექტს თავის შრომაში მკვლევარი ს. ანდლულაძე ზოგადად იხილავს,<sup>9</sup> მაგრამ, ჩვენი აზრით, დასახელებული პროექტი თავისი შინაარსით იმდენად მნიშვნე-



ლოვანია, რომ მას სრული სახით ვაქვეყნებთ (დოკუმენტი ქვეყნდება უცვლელად, რედაქტირების გარეშე ე.პ.):

„დებულება საკათალიკოზო სასწავლებლის შესახებ 4 წლის კურსით მგალობელთა, წიგნისმკითხველთა, დიაკონთა და სამღვდელთათვის აღსანიშნავად საქართველოს ეკლესიის აღდგენისა 1917 წელი, ოქტომბერი 8.

ღმერთო! წარმიმართე საქმე ესე კეთილად სადიდებლად ივერიისა საკათალიკოზო ეკლესიისა.

მ. ვ. გრიგოლის ძე კარბელაშვილი

მუხლნი დებულებისანი ინსტიტუტის შესახებ

#### თავი პირველი

ა. საკათალიკოზო ინსტიტუტი არის უმაღლესი სასწავლებელი წიგნის მკითხველთა, მგალობელთა და სამღვდელთა პირთათვის 4 წლის კურსით, სადაც ყოველი კუთხიდან საკათალიკოზოისა უნდა სწავლობდნენ იმ საგნებს, რომლებიც სავალდებულოა საეკლესიო-სამღვდელთა პირთათვის ღვთის მსახურების დროს და ცხოვრებაში.

შენიშვნა: ყოველი კუთხე საკათალიკოზოისა მოვალეა ამ სასწავლებლის შენახვაში მიიღოს მონაწილეობა თანაბარის ძმობით და შრომით, სადაც უნდა იზრდებოდნენ მომავალნი მოღვაწენი საქართველოს გაერთიანებულის ცხოვრებისა და ეკლესიისათვის მუშაკნი, მოღვაწენი წინამძღვარნი და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელნი სამრევლოსათვის.

ბ. სასწავლებლის მიზანია დიდებულ ღვთისმსახურების ახალ აღდგენილ საკათალიკოზოს ყველა ეკლესიაში ხელი შეუწყოს, ადადგინოს იგი და დაიცვას ღმობიერის კითხვით, გალობით და ღვთისმსახურებით, რასაც ჯეროვანის ყურადღებით და დაკვირვებით უნდა შეასწავლიდნენ მოწადინე მსურველს.

გ. სასწავლებელი კათალიკოზის სრულ მზრუნველობასა და მხედველობის ქვეშაა და მოვალეა დასახულ მიზანს პირნათლად ემსახუროს ინსტიტუტი.

დ. ინსტიტუტის მოვალეობა არის, რომ ამ სასწავლებლიდან გამოსული და სწავლა დამთავრებული ყმაწვი-

ლი, ღირსეულის შესრულებით თავის მოვალეობაზედ, გაცნობიერებული უნდა იყოს ჩვენი ერის საეკლესიო გალობასა და წლის მსახურებაში, რომელშიც არის დიდი სახსარი საქართველოს გაერთიანებისა.

ე. თითოეული ეპარქია მოვალეა გამოავზავნოს სასწავლებელში 12-12 კაცი, რომ თითო ეპარქიას 4-4 ან 3-3 გუნდი ჰყავდეს, რომელთაც სამრევლოშივე უნდა მოიპოვონ ძალები და გააერთიანონ ის დიდებული გალობა და კითხვა. ექვსი ეპარქიიდან უნდა მოგროვდეს 72 მოსწავლე, რომელთა შორის არ უნდა იყვნენ არც ყრუნი, არც უსმენონი, არც ბრმანი, ვინაიდან მომავალში სამღვდელონი არიან.

ვ. შესანახი ფული უნდა გამოიღონ საკათალიკოზოში: სამღვდლო-სამონაზვნო და საეკლესიო მსახურთა, არქიმანდიტთა 5 მანეთი, დეკანოზთა და იღუმენტთა 3 მანეთი; მღვდელთა თითო მანეთი, დიაკონთა და წიგნისმკითხველთა 10-10 შაური, მონასტრებმა 20-20 თუმანი, საკათედრო ეკლესიებმა 20-20 მანეთი, სამრევლო ეკლესიებმა კი 5 მანეთი, ხოლო სანთლების ქარხნებმა საცა არის 100-100 თუმანი.

ზ. ამ ფულს უნდა შეაგროვებდნენ მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი სიებისთანავე აღნუსხვითა თავიანთ ეპარქიებში და წარმოუდგენდნენ კათალიკოზს, რომელიც გადასცემს მეუნჯესაც (სალაროს მცველი – ე. ბ.) და იქიდან უნდა ეძლეოდეს თავისთავად ეს ხარჯი.

ეს სასწავლებელი უნდა დაარსდეს სეგეციხოვლის ტაძართან, სადაც მუდმივ დღე უნდა იყოს წირვა-ლოცვა და საქმიანობით სწავლობდნენ თავიანთ მომავალ სამოღვაწეო საქმეს დაწყებული წიგნის მკითხველიდან განვითარებულ სამღვდელოსადმი.

თ. ამ საწავლებელს სათავეში უდგანან: უხუცესი, თანაშემწე ყურის მგდებელი, რომელნიც უნდა განაგებდნენ მათ სამოსწავლო და ზნეობრივი აღზრდის საქმესა.

ი. აქ მიიღებიან უპატრონონი, ობოლნი და ყველა წოდებისა განურჩევლად, გარნა მორწმუნეთა შვილი (ფ.5).

კ. რიცხვი მოსწავლეთა არ აღემატოს ასოც კაცსა მთლად, სადაც სწავლის ფასს არ იხდიან.

ღ. ოთხი წლის გათავების შემდეგ ჯეროვანის წარმატებით, წარიგზავნებიან ზენარის საღვთისმეტყველო სასწავლებელში საბერძნეთსა, საიდანაც ზედმიწევნით განვითარებული და მომზადებული დაუბრუნდებიან სამშობლოს.

#### თავი მეორე

იგ. უზენაესი უფლება ამ სასწავლებელზე ეკუთვნის ქათალიკოზ პატრიაქსა.

იდ. რაც შეიძლება მღვიძარება მათი სავსებით უნდა იყოს მოქცეული ამ სასწავლებელზედ, რომ დარწმუნებით და გულდაჯერებით იყოს, რომ საქმე კარგად არის დაყენებული და კარგად მიდის; ესწრება მათ გამოცდაზე გათავებისას და მოიწვევს რა საპატიო მორწმუნეთა პირს.

იე. ყოველგვარ განდრეკილებს, რომელსაც კი შენიშნავს მათი უწმიდესობა, უნდა იყოს მაშინათვე შეყენებული, თუ არა და წერილობით უნდა შეაგონოს, რომლის შემდეგ მიზეზმან განდრეკილებისამან, უნდა თავი დაანებოს, ჩამოშორდეს საქმეს უდავიდარაბოთ და ზედმეტის მოუთხოვნელობით.

ივ. წლის ბოლოს გამგე სასწავლებლისა წარუდგენს დაწერილებით ანგარიშში მათ უწმიდესობას ყოველ მხრივ დასურათებულ და უნაკლო ანგარიშს.

იზ. გამგე აძლევს მოსამსახურე პირთა დასვენების ვადასა არა უმეტეს ერთი თვისა.

#### თავი მესამე

ი. ამ სასწავლებელში უნდა ისწავლებოდეს საგნები:

ა. საღმრთო წერილი გავრცობით

ბ. ღვთისმეტყველება – ძირითადი, დოგმატური და ზნეობრივი

გ. სამღვდლო ცხოვრებისა ხელმძღვანელობითი სწავლა

დ. ქადაგებისა და ღვთისმსახურების სწავლა

ე. სამოქალაქო და საქართველოს ისტორია *ιστορια*

ვ. მარხვის მოყვარეობა, რჯულზე მეტყველება

ზ. გალობა, სიმღერა და მათი ისტორია

ენები: ბერძნული, ნემენცური, ფრანგული, ინგლისური, რუსული, თათრული, სომხური და ოსური.

თ. საქმიანობითი დარგნი: ხუროთმოძღვრება, არქეოლოგია, მედიცინა, მეურნეობა და ყოველგვარი ცოდნა ცხოვრებისათვის საჭირო.

ი. მკერვალობა, მეყდეობა, მბეჭდაობა და ასოთამწყობლობა, ფიზიკა, კოსმოგრაფია, გეომეტრია, ტრიგონომეტრია.

სწავლა უნდა იწყებოდეს დილის ცხრის ნახევრიდან, ვიდრე პირველის ნახევრამდე და პირველ საათზე უნდა სადილობდნენ, რომლის დროსაც უნდა იკითხებოდეს საქმე მოციქულთა და მამათა ცხოვრებანი, იწყებოდეს ლოცვით და მთავრდებოდეს ლოცვით, ყოველის სიყვარულით, სიმშვიდით და სათნოებით.

კ. სადილობის შემდეგ ერთი საათი ვარჯიშობა, ზოგადი გალობა იმ საგალობლებისა, რომელიც ყველამ იციან. შესვენების შემდეგ წარვლენ ადგილითი ადგილად: სადურგლოდ, სამხატვრო, საზეინკლო, ქვის მთელელი, საყდო, ასოთამწყობი, სადაც უნდა იმუშაონ თითოეულმა სამი ან ოთხი საათი ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა.

კა. ლოცვის შემდეგ უნდა იწყონ მცირე დასვენება, შემდეგ მეცადინეობა, შემდეგ მიღებისა მცირე სანოვაგისა და დარღვევისა ხმევისა, შემდეგ მეცადინეობა და სიმშვიდით და სიყვარულით რვა საათის შესრულებამდის ან ცხრის ნახევრამდის, რომლის შემდეგ მოისმენენ მცირე სერობას და წარემართებიან დასაძინებლად და სრულ ხუთ საათზე ფეხზე უნდა იყვნენ ან ხუთის ნახევარზედ, როდესაც უნდა მოისმინონ დილის ცისკრის ლოცვა და შემდეგ ლოცვისა დილის საუზმე და რვა საათზე უნდა სწავლა იწყონ 50 წ. და დასვენება რვა და 15.

კბ. საგნების სწავლება იწყება ინდიქტიონით 1 სექტემბერს ძველი წესით ვიდრე 22 დეკემბრამდის – 8 იანვრამდის, ყოველი კვირის ორშაბათამდის. პირველ კვირიაკეს დიდი მარხვისას უნდა ეზიარნენ ყველანი და მტკიცედ დაიცვან მარხვა და საეკლესიო წესი. საადგომოდ დარბაზობის შაბათიდინ კვირაცხოვლის ორშაბათს ეწყობა და თავდება იენისის ნახევარში, რომლის შემდეგ იწყება

პრაქტიკული მუშაობა ნაცვლად საგნებისა გარეშე წლის მსახურებისა. ხენისა, მკისა, თიბვისა, თესვისა და ფარცხისა, კალათების წვნისა, დასტებისა და სხვა ხელოვნება.

კბ. ოთხ წლამდის არ წავლენ მოსწავლეები შინ და მეხუთე წლის წინეთ კი შეიძლება წავიდეს და დაბრუნებისას მეხუთე წელიწადს გაატარებს სასწავლებელში, სრულის დამთავრებისათვის და შემზადებისათვის ცხოვრებაში.

კდ. სწავლის შემდეგ უნდა მიეცეს მას მოწმობა საკათალიკოზო ინსტიტუტის ბეჭდის დასმით კათალიკოზისა, გამგისა, მასწავლებელ-ადმზრდელისა ანუ გამგის წევრთა ხელის მოწერით.

კე. თითო წელიწადს თუ დაიტოვება მოსწავლე იმავე კლასში, თორემ მეტი შეუძლებელია, მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ ისე გავიდეს სასწავლებლიდან რომ იყოს ღრმა მორწმუნე და იცოდეს რაიმე ხელობა, რომ ლუკმა-პური შეჭამოს და მშიერი არ მოკვდეს.

#### თავი მეოთხე

კვ. ხნობრივ აღზრდა-განათლებას ამ სასწავლებელში მიზნად აქვს განამტკიცოს კეთილი მიდრეკილება და სიმტკიცე ხასიათისა, რომელიც მთავარი საჭირო არის მომავალ ცხოვრებაში.

კზ. ყოველგვარი ვარჯიშობანი, რომელიც კი განუღვიძებენ მოსწავლეს კეთილმსახურებამდის უნდა ყველასგან წმიდად და პატიოსნად უნდა იყვეს შესრულებული და აღორძინებული სულით, გულით და გონებით, უამისოდ ნუ ვინ იკადრებს სასყიდლობითი დადგენილებით სამსახურს.

კ. ღვთის მსახურებაში სადავ და საუფლო დღესასწაულებში, ისე საყოველთაო ღოცვების შესრულებაში, ყველანი ისმენენ და შერჩევით და ჯერ-ჯერობით იღებენ მონაწილეობას კითხვაში, ხოლო გალობაში ყველანი სულ მუდამ და გამოუკლებლივ.

კთ. სასწავლებელი უნდა ეცადოს აღზარდოს და განამტკიცოს მათში ის შეგნება და შემეცნება ქრისტეს სახარების თანახმად, რომ თითოეულს მის არამცთუ მოქმედებას, არამედ სურვილიც და წადილსაც სულ მუდამ სჯიდეს.

ღ. კვირაში ერთხელ ბანაობა ტანისა, თავისა, სამრეცხაო, ყოლიფერი თვით უნდა გააკეთონ და სხვა გამკეთებელი არავინ უნდა ეგულებოდეს.

ღა. მოსწავლეთა სიარული სამუშაოდ თუ საზეიმოდ სადმე ან სამგალობლოდ უნდა იყოს წყნარი, მშვიდი სიყვარილითა და სიამოვნებით, რომ მათი საქციელით და სიტყვა-პასუხით სხვებიც გონს მოვიდნენ და შეითვისონ.

ღბ. სწავლა და შენახვა ზოგადად წელიწადში უნდა იყოს 60 თუმანი ფულით და წელიწადში სულზედ: ერთი ჩანახი ნიგოზი, ნახევარი კოდი ღომი, რვა ჩანახი ხახვი, სამი კოდი პური, ერთი კოკა ღვინო, შეშა ერთი ურემი და ნახშირი სამი ტომარა.

ღგ. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ლეიბი საპირით და ზეწარი, საბანი და ბალიში ოთხი საცვალით, წინდები ოთხი წყვილი და ერთი წყვილი ფეხსაცმელი.

### თავი მეხუთე

ღდ. გამგიდან დაწყებული უბრალო მსახურამდე უნდა იყოს გულით მორწმუნე, შრომის მოყვარე, საქმის კეთილ დაგვირგვინების მოტრფიალე და სრული მწე და კეთილგონიერი მონა ქრისტესი, სადაც ბოროტებასა, შედღესა და გაიძვერობას აღვილი არ უნდა ჰქონდეს და ყოველივე იმოდენ სიყვარულისთვის საქმისადმი და სამშობლო ერისა აღორძინება გაძლიერებისათვის.

ღე. აქ მასწავლებელნი და ხელმძღვანელნი უნდა იყვნენ დადებითი შეხედულებით და რწმენის ღმერთზედ და სამშობლოს კეთილდღეობაზე; ცხოვრების სიდუხჭირეზედ და კეთილი გზის გამონახვაზედ. შრომა, მოღვაწეობა მუყაითური და დაუღალავი. მასწავლებელი აქ უნდა იყოს არა უადრესი 45 წლისა და არა უმეტესი 75 წლისა.

ღვ. სხვა საპრაქტიკო ხელოვნებისა მასწავლებელნი უნდა იყვნენ 35-45 წლისანი კარგის ყოფაქცევისა, კეთილსაიმედონი, პატიოსანი ზნეობით და მიმართულებით და ღვთის მაღიდებელნი.

ღზ. აქ მოსწავლეთ უნდა მიეცეთ საშვალეობა სწავლა დაამთავროს და უკეთუ იგი არ მოისურვებს სამსახურს საეკლესიოს, მაშინ უნდა უეჭველად მოიხადოს ბე-

გარა წინაშე სამშობლო მოვალეობისა და ბედნიერებისა დასაცავად, სადაც უნდა იყოს და როგორადაც უნდა მოითხოვდეს ამას გარემოება.

ღ. ეს სასწავლებელი სვეტიცხოვლისა უნდა იყოს ზოგადი იმ მოსწავლეთა, რომელნიც საეპარქიო სკოლებში აღიზრდებიან, კურსს დაამთავრებენ და სამღვდელოდ განემზადებიან. ამიტომ საერთო, საზოგადო კანონი სწავლებისა და აღზრდისა ყველასთვის ერთი უნდა იყოს და თითოეულ ეპარქიიდან წელიწადში უნდა იგზავნებოდეს 12 კაცი, რომელთაგან ვინც კეთილწარმატებით დაამთავრებს სწავლას წარიგზავნებიან ქიოსის საღვთისმეტყველო სასწავლებელში თუ არა და მღვდლად ეკურთხების და წარეგზავნებიან ეპარქიას კეთილგონიერებით აღზრდილნი და მომზადებულნი.

ლთ. 25 წლიდან ვიდრე 40-45 წლამდე უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობა წინაშე ღვთისა და სამშობლოსა, შემდეგ უნდა შეუდგეს მოღვაწეობას ზოგად გარეშე ეკლესიისა სამსახურს მორწმუნე ერისა თანა მხარდამხარ უნდა ჩაუდგეს, გაუხსნას მას ბანკები, კოოპერატივები, ქსენონები და საზოგადო რამ დაწესებულებანი.

მ. შექმნონ მუშაობის დროს გამოწყობილნი იყვეს ჩოხაში, თორემ ისე კი უნდა იყოს თავის შესაფერის ტანისამოსში სამსახურის გარეშე და წესი დამარხვისა მიეგების წოდებისა თანა მიხედვითა.

ამ ნაირივე მიმართულებით და განათლებით უნდა დაარსდეს დედათა სასწავლებელი და ინსტიტუტი მცხეთის დედათა მინასტერთან.<sup>10</sup>

წარმოდგენილი პროექტი აშკარად მიუთითებს, რომ დეკანოზი ვასილ კარბელაშვილი ზემოაღნიშნულ არცერთ მიმდინარეობას არ იზიარებდა და იგი ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ცდილობდა ახალი ტიპის სასულიერო სასწავლებლის ჩამოყალიბებას, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე უნდა განვითარებულიყო.

საერო და სასულიერო პირების დიდი მცდელობის მიუხედავად, ავტოკეფალიის აღდგენის პირველ წლებში ვერ მოხერხდა სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაცია. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების

(1918 წლის 26 მაისი) შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა ათეისტურმა სოციალ დემოკრატიულმა მთავრობამ ეკლესია საგრძნობლად შეაფიწროვა, აიკრძალა საღმრთო რჯულის სწავლება, 1918 წლის ბოლოს უსახსრობის გამო დაიხურა თბილისის სასულიერო სემინარია. მისი ბიბლიოთეკა გადაეცა ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტს, ხოლო ინვენტარი საერო საგანმანათლებლო სკოლას. მთავრობის განკარგულებით ეპარქიებში ფუნქციონირება შეწყვიტა სამრევლო და სამაზრო სასულიერო სასწავლებლებმა. ზოგიერთი სასულიერო სასწავლებლის ბაზაზე საერო სკოლები ჩამოყალიბდა.<sup>11</sup>

მთავრობის უყურადღებობის მიუხედავად, 1919 წელს გამართულ მეორე საეკლესიო კრებაზე დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ წამოადგინა პირველ საეკლესიო კრებაზე სასულიერო განათლების საკითხზე შექმნილი კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი. პროექტის გარდა მან კრებას გააცნო დაფინანსების წყაროებიც.<sup>12</sup> საეკლესიო კრებამ მოიწონა კომისიის მუშაობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ათეისტური სოციალ დემოკრატიული მთავრობის მიერ გატარებული უკანონო გადაწყვეტილებებით საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის აღდგენის პირველ წლებში მოესპო საშუალება განათლებული სასულიერო კადრების მომზადებისა.



**THEOLOGICAL EDUCATION IN THE EARLY YEARS  
OF THE ESTABLISHMENT OF THE ATTEMPTS  
TO RESTORE THE CHURCH**

National Center of Manuscripts preserved in the newly discovered materials are discussed based on the restored church leaders active in the struggle for independence in October 1917, Muslim clerics have begun to prepare for a new type of religious school that later became. Archpriest Vasily Karbelashvili greatly accomplished a great deal in this regard. The paper is printed in full in the draft drawn up by the college 's foundation .Unfortunately sotsisl came to power in 1918-1921 – the democratic government's policies at the time could not be established as a result of this type of religious schools .

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ე. ბუბულაშვილი, უცნობი მასალები სასულიერო განათლების შესახებ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2010, №1, გვ.406.
2. იქვე, გვ. 406.
3. ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის საქართველოში და ანტონ პირველი, თბ., 1950.
4. ე. ბუბულაშვილი, ეგზარქოსობის პერიოდში არსებული სასულიერო სასწავლებლები (ზოგადი დახასიათება), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, №2, გვ. 320.
5. იქვე, გვ. 327.
6. ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1939, გვ. 84; შდრ. ა. გელოვანი,

დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) მე-19 საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 347.

7. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, 1917-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 224.
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის პირადი ფონდი, №59, ფურც. 55; შდრ. ს. ანდლუღაძე, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი), თბ., 2006, გვ. 128.
9. ს. ანდლუღაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129-130.
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის პირადი ფონდი, №53, ფურც. 5.
11. ე. ბუბულაშვილი, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი 1918-1921 წლების საქართველოში, ლოგოსი, 2003, №1, გვ. 56-57.
12. ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.), თბ., 2014, გვ. 141-144.

**საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის  
სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ასპექტები  
სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობათა  
კონტექსტში**

თანამედროვე პირობებში აქტუალურია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის საკანონმდებლო რეგულირების კვლევა იმ ისტორიული წარსულის გადასახედიდან, რაც განვლეს სახელმწიფოებმა და რელიგიურმა საზოგადოებებმა. ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო ეკლესიას უბრალო საზოგადოებადაც კი არ სცნობდა. მეტიც, იგი სასტიკად იდევნებოდა რომის იმპერიის მიერ, მაგრამ კონსტანტინე დიდის ეპოქიდან, როდესაც გამოქვეყნდა მილანის ედიქტი (313 წელი) რელიგიათა შემოწმარებლობის თაობაზე, ეკლესიამ დაიწყო სახელმწიფოსთან ურთიერთობების ჩამოყალიბება (1, 188).

მოციქულთა მოღვაწეობის პერიოდში ეკლესიის მმართველობითი საქმიანობისა და ფინანსური აღრიცხვის მართებულად გააზრების საკითხისადმი დამოკიდებულებით (საქმე მოც. 4; 35-36; 5; 1-11; 6; 1-7;) განისაზღვრა „დიდი რჯულის კანონში“ ეკლესია-მონასტრების ფინანსური თუ სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის შესახებ მთელი რიგი დებულებები, რაც ამარტივებდა საეკლესიო-სამეურნეო საქმიანობას და ფინანსურ აღრიცხვას ეკლესია-მონასტრებში.

წმინდა წერილში იკვეთება ეკლესიის წიაღში სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის პრინციპები. როდესაც ეკლესიამ დაიწყო უძრავი ქონების მოპოვება და დაგროვება, სამეურნეო საქმიანობა და გარკვეული შემოსავლების მიღება-განაწილება, გაჩნდა ამ პროცესების მართვის წესების განსაზღვრის აუცილებლობა და სახელმწიფოსთან მართლზომიერი დამოკიდებულების განსაზღვრა (2, 94).

სახელმწიფო ცდილობდა განყოფისაგან და მწვალებლობისაგან დაეცვა ეკლესია. ასევე ეკლესია მადლიერებით იწყნარებდა მისი გავლენის სფეროში სახელმწიფოს შემოსვლას, რადგან სახელმწიფო იცავდა მას ყოველგვარი ხელ-

ყოფისაგან. სახელმწიფოს ინტერესი იმითაც ვლინდება, რომ იგი ეკლესიის კანონებს სახელმწიფო უფლებებით მოსავეს და მას სახელმწიფო კანონის ტოლფასად აცხადებს.

საინტერესოა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ფინანსური ასპექტების კვლევა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობათა სხვადასხვა სისტემასთან მიმართებაში.

**იმისათვის, რომ სახელმწიფომ და ეკლესიამ ადასრულონ საკუთარი მიზნები, მათ შორის იქმნება სხვადასხვაგვარი ურთიერთობა და ყალიბდება ურთიერთობათა სისტემები. ძირითადად ისინი სამ სახეობად იყოფა:**

1. ქვეშევრდომობის სუბორდინაციული დამოკიდებულება (ანუ ერთის მორჩილება მეორისადმი);

2. პარალელიზმის (თანაბარუფლებიანობის ან სრული გამიჯვნის) სისტემა;

3. კოორდინაციის (შეთანხმების, ურთიერთთანამშრომლობის) სისტემები.

მაშასადამე, სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები გვაძლევს სამი ტიპის სისტემაზე საუბრის საშუალებას, თუმცა არსებობს ქვესისტემები და განსაკუთრებული ურთიერთობები. ცნობილია სახელმწიფოები, სადაც სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული ერთი დომინანტი რელიგია (დანია, ფინეთი, ინგლისი, მალტა, საბერძნეთი), ქვეყნები, სადაც მკაცრი სეკულარული სისტემებითაა წარმოდგენილი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის (ნიდერლანდები, საფრანგეთი) და სახელმწიფოები, სადაც მნიშვნელოვანი კავშირებითა და თანამშრომლობითაა განსაზღვრული საერო და სასულიერო ურთიერთობები (პორტუგალია, ესპანეთი, ბელგია, იტალია, ავსტრია, უნგრეთი, პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვია) (3, 19).

**ქვეშევრდომობის სუბორდინაციული დამოკიდებულების სისტემებს განეკუთვნება:**

ა) იეროკრატიული სისტემა ანუ პაპოკესარიზმი (ან პაპოცეზარიზმი), რომლის დროსაც მოქმედებს სასულიერო პირთა გამგებლობის პრინციპი, ანუ სასულიერო პირთა უფლებამოსილება განიხილება როგორც უფლის წარმო-

მადგენლობა დედამიწაზე. ამგვარი სისტემა ძირითადად დასავლეთ ეკლესიაში იყო გაბატონებული. ამ თეორიას ეფუძნებოდნენ ჯგაროსნებიც, ინკვიზიციაც, და მანვე გამოიწვია პაპის საყდრის უხეში ჩარევა დასავლეთის სამყაროს პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობაში.

ბ) პოლიტოკრატიული სისტემა, ანუ კესაროპაპიზმი (ცეზაროპაპიზმი), რომელიც პაპისტური აზროვნების წესისა და იეროკრატიისადმი რეაქციის სახით ჩამოყალიბდა. ესაა მისდამი დიამეტრიულად საპირისპირო სისტემა, - სახელმწიფოსადმი ეკლესიის დაქვემდებარება. ამ სისტემის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ პოლიტოკრატიული ხელისუფლება ისწრაფვის როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო ძალაუფლების მოპოვებას. ამ სისტემას განეკუთვნება ისეთი ქვესისტემები, როგორცაა 1) *კესაროპაპიზმი*, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ამასთანავე არის უმაღლესი საეკლესიო მმართველი. 2) *სახელმწიფოებრიობის ანუ ტერიტორიულობის* ქვესისტემა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მართავს ეკლესიას თავისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ეს ქვესისტემა ჩამოყალიბდა განსაკუთრებით პროტესტანტულ ქვეყნებში. 3) *აბსოლუტიზმი*, როდესაც რელიგიური იძულების წესით ყველა საკითხი ექვემდებარება სახელმწიფოს (1, 190).

სუბორდინაციულ სისტემაში წარმოდგენილია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა, როცა სახელმწიფო რელიგია განსაზღვრულია ქვეყანაში. ამ სისტემაში არსებობს მჭიდრო ინსტიტუციური და საკანონმდებლო კავშირები სახელმწიფოსა და დომინანტ ეკლესიებს შორის. რიგ შემთხვევებში ქვეყნის ძირითადი კანონი მოისხენიებს მთავარ, უმთავრეს ეკლესიას, რითაც ხაზს უსვამს და აღიარებს მის განსაკუთრებულობას. ასევე არსებობს სპეციალური საერო საკანონმდებლო აქტები და პროცედურები მისი საქმიანობის რეგულირებისათვის.

დანიაში წარმოდგენილია სისტემა, სადაც ეკლესიის შემოსავალი არის გადასახადი, რომელსაც იხდის ეკლესიის მრევლის წევრი. არსებობს ასევე სახელმწიფო დოტაცია, შემოსავალი სხვადასხვა ფონდიდან, უძრავი ქონებიდან და ცალკეული შემოწირულობები. ყველა სახის შემო-

სავალი გროვდება ეროვნულ ფონდში, რომელსაც საეპარქიო მმართველობა განკარგავს.

ფინეთის რესპუბლიკაში არსებობს კონსტიტუციით ჩამოყალიბებული ურთიერთობები. განსაკუთრებულია ცალკე საპარლამენტო აქტი მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებით. აქტის მე-9 ნაწილის თანახმად, ფინეთის მთავრობა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უნდა აღიაროს უმაღლეს ხელისუფლებად. ამიტომ მიხნეულია, რომ ფინეთში არის ორი სახელმწიფო ეკლესია: ლუთერანული და მართლმადიდებელი. ეს ეკლესიები წარმოადგენენ თვითმართვად და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. მათი შიდა სტრუქტურა და ურთიერთობა სახელმწიფოსთან განისაზღვრება პარლამენტის კონკრეტული აქტებით. ფინეთში როგორც ლუთერანული, ასევე მართლმადიდებელი ეკლესია უფლებამოსილია შეაგროვოს გადასახადები თავიანთი წევრებისაგან.

გაერთიანებულ სამეფოში უკიდურესად შეზღუდულია სახელმწიფოს მიერ ეკლესიების ფინანსური მხარდაჭერა. სახელმწიფო არ აფინანსებს სამღვდელოების ხელფასებს, პენსიებს ან ეკლესიის სხვა ხარჯებს, თუმცა კანონი მოითხოვს, რომ ინგლისის ეკლესიის სამღვდელოებამ ჩაატაროს ქორწინებისა და დაკრძალვის რიტუალი და საამისოდ ჰონორარი დაფიქსირებულია კანონით, მაგრამ ამ ჰონორარის გადახდის საკითხს წყვეტენ მხარეები და არა სახელმწიფო. სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ ისტორიული შენობების შენახვას.

მალტის რესპუბლიკაში, კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია სახელმწიფო რელიგია. მალტის ეკლესია არ არის გათავისუფლებული საშემოსავლო, დამატებითი ღირებულების, საბაჟო და სხვა ნებისმიერი გადასახადისაგან. შეღავათებს საგადასახადო თვალსაზრისით ეკლესია და მისი დაქვემდებარებული დაწესებულებები იღებენ იმავე ფორმით, როგორითაც სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები.

საბერძნეთის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის თეორიული ბაზაა ცეზაროპაპიზმის განვითარებული ფორმა, რომელსაც ბერძნულ ლიტერატურაში

„სახელმწიფო კანონის უზენაესობას“ უწოდებენ. კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფოს უფლება აქვს გამოსცეს კანონები ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა ადმინისტრაციულ საკითხზე, თუნდაც ეს ეკლესიის შიდა სტრუქტურას ეხებოდეს. სახელმწიფოსა და ეკლესიის ვალდებულებაა, უზრუნველყოს ამ უკანასკნელის სულიერი ერთიანობა. საბერძნეთში არ არის საეკლესიო გადასახადი. თითოეულ რელიგიას აქვს თავისი შემოსავალი მოძრავი და უძრავი ქონებიდან და წევრთა შემოწირულობიდან (4, 150). სახელმწიფომ თითქმის მთლიანად თავის თავზე აიღო უპირატესი რელიგიის დაფინანსება, რაც სხვადასხვა ფორმით ვლინდება: პირდაპირი ან არაპირდაპირი სუფსიდირება, ათენის ტაძრის წლიური სუფსიდირება, ეკლესიებისა და მონასტრების საჭიროებისათვის სხვადასხვა გრანტის გაცემა. ამავე დროს სახელმწიფო იხდის სასულიერო განათლების საჭირო ყველა ხარჯს მართლმადიდებელი საეკლესიო მსახურებისთვის. სახელმწიფო იხდის იმ სასულიერო პირთა ხელფასებს, რომლებიც მსახურებენ სამრევლოებში, ასევე – დიაკვნების, მქადაგებლებისა და საერო მომსახურეთა ხელფასებსაც, რომლებიც მსახურობენ მართლმადიდებელ ეკლესიაში. აღნიშნული პირები პენსიაზე გასვლის შემდეგაც პენსიებს სახელმწიფოსაგან იღებენ.

**პარალელიზმის (თანაბარუფლებიანობის ან სრული გამიჯვნის) სისტემებს** ის თავისებურებები ახასიათებთ, რომ ერთი ხელისუფლება აშკარად განსხვავდება მეორისაგან და პარალელურად განიხილება. მას განეკუთვნება შემდეგი სისტემები:

ა) *თანაბარუფლებიანობის* სისტემა, რომლის დროსაც სახელმწიფო და ეკლესია ვლინდება, როგორც ურთიერთ ეკვივალენტური. არც სახელმწიფო განაგებს ან ზედამხედველობით აკონტროლებს ეკლესიას, და არც ეკლესია მიმართავს სახელმწიფოს მიმართ მმართველობითსა თუ ზედამხედველობით პრაქტიკას. ორივე დაწესებულების უფლებამოსილების საზღვრები დგინდება შეთანხმებით, რომელსაც ისინი აფორმებენ ურთიეთს შეთანხმებით (კონკორდატი).

ბ) *სრული გამოჯენის* სისტემა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო რელიგიას მიიხნევს წმინდა პირად საქმედ, ხოლო ეკლესიას – კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ამ სისტემის მიხედვით სახელმწიფოს განწყობა ეკლესიის მიმართ მერყეობს კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტსა და აშკარად მტრულ პოზიციას შორის (1, 192).

პარალელიზმის (სახელმწიფოსა და ეკლესიის მკვეთრი გამოჯენის) სისტემაა ნიდერლანდებში, სადაც ხელშეკრულებები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არ არის კანონის ჩვეულებრივი მახასიათებელი. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სისტემა მთელი თავისი არსებობის მანძილზე ხასიათდება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნით. ეს პრინციპი არასოდეს ყოფილა ფორმულირებული კონსტიტუციაში. მიუხედავად ამისა, იგი თავის როლს ასრულებს და მას მიუთითებენ საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში ადმინისტრაციულ და სასამართლო გადაწყვეტილებებში. ეკლესია, როგორც ორგანიზაცია არ არის ნახსენები კონსტიტუციაში. მიუხედავად ამისა, ეკლესია დაცულია კონსტიტუციით, ისე, როგორც მისი თავისუფლება თვითორგანიზებაზე. ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიული პირია. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ეკლესიები წარმოადგენენ განსაკუთრებულ იურიდიულ პირებს. ამრიგად, მათი, როგორც იურიდიული პირების, სტატუსი განსხვავდება სხვა იურიდიული პირების სტატუსისაგან, როგორებიცაა, მაგალითად: ასოციაციებისა და ფონდების იურიდიული სტატუსი. ზოგადად, სახელმწიფო დახმარება ეკლესიებისათვის არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ეკლესიასა და რელიგიურ გაერთიანებებს წლების განმავლობაში ფინანსურ დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა მიზეზით. დახმარებები შეზღუდული სახისაა. მათი რელიგიური სამართლებრივი ბაზა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ფინანსური ურთიერთობები არ არის ნახსენები კონსტიტუციაში. ფინანსურ დახმარებას უწევენ კონკრეტულ საეკლესიო წარმომადგენლებს რელიგიური სამსახურისთვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა შეიარაღებული ძალები და სასჯელაღსრულებითი ინსტიტუტები. ადგილობრივი მთავ-



რობები აფინანსებენ სოციალური აქტივობის ფართო სპექტრს. მათ არ აკისრიათ ასეთი ვალდებულება, მაგრამ, თუკი ისინი ამას აკეთებენ, არც დენომინაციური საქმიანობა უნდა იქნეს გამორიცხული.

საფრანგეთში საუკუნეების განმავლობაში ეკლესია ფლობდა მნიშვნელოვან ქონებას, რომელიც მისი შემოსავლის წყარო იყო. 1789 წლის 2 ნოემბრის დეკრეტის შესაბამისად, საკანონმდებლო ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა ეკლესიის ქონების ნაციონალიზაცია და გაეყიდა იგი, რათა შეევესო სახელმწიფო ხაზინის დეფიციტი. ამის სანაცვლოდ სახელმწიფო შეჰპირდა შესაბამის ანაზღაურებას რელიგიის მსახურებს. 1905 წლის კანონის II პუნქტის მიხედვით შეწყდა ეკლესიის დაფინანსება, ასევე ეკლესიის მსახურთა ხელფასებისა და სხვა სუბსიდიების გადახდა სახელმწიფო ფონდიდან. მაგრამ ეკლესიის სისტემატური შევიწროება უკვე წარსულს ჩაბარდა. ამის შედეგად ეკლესიებს აქვთ დაფინანსების ორი წყარო: კერძო დაფინანსება, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, არაპირდაპირი დაფინანსება სახელმწიფოსგან იმ ფორმებში, რომლებშიც არაა სუბსიდიები. გარდა ამისა, ასოციაციებს, რომლებიც არ განეკუთვნებიან საკულტო ასოციაციებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც იმყოფებიან ეკლესიის ორბიტაში, შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო სუბსიდიები. ეკლესიამ თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიპოვოს სახსრები და როგორ გამოიყენოს ისინი. ფაქტობრივი მეთოდები განსხვავებულია: თითოეული ადგილობრივი ეკლესია თავად მართავს თავის რესურსებს ან მორწმუნეთაგან მიღებულ საჩუქრებს. საჩუქრები შეიძლება იყოს იმგვარი, რომ უზრუნველჰყოს ქონების გადაცემა იმ მიზნით, რომელიც სახელმწიფო ინტერესებშია, ისინი შეიძლება შეიქმნას ან განიკარგოს ეკლესიის მიერ.

**კოორდინაციის (შეთანხმების, ურთიერთთანამშრომლობის) სისტემის** მიხედვით ეკლესია სახელმწიფოსაგან განსხვავებულია და სარგებლობს სახელმწიფოსაგან განსხვავებული პრივილეგიებით, როგორც ოფიციალური, ანუ უპირატესი უფლებით აღჭურვილი რელიგია, რადგან ერთის ცნობიერება, ჩვეულებრივ და უმეტესწილად, იდენტიფიცირებულია მეორის

ცნობიერებასთან. მსგავსი მოვლენა ხშირად მთავრდება იმით, რომ ეკლესია აღმოჩნდება ხოლმე სახელმწიფოს მეურვეობას დაქვემდებარებული, ვინაიდან მეტწილად ამ ორი დაწესებულების ურთიერთობა წესრიგდება ცალმხრივად, სახელმწიფოს მიერ. ანუ არსებობს საფრთხე, რომ ეს სისტემა პოლიტოკრატიად გადაიქცეს. აღნიშნული სისტემის მიხედვით, სახელმწიფო თეორიულად მოვალეა, საეკლესიო საკითხებზე კანონმდებლობის გამომუშავების შემთხვევაში „თანხმობის აზრს“ დაეკითხოს ეკლესიას.

ამ სისტემის მიხედვით, სახელმწიფო მეგობრულადაა განწყობილი ეკლესიის მიმართ, რადგან აღიარებს მის სულიერებას და სასულიერო საშუალებებს, რომელთაც იგი მიმართავს თავისი მიზნის განხორციელებისათვის. იგი ასევე ცნობს, რომ ეკლესია თანადგომით შემწვობას უწევს და თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს მიზანთა განხორციელებისათვის, და ამის გამო სახელმწიფოს სურს, დაიცვას და გააძლიეროს ეკლესია თავისი დანიშნულების აღსასრულებლად. ეკლესიის ორგანოებსაც, რა თქმა უნდა, მართებთ, გულწრფელად იღვაწონ ამ მიზნის მისაღწევად და სხვა მიზნებისაკენ არ გადაიხარონ.

კოორდინაციის სისიტემისთვის დამახასიათებელია მრავალმხრივი კავშირები სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის. სახეზეა მრავალრიცხოვანი სამართლებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოსთან რელიგიების ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს. რიგ ქვეყნებში დამკვიდრებულია რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის რამდენიმე დონიანი სისტემა, ისევე, როგორც მთლიანობაში მათდამი დამოკიდებულების ე. წ. პირამიდული სისტემა. პორტუგალიაში ყველა ეკლესია და რელიგიური საზოგადოება, მიუხედავად თავიანთი სტატუსისა, განთავისუფლებულია ყველა გადასახადისაგან, თუ ისინი იღებენ მომსახურებას ან შემოწირულობას მრევლისგან მორწმუნეთა რელიგიური მიზნების უზრუნველყოფის დროს.

ესპანეთში ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობის სისიტემა არც სახელმწიფო რელიგიის მაგალითად შეძლება იქნეს მიჩნეული და არც დენომინაციურ მოდელად. ესპანეთში კათოლიკური ეკლესია ერთადერთი ეკლე-

სიაა, რომელიც პირდაპირ სახელმწიფო დაფინანსებას იღებს. არსებული პროცედურის თანახმად, შემოსავლოს 0.5% პირდაპირ ეკლესიას შეიძლება გადაერიცხოს. უნდა განიმარტოს, რომ ეს არ არის ეკლესიისათვის აუცილებლად გადასახდელი თანხა, რადგან გადამხდელი თავად წყვეტს, რისთვის გადაიხადოს თანხის ეს ნაწილი ეკლესიისთვის, სხვა სოციალური საჭიროებისათვის თუ პირდაპირ სახელმწიფოს გადასცეს.

ბელგიის კანონმდებლობა ცნობს ყველა რელიგიის თანასწორობას. მიუხედავად იმისა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დამოკიდებულება ზოგიერთი რელიგიის მიმართ პრაქტიკულად განსხვავებულია. ფინანსური სისტემის შეფასება გვიჩვენებს, რომ რელიგიის მსახურებს არ უხდებოთ ზრუნვა საკუთარი ბიუჯეტის ფორმირებისათვის და მათ ხელფასებს თითქმის მთლიანად სახელმწიფო ანაზღაურებს. დაფინანსების ამ სისტემას ემატება შემოსავალი ეკლესიის კუთვნილი ქონებიდან. მოსახლეობა დადებითადაა განწყობილი ამჟამად არსებული ბელგიური სისტემის მიმართ და არაავინ უარყოფს, რომ ეს სისტემა კარგად ფუნქციონირებს.

იტალიის საეკლესიო კანონმდებლობის ფუნდამენტური დებულებები კონსტიტუციაშია ასახული, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს რელიგიურ საკითხებში პიროვნებების თავისუფლებასა და თანასწორობის დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოსა და რელიგიურ კონფესიებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფას. 1948 წლის ვილა მადამის ხელშეკრულებამ, რომელიც იყენებს საეკლესიო კანონთა წიგნის მიერ შექმნილ ახალ შესაძლებლობებსაც, ძირეულად შეცვალა კათოლიკური ეკლესიის დაფინანსების სისიტემა. საუკუნეების განმავლობაში საეკლესიო პირების ანაზღაურება უზრუნველყოფილი იყო ბენეფიციუმის (beneficium) მეშვეობით (5, 252). ესაა საკუთრების გარკვეული რაოდენობა, რომელიც დაკავშირებულია თითოეული სასულიერო პირის თანამდებობასთან. ამ სისიტემის გამოყენებამ გამოიწვია ერთგვარი ეკონომიკური თავისუფლება, რადგან თითოეულ საეკლესიო მსახურს თავად შეეძლო საკუთარი ბენეფიციიდან მიღებული თანხის

მართვა. თუკი სამრევლოდან მიღებული შემოსავალი ძლიერ მცირე იყო, სახელმწიფო მას თავის საკუთარ თანხას ამატებდა, რომელსაც მღვდელმსახურის ანაზღაურების დანამატი ეწოდება. რადგან ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილი იყო, რაც მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებისგან შედგებოდა, ეს ღონისძიება იმას ნიშნავდა, რომ ყველა მოქალაქე ავტომატურად აკეთებდა შენაწირს კათოლიკური ეკლესიის მომსახურებისათვის, მათი რელიგიური რწმენის მიუხედავად. 1985 წელს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, №222 კანონის ძალით ბენეფიციუმები გაუქმდა და მათი ქონება გადაეცა ახლადდარსებულ ორგანიზაციებს, საეპარქიო ინსტიტუტებს საეკლესიო მსახურებისთვის დასახმარებლად. იგი უზრუნველყოფდა თითოეულ საეპარქიოში საეკლესიო პირების ფინანსურ მხარდაჭერას. ამ რეფორმის შედეგად კათოლიკური ეკლესიის მსახურნი გადაიქცნენ ანაზღაურებად პირებად იმ მოდელის შესაბამისად, რომელიც ინგლისის ეკლესიაში უკვე მოქმედებდა.

უნგრეთში კომუნისტური წყობის კრახის შემდეგ არ მომხდარა რეპრივაციზაცია. ეკლესიებს გადაუხადეს კომპენსაცია სპეციალური კანონის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც მათ შეეძლოთ გამოეთხოვათ შენობები, რომელთა ექსპროპრიაცია მოხდა 1948 წლის შემდეგ. 1998 წლამდე ეკლესიები პირდაპირ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. 1997 წლის საგადასახადო დეკლარაციის მიღების შემდეგ გადასახადის გადამხდელებმა მიიღეს შესაძლებლობა, საშემოსავლო გადასახადის 1% გადაეხადათ ეკლესიისათვის ან საზოგადოებრივი ფონდებისათვის თავიანთი არჩევანის მიხედვით. ეკლესიებს შეუძლიათ სუბსიდიების მიღება ცენტრალური ბიუჯეტიდან რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ნაგებობების, მუზეუმების მოვლა-პატრონობის მიზნით. ეკლესიებს არ აქვთ შეზღუდვა შემოწირულობების მიღების თვალსაზრისით. ეკლესიას აგრეთვე უფლება აქვს იმოქმედოს როგორც მეწარმემ და მიიღოს გარკვეული სახის შემოსავალი. 2002 წლიდან ეკლესიებმა მიიღეს სპეციალური შემოწირულობები იმ თანამშრომლობისათვის, რომლებიც მუშაო-

ბენ და ცხოვრობენ ქალაქგარეთ, სადაც ხუთი ათასზე ნაკლები მცხოვრებია. გარდა სახელმწიფო სუბსიდიების კომპლექსისა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიებს ინახავენ მორწმუნეების ნებაყოფლითი შემოწირულობების ხარჯზეც (6, 389).

### **სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ზოგადი ასპექტები საქართველოში**

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა საქართველოში შეაჩერა 1801 წლის რუსეთის ანექსიამ. 1811 წელი ითვლება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების ოფიციალურ თარიღად. საქართველოს ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაექვემდებარა და საეპარქოსოს სტატუსით მას რუსეთიდან დანიშნული ეპარქოსი მართავდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, აგრეთვე სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის კიდევ უფრო ტრაგიკული იყო 1921 წლის საქართველოს ხელახალი ანექსია. ამ მოვლენებმა გამოიწვია ეკლესია-მონასტრების განადგურება-დახურვა, სასულირო პირების და მრევლის წევრთა მასობრივი რეპრესიები. რელიგიების მკაცრი კონტროლის კოორდინირებას მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ახორციელებდა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია, თუმცა ფუნქციონირებს კათოლიკური, მონოფიზიტური, პროტესტანტული ეკლესიები, ებრაული თემები, არიან ისლამის მიმდევრები და სხვა კონფესიების წარმომადგენლები.

1991 წელს დამოუკიდებლობის მორიგ აღდგენას საქართველო საეკლესიო სამართლის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელოვანი დეფიციტის პირობებში შეხვდა. ეს მაშინ როდესაც XIX-XX საუკუნეებში უკვე არსებობდა ჩამოყალიბებული ურთიერთობები სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ეკლესიებში.

ამჯერად, საქართველოში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას არეგულირებს 2002 წელს მი-

ღებულის „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ (7, 6). თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ამ ხელშეკრულებაში უმთავრესია მუხლი 1.1, რომელშიც აღნიშნულია: „სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ“.

ხელშეკრულებაში ასახულია, აგრეთვე, ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორცაა:

- ეკლესიის იურიდიული სტატუსი (მუხლი 1.3);
- საკუთრებითი, ქონებრივი, სამეწარმეო, საფინანსო, საქველმოქმედო, საინვესტიციო, საგრანტო, საშემოსავლო და საგადასახადო ურთიერთობები (მუხლები 6.1 – 6.6);
- საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საკითხები (მუხლები 7.1, 7.2; 8.1, 8.2; 9.1, 9.2);
- XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისათვის მიყენებულ მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხი (მუხლები 11.1, 11.2).

კონსტიტუციური შეთანხმება უმაღლესი რანგის იურიდიული დოკუმენტია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, მას უნდა შეესაბამებოდეს როგორც სახელმწიფოს ყველა კანონი, ასევე – საქართველოს უმაღლესი ორგანოების მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. მასზე მაღლა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია დგას. შეთანხმებაში მოცემულია მხოლოდ ზოგადი დებულებები, რომელთა კონკრეტული მოწესრიგებისათვის სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მიიღოს შესაბამისი კანონები.

მთლიანობაში, საკონსტიტუციო შეთანხმება არის ფუძემდებლური დოკუმენტი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მთელი სპექტრის შესახებ, რომლის გარეშეც დღეს წარმოუდგენელია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

ყოველივე ზემოთთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეკლესიებსა და სახელმწიფოების ურთიერ-

თობათა არსებულ სისტემებს შორის, ეკლესიისა და სახელმწიფოს მიზანთა განხორციელებისათვის ყველაზე პროდუქტიულია თანამშრომლობა-კოორდინაციის სისტემა. ეს სისტემა, თუმცა თეორიულად საუკეთესოდ გამოიყურება, მაგრამ მასში მაინც ზუსტად არ არის განსაზღვრული მისი განხორციელების საშუალებები, რადგან სახელმწიფოს საკანონმდებლო ტერმინოლოგიაში სრულყოფილად უნდა იყოს გამოყენებული ეკლესიის წიაღში არსებული „წმინდა კანონები და წმინდა გარდამოცემა“, ისევე როგორც კონსტიტუციურად მხარდაჭერილი ცნება-ტერმინები, რაც არ დაარღვევს სახელმწიფოში არსებულ კონსტიტუციორ წესრიგს.

**N. SAMKHARADZE**

### **THE ASPECTS OF THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH MANAGEMENT IN THE CONTEXT OF RELATIONSHIPS BETWEEN THE STATE AND THE CHURCH**

In modern conditions the research of financial aspects of agricultural-administrative activity of churches and monasteries is highly topical. From this point of view, we think that it is an urgent matter to study ongoing agricultural-administrative processes of eastern and western churches and monasteries and under the basis of aforesaid we can identify future ways for the improvement of agricultural-administrative activity of our churches and monasteries and church economy.

Out of active systems of state and church relations Georgian Orthodox Church is distinguished by its originality. It has chosen the model of close cooperation with the state. Upon review of financial aspects of management there is shown necessity on sharing experience of modern active systems. As present accounting system is special in Georgian church the difference is caused due to different relations between state and church, it is essential to have provided financial tran-


sparency and works on special accounting models of income and expenditure of church as well as application of modern standards, establishment of united accounting area and operation of united electronic system of income and expenditure accounting. Also formation of the plan of accounts as approved in modern world in order to have simplified public monitoring and provide transparency of financial accounting in churches and monasteries.

In future it is essential to study active systems and legislative experience of relations between state and church in order to have established collaboration of church and state on three basic principles: neutrality, tolerance and parity.

### **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. პანაიოტის ი. ბუმისი, კანონიკური სამართალი, თბ., 2007.
2. ნ. სამხარაძე, ქრისტიანობა და ეკონომიკა, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ., 2011, თსუ გამოცემა.
3. პ. გაჩეჩილაძე, თ. ალექსიძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2013.
4. კ. აბასტასი, სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რედაქტორი პროფ. გერჰარდ რობერსი, თბ., 2011.
5. სილვიო ფერარი, სახელმწიფო და ეკლესია იტალიაში, წიგნში სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რედაქტორი პროფ. გერჰარდ რობერსი, თბ., 2011.
6. ბალაზ სანდა, სახელმწიფო და ეკლესია უნგრეთში, წიგნში სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რედაქტორი პროფ. გერჰარდ რობერსი, თბ., 2011.
7. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2002, № 42.





ნინო მაისურაძე

**ქართული ხალხური მუსიკის განვითარების  
უძველესი საფეხურები\***

**II. დასავლეთ საქართველო**  
(მუსიკალური მასალის ანალიზი)

უძველესი ხანის ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის კვლევისათვის უძვირფასეს მასალას გვაწვდის დასავლეთ საქართველო. განსაკუთრებით საინტერესოა სვანური და რაჭული საწესო საფერხულო სიმღერები, რომელთაგან უძველესი, სამხმიანი ნიმუშების შუა ხმა ფუძე-ჰანგის შემცველია. სვანური საწესო სიმღერის „ბარბალ დოლაშის“ (85) ძირითადი მელოდია (შუა ხმა) კვარტის დიაპაზონს მოიცავს და შედგება



ორი ფრაზისაგან. იგი (86.2) უშუალოდ ენათესავება სამხმიანი გუდამაყრული საფერხულოს „ჯვარის წინას“ (86.1) შუა, ძირითად ხმას. შემდგომი განვითარების პროცესში, თუ გუდამაყრული „ჯვარის წინას“ ძირითადი მელოდის (86.3) დიაპაზონი გაფართოებულია სექსტამდე, სვანური „ბარბალ დოლაშის“ ძირითადი მელოდია კვლავ კვარტის დიაპაზონის ჩარჩოში რჩება. მისი პირველი, ზედა ხმა (86.4) კი, რომელიც ბანთან ერთად ძირითადი მელოდის მიმართ კვინტის ჩარჩოს ქმნის,

\* ნაშრომის პირველი ნაწილი იხ. ჟურნალში „ანალები“, 2013, №9, გვ. 140-211.

გაფართოებულია და შეესატყვისება „ჯვარის წინას“ ძირითადი მელოდიის გაფართოებულ ვარიანტს\*.



სვანური საწესო სიმღერის „ელია ლგრდეს“ (87.1) შუა ხმა, რომელიც კვარტის დიაპაზონში სრულდება, „ბარბალ დოლაშის“ ძირითადი მელოდიის სახეშეცვლილი გამეორებაა.



\* ჩემს მიერ გაანალიზებული მრავალრიცხოვანი მუსიკალური მასალიდან, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ტიპიური მუსიკალური ნიმუშები.

ამასთანავე, მისი შუა ხმის შედარება აღმოსავლეთ საქართველოს იმ სიმღერებთან, რომლებიც ქართველთა მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველეს ეტაპებს ასახავს (მაგალითად, თუშური „ხმით ნატირალები“ (87.2), „აკუნის ნანები“ (87.3)), მათ საერთო მელოდიურ-ინტონაციურ წარმომავლობაზე მეტყველებს. „ელია ღვრდეს“ მელოდიზირებული პირველი (ზედა) ხმა, ბანთან ერთად, ძირითადი მელოდიის მიმართ კვინტის ჩარჩოს ქმნის, რის გამოც ძირითადი მელოდიის დიაპაზონი გაფართოების თვალსაზრისით შეზღუდულია. მსგავსი ვითარებაა „საფერხულოში“ (88), სადაც შუა, ძირითადი ხმა კვარტის დიაპაზონით შემოიფარგლება. ფრაზების დასაწყისში, კილოს მესამე საფეხურის ამღლების გამო, მინორული (ეოლიური) კილო




დროებით გადახრილია მაჟორულში. მსგავსი გადახრები დამახასიათებელია სვანური სიმღერებისათვის.

სიმღერაში „ამირანის ფერხული“ (89.1) წამყვანი, შუა ხმა ძირითადად კვინტის დიაპაზონში სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ მასში კილოს მეშვიდე საფეხური (სოლ)



ჩნდება, იგი ბანის VII საფეხურად გაიაზრება. სიმღერაში ძირითადი მელოდია იწყება ბგერათა აღმავალი სვლით კილოს ტერციიდან (დო) კვინტაში, რასაც შემდეგ მოსდევს ბგერათა დაღმავალი მოძრაობა ტონიკამდე (ლა). მელოდიის შედარებისას თუშურ „ლაშარის სიმღერასთან“ (იგივე „ქორბელელა“) (89.2). ირკვევა, რომ ორივე მათგანი ერთი და იგივე მელოდიურ-ინტონაციურ საფუძველს ემყარება. სვანური სასიმღერო ნიმუშებისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმის საფუძველი რეჩიტატიული ბურღონია.

სვანური სიმღერების შემდგომი განვითარება სამხმიან სიმღერებში ორი ზედა ხმის და ბანის საფეხურთა გაფართოების გზით მიმდინარეობს. ეს გზა, აღმოსავლურ-



90.3

Handwritten musical score for exercise 90.3. It consists of three staves in 2/4 time. The top staff uses a treble clef, the middle a soprano clef, and the bottom a bass clef. The music features rhythmic patterns of eighth and sixteenth notes, with some notes marked with asterisks. The piece concludes with a double bar line and a fermata.

90.4

Handwritten musical score for exercise 90.4. It consists of three staves in 2/4 time. The top staff uses a treble clef, the middle a soprano clef, and the bottom a bass clef. The music features rhythmic patterns of eighth and sixteenth notes, with some notes marked with asterisks. The piece concludes with a double bar line and a fermata.

90.5

Handwritten musical score for exercise 90.5. It consists of three staves in 2/4 time. The top staff uses a treble clef, the middle a soprano clef, and the bottom a bass clef. The music features rhythmic patterns of eighth and sixteenth notes, with some notes marked with asterisks. The piece concludes with a double bar line and a fermata.

90.6

Handwritten musical score for exercise 90.6. It consists of three staves in common time (C). The top staff uses a treble clef, the middle a soprano clef, and the bottom a bass clef. The music features rhythmic patterns of eighth and sixteenth notes, with some notes marked with asterisks. The piece concludes with a double bar line and a fermata.

na 7



ქართული სიმღერებისაგან განსხვავებით, მრავალხმიანობის სინქრონული ხმათასვლის (კომპლექსურ) ფორმას ემყარება. სიმღერაში „ლაშქუ ლაშგარუ“ (90.1) ძირითადი მელოდია, რომელიც კვარტის დიაპაზონს მოიცავს, შუა ხმაშია. მასზე დამოკიდებული პირველი ხმა გაფართოებულია სექსტამდე. სიმღერაში „ყანსავ ყიფიანე“ (90. 2ა, ბ) შუა, ძირითადი ხმა კარგავს წამყვანის ფუნქციას და გზას უთმობს პირველ, ზედა ხმას. პირველი ხმის წინ წამოწევის თვალსაზრისით საყურადღებოა საცეკვაო სიმღერა „შამაია შამარერა“ (90.3) და მისი ვარიანტები „ორი რაშა“ (90.4)

და „შინა ვოგილ“ (90.5). „შამაია შამარერაში“ შუა, ძირითადი ხმა კვარტის დიაპაზონს მოიცავს, პირველი, ზედა ხმა კი, მასზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ „ორი რაშას“ მუსიკალურ ტექსტში პირველი ხმა მელლოდიზირებულია, იგი მაინც დამოკიდებულია შუა, მეორე ხმაზე. სიმღერაში „შინა ვოგილ“ პირველი ხმა უკვე ძირითადი მელლოდიის ფუნქციას იძენს. საფერხულო სიმღერაში „ირინოლა“ (90.6) პირველი ხმა კვინტის დიაპაზონს მოიცავს და მას ძირითადი მელლოდიის, წამყვანი ხმის ფუნქცია ეკისრება, თუმცა სიმღერას შუა ხმა იწყებს. საფერხულო სიმღერა „მირმიქელა“ (90.7) მელლოდიურ-ინტონაციურად „ირინოლას“ საკადანსო ნაწილზეა აგებული და წარმოდგენილია დამოუკიდებელი მუსიკალური ნაგებობის სახით. პირველი ხმის, როგორც წამყვანი, ძირითადი ხმის ფუნქცია მკაფიოდ ჩანს სიმღერებში „ლილე“ (90.8), „ჯგრზგ“ (90.9) და სხვ. ისტორიული სიმღერის „თამარ დედფალ“ (91. 1,2)





ვარიანტებში ძირითადია ზედა, პირველი ხმა, შუა ხმა კი, მასზეა დამოკიდებული. პირველი ხმა მელოდიურ-ინტონაციურად უშუალო კავშირშია კახურ საფერხულ სიმღერასთან „ფერხული ჩავაბათ“ (91.3) იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში მელოდია გაფართოებულია.

რიგ შემთხვევაში (მაგ. „გაულ გავხე“ (92)) ბანის VII საფეხური, რომელსაც უწოდებდა დამხმარე საფეხური (ფა), ტონიკური ბგერის ელფერს იძენს, მაგრამ კილოს I საფეხურის (სი) მიმართ იგი კვლავ გაფართოებული VII საფეხურის დონეზე რჩება. სვანური სიმღერების შემდგომი განვითარება ზედა ორი ხმის და ბანის საფეხურთა გაფართოების გზით მიმდინარეობს.



ზოგიერთ სიმღერაში „ვოი და ვო“, „ვოისარერა“ და სხვა (93.1, 2) ხდება ბანის I საფეხურის გადასვლა V-ში, და შემდეგ, VI VII საფეხურების გავლით ტონიკაში დაბრუნება. სიმღერაში „შაირები ალბევილაზე“ (93.3) ბანში წარმოდგენილია IV V VI VII საფეხურების მონაცვლეობა. IV საფეხური თითქოს იძენს დამოუკიდებელი



კილოს ტონიკის ფუნქციას, მაგრამ თავდაპირველი კილოს I საფეხურის (დო) მიმართ ისევ IV საფეხურად რჩება.



სიმღერებში „ლაგუშედა“ (94.1), „სადამ“ (94.2) და სხვ. დომინანტური ფუნქციის მატარებელი საფეხური დამოუკიდებელი კილოს ტონიკის ფუნქციას აღწევს, თავდაპირველი კილოს ტონიკა კი, წინადადების თუ სიმღერის ბოლოს ჩნდება.

54.1

54.2

სვანური სიმღერების შუა, ძირითად ხმაში მკაფიოდ ჩანს თავდაპირველი მელოდიური ფორმულა, რომელიც საფუძვლად დაედო სიმღერების შემდგომ განვითარებას. იგი ვენეცურ კავშირშია აღმოსავლურქართულ სიმღერებში გა-

მოვლენილ ფუძე-ჰანგთან, და ამგვარად, საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის ამსახველია. სვანური სიმღერების შემდგომი განვითარება ორი ზედა ხმის და ბანის საფეხურთა გაფართოების გზით მიმდინარეობს. ეს გზა, აღმოსავლურქართული სიმღერებისაგან განსხვავებით, მრავალხმიანობის კომპლექსურ ფორმას ემყარება.

სინქრონულ ხმათა სვლას ემყარება რიგი რაჭული სიმღერებისა – „ამირანი“ (95.1) „ფერხული“ (95.2, 5, 6), „შურშანა“ (95.3), „ოდელია და ოდელია“ (95.4), „დიდგორსა დასხდნენ“ (95.7) და სხვ. ეს სიმღერები უშუალოდ ენათესავება სვანურ სიმღერებს – „ამირანის ფერხული“ (96.1), „ფერხული“ (96.2), „შურშანა“ (96.3) და სხვ. ნაწილი რაჭული სიმღერებისა

The image displays five examples of handwritten musical notation, labeled 95.1 through 95.5. Each example consists of a grand staff with a treble clef on the upper staff and a bass clef on the lower staff. The notation includes various rhythmic values (quarter, eighth, and sixteenth notes), rests, and accidentals (sharps, flats, and naturals). The pieces are arranged in three rows: 95.1 is on the top row; 95.2 and 95.3 are on the middle row; and 95.4 and 95.5 are on the bottom row. The notation is characteristic of traditional Georgian folk music.

95.6

95.7

მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა სიახლოვეს ამუღავენებს აღმოსავლეთ საქართველოს, ერთი მხრივ,

96.1

96.2



მთიელთა საფერხლოებთან, მეორე მხრივ – ქართლ-კახურ სიმღერებთან. ასეთებია მაგალითად, „მგზავრული მაყრული“ (97.1), „მაყრული“ (97.2, 3), „ქვედრულა“ (97.4), „მაყრული“ (97.5). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია რაჭული სიმღერების სიახლოვეზე სვანურთან და აგრეთვე იმერულ სიმღერებთან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რაჭველები ითავისებენ სვანურ თუ იმერულ სიმღერებს და ხანდახან მათ ახალ სიტყვიერ ტექსტს უსადაგებენ (Чхиквадзе, 1957: 51), დ. არაყიშვილს ქვემო, ზემო და ნაწილობრივ მთის რაჭის სიმღერები ქართლ-კახეთის ნაწილად მიაჩნდა (არაყიშვილი, 1950: 28).





წარმოდგენილი რაჭული მუსიკალური მასალა შეიცავს როგორც აღმოსავლურქართული, ისე დასავლურქართული სიმღერებისათვის დამახასიათებელ მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ თავისებურებებს. მათ შორის საინტერესოა ის უძველესი ნიმუშები, რომლებიც კავშირს ავლენს, ერთი მხრივ სვანურ, და, მეორე მხრივ – აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერებთან და ასახავს საერთო ქართველურ მუსიკალურ ფუძე-ენას. აღსანიშნავია, რომ რაჭულში, სვანურის მონათესავე მუსიკალური მასალა სტატიკურია მაშინ, როდესაც სვანურში განვითარების უწყვეტი პროცესი ჩანს. რაჭულის მჭიდრო კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და, აგრეთვე, ბარის რეგიონ-

ნებთან, შესაძლოა მიგვანიშნებს იმაზე, რომ რაჭულის ძირები მუსიკალური კულტურის აღმოსავლურ-ქართული წრის წიაღშია საძიებელი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რაჭული სიმღერების სპეციფიკა მრავალხმიანობის ბურღონული და კომპლექსური ფორმების თანაარსებობაში გამოიხატება (Накашидзе, 1987: 24).

მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა განვითარების შემდგომი პროცესი მეგრულ სიმღერებში შეინიშნება. შრომის სიმღერაში „ოხეშხევეი“ (98.1) ბანში ლა კილოს VII-VI საფეხურები გაფართოებულია დროებით დამოუკიდებელ კილოებამდე. VII საფეხურს, თავის მხრივ, უჩნდება დამხმარე საფეხურები. „სუფრულის“ (98.2) ბანში ბგერა ფა, რომელიც ლა კილოს გაფართოებული VI საფეხურია, წინადადების ბოლოს კვლავ კილოს I საფეხურს უბრუნდება. გაფართოებულ VI საფეხურს, რომელიც ფაკილოს I საფეხურის ელფერს იძენს, მოსდევს II და III(I) საფეხურები (ძირითადი ლა კილოს VII, I საფეხურები),





რაც ფრიგიული კადანსის წარმოქმნის საწინდარია. აკვნის სიმღერაში „სისატურა“ (99.1) ბანის VI საფეხური ფართოვდება და დროებითი სოლ კილოს I საფეხურის ფუნქციას იძენს, რაც საფეხურთა ურთიერთმიმართებას ცვლის. კერძოდ, აქაც, წინადადების ბოლოს ჩნდება ფრიგიული კადანსი (I სოლ კილო, II III(I)). სიმღერაში „ვოჯანუდი ჩქიმ ჯარგვალს“ (99.2) ბანში ბგერა მი გაიაზრება როგორც თავდაპირველი სოლ კილოს VI საფეხურის გაფართოების შედეგად მიღებული დროებითი ახალი მი კილოს ტონიკა. ფრიგიული კადანსი აკებულია მი კილოს I საფეხურზე (I მი კილო, II III(I)). ჰარმონიულ ელემენტთა მსგავსი ურთიერთმიმართება დამახასიათებელია სიმღერისათვის „ირო ეშე ირდუექო“ (99.3). აქ, ბანში გაბატონებული ბგერა ფა წარმოდგენილია ფა კილოს ტონიკის სახით (იგი მიღებულია თავდაპირველი ლა კილოს VI საფეხურის გაფართოების შედეგად), რომელიც ფრიგიული კადანსის საშუალებით ლა კილოში გადადის.






99.2

99.3

საწესო სიმღერის „ო ბურღა“ (100.1) ბანში, ძირითად ღა კილოს I საფეხურთან მიმართებაში, მოცემულია IV V VI VII საფეხურების მონაცვლეობა. V IV საფეხურები (მი,

რე) ჩნდება მხოლოდ VII VI საფეხურების შემდეგ. შრომის სიმღერაში „ოცონური“ (100.2), ბანში I საფეხური უშუალოდ გადადის V-ში, რომელიც VI VII საფეხურების გავლით უბრუნდება I საფეხურს. საფეხურთა მსგავსი მონაცვლეობა შეინიშნება შრომის სიმღერაში „ჩელა“ (100.3).





ჰარმონიულ ელემენტთა შემდგომი განვითარების პროცესში ბანის V ან VI საფეხურები დამოუკიდებელი ტონიკის ფუნქციას იძენს. ამ მხრივ საყურადღებოა „ვარწყექო დივჭვინი“ (100.4). ბანში, ძირითადი I საფეხური – დო (რომელიც თავდაპირველი სოლ კილოს IV საფეხურია), წინადადების ბოლოს, V VI VII საფეხურების გავლით სოლ კილოს I საფეხურში გადადის.

მეგრული სიმღერების ანალიზიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ბანში V IV საფეხურები VII VI საფეხურების გაფართოების შედეგად ყალიბდება. კერძოდ, VII VI საფეხურებს, რომლებიც დროებით დამოუკიდებელი კილოს ტონიკის ფუნქციას იძენს, თავის მხრივ უჩნდება დამხმარე საფეხურები, რომლებიც ძირითადი კილოს I საფეხურის მიმართ V IV საფეხურებია. ბანში საფეხურთა გაფართოების ანალოგიური გზა შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სიმღერებში იმ განსხვავებით, რომ აქ, ეს პროცესი მრავალხმიანობის ბურღონულ ფორმას ემყარება, დასავლეთ საქართველოში – კომპლექსურს. მეგრულ სიმღერებში მკაფიოდ ჩანს, რომ ბანში დამხმარე საფეხურები, ერთი მხრივ, ერთიანდება თავდაპირველ კილოში და ქმნის V VI VII I ან IV V VI VII I საფეხურთა მონაცვლეობას, მეორე მხრივ ახალი, დამოუკიდებელი კილოს ტონიკის მნიშვნელობას იძენს. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს V-IV საფეხურები, რომლებიც ახალი, ძირითადი კილოს I საფეხურის ფუნქციას იძენს. ასეთ ვითარებაში თავდაპირველი კილოს ტონიკაში გადასვლა მოღუდაციის საშუალებით ხდება: ახალი კილოს I საფეხური

უტოლდება თავდაპირველი კილოს V (ან IV) საფეხურს და დანარჩენი საფეხურების გავლით თავდაპირველი კილოს I საფეხურში გადადის.

ხშირად, მეგრულ სიმღერებში გაუღებრებული დიდი სეპტიმა მეგრულისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ თავისებურებას ქმნის. მაგალითად საქორწილო სიმღერაში „კუნხი ბედინერი“ (101.1), ბანში სოლ კილოს გაფართოებული VI საფეხური (მი), მეოთხე ტაქტში, ბგერა რე-დიეზთან



ერთად მი – იონური კილოს ელფერს იძენს და სეპტაკორდში (მი – სი – რე-დიეზი) წინ წამოწეულია დიდი სეპტიმა, რომელიც სიმღერაში სპეციფიკურად ჟღერს. მსგავსი ვითარებაა საცეკვაო სიმღერაში „ვოისა“ (101.2), სამგლოვიარო სიმღერაში „ზარი“ (101.3) და სხვ. რიგ სიმღერებში – „კუჩხი ბედინერი“ (102.1), „სუფრული“ (102.2), „ო ბურღა“ (102.3), „სისატურა“ (102.4) და სხვ. – მელოდია, ბგერათა დაღმავალი მოძრაობით ფრიგიულ კილოში, უშუალო კავშირს ავლენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერებთან – „ჯგერის წინასა“ (102.5), „ფერხისული“ (102.6)





და სხვ., რაც მათ საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს (Маисურაძე, 1983(1): 108-109; 1983(2): 43; ჭითანავა, 1987: 259-260).

ბანში დამხმარე საფეხურთა გაფართობის ზემოსხე-  
ნებული გზა გურულ სიმღერებში იჩენს თავს. სიმღერაში  
„ორირა“ (103.1), ბანში, ძირითადი სოლ კილოს VII საფე-  
ხური (ფა) გაფართოებულია. მას, თავის მხრივ, უჩნდება



81

Handwritten musical score for exercise 81, consisting of three staves in 2/4 time. The top staff has a treble clef and a key signature of one flat. The middle and bottom staves have a bass clef. The music features a complex rhythmic pattern with many sixteenth notes and slurs.

103. 2

Handwritten musical score for exercise 103.2, consisting of three staves in 2/4 time. The top staff has a treble clef and a key signature of one sharp. The middle and bottom staves have a bass clef. The music features a complex rhythmic pattern with many sixteenth notes and slurs.

103.3 >

Handwritten musical score for exercise 103.3, consisting of three staves in 2/4 time. The top staff has a treble clef and a key signature of one sharp. The middle and bottom staves have a bass clef. The music features a complex rhythmic pattern with many sixteenth notes and slurs.

81

Handwritten musical score for exercise 81, consisting of three staves in 2/4 time. The top staff has a treble clef and a key signature of one flat. The middle and bottom staves have a bass clef. The music features a complex rhythmic pattern with many sixteenth notes and slurs.

VII VI საფეხურები (მი-ბემოლ, რე), რომლებიც სოლ კილოსათვის VI V საფეხურებია. სიმღერის ბოლოს საფეხურთა თანმიმდევრობა შემდეგია: V VI VII I. სიმღერაში „ჰე-ია-ვა-ჰე“ (103.2) ძირითადია ღა-დორიული კილო, თუმცა სიმღერაში გაბატონებულია სოლ იონიური კილო ანუ ღა კილოს გაფართოებული VII საფეხური, რომელიც დროებით დამოუკიდებელი კილოს I საფეხურის მნიშვნელობას იძენს. მას, თავის მხრივ, ბანში უჩნდება VII VI საფეხურები, რომლებიც ძირითადი ღა კილოს VI V საფეხურებად გაიზრება. სიმღერაში „ჯაშის ქალი მარიკელა“ (103.3), ბანში, ძირითადი ღა-ეოლიური კილოს V საფეხური – მი ჩნდება გაფართოებული VII საფეხურის მიმართ დამხმარე ბგერის (მი) გაჩენის შედეგად. საკადანსო სვლაში დამხმარე ბგერები წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით: V ღა კილო VI VII I. სიმღერაში „ოსა-რერა-ნანინა“ (104.1) ხმათა სვლა ბანში I VII VI V საფეხურებს ემყარება. სიმღერაში „რაშა-ვორერა“ (104.2) ბანში აგრეთვე მოცემულია I VII VI V საფეხურთა უშუალო მონაცვლეობა. იგივე შეინიშნება სიმღერაში „დილა ვოდილა“ (104.3)







მუსიკალური მასალის ანალიზიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ სიმღერებში კილოთა მონაცვლეობა გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. მელოდიის განვითარების შესაბამისად ბანის საფეხურთა თანდათანობითმა გაფართოებამ, კილოთა კვარტა-კვინტურ თანაფარდობას მიაღწია, რაც შემდეგში მაჟორულ-მინორული სისტემის წარმოქმნის საწინდარი გახდა. ჰარმონიულ ელემენტთა შემდგომი განვითარება, გურულ სასიმღერო შემოქმედებაში სპეციფიკურად მიმდინარეობს, კერძოდ, ბანი უაღრესად მობილურია. მასში VII VI V IV საფეხურთა მონაცვლეობას ადგილი აქვს არა მხოლოდ ერთი კილოს ფარგლებში, არამედ – იმ კილოებში, რომლებიც ჩნდება ბანში დამხმარე საფეხურთა გაფართოების საფუძველზე. უფრო მეტიც, პოლიფონიური აზროვნება იმდენად მაღალ დონეს აღწევს, რომ ბანის საფეხურთა გაფართოებით მიღებული დროებით თუ დამოუკიდებელ კილოთა დამხმარე საფეხურები, ზოგ შემთხვევაში თვით იძენს მყისიერად დროებით დამოუკიდებელი კილოს ტონიკის ფუნქციას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმერული სასიმღერო შემოქმედება მჭიდრო კავშირშია გურულთან. ამავე დროს რიგი მუსიკალური ნიმუშებისა ქართლურთან სიახლოვეზე მეტყველებს (Чхиквадзе, 1957: 55; ჩხიკვაძე, 1965: 24). ზოგიერთ სიმღერაში – „სუფრული“ (105.1), „მუშური“ (105.2), „ნადური“ (105.3), „სუფრული“ (105.4) და სხვ. – შეინიშნება ქართლურისა და გურულისათვის დამახასიათებელი მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული ელემენტების შერწყმა.

105.1

105.2

105.3

105.4

გურულ სიმღერებში გამოვლენილი ბანის საფეხურთა ურთიერთმიმართების ანალოგიური ფორმები აჭარულ სიმღერებში იქნეს თავს („ინდი მინდი“ (106)). ზემოხსენებული მსჯელობის შემდეგ ვფიქრობ, რომ ოთხხმიან ნიმუშებში ბანის ანუ დაბალი ბანის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს სამხმიან სიმღერებში ბანის საფეხურთა გაფართოებასთან. ამ მხრივ საყურადღებოა IV საფეხური. მაგალითად, შრომის სიმღერაში „ჯავახურაი“ (107), ბანის IV საფეხური, რომელიც დამოუკიდებელი კილოს ტონიკის



ფუნქციას იძენს, უფრო გვიან, ახალი, ძირითადი კილოს ტონიკურ ბგერად გვევლინება და თავდაპირველი კილოს ტონიკის პარალელურად თანაარსებობს, ანუ ჩნდება ორი ტონიკა, რომელთაგან პირველი თავდაპირველი კილოს ტონიკაა, მეორე – ბანში IV საფეხურის დამოუკიდებელი, შემდეგში ძირითადი კილოს ტონიკად ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების შედეგია. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ბანი ანუ დაბალი ბანი, თავდაპირველი ტონიკა – მა-

დალი ბანი ანუ შემხმობარი (მაისურაძე, 1982: 441-442; 1989: 15). ნიშანდობლივია შემდეგი დაკვირვება: სიმღერაში დაბალი ბანის შემატეხამდე მაღალი ბანი კილოს ტონიკის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ როდესაც სიმღერას დაბალი ბანი უერთდება კილოს ტონიკური ბგერის სახით, მაღალი ბანი მის კვინტურ ბგერად იქცევა (ახობაძე, 1961: 20-22), ამგვარად, აჭარულ სიმღერებში ოთხხმიანობის წარმოქმნის ერთ-ერთი გზა ვარაუდობს ბანის ანუ დაბალი ბანის გაჩენას მეოთხე ხმის სახით.



ნაწილი აჭარული სიმღერებისა – „მგზავრული“ (108.1), „ხინწკალა“ (108.2), „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ (108.3) და სხვ. – სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლურქართულ სიმღერებთან. აქვე დავსძენ, რომ ზოგიერთი მკვლევრის დაკვირვებით, „ნადურების“ პირველ სამხმიან ნაწილში, ბანში, გაბმული ბგერა თითქმის არ განსხვავდება ქართლ-კახური ხალხური სიმღერების ბანისაგან (ახობაძე, 1961: 20).

108.1

Handwritten musical score for 108.1, measures 1-3. The score is in common time (C) and consists of three staves: two treble clefs and one bass clef. The first staff has a whole rest in the first measure, followed by a melodic line in the second and third measures. The second staff has a rhythmic accompaniment of eighth notes. The third staff has a bass line with a flat sign (b) in the second measure.

Handwritten musical score for 108.1, measures 4-6. The score is in common time (C) and consists of three staves: two treble clefs and one bass clef. The first staff has a melodic line. The second staff has a rhythmic accompaniment of eighth notes. The third staff has a bass line with a flat sign (b) in the fifth measure.

108.2

Handwritten musical score for 108.2, measures 1-4. The score is in common time (C) and consists of three staves: two treble clefs and one bass clef. The key signature has two sharps (F# and C#). The first staff has a melodic line. The second staff has a rhythmic accompaniment of eighth notes. The third staff has a bass line with a flat sign (b) in the second measure.


108.3

Handwritten musical score for 108.3, measures 1-4. The score is in 3/8 time and consists of three staves: two treble clefs and one bass clef. The key signature has two sharps (F# and C#). The first staff has a melodic line. The second staff has a rhythmic accompaniment of eighth notes. The third staff has a bass line with a flat sign (b) in the second measure.

აჭარულმა სასიმღერო შემოქმედებამ შემოგვინახა ისეთი ნიმუშები, რომლებიც არქიტექტონიკის სიძველით გამოირჩევა და ქართული ხალხური მუსიკის განვითარების უძველეს ეტაპებს ასახავს. აჭარული საფერხულო სიმღერა „ნადნად ნინანა“ (109. 1, 2) საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის გამომხატველია. იგი ანალოგიურია აღმოსავლურ-ქართული უმარტივესი სიმღერების, როგორცაა ხევსურული „ნანა“ (109.3), თუშური „ნანა“ (109.4), ქართლური „ჭერიო“ (109.5) და სხვ. ნ. ზუმბაძემ „ნადნად“ ძეობასთან დაკავშირებულ საფერხულოთა რიგს მიაკუთვნა (ზუმბაძე, 2006: 299-303).



აჭარული სიმღერა „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ (110.1), რომელიც „იავნანას“ ინტონაციურ არეში შედის, უშუალოდ ენათესავება მესხურ სასიმღერო ნიმუშებს – „ფერხული“ (110.2), „გეგუთისა მინდორზედა“ (110.3) და სხვ.



აჭარული სიმღერების უძველესი ნიმუშები, ერთი მხრივ, საერთო ქართველური მუსიკალური ფუძემდების დონეზე განიხილება, მეორე მხრივ – მჭიდროდ უკავშირდება მუსიკალური კულტურის აღმოსავლურქართულ წრეს. აჭარული სასიმღერო შემოქმედების შემდგომი განვითარების პროცესი მუსიკალური კულტურის დასავლურქართული წრის წიაღში მიმდინარეობს.

მუსიკალური მასალის ანალიზის შედეგებიდან მკაფიოდ ჩანს ოდესღაც საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძემდება, მისი განვითარების, იმავდროულად დიფერენციაციის და სემანტიკური ტრანსფორმაციის პროცესი. როგორც უკვე ითქვა, ერთი ჰარმონიული ელემენტის წინ წამოწევა სხვა დანარჩენ ჰარმონიულ ელემენტთა ურთიერთმიმართების ახალი ფორმების წარმოქმნის და ჩამოყალიბების საწინდარია. სვანური სიმღერების შუა, ძირითადი ხმა, რომელიც თავდაპირველი მელოდიური ფორმულის შემცველია, გენეტურ კავშირშია აღმოსავლურქართულ სიმღერებში არსებულ ფუძე-ჰანგთან და საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძემდების გამომხატველია. სვანური სიმღერების შემდგომი მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული განვითარება ორი ზედა ხმის და ბანის საფეხურთა თანდათანობითი გაფართოებით აღინიშნება. ბანის საფეხურთა გაფართოება და, შესაბამისად, კილოთა მონაცვლეობა დასავლეთ საქართველოს ბარში უმაღლეს დონეს აღწევს. ეს პროცესი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, საერთო გზით მიმდინარეობს. ამავდროულ თითოეული მათგანი ემყარება ქართული მრავალხმიანობის გარ-

კვეულ ფორმას: აღმოსავლურქართული ბურდონულს, დასავლურქართული კომპლექსურს ანუ სინქრონულ ხმა-თასვლას. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურქართულ სიმღერებში ნათლად ჩანს ჰარმონიულ ელემენტთა უწყვეტი, კანონზომიერი განვითარების პროცესი.

ამგვარად, მუსიკალური მასალა ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების თითქმის ყველა საფეხურს მოიცავს. მას ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების კვლევისათვის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს.

**N. MAISURADZE**

## **THE ANCIENT STAGES OF GEORGIAN FOLK MUSIC DEVELOPMENT**

### **II. West Georgia**

#### **(The analysis of musical material)**

On the basis of the musical texts analysis the common musical language and its development is shown in the article.

#### **გამოქვეყნებული წყაროები და ლიტერატურა:**

არაყიშვილი – არაკიშვილი დ. (არაკჩიევ), Народная песня Западной Грузии, Оттиск из II т. «Трудов МЭЖ», Москва, 1908.

არაყიშვილი – არაკიშვილი დ. (არაკჩიევ), Грузинское народное музыкальное творчество. Оттиски из V т. «Трудов МЭЖ», Москва, 1916.

არაყიშვილი დ., რაჭული ხალხური სიმღერები, თბილისი, 1950.



- ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბილისი, 1954.
- ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II, თბილისი, 1956.
- ასლანიშვილი შ., ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია, II გამოცემა, თბილისი, 1970.
- ახობაძე ვ., ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, თბილისი, 1957.
- ახობაძე ვ., ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961.
- ზუმბაძე ნ., ქართული საძეგლო სიმღერები // ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, საქართველო, 2006, 299-309.
- მაისურაძე ნ., ქართულ ხალხურ სიმღერებში კომპლექსური მრავალხმიანობის წარმოშობის შესახებ // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 107, №3, თბილისი, 1982.
- მაისურაძე ნ., ქართულ (აჭარულ) ხალხურ სიმღერებში ოთხხმიანობის წარმოშობის საკითხისათვის // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 108, №2, 1982.
- მაისურაძე – მაისურაძე Н., Проблемы генезиса, Становления и развития грузинской народной музыки, Диссертация, Тбилиси, 1983(1); Автореферат, Тбилиси, 1983 (2).
- მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკის განვითარების უძველესი საფეხურები. I, აღმოსავლეთ საქართველო // ანალები №9, თბილისი, 2013.
- მსხალაძე ა., აჭარის საოჯახო საწესხვეულებო პოეზია, თბილისი, 1969.
- მსხალაძე ა., აჭარის ხალხური შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგიერთი საკითხისათვის, თბილისი, 1970.
- ნაკაშიძე – Накашидзе К., Музыкальная культура горцев Западной Грузии (по этнографическим данным) Автореферат, Ереван, 1987.
- ფალიაშვილი ზ., ქართული ხალხური სიმღერების კრებული, თბილისი, 1909.

- ჩიჯავაძე ო., ქართული (მეგრული) ხალხური სიმღერები, თბილისი, 1974.
- ჩხიკვაძე – Чхиквадзе Гр., Народная песня // Грузинская музыкальная культура, Москва, 1957.
- ჩხიკვაძე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, I, რედაქტორი გრ. ჩხიკვაძე, თბილისი, 1960.
- ჩხიკვაძე გრ., ქართული ხალხური მუსიკა, თბილისი, 1965.
- ჭითანავა ქ., მეგრული სიმღერა „კუნხა ბედინერა“ // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, XXIII, 1987.
- ჭუმბურიძე ვ., ქართული ხალხური სიმღერების კრებული (სამეგრელო), შემდგენელი ვ. ჭუმბურიძე, თბილისი, 1972.

საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის დასახლების  
სტრუქტურა და სახალხო საკრებულოების  
აღბილი მასში

ეთნოლოგიურ (ეთნოგრაფიულ) ლიტერატურაში ამ თუ იმ ხალხის ეთნოსპეციფიკის განმსაზღვრელ ნიშნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოფისა და კულტურის ტრადიციულ ფორმებს. ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ეთნოგრაფიული წყარო, ხალხის ისტორიის ეთნოსოციალური და ეთნოკულტურული ასპექტების კვლევისას, არის დასახლება, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა კოლექტივის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმას.

\* \* \*

საქართველოში გამოიყოფენ სამ ძირითად ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ ზონას: 1. ქვეყნის ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი უკავია კავკასიონის მთიან ზონას. აქ მთავარი ქედის საშუალო სიმაღლეა 3500-4000 მ., ცალკეული მწვერვალი 5000 მ-ს აღემატება. 3200 მ-ის ზემოთ მუდმივი თოვლისა და მყინვარების ზონაა. 2. მეორე ბუნებრივი ზონაა სამხრეთ საქართველოს მთიანეთი; აქ მთების საშუალო სიმაღლეა 2000-2300 მ. 3. საქართველოს ტერიტორიის ერთმესამედზე მეტი უკავია ყველაზე მნიშვნელოვან ზონას – მთათაშორის ბარს (ეს არის მცხოვრებთა განსახლების მთავარი ზოლი) (ვ. ჯაოშვილი, 1984, 240).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოს ზემოთ მითითებული სამი ძირითადი ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონიდან პირველის – კავკასიონის მთიანი ზონის – დასახლების სტრუქტურას და მასში სახალხო საკრებულოების ადგილსა და მნიშვნელობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

საქართველოს ჩრდ. მთიანეთი გეოგრაფიული და ეკოლოგიური თვალსაზრისით ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით და რთული რელიეფით, სოციალური განვითარების მხრივ – გასული საუკუნის

პირველ ნახევარშიც კი – ბარისაგან განსხვავებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური დონით, ტრადიციული ინსტიტუტების შემონახულობით. მასში მკვეთრად გამოიყოფა მთიანი რაიონები, რომელნიც ბუნებრივ-ისტორიული პირობების ერთგვაროვნებით წარმოადგენენ თავისებურ სამეურნეო-კულტურულ ერთობას, რაც ვლინდება კულტურისა და ყოფის ყველა მნიშვნელოვან სფეროში. ამ ერთობის ერთ-ერთი შემადგენელია დასახლება, რომელიც ტიპოლოგიის მხრივ ერთიანია არა მარტო საქართველოს მთიანეთისთვის, არამედ მთელი კავკასიისათვის (თუმც – ლოკალური თავისებურებებით).

მთური დასახლების ბუნებრივი საფუძველი საქართველოს (და, ზოგადად, კავკასიის) მთიანეთში არის ხევი და ხეობა (აფხაზური *аапста*, ოს. *ком* და სხვ.) გეოგრაფიული ნიშნით მთელი კავკასიის მთიანეთი ასეთი ხეობების სისტემას წარმოადგენს დაწყებული სულ მცირე – ზოგჯერ დაუსახლებელი ხეევებით და დამთავრებული დიდი, ფართო ხეობებით.

\* \* \*

საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის დასახლების უმცირესი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინია *სოფელი*. ს. ჯანაშიას განმარტებით, „სოფელი“ ძველქართულ წყაროებში აღნიშნავდა „ქვეყანას“ და მხოლოდ IX-X სს-დან აღნიშნავს *სოფელს* (დაბა-ს). იგი თავდაპირველად იხმარებოდა ვიწრო მნიშვნელობით – საკუთრება, მფლობელობა და ნაწარმოებია ოფ←უფ ძირისაგან (ს. ჯანაშია, 1949, 285-286).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წარსულში არსებული დასახლების ერთეულის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი ფიქსირდება, რაც უკავშირდებოდა დასახლების მორფოლოგიურ ცვლილებებს: მაგ., ქსნის ხეობის სათავეებში ერთი ოჯახის მიერ დაარსებულ დასახლებას ეწოდებოდა *კარი*, რომელიც თან ერთვოდა პირველმოსახლის (დამაარსებლის) სახელს – *ღორეთკარი*, *კარელთკარი* და სხვ. ფაქტიურად, ეს ერთი დიდი ოჯახის სამოსახლო კარ-მიდამოა; შემდგომში, ამ ოჯახის გამრავლების შედეგ-

გად, აქვე – ამავე ტერიტორიაზე განხილვი ნათესაური ჯგუფების (პატრონიმიების – იხ. ქვემოთ) მიერ დასახლებული ტერიტორიის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი **უბანი**, რადგან იგი აღნიშნავდა ამ დიდი ნათესაური ჯგუფის გაერთიანებას. ტერმინი **სოფელი** მკვიდრდება ქსნის ხეობაში (და სხვაგანაც) დასახლების მრავალგვაროვან ერთობად – მეზობლურ თემად ჩამოყალიბების შემდეგ. ტრადიციისამებრ, ახლაც იხმარება **კარი, უბანი** (ძველი დასახლების მიმართ) – თუნდაც იქ მრავალი გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი ქსნის ხეობის დასახლებებს **სოფლებს** უწოდებს (ვ. ბაგრატიონი, 1904, 77 და შმდ.), გ. ჩიტაია – **უბნებს** (გ. ჩიტაია, 1939, 283). აღ. რობაქიძე თვლიდა, რომ დასახლების პუნქტების ნომენკლატურის გაურკვეველობა, გამოწვეული იყო მათი სოციალური ბუნების გაურკვეველობით (A. И. Робакидзе, Г. Геречкори, 1975, 126).

ხევსურეთში დასახლების ერთეულის აღმნიშვნელი გავრცელებული ტერმინი იყო **თემი**. ეთნოგრაფიული მასალით (მთხრობელთა სიტყვებით), ამის დამადასტურებელია ლექსი – „ლექსი თქვა მჭედელთ გაგამა, თემებში დასაბარები“, სადაც **თემებში** იგულისხმება **სოფლები**. სხვათა სიტყვებით – „სოფელი და თემი ერთიდაიგივეა – შეიძლება ითქვას „სოფელი ახიელი“ ან „თემ-სოფელი“. რადგან ხევსურეთში სოფელთა დასახლების უმეტესობა მონოგამურია, ამიტომაც უფრო გავრცელებულია **თემი**. მრავალი გვარით დასახლებულ პუნქტს **სოფელს** უწოდებდნენ.

მაღალმთიანეთის სოფლები, ძირითადად, განლაგებული იყო ხევებისა და ხეობების განშტოებების გასწვრივ და უშიშროების მიზნით დაფუძნებული იყო ძნელად მისადგომ კონცხებზე, კლდეებზე, მთის ქანობზე (ზოგჯერ მეტად მიუდგომელზე); ამავე დროს, გათვალისწინებული იყო წყალთან ახლოს ყოფნისა და სახნავ-სათესი მიწების მინიმუმის აუცილებელი პირობები.

განსხვავებული ვითარებაა სვანეთში, კერძოდ, ბალსხემო სვანეთში, რომელიც მდებარეობს მდ. ენგურის ზემო წელსა და მისი შენაკადების ხეობებში – დასახლებები მდინარის გასწვრივ არის გამართული. ეს არის სვანური

ხევის დამახასიათებელი მხარე. ასეა განლაგებული მესტია, უშკული, მულახი – 1300-1500 მ-ზე (რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, 1964, 20).

თავდაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მთამაღალში დასახლების თავისებური ტიპი ყალიბდებოდა: საცხოვრებლად უშიშარი ადგილის შერჩევასთან ერთად, რელიეფთან შესატყვისობაში შენდებოდა ქვითკირის საცხოვრებლები, საბრძოლო და სათვალთვალო კოშკები, გალავანი და სხვა. გარდა ამისა, მეზობლების სახლ-კარი ერთმანეთთან მიჯრით, შეხებაში შენდებოდა, რაც ზრდიდა ურთიერთ თანადგომის, დაცვის შესაძლებლობას და ამრიგად, დასახლება შეუვალ სიმაგრედ იქცეოდა. დასახლების ასეთი ფორმები დამახასიათებელი იყო განსაკუთრებით ხევსურეთისთვის, სვანეთისთვის, ხევისთვის. აქედან გამომდინარე, მთური დასახლების გეგმარება შეხამებული იყო მთიან რელიეფთან და იგი შეკრულ, შეჯგუფულ, ტერასულ ფორმას იღებდა, რომელსაც ხევსურები და მოხვევები *შუქურულს*, თუშები *შექურებულს* ან *ჩახირჩულს* უწოდებდნენ; ქსნის ხეობის სათავეებში მცხოვრებნი ამბობდნენ: „სახლები მარჯვე-მარჯვედ“ – ე. ი. ახლო-ახლო-დგასო, „ხმა ეყურებათო“, (ს.ს. აშატური), „შექურულად“, „ჯგუფად“ ცხოვრობენო (მეჯუღის ხეობა). „ისევე, როგორც ფერდობზე და კონცხებზე მდებარე სოფელი ტერასულად იყო გაშენებული, დაქანებული სასახლე ადგილი იწვევდა თვით სახლის სართულთა ტერასულად განლაგებასაც, რის გამოც, ასეთი სახეობის საცხოვრებელს, პირობითად, ტერასულ ნაგებობას ვუწოდებთ“ (ვ. ითონიშვილი, 1967, 31).

სამოსახლოს შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მზისაღმი ორიენტირებას. სახლები შენდებოდა ისეთ ფერდობებზე, რომელსაც მზე მეტხანს ადგებოდა, რასაც საფუძვლად ედო მოკლე ვეგეტაციური პერიოდი. ფშავ-ხევისურები, მთიულები და სხვ. ასეთ ფერდობებს უწოდებდნენ *მზორეს*, უმზეოს – *ჩირდილს*.

დასახლებისთვის კლდიანი, მიუვალი ადგილების გამოყენებას, თავდაცვის გარდა, სხვა პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა – სახნავად გამოსადეგი მიწების ნაკლებობის გამო, ეკონომიის მიზნით, კლდოვან, მეურნეობისათვის

გამოუსადეგარ ადგილებს სამოსახლოდ იყენებდნენ, ხოლო, ვარგის მიწებს – სახნავად. სოფლის ტოპოგრაფიისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა სავარგულების განლაგების წესი – დასახლებასთან ახლოს სახნავები, ზემოთ – სათიბები, უფრო მაღლა – საძოვრები. მთაში მეურნეობის წამყვანი დარგის – ალპური მესაქონლეობის (ინტენსიურ მიწათმოქმედებასთან ერთად) მოთხოვნებით იყო განპირობებული ორი – საზაფხულო და საგაზაფხულო-საშემოდგომო სადგომების საჭიროება. ასეთი მეურნეობის წარმოება ითვალისწინებდა ყოველ დასახლებულ პუნქტს ჰქონოდა თავისი მთა და ბარი, ყოველ ოჯახს კი მთაში უნდა ჰქონოდა თავისი სამეურნეო ბაზა, რომელიც სოფლიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობდა; აქ ოჯახი აშენებდა სახლს, სადაც საძოვრებზე გადენილი საქონლის მოვლა და რძის პროდუქტების დამზადება ხდებოდა. საძოვრებზე ოჯახის წევრები მორიგეობით აღიოდნენ.

მითითებულ პარალელურ ბაზებს ხევესურეთსა და თუშეთში **საბოსლოები** ეწოდებოდა, მთიულეთში – **სამთო ქოხი**, სვანეთში – **ლაბავი** და სხვ. მეურნეობის მონაცვლეობის აღნიშნულ ფორმას მთიულეთში ეწოდებოდა **ორხელაობა**, თუშეთში – **სოფელ-ბოსლობა**, ფშავში – **ორპირობა**, სვანეთში – **დიცადუნალ**, მეჯულის (ქსნის) ხეობაში – **მთა-ბარობა**, იმერეთში – **ორგანობა**, ოსებში (თრუსოსა და სხვა ხეობებშიც) – **დიუარან** და სხვ. (ბ. გამყრელიძე, 1971).

სოფლის ახლოს მდებარე სახნავ მიწებს მთაში **კარის მამულს** უწოდებდნენ. ამ კატეგორიის მიწების სიმცირის გამო საჭირო ხდებოდა. ტყეში ახოს აღება, რისთვისაც გამოიყენებოდა საერთო სასოფლო ან სათემო ტყე. ვარგის ნაკვეთად ახოს ქცევას უდიდესი შრომა და ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. ამ ნაკვეთებს **მთის მამულები** ეწოდებოდა. ასეთ სამეურნეო ბაზებზე, ხშირად, დიდი ოჯახიდან გასული განაყარი წყვილი (ოჯახი) სახლდებოდა და ახალ სოფელს უყრიდა საფუძველს. დროთა განმავლობაში ეს სოფელი იგივე გზას გადიოდა, როგორსაც პირველი დასახლება (А. И. Робакидзе, Г. Геречкори, 79-78).

სოფელი, ზოგ შემთხვევაში, დამოუკიდებლად ფლობდა მიწის ფონდს (მონოგენურიც და პოლიგენურიც), რაც

დამოკიდებული იყო, როგორც, ბუნებრივ შესაძლებლობაზე, ასევე – სოფლის ზრდაზე, მისგან ახალი განსახლებების გაჩენა – არგაჩენაზე.

სოფელი ზოგჯერ ერთ მთლიან, კომპაქტურ – *შექუჩულ* დასახლებას წარმოადგენდა – მასში ცალკეული ნაწილები, უბნები არ გამოიყოფოდა, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული – 1. დასახლება ახლო წარსულში დაფუძნებულა, 2. მიწის ფონდის ნაკლებობის გამო ახალი, განაყარი ოჯახები ან გარედან შემომატებული ახალი წევრები, სოფლის ტერიტორიის პერიმეტრის ფარგლებში თავსდებოდნენ. სოფლის ზრდის შემთხვევაში ახალი ნაწილები ემატებოდა დასახლებას, რომელთა სახელწოდება თითქმის ყველგან (მცირე გამონაკლისის გარდა) *უბანი* იყო, რომელსაც მსაზღვრელი ემატებოდა: გეოგრაფიული მდებარეობის (ვერტიკალური ზონალობის, ან მდინარის დინების მიხედვით) ნიშნით – *ზენ უბანი, ქვენ უბანი* (ხევს), *შელმა უბანი*, მდინარესთან, ხევთან მიმართებაში – *გალმა უბანი, გამოღმა უბანი*, დროის მიხედვით – *ძველი უბანი, ახალი უბანი* (ან უბნის ნაცვლად სოფლის სახელწოდება მოიხსენიებოდა), გვარის მიხედვით – *მინდელეების უბანი, ლობჯანიძეების უბანი*.

ტერმინი *უბანი* სოფლის გარკვეული ნაწილის აღმნიშვნელად არ გამოიყენება ხევში, აქ ტერმინი *უბანი* ნათესაური ჯგუფის ერთობას (პატრონიმიულ გაერთიანებას) გამოხატავს; დასახლების ცალკეულ ნაწილს ან ტერმინს *სოფელზე* მსაზღვრელის დამატებით მოიხსენიებენ – *ზეით სოფელი, ძველფანშეტაი*, ან – აღწერილობითი – მაგ. *ბანთუკენაი* და სხვ.

ამრიგად, საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში წარსულში ორი სახის დასახლება – სოფელი არსებობდა: 1. მჭიდრო, შეკრული – *შექუჩული* და 2. დასახლება, სადაც გამოიყოფოდა ცალკეული ნაწილები, *უბნები*, როგორც საკუთრივ ადრინდელი, პირველდასახლების ტერიტორიაზე, ასევე მის პერიმეტრს გარეთ. ეს უკანასკნელი – შედარებით გაფანტული გარკვეული მანძილით ერთმანეთს მოშორებული უბნებისაგან შედგებოდა. ამის თვალნათელი მაგალითია ხევსურეთის სოფლები: პირიქითში გიორგიწმინდას 9 უბანი



მოელ ხეობაშია გაფანტული, სოფელი ჭიმდა – არხოტის თემში; პირაქეთ ხევსურეთში სოფელი დათვისი – 5 უბნით, ქსნის ხეობაში – სოფელი არდისი და სხვ.

სოფლის მოსახლეობის რაოდენობა XIX საუკუნეში მერყეობდა და სხვადასხვა დროს მოითვლიდა: XIX ს-ის II ნახევარში – ხევსურეთში 45-50 კომლს, თუშეთში – 1-25-მდე (მოთიანად 37 სოფელი არსებობდა – გომეწარში – 19, პირიქითში – 12, წოვათაში – 1 (6), ჩაღმის თემში – 19), ხევში – 8-51-მდე (მაგ. სოფ. კარკუჩაში ადრე 8 კომლს უცხოვრია, 1980 წ. – 51); სოფ. ფანშეცის ძველ დასახლებაში ადრე 10 კომლი ცხოვრობდა, შემდგომში – 40; ქსნის ხეობის სოფელ ვილდაში – 20-მდე. დროთა განმავლობაში მრავალ სოფელში ძალიან შემცირდა მოსახლეობა, მაგ. ხევსურეთის სოფელ ხახმატში – 38-დან-15-მდე (პირიქითის თემი), სოფ. ბოგჩილოში 20-დან-4-მდე (პირაქეთის თემი).

ზოგიერთი სოფელი მოსახლეობისაგან დაიცავდა – მაგ. სოფ. ქოსელი (ხევი), სადაც 30-მდე ოჯახი ცხოვრობდა – ახლა დაცლილია და გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის მხოლოდ 8 ოჯახი ადიოდა ზაფხულობით. უფრო მეტიც – თუშეთის წოვათას თემის კახეთის ალვანის ველზე (ამჟამად ს. ალვანი) ჩასახლების შემდეგ, საერთოდ დაიცავდა ეს ტერიტორია.

ზოგიერთ შემთხვევაში დასახლების კომლთა რაოდენობა საკმაოდ იზრდება – მაგ. ხევსურეთის ადმინისტრაციულ ცენტრში – ბარისახოში 46 კომლიდან იმატა – 77-მდე (მაღალი სოფლებიდან ჩამოსახლების ხარჯზე); ხევის სოფელ ტყარშეტში 5-6 კომლიდან იმატა 60-მდე.

თრუსოს ხეობაში გასული საუკუნის განმავლობაში სოფლის კომლთა რაოდენობა შეადგენდა: სოფელ ტეფში – 26 კომლი, სოფელ ყარათყაუში – 25 და სხვ. ამ ხეობაში 1980-იან წლებში ზაფხულობით ამოდიოდა რამდენიმე ოჯახი, ამჟამად – დაცლილია. 1926, 1969, 1960, 1975, 1987, 2002 წწ. მოსახლეობის აღწერების მიხედვით კომლთა რაოდენობა შესამჩნევად მერყეობდა.

დასახლების მორფოლოგიურ ნიშნებს შორის აღსანიშნავია სოფლის მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობა, სოფელთა უმრავლესობა, ეთნოგრაფიისათვის მი-

საწვდომი პერიოდისათვის (XIX ს-დან) მრავალგვაროვნულ (პოლიგენურ) დასახლებებს წარმოადგენდა. არსებობდა – ერთგვაროვანი (მონოგენური) სოფლებიც, თუმცა, სხვადასხვა რეგიონში და მის შიგნითაც მათი შეფარდება სხვადასხვაგვარი იყო. მაგ. სვანეთის ერთ-ერთ ნაწილში – ბალსზემო სვანეთში – დასახლების მონოგენურმა პრინციპმა დიდი ხნის წინ დაკარგა დასახლების მორგანიზებული ფაქტორის მნიშვნელობა. წერილობითი წყაროების მიხედვით, აქ გვარობრივი დასახლების დაშლა XIII ს-მდე გაცილებით ადრე დამთავრებულა. ხოლო არსებული მონოგენური დასახლებები პატრონიმიული უბნები იყო, რომლებიც ზოგჯერ სოფლის სახეს იღებდა. ამდენად, მეცნიერთა მითითებით, როდესაც ჩნდება ერთგვარიანი სოფელი, იგი მეორადი პატრონიმიული წარმოშობისაა (ასეთი, სოფლის ერთგვარობრიობა უფრო მკვეთრად ბალსქვემო და განსაკუთრებით, ქვემო სვანეთში შეინიშნებოდა) (ხარაძე, რობაქიძე, 1964, 18).

სხვაგვარი ვითარება იყო ხევსურეთში, სადაც ძირითადად, უძველეს გვარებად ითვლება სამი გვარი – **არაბული, ჭინჭარაული** და **გოგოჭური**; ყოველი მათგანის განსახლების არე ფართეა და ამ ტერიტორიული ერთეულის სახელწოდება ემთხვევა ნათესაური გაერთიანების – გვარის სახელს – **საჭინჭარაულო, საგოგოჭურო, საარაბულო**. ამ ერთეულთა ტერიტორიაზე – შესაბამისად, იმავე გვარებით წარმოდგენილი მრავალი სოფელი მდებარეობს. მხოლოდ რამდენიმე სხვა გვარის წარმომადგენელი ცხოვრობდა მათთან ერთად. ანუ დანარჩენი მცირერიცხოვანი გვარები – ლიქოკელი, გიგაური, ბურღული, ბუჩუკური, ალუდაური, ქეთელაური, ზვიდაური, მურღოვეი, ხასიაური, მინდიკაური და სხვ. 1878 წ.; 1926 წ.; ს. მაკალათიას და ჩვენი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით 60-მდე სოფლიდან მხოლოდ 8 სოფელში ცხოვრობდა ერთზე მეტი გვარის ოჯახი: **შატილში** – ჭინჭარაული, ანატორელი, არდოტში – ზვიდაური, მურღოვეი, **ხახაბოში** – ხასიაური, მამიაური, ხოსიაური, მინდიკაური, **ჭიმლაში** – გაბური, თეთრაული, მამუკაური, ბოლოკაური, **ახიელში** – ოჩიაური, ცისკარაული, ნაროხაული, ბალიაური, ჯაბუშანური; ყვე-

ლა დანარჩენი სოფლები ერთი გვართ იყო წარმოდგენილი (არაბულები, ჭინჭარაულები, გოგოჭურები), უფრო სწორად – ამ სამი გვარის *პატრონიმიული* ჯგუფებით.

*პატრონიმიის* გენეზისისა და მისი ისტორიული მიმართების საკითხი ერთი მხრივ გვართან, ხოლო მეორე მხრივ ოჯახთან ეთნოლოგიურ მეცნიერებაში კარგა ხანია გარკვეულია. პატრონიმიის ცნება პირველად შემოიტანა, კოსვენმა, რომელმაც კავკასიის ხალხთა მასალაზე დაყრდნობით ის დაუკავშირა გვაროვნულ საზოგადოებას (M. O. Косвен, 1963, 167), რაც გამორიცხული იყო, რადგან ის ხალხები „ხსენებული ინსტიტუტის აღწერის დროისათვის განვითარების შეუდარებლად მაღალ დონეზე იდგნენ; ეს გარემოება გამორიცხავს კავკასიაში აღწერილი პატრონიმიის უშუალო კავშირს გვაროვნულ საზოგადოებასთან“ (აღ. რობაქიძე, 1971, 63). ამ საკითხის გამოწვევლივით შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ გვარის ამოსავალ პოზიციას წარმოადგენს საოჯახო თემის მატარებელი დიდი ოჯახი და არა ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც სავსებით იყო დამყარებული კერძო საკუთრებაზე და ამიტომ ვერ დაედებოდა საფუძვლად საქართველოს (და ზოგადად, კავკასიის) მთიანეთის იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ ნათესაურ ორგანიზაციას, რომელსაც ახასიათებდა საერთო საკუთრების, წარმოებისა და მოხმარების ცალკეული ნიშნები (Робакидзе, С. Э. 1968; მისივე, 1971, 63-67). ასეთი ნიშნები ახასიათებდათ გვარში შემავალ სისხლით ნათესაურ ჯგუფებს, რომელთაც ხევსურეთში ეწოდებოთ *მამანი* (ხარაძე, 1949, 187 და შმდ.), სვანეთში – *ლამხუბი* (რ. ხარაძე, 1939, 18 და შმდ.), ხევში – *განაყარი, ჩამომავლობა, ნაშენი*, მთიულეთში – *კომობა*, რაჭაში – *მონაგარი*, თრუსოს, ქსნის ხეობისა და რაჭის (ზემო რაჭა, მთის რაჭა) ოსებში *ფილი-ფირტა* და სხვ.

ყველა ზემოთ მითითებული ტერმინი გულისხმობს უახლოეს ნათესავთა – ძმათა ოჯახების ჯგუფს, რომლის წევრები ერთი მამის დიდი ოჯახიდან გამოსული განაყრებია და ეპონიმის – მამის სახელის მიხედვითვე იწოდებიან – მაგ. შიოლიანთ, გიგოლანთ კომობანი – ბურდულების გვარში (მთიულეთი), თადეოზის მონაგარი, ონისიმეს მონა-

გარი (მინდვლების გვარში (ზემო რაჭა, ს. სორი) და სხვ. მათი ოჯახები მამის სახლის გვერდით, ახლოს სახლდებოდნენ და ერთობის რიგი ნიშნები და ურთიერთმოვალეობები გააჩნდათ: 1. აღმავალი ხაზით – IV-V თაობამდე კარგად დაცული გენეალოგია, 2. ურთიერთვალდებულებათა ნორმები, 3. როგორც ითქვა, ოჯახის გაყოფის შემდეგ მამის სახლის ახლოს კომპაქტური დასახლება, 4. მეურნეობრივი ცხოვრების სფეროში ინტერესების თანხვედრა, 5. დღესასწაულების ერთად აღნიშვნის ტრადიცია. ამრიგად, ჩამოთვლილი ჯგუფები უახლოეს ნათესავეებს მიეკუთვნებიან – ისინი ძმათა შვილები და შვილიშვილებია და *პირველი რიგის პატრონიმია* იწოდებიან. მათი გამრავლების შემდეგ ყალიბდებოდა უფრო ფართე ნათესაური გაერთიანება ანუ – *მეორე რიგის პატრონიმია* (თავისი მოვალეობებით) და ა. შ.

მთიულურ კომობათა პირველი რიგის ოჯახების გამრავლების შემდეგ პირველს უწოდებდნენ *ძველ კომობას*, მეორე რიგის – *ახალ კომობას*. შემდგომში, ძველი და ახალი კომობების გამრავლების შედეგად წარმოქმნილი ნათესაური გაერთიანებები სხვადასხვა ტერმინებით აღინიშნებოდა: მთიულური კომობების (კომი აღნიშნავს ოჯახს, აქედან – კომობა) გამრავლების შემდეგ წარმოქმნილ რამდენიმე კომობისაგან (ძველი, ახალი) შემდგარ ნათესაურ ჯგუფს ეწოდებოდა *ძირობა* ან *ბუღობა*. მაგალითად, ბურდულების გვარი ძველად იყოფოდა სამ ძირობად//ბუღობათ: *გურასპაანი, გადიგულანი, ღარიბანი* (ყოველ მათგანში შედიოდა რამდენიმე კომობა).

ხევესურული მამანიც გამრავლების შემდეგ, კომობის დარად, იწოდებოდა *ძველ* და *ახალ მამანად*.

პირველდასახლების ტერიტორიაზე რამდენიმე პატრონიმიის დასახლება სივიწროვის გამო აღარ ხერხდებოდა და როგორც ზემოთაც აღინიშნა, ახალი ოჯახი სამეურნეო ბაზაზე ფუძნდებოდა. მომავალში იგივე პროცესი ამ დასახლებებშიც მიმდინარეობდა. იყო შემთხვევები, როდესაც პატრონიმიათა ერთობა გვარად გარდაიქმნებოდა. ამრიგად, საქმე ეხებოდა გარკვეულ პროცესს, რაც გულისხმობდა დიდი ოჯახის სეგმენტაციის შედეგს – ე. ი. ამოსავალი იყო საოჯახო თემის მატარებელი დიდი ოჯახი

და არა ინდივიდუალური ოჯახი, რადგან ის ემყარებოდა კერძო საკუთრებას და ვერ დაედებოდა საფუძვლად ნათესაურ ორგანიზაციას, რომელსაც ახასიათებდა საერთო საკუთრების წარმოების და მოხმარების ცალკეული ნიშნები.

ეთნოგრაფიის მისაწვდომი პერიოდისათვის (XIX ს.), პატრონიმიულმა დასახლებებმა დიდი ხნის წინ შეწყვიტეს არსებობა და ადგილი დაუთმეს დასახლების უფრო პროგრესულ ფორმას – მრავალგვაროვან, მეზობლურ თემს. ამა თუ იმ რეგიონში (ხევსურეთის გამოკლებით), მხოლოდ ერთეული სოფლები შემორჩა, სადაც ერთი გვარის ხალხი ცხოვრობდა, მაგ. ხევში სოფელი ქოსელი (შემდგომში – დაცლილი). თუშეთში ერთი გვარით იყო დასახლებული სოფლები აღისგორი, კოკლათა, ვეძისხევი (შემდგომში აღვანში ჩასახლებული).

დასახლების პოლიგენურ სოფლად ქცევა სხვადასხვა გზით ხდებოდა: სოფელთა შერწყმით, ჩასიძებით, უცხო პირის (ოჯახის) შემოხიზვნით. საქართველოსა და მთელი კავკასიის მთიანეთის მასშტაბით ადგილი ჰქონდა საყოველთაოდ გავრცელებული ინსტიტუტის – “**კომენდაციის**” გამოვლენას – ეს ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ ოჯახს თავს აფარებდა სუსტი, უპატრონო ან რაიმე ხიფათს (მესისხლეობას, სასჯელს და სხვ.) გამოქცეული პირი (ოჯახი) და სოფლის ნებართვის შემთხვევაში სახლდებოდა იქვე (სოფელი გამოუყოფდა მიწის ნაკვეთს **სასახლკარედ**, გაიღებდა დახმარებას და სხვ.). ამ პროცესს თან ახლდა გარკვეული რიტუალის შესრულება – შემოხიზნული კლავდა ხარს სოფლის საპატივცემულოდ. ამ მოვლენას ხევსურეთში **ხარ-ქვებით შაყრა** ეწოდებოდა. სოფლის ახალი წევრი ან რჩებოდა თავის გვარზე, ან მასპინძლის გვარს იღებდა.

აღსანიშნავია ის ვითარება, როდესაც დასახლება ფორმალურად ერთი გვარით, პატრონიმიით იყო წარმოდგენილი, ფაქტიურად კი პოლიგენური იყო მისი მოსახლეობის შემადგენლობა, ასე ხდებოდა, როდესაც შემოხიზნული ახალი წევრი საკუთარ გვარს არ იტოვებდა; ხშირი იყო ჩასიძების შემთხვევები – ოჯახი, რომელსაც ვაჟი – ანუ გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა, სიძეს თავის – ე. ი. ცოლის გვარს აძლევდა (რაც თავიდანვე შეთანხმებას ეფუძნებო-

და). ასეთ მოვლენას ალ. რობაქიძე *ფიქტიურ მონოგენურობას* უწოდებდა (რობაქიძე, 1960, 17-18). ანალოგიურ პრაქტიკას ადგილი ჰქონდა სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში, აჭარაში და სხვ.

დასახლების უმცირესი ერთეულები – სოფლები ქმნიდნენ გარკვეულ ჯგუფებს, რომელთაც აერთიანებდათ ცოდნა მოსახლეობის ძირითადი ბირთვის ერთიანი წარმოშობის შესახებ და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ტერიტორიულ-ეკონომიკური ერთიანობა, რასაც აპირობებდა მიწის გარკვეული ფონდის საერთო მოხმარებაში არსებობა (სალოცავი, საძოვარი, ტყე და სხვ.).

\* \* \*

საქართველოს მთიანეთის დასახლების სტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ ელემენტს წარსულში წარმოადგენდა სოფლისა და თემის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი – მამაკაცთა თავშეყრის ადგილი („მოედანი“, ნაგებობა), სადაც განიხილებოდა მიმდინარე სამეურნეო, თავდაცვითი, ზნეობრივი და სხვა საჭირობო-ტო საკითხები. თავისუფალ დროს მამაკაცები აქ იკრიბებოდნენ სასაუბროდ და გასართობად. აქვე ეწოდნენ ხელით გარჯას. ასეთი საკრებულოები გენეტიკურად ხალხურ მმართველობასთან იყო დაკავშირებული და სრულიად განსხვავდებოდა, ასევე, დასახლების სტრუქტურის შემადგენელ სხვა დანიშნულების – რელიგიური დღესასწაულებისა თუ სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად შერჩეული – მოედნებისაგან (ზოგ შემთხვევაში – დასახლების მოუხერხებელი გეოგრაფიული მდებარეობის ან ადგილის სივიწროვის გამო, მმართველობასთან დაკავშირებული საკრებულო ადგილი, თუ ამის საშუალება იყო, სხვადასხვა ფუნქციასაც ითავსებდა).

სხვადასხვა რეგიონებში (კუთხეში) მამაკაცთა საკრებულოებს სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავდნენ:

თუშეთის შესახებ არსებულ ლიტერატურაში, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში თუ ყოველდღიურ მეტყველებაში ანალოგიური დანიშნულების საკრებულოები სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიება: *სანჯმო (სანჯმნო)* (Цискаров,

1849, 44; უთურგაიძე, 1961, 208), *საამჯნო, ბეხენე, საბეხენე, საფეხნო* (მაკალათია, 1933, 101; ხუბუტია, 1969, 13 და სხვ.) მათი დანიშნულება კი ნათლად არ არის დაზუსტებული.

აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თუშეთის ოთხი თემიდან სამში – ჩაღმაში, გომეწარსა და პირიქითში – საკრებულოს აღმნიშვნელი ერთადერთი ტერმინი იყო *საანჯმ(ნ)ო*. ი. ცისკარიშვილის მითითებით, ადგილებს, სადაც საზოგადოებრივი საკითხები წყდებოდა თუშეთში, ეწოდებოდა *საანჯმო* (Цискаров, 1849, 44). *საანჯმო* ძველი ქართული სიტყვაა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საანჯმო საჯაროს ნიშნავს, „საჯარო ჯარისათვის, საჯაროდ, ჯართ საცნაურად, საანჯმნო“, ხოლო „ჯარი მრავალკაცნია“; ასევე „ანჯმნი – საჯაროა“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1991).

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“-ს მიხედვით (1973 წ.) „საანჯმნო – ცხადი, აშკარა“-ა; „ანჯმანი (ანჯმნისა) – შეკრება, საჯარო“-ა. ამრიგად, სიტყვა „საანჯმნო“ ძველ ქართულში გამოხატავდა ხალხისათვის – ჯარისათვის გასაცხადებელს, აშკარას, საცოდნელს, ხოლო ანჯმნი – კრებაა; ე. ი. კრებაზე „გასაცხადებელიდან, სათქმელიდან უნდა შერქმეოდა „საანჯმნო“ იმ ადგილსაც, სადაც ეს გაცხადება ხდებოდა და ისევე, როგორც ხევსურულში *სა-ფეხნ-ო* ← *ფეხონი*, მოხევურში – *სა-ერობ-ო* ← *ერობა*, რაჭული – *სა-ნახშ-ო* ← ოს. სიტყვიდან ნიხასი) ნაწარმოებია საუბრის, კრების აღმნიშვნელი სიტყვიდან და სა-ო მაწარმოებლებია – *სა-ანჯმნ-ო*.

თუში ინფორმატორები უარყოფენ ამ სიტყვის გამოყენებას კრების, მსჯელობა-საუბრის, სათქმელის აღსანიშნავად (მაგ. როგორც იყო ხევსურეთში – „ვიფეხნოთ“ – ვისაუბროთო) და ამბობენ: „თუში არასოდეს იტყვის „ვიანჯმნოთ“ ან „ანჯმნობა“ – არამედ – „ვიამბოთო“. საკუთრივ, კრებას, თაშყერას თუშები აღნიშნავდნენ სიტყვით „*შეყრაძ*“. ასევეა მითითებული პ. ხუბუტიას ნაშრომში: „*შეყრაძ*“ – შეკრებულობა, საქმიანი კრება.

ფართე მასშტაბის – თემთაშორის თუ მეზობელ მთიელებთან საქმიან შეკრებას, თუშები უწოდებდნენ „*ყრილო-*

ბა“-ს, რომელიც სპეციალურად შერჩეულ ადგილზე ტარდებოდა.

თავშესაქცევ-გასართობ შეკრებებს თუშები აღნიშნავენ ტერმინით – „**შეყარაყი**“.

თუშეთის მეოთხე თემის – წოვათას მცხოვრებლებს, რომლებიც მთაში ცხოვრების პერიოდში ორენოვანი – ქართულ-წოვეური (ბაცბური – ნახური) მოსახლეობით იყვნენ წარმოდგენილნი და თუშეთის ოთხი თემიდან პირველნი ჩასახლდნენ კახეთში (აღვანის ველზე), არც ქართული „**საანჯმნო**“ და არც ნახური (ბაცბური) ტერმინი „**ფჰიელ**“ – არ ეცნობათ. მათი მტკიცებით, საკრებულო ადგილს აღნიშნავენ ტერმინით „**ადგილ**“, კრებას უწოდებენ „**შეყრა**“-ს.

რაც შეეხება ტერმინებს: „**ბეხენე**“, „**საბეხენე**“, „**საფეხნო**“, ისინი ხევესურული „**საფეკნოს**“ სახეცვლილი ფორმაა და თუშეთში ჩასახლებული ხევესურების (რაც ხშირი მოვლენა იყო წარსულში) გავლენითაა დამკვიდრებული მხოლოდ სოფ. შენაქოში და ამჟამად იგი ტოპონიმს წარმოადგენს (ჩიქოვანი, 1983, 113-122).

ხევესურეთსა და ფშავში მამაკაცთა თავშეყრის, კრებისთვის განკუთვნილ ადგილს შესაბამისად ეწოდებოდა „**საფეხნო**“//**საფეხენო** და „**საფიხნო**“//**საფიხენო**“; შეკრება, თავშეყრა აღინიშნებოდა ტერმ. „**ფეხონი**“//**ფეხენობა**“ (ხევეს.) და „**ფიხონი**“//**ფიხენობა**“ (ფშავ.). ამ ტერმინებს ხევესურები გამოთქვამენ ხორხისმიერი ბგერით, რომლის შესატყვისია ძველი ქართული ძეგლების ასო „ვ“ – საფეკნო, ფეკონი, საფიკნო, ფიკონი.

ენათმეცნიერთა და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით გ. ჩაჩაშვილი მივიდა დასკვნამდე, რომ ნახური ტერმინები – пхьог/а (ჩეჩ.), пхьег/а (ინგ.) და ქართ. (ხევეს.) ფეკონი წარმომდგარია ერთი ძირიდან. (გ. ჩაჩაშვილი, 1948, 13; მისივე, 1966 წ.).

ტერმ. „სოფელი“, თავდაპირველად უფრო ვიწრო მნიშვნელობას გულისხმობდა, კერძოდ, „საკუთრებას“, „მფლობელობას და იგი ოფ←უფ ძირისგან არის ნაწარმოები (მისგანვეა ნაწარმოები სვანური ტერმინი სვიფი (свип//свипн), რაც სოფლის მოედანს, საკრებულოს აღნიშნავდა (ჯანაშია, 1949, 286).



გ. ჩაჩაშვილი თვლიდა, რომ ნახური *пхьа/пхье* შეესაბამება ქართ. „სოფელი“-ს *ოფ←უფ (oph←uph)* ძირს და რომ ერთნაირი ძირების არსებობა ქართულ და ნახურ ენებში, მიუთითებს საერთო ენობრივი ფონდისადმი მათ კუთვნილებაზე, რაც თავის მხრივ ამ ენათა თავდაპირველი ნათესაობრივი ურთიერთ-დამოკიდებულებისაგან მომდინარეობს (გ. ჩაჩაშვილი, 1948, 138; მისივე, 1966).

ხევში სოფლის მამაკაცთა თავშეყრის ადგილს ეწოდება „*საერთობო*“, თვით კრებას, თავშეყრას – „*ერთობა*“;

თავშეყრის ადგილის აღსანიშნავად მოხევეები ტერ. „*მეედანს*“-აც ხმარობდნენ, რომელიც სხვადასხვა ფორმით საქართველოს ყველა კუთხეში გამოიყენებოდა: *მეედანი/მოედანი/მიედანი/მიეიანი*. ეს სიტყვა გავაკებულ, სწორ ადგილზე მიუთითებს და მასზე სხვადასხვა დანიშნულების ღონისძიებები იმართებოდა.

რაჭაში სოფლის მამაკაცთა საკრებულოს *სანახშო* ეწოდება, რომელიც ოსურიდან არის ნასესხები; აღნიშნული ტერმინის რაჭის ტერიტორიაზე დამკვიდრება და გავრცელება ჩრდილოელ მეზობლებთან – ოსებთან (ალაგორისა და დიგორის ხეობების მოსახლეობასთან) მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური და ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობების შედეგია, რამაც ასახვა ჰპოვა ენაზეც (ორივე მხრივ). „სანახშო ტექნიკური ტერმინია“. მთარაჭულში ამ სიტყვის ზმნური ფორმა მტკიცეაა დამკვიდრებული *მენახშება, ენახშობ, გადაენახშა, წამენახშა...* იმდენად, რომ „ამ ფორმის ქართულ სინონიმთა გამოყენების არე შევიწროებულია. ტერმ. „სანახშო“, როგორც სოფლის საკრებულოს, ხალხის თავშეყრის ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა, ზემო რაჭაშიცაა გავრცელებული, მაგრამ აქ არ გვხვდება მისი ზმნური ფორმა (შ. ძიძიგური, 1944, 1035; 1954, 252). მთხრობელთა თქმით, „ს. ღებში (მთა რაჭა) იტყვიან: „რას ნახშობ, კაცო, რას მენახშებო (რას ლაპარაკობო), ჩვენთან (ზემო რაჭაში) ასე არ ამბობენ“-ო. ზემო რაჭაში, მთარაჭიდან გავრცელებული, ოსურიდან გადმოქართულებული ტერმინი მხოლოდ შეკრების ადგილის აღსანიშნავად დამკვიდრდა.

ქვემო რაჭაში იცნობენ, მაგრამ ნაკლებად იყენებენ ზემოთ მოტანილ ტერმინებს. მამაკაცთა თავშეყრას, კრებას, მთა რაჭაში ეწოდება „*სოფლობა*“, რომელიც საუკუნეებიდან წამოსული ტრადიციული, ადგილობრივი ქართული ტერმინია და იგი გენეტიკურად სვანებს უკავშირდება რაჭის ტერიტორიაზე. საქმე ისაა, რომ რაჭის თანამედროვე ნომენკლატურით მიღებული სამი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონიდან (ქვემო რაჭა, ზემო რაჭა და მთა რაჭა) ერთი – მთა რაჭა (შ. ძიძიგური, 1954) // მთის რაჭა (ს. მაკალათია, 1930) // რაჭის მთიულეთი (თ. ბერაძე, 1983) მე-15 საუკუნემდე ზემო სვანეთის საკუთრებას შეადგენდა. 1433 წლის საბუთიდან ჩანს, რომ ეს მხარე საქართველოს მეფე ალექსანდრემ რაჭის თავად ჯაფარიძეებსა და ზემო სვანეთს შორის წარმოებული შინაომის შემდეგ, სვანეთს ჩამოაჭრა და ჯაფარიძეთა სისხლში გადასცა რაჭის საერისთავოს. მალე ეს კუთხე მოიშალა, აქ ბატონყმობაც გაუქმდა. მთარაჭაში არსებულ მრავალ სოფელთაგან მე-19 ს-ის დასაწყისისთვის მხოლოდ 3 სოფელი – დები, ჭიორა და გლოლა შემორჩა. სვანების ნაწილი სვანეთში გადასახლდა, ნაწილი ადგილზე დარჩა (თ. ბერაძე, 1983, 54-68); მე-19 ს-ის 20-30 წწ-დან მთარაჭის ტერიტორიაზე ჩასახლებულმა ოსებმა სოფ. ღურშევი დააარსეს (ამჟამად დაცლილია – ოსები ჩრდ-ით, თავის სამშობლოში გადასახლდნენ). თანდათან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (რაჭიდან, იმერეთიდან, ქართლიდან და სხვ.) გადასული ახალმოსახლეები დაფუძნდნენ მთარაჭაში. ბუნებრივია, სვანური ენის, ყოფის ელემენტები შემორჩა ამ მხარეს. სწორედ იმ დროის გამოძახილია სასოფლო კრების აღმნიშვნელი ტერმინი „*სოფლობა*“. უბატონო, თავისუფალი მთარაჭის საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელი კვლავ სახალხო კრება უნდა ყოფილიყო, ხოლო თვით საკრებულოს აღმნიშვნელი სვანური ტერმ. – „*სვიფ*“-ი. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართლიდან, იმერეთიდან, ქვემო-ზემო რაჭიდან გადმოსულებისათვის ახლობელი აღმოჩნდა ქართული სიტყვა – „*სოფლობა*“, სვანური „*სუფ*“ დაივიწყეს (მას აღარავინ იყენებდა), ხოლო მისი ადგილი ოსურმა „*ნისასმა*“ („*სანისას-ო*“) დაიკავა, რადგან ის მუდმივად ისმოდა ოსთაგან. მი-

თუმცეს, რომ არა მარტო საკრებულოს ან კრებას აღნიშნავდა იგი, არამედ – სიტყვას, ლაპარაკს, საუბარს, სიტყვით გამოსვლას და სხვ. მთა რაჭის მცხოვრებლების ყოველდღიური კონტაქტი მამისონის ხეობის ოსებთან უალტერნატივო იყო – ეკონომიკური გზა მასზე გადიოდა.

მთა რაჭაში ტერმინი „სანახშო“ ვიწრო მნიშვნელობით – ყოველდღიური შეკრებების ადგილის აღმნიშვნელად იქცა, ხოლო სოფლის საერთო საზოგადოებრივი საკითხების გარჩევა-მოგვარების მიზნით შეკრებებს ეწოდა „სოფლობა“ და ის იკრიბებოდა არა სანახშოზე, არამედ სპეციალურად ამ მიზნით შერჩეულ ადგილზე (მაგ. ს. ღებში „სალაშქრო“-დ წოდებულ ადგილზე (ტოპონიმი უკავშირდება მტრის წინააღმდეგ მეომართა შეკრების პროცესს). ჩვენი აზრით, სწორედ „სალაშქრო“ უნდა ყოფილიყო სვანთა „ყრილობის“ ადგილი ძველად.

სვანეთში საკრებულოთა ადგილისა და კრების აღმნიშვნელი ტერმინები დიფერენცირებულია: სასოფლო შეკრებების მოედნის აღმნიშვნელი ტერმინია *სვიფ*.

სოფლის ყრილობას სვანურში „ლისფალ“ ეწოდება. გარდა ამისა, ყოველდღიური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მართვა-გამგეობაში მონაწილეობდა სოფლის შიგნით არსებული ახლო მეზობლების გაერთიანება, რომლის თავშესაკრებ ადგილს ქვემო სვანეთში ეწოდებოდა „*ლანყავ*“, ბალსზემო სვანეთში კი – „*ლაკრანი*“ და „*ლახორი*“. სვანური ლანყავი, ლაკრანი და ლახორი მუდმივმოქმედ შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა, სადაც კაცები, ჩვეულებრივ დროს ატარებდნენ, ხელით გარჯასაც ეწოდნენ და საჭირობორტო საკითხებსაც განიხილავდნენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ლანყავი“-ს მნიშვნელობა დიდი იყო უშგულის თემში, რომელიც დიდხანს ინარჩუნებდა თემურ მმართველობას და დამოუკიდებლობას. აქაც, ქვემო სვანეთის მსგავსად „ლანყავი“ უბნების მიხედვით ეწებოდა. სვანური ხევის საერთო, სახალხო კრების ადგილს სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ – ერთს – „*ლაღხორ*“-ს, ან „*ღუზორ*“-ს მეორეს – „*სვიფ*“-ს, მესამეს – „*სახევ*“-ს (სადადიანო სვანეთში), სა-

დაც ხდებოდა მახვშის არჩევა. კრებას მახვში მართავდა (ბ. ნიჟარაძე, 1962, 90; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, 1964, 86).

საქართველოს მთიანეთის იმ კუთხეებში, სადაც მოსახლეობა ფეოდალური ურთიერთობების ყოველდღიურობაში იყო ჩართული – მაგ. ქსნის ხეობაში – არც სახალხო კრებებისათვის (თუნდაც, სოფლის მასშტაბით) განკუთვნილი სპეციალურად მოწყობილი ადგილი, არც კრება-ყრილობები არ დასტურდება, რაც ბუნებრივია, რადგან ადმინისტრაციული ხელისუფლება განაგებდა ფეოდალის კუთვნილ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ საკითხებს; სოფლის გლეხობა, მეზობლობა, თავისუფალ დროს, ინფორმატორთა სიტყვებით, „უბან-უბან“ „ქუჩობდნენ“//„ქუჩდებოდნენ ხან სად, ხან სად. ხშირად – ძველად არსებული ბანიანი სახლების თავზე – ბანებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფელი ერთი ან, უმეტესად რამდენიმე ნაწილისგან, უბნისგან შედგებოდა. ყოველ უბანს თავისი საკრებულო გააჩნდა, რომელთა შორის ერთი, თავისი ფუნქციონალური დატვირთვით, იყო მთავარი – ცენტრალური. საერთო სასოფლო საკრებულოების მაქსიმალური უმრავლესობა ტრადიციისამებრ სოფლის დამარსებლის საცხოვრებლის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ხშირად – მის სახლთან შეხებაში. ეს უპირატესობა მას ადგილის დაჭერის, სამოსახლოდ ქცევის ზემოთ აღწერილი სირთულეების გადალახვის, ფუძის საძირკვლის ჩაყრისა და რაც მთავარია, ახალი ოჯახის გამრავლებისა და მთელი შთამომავლობის წინაპრის საპატიო წოდებიდან გამომდინარე ენიჭებოდა. მთის მტკიცე წესების მიხედვით, უფროსის, შთამომავლობის დიდი მამისადმი დამოკიდებულება წინაპრის კულტში გადაიზრდებოდა ხშირად – ცხადია, ღირსეული საქმეების კეთების შემთხვევაში. რაც შეეხება საკრებულოსთვის განკუთვნილ ადგილს, ის სწორედ პირველმოსახლის მიერ იყო შერჩეული, მოღობილ-მოწესრიგებული. აქ თავისუფალ დროს ჯერ ოჯახის, შემდეგ შთამომავალთა ოჯახების მამაკაცები იკრიბებოდნენ და საჭიროებისამებრ, ნათესაურ საკითხებს აგვარებდნენ ერთიანი ძალით.

ოჯახის ზრდის შედეგად, ახალი წყვილები და მათი შთამომავლები წინაპრის ტერიტორიის იმავე საზღვრებში ქმნიდნენ ახალ უბნებს (თუ იყო ამის საშუალება) ან შეძლებისდაგვარად ახლო ტერიტორიებზე აფუძნებდნენ სამოსახლოებს და აქაც, იგივე გრძელდებოდა – პირველმოსახლე უბანში აფუძნებდა საკრებულოს. ერთ შემთხვევაში – უბანი იმავე სოფლის ნაწილად რჩებოდა, ზოგჯერ კი – ახალ სოფელს ეყრებოდა საფუძველი, მაგრამ ორივე შემთხვევაში სისხლით ნათესავთა მთავარ საკრებულოდ რჩებოდა წინაპრის თავშეყრის ადგილი. აქაური კრების ფუნქციებში შედიოდა სანათესაოსთან დაკავშირებული ყველა საკითხის – ე. ი. პირადუფლებრივის ჩათვლით განხილვა-გარიგება.

იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლით მონათესავეებით დასახლებული – ე. ი. მონოგამური სოფელი – ტერიტორიულ-მიზობლურ თემად იქცეოდა – ანუ სოფელს უცხო გვარის ან ტომის ოჯახი შემოემატებოდა, სოფლის მთავარ, ცენტრალურ საკრებულოდ კვლავ არსებული, პირველმოსახლის ადგილი რჩებოდა, რამეთუ სოფელში ახალი წევრის მიღება-არმიღება აქ მოსახლეთა კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული და მათი „კუთხევით“ ჩნდებოდა ახალი უბნები თუ გარკვეული ნაწილები (თავისი საკრებულოებით) დასახლების კუთვნილი ტერიტორიის ფართობზე, ამიტომ, მთავარი საკრებულო ხან ცენტრში, ხან განაპირას აღმოჩნდებოდა, მაგრამ არასოდეს ძველი საკრებულოს ზევით, რადგან სოფლის პირველდამაარსებელი, რომელმაც შეძლებისდაგვარად საუკეთესო ადგილი შეარჩია სამოსახლოდ და საკრებულოც დააარსა, მთიელთა ტრადიციით, უფროს-უმცროსობის წესის დაცვის მიხედვით, ამ უპირატესობასაც ინარჩუნებდა – პირველმოსახლის ზევით არავინ სახლდებოდა (იგულისხმება მთური ტოპოგრაფია – ვერტიკალური ზონალობა). როდესაც საუბარია პირველმოსახლეზე, ცხადია, პირდაპირი მნიშვნელობით „პირველმოსახლე“ არ იგულისხმება, არამედ – მისი ხაზით შთამომავლობა.

საკრებულოები განსხვავდებოდა ზომებით – ეს ადგილის ფართობზე და მოხერხებულ მდებარეობაზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით განსხვავდებოდა მათი გა-

რეგნული ფორმა და სახე. მონოგენური დასახლებების საკრებულოებზე უხუცესთა დასაჯდომები, ხშირად, განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. მთაში, უტყეო გარემოს პირობებში, საკრებულოზე შეკრებილი მამაკაცები აქ ჩარიგებულ ბუნებრივ ქვებზე სხდებოდნენ. უხუცესთათვის განკუთვნილი ქვა-ლოდები ხარებით იყო მოტანილი და ზოგჯერ ხელით დამუშავებული. მეზობლურ-ტერიტორიული დასახლების საკრებულო შედარებით სადად გამოიყურებოდა; ამრიგად დასახლების სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი წარსულში – მამაკაცთა საკრებულო ადგილი, სოციალურ ურთიერთობათა გენეზისთან ერთად იცვლიდა სახეს.

საქართველოს მთიანეთში დგინდება ორი ტიპის საკრებულოები: 1. ღია ცისქვეშ მოწყობილი მოედნები და 2. სპეციალურად საკრებულოებისთვის განკუთვნილი ნაგებობები.

ტერიტორიის მოწყობის მიხედვით დადგინდა ღია ცისქვეშ მდებარე საკრებულოთა რამდენიმე სახეობა: 1. ქვათა ერთი რიგით შექმნილი საკრებულოები: ხევსურეთში – ს. ბაცალიგოში – „ზარადის“ გორაზე, ს. ახიელში, ს. ქობულოში, არდოტში; ხევში სს. გაიბოტენში, ფანშეტში, თოთში;

2. ორ პარალელურ რიგად დაწყობილი ქვებით მოედნები (თითქმის ყველგან);

3. წრიულად, რკალისებურად, ოვალურად შემოწყობილი ქვა-ლოდებით (ასეთებია: ხევსურეთის ს. ბუჩუკურთაში პირველდასახლების ტერიტორიაზე მდებარე მოედანი, სადაც იფნის ხის წინ წრიულად აწყვია ქვები. ასევე – დათვისში „ახალგორაზე“) მოწყობილი საკრებულოები და სხვ.

4. ტერასულად დაწყობილი ქვებით.

5. ყორის მსგავსად ქვებით ამოშენებული „სკამებით“, რომელთაც ზემოდან სიპები აწყვია (მაგ. ხევსურეთში – ს. ჭიმლაში).

6. ბალახით დაფარული, დასაჯდომების გარეშე, თავისუფალი მოედნები, რომელთაც ხევსურები უწოდებდნენ „ბუნროს“ ანუ „ბორტვას“ (ასეთები იყო ხევსურეთის ს. ბუჩუკურთაში – „ნაღვარევის ვაკეზე“).

თუშეთში ძირითადად ორი სახეობის საკრებულო მოედნები ფიქსირდება: 1. თავისუფალი მოედანი, სადაც პირდაპირ მიწაზე სხდებოდნენ, 2. მშრალი წყობით ამოშენებული გრძელი „სკამები“, რომელზეც სიპები ეწყო. (მაგ. – ს. ვესტმოში); ასევე იყო წოვათის თემში; რაჭაში, ძირითადად, ერთრიგად ჩარიგებული ქვები ეწყო საკრებულოზე ან ხის გრძელი სკამები იდგა (რაჭას არ აკლდა ხის მასალა). დიდი ქვები და ლოდები ეწყო სს. სორის, უწერის, გლოლის და სხვა სოფელთა სანახშოებზე.

თრუსოში (მდ. თერგის სათავეები) ერთი რიგით საკრებულო-ნიხასი დაფიქსირდა სს. ტეფში, აბანოში და სხვ., წრიულად დაწყობილი ქვებით სს. ტეფის, აბანოს, შავარდენის გარკვეულ უბნებში, ორი პერპენდიკულარული რიგით ს. ყარათყაუში, 2 პარალელური რიგით სს. ჯამბარაში, ჩეტერის ერთ – „ზემო“ უბანში, „ყადეებით“ – ს. აბანოს „ქვემო უბანში“ და სხვ.

ხევში დაფიქსირდა: 1. საერობო რკალისებურად დაწყობილი ქვებით – მაგ. ს. კარკუჩაში – „ზეით სოფელში“). 2. ქვათა ერთი რიგით – სს. ფანშეტში, ხურთისში, გაიბოტენში, თოთში, 3. ორ ქვაზე გადებული სიპებით შექმნილი დასაჯდომი, რომელსაც „ყადე“-ს უწოდებენ – მაგ. სს. არშაში, გერგეტში და სხვ.

აღსანიშნავია ის, რომ სასოფლო მოედნებზე ფიქსირდება ხელით დამუშავებული სხვა დანიშნულების მასიური ლოდები, ქვები, რომლებსაც შუაში ღრმულები აქვთ და გამოიყენებოდა ტყვია-წამლის მასალის დასანაყად. ხევსურეთში აღნიშნულ ქვებს ეწოდება „დენგი“. მთხრობელთა მითითებით, ქვის ღრმული რკინის საკოდელით იყო ამოღებული. დენგი მთელი სოფლის საკუთრებას შეადგენდა – ყველა მონაწილეობდა მის გაკეთება-გამოყენებაში. ტყვია-წამლის დამზადებაში საფეხნოზე შეკრებილი სოფლის ყველა მამაკაცი მონაწილეობდა, რამეთუ, საკუთარი საცხოვრებელი ტერიტორიის დაცვა საზოგადოების ყველა წევრის ღირსებისა და მოვალეობის საქმე იყო .

თუშეთში ტყვია-წამლის მასალის დასანაყ – დენგის ანალოგიურ ქვას ეწოდება „წამლის სანაყი“.

მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობისა და ტერიტორიის საკმარისი ფართობის მიხედვით სოფელს გამოყოფილი ჰქონდა სპეციალური მოედნები სპორტული შეჯიბრებებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფუნქციასაც სასოფლო საკრებულოს ტერიტორია ითავსებდა. ასედაც რომ არ ყოფილიყო, ზოგჯერ სპონტანურად წარმოიშობოდა ისეთი ვითარება, როდესაც მამაკაცები რაიმე სანაძღლოს დებდნენ, ვთქვათ, „ვინ უფრო ძლიერია“ და სხვ. ამიტომ, საკრებულოზე თითქმის ყველგან, იყო „ძალის გამოსაცდელი ქვები“. ხევსურეთში მათ ეწოდებოდათ: „**საცდელი ქვები**“ (მაგ. ს. ბუჩუკურთის საფეხნოზე). მამაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელით ქვის მალღა აწევაში ან შორს გადაგდებაში. დანიშნული ადგილიდან ქვის გადაგდებას „**ჯირითის სროლა**“ ეწოდებოდა; არსებობდა საგანგებო ქვები – „**საგაუცო ქვის**“ სახელწოდებით. ერთი ასეთი ქვა თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ანალოგიური დანიშნულების ქვები აწევა სვანეთის ს. კალის ეკლესიის ეზოშიც (თ. ოჩიაური, 1967, 42). ასეთივე ქვებს მთა რაჭაში ეწოდება + „**საჯილდო ქვები**“ – მაგ. ს. უწერის ბახუტაანთ უბნის სანახშოზე სხვადასხვა ზომის 3-4 ქვა „მდგარა“. ერთ-ერთი ქვა ისეთი მრგვალი ყოფილა, რომ „ხელი არ ეკიდებოდა, ცურავდა“ – გადმოგვცემდნენ უწერელები.

თრუსოს სოფლებში (სტეფანწმინდის რ-ნი) გავრცელებული ყოფილა ქვებით ძალის გამოცდა. ს. ყარათყაუში ნიხასზე იყო პატარა ქვა, მაგრამ ძალიან მძიმე, რადგან მაგარ ჯიშს // წახ დურ-ს მიეკუთვნებოდა. ს. აბანოში დიდი ქვა იღო, მაგრამ – მსუბუქი, რადგან რბილი ჯიშის, წითელი ქვის შ რხ დურ ყოფილა. ს. ჯიმარაში მოედანზე დიდი 7 ფუთიანი ქვა – გStჲ დურ // ძაშერ ძურ ჰქონდათ ძალის გამოსაცდელად. ქვების აწევაში შეჯიბრს თრუსოელები უწოდებდნენ ღუისინ-ს.

სასოფლო მოედნებზე მამაკაცები ხშირად საქმითაც იყვნენ დაკავებულნი, კერძოდ, ტყავის გამოყვანით, რისთვისაც იყენებდნენ იქვე მდგარ – ტყავის გამოსაყვან ქვის ხელსაწყოს, რომელსაც ხევში ეწოდება „**საღენჭელი**“; თითქმის ყველა საერობოზე მდგარა ქვის საღენჭელი.



ხევსურეთში ანალოგიურ ხელსაწყოს ეწოდება „ხიმუნი“, მაგრამ ის ხისგან ყოფილა დამზადებული.

რაჭაში სანახშოზე ხელსაქმით ხშირად იყვნენ დაკავებულნი. აქაც ტყავი მოჰქონდათ სახლიდან. საუბართან ერთად მას არბილებდნენ გამოსაყვან ხელსაწყო **დარეჯაგზე**, რომელიც ყველას თავისი საკუთარი ჰქონია და საქმის დამთავრების შემდეგ იგი სახლში მიჰქონდათ. საერთო-სასოფლო „დარეჯაგი“ რაჭაში არ ყოფილა. „ეს კერძო პირის ხელსაწყო იყო. სანახშოზე ჯდომისას დროს არ კარგავდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ კაცები“ – გადმოგვცემს მთხრობელი.

თუშური სოფლებისათვის დამახასიათებელი იყო საერთო-სასოფლო „**საქვები**“, „**სალუდე**“ ანუ, ლუდის სახდელი. ეს იყო ნაგებობა, რომელიც ხშირად **საანჯომოზე** ან მის ახლოს მდებარეობდა, მაგრამ ეს საქმიანობა შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. სოფლებს საკმარისად ჰქონდათ თავისუფალი ტერიტორია, სადაც იგებოდა სალუდე.

ხალხურ მმართველობასთან დაკავშირებულ პირველი ტიპის – ღია ცისქვეშ არსებულ, მითითებულ, მარტივად მოწყობილ საკრებულოებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამჯერად, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ პირველი ტიპის, სხვათაგან გამორჩეულ საკრებულოებზე, რომელნიც საქართველოს მთიანეთის (და ზოგადად, კავკასიის მაღალმთიანეთის) სხვადასხვა კუთხეში ერთეული ეგზემპლარით არის წარმოდგენილი: მათზე გამოირჩევა ხელით დამუშავებული ქვის „სავარძლები“, რომლებიც განკუთვნილი იყო სოფლის უხუცესებისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საქართველოს მთიანეთში განსაკუთრებით აღსანიშნავია სტეფანწმიდის რ-ნის (ხევი) სოფ. სიონის, ს. ცოცოლტის (თრუსო) და თუშეთის სოფ. დართლოში არსებული მოედნების „ქვასკამები“ // „ქვის სავარძლები“ (Чиковани, 1988, 66-84).

ს. სიონის ტერიტორია ამჟამად გაზრდილია, გაშლილად დასახლებული და შედგება რამდენიმე უბნისაგან. ძველად სოფელი მდებარეობდა ქედზე, სადაც ახლა დგას სიონის ტაძარი. ეკლესიის წინ მდებარე მოედანზე, რომელსაც „ჯოროთკალო“-ს ან „ჯვართკალოს“ უწოდებენ,

დაწვობილია დიდი ზომის „ქვასკამები“. ადგილის სახელწოდება „ჯვართან“ – სალოცავთან ასოცირდება. ეს ადგილი, იმ პერიოდში, როდესაც ეთნოლოგებმა იმუშავეს ხევში, ანუ 1980-1982 წწ. ძალიან იყო სახეშეცვლილი, სიონის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოების პირობებში. მრავლად ეწყო ქვა-ლოდები. მათ შორის გამოირჩევა ერთი მთლიანი ქვის მასისგან გათლილ-გაკუთხული, ხელით დამუშავებული სამი „ქვასკამი“. მათი ზომებია: 1) სიმაღლე – 64 სმ., სიგანე – 59-60 სმ, საზურგის სიმაღლე – 31-38 სმ., სისქე – 16-17 სმ.; საზურგის ზემო ნაწილში აქვს დეკორი – მთვარისებრი ამონაჭდევი. 2) მეორე სკამის სიმაღლეა – 61 სმ., სიგანე – 38 სმ; საზურგე ოვალურია – მისი სისქეა – 14 სმ, სიგანე – 23 სმ. 3) მესამე ქვასკამის სიმაღლეა – 54 სმ, სიგანე – 42 სმ, საზურგის შუა ნაწილში – სიმაღლეა – 17-18 სმ. დასაჯდომის სიგანე – 30-31 სმ. ეს „ქვასკამები“ სუფთად გათლილ-გაკუთხულია (სურ. №1). ადრე ეს ქვები ჩარიგებული ყოფილა სამრეკლოსა და ეკლესიის გაღავნის კედლის გასწვრივ. 1980-იან წწ. ისინი შემოწვობილი იყო ოთხ ლოდზე დადებული ქვის ფილით შექმნილი „მაგიდის“ ირგვლივ, ისე რომ, ქვათა ეს ნაკრები ერთი პერიოდის და ადრინდელი ფუნქციის მატარებელი არ იყო და ეკლესიის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ იქნა შეერთებული (სურ. №1, 2, 3, 4).

ინფორმატორთა ნაწილის გადმოცემით, „ჯორთკალო“ აქ მდგარი 3 „ქვასკამით“, ახლო წარსულამდე იყო სოფლის საკრებულო-საერობო; სხვათა გადმოცემით, აქ ტარდებოდა „ბჭეთა სასამართლო“, რაც მთელი კავკასიის მთიელთა (მათ შორის საქართველოს) ყოფაში დამკვიდრებული ტრადიციით, სოფლის ტერიტორიაზე არ ტარდებოდა, ვინაიდან, ბჭეთა სასამართლო ორი მხარის პირად-უფლებრივ საკითხებს განიხილავდა, რაც კონფიდენციალურობის დაცვას მოითხოვდა; ასეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტილების მიღება ტარდებოდა სოფლის გარეთ, სპეციალურად შერჩეულ ადგილას. რაც შეეხება, ხევის მთელი საზოგადოების (თემის) ყრილობას, ტარდებოდა XIV ს-ში აგებულ გერგეტის სამების ტაძრის სამხრეთ კე-

დელთან მე-15 ს-ში მიშენებულ ნაგებობაში – „საბჭოში“ და ტაძრის ტერიტორიაზე (ქსე, 1978).

ვიდრე ს. სიონის „ქვასკამებზე“ საკუთარ მოსაზრებებს გამოვთქვამდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია სხვა, ანალოგიურ საკრებულოებზე მოვიტანოთ მასალა: თუშეთის პირიქითის თემში, ს. დართლოში, მოედანზე, რომელსაც „**საფრინდაო**“ ეწოდება, დღემდე დგას ქვის მასიური „სკამები“, რომელთაც ს. მაკალათია უწოდებდა „ქვის სავარძლებს“ (მაკალათია, 1983, 102), ხოლო თუშები მათ უწოდებენ „**თორმეტაწი სკამს**“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადრე აქ თორმეტი ქვასკამი უნდა მდგარიყო; მთხრობელთა მითითებით, გასული საუკუნის 80-იან წლებში, მხოლოდ 5 თუ 6 იყო შემორჩენილი. თუ „ჯორთკალოზე“ (ხევი) „**ქვასკამები**“ // „**ქვასავარძლები**“ ერთი მთლიანი ქვის მასისგანაა გათლილ-გაკუთხული, ს. დართლოს ქვის სკამები შექმნილია ორი ნაწილისაგან – დასაჯდომისა და მასზე მიდგმული ბრტყელი ქვის საზურგისგან (მაკალათია, 1983, 102).

სტეფანწმინდის რაიონში შემავალ თრუსოს ტერიტორიაზე (მდ. თერგის სათავეები), სადაც 90-იან წლებამდე ოსები ცხოვრობდნენ (უფრო ზუსტად, ზაფხულობით ჩამოდიოდნენ მაშინდელი ქ. ორჯონიკიძიდან), სოფელ **ცოცოლტას** // **სოსოლტას ნიხასი** (მდ. თერგის მარჯვ. ნაპირზე) თითქმის პირვანდელი სახით იყო შემორჩენილი. 8 მ. სიგრძის და 1 მ, 20 სმ სიგანის ზომების სწორ, ფართე მოედანზე ოვალურად აწყვია ქვები; „ნიხასის“ მდინარისკენ მიქცეული ბოლო ნაწილი გახსნილია, თავში კი ორი უხეშად დამუშავებული მასიური „ქვასკამი“ დგას. ცენტრში მდებარე „სკამის“ სიმაღლეა 70 სმ, დასაჯდომი ნაწილის სიგანეა – 40 სმ.; საზურგეს სამკუთხედის ფორმა აქვს – მას „**უხუცეცის სკამს**“ // ოს. хистары дур-ს უწოდებდნენ. მის მარცხნივ, ასევე, სკამის ფორმის ქვა დგას – სიმაღლეა – 71 სმ, დასაჯდომი ნაწილის სიგანე – 42 სმ.; მას მთხრობლები მიიჩნევენ, უხუცეცის მომდევნო ასაკის მოხუცის „**кæштар**“-ის დასაჯდომად.

ამის საფუძველს იძლევა ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვითაც უხუცეცის მომდევნო ასაკის პირი პირველის მარჯვნივ უნდა მჯდარიყო, მასზე უმცროსი კი

მარცხნივ. რადგან სოფ. ცოცოლტის ნიხასზე ორი ქვაა შემორჩენილი უხუცესის და მესამე პირის (მარცხნივ მდებარე ქვაზე მჯდომის), უნდა ყოფილიყო მარჯვნივ მდებარე ქვაც. ორი ქვის შემთხვევაში იქნებოდა უხუცესის და მისი მომდევნო ასაკის მოხუცისა ე. ი. მარჯვნივ მდებარე ქვასკამი. ამას მოითხოვდა კავკასიელ მთიელებში მკაცრად დაცული ეტიკეტი.

\* \* \*

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს მასშტაბით „ქვის სკამებით“, „ქვის სავარძლებით“ და ზოგადად, ტერიტორიის მოწყობით გამორჩეული, ხალხურ მმართველობასთან დაკავშირებული მოედნები ერთეული ეგზემპლარით არის წარმოდგენილი თუშეთის პირიქითის თემის სოფ. დართლოში (ახმეტის რ-ნი), ხევის სოფ. სიონში (ყაზბეგის რ-ნი) და თრუსოს სოფ. ცოცოლტაში (ყაზბეგის რ-ნი).

ოსეთის (აღანია) და საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის – ოსებით დასახლებული თრუსოს ყოველ სოფელში არსებობდა ხალხურ მმართველობასთან დაკავშირებული, მამაკაცთა თავშეყრისთვის განკუთვნილი მოედანი.

ყაზბეგის რ-ში შემავალი თრუსოს სოფ. ცოცოლტის ნიხასიც არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულებით. თრუსოს ცალკეულ სოფელთა გაერთიანების საერთო ნიხასები მარტივად იყო მოწყობილი, ხოლო თრუსოელთა საერთო ყრილობები იმართებოდა მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ტერიტორიაზე.

თუ რითი იყო განპირობებული აღწერილი მოედნების განსაკუთრებულობა, ამაზე პასუხს იძლევა ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მონაცემები: ქურთათის, მამისონისა და თრუსოელ ოს მთხრობელთა მითითებებით, გამორჩეული ნიხასები მიეკუთვნებოდა იმ ხალხს, რომელსაც ამ ხეობებში ოსთა ჩამოსახლებამდე უცხოვრია და რომლებიც ოსთა წინაპრებს „განუდევნიათ ან დაუსოციათ“; ოსების გადმოცემით, ისინი სხვა ხალხი იყო – ყაზბარდოელები, ბერძნები თუ ქართველები ან ლეგენდარული ნართები“. ჩვენთან საუბარში ყოველი ოსი უყოყმანოდ ასახე-

ლებდა თავისი სოფლის დამაარსებლის სახელს, წინაპართა აკლდამებს, საფლავებს, ჩამოთვლიდნენ იქ მცხოვრებთა გენეალოგიებს და სხვ. დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ „ქვის სკამები“ ძველი მოსახლეობის კუთვნილება იყო. ქურთათელი ოსები ს. ლაცის „ქვასკამს“ მითიურ ნართ ურიზმავს უკავშირებდნენ, რომლის სიმძიმისგანაც ჩაზნექილა და სკამის ფორმა მიუღია ქვას. ინფორმატორთა გადმოცემით, ყოველმა ოსმა ზუსტად იცის საკუთარი წინაპრის, თავისი სოფლის დაარსების, კოშკის, ნიხასის, საფლავების ისტორია“. ამიტომაც, თრუსოელთა, დიდი განცვიფრება გამოუწვევია გასული საუკუნის შუახანებში მიწის ჩამორეცხვის შედეგად გამოჩენილ ძველ საფლავებს, რომლებშიც „მიცვალებულები არა ოსური წესით იყვნენ დასაფლავებულნი, მაგრამ მათაც პატივისცემით ექცევიან ოსები“ – მოგვითხრობდნენ სოფ. ტეფის მცხოვრებნი.

ყოველივე ზემოთქმული ისტორიული რეალობის გამოძახილია. როგორც ცნობილია (ქართული, სომხური, ანტიკური წყაროებიდან) ქურთათის, ალაგირისა და თრუსოს ხეობები იმ ვრცელი ტერიტორიის ნაწილია, რომელიც ეკავათ დვალებს, რომელთა ეთნიკური ვინაობის შესახებ აზრთა სხვაობის საკითხი, ქართველური წარმოშობის სასარგებლოდ იხრება. ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მცხოვრები – მონღოლების მიერ განადგურებული ოსების (XIII ს. 40-50 წწ.) ძირითადი ნაწილი კავკასიონის მთებს შეეხიზნა, აქედან კი დვალეთის ტერიტორიაზე შევიდა, რის შემდეგაც მოხდა დვალთა ასიმილაცია ოსებთან. საფრთხეს გამორიდებული, საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული დვალეები ქართველებს შეერივნენ. მიუხედავად ეთნიკური ინდივიდუალობის დაკარგვისა, სახელწოდება „დვალი არ გამქრალა. იგი ფორმით „თუალთა“ დვალეთის ტერიტორიაზე დასახლებულ ოსთა სახელწოდებად იქცა (ქართლის ცხოვრება, 4, თბ., 1973; დ. გვრიტიშვილი, 1949; В. Гамрекли, 1957; მისივე, 1961; გ. თოგოშვილი, 1957; მისივე; 1969; ნ. ნაკაშიძე, 1971; ვახ. ითონიშვილი, 1992; რ. თოფჩიშვილი, 1997).

კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა მცხოვრები დვალეების საზოგადოებრივი ცხოვრების წყობის შესახებ პირდაპირი მონაცემები არ შემორჩენილა, მაგრამ ვ. გამრეკელს არსებულმა წყაროებმა საშუალება მისცა გაეშუქე-

ბინა მდ. დიდი ლიახვის (შიდა ქართლი) სათავეებში მცხოვრები დვალეების ცხოვრების სხვადასხვა მხარეები. გაირკვა, რომ XII-XIV სს. დვალთა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები განიხილებოდა საერთო სახალხო კრებებზე (მაგ. საზოგადოებაში ახალი წევრის მიღების, გასახლების, მიწის გამოყოფის და სხვ.). დვალთა სახელით გამოდიოდა მთელი სოფლის კოლექტივი, მიმართავდნენ მთელ საზოგადოებას და არა გარკვეულ ფენას ან ბელადებს – არ ჩანდა საზოგადოებრივ-ორგანიზაციული დიფერენციაცია. მშვიდობის დროს ორგანიზაციული ფორმა იყო საერთო სახალხო კრება, ომის პირობებში – საერთო სახალხო რაზმები. დვალთა თემში იყო სათემო დემოკრატია, თუმც ავტორის აზრით, XIV ს-ში არ უნდა შემონახულიყო გვაროვნული თემი პირველყოფილი სიწმინდით, მითუმეტეს ფეოდალური საქართველოს პირობებში. გვაროვნულ-თემობრივ მოვალეობებთან ერთად მათ ეკისრებოდათ ფეოდალური სახელმწიფოს წინაშე მოვალეობები. შიდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ თემობრივი წყობა იყო განმსაზღვრელი ძალა და მორგანიზებელი პრინციპი მალრანდვალეთში, ნათქვამი მითუმეტეს შეეხებოდა ჩრდილო კავკასიელ დვალეებს, რომლებიც სახელმწიფოებრიობის გარეშე ცხოვრობდნენ (В. Гамрекли, 1961, 104-113).

ამრიგად, ქურთათის, მამისონისა და თრუსოს ხეობების მითითებული საკრებულო მოედნები დვალთა კუთვნილება უნდა ყოფილიყო; ყოველ ხეობაში ტერიტორიის მოწყობით მათი გამორჩეულობა (ხელით გათლილი საუფროსო „ქვასკამებით“, ტყვია-წამლით, სანაყი, ცხენის მისაბმელი ძალის გამოსაცდელი და სხვა დანიშნულების, ასევე ხელით დამუშავებული ქვებით) განპირობებული იყო დვალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი განსაკუთრებული ადგილით; მითითებული სოფლები და ნიხასები ოსთა ხალხურ მმართველობაში არავითარ სხვებისგან განსხვავებულ ფუნქციას არ ითავსებდნენ.

რაც შეეხება ხევის (ყაზბეგის რ-ნის) ს. სიონის „ჯორთკალო“//ჯვართკალოდ წოდებულ საერობოს, სადაც მონოლითური ქვა-ლოდებისგან გამოკვეთილი „სკამები“ დგას, მისი მსგავსი არათუ საქართველოს ტერიტორიაზე,

არამედ მთელს კავკასიაში (ჩვენ ხელთ არსებული მასალებით) არსად მოიპოვება. ახლო წარსულში იგი იყო სოფლის მამაკაცთა თავშეყრის ადგილი – საერობო. ზოგიერთი მთხრობლის მითითებით, თავდაპირველად „ქვის სკამები“ იღვა სოფლის ზემოთ – აღმოსავლეთით, სადაც ძველი, პირველდასახლება მდებარეობდა (როგორც ითქვა, სოფელი დროთა განმავლობაში გაიზარდა). ამ შემთხვევაშიც, მთელ ხევში მხოლოდ ს. სიონის პირველდასახლების ტერიტორიაზე მდებარე „ქვასკამებით“ გამორჩეული საერობოს – მამაკაცთა საკრებულო ადგილის – ფუნქციური დანიშნულებაც განსხვავებული, აღმატებული უნდა ყოფილიყო სხვა საერობობებთან შედარებით, რაც არ დასტურდება; მთელი ხევის თემის საზოგადო დანიშნულების საკითხები, როგორც ზემოთ ითქვა, გერგეტის სამების ეკლესიასთან განიხილებოდა.

მთა ქაბარჯინას ძირში მდ. ხევის არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ს. სიონი მდიდარია ისტორიული ძეგლებით – 3 სართულიანი კოშკი, სიონის მონასტერი, ერთერთ უბანში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია; ამადლება შემოხლულადული იყო გალაგნიით. ავტორის აზრით, ყოველივე ეს ადასტურებს, რომ აქ იყო ხევის მმართველობის ცენტრი. ს. სიონი იყო 3 ხეობის – დარიალის, სნოს და თრუსოს შემკრები პუნქტი წარსულში, ეკლესიების აშენებამდე, აქ დაფუძნებული იყო „წანართა ხევის“ საერთო სახალხო საკრებულო მოედანი, რისი დასტურიცაა ხელით დამუშავებული „ქვა სკამები“, რომლებიც განკუთვნილი იყო უხუცესთათვის, კრების, ყრილობის ხელმძღვანელთათვის. ყრილობის მონაწილენი კი უნდა ყოფილიყვნენ სამი ხეობის – დარიალის, სნოს და თრუსოს წანარები, რომლებიც, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ (მელიქიშვილი, 1973, 17, 53, 144).

ს. სიონის ტერიტორიაზე მდებარე საკრებულო ადგილის სახელწოდებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ვალ. ითონიშვილის მითითება იმის შესახებ, რომ „ჯორთკალო//ჯვართკალო“, რომელიც დღეს „ჯვართან“ ასოცირდება თავდაპირველად იყო „ჯვართკალო“ ანუ „საჯარე კალო“ ანუ ადგილი,

სადაც იკრიბებოდა „ჯარი“, ხალხი და განიხილავდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებს (ითონიშვილი, 1971, 90; შეადარეთ თუშური ტერმ. „საანჯმო). გვაროვნულ საზოგადოებაში და ტრადიციისამებრ შემდგომ სტადიებზეც წინაპართა საფლავებთან მიღებულ გადაწვეტილებებს დიდი ძალა ჰქონდა და უსიტყვოდ სრულდებოდა.

ასეთივე დანიშნულების – ანუ საერთო სახალხო, საერთო სათემო მასშტაბის საკრებულო ადგილი უნდა ყოფილიყო სოფ. დართლოს „ქვის სავარძლებით“ წარმოდგენილი მოედანი, რომელსაც „თორმეტაანთ სკამს“ უწოდებენ თუშები. საფიქრებელია, რომ ადრეულ ხანაში აქ თუშეთის თორმეტი თემის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ საერთო საკითხების შესათანხმებლად (ამჟამად მხოლოდ 6 ქვასკამია შემორჩენილი).

ამრიგად, ჩვენი აზრით, ხალხურ მმართველობასთან დაკავშირებული მოედნების განსაკუთრებული მოწყობა (ხელით დამუშავებული „ქვასკამები“//„ქვის სავარძლები“, ტყვია-წამლის სანაყი, ცხენის მისაბმელი, ძალის გამოსაცდელი და სხვა დანიშნულების – ასევე დამუშავებული ქვები) საქართველოსა და ზოგადად, კავკასიის მთიანეთში წარსულში გვაროვნულ-ტომობრივ გაერთიანებად მცხოვრები საზოგადოებების ერთიანი კულტურის გამოვლენაა.

II. მეორე ტიპის ანუ საკრებულოსთვის განკუთვნილი ნაგებობა საქართველოს მთიანეთში მხოლოდ პირიქითი ხევსურეთის სოფ. შატილშია დაფიქსირებული (ჩაჩაშვილი, 1948). მას ხევსურეთში „**დაფარებულ საფეხნოს**“ უწოდებდნენ. პირაქეთ ხევსურეთში – „ბუდე ხევსურეთში დაფარებული საფეხნო არც უნახავთ და... არც ანდრეზ ას“ (ე. ი. არც გადმოცემაა მასზე). გასული საუკუნის 40-იან წწ., როდესაც შატილის საფეხნო მონახულა და აღწერა გ. ჩაჩაშვილმა, იგი ჯერ კიდევ თითქმის პირვანდელი სახით იყო შემორჩენილი. ეს იყო სამკედლიანი, სახურავიანი ნაგებობა. ადრეულ პერიოდში ასეთი ნაგებობები იყო პირაქეთ ხევსურეთშიც და არხოტშიც (ოჩიაური, „ხევსურეთი“, 1967). საფეხნოსთვის განკუთვნილი ნაგებობა იდგა პირიქითის სოფ. გუროში – 6 კვ. მ. – „ეს იყო დიდი ოთახი“-ო გვითხრა ხახონი გოგოჭურმა. ასეთივე ნაგებობა ყოფილა ს. გიორგიწმინდაში – ორწყალთ ხევისწყის მარცხენა მხა-



რეს. ეს ყოფილა სიპით ნაგები შენობა („ასი კაცი დაეტეოდა“-ო) კერით, სამკედელთან მშრალად ამოშენებული დასაჯდომი ყორით. მთხრობლები (ს. გამარჯვებაში, ს. მლაშეში ჩასახლებულნი) საფეხნოს ნაგებობას ადასტურებენ სოფ. ამლაში, ახიელში, (არდოტის თემი). ეს უკანასკნელიც სამკედლიანი, მშრალად, ყორედ ნაშენები ნაგებობა ყოფილა, რომელიც ზემოდან „გასწორებული იყო მიწით“; მას „საფეხნოს კარს“//„დარიფნის კარს ეტყოდნენ“. ს. ამლის საფეხნოს ნაგებობა „საბეკურის ხატთან“ მდგარა. ეს იყო „დაფარებული დარიფანი“, სადაც ცუდ ამინდში სხდებოდნენ. ერთ-ერთი მთხრობლის გადმოცემით, ამ ნაგებობაში „ადრე ხოგაის მინდის უცხოვრია“, რაც წინაპრის კულტთან დაკავშირებით შეიძლება განვიხილოთ. საპატოო წინაპრის საცხოვრებელი ან საფლავი საზოგადოებისთვის წმინდა ადგილს წარმოადგენდა და აქ განხილული საკითხი და გამოტანილი დადგენილება განსჯას აღარ ექვემდებარებოდა. მთის მკაცრი ყოფის პირობებში საზოგადოების წინაშე ამა თუ იმ დამსახურებისათვის (გმირობა ბრძოლაში, გონიერება და გამოცდილება, სამართლიანობა და სხვა) წინაპართა მიმართ თაყვანისცემის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საქართველოს მთიანეთში არ დაფიქსირებულა სამარხის და საკრებულოს თანხვედრის შემთხვევა (ისე, როგორც ეს გვხვდება მეზობელ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში); მაგრამ ირიბი მინიშნება ამასთან დაკავშირებით ამოიკითხებოდა სოფ. შატილში ბოლოდრომდე შემონახულ რიტუალში. სადღესასწაულო საახალწლო ციკლის ერთ-ერთ დღეს, კერძოდ, ოთხშაბათს, რომელსაც ხევესურები უწოდებენ „უკენაშუადღეს“, ყოველი ოჯახის დიასახლისი მიცვალებულთა სახელზე აცხობდა კვერებს. ხუთშაბათს – „გამცხადება დღეს“ უცოლო ახალგაზრდები (7-8 წლის ბიჭებიც), დილაადრიან იკრიბებოდნენ საფეხნოში. ყოველ მათგანს მოჰქონდა ნათესავთა სულის მოსახსენებლად სამი კვერი, ერთი ბოთლი არაყი, ერგო და ორი შეკვრა შეშა; ანთებდნენ ცეცხლს იატაკზე. მზის ამოსვლის შემდეგ, საფეხნოს გვერდით იკრიბებოდნენ ქალები. ახალგაზრდები სუფრას გაშლიდნენ. ერთ-ერთი ქალი მიდიოდა საფეხნოს „კართან“

(საფეხნოს წინა კედელი არ ჰქონდა) – იგულისხმება – „შესასვლელთან“ და მოიხსენიებდა გარდაცვლილ შატილიონებს. ქალები ბრუნდებოდნენ სახლში. ახალგაზრდები შემდეგ თამაშობდნენ, კოცონზე ხტებოდნენ. ამ დღეს ახალგაზრდები საფეხნოში არ უშვებდნენ უფროსებს. აღწერილი რიტუალი მხოლოდ სოფ. შატილის საფეხნოში სრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სოფლებშიც ტარდებოდა მიცვალებულთა სახელზე კვერებით, სასმელით და კოცონზე ხტომით რიტუალი, არასოდეს ეს არ ხდებოდა ღია ცის ქვეშ მდებარე საფეხნოებზე. გ. ჩაჩაშვილი შატილის საფეხნოზე შესრულებულ რიტუალს უკავშირებდა უცოლო, დაუქორწინებელ მამაკაცთა სახლებს, რადგან საფეხნოში უფროსებს არ უშვებდნენ (ჩაჩაშვილი, 1940, 141-148). ჩვენი აზრით, ეს მცირე დეტალია რიტუალის. ავტორი არაფერს ამბობს რიტუალში ქალების მონაწილეობაზე (რაც უცოლო მამაკაცთა სახლებში არ ხდებოდა); რიტუალის მთელი შინაარსი არაორაზროვნად მიუთითებს რეალურ მიზანზე – გარდაცვლილ შატილიონთა მოსაგონარზე. როგორც ცნობილია, ახალწლის დღესასწაულის ერთ-ერთ დღეს მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ საქართველოს (მთელი კავკასიის და მსოფლიოს) სხვა კუთხეებშიც – სვანეთში ამ დღეს უწოდებენ „ლიფანალს“; ოსები, დაღესტნელები და სხვა კავკასიელები ანთებენ კოცონს საკუთარ ეზოში ან საფლავეებზე, იმისათვის, რომ „განათლდნენ მიცვალებულები და მათი წილი არ ჩაქრეს“; რუსეთში ამ წესს ეწოდება „треть покойников“ („მიცვალებულთა გათბობა“) ან „родителям поминки греют“ (Зеленин, 1909, 1 და შემდ.). ასე იყო შუა აზიაში (Ягодин, Ходжаев, 1970, 141-142), აღმოსავლეთის ქვეყნებში (Цинова, 1982, 99 და შემდ.). ჩვენი აზრით, შატილის საფეხნოში ჩატარებული რიტუალები უშუალოდ უკავშირდება წინაპართა საფლავეებს. ოდესღაც ეს ნაგებობაც სამარხი-აკლდამა უნდა ყოფილიყო და მისი ზედა ნაწილი შემდგომში იქცა საფეხნოდ (ანალოგიურ ვითარებაზე ჩეჩნეთ-ინგუშეთის მაგალითზე (Чиковани, 1986, 115-136). როგორც ზემოთ ითქვა, გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის შატილის საფეხნო უკვე დანგრეული იყო. იმ ადგილზე კვლავ სრულდება თუ არა აღწერილი რიტუალი, დასადგენია.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3



სურ. 4

**NORTH GEORGIAN HIGHLAND DWELLING  
STRUCTURE AND THE LOCATION OF PEOPLE'S  
GATHERING PLACES WITHIN IT**

In the Ethnological (Ethnographic) literature among the signs defining the ethno specificity an important place is given to the traditional forms of every day life and culture. One of the significant and valid ethnographic sources in studying the ethnosocial and ethnocultural aspects of people's history is the name and People's Gathering place- or the centre of social life – The Place where the men used to gather (squares and facilities, buildings), where the current agriculture, farming, defence, moral and other aspects and problems of that time were discussed.

In the given work the structure of the Highland dwelling zones of the Caucasus and People's Gathering Places are studied (through the examples of Tusheti, Pshav-Khevsureti, Zevi, Truso, Svaneti, Racha and other regions) and together with the dwelling structure (topography, morphology, farming, religion etc.) are described the places of men's gathering places and their types (open air type squares and special facilities and buildings) defined.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ი. აბურაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1974 წ.
2. ვახ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, ტფ., 1904 წ.
3. თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1983 წ.
4. დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985 წ.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990 წ.

6. ბ. გამყრელიძე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში (მთიულური ორხელაობა), კეკ, III, თბ., 1971 წ.
7. ჯ. გვასალია, წანართა ტომის ეთნიკური კუთვნილების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. 59, №3, თბ., 1970 წ.
8. მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. შიდა ქართლი, თბ., 1983 წ.
9. დ. გერიტიშვილი, „დვალთა“ ეთნიკური კუთვნილებისა და ქართლში ოსთა გადმოსახლეობის საკითხისათვის, „მიმომხილველი“, 1, თბ., 1949 წ.
10. მისივე, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1965 წ.
11. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლეობისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997 წ.
12. მისივე, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005 წ.
13. ვალ. ითონიშვილი. ხევის ტოპონიმია, თბ., 1971 წ.
14. ვახ. ითონიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1992 წ.
15. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963 წ.
16. ს. მაკალათია. მთიულეთი, ტფ., 1930 წ.; მთის რაჭა, ტფ., 1930 წ.; თუშეთი, ტფ., 1933 წ.; ხევი, თბ., 1934 წ.; ხევსურეთი, 1935 წ. და სხვ.
17. მისივე, ფრონის ხეობა, თბ., 1963 წ.
18. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და ფეოდალური ურთიერთობების განვითარების ზოგიერთი საკითხი საქართველოში, თბ., 1973. წ.
19. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომები, „მაცნე“, 2, თბ., 1965 წ.
20. ნ. ნაკაშიძე, მცდარი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან, „მაცნე“ №12, თბ., 1971 წ.
21. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962 წ.
22. თ. ოჩიაური, მითოდოლოგიური გადმოცემები აღმ. საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967 წ.

23. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, თბ., 1993 წ.
24. რ. რამიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. კრებ. „უინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები)“, თბ., 1981 წ., გვ. 128 და შმდ.
25. ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 1, 1960 წ.
26. თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1961 წ.
27. ქსე, 3, თბ., 1978.
28. ქართლის ცხოვრება, 4, 1973 წ.
29. ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, თბ., 1988 წ.
30. გ. ჩაჩაშვილი, შატილის საფეხვნო, თბ., 1948 (ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივი, №60).
31. მისივე, ხევსურული საფეხვნო, „ძეგლის მეგობარი“, 3, თბ., 1966.
32. გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1953 წ.
33. გ. ჩიქოვანი, „სანახშო“ და „სოფლობა“, საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976 წ.
34. მისივე, სასოფლო მოედნის აღმნიშვნელი თუშური ტერმინის განმარტებისათვის, „მაცნე“, 1, თბ., 1983 წ.
35. მისივე, თრუსოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან, „ძეგლის მეგობარი“, №66, თბ., 1984 წ.
36. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984 წ.
37. შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954; მისივე, ალ. ყაზბეგის თხზულებათა კრებული, I, თბ., 1962 (შესავალი).
38. რ. ხაჩიძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939 წ.; მისივე, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, „მიმომხილველი“, I, თბ., 1949 წ.
39. რ. ხაჩიძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964 წ.
40. პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969 წ.

41. გ. ჯავახიშვილი, დასახების ტიპი, ს. შილდაში, მსე, X, თბ., 1959 წ.
42. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე; „შრომები“, I, თბ., 1949 წ.
43. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, XVIII-XX სს., თბ., 1984 წ.
44. С. А. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, I, Одесса, 1912.
45. В. Гамрекели, Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э. Тб., 1961.
46. Дж. Гвасалита, Из исторической географии Мтиулеи (Цхавати, Цилкани, Цанары), КЭС, 3, 1971 г.
47. М. Витов, О классификации поселений, С. Э., 1953.
48. С. Киселев, Поселение, РАНИОН, Инст-а археологии и искусствознания, Труды секции теории и методологии, Т. II, М., 1928.
49. М. Косвен, Из истории родового строя в юго-Осетии, СЭ, 2, 1936.
50. Его же, Семейная общинга и патронимия, М., 1963.
51. Б. Пфаф, Материалы для истории осетин, ССКГ, V, Тиф., 1971.
52. А. И. Робакидзе, Особенности патронимической организации у народов горного Кавказа, СЭ, 5, М., 1968.
53. А. Робакидзе, Г. Гегечкори, Формы жилища и структура поселения горной Осетии, КЭС, т. 5, вып. I, Тб., 1975.
54. А. Робакидзе, Сванети, Тб., 1984.
55. Семенов-Тянь-Шанский, Город и деревня в европейской России, ЗРГО, X, в. 2, 1910.
56. К. Хетагуров, Быт горных осетин (Этнографический очерк), Цхинвали, 1938.
57. И. Цискаров, Записки о Тушетии, К. №11. 1849.
58. Г. Чиковани, Осетинский ныхас, КЭС, т. V, вып. 2, Тб., 1979.
59. ძოსოვე, Один из видов площадей народного схода горного Кавказа, КЭС, VII, Тб., 1988.
60. ძოსოვე, Из истории общественного быта вайнахов, VI, Тб., 1986.
61. ძოსოვე, Один из видов площадей народного схода горного Кавказа, КЭС, VII, Тб., 1988.



ღვთისმშობლის ხალხური კულტი აღმოსავლეთ  
საქართველოს მთიანეთში  
(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

1980-იან წლებში, როდესაც ქართული ეკლესიის ოდინდელი რენომეს აღდგენა და მართლმადიდებლური პრაქტიკის აღორძინება დაიწყო, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ხალხური რელიგიური პრაქტიკის დაფიქსირება და აღნუსხვა. დღეს, ქართული საეკლესიო ტრადიციის ინტენსიფიკაციის წყალობით, ხალხური რელიგიის გვიანობამდე შემონახულმა ელემენტებმა სახე იცვალა და, სავარაუდოდ, თანდათანობით დავიწყებას მიეცემა. წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა 1980-იანი წლებში ფშავ-ხევსურთში მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს, რისი მოძიებაც დღეს, ალბათ, გართულებოდა და, რის გარეშეც, შეუძლებელი იქნებოდა ხალხური ღვთისმშობლის კულტის სრულყოფილად შესწავლა.

ქართული ხალხური რელიგიის სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა, მის სინკრეტულობაში ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო რელიგიად იქნა აღიარებული, ქრისტიანობამდელი კულტები და მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, უმეტესად საქართველოს მთის საზოგადოებებში, გვიანობამდე განაგრძობდნენ ტრანსფორმირებული სახით არსებობას. წარმართულ სამყაროსთან დაპირისპირებული ქრისტიანული რელიგია ახალი რწმენისა და ღირებულებების დამკვიდრებისთვის ბრძოლაში მეტ-ნაკლები წარმატებით აღწევდა მიზანს. ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული რელიგიური კულტის ობიექტები და მათთან დაკავშირებული პრაქტიკა ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული რწმენების ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს, სადაც ზოგან არქაული ელემენტები ჭარბობს, ზოგან კი ქრისტიანული პლასტები პრევალირებს (ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური, ა. ლეკიაშვილი, ზ. კიკნაძე, ნ. დამბაშიძე, ნ. ჯალაბაძე და ა.შ.).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიურ ყოფაში საკმაოდ მძლავრია ღვთისმშობლის ყოველი მიწიერის მფარველის, წმინდანი ქალწული მარიამის თაყვანისცემა. ის საყოველთაო მოველენაა ფშავ-ხევსურეთში, სადაც მისი სახელობის ჯვარ-ხატები თითქმის ყველა დასახლებაში ფიქსირდება. ეს სალოცავები ძირითადად სასოფლოა, თუმცა გვხვდება სათემოც – გუდანის და კისტნის ნახარცელა ღვთისმშობლები ხევსურეთში, მუქოს მოხარნადე ღვთისმშობელი – ფშავში, ასევე უკანაფშავის, ვაკისოფლის, გოქჩის და სხვ. შესაბამისად, მისი მოქმედების არეალი შემოიფარგლება სოფლის ან თემის ტერიტორიით და ამ ტერიტორიაზე ბინადარი მოსახლეობით.

ღვთისმშობლის ფუნქციებში შედიოდა ადამიანთა (უფრო ქალისა და ბავშვის) ბედ-იღბლის და ჯანმრთელობის, საქონლისა და მისი ნაწველ-ნადღეების ბარაქიანობისა და მოსავლის სიუხვის უზრუნველყოფა. მაგრამ, ამათგან პირველადი, საქონლისა და მისი პროდუქტის მფარველობა იყო (მას “ფურების ხატსაც” კი უწოდებენ), რაც კარგად ჩანს მის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში და სათანადო ღოცვის ტექსტებში. აღნიშნულ კონტექსტში წამყვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობის პროდუქტებს – ერბოს, კარაქს, რძეს, ყველს. ღვთისმშობელს ეწირება ე. წ. „ფურთსამხვეწრო ქადა“, ზვარა – დეკეულის პირველი ხბო ან გაზაფხულზე პირველად მოგებული პირუტყვი.

მაგალითად, შატილში აღდგომა დღეს მარიამწმინდაში//ღვთისმშობელში//ადგილის დედაში საქონლის დაღიანობისთვის ქალებს მიჰქონდათ ხავიწის ან ხაჭოს გულიანი ხინკლები და ნათავარი (გაზაფხულზე პირველად მოწვევლილი რძისგან დამზადებული) კარაქი. თითოეულ ხინკალს ნაპირს მოაციცქნიდნენ და თითო ძროხაზე ორ პატარა გორგალს (გორილას) გააკეთებდნენ; ასევე თითო ფურზე ორი გორგალი მზადდებოდა ნათავარი კარაქისაგან. ამ ყველაფერს ჯამში ათავსებდნენ. ქალები ჯერ ადგილის დედის და მერე ღვთისმშობლის კოშკებთან მივიდოდნენ და ხინკლის გორილებს ნიშებში აწყობდნენ, შემდეგ სამლოცველოს გარს შემოუვლიდნენ, კედლებზე კარაქს უსვამდნენ და “მარიემწმიდა, დედა ხთისას” ფურის

ნაწველის და ხარის ნახნავის ბარაქიანობას და ხატოსა და კარაქის სიუხვეს შესთხოვდნენ. (ს.შატილი, 1985)

ღვისმშობლისთვის „საქონლისა და და მისი ნაწველ-ნადღეების” მფარველის ფუნქციის დაწინაურება აღმოსავლეთ საქართველოს მთურ საზოგადოებათა სამეურნეო ყოფის თავისებურებით იყო განპირობებული; რაც იმაში მდგომარეობს, რომ მესაქონლეობა ამ გეოგრაფიული ზონალობის ბინადართათვის მეურნეობის წამყვანი დარგია.

საკვლევ რეგიონში ამავდროულად იკვეთება ღვთაების მონადირეთა, ქურდთა (ძირითადად მეზობელი უცხო ტომის წარმომადგენელთათვის საქონლის ან ცხენების პარვა) და მეკობრეთა მფარველობის უნარი. როგორც ცნობილია, მეკობრეობა ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო ქართველ მთიელებში არამედ ჩრდ. კავკასიის სხვა ხალხებშიც. მას თავისი განმაპირობებელი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები გააჩნდა. ფაქტია, აღნიშნულ საქმიანობათა მფარველის რანგში ღვთისმშობლის წარმოდგენა უდავოდ არ მომდინარეობს ქრისტიანული საწყისებიდან და აშკარად მთის საზოგადოების ოდესღაც ტრადიციული საქმიანობის გამოძახილია.

გადმოცემით, ღვთისმშობელი არ არის ბოროტი ღვთაება, თუმცაღა მკაცრია. იგი ძირითადად კეთილგანწყობილია საკუთარი სამწყსოსადმი და ავის, ზიანის მიყენების უნარი მასში ძალზე ნაკლებად იკვეთება. მისი შემწენარებლური ხასიათი ქრისტიანული წმინდანის ქალური, დედური ბუნებიდან უნდა მომდინარეობდეს. საკვლევ რეგიონში ღვთისმშობელს შეუძლია მხოლოდ საქონელთან დაკავშირებული საწუხარი გაუჩინოს ადამიანს.

ხალხურ წარმოდგენებში ხშირად ღვთისმშობლის ხატი (იერსახე) განსხვავებულია კანონიკურისაგან. იგი ძირითადად თეთრ ან მტრედისფერ სამოსიან ქალად ესახებათ, თუმცა დასტურდება მისი მამროვან არსებად წარმოდგენისა თუ მამაკაცური ბუნების ღვთაებებთან გაიგივების შემთხვევები. მამროვან არსებად არის მიჩნეული შატილის, წითელაურთის, უძილაურთის, გუდანის ნახარველა და სხვ. ღვთისმშობლები.

“ყველა ხატები კაცები არიან, ხთიშობელიც კაცია, მარტო მარიამწმინდა არის ქალი.” (ს. წითელაურთა, 1984)

ღვთისმშობლის ღია ფერის სამოსი მის ზეციურ სამყაროსთან კავშირზე უნდა მიანიშნებდეს. ადგილის დედისთვის სანთლის მიწაზე, ხოლო ღვთისმშობლისათვის მაღლა (კოშკში, ნიშაში...) ერთდროულად დანთების ზოგან შემონახული წესი, პირველის ქთონურ სამყაროსთან და მეორის ზეცასთან კავშირზე მიუთითებს. ღვთისმშობლის კოსმიურ სამყაროსთან, კერძოდ სოლარულ კულტთან კავშირი ხაზგასმულია მის შესახებ არსებულ ხალხურ წარმოდგენებში. ამაზე უნდა მიანიშნებდეს მისი სამკაულებიან (ჯვრის ფორმის) ქალად წარმოდგენის შემთხვევებიც. ქართველთა ხალხურ წარმოდგენებში, ღვთისმშობლის გარდა, სამკაულით იყვნენ მოსილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა დედური ბუნების ღვთაებანი: ადგილის დედა, სამძიმარი და თურსიეხი და მათაც პრაქტიკულად ქალის სამკაული ეწირებოდათ. სამკაულების ქონა და სალოცავისთვის მათი შეწირვის ტრადიცია ხალხურ ღვთისმშობელს მსოფლიო დედური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებათა კონტექსტში აქცევს. მსოფლიო მითოლოგიაში ცნობილია რომ სამკაული უძველესი ნაყოფიერების ღვთაებათა აუცილებელი ატრიბუტი იყო. მცირე აზიურ, ბალკანურ თუ სხვა ქვეყნების სინამდვილეში დედური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებები სამკაულით იყვნენ მოსილი(ასტარტა, კიბელა, იშთარი, და სხვ.) (Румянцев, 1925: 17) ნაყოფიერების ქალ-ღვთაების გამოსახულებად არის მიჩნეული ქართულ (კავკასიურ) ბრინჯაოს ბალთებზე თუ საყურეებზე გამოსახული სამკაულით მორთული დედაკაცის ფიგურები (ხიდაშელი, 1970: 85-113) და სხვ.

სოლარულ კულტთან სიახლოვე ვლინდება მის სახელზე ჩატარებულ რიტუალებშიც. ასეთია არხოტში მარიამწმინდაობა დღეს ცეცხლმოკიდებული გუჯინას (მოწნული გოდრის) მთიდან დაგორების ტრადიცია რომელიც მზის სითბოს გაძლიერებისათვის მიმართულ მაგიურ ქმედებად არის მიჩნეული. (ვ. ბარდაველიძე, 1941: 87); გუჯინას დაგორების ჩვეულება ხევსურეთში სხვადასხვა სოფელშია დამოწმებული, ზოგან მას “გუჯინაობასაც” ეძახი-

ან. იგი მოდიოდა ადღგომის წინა დღეს და ძირითადად ბავშვების დღეობად მიიჩნეოდა. მაგალითად, სოფელ ახი-ელში შაბათ ღამეს ბავშვები ერთ-ერთი მოსახლის ჭერხო-ში იკრიბებოდნენ და მათთვის სოფლის თვითოეულ მო-სახლეს მიჰქონდა "საკვლევი"(ხინკალი, ერბო, კვეკულები). ამ დროს ბავშვები ფეხზე დგებოდნენ და ხმამაღლა შეს-თხოვდნენ დედა მარიამს ემფარველა "საკვლევის" მიმტა-ნის საქონლისა და მისი ნახნავისთვის და მათი ნაწველ-ნადღეებისთვის ბარაქიანობა მიენიჭებინა. დილით კი ბავ-შვები ჩალით გამოტენილ გუჯინას ცეცხლს წაუკიდებ-დნენ და მთიდან დააგორებდნენ. ანალოგიური რიტუალი სრულდებოდა ს. ამღაშიც, სადაც მარიამწმინდაობას ის-დიდნენ მარიამწმინდას გორზე მდგარ სალოცავში. დღე-სასწაულის დროს გამოჰქონდათ მარიამწმინდას ხის ჯვარ-ი, რომელზედაც დახვეული იყო დიდი რაოდენობით ე.წ. "სათმეები". სათმე შალის ძაფისაგან დაწნული მძივებით შემკული თასმაა, რომელსაც ქალები თმის შესაკრავად ხმარობდნენ. მარიამწმინდას სათმეს სწირავდა ის, ვისაც დეკეული ჰყავდა მოგებული (მაკალათია, 1985: 76)

ღვთისმშობლის კოსმიურ სამყაროსთან კავშირზე უნდა მეტყველებდეს ხალხური წარმოგენა მისი ნათების უნარის შესახებ (არდოტის ღვთისმშობელი ღამით ანათებდა თურმე).

ზემოსხენებულის პარალელურად, რიგი წარმოდგენე-ბი ღვთაების ქთონურ სამყაროსთან, მიწასთან კავშირზე მიანიშნებს. ასეთია ღვთაების დამხმარე ძალად გველის (შატელი, გუდანი) ან დათვის ყოლის მოტივი და მისი სა-ხელობის სალოცავში შავი ფერის საქონლის შეწირვის ტრადიცია. საკვლევე რეგიონში, ღვთისმშობლის დამხმარე ძალად დათვია წარმოდგენილი. რომელთანაც იგი ზოგჯერ ასოცირებულიც კი იყო. თუ ვინმე გაანაწყენებდა ღვთაე-ბას, ის ჯაჭვით დაბმულ დათვისფერას აუშვებდა და მიუ-სევდა მათ. აღსანიშნავია, რომ დათვი, როგორც ქართველ-თა, ასევე სხვა მიწათმოქმედი ხალხების მსოფლმხედვე-ლობაში, მიწის და ბუნების ნაყოფიერების ღვთაებებთან მიმართებაში მოიაზრება, რომელნიც კვდომისა და აღორ-ძინების მუდმივ ციკლს განასახიერებენ. დათვის სიმბოლი-კა საქართველოში აგრარულ და სამონადირეო კულტებს

უკავშირდება. (მ. მაკალათია, 1985: 77) ცნობილია, რომ X-XI ს.ს. საქართველოში ცნობილი იყო დათვთა თამაშის რიტუალი. ფშავში ქალები ასრულებდნენ ანალოგიურ რიტუალს სამაიას სახელწოდებით მკის დამთავრების შემდეგ. ხევსურეთში იცოდნენ ქორწილში თამაში – დათუნაობა, რომლის დროსაც მონაწილე ქალებს შავად მურავდნენ და სხვ.

ღვთისმშობლის სახელობის დიდი ღღესასწაულებიდან საკვლევ რეგიონში საყოველთაოდ გავრცელებულია ღვთისმშობლობა და მარიამობა. ფშავში მარიამობა ღვთისმშობლის ღღეობად ითვლებოდა და აქ მიჰქონდათ შესაწირავად “ფურთ ნათავრის ქადა”, სანთელი და სასმელი. სახელდობრ, აქ იკვლებოდა ზვარა, რომლის გაზრდაც დანაშაულად მიიჩნეოდა ხატისა და ღმერთის წინაშე. გარდა მარიამობისა, ღვთისმშობელში სალოცავად გადიოდნენ ამადლებსაც, ამ დროს ტარდებოდა საქონლის გამრავლებისა და მისი პროდუქტის სიუხვისთვის გამიზნული ქმედებანი. რიგი მოსაზრებით, ამადლებამ, მესაქონლეობასთან და აღორძინებული ბუნების ძალებთან დაკავშირებული დიდ ქრისტიანობამდელი ღღეობა ჩაანაცვლა (მ. მაკალათია: 1985).

საყურადღებოა, რომ რესპონდენტთა უმეტესი ნაწილისათვის როგორც თავად ღვთისმობელი, ისე მისი ბიოგრაფიის ის მონაკვეთები, რომელიც ამ ღღეობებს დაედო საფუძვლად გაუცნობიერებელი იყო. ამ დროს ჩატარებული რიტუალი, ისევე, როგორც ამ რიტუალთა მიზანდასახულობა, საკმაოდ შორს იდგა ქრისტიანულისაგან. ღღეს, რასაკვირველია, ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი მონდომებით და მეცადინეობით ეს ვითარება სრულიად შეცვლილია.

ღვთისმშობლის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა დედური ბუნების ღვთაებათა ძირითადი ფუნქციაც საქონლის კეთილდღეობა, გამრავლება და ნაყოფიერება იყო. მაგალითად, თუშეთის მთავარ სალოცავს, თურსიეხს, რომელსაც სხვანაირად “ქალების ჯვარს”, “ძროხების ხატს” ეძახდნენ, საქონლის გამრავლებასა და წველის მომატებას შესთხოვდნენ (მაკალათია, 1985: 73). ოჯახს, ადამიანსა და საქონელს მფარველობდა ადგილის დედა.

ადმოსავლეთ საქართველოს მთაში, ფაქტობრივად, ადგილის დედა და ღვთისმშობელი გაიგივებულია ერთმანეთთან, ერთ პერსონაჟად ჰყავთ წარმოდგენილი და ხშირად მას გაერთიანებული სახელით – "ადგილის დედა ღვთისმშობლით" იხსენიებენ. მთხრობელთა წარმოდგენაში მათი კულტები ერთმანეთის იდენტურია: "ღვთისმშობელი და ადგილის დედა ერთია. საერთოდ ადგილის დედა ქალია, ქრისტეს დედაა". (სოფ. მათურა). "ადგილის დედა-ხთიშობელო, ადგილის მცველო და მფარველო, ადგილის დედავ, დედაო ხთიშობელო.." (ს. შუაფხო).

ზოგან, ერთ სოფელში ორივე ღვთაების სახელზე ინდივიდუალური სალოცავები აქვთ, ზოგან კი მათი საკულტო შენობა საერთოა და ის ადგილის დედა ღვთისმშობლის ხატად იწოდება. განურჩევლად იმისა, თუ რომელ ღვთაებას მიმართავენ, მცირე გამონაკლისის გარდა, ლოცვის ტექსტშიც ორივე ერთად მოიხსენიება.

ადგილის დედის ფუქციები ღვთისმშობლის ფუნქციების იდენტურია, მასაც დამხმარედ გველი ჰყავს, რომელსაც, შესაბამისად, თავისი ურჩი თუ მორჩილი ყმების დამსჯელ ან მფარველ ძალად იყენებს. ისიც რიგი წარმოდგენების თანახმად, ასოცირდება მიწასთან. ადგილის დედასთან დაკავშირებულ საკულტო პრაქტიკაშიც მთავარი ადგილი უჭირავს რძის პროდუქტებს და გაზაფხულზე პირველად მოგებულ პირუტყვს. ცხადია, რომ ღვთისმშობელი ნაყოფიერების ადგილობრივ დედურ ღვთაებათა ნიშანთვისებების თანახმად.

ამ ღვთაებათა ფუნქციების, მათზე არსებული წარმოდგენების, საკულტო პრაქტიკის და ლოცვათა ტექსტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადმოსავლეთ საქართველოს მთაში, კერძოდ ფშავ-ხევსურეთში ხალხური ღვთისმშობელი უფრო მეტ სიახლოვეს ამუღანებს წინაქრისტიანულ ადგილის დედასთან ვიდრე ქრისტიანულ ღვთისმშობელთან.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შედეგად მძლავრი ქრისტიანული დედური კულტი უნდა დაპირისპირებოდა სათანადო სიმძლავრის ანალოგიური ხასიათის კულტს. ახალი და ძველი რელიგიების ჭიდილში უნ-

და ჩამოყალიბებულიყო სუბლიმირებული ადგილისდედა ღვთისმშობელი, რომელმაც სხვადასხვა პერიოდის რელიგიურ რწმენათა დანაშრევები დღემდე შემოინახა. ეთნოგრაფიული მონაცემების თნახმად, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანულ წმინდანს გაზიარებული აქვს უძველესი ადგილობრივი დედური ღვთაების მახასიათებლები და იგი სინკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი

ამგვარი ვითარება მარტო ჩვენთვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პროცესის სირთულეებმა ბევრ სხვა ხალხთანაც რელიგიურ სინკრეტიზმში კპოვა გამოვლინება. კომუნისტურმა იდეოლოგიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქართული ეკლესიის განვითარება, რამაც საქართველოს მთაში რელიგიური სინკრეტიზმის თავისებური ფორმა ჩამოაყალიბა.

**N. JALABADZE L. MELIKISHVIL**

## **FOLK CULT OF THE VIRGIN MARY IN THE EASTERN MOUNTAINOUS REGION OF GEORGIA**

(According to the Ethnographic Materials)

The specificity of Georgian folk religion, is revealed primarily in its syncretic character. In Georgian ethnology it is accepted that in different regions of Georgia religious cults and the related practices represent syncretic version of Christian and pre-Christian faiths and representations, where sometimes archaic elements predominate over Christian layers and vice versa.


In the eastern mountainous region of Georgia, namely Pshavi and Khevsureti the cult of female daities has always been popular. Among them – *Ghvatismshobeli* (the Virgin Mary) deserves special interest. Despite its Christian origin, the deity seems to be closer to the pre-Cristian cult of mother goddess which is represented generally by *Adgilis Deda* (Mother of place). This could be observed due to the study of their functions, representations, religious practices and prayer



texts. The existence of combined cult of *Adgilis Deda Gvtismshobeli*, parallel to the above mentioned female deities is a clear example of religious syncretism in this region of Georgia.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941.
2. მაკალათია მ., მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1985.
3. მ. ხიდაშელი, საკულტო რელიგიური პარადელები ღურისტანსა და კავკასიას შორის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, III, 1970.
4. Мифы Народов Мира, т. I, Москва, 1980.
5. Румянцев, Смерть и воскресение спасителя, Москва, 1925.



ალექსანდრე ორჯონიძის

ბაქენის კულტურის ფორმირების  
ზოგიერთი ასპექტი

ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურა დროთა განმავლობაში ფართოვდება, ძირითადად სამხრეთის მიმართულებით მიიწევს და უზარმაზარ ტერიტორიას იკავებს, მოიცავს რა ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის მთელ რიგ რაიონებს. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა კავკასიურ კულტურას არც მანამდე და არც მერე, არ ჰქონია ასეთი დიდი ტერიტორია ათვისებული.<sup>1</sup> მახლობელ აღმოსავლეთში მისმა ფართო განფენამ განაპირობა ძველადმოსავლურ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერება, გაზარდა ამ კულტურის მატარებელი ტომების როლი წინააზიის უძველეს ისტორიაში, აქცია კავკასია და ბუნებრივია, აღმოსავლეთი საქართველოც, სამხრეთის დაწინაურებული კულტურული სამყაროს განუყოფელ ნაწილად.

ვითარება ძირეულად იცვლება ამ კულტურის ბოლოსთვის, როცა თავისი არსებობის თითქმის ათასწლოვანი პერიოდის მიწურულს შეცვლილი ბუნებრივი პირობების, იმდროინდელი საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი მკვეთრი გარდატეხის, თუ სხვა, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელი მიზეზების გამო, მტკვარ-არაქსის კულტურა კრიზისს განიცდის, რაც მისი გავრცელების სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულად წარიმართა. აღმოსავლეთ საქართველოში ამ კრიზისის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ე. წ. ბედენის კულტურის გამოჩენაა მიჩნეული.<sup>2</sup>

ახალი კულტურა, წარმოდგენილი ძირითადად ყორღანის ტიპის სამარხებით, სწრაფად იკავებს კახეთს, შიდა

და ქვემო ქართლს, ბედენის პლატოსა და თრიალეთის ზეგანს. შედარებით ნაკლებად ვრცელდება იგი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე<sup>3</sup>, უფრო სამხრეთით-ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში კი მისი მხოლოდ სუსტი კვალი ჩანს ქვის ტიპური ისრისპირების სახით<sup>4</sup>. ბოლო წლებში სამარხების აღმოჩენას აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შიდა ქართლში, ნასახლარი ძეგლების გამოვლენაც მოჰყვა, რამაც მნიშვნელოვნად შეავსო ჩვენი ცოდნა ბედენის კულტურის შესახებ.

ტრადიციულ, მტკვარ-არაქსულ არეალზე ახალი კულტურის გავრცელებამ იმთავითვე მრავალი კითხვა გააჩინა: ადგილობრივ ნიადაგზე იყო ეს კულტურა წარმოქმნილი, თუ მის ფორმირებაში მთავარი როლი გარეგანმა ფაქტორმა ითამაშა; სად ლოკალიზდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების უმთავრესი წყარო; ეს იყო პროცესი ამ ელემენტების თანდათანობითი შემოდწევისა, თუ საქმე გვაქვს ერთჯერად გლობალურ ინვაზიასთან; სად მიმდინარეობდა მისი ჩამოყალიბების პროცესი და სხვ. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოითქვა არაერთი, ხშირად ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრება, რომელთა მიხედვით ბედენის კულტურას საფუძვლად დაედო წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურა; ან, მისი წარმოშობა წინააზიური სამყაროს მძლავრ ზემოქმედებას უკავშირდება; არც ამიერკავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ კულტურებთან კავშირი დარჩენილა ამ მხრივ ყურადღების მიღმა.<sup>5</sup>

ბედენის კულტურის საწყისების ძიება ტრადიციული, მძლავრი მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში, სავსებით ბუნებრივი ჩანს. ახალი კულტურა მართლაც პოულობს ბევრ საერთოს წინარე ხანის ადგილობრივ კულტურასთან ისეთი ნიშნებით, როგორცაა ნასახლართა ტოპოგრაფია, შენობის ტიპი, ლითონის იარაღის ზოგი ფორმა. სიახლოვეა ჭურჭლის ხელით დამზადების ტრადიციაში, მის სადად გამოწვასა და გაპრიალებაში, ორნამენტის ზოგიერთი მოტივის იგივეობაში და სხვ.<sup>6</sup> მიუხედავად ამისა, სხვაობა ამ ორი კულტურის ძირითად მახასიათებლებს შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ ძალზე გაჭირდება ბედენის კულტურის

უშუალოდ მტკვარ-არაქსული წიაღიდან გამოყვანა. იგი აშკარად განსხვავებულ ნიადაგზე ჩანს აღმოცენებულად.

ბედენის კულტურის ფესვების ძიებას არც წინააზიურ სამყაროში მოჰყოლია, მაინცდამაინც, დიდი წარმატება. მართალია, წინააზიაში ჩანს ბედენური საიუველირო ნაწარმისა და ლითონის ზოგიერთი იარაღ-სამკაულის მეტნაკლებად ახლო პარალელები; ასევე, მიცვალებულის ეტლით დაკრძალვის წესის არსებობა; მეტალურგიაში კალის გამოყენების დაწყებასაც სამხრეთს მიაწერენ.<sup>7</sup> მაგრამ წინააზიური დაწინაურებული სამყაროს, რომელშიც პირველ რიგში სომხეთის მთიანეთს, მცირე აზიას და სირიას მოიაზრებენ,<sup>8</sup> ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას ბედენის კულტურის ფორმირების საქმეში არ უნდა მიენიჭოს გადაამწვეტი მნიშვნელობა, იგი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი უფრო უნდა იყოს. წინააზიის თიხის ჭურჭლის ზოგი ტიპი თითქოს მართლაც იჩენს გარკვეულ სიახლოვეს, მაგრამ ქრონოლოგიურად ძლიერაა დაცილებული, ხშირად მოხატულიცაა, რითაც მკვეთრად ემიჯნება ბედენურ ნაწარმს.<sup>9</sup> ასე, რომ ვერც წინააზია გამოდგება ბედენის კულტურის სამშობლოდ. კერამიკაში არსებული მნიშვნელოვანი სხვაობის გამო გამორიცხავენ ამ დროისათვის სამხრეთიდან მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან გადმოადგილებას. აღინიშნა კიდევ, რომ თუ მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს უფრო ჩრდილოეთის მხრიდან უნდა მომხდარიყო, რადგან სწორედ ჩრდილოურ კულტურებში ჩანს ამ მხრივ ბევრი საერთო ბედენტან.<sup>10</sup>

ჩრდილოურ კულტურებთან კავშირი კი მართლაც ნათლად იკვეთება ორივეგან ყორღანული სამარხების არსებობით. ამგვარი სამარხი, ნაკლებად ცნობილი წინააზიაში, აღმოსავლეთ ევროპის სტეპში ძალზე ადრეული ხანიდან იჩენს თავს და შემდგომაც უწყვეტად განაგრძობს არსებობას. ძვ. წ. III ათასწლეულიდან იგი ჩრდილოკავკასიაშიც ვრცელდება და საერთო ხდება სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის, ჩრდილო-შავი ზღვისპირეთისა და კავკასიისათვის.<sup>11</sup> ჩრდილოეთთან გარკვეული ურთიერთობა წინარე-მტკვარ-არაქსულ ხანაშივე შეინიშნება შიდა ქართლში აღმოჩენილი ქვის ასიმეტრიულად

ფუძემოლედებული ისრისპირებითა<sup>12</sup> და თიხის ჭურჭლის ტეხილხაზოვანი ორნამენტით,<sup>13</sup> მაგრამ ეს კავშირი ჩანს სუსტი იყო. მას ჯერ კიდევ არ მიეღწია იმ დონისათვის, როგორსაც მომდევნო-ბედენურ ხანაში ვხედავთ. ბევრი რამ აკავშირებს ჩრდილოურ და ბედენის კულტურებს დაკრძალვის წეს-ჩვეულებების მხრივაც. ბედენურის მსგავსი დასაკრძალავი ეტლები ცნობილია ევროპის არაერთი რეგიონიდან. ბედენურ ამ ეტლებთან კონსტრუქციით ახლო დგას ნოვოტიტოროვის, ანუ ძველი ორმოსამარხების დროის პროტოკატაკომბური კულტურის – „დასაკრძალავი ეტლების კულტურის“ ეტლებიც.<sup>14</sup> ბევრია საერთო ბრინჯაოს იარაღ-სამკაულშიც.<sup>15</sup> არ გამორიცხავენ ოქრომჭედლობის პირველი ჩვევები, ნაცვლად ძველი აღმოსავლეთისა, ჩრდილო კავკასიას, კერძოდ კი ნოვოსვობოდნაიას კულტურას დაუკავშირდეს.<sup>16</sup> ეს კი სწორედ ის დროა, როცა ჩრდილო-კავკასიაში იმძლავრა ევროპულმა გავლენებმა.<sup>17</sup> ბოლო ხანს, ამავე გავლენებს მიაწერენ კავკასიაში, ბრინჯაოს ხანაში, კალის უმთავრეს იმპორტსაც. შენიშნულია, რომ ბედენის კულტურის შემდგომი, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის ადრეული საფეხურის, მთლიანად წინააზიური ორიენტაციის მქონე კულტურის ლითონის ნივთების შემადგენლობაში კალა თითქმის სრულიად ქრება და მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა დასავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის პროტოკოლხური კულტურა ევროპასთან კვლავ მჭიდრო კავშირს ამყარებს.<sup>18</sup>

მაგრამ ევროპის კულტურებთან ბედენის კავშირი პირველ რიგში ვლინდება მასობრივი ნაწარმით კერამიკით, რაც ყველაზე ნათლად აისახა სამხარეულო და სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭელში (ტაბ. I-II). ილტოს ნასახლარის ამგვარი კერამიკა აშკარად უახლოვდება აღმოსავლეთი ევროპის, მეტადრე კი ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის ნაწარმს, ჭურჭლის შესამკობად შევრილები-სა და პირქვეშ შემოყოლებული რელიეფური რანტის გამოყენებით.<sup>19</sup> ამგვარივე ორნამენტი აქვს ციხიაგორის A ფენის, ხაშურის ნაცარგორისა და სამცხის იმ ჭურჭელსაც, რომელსაც ანალოგები დადესტნისა და სამხრეთ რუსეთის სტეპების კულტურათა კერამიკაში ეძებნება.<sup>20</sup>

ჩრდილოურ კულტურებთან ავლენს საერთოს ბედენური უხეში ჭურჭლის ზედაპირის სავარცხლისებრი უსისტემო დარებით დაფარვის ტექნიკაც, რასაც ვხვდებით ციხიაგორის A ფენის, ბერიკლდეების, კახეთისა და ქვემო ქართლის ზოგიერთი ყორღანის მასალებში.<sup>21</sup> ჭურჭლის ზედაპირის სავარცხლისებრი ზოლებით დაფარვა ძალზე დამახასიათებელია ძველი ორმოსამარხებისა და კავკასიისპირეთის კულტურათა კერამიკული წარმოებისათვის.<sup>22</sup> იგივე შეიძლება ითქვას ტრიპოლიეს და კატაკომბურ კულტურათა მიმართაც, რომელთაც, მსგავსად ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის კერამიკისა, ბედენურთან აახლოვებს ასევე ქილისებრ ჭურჭელზე შემოყოლებული რელიეფური რანტი ფოსოებით.<sup>23</sup>

მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება ევროპის კულტურებთან ურთიერთობა. უტყუარი ნიშანი, რომლითაც ბედენური კერამიკა უკავშირდება ამ კულტურებს, არის თხიერი თიხით ჭურჭლის ზედაპირის შეღესვა. ეს ხერხი, ცნობილი ილტოდან და ციხიაგორის A ფენიდან, სრულიად უცნობი დარჩა მტკვარ-არაქსისა და მთლიანად სამხრეთული კულტურებისათვის. სამაგიეროდ, ფართოდ გაიდგა მან ფეხვი დაღესტანში,<sup>24</sup> რაც იმ ზოგად მოვლენას უკავშირდება, რასაც ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, სადაც იგი საქართველოსგან განსხვავებით მტკიცედ დამკვიდრდა და დამახასიათებელი გახდა მომდევნო ხანის კერამიკული წარმოებისათვის.<sup>25</sup> დაღესტანში ამგვარი კერამიკა ადრებრინჯაოს ხანის მოგვიანო ეტაპზე იწყებს გამოჩენას, დროით მოსდევს რა მტკვარ-არაქსული ტიპის სადა თიხის ჭურჭელს და აჩვენებს სტეპების იმ კულტურათა გავლენების გაძლიერებას, რომელთაც, თავის მხრივ, ახლო კავშირი გააჩნიათ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სხვადასხვა კულტურასთან.<sup>26</sup> თხიერი თიხით შეღესილი კერამიკა კარგად იყო ცნობილი ძვ. წ. V-III ათასწლეულებში ბალკანო-კარპატებიდან დნეპრო-დონის შუამდინარეთამდე გავრცელებულ არაერთ მონათესავე არქეოლოგიურ კულტურაში.<sup>27</sup>

ბედენური კერამიკის გოფრირებული, ხშირად წმინდა წერტილების მწკრივებით შემკული დეკორიცი ახლოა ტრიპოლიეს კულტურის ერთ-ერთი ჯგუფის ჭურჭლის ორნა-

მენტთან. ტრიპოლური წვრილი მრგვალი კოპების მწკრივი, მსგავსად ნოვოსვაბოდნაიას და ძველი ორმოსამარხებისა, ასევე უახლოვდება ბედენურ ნაწარმს და მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპას. ეს თავისებურებები კი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამიერკავკასიაში მათ გამოჩენას და მიუთითებს ჩვენში ამ ნიშნების გავრცელებაზე ჩრდილოეთის მხრიდან.<sup>28</sup> ბალკანეთშიც ხედავენ ბედენური კერამიკისათვის დამახასიათებელ არაერთ დეტალს ისევე, როგორც ჭურჭლის ერთ-ერთი წამყვანი ფორმის პროტოტიპს, რომლის მეტალისებრი კრიალა ზედაპირი ძალზე მოგვაგონებს კავკასიურ ეგზემპლარებს.<sup>29</sup>


სიახლოვე ჩანს ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის მაიკოპისა და ნოვოსვაბოდნაიას კერამიკასთანაც.<sup>30</sup> ქვემო ქედის კოპებით შემკული ჭურჭელი განსაკუთრებით უახლოვდება უკანასკნელს,<sup>31</sup> ანალოგიურად ქვემო ქართლის ზოგიერთი ყორღანის მასალისა, რომელსაც ასევე არაერთი პარალელი ეძებნება ყუბანისპირეთში.<sup>32</sup>


კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ზემოთაღნიშნულ კულტურებთან მრავალი საერთო ქმნის იმის საფუძველს, რომ სწორედ მათ დავეუკავშიროთ ბედენის კულტურის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი.<sup>33</sup> სამხრეთის კულტურებში ამ თავისებურებების სიმცირე, ან სულაც, არარსებობა ხაზს უნდა უსვამდეს ბედენის მიდრეკილებას ევროპული სამყაროსადმი.<sup>34</sup> სად უნდა წარმართულიყო ამ კულტურის ფორმირების ძირითადი პროცესი? დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ადრებრინჯაოს ხანის მიწურულს, ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან მძლავრი კულტურული ნაკადი შემოდის და მონაწილეობს ბედენის კულტურის ფორმირებაში,<sup>35</sup> რაც სავარაუდოდ, შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის საფუძველზე ადგილობრივ უნდა მომხდარიყო.<sup>36</sup> მაგრამ ამ პროცესის ამსახველი შუალედური ძეგლების გამოვლენამდე ეს მოსაზრება ნაკლებად დამაჯერებელია მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მტკვარ-არაქსული ელემენტები ბედენურ თიხის ჭურჭელში მართლაცაა. ძალზე გაჭირდება ასევე წინარე, ადგილობრივი კულტურის წიაღში წარმოვიდგინოთ ბედენის კულტურის ჩამოყალიბებაც მხოლოდ იმის გამო, რომ შიდა ქართლის ზოგ ნასახლარზე ბედენისა და მტკვარ-არაქსის

კულტურათა კერამიკა სტრატეგრაფიულად განლაგებულ რამდენიმე ჰორიზონტზე უწყვეტად ვითარდება,<sup>37</sup> რადგან უადრეს იმ ჰორიზონტებშიც კი, სადაც მათი თანაარსებობის დაწყება შეინიშნება, ბედენური კერამიკა სავსებით სპეციფიკური სახით წარმოგვიდგება. ჩანს, მას განვითარების საკმაოდ გზა უკვე უნდა ჰქონოდა გავლილი.<sup>38</sup> ნიშნები, რომლებიც ბედენურ თიხის ჭურჭელს მჭიდროდ აკავშირებს ევროპულ კულტურებთან, არ შეიძლებოდა მას შეეძინა შიდა ქართლში, სადაც მანამდე ისინი სრულიად უცნობი იყო. ეს ნიშნები აქ ბედენის კულტურის გავრცელებასთან ერთად ჩნდება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბედენის კულტურის ჩამოყალიბების პროცესი დაწყებულიყო იმ არეალში, სადაც თავმოყრილი უნდა ყოფილიყო როგორც ევროპული, ისე მტკვარ-არაქსული კერამიკული ტრადიციები (ტაბ. II-2,3,10-13).<sup>39</sup> ასეთ არეალად კი ჩრდილოკავკასია წარმოგვიდგება.

შეიძლება ითქვას, ბედენის კულტურის გავრცელებით აღმოსავლეთი საქართველო ექცევა ევროპულ ორბიტაში. თუმცა, ამგვარი ვითარება დიდხანს არ გაგრძელდება და მალევე, შუაბრინჯაოს ხანაში, იგი კვლავ უბრუნდება წინააზიურ კულტურულ სამყაროს.<sup>40</sup>







**SOME ASPECTS OF THE FORMATION  
OF THE BEDENI CULTURE**

So called Bedeni Culture was spread on the territory of Eastern Georgia at the end of the Early Bronze Culture. The ceramic material of this period contains the traits characteristic as to the traditional ceramic ware of the Kuro-Araxes Culture so to the ceramic vessels of the European Cultures those were unknown to the region before. This circumstance indicates that the process of the formation of the Bedeni Culture proceeded in the area where all these cultures had been gathered and that should be Northern Caucasus.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ო. ჯაფარიძე – ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი, 1976, გვ. 62-63.
2. ო. ჯაფარიძე – საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, 1991, გვ. 285.
3. ო. ჯაფარიძე – ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში. მაცნე, 4, თბილისი 1988, გვ. 27.
4. K. Schmidt – Norsuntepe. Mainz am Rhein, 1996, pl. 41.
5. ა. ორჯონიკიძე – ბედენის კულტურა. მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიიდან. ძიებანი, №20, თბილისი, 2011, გვ. 222-235.
6. გ. გობეჯიშვილი – ბედენის გორასამარხების კულტურა, თბილისი, 1981, გვ. 52, 60; ო. ჯაფარიძე – ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში, თბილისი, 1998, გვ. 131.
7. Ш. Дедбришвили – Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979, с. 65-67; ო. ჯაფარიძე – საქართველოს არქეოლოგია, გვ. 151-152.

8. К. Кушнарёва, М. Рисин – Бедено-Алазанская группа памятников Кавказа – Взаимодействие культур и цивилизаций, С. – П., 2000, с. 60-109.
9. ე. გოგაძე – თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბილისი, 1972, გვ. 84.
10. Ch. Burney – Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze age, – Anatolian Studies, VIII, 1958, p. 176-178; ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 91; ო. ჯაფარიძე – ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში, მაცნე, 2, 1989, გვ. 34-35.
11. S. Korenevski – Grobe kurgane der Maikopkultur. – Von Maikop bis Trialeti. Bonn, 2010, p. 59-73; ამავე კრებულში – L. Rahmstorf – Indications of Aegean – Caucasian relations during the third millennium B. C., p. 263-295.
12. Б. Куфтин – К проблеме энеолита Внутренней Картли и Юго-Осетии – Вестник Государственного Музея Грузии, XVI-B, Тбилиси, 1947, с. 78; ა. ორჯონიკიძე – ქვის ისრისპირები საქართველოდან – ძიებანი, 13-14, 2004, გვ. 26-27.
13. M. Kelly – Buccellati – the excavations at korucutepe, Turkey, 1968-70; \_ Journal of Near Eastern Studies, V. 33, №1, p. 51-54.
14. А. Гей – Новотиторовская культура, Москва, 2000, с. 205-209.
15. А. Гей – დასახ. ნაშრომი, იქვე.
16. ო. ჯაფარიძე – ქართველი ტომების ეთნო-კულტურული., გვ. 119.
17. ო. ჯაფარიძე – დასახ. ნაშრომი, იქვე.
18. კ. ფიცხელაური – სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით – ბრინჯაოს ხანაში – არქეოლოგიურ კულტურათა კონტაქტების დინამიკა – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, თბილისი, 2012, გვ. 78.
19. Ш. Дедабришвили – Памятники эпохи ранней и средней Бронзы, Труды Кахетской археологической экспедиции I, Тбилиси, 1969, с. 53.
20. ა. ორჯონიკიძე – სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბილისი, 1983, გვ. 44; ზ. მახარაძე – ციხიანთის მტკვარაქსული ნასახლარი. თბილისი, 1994, გვ. 58.
21. ზ. მახარაძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 60; ლ. ლლონტი, გ. ნემსაძე, ა. ჯავახიშვილი – ქარელის რ-ში, ბერიკლდეებზე, 1979-81 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციე-

- ბი, VIII, თბილისი, 1986, გვ. 36-44; მ. ჯალაბაძე – ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1998.
22. თ. ჯაფარიძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 128-129.
  23. ე. გოგაძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 91.
  24. Р. Мунчаев – Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, Москва, 1961, с. 96-97; Ш. Дедабришвили – დასახ. ნაშრომი, გვ. 54; ზ. მახარაძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 58.
  25. ზ. მახარაძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 59.
  26. М. Гаджиев – Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа, Москва, 1991, с. 130, 149.
  27. М. Гаджиев – დასახ. ნაშრომი, გვ. 213.
  28. ე. გოგაძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 88.
  29. ე. გოგაძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 85; Н. Шаншашвили – К распространению одного типа керамики на Кавказе. – Археология, этнология, фольклористика Кавказа, Баку, 2004, с. 148-149.
  30. გ. გობეჯიშვილი – დასახ. ნაშრომი, გვ. 73.
  31. Ш. Дедабришвили – დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
  32. კ. კახიანი, ე. ლღვიანიშვილი – ტაშირის ძვ. წ. III ათასწლეულის ყორღანები – დმანისი, V, თბილისი, 2006, გვ. 214.
  33. ე. გოგაძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 89-90; ა. ორჯონიკიძე – სამცხე-ჯავახეთი..., გვ. 106.
  34. ა. ორჯონიკიძე – ბედენის კულტურა..., გვ. 231.
  35. А. Гей – დასახ. ნაშრომი, გვ. 205-209.
  36. თ. ჯაფარიძე – დასახ. ნაშრომი, გვ. 138.
  37. А. Рамишвили – Раскопки в Хашурском районе в 1984-85 гг. – Полевые археологические исследования в 1986, с. 25; თ. ლორთქიფანიძე – ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002, გვ. 86.
  38. ა. ორჯონიკიძე – მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 2004, გვ. 187-188.
  39. შეად. В. Ростунов – Куро-аракские могильники Северной Осетии. – Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа, Орджоникидзе, 1988, рис. II-3; IV-5; VI-1,3.
  40. თ. ჯაფარიძე – ქართველ ტომთა ეთნიკური..., გვ. 250.

**ОДНА ГРУППА КУБКОВ ИЗ ЦЕНТРАЛЬНОЙ  
КОЛХИДЫ**

Среди изученных памятников колхидской культуры одно из ведущих мест следует отнести поселению с. Кулеви Хобского р-на, расположенном на правом берегу реки Хоби, в 200 км от морского побережья. Наивысшая точка овального по форме жилого холма (т.н.гудзуба) достигала 1,6 м над у.м., площадь превышала 2,5 га. С запада, востока и севера холм опоясывал искусственный ров, четко просматриваемый по сей день.

В 1973 году на Кулевском поселении (II участок) производила работы Колхидская археологическая экспедиция Ин-та истории, археологии и этнографии им. И.А.Джавахишвили /Микеладзе Т. и др. 1974:34-35/.

В 1999-2006 годах на памятнике Кулевской археологической экспедицией Центра археологических исследований были проведены широкомасштабные археологические работы, в результате которых было выделено четыре культурных слоя, каждый мощностью в три метра, из коих верхний относился к XIX в, последующие же три слоя – к различным ступеням эпохи поздней бронзы-раннего железа /Папуашвили Р.2002:32/.

Среди многочисленных находок из II культурного слоя обращают на себя внимание своей редкостью и оригинальностью два керамических сосуда: один – с сообщающимися туловами и второй – с трубковидным носиком.

Сосуд с сообщающимися туловами сохранился полностью. Предмет из глины коричневого обжига представляет собой три одинаковых кубка, соединенных между собой тремя отверстиями в области тулова (высота 6,5 см, диам. доньшка 2 см., диам. венчика 4 см, вместимость около 0,3 л). Для каждого из них характерны слегка раскрытый венчик с граненым краем, низкое горлышко, сферический корпус с высоким поддоном. К каждому сосуду в верхней части корпуса прикреплено по одной идентичной, слегка прогнутой ручке с круглым отверстием. В верхней

части тулова нанесен круговой желобчатый орнамент. Сосуды изготовлены на гончарном круге (табл. I-1).

Второй сосуд с Кулевского поселения кирпичного цвета по форме напоминает маслобойку со слегка раскрытым, частично обломанным венчиком, низким желобчатым горлышком и широким туловом, равномерно сужающимся к плоскому доньшку. На двух противоположных сторонах сосуда прикреплены вертикальное ушко с круглым отверстием. Между ними, в области плечика находится трубкообразный слив (табл. I-2).

Наряду с характерными для колхидской культуры основными элементами (бронзовые и железные мотыги, сегментовидные орудия, наконечники стрел, кинжалы гравированный бронзовый пояс, бусы из различных минералов и т.п.) на Эргетском могильнике №1 (Наакардаму) в коллективном погребении №1 был выявлен кубок, несколько отличающийся по форме от вышеописанных образцов /Микеладзе Т и др. 1984:44-45/. Сосуд имеет ровный (частично обломанный) венчик, слабо выделенное горлышко, под которым, в верхней части тулова, на двух противоположных сторонах расположены вертикальное ушко и трубкообразный слив. Слегка выделяющееся тулово сужается к широкому, плоскому доньшу (табл. I-3).

Трубка в верхней части корпуса засвидетельствована также на отличающихся по форме сосудах из Урекского могильника /Микеладзе Е. 1985:21, табл. XXX, 10-14/.

Фрагменты двухкорпусных сообщающихся сосудов были выявлены на Пичорском поселении в культурном слое VIII конца раннебронзовой эпохи. Канелированный двухкорпусный сосуд с вертикальной ручкой засвидетельствован среди материалов ямного коллективного захоронения №2 могильника Дгваба (Хобский р-н) /Микеладзе Т. и др. 1995:43, табл. 5/. Несколько иная форма сообщающегося сосуда засвидетельствована в культурном слое V-IV вв. до н.э. поселения Горадзири /Мешвелиани Т. и др. 1999:74, табл. I-II/. В данном случае к доньшу миски был прикреплен небольшой горшочек сферической формы с тремя шишечками по обе стороны плечика.

В научной литературе существует специальное исследование, посвященное вопросам функции и ареала распространения сообщающихся сосудов на территории Грузии в эпоху ранней

бронзы с привлечением соответствующих параллелей /Пхакадзе Г. 2002:29-32, табл. I/. Поэтому мы не станем подробно останавливаться на их рассмотрении и отметим лишь некоторые аспекты, связанные с сосудами данного типа. Как отмечалось выше, на некоторых памятниках (Кулеви, Эргета) сосуды с трубковидным сливом встречаются сравнительно редко. Эта деталь появляется на сосудах другой формы (миски) в переходный период от эпохи средней бронзы к поздней бронзе и продолжают бытовать на I-II этапах развития древнеколхидской керамики (XIV-VII вв. до н.э.), в то время как сосуды с трубчатым сливом представляют собой один из наиболее распространенных типов в керамике среднеколхидского времени. Они сосуществуют с колхидскими пифосами и кубками с VI в. до н.э., хотя не исключается возможность их появления с конца VII /Микеладзе Т. 1985:23Б Табл. IV/ и даже с VIII в. до н.э./ Рамишвили Ал. 1974:109-110/.

Возникает вопрос о функциональном назначении сообщающихся сосудов и кубков с трубчатым носиком из предантичных слоев Кулевского городища и Эргетского могильника. Вполне очевидно, что сосуды с двумя, а то и с тремя корпусами не были предназначены для каждодневного употребления и использовались лишь в особых случаях, о чем свидетельствует их сравнительная малочисленность. Исходя из этого считают, что сосуды с сообщающимися корпусами представляют собой посуду особого назначения, т.н. «марани» из которого пили священную жидкость во время ритуальных действий. До возникновения виноделия это могли быть водка или пиво. Кубок «марани» предназначался именно для торжественных или ритуальных возлияний /Пхакадзе Г. 2002:32/. Мы разделяем это мнение и считаем, что эти сосуды следует рассматривать не как обычную столовую посуду, а именно как предметы особого назначения, используемые при ритуальных действиях. В этом плане интересны этнографические данные: во время религиозных праздников святое вино т.н. «зедаше» подавалось в глиняных кубках особой конструкции, т.н. «марани», состоящих из двух, трех и более сообщающихся сосудов /Бардавелидзе В. 1957:67-68/. Любопытно, что сообщающиеся сосуды по сей день встречаются в этнографическом быту на территории Грузии и используются в современном грузинском праздничном застолье (т.н. самтвала, самткупа, самтана, орчинчи-



ла и др) /Лекишвили А. 1972, табл. XXXVIIIб 75; Барисашили г. 2012:33/. С виноделием должен быть связан также своеобразный деревянный сосуд с удлинённым трубкообразным сливом из предантичного слоя поселения Цива с.Кулеви, ближайшие аналоги для которого засвидетельствованы в этнографическом быту Западной Грузии /Этнографический словарь материальной культуры Грузии 2011:206,217/.



Возможно, с молочным производством, или же с виноделием связаны сосуды с трубковидным сливом из Кулевского поселения и Эргетского могильника №1 (ямное погребение №1).

Как известно, территория Грузии считается одним из центров окультуривания виноградной лозы /Рамишвили Р. 2001/, где к концу II тысяч.до н.э. виноградарство достаточно хорошо развито. Возникновение винодельческой культуры в Колхиде предполагается с предантичного периода. Об этом свидетельствуют выявленные на памятниках разных этапов эпохи бронзы (Ананклия I, Ананклия II, Эргета «Мамулиебис Борцви», Носири III) косточки дикого и переходного от дикого к культурному виду винограда, а также косточки окультуренного винограда с поселений Гиенос, Кулеви и Циви. Вопросы развития виноградарства и виноделия в Колхиде и в других регионах Грузии неоднократно освещались в специальной литературе. О развитии этой отрасли свидетельствуют многочисленные артефакты, связанные с этой сферой деятельности человека на различных этапах развития – это добытые в результате археологических раскопок и хорошо документированные костяные, керамические, бронзовые, золотые и серебряные сосуды и кубки для вина /Гамкрелидзе Г. 2008:14-16; Харабадзе С. 2006:145-150/. Мы полагаем, что вышерассмотренные керамические сосуды в какой-то мере дополняют и вносят некоторое разнообразие в коллекцию винных кубков Колхиды предантичного периода. Факт обнаружения посуды этого ряда вместе с другими артефактами с территории Кулеви (косточки винограда, деревянный сосуд «кула», связанный с виноделием) еще раз свидетельствуют о высоком уровне развития виноградарства и виноделия как в данном конкретном пункте, также причерноморской полосе Колхиды в предантичную эпоху.

Итак, на Кулевском поселении и Эргетском могильнике обнаруженные глиняные сосуды в месте с комплексным инвентарем датируются концом II и началом I тыс. до н.э.

### Иллюстрации

**Табл. I** – 1-2 – сосуды с сообщающимся корпусом и трубкообразным носиком с поселения Кулеви; 3 – сосуд с трубкообразным носиком с могильника Эргета



**FOR ONE GROUP OF POTTERY DRINKING VESSEL FROM  
CENTRAL COLCHIS**


On the famous sites of Colchis culture – settlement Kulevi and cemetery Ergeta, was found one group of Colchian drinking vessels made by pottery, which probably must be use for drinking wine or some other fluid. The similar vessels were found in the other sites of Colchian lowland and in ethnographical life of Georgia.

These pottery vessels, with accompanying inventory dated the end of II millennium – the first quarter of the I millennium

**Литература:**

- Барисашвили Г.** 2012. Грузинская традиционная керамическая посуда для винопития, Тбилиси (на груз.яз).
- Гамкрелидзе Г.** 1982. Древние поселения Центральной Колхиды, Тбилиси (на груз.яз).
- Лекишвили А.** 1972. Ты, Лоза! Тбилиси (на груз.яз).
- Мешвелиани Т, Папуашвили Р., Коридзе И. Джалабадзе М.** 1999. Археологические раскопки Горадзири, Археология трубопровода, Т.1, Тбилиси, с.71-78, (на груз.яз).
- Микеладзе Т., Пхакадзе Г., Барамидзе М., Лордкипанидзе Г., Мухелишвили Д., Хахутаишвили Д.** 1974; Итоги исследований колхидской археологической экспедиции, Тбилиси, с.34-35(на груз.яз).
- Микеладзе Т.** 1985. Колхидские могильники эпохи раннего железа, Тбилиси(на груз.яз).
- Папуашвили Р.** Археологические раскопки в Кулеви 1999-2001 гг. – Урбанизм в архаическую и классическую эпохи. – Дзиебани, прилож. VIII, Тбилиси, с.31-32 (на груз.яз).
- Раишвили Ал.** 1974. К датировке приморских стоянок Пичвнари, – Мацне №2-1974 – серия ист..., Тбилиси, с.104-111 (на груз.яз).

- Рамишвили Р.2001.** История грузинской лозы и вина, Тбилиси (на груз.яз).
- Пхакадзе Г. 2002.** О назначении и распространении сообщающихся сосудов раннебронзовой эпохи. – Дзиебани №9, Тбилиси, с.29-32 (на груз.яз).
- Словарь материальной культуры Грузии – Ред. Эл. Надирадзе. 2011.** Тбилиси на груз.яз).
- Харабадзе С. 2006** – Фигура «винопийца» из с. Инашаури (Ванский р-н). – Дзиебани №, Тбилиси (на груз.яз).
- Бардавелидзе В.В. 1957.** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси.
- Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., Чубинишвили К 1995.** Колхидская экспедиция. ПАИ 1987 г. Тбилиси, с. 39-43.



ლია ბითაძე, შორენა ლალიაშვილი,  
დავით ჭითანავა

სვანების ანთროპოლოგიური დახასიათება  
შედარებით ასპექტში.

ნაწილი I. სვანების შიდაპოპულაციური ცვალებადობა

სვანთა ტომის ისტორიული წარსულის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს, თუმცა სამწუხაროდ დღემდე საკითხი მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი.

სვანები პირველად სტრაბონთან მოიხსენიება სოანას//შოანას ფორმით. „სვანები... ფლობენ ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომელიც დიოსკურიის ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 კაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200 000 [კაცის ოდენობით]...”. [1].

მეცნიერთა მიერ გამოითქვა მოსაზრება სვანური ენის ნარეკობის შესახებ (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა), რომლის მიხედვით სვანური ენა ჭანურ-მეგრული, ძველი ქართული და ადიღეურ (ჩერქეზულ)-აფხაზურისგან შედგება. ანდა სვანური, როგორც ნარევი ენა („აგრეგატივი“) იმეორებს ზანურს, ძველ ქართულს და ადიღეურს [2].

ნ. მარის მოსაზრებით, სვანური ტომები თავდაპირველად ატარებდნენ არა სახელწოდებას „სვან“, არამედ მათი ეთნიკური სახელწოდება იყო „აბასხი“ [2] ავტორისავე აღნიშვნით, თვით ეთნონიმში სვანი სვანურ ენაში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი: UMU-IIIWAN; MU-IIIWNI; IIIWAN; ATVIT IIIWAN ფორმა სვანური არ არის და მისი წარმოება არ ეგუება სვანურის ნორმებს. ავტორი ასევე ეჭვს გამოთქამდა თვით სვანების შიგნით ერთი საზოგადოებრივი ტიპის არსებობის შესახებ [3]. აღსანიშნა-

ვია ისიც, რომ სონებს (იგივე სვანებს დ. ჯ.) სტრაბონი „იბერებს“ (ზოგადქართული ეთნონიმი) უწოდებს [4].

შესაძლოა, სვანების თვითსახელწოდება მუშნი/მუშანი (იგივეა მეგრული შონი და ქართული სვანი) ტომობრივი სახელწოდება მუშქის იდენტურია, რომლებიც იგივე მესხები არიან და სწორედ ისინი წარმოადგენდნენ იბერიის სამეფოს დამაარსებელ ერთ-ერთ ძირითად ტომებს. მუშქები ძვ. წ. IX-VII საუკუნეებში მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე აარსებენ ძლიერ სამეფოს, რომელსაც ძველბერძნული ტრადიციით იცნობენ როგორც ფრიგიის სამეფოს. მუშქების გარკვეულ ნაწილს შეერივნენ, როგორც ჩანს, ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩამოსული სომეხთა წინაპარი ინდოევროპული ტომები, ხოლო ნაწილი მოძრაობას იწყებს ჩრდილოეთით, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მონაწილეობას იღებს იბერიის სამეფოს ჩამოყალიბებაში. შემდგომ, დაახლოებით ძვ. წ. I საუკუნეში, მათი მოძრაობის მიმართულების მიხედვით, ისინი თავიანთ კვალს ტოვებენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში და ალბათ, საბოლოოდ, დღევანდელი სვანეთის ტერიტორიას იკავებენ. სტრაბონის დროს ისინი უკვე ერთ ტომობრივ ერთობას წარმოადგენენ სონების სახით.

ყარაჩაი-ბალყარლები დღემდე ხმარობენ სვანთა სატომო სახელად „ებზე“-ს. ს. ჯანაშიას „ებზე“, აბაზგიდან წარმოშობილად მიაჩნდა. „ობეზი“, შუა საუკუნეების უცხოურ წყაროებში დასავლეთ საქართველოს, ზოგჯერ კი მთელი საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინდაც იხმარებოდა [5]. ავტორისავე აზრით, საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა სვანურ-ზანური მოსახლეობა [6].

თ. მიქელაძე წერს, რომ დასავლეთ საქართველოს დღემდე ცოცხალ ტოპონიმებში შესამჩნევია სვანური სახელების კვალი, რაც ერთ დროს აქ სვანურენოვანი მოსახლეობის ხანგრძლივ ბინადრობაზე მიუთითებს, ასევე მათი მოძრაობის მიმართულებას გვამცნობს. ავტორს მოყავს ამის დამამტკიცებელი ტოპონიმიკური მასალა. ის „იშ“ სუფიქსს და „ლე“ პრეფიქსს, რომელიც სამეგრელოს და ლეჩხუმის ტო-

პონიშიაშია გავრცელებული, სვანურად მიიხნევს [7]. აღნიშნული აფიქსები და მათთან ერთად „ლა“ პრეფიქსი ზანური (მეგრულ-ლაზური) ენისთვისაც ორგანულია.

სვანთა ტომების განსახლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია წყაროები VI საუკუნის ბერძენ-სპარსელთა (542-562) ომების შესახებ (რომლის ძირითადი პოლიგონი ლაზიკა იყო), სადაც დაცულია ცნობები მისიმიანთა ტომზე. აზრი მისიმიანთა და სვანურ ტომთა იდენტობის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, დღეს ეჭვს არ იწვევს [8]. როგორც VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი გვამცნობს, ისინი ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულან. ბრძოლები, რომელშიც ბიზანტიელთა შთამბეჭდავი სამხედრო ძალა მონაწილეობდა, თურმე, „ტსახარის“ (ჩახარის) ციხის ირგვლივ გამართულა. ეს ციხე მდებარეობს დღევანდელი სოფელ ჩხალთის მიდამოებში (კოდორის ხეობა) [9]. კერძოდ, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი სვანთა ერთ-ერთი ტომის მისიმიანების წინააღმდეგ ბიზანტიელების ამხელა არმიით გამოსვლისა, რომლებიც მაღალ მთებში ცხოვრობდნენ და თითქოს ხელი არ უნდა შეეშალათ ბიზანტიელთა სტრატეგიული ინტერესებისათვის, უცნობია. როგორც ჩანს, ამის მიზეზები სავსებით რეალური იყო. კერძოდ, ეს სვანეთის საკომუნიკაციო გზები იყო. დ. მუსხელიშვილის აღნიშვნით, მისიმიანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდა ჩრდილო კავკასიაში გამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორიცაა მარუხი, ქლუხორი და ნახარის გადასასვლელები. ამათგან ქლუხორზე გამომავალ გზას ეწოდებოდა „მისიმიანეთის გზა“ [10]. ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით, ეს ის ნაწილია სვანეთისა, რომელსაც ამჟამად ჭვიბერი ეწოდება [11].

სვანეთის ტერიტორიაზე გამავალი ეს სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზა, სვანეთის ნაწილს ჩუბეხევსა და მისიმიანეთს შავ ზღვასთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა. აღნიშნული გზა მდ. კოდორის ხეობიდან მდინარე ყუბანის და მისი შენაკადების აუზებში გადიოდა ქლუხორის უღელტეხილით. ის, დღეისათვის, კარგად ცნობილი სოხუმის სამხედრო გზაა. დასავლეთ საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელად

(კოდორის ხეობიდან თებერდის ხეობაში) ქლუხორის უღელტეხილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ადვილად მისადგომი და უმოკლესი გზაა. ამ უღელტეხილით ბერძნები და რომაელები ძველთაგანვე სარგებლობდნენ. აგრეთვე, ბიზანტიელები და თურქები, გენუელები და ვენეციელები და, რა თქმა უნდა, თვით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა [12]. მენანდრე პროტექტორი გვამცნობს, რომ VI საუკუნეში მისიმიანები კვლავ დაღის (მდ. კოდორის) ხეობასა და მის მიდამოებში სახლობენ. ბიზანტიის წინააღმდეგ 555 წლის აჯანყების შემდგომ, როდესაც ისინი სპარსელებს მიემხრნენ, ბიზანტიამ ჯარი შეუსია მათ და ხუთიათასამდე მებრძოლი და ათი ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაუხოცა [13]. ამის შემდგომ მისიმიანები ასპარეზზე აღარ ჩანან.

მისიმიანი პ. ინგოროყვას და გ. მელიქიშვილის აზრით, სვანთა თვითსახელის „მუშვანის“ სახეშეცვლილი ფორმაა და უთუოდ სვანს ნიშნავს [14]. დ. მუსხელიშვილის აზრით, მისიმიელები სვანები, ანუ სვანური ტომი იყო. სწორედ მისიმიანების სვანური ტომი უნდა იგულისხმებოდეს პტოლემეოსის „სუანოკოლხებში“, ანუ ფავსტოს ბიზანტიელის „ეგრო-სუანებში“, იმ აზრით, რომ ესენი იყვნენ ეგრისის სამეფოს მიერ დამორჩილებული სვანები, იმ სვანებისგან განსხვავებით, რომლებიც ჯერ არ იყვნენ ეგრისს დაქვემდებარებულნი და რომელთა დამორჩილება მხოლოდ IV საუკუნის დასასრულს მოხდა [15]. სვანეთი არც ერთ ეპოქაში კარჩაკეტილობის პირობებში არ ცხოვრობდა. სვანეთს მუდმივი კავშირურთიერთობა ჰქონდა როგორც დასავლეთ საქართველოს ბართან სამეგრელო, იმერეთი, გურია, მის მთიანეთთან რაჭა, თაკვერი, ლეჩხუმი, ასევე, ჩრდილო კავკასიასთან და სხვა მეზობელ ხალხებთან. ეს ურთიერთობები კარგად დასტურდება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული საერთო გვარსახელებით, ტრადიციებით, ეთნოგრაფიული მასალით, რაც ყველაზე მეტად, ბუნებრივია, უშუალო მეზობლის სამეგრელოს მიმართ გამოიხატა.

ცალკე განხილვის თემაა სვანური ლექსიკური თეზაურუსის, ტოპონიმიკის, ცეკვებისა და სიმღერების დამაფიქ



რებელი პარალელები უძველეს შუამერულ-აქადურ-ასირიულ და ხეთა-სუბარულ სამყაროსთან.

არქეოლოგიური მასალებით ასევე კარგად დასტურდება ანტიკურ ხანაში სვანეთის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები მეზობლებთან, რაც დროთა განმავლობაში სულ უფრო მაღალ საფეხურზე ადის [16].

როგორც ჩანს, სვანებს ადრე ასევე მდ. ყუბანისა და ბაქსანის ხეობაშიც უნდა ეცხოვრათ. XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად საქართველომ ჩრდილოეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი ტერიტორია დაკარგა, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურ და კულტურულ გავლენაზე, რომელიც მხოლოდ მოგონების და ტრადიციის სახით შემორჩა. წყაროებით აშკარაა, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებში სვანები ჩრდილო კავკასიაში ნამდვილად ცხოვრობდნენ - ბაქსანის, ჩეგემის, და ყუბანის ხეობებში, ბეზინგსა და ბალყარეთში. ამას ადასტურებს ამ რეგიონების ტოპონიმის და ონომასტიკონი. XVII საუკუნეში შარდენი ჩრდილო კავკასიაში სვანებს აღანებთან ერთად ასახელებს [17].

სვანურ გვარსახელებთან მიმართებაში საინტერესოა იან სუფიქსი, რომელიც დღევანდელი ქართული გვარსახელებიდან ყველაზე მეტად სვანურში გვხვდება. ის უძველესი სუფიქსი ჩანს, რომელიც დღევანდლამდე ფართოდ შემორჩა მთელ საქართველოში პატრონიმიული დანაყოფების მაწარმოებლად, თუმცა გვარსახელის მაწარმოებლის ფუნქცია სხვაგან ვერ შეინარჩუნა. აქვე აღვნიშნავთ, რომ იან სუფიქსის დანატოვრია დღევანდელი მეგრული გვარსახელების მაწარმოებელი მაწარმოებელი ია, რაც საკმაოდ გვიან XIII-XV საუკუნეებში უნდა შეკვეცილიყო საბოლოოდ. გამომდინარე აქედან, ამ სუფიქსების (ანი, იანი) თავდაპირველ სემანტიკურ მნიშვნელობაზე მსჯელობა ძნელია, თუმცა მის ფუნქციაზე და უძველესობაზე ზოგიერთი ქართველური ტომის დაბოლოებაც (ტიბარ-ენი//ტიბარ-ანი) მეტყველებს [18]. იან სუფიქსი სომხურში სწორედ ადგილობრივი ქართველური და ხურიურარტული სამყაროდან უნდა შესულიყო, რაზეც უამრავი მასალის მოშველიებაა შესაძლებელი.

ქართულთან, მეგრულთან და ლაზურთან ერთად სვანური არის ქართველურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი წევრი. იმ ენას, რომლის დიფერენციაციის (დიალექტთა ენებად ქცევის) გზით ქართველური ენები წარმოიქმნა, საერთო-ქართველური ფუძე ენა ეწოდება. ფუძე ენისაგან (ანუ წინარე-ენისაგან) სხვადასხვა ქართველურ ენათა წარმოქმნა შეპირობებულია არა ამ ენებზე მეტყველთა ნათესაობის სხვადასხვა ხარისხით, არამედ ამ ნიშნის (ნათესაობის) მიხედვით ერთნაირ ურთიერთმიმართებაში მყოფ კუთხეებს შორის ენობრივი კონტაქტის შესუსტებით, რასაც ისტორიის სიღრმეში ადვილად განსაზღვრავდა ისეთი გარეგანი ფაქტორები, როგორიცაა შედარებითი ტერიტორიული სიშორე, რაიმე ძნელად დასაძლევი ბუნებრივი ბარიერი – მთა, მდინარე და ა. შ. [19]

სვანური (მეგრულისა და ლაზურის მსგავსად) უმწვერლობო ენაა. ამ ენაზე მეტყველებს ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ზემო სვანეთში (მდ. ენგურის ხეობაში), ქვემო სვანეთში (მდ. ცხენისწყლის ხეობაში), მთიან აფხაზეთში (მდ. კოდორის ხეობაში) და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, სხვადასხვა დროს, ძირითადად კი 1987 წ. სტიქიური უბედურების შემდეგ, სვანეთიდან გადასახლებულთათვის ახლად შენებულ სოფლებში.

წარსულში სვანური მეტყველების კვალი აშკარად ჩანს თანამედროვე სვანეთის ფარგლებს გარეთაც – ლეჩხუმში, ზემო რაჭაში, სამეგრელოს ჩრდილო ნაწილში, აფხაზეთში, ჩრდილო კავკასიაში.

სვანურში ტრადიციულად ოთხი დიალექტი გამოიყოფა: ბალსზემოური, ბალსქვემოური (ზემოსვანური დიალექტები – ენგურის ხეობაში), ლენტეხური და ლაშხური (ქვემოსვანური დიალექტები – ცხენისწყლის ხეობაში). ამ დიალექტთა გამოყოფის ძირითად საფუძვლად ხმოვანთა სისტემაში არსებული სხვაობები (კერძოდ, უმლაუტი და სიგრძე-სიმოკლე) მიიჩნევა [ 20].

თანამედროვე პუბლიკაციები, რომლებშიც განიხილება სვანების მორფოლოგიური იერი, დღემდე არ არსებობს. XIX საუკუნის მიწურულს სვანებს მიუძღვნა თავისი ნაშრომი ოლდეროგემ, რომელშიც მას არ მოყავს ფაქტობ-

რივი მასალა, მაგრამ წერს სვანების ფიზიკურ გადაგვარებაზე [21]. სვანები სხვა მთიელებთან ერთად მოხსენებულნი არიან ვ. ბუნაკის ნაშრომში – კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიური შემადგენლობა (1946). სვანებს, ხევსურებს, მოხვეეებს, მთის რაჭველებს იგი განასხვავებს სხვა აღმოსავლეთ ქართულ ჯგუფებისაგან შედარებით ღია პიგმენტაციით, მესამეული თმოვანი საფარვლის სუსტი განვითარებით და თავის მაღალი მანქენებლით. ამ ჯგუფების შესახებ ანთროპოლოგიური მონაცემების უკმარისობამ მას საშუალება არ მისცა ცალკე გამოეყო მაღალმთიანი ანთროპოლოგიური ტიპი [22].

XX საუკუნის 50-ან წლებში ალექსანდრე ნათიშვილისა და გიორგი დებეცის ხელმძღვანელობით განხორციელდა საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ფართო მორფოლოგიური კვლევები, რომლებმაც მოიცვა კავკასიის 118 ეთნო-ტერიტორიული ჯგუფი, მათ შორის სვანების სამი პოპულაცია [23].

მოპოვებული მასალის საფუძველზე საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში გამოყოფილი იქნა რამდენიმე ვარიანტი, სახელობრ, შავიზღვისპირული, კავკასიონის [24], დასავლეთ-ქართული, აღმოსავლეთ-ქართული და სამხრეთ-ქართული [25], რომლებიც ხასიათდებიან უმჭიდროესი შინაგანი მსგავსებით. შემდგომში შავიზღვისპირული და დასავლეთ-ქართული ვარიანტები გაერთიანებული იქნენ კოლხურ ტიპში, ხოლო აღმოსავლეთ-ქართული და სამხრეთ-ქართული იბერიულ ტიპში. კავკასიონის ვარიანტი გაიგივებულია კავკასიონის ტიპთან [26].

კავკასიონის ანთროპოლოგიურ ტიპში გაერთიანებულ ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ნიშანთა კომპლექსი შემდეგია: განიერი სახე, განიერი ქვედა ყბა, სახის დიდი ფიზიონომიური სიმაღლე, თავის დიდი განივი დიამეტრი, განიერი შუბლი, სახის დიდი მორფოლოგიური სიმაღლე, ცხვირის წვეტი სწორი ან დაქანებული, ღია ფერის თვალების საშუალო ან მაღალი პროცენტის (კავკასიური მასშტაბით), სხეულის დიდი ან საშუალო სიმაღლე, ცხვირის სიმაღლე წარბებიდან საშუალო ან დიდი, მუქი ფერის თვალების საშუალო ან საშუალოზე მცირე პროცენტი,

თვალეების ჭრილი ჰორიზონტალური ან მედიალურად დახრილი, ცხვირის ფუძე ჰორიზონტალური ან დახრილი, ცხვირის უნაგირი საშუალო ან დაბალი.<sup>1</sup> ზოგადი დახასიათება სულაც არ ნიშნავს, რომ ტიპში შემაჯავალ ყოველი ჯგუფის (ან ინდივიდის) აღნიშნული ნიშნები ერთიანი კომპლექსითა და სისშირით ვლინდება. ცალკეული პოპულაციების ცვალებადობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ეთნიკური, ისევე, როგორც ინდივიდუალური ვარიაციები საშუალო ჯგუფურზე.

წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა, რომელშიც განხილულია თანამედროვე სვანების მორფოლოგიური თავისებურება ანთროპოლოგიური მონაცემების სხვადასხვა სისტემების მიხედვით, სახელდობრ, სახის კეფალომეტრული და კეფალოსკოპური, თითებისა და ხელის გულის კანის რელიეფის აღწერილობითი და რაოდენობრივი ნიშნებისა და რამდენიმე სისხლის ჯგუფის მიხედვით. მასალა, რომელსაც ეყუძება ჩვენი კვლევა მოპოვებულია წინა თაობების ანთროპოლოგების მიერ და დაცულია ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში.

**კეფალომეტრული** ნიშნების განაწილება სვანების სამ ტერიტორიულ ჯგუფში წარმოდგენილია ცხრ. №1 - ში. ზოგადად, სვანები გამოირჩევიან თავისა და სახის გრძივი ზომების სიდიდით. მიუხედავად ამისა, ბალსზემო, ბალსქვემო და ქვემო სვანებს შორის სტატისტიკურად ვალიდური [27] განსხვავება აღინიშნება. ქვემო და ბალსზემო სვანებისათვის ეს გამოიხატება შემდეგ ნიშნებში: სხეულის სიმაღლე ( $p < 0,001$ ), თავის განივი ( $p < 0,05$ ), გრძივი ( $p < 0,01$ ) და ქვედა ყბის დიამეტრების ( $p < 0,05$ ) მიხედვით; ცხვირის სიგანის ( $p < 0,001$ ), პირის სიგანის ( $p < 0,01$ ), ორივე ტუჩის სისქის ( $p < 0,01$ ), ზედა ტუჩის სიმაღლის ( $p < 0,001$ ) მიხედვით ბალსქვემო სვანები განსხვავდებიან ქვემო და ბალსზემო სვანებისაგან; ბალსქვემო და ბალსზემო სვანებს შორის განსხვავება აღინიშნება სხეულის სიმაღლის, ცხვირისა ( $p < 0,001$ ) და პირის სიგანის ( $p < 0,01$ ) მიხედვით, სამივე ნიშანი მაღალია ბალსქვემო სვანებში. აღნიშნული განსხვა-

---

<sup>1</sup> ყველა კატეგორია მოცენულია კავკასიური მასშტაბით.

ვებები პროპულაციური ცვალებადობის მანიშნებელია. განსხვავება არ ფიქსირდება ყვრიმალთაშორის დიამეტრისა და სახის სიმაღლის (ფიზიონომიური და მორფოლოგიური) მიხედვით.

**კეფალოსკოპურ** (აღწერილობით) ნიშნებს ეთნიკურ ანთროპოლოგიაში აქვს გადამწვევტი მნიშვნელობა. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ამ ნიშნების უმეტესობა (22 ნიშანთა ვარიაცია 33-გან), ხოლო ანალიზში ჩართულია უკლებლივ ყველა. რიგი კეფალოსკოპური ნიშანი სვანებს მსგავსი აქვთ: ცხვირის უნაგირი მაღალი, ჩახნექილი ცხვირის ზურგის პროფილის არ არსებობა, შერეული (№№ 5-8) თვალის ფერის მაღალი, მუქი თვალის ფერის (№№ 14) დაბალი და ღია თვალის ფერის (№№ 9-12) მცირე პროცენტი, თხელი ზედა ტუჩი, წინ წამოწეული ნიკაპი, დახვეწილი ყვრიმალეები, თვალის ნაპრალის დახრა ჰორიზონტალური, თმების ფორმა ძირითადად სწორი, საშუალოდ განვითარებული წარბები. მათ განასხვავებენ რიგი მნიშვნელოვანი ნიშნის ვარიანტების შეფარდებით, როგორიცაა, ცხვირის წვეტისა (დაშვებული ვარიანტი მაქსიმალურია ბალსკემო, სწორი – ბალსზემო) და ცხვირის ფუძის ფორმებით, ცხვირის ძლოვანი, ხრტილოვანი და საერთო პროფილით, ზედა ტუჩის პროფილით და ა.შ. (ცხრ. №2)

განხილული ორი სისტემის საფუძველზე სვანების ცალკეული ჯგუფის ანთროპოლოგიური დახასიათება შემდეგია:

**მესტიის რაიონის (ზემო სვანეთი) ბალსზემოური სვანები** შესწავლილია 1951 წელს სოფლებში: კალა, იფრარი. ბალსზემოურ სვანებს ახასიათებთ: მაღალი თავის მანკენებელი, ძალიან დიდი განივი დიამეტრი, ყვრიმალთაშორის დიამეტრი, ქვედაყბის დიამეტრი, მაღალი სახე, მუქი თმები, წვერის უხვი ზრდა, თვალის ნაპრალის დიდი სიგანე, ცხვირის ზურგის ხრტილოვანი პროფილი გამოდრეკილი, თხელი ქვედა ტუჩი, ზედა ტუჩის პროფილი ოპისტოქეილური, ცხვირის ფრთები სუსტად გამოხატული, ცხვირის ღარების გამოხატულობა სუსტი.

**მესტიის რაიონის (ზემო სვანეთი) ბალსქვემოური სვანები** შესწავლილია 1954 წელს სოფლებში ცხუმარი, ბენო. ბალსქვემოურ სვანებს ახასიათებთ: სხეულის დიდი სიმაღლე, დიდი განივი დიამეტრი, ქვედა ყბა, განიერი სახე, ცხვირი და პირის ნაპრალი, დაბალი ზედა ტუჩი, წარბების სუსტი ზრდა, თვა-

ლის ნაპრალის მცირე სიგანე, გამოკვეთილი ყვრიმალები, ცხვირის განივი პროფილი მაღალი, ვერტიკალური პროფილი გამოდრეკილი, წვეტი და ფუძე დაშვებული, ცხვირის ფრთები მკვეთრად გამოსატყული ღარებით.

**ლენტეხის რაიონის (ქვემო სვანეთი)** მოსახლეობა შესწავლილია 1951 წელს, სოფლებში: პანაგა, სასანი, ჟახუდერი, ჩიხარეში, ჩოლური. ქვემო სვანებს ახასიათებთ: სხეულის დიდი სიმაღლე, დიდი თავის გრძივი დიამეტრი, ძალიან განიერი ყვრიმალთაშორის და ქვედაყბის დიამეტრები, მაღალი სახე, ვიწრო ცხვირი, პირის ნაპრალის სიგანე დიდი, თხელი ტუჩები, მკერდზე თმოვანი საფარველისა და წვერის უხვი ზრდა, მუქი თმები, თვალების ღია ფერის დაბალი პროცენტი, თვალის ჭრილის სიგანე დიდი, ცხვირის ვერტიკალური პროფილი გამოდრეკილი, სუსტად გამოსატყული ცხვირის ფრთები და ცხვირის ღარები.

მაშასადამე სვანებში, როგორც კავკასიონის ტიპის კლასიკურ წარმომდგენლებში, ჭარბობენ ტიპები განიერი და მაღალი სახით, განიერი თავით, ჰორიზონტალური ან დახრილი ცხვირის წვეტით, საშუალო ან მაღალი ცხვირით, საშუალო ან დაბალი ცხვირის უნაგირით, საშუალო ან დიდი სხეულის სიმაღლით. ტაქსონომიურად დიდი მნიშვნელობის არის ყვრიმალთა-შორის დიამეტრი, რომელიც თავის მხრივ ამჟღავნებს სხვადასხვა დონის დადებით კავშირს სხვა ნიშნებთან. მაგალითად, სხეულის სიმაღლესთან (0,3), თავის განივ დიამეტრთან (0,575), შუბლის უმცირეს დიამეტრთან (0,5), ქვედა ყბის დიამეტრთან (0,5), ცხვირის სიგანესთან (0,3).

ბრაქიკეფალიზაციის პროცესი კავკასიაში წარმართა შუბლის უმცირესი და განივი დიამეტრების მკვეთრი ზრდით და სავსებით გასაგები ხდება კავკასიის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი განიერი სახე.

კეფალომეტრული და კეფალოსკოპური ნიშნების საფუძველზე გამოთვლილია მორფოლოგიური დისტანციები მ. აბდუშელიშვილის კატეგორიალური მეთოდის მიხედვით [23], სვანების სამივე ჯგუფს შორის (ცხრ. №3), რომლებიც ძალიან ახლო მსგავსებაზე მიუთითებს. მეტად მსგავსნი ბალსხემო და ბალსქვემო სვანები აღმოჩნდნენ.

## კეფალომეტრული ნიშნების განაწილება სვანებში

N #	ნიშნები	სვანები					
		ბალს- ზემო		ბალს- ქვემო		ქვემო	
		X	S	X	S	X	S
1	სხეულის სიმაღლე	167.1	6.3	170.2	5.9	169.8	5.7
2	თავის გრძივი დიამეტრი	188.2	6.5	188.3	6.7	190.7	6.1
3	თავის განივი დიამეტრი	160.0	6.2	160.0	6.2	158.3	5.8
4	შუბლის უმცირესი დიამეტრი	108.4	5.0	107.2	4.0	107.2	4.5
5	ყვრიმაღლათაშორის დიამეტრი	147.0	5.2	146.1	4.4	146.3	5.6
6	ქვედა ყბის დიამეტრი	110.4	6.5	111.0	5.6	112.7	6.6
7	სახის ფიზიონომიური სიმაღლე	185.0	8.2	185.4	10.4	184.4	8.8
8	სახის მორფოლო- გიური სიმაღლე	127.9	5.7	127.1	6.8	127.2	6.8
9	ცხვირის სიმაღლე წარბებებიდან	58.1	3.4	58.2	3.7	57.6	4.1
10	ცხვირის სიმაღლე უნაგირიდან	54.6	3.2	54.1	2.8	54.3	3.8
11	ცხვირის სიგანე	35.9	2.6	37.6	2.7	35.7	2.7
12	პირის სიგანე	54.1	3.9	55.9	4.4	54.6	4.0
13	ზედა ტუჩის სიმაღლე	14.5	2.7	12.7	2.8	14.0	2.4
14	ორივე ტუჩის სისქე	14.4	3.8	15.0	4.1	13.6	3.7

ზოგიერთი კეფალოსკოპური ნიშნების განაწილება ცხრ.№2

N#	ნიშნები	ქ უ ლ ა	ჯგუფები		
			ბალსზ ემო	ბალს ქვემო	ქვემო
			X	X	X
1	<b>სახის პროფილირება</b>	1	0.0	3.0	0.0
		2	59.4	77.0	35.0
		3	40.6	20.0	65.0
	საშუალო ქულა		2.41	2.74	2.65
2	<b>ყვრიმალების გამოსატულება</b>	1	61.4	71.0	68.0
		2	37.6	28.0	30.1
		3	1.0	1.0	1.9
	საშუალო ქულა		1.30	1.40	1.34
3	<b>ცხვირის უნაგირის სიმაღლე</b>	1	0.0	0.0	0.0
		2	34.6	65.0	30.0
		3	65.4	35.0	70.0
	საშუალო ქულა		2.65	2.65	2.70
4	<b>ცხვირ. ზურგ. განივი პროფილი</b>	1	0.0	0.0	0.0
		2	4.0	7.0	3.9
		3	96.0	93.0	96.1
	საშუალო ქულა		2.96	2.93	2.96
5	<b>თვალის ნაპრაღ. დახრა</b>	1	0.0	2.0	2.9
		2	87.1	94.0	71.8
		3	12.9	4.0	25.3
	საშუალო ქულა		2.13	2.02	2.22
6	<b>თვალის ზედა ქუთუთოს ნაოჭის პროცენტი (%)</b>		65.4	61.0	58.3
7	<b>თვალის ფერი</b>	0	6.9	11.0	3.8
		1	70.3	70.0	76.8
		2	22.8	19.0	19.4
	საშუალო ქულა		1.16	1.08	1.16
8	<b>ცხვირის წვეტის მდებარეობა</b>	1	18.8	18.0	23.3
		2	54.5	40.0	48.5
		3	26.7	42.0	28.2
	საშუალო ქულა		2.08	2.24	2.05




ცხრ.№2 გაგრძელება

9	ცხვირის ფუძის მღებარეობა	1	12.9	16.0	16.5
		2	61.4	36.0	49.5
		3	25.7	48.0	34.0
	საშუალო ქულა		2.13	2.32	2.18
10	ცხვირის ძვლოვანი პროფილი	1	1.0	2.0	0.0
		2	53.5	45.0	48.5
		3	45.5	53.0	51.5
	საშუალო ქულა		2.45	2.51	2.52
11	ცხვირის ხრტილოვანი პროფილი	1	2.0	7.0	2.9
		2	77.2	46.0	57.3
		3	20.8	47.0	39.8
	საშუალო ქულა		2.19	2.40	2.37
12	ცხვირის საერთო პროფილი	1	1.0	5.0	1.9
		2	48.5	26.0	35.9
		3	41.6	66.0	58.3
		4	8.9	3.0	3.9
13	წვერის ზრდა	1	0.0	0.0	0.0
		2	2.6	3.8	1.2
		3	17.1	59.5	24.4
		4	64.5	20.2	56.1
		5	15.8	16.5	18.3
	საშუალო ქულა		3.94	3.49	3.92
14	მკერდზე თმის განვითარება.	1	34.2	26.2	28.1
		2	19.7	13.8	17.1
		3	14.5	31.3	17.1
		4	14.5	22.5	18.3
		5	17.1	6.2	19.4
	საშუალო ქულა		2.60	2.69	2.84
15	წარბები	1	7.9	1.0	1.9
		2	73.3	85.8	77.7
		3	18.8	13.2	20.4
	საშუალო ქულა		2.11	2.12	2.19
16	თმების ფორმა	1	68.2	96.7	59.0
		2	30.6	2.2	37.2
		3	1.2	1.1	3.8
		4	0.0	0.0	0.0
	საშუალო ქულა		1.33	1.04	1.45

მორფოლოგიური დისტანციების კოეფიციენტები

		ბალსზემო	ბალსქვემო	ქვემო
1	ბალსზემო	0	0.07	0.04
2	ბალსქვემო		0	0.07
3	ქვემო			0



ნახ.№1 კლასტერიზაციის დენდრიგრამა, სადაც: 1 – ბალსზემო, 2 – ბალსქვემო, 3 – ქვემო სვანებია

*დერმატოგლიფიკური რაოდენობრივი* ნიშნების განაწილება (ცხრ.№4) გეიხვენებს, რომ პოპულაციებში ცალკეული თითის საშუალო პაპილარული რიცხვის ცვალებადობა გამოიხატება ორი ფორმულით:  $I > IV > V > III > II$ , რომელიც აღენიშნებათ ბალსზემო, ხოლო  $I > IV > V > II > III$  ბალსქვემო და ქვემო სვანებს. რაც შეეხება ყოველი თითის საშუალო პაპილარულ რიცხვს, იგი მცირდება ბალსზემო → ბალსქვემო → ქვემო სვანების მიმართულებით, გარდა II თითისა. II თითის პაპილარული რიცხვი უმნიშვნელოდ მაღალი აქვთ ქვემო სვანებს, ბალსქვემოსთან შედარებით. განხვავება ყოველ წყვილ

დერმატოგლიფიკური რაოდენობრივი ნიშნების ცხრ.№4  
განაწილება სვანებში

ნიშნები		ჯგუფები								
		ბალსზემო			ბალსქვემო			ქვემო		
		n	X	s	n	X	s	n	X	s
თითები	I	100	33,4	0,90	50	32,06	1,04	50	31,16	1,06
	II	100	20,71	1,09	50	19,52	1,57	50	19,74	1,63
	III	100	22,3	0,95	50	18,76	1,35	50	18,5	1,53
	IV	100	28,23	0,95	50	26,44	1,44	50	25,4	1,40
	V	100	23,71	0,75	50	22,7	1,07	50	21,26	1,29
	I-V	100	128,35	3,77	50	119,48	5,31	50	116,06	5,87
ხელის გული	ab	100	83,52	1,21	50	82,2	1,32	50	84,02	1,60
	bc	100	54,78	1,00	50	51,58	1,37	50	49,86	1,60
	cd	100	76,72	1,03	50	75,56	1,46	50	76,24	1,32
	ad	100	215,02	2,26	50	209,34	2,72	50	210,12	3,38
	<atd	100	47,3	1,64	50	45,95	2,73	50	45,66	2,65

პოპულაციას შორის საშუალო პაპილარული რიცხვის მიხედვით (TRC) სტატისტიკურად ვალიდულია ( $p < 0,01$ ), რომელიც მაქსიმალურია ხელის, ანუ (I-V) თითების ჯამის მიხედვით ( $p < 0,001$ ).

ხელის გულის პაპილარული რიცხვების განაწილება პოპულაციებში ერთნაირია, კერძოდ  $ab > cd > bc$ , ხოლო მათი ჯამი (ad) მცირდება ისეთივე მიმართულებით, როგორც თითების ჯამური პაპილარული რიცხვი. ამავე დროს, პაპილარული რიცხვების ab და cd განაწილებაში თანმიმდევრული შემცირება არ აღინიშნება. სტატისტიკურად დამაჯერებელი განსხვავება პოპულაციებს შორის უფრო ნათლად ჯამური მაჩვენებლებით ვლინდება (ცხრ.№4).

აღსანიშნავია, რომ სვანების დერმატოგლიფიკური რაოდენობრივი ნიშნების განაწილება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ ჯგუფში მსგავსი აღმოჩნდა.

TRC მიხედვით ამ ჯგუფთა წრე შემდეგია: ფშავლები, თუშები, ხევსურები, მეგრელები (ზუგდიდი, გალი, სენაკი), ბაღდათის იმერლები, ყვარელისა და გურჯაანის კახელები, ღორჯომის, თხილვანასა და რიყეთის აჭარლები, ცხინვალისა და ჯავის ოსები.

ხელის გულის ჯამური პაპილარული რიცხვს (ad) სვანებთან ახლო განაწილება აქვთ: ფშავლებს, მოხევეებს, მთიულებს, გუდამაყრელებს, მთის რაჭველებს, გაგრის აფხაზებს და ჯავისა და ცხინვალის ოსებს.

<atd მიხედვით ბევრი ახალი პოპულაცია არის ჩართული რაჭველები, გალის მეგრელები, ლაზები, ზუგდიდის მეგრელები, ბაღდათის იმერლები, კათოლიკე მესხები, გუდამაყრელები, ხევსურები, თუშები, ფშავლები, თელავისა და გურჯაანის კახელები, ბოლნისისა და კასპის ქართველები.

ამრიგად, დერმატოგლიფიკური რაოდენობრივი ნიშნებითაც კავკასიონის ტიპში გაერთიანებული ჯგუფების ერთობლიობა ვლინდება, გარდა ამისა მ. აბდუშელიშვილის მიერ [23] სომატოლოგიურ მასალაზე აღნიშნული გარდამავალი ტიპების არსებობა ამ სისტემის მონაცემებით დასტურდება.

დერმატოგლიფიკური აღწერილობითი ნიშნების  
განაწილება სვანებში

ნიშნები	სვანები ბალსზემო n=123	სვანები ბალსქვემო n=78	ქვემო n=138
თითის ქარგები: A	2.85	4.87	5.65
L	55.04	55.77	57.32
W	42.11	39.36	37.03
DI <sub>10</sub>	13.93	13.45	13.12
ხელის გულის ქარგები: Hy	39.84	24.36	38.04
Th/I	4.88	3.21	2.54
II	4.07	7.69	7.97
III	44.72	49.36	42.02
IV	46.34	50.64	54.71
დამატებითი სამმაგი რადიუსები: II	4.07	5.77	7.97
III	0.81	5.13	1.81
IV	10.16	14.74	11.23
II+III+IV	16.04	25.64	21.02
ხელის გულის მთავარი ხაზის ტიპები A			
1	5.69	2.56	4.35
3	33.33	36.54	36.59
5	60.98	60.90	59.06
ხელის გულის მთავარი ხაზის ტიპები D			
7	16.26	16.03	18.12
9	34.96	30.77	39.86
11	48.78	53.20	42.02
ღერძის სამმაგი რადიუსები: t	65.04	62.82	65.95
t'	15.04	21.80	15.22
t''	3.25	0	3.26

*დერმატოგლიფიკური აღწერილობითი* ნიშნები. ზოგადად, ქართველებს ახასიათებთ რკალისებრი (A) ქარგების საშუალო ან მცირე რაოდენობა, მარყუქების (L) საშუალოზე მაღალი ან მაღალი, ხვეულების (W) მაღალი ან საშუალო შემცველელობა, Th/I თითთაშორის ბალიშზე ნახტების მცირე, II და III საშუალოზე მაღალი ან მაღალი, IV საშუალოზე მაღალი პროცენტი, ხოლო Hy ფართო სპექტრით ვლინდება, დამატებითი სამმაგირადიუსებისა და ღერძის სამმაგირადიუსის t' მაღალი პროცენტი, მთავარი ხელის გულის ხაზის A-ს 5 ტიპის, D-ს 11, C radialis, B distalis მაღალი შემცველელობა (კავკასიურ მასშტაბით).

სვანების პოპულაციებში ქართველებისათვის დამახასიათებელი დერმატოგლიფიკური კომპლექსი აღინიშნება (ცხრ. №5). ყველა პოპულაციაში თითების ქარგების გავრცელების სიხშირე თანმიმდევრულად კლებულობს და ერთი ფორმულით გამოიხატება  $L > W > A$ . პოპულაციებს შორის განსხვავება ამ ქარგების სიხშირეშია. A მაქსიმალურია ქვემო, L – ბალსქვემო, W- ბალსზემო სვანების პოპულაციაშია. ხელის გულის მთავარი ხაზების ტიპების განაწილება მსგავსია, ხაზი A-ს ტიპების შეფარდება გამოხატულია ფორმულით  $5 > 3 > 1$ , ხოლო D-ს  $11 > 9 > 7$ . განსხვავება ტიპებს შორის რაოდენობრივი ხასიათისაა.

ბალსზემო სვანები ხასიათდებიან: ხვეულების, მარყუქების და ქარგების Hy საშუალოზე მაღალი შემცველელობით, ხოლო ხელის გულის მთავარი ხაზი A-ს 5 ტიპის ძალიან მაღალი სიხშირე აღინიშნება.

ბალსქვემო სვანებისთვის დამახასიათებელია: მარყუქების, ხელის გულის მთავარი ხაზი D-ს 11 ტიპის და ღერძის t' სამმაგირადიუსის მაღალი და დამატებითი სამმაგირადიუსების საშუალო შემცველელობა.

ცხრ.№ 6


მსგავსების კოეფიციენტები დერმატოგლიფიკური  
რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით

		ბალსზემო	ბალსქვემო	ქვემო
1	ბალსზემო	0	0.9788	0.9742
2	ბალსქვემო		0	0.9910
3	ქვემო			0


ცხრ.№ 7

მსგავსების კოეფიციენტები დერმატოგლიფიკური  
აღწერილობითი ნიშნების მიხედვით

		ბალსზემო	ბალსქვემო	ქვემო
1	ბალსზემო	0	0.9891	0.9850
2	ბალსქვემო		0	0.9870
3	ქვემო			0



a



b

ნახ.№2. კლასტერიზაციის დენდროგრამა დერმატიგლიფიკური  
რაოდენობრივი (a) და აღწერილობითი (b) ნიშნების მიხედვით

ქვემო სავნებისათვის დამახასიათებელია: მარყუეების, ქარგების Hy ძალიან მაღალი შემცველობა, მთავარი ხაზი D-s 11 და 9 ტიპებს შორის მინიმალური სხვაობა.

დერმატოგლიფიკური აღწერილობითი და რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით გამოთვლილია ჟივოტოვსკის [29] მსგავსების კოეფიციენტები (ცხრ. № 6-7). წარმოდგენილი ცხრილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსგავსების კოეფიციენტები საკმაოდ მაღალია ორივე შემთხვევაში, თუმცა აღწერილობითი ნიშანთა სისტემის მიხედვით ოდნავ მაღალია. ერთი და იგივე ხელის ანაბეჭდზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი ნიშნების შესწავლის შედეგად სვანები ერთმანეთის მიმართ სხვადასხვაგვარად ჯგუფდებიან (ნახ. 2). ამ ფაქტს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მსგავსების კოეფიციენტებს შორის განსხვავება მინიმალურია. გაშუალდებული კოეფიციენტი ამაზე მეტყველებს - რაოდენობრივი ნიშნებით  $r = 0.981$ , აღწერილობითი  $r = 0.987$ . დერმატოგლიფიკური რაოდენობრივ და ხარისხობრივ ნიშანთა სისტემები სვანების მაღალ მსგავსებაზე მიუთითებს.

**სისხლის იზოანტიგენური სისტემები.** სვანების შიდა-პოპულაციურმა ანალიზმა იზოანტიგენური სისტემების სისშირეების მიხედვით (ცხრ. №9) გვიჩვენა მათში მეტი განსხვავება სომატოლოგიურ და დერმატოგლიფიკურ ნიშანთა სისტემებთან შედარებით.

ბალსზემო სვანები გამოირჩევა ABO სისტემის გენი r ძალიან მაღალი და q გენის ძალიან დაბალი კონცენტრაციით, MN სისტემის MM სისხლის ჯგუფის ძალიან მაღალი სისშირით, Rh<sup>-</sup> სისხლის ინდივიდთა დიდი რაოდენობით, P<sub>2</sub> გენის მაღალი და Kell სისხლის ჯგუფის გენი K მცირე შემცველობით.

ბალსქვემო სვანების პოპულაცია ხასიათდება ABO სისტემის გენი r მაღალი და q გენის დაბალი სისშირით, MN სისხლის ჯგუფის შედარებით მაღალი, Kell სისხლის ჯგუფის K გენის და Duffy სისხლის ჯგუფის Fy<sup>a+</sup> Duffy სისხლის ჯგუფის Fy<sup>a+</sup> გენის მცირე კონცენტრაციით.



იზოანტიგენური სისტემების განაწილება

ცხრ. №9


სისტემები	სვანები ბალსზემო		სვანები ბალსქვემო		ქვემო სვანები	
<b>ABO</b>	<b>n=101</b>		<b>n=101</b>		<b>n=107</b>	
O	69	68.32	50	49.51	41	38.32
A	29	28.71	35	34.65	42	39.25
B	2	1.98	14	13.86	20	18.69
AB	1	0.99	2	1.98	4	3.74
r		0.8237		0.7120		0.6327
p		0.1613		0.2050		0.2470
q		0.0150		0.0830		0.1203
$\chi^2$		0.68		0.83		1.32
<b>Rhesus</b>	<b>n=101</b>		<b>n=101</b>		<b>n=107</b>	
Rh <sup>+</sup>	79	78.22	88	87.13	93	86.92
Rh <sup>-</sup>	22	21.78	13	12.87	14	13.08
Rh <sub>0</sub>		0.5333		0.6413		0.6383
Hr <sub>0</sub>		0.4667		0.3587		0.3617
<b>MN</b>	<b>n=101</b>		<b>n=101</b>		<b>n=107</b>	
MM	75	74.25	58	57.43	93	86.92
MN	5	4.95	24	23.76	4	3.74
NN	21	20.79	19	18.81	10	9.34
m		0.7673		0.6931		0.8878
n		0.2327		0.3069		0.1122
$\chi^2$		46.25		10.24		33.8
<b>P</b>	<b>n=101</b>		<b>n=101</b>		<b>n=107</b>	
P <sup>+</sup>	29	28.71	46	45.54	17	15.89
P <sup>-</sup>	72	71.29	55	54.46	90	84.11
P <sub>1</sub>		0.1557		0.2620		0.0828
P <sub>2</sub>		0.8443		0.7380		0.9172
<b>Kell</b>	<b>n=101</b>		<b>n=101</b>		<b>n=107</b>	
K <sup>+</sup>	16	15.84	25	24.75	25	23.36
K <sup>-</sup>	85	84.16	76	75.75	82	76.64
K		0.0826		0.1297		0.1246
k		0.9174		0.8703		0.8754
<b>Duffy</b>	<b>n=101</b>		<b>n=101</b>		<b>n=107</b>	
Fy <sup>a+</sup>	15	14.85	22	21.78	25	23.30
Fy <sup>a-</sup>	86	85.15	79	78.22	82	76.64
Fy <sup>a</sup>		0.0772		0.1156		0.1246
Fy <sup>b</sup>		0.9228		0.8844		0.8754

ქვემო სვანებში უფრო მეტადაა დამახასიათებელი ABO სისტემის r გენის შედარებით დაბალი, MN სისხლის ჯგუფის MM სისხლის მაქსიმალური რაოდენობა (რაც n გენის კონცენტრაციაშიც აისახა), P ფაქტორის P<sub>2</sub> გენის მაღალი და P ფაქტორის P<sub>2</sub> გენის ძალიან მაღალი შემცველობა (ცხრ.№9).

ცხრ.№10

მსგავსების კოეფიციენტები იზოანტიგენური სისტემების მიხედვით

		ბალსზემო	ბალსქვემო	ქვემო
1	ბალსზემო	0	0.9816	0.9774
2	ბალსქვემო		0	0.9785
3	ქვემო			0



ნახ. №3. კლასტერიზაციის დენდროგრამა იზოანტიგენური სისტემების მიხედვით

ამ სისტემების მიხედვით, ჯგუფებს შორის გამოთვლილი მსგავსების კოეფიციენტები (ცხრ.№10) უფრო დაბალი, ვიდრე დერმატოგლიფიკური სისტემებით. სვანების პოპულაციების ურთიერთდამოკიდებულება იზოანტიგენური სისტემების მიხედვით წარმოდგენილია დენდრო-გრამაზე (ნახ.№3), რომელზეც ჯგუფების განლაგება დერმატოგლიფიკური აღწერილობითი ნიშნების მსგავსია. კეფალომეტრული და კეფალოსკოპური სისტემების მიხედვით სვანებს შორის ურთიერთმსგავსება ცალ-ცალკე რომ დათვლილიყო, შესაძლოა ჯგუფების განლაგება სხვაგვარი ყოფილიყო, თუმცა მიღებული შედეგი სვანების შიდაპოპულაციური პოლიმორფუ-ლობისა და პოპულაციებს შორის ახლო მსგავსებაზე (რადგან განსხვავებები მინიმალურია) მიუთითებს.

ამრიგად, სვანების შიდაპოპულაციური ცვალებადობის შესწავლა მიზნათ ისახავდა მათი ტერიტორიული ჯგუფების პოლიმორფიზმისა და მორფოლოგიური ტიპის თავისებურების განსაზღვრას, დამახასიათებელი ნიშანთა კომპლექსების გამოყოფას, დაპირისპირებას და ძიებას სივრცეში (განიხილება ნაშრომის II ნაწილში). რადგან სვანების თანამედროვე განსახლების ტერიტორიიდან და მთლიანად დასავლეთ საქართველოდან არ მოგვეპოვება იქ მცხოვრები მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიური მონაცემები (კრანიოლოგიური), ამიტომ მათი თავდაპირველი განსახლების, გადაადგილების, სხვა ტერიტორიულ ჯგუფებთან შეხება თუ ურთიერთ-მორფოლოგიური მსგავსება-განსხვავება თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოგენეტიკური ნიშანთა კომპლექსებით დგინდება. ნიშანთა კომპლექსები დიდი დროის მანძილზე ყალიბდება და სხვადასხვა დოზითა და შეფარდებით მიმოვანტულია დასავლეთ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში, ხოლო ანთროპოლოგიური და ისტორიული წყაროების შეჯერება ჩვენი კვლევის ძირითადი ამოცანაა.

**L.BITADZE, S. LALIASHVILI, D. CHITANAVA**

**ANTHROPOLOGICAL CHARACTERIZATION OF SVANS  
IN COMPARATIVE ASPECT.CHAPTER I. INTERNAL  
POPULATION VARIABILITY  
OF SVANS**

The present work is the first research where Svan's morphological face is discussed against a wide background of anthropological data (Somatology, Dermatoglyphics, izoantigenial systems of blood). The material on which is based our research is gained by several generation of our collaborators and is kept in the anthropological research laboratory.


The study of the internal population variability of Svans aimed to determine characteristics of their group's polymorphism and morphological type, to underline the complexes of characteristics, controversies and the search in space (in the second chapter of the work). Because of the fact that we don't have from Svan's current settlement territories and totally from western Georgia paleoanthropological data (craniological), that's why their modern settlement, movement, and connection with other groups or their mutual-morphological similarity-difference is determined with complex of anthropogenetical signs of modern population. The sings complexes are formed during a long time period and comparatively are scattered in modern population of Western Georgia with different dose and ratio, and reconciling the anthropological and historical sources (towards Svans) is the first attempt in this direction.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ, 1952, გვ. 125-126
2. ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, თბ. 1931. ს. ჯანაშია, სვანურ-ადიდური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, ტ. III, გვ. 81-116.; არნ. ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიული შედგენლობა და დამახასიათებელი ძველი ნიშან-თვისებები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბ. 1948, გვ. 272-273.
3. Н Я Марр, Из поездок в Сванию (летом 1911-1912) ХВ т II в I ПВ გვ. 32, 34.
4. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ. 1957, გვ. 14, 126.
5. ს. ჯანაშია, შრომები, ტომი III, გვ. 300.
6. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ.15
7. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ. 1974, გვ. 10-12
8. ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, თბ. 1936, გვ. 277-280. იხ. თ.მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლების და კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1969, გვ. 128-145.
9. გეორგიკა, ტ. III, გვ. 86
- 10 დ. მუსხელიშვილი, საქართველო VI-VIII საუკუნეებში, თბ. 2004, გვ. 179.]
- 11 ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ 1948, გვ. 133]
12. ჯ. კვიციანი, ირან ბიზანტიის ომები და სვანეთის საკითხი, კრებული საისტორიო ძიებანი, X-XI, თბ. 2008, გვ. 452-453.
13. გეორგიკა, ტ. III, გვ. 236
14. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ. 1965, გვ. 65. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 145.

15. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ. 1977, გვ. 132-133].
16. გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე, სვანეთი ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა, თბ. 2008, გვ. 20.
17. ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ. 2003, გვ. 28-36.
18. დ. ჭითანავა. სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ. 2005, ტ. VII.
19. А. С. Чикобава. Картвельские языки, их исторический состав и древний исторический облик. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. II, 1948; ა. ონიანი. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. 1989.
20. ა. შანიძე. უძველესი სვანურში. თხზულებანი, II. 1981.
21. Ольдерроге В.В. О результатах антропологической экскурсии в Сванетии. Прот. Зас. Рус. Антроп. Общества при Петербургском Унив. 1880-1891 гг. СПб., 1892., III.
22. Бунак В.В. Антропологический состав населения Кавказа. Вестн.Гос.Музея Грузии.1946., т. XIII- А
23. Абдушелишвили М. Г. Антропология древнего и современного населения Грузии, Тб.1964
24. Натишвили А.Н., Абдушелишвили М.Г. Основные итоги антропологических экспедиций 1950,1951,1952 гг. Тр. Ин-та Экспериментальной морфологии АН ГССР, Тез. докл. Тб.,1954.
25. Натишвили А.Н., Абдушелишвили М. Г. Основные итоги антропологических экспедиций 1950,1951 и 1952 гг. Института экспериментальной морфологии АН ГССР. Выездная Научная сессия Института экспериментальной морфологии. Батуми,1954 г. Тезисы докладов. с.29-31
26. Натишвили А.Н., Абдушелишвили М.Г. Материалы к антропологии грузинского народа (данные экспедиций 1950-1951 гг.). Тр. ИЭМ АН ГССР, Тб. 1955., т.V.
27. Плохинский Н.А. Биометрия. М., 1970.
28. Животовский Л.А. Показатель сходства популяций по полиморфным признакам. Ж. общ. биологии. 1979, т. 11, №4, с. 587-602.

## ლიტერატურათმცოდნეობა



ნუსტან სულავა

### კაენისა და აბელის სახისმეტყველებისათვის საღვთისმეტყველო ლიტერატურაში

შესაქმის წიგნში მოთხრობილი პირველი თაობის დედამიწაზე შობილი ადამიანების, კაენისა და აბელის ამბავი ჰიპოდოგმურია ძველი აღთქმის სხვა მომდევნო წიგნებისთვის, ახალი აღთქმის წიგნებისთვის და, საზოგადოდ, მთელი საღვთისმეტყველო ლიტერატურისათვის, იგი ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიისა და ჰომილეტიკის ჟანრის თხზულებებში განსაკუთრებული ინტენსიურობითა და სიღრმისეული დატვირთულობით აისახა. ბიბლიის კომენტატორები მიუთითებენ, რომ კაენიანები მიწიერი ქალაქის ფუძემდებლები არიან, აბელი – ზეციური ქალაქისა. კაენისა და აბელის სახით შეიქმნა არქეტიპი, ჰიპოდოგმა, რომელთა პარადიგმულმა გადააზრებამ შესაქმის პირველსავე წიგნში იჩინა თავი.

კაენისა და აბელის პარადიგმებად გვევლინებიან აბრაამის შთამომავლები ისაკი და ისმაელი. მსგავს ჰიპოდოგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას ემყარება იაკობისა და ესავეის ურთიერთობაც. მას შემდეგ, რაც ადამმა ცოდვა ჩაიდინა და „სამოსელი პირველისაგან“, ანუ ნათლის სამოსლისაგან, განიძარცვა, „ტყავის სამოსლით მოსილი“ შეიქმნა, დაკარგა სამოთხე, ზესივრცულ-ზედროული სამყაროდან იქნა გამოძევებული, იგი დაშორდა ღმერთს. ამიერიდან დრო მარადისობას გამოეყო, ხოლო სამოთხის, სასუფევლის სივრცეს – სოფელი, ხილული სამყარო.

კაენისა და აბელის თემა უძველესი დროიდანვე გავრცელებული იყო. იგი ასახულია აპოკრიფულ თხზულებებში „ადამისა და ევას ცხოვრება“, „განძთა ქვაბის“ სირიულ ვერსიაში, „ადამის ცხოვრების“ ეთიოპიურ ვერსიაში, აგრეთვე, მაჰმადიანურ ლიტერატურაში, კერძოდ, ყურანში,

არაბულ ტრადიციებში. ზოგიერთი მეცნიერი მას უკავშირებს მესოპოტამიის წიაღში შექმნილ სიუჟეტებს, რომელთა მიხედვით კაენი მჭედელიც უნდა ყოფილიყო. თითქმის ყველა გადმოცემაში კაენი და აბელი კულტურის მქონე გმირებად გვევლინებიან (*მითები 2000: 607-609; ენციკლოპედია 2000: 123-125*).

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მათი სახელები, რომელთა ეტიმოლოგია ბოლომდე ახსნილი არ არის. კაენის სახელის წარმომავლობა, შესაბამისად, ეტიმოლოგია, ნათელი არ არის, მისი ხალხური ახსნა მისი დაბადებისას ევას მიერ წარმოთქმულ სიტყვებს უკავშირდება და მას შემდეგნაირად განმარტავენ: „მე ადამიანი შევიძინე ღმერთისაგან“. მეცნიერულად მას ყველაზე მეტად არაბულ ონომასტიკურ წარმომავლობას უკავშირებენ; იგი „მჭედლის“ მნიშვნელობითაც გაიაზრება. თუმცა, ვინაიდან ბიბლიაში არაა სრულყოფილი ახსნა-განმარტება მოცემული, ამიტომ კომენტატორები დამატებითი დეტალების შეტანით შეეცადნენ არასაკმარისი ცოდნისა თუ ცნობის შეესებას. თავისთავად, ევას მიერ ახალშობილის სახელდება ადამიანად, კაცად, მამაკაცად, ბიბლიაში უპრეცედენტო ხასიათისაა, რაც მისი უნიკალურობით შეიძლება აიხსნას, იგი ადამიანთა შორის, კაცობრიობაში, მიწიერ სამყაროში პირველშობილია. კაენის სახელს საინტერესო ინტერპრეტაცია მიეცა იმ თვალსაზრისით, რომ ევა არის მამაკაცის ნაწილი, ხოლო კაენი – ევასგან შობილი ნაწილი; უფრო ზუსტად, ღვთის ნებით, დახმარებითა და ქმედებით, ევა გამოვიდა ადამისგან, ხოლო ევასგან კაენი გამოვიდა (*ვესტერმანი, 2012: 377*). როგორც საენციკლოპედიო სტატიის ავტორი მ. სელეზნიოვი მიუთითებს, კომენტატორთა უმეტესობა ევას სიტყვებში მოიაზრებს: „მე შევქმენი მამაკაცი ღმერთის დახმარებით“ და ყურადღებას ამახვილებს სეპტუაგინტის ბერძნულ ფრაზაზე: „*ὁ αὐτὸς θεὸς*“ (*შეხ. 4,1*), რომელშიც *ὁ αὐτὸς* შიორად აღნიშნავს სიტყვას „დახმარებით“ (*სელეზნიოვი, 2012: 377*). ბიბლიის კომენტატორები აბელის სახელის შესახებ უფრო ნათლად მსჯელობენ და მიუთითებენ, რომ იგი „ქროლვას, სუნთქვას“ უნდა ნიშნავდეს, რაც მისი სიცოცხლის ხანმოკლეობაზე უნდა მიუთითებ-



დეს, აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ ის მატერიალურ სინამდვილეში არ არსებობს (*მართლმადიდებლური... 2000: 123*). ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფუნქციას აბელის ჰიპოდოგმური ხატსახე ატარებს, რადგან იგი, როგორც აბელ მართალი, მაცხოვრის, იესო ქრისტეს წინასახედ, არქეტპად აღიქმება.

ნეტარი ავგუსტინე, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განმარტა კაენისა და აბელის ჰიპოდოგმურ-პარადოგმული ხატმეტყველება, მათი სახისმეტყველებითი ასპექტები და ყველაზე სრულყოფილი ანალიზი შემოგვთავაზა თხზულებაში „ღვთის ქალაქისათვის“; იგი მიიჩნევს, რომ მიწიერ ქალაქს აფუძნებს კაენი<sup>1</sup>, რომელიც კაცთა მოდგმისაგან პირველი დაიბადა, ხოლო ზეციურ ქალაქს – აბელი, რომელიც თავადაც მაძიებელია ზეციური ქალაქისა, როგორც იდეალისა, როგორც პირველსახისა.

ზეციური ქალაქის არსობრივი რაობის განხილვისას იმთავითვე უნდა განისაზღვროს, რომ შექმნილი, ანუ ადამიანი, პირმეტყველი არსება, არ უნდა გარდახდეს ღვთის ნებას, რათა შემოქმედის, ღმერთის შესაქმისეული არსობა არ უარყოს, წინააღმდეგობა არ გაუწიოს, რაც ადამიანის არსის ღვთის არსისაგან დაცილების საფუძველი გახდა. ამავე დროს, სრულიად ნათელია, რომ სოფელი, ანუ ხილული სამყარო, ადამიანისთვისაა შექმნილი, ხოლო სამყარო მშვენიერია, ჰარმონიულია.

ადამისა და ევას შეცოდებამ, ედემის ბაღის დაკარგვამ, რომელიც მრავალგვარი ცვლილების დასაწყისია, დასაბამი მისცა ადამის მოდგმის გამრავლებას დედამიწაზე და იგი არქეტპულ აქტად იქცა. ცოდვის შედეგად იშვნენ კაენი და აბელი. კაენი, ვითარცა ადამისა და ევას პირმშო, პირველი შვილი, პირველცოდვის უშუალო ნაყოფია და თავადაც ცოდვიან ცხოვრებას აგრძელებს. პირ-

---

<sup>1</sup> ნეტარი ავგუსტინე მიუთითებს, რომ მიწიერი ქალაქის დამაარსებელია ძმისმკვლელი კაენი, რომელსაც შეესაბამება ძმისმკვლელი რომულუსი, რომის დამაარსებელი. აქედან გამომდინარე, მსოფლიო და რომი ეფუძნება სისხლსა და დანაშაულს, ესაა მიწიერი ქალაქის მთავარი ბოროტება.

ველსავე თაობაში შემოსულმა სიკვდილმაც მალე იჩინა თავი. პირველი სიკვდილი მკვლელობაა. ეს კაენის მიერ ჩადენილი მკვლელობა იყო, რასაც საფუძველი დაუდო მათ მიერ არჩეული განსხვავებული საქმიანობის – მიწის მუშაკობისა და მწყემსობის შესაბამისი მონაგარის მსხვერპლშეწირვის აღსრულებამ. სამოთხეში ამ ორ საქმიანობას ადამი ეწეოდა, მისი ბუნება ორივეს ითავსებდა. ღმერთს რომელიმე მათგანისათვის უპირატესობა არ მიუნიჭებია. ადამის შვილებში ეს საქმე გადანაწილდა, კაენი მიწის მუშაკი გახდა, აბელი – მწყემსი. ღმერთს ამ ორი საქმიანობიდან უპირატესობა რომელიმესთვის არ მიუნიჭებია. მათი საქმიანობის გაყოფა სრულიად კანონზომიერია, მაგრამ ძმებს შორის წინააღმდეგობა წარმოიშვა მსხვერპლშეწირვის აღსრულების შემდეგ, იგი ტრაგედიის – ძმის მკვლელობის სათავე გახდა. ამ ფაქტს ღრმა მისტიური ღირებულება და არქეტიპული მნიშვნელობა დაეკისრა შემდგომი ხანის ლიტერატურასა და მოძღვრებებში. ბიბლიაში კაენისა და აბელის შესახებ ერთმანეთის პარალელურადაა მოთხრობილი, ხან ერთი იხსენიება, ხან – მეორე, რაც კომპოზიციური თვალსაზრისით მათ წინააღმდეგობრივ ურთიერთობას, მეტოქეობას, გაჯიბრებას იკონოგრაფიულად წარმოსახავს. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი აღთქმის ტექსტებში სისხლიანი მსხვერპლშეწირვა კონცეპტუალურ, ცენტრალურ ადგილს იჭერს, რის არსიც ახალ აღთქმაში სრულიად განსხვავებულია, რადგან ახალი აღთქმის ეპოქაში პირველი და უკანასკნელი სისხლიანი მსხვერპლი თვით მაცხოვარია. იესო ქრისტეს მსხვერპლშეწირვის შემდეგ სისხლიანი მსხვერპლის შეწირვას არ მიმართავენ, ღვთივ ნაკურთხი არაა.

კაენისა და აბელის საქმიანობის განსახლვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მათგანის ღირებულებას, რომელია ღმერთისაგან მოწონებული და უპირატესი. ღმერთისთვის ყველა და ყველაფერი თანასწორია, თუმცა, ძველი აღთქმის მთელი ტექსტი მოწმობს იმას, რომ ყველა მამამთავარი თუ წინასწარმეტყველი მწყემსობასაა ნაზიარები, მემინდვრეობასთან შედარებით მას ენიჭება უპირატესობა, მაგრამ ისიც შეიწირება და

ღმერთის მიერ, სისხლიანი მსხვერპლის შემდეგ, მიწათ-  
მოქმედების შედეგად მიღებული ნაყოფის მსხვერპლშეწირ-  
ვაც მიიღება. ამგვარი დიფერენცირება და მიღგომა ამ ორი  
უძველესი საქმიანობისადმი ებრაელთა ამქვეყნიური მომ-  
თაბარე ცხოვრების სტილით უნდა იყოს განპირობებული.  
ბიბლიური ტექსტი არ განმარტავს, თუ რატომ შეიწირა  
აბელის მსხვერპლი ღმერთმა და არ შეიწირა კაენის მიერ  
გაღებული მსხვერპლი. ამას კომენტატორები განმარტავენ.  
ძირითადად, ქრისტიანი წმინდა მამები და სხვა რელიგია-  
თა წარმომადგენლები კომენტარებში მიუთითებენ, რომ კა-  
ენმა ღმერთს რჩეული მონაგარი კი არ მიართვა, არამედ  
ის, რაც პირველად ხელთ მოხვდა; ხოლო აბელმა რჩეული  
ცხვარი შესწირა, რამაც კაენის მსხვერპლშეწირვით ღმერ-  
თის უკმაყოფილება გამოიწვია. აბელის მიერ მსხვერპლშე-  
წირვის აღსრულების შემდეგ ცეცხლის კვამლი ზეცისაკენ  
აღმართა, რაც მსხვერპლის მიღების დამოწმება იყო, ხო-  
ლო კაენის შემთხვევაში ეს არ მომხდარა, რაც ღმერთის  
მიერ მისგან გაღებული მსხვერპლის მიუღებლობას მოწ-  
მობს, რის შედეგადაც კაენი განრისხდა, სახეზე სირცხვი-  
ლი და შეურაცხყოფა ერთდროულად აღებჳდა, თავი და-  
ხარა. ღმერთის მიერ დასმული კითხვა, თუ რატომ მრისხა-  
ნებდა იგი და რატომ ჰქონდა თავი დახრილი, კაენის საქ-  
ციელის რაობის განსაზღვრისას ყველაზე საკამათო სა-  
კითხად არის მიჩნეული საღვთისმეტყველო ლიტერატურა-  
ში. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია ღმერთის მიერ კაენი-  
სათვის დასმული კითხვა, თუ სად იყო მისი ძმა აბელი,  
რაც, ფაქტობრივად, ესმიანება, ემთხვევა ღმერთის მიმარ-  
თვას ადამისადმი, რომელმაც პირველცოდვა ჩაიდინა, ხო-  
ლო აღიარებისა და მონანიების ნაცვლად, დამალა და  
სხვას გადააბრალა თავისი უმართებულო საქციელი. ეს  
პარადლელი იმას მოწმობს, რომ ადამი და კაენი ერთნაი-  
რად იქცევიან. ორივე ცდილობს თავის გამართლებას,  
რაც, ცხადია, ზნეობრივ-ეთიკური და რწმენითი თვალსაზ-  
რისით სრულიად მიუღებელია. მიუხედავად ყოველივე ამი-  
სა, ღმერთმა მას ნიშანი დაადო, რათა არავინ მოკლას კა-  
ენი. ბიბლიის ტექსტში არსადაა მითითებული, თუ ვინ შე-  
იძლება მოკლას იგი, რადგან ამ პირველქმნილ კაცობრი-

ულ სამყაროში მხოლოდ ერთადერთი ოჯახია, ადამისა და ევას ოჯახი. აბელის უმანკო სისხლის გამოსყიდვა, მკვლელისათვის მიტევება მომავლის საქმედ ისახება, რაც ახალი აღთქმის ეპოქაში ხორციელდება და რაც მაცხოვრის უმანკო სისხლის დაღვრით განიწმინდება.

უძველესი ცნობები კაენისა და აბელის შესახებ დაცულია ებრაელი რაბინების თხზულებებში, ფსევდო-იონათანის თარგუმებში შესაქმის წიგნის მეოთხე თავის პირველ მუხლთან დაკავშირებით და ელინისტური პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსის ფილონ ალექსანდრიელისა და იოსებ ფლავიუსის თხზულებებში. ფსევდო-იონათანის თარგუმებში ნათქვამია, რომ ევას კაენი ანგელოზ სამოელისაგან ეყოლა, რომელიც იუდეურ ტრადიციებში ბოროტ ძალთა წინამძღოლად იყო მინნეული (*მართლმადიდებლური... 2012: 379*). ფილონ ალექსანდრიელმა ალგორითული შეფასება მისცა კაენისა და აბელის მსხვერპლშეწირვას ტრაქტატში „აბელის დაბადების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ შესწირეს მსხვერპლი ღმერთს აბელმა და მისმა ძმამ კაენმა“ (*მართლმადიდებლური... 2012: 380*). მისი აზრით, კაენი და აბელი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისისა და თვისების მქონე ადამიანები არიან, რომელთაგან ერთი, კაენი, საკუთარ გონებას, გრძნობებსა და აზრს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო მეორე, აბელი, მისდევს ღვთის ნებას და აღიარებს მას, როგორც შემოქმედს. ფილონ ალექსანდრიელი ამ თვისებათა შესაბამისად განმარტავს მათ სახელებს, კაენის სახელი ფლობას, მპყრობელობას დაუკავშირა, ხოლო აბელისა განმარტა, როგორც ყოველივეს ღმერთისაკენ აღმყვანებელი. იგი აბელს მწუხარედაც განმარტავს. კაენი საკუთარი თავის მოყვარულია, აბელი კი ღმერთის მოყვარულია, ეს თვისებები ყოველი ადამიანის შინაგან სამყაროში ებრძვის ერთმანეთს. მან საგანგებო ყურადღება მიაპყრო ძმების მიერ ღმერთის წინაშე მსხვერპლშეწირვას, მათ ამსახველ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მათ არსობრივად განასხვავებს ერთმანეთისაგან. აღსანიშნავია, რომ მასორეთულ ტექსტში მსხვერპლშეწირვა გამოხატულია სიტყვით *minha*; სეპტუაგინტის ტექსტში ყურადღებას იქცევს ის ფაქტ

ტი, რომ კაენის მსხვერპლშეწირვა ბერძნული სიტყვით მსია იხსენიება, რაც სისხლიანი მსხვერპლის შეწირვას გულისხმობს, ქართულში იგი მსხვერლადაა თარგმნილი, ხოლო აბელისა – ძაჟოვ, რაც საჩუქარს, ღვთის წყალობას ნიშნავს და ქართულად თარგმნილია როგორც ძღვენი. ფილონ ალექსანდრიელმა მათ შორის სხვაობა განმარტა და განაცხადა, რომ კაენის მსხვერპლშეწირვაში საკუთარი თავის მოყვარული ადამიანის სახეა სიმბოლიზებული, მის მიერ განხორციელებულ მსხვერპლშეწირვაში კაენის პიროვნული ინტერესებისაკენ სწრაფვა ირეკლება, ხოლო აბელის მსხვერპლშეწირვა ღმერთისთვის ყოველივეს გამღები ადამიანის განწყობითა და შეგნებითაა სიმბოლიზებული. ბიბლიის ქართული თარგმანი ამ სხვაობას მიჰყვება, რაც თარგმანში ღედნის სიზუსტის დაცვასთან ერთად, ქართული ცნობიერებისა და ტექსტის აღქმის გამოხატულებაა.

ფილონ ალექსანდრიელის განმარტებაში აღნიშნულია, რომ კაენს მსხვერპლშეწირვის რიტუალი ფიქრის შემდეგ შეუსრულებია, აბელმა ღმერთს ძღვენი ყოველგვარი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე მიართვა. ფილონის სიტყვით, მშვენიერი ნაბიჯი მაშინვე უყოყმანოდ უნდა გადაიდგას, ვიდრე ღმერთი მოუწოდებს. ძმების მიხედვად გასვლა ალეგორიულად განიმარტება, როგორც ივაივი ორი ერთმანეთის მიმართ შეურიგებელი, დაპირისპირებული მოძღვრების შესახებ: 1. როგორც საკუთარი თავის მოყვარული მოძღვრებისა და 2. როგორც ღმერთის მოყვარული და ღმერთთან მიმყვანებელი მოძღვრება.

ფილონ ალექსანდრიელის კვალს მიჰყვება იოსებ ფლავიოსიც, რომელმაც თავის თხზულებაში ახსნა, რომ კაენი („კაის“) ბოროტი, ანგარებიანი და საკუთარი ინტერესებისათვის მზრუნველი იყო, ამქვეყნად მან პირველმა დაღვარა სისხლი, უდანაშაულო ადამიანის სისხლი. აბელის („აველოს“) ფლავიოსისეული დახასიათება მას წარმოგვიდგენს მისაბაძი თვისებების მქონედ: „უჭაბუკესი სიმართლისა მოურნე იყო და ყოველთა მის მიერ მოქმედებულთა, მახლობლად ღმრთისა მგონებელი, სათნოებასა წინა-განიზრახვიდა“ (ფლავიოსი, 1987: 95). მისივე ცნობით, ღმერთმა კაენი და მისი შვიდი თაობის შთამომავალი დაწ-

ყველა, ფაქტობრივად, მისი ჩამომავლები წინაპრის ცოდვის გამო დასაჯა (ფლაეიოსი, 1987: 96). საინტერესოა ტერტულიანეს შესხედულება კაენის მიერ ძმის მოკვლის შესახებ, რომელმაც მკვლელობა მკვლელის მოუთმენლობითა და ღმერთის მიერ მსხვერპლის მიუღებლობის მშვიდად გადატანის შეუძლებლობით ახსნა, რამაც საბოლოოდ ღმერთის რისხვა გამოიწვია და იგი კაენს თავს დაატყდა.

კაენისა და აბელის ჰიპოდიგმა ასახულია აპოკრიფებშიც, რომელთაგან „ადამისა და ევას ცხოვრება“, – მას „მოსეს აპოკალიპსსაც“ უწოდებენ, – და „ენოქის წიგნი“ უნდა გამოიყოს, ამ თხზულებებში კაენი „რისხვის შვილად“, ბოროტად იხსენიება.

კაენისა და აბელის ჰიპოდიგმამ, როგორც უდიდესი ღირებულების მქონე ერთ-ერთმა არქეტიპმა, განსაკუთრებული ინტერესი აღძრა ახალ აღთქმაში და ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, კერძოდ ევანგელურ-აპოსტოლურ სწავლებაში, წმ. კლიმენტი რომაელის, წმ. კლიმენტი ალექსანდრიელის, წმ. ეფრემ ასურის, წმ. ირინეოს ლიონელის, წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ამბროსი მედიოლანელის, ნეტარი ავგუსტინეს, წმ. თეოდორიტე კვირელის, წმ. კირილე ალექსანდრიელის, წმ. დიდიმ ალექსანდრიელის საღვთისმეტყველო თხზულებებში.

კონცეპტუალურია ახალი აღთქმისეული გააზრება და კომენტარი კაენისა და აბელის ჰიპოდიგმის შესახებ, რომელმაც მთელს საღვთისმეტყველო ლიტერატურაში განსაზღვრა მისი აქსიოლოგიური მნიშვნელობა და სიმბოლური სახისმეტყველება. ჰიპოდიგმა ძმების ურთიერთობის, კაცობრიობის ამქვეყნიური ცხოვრების ორი გზის სიმბოლურ-ალეგორიულ ორიენტირად გვევლინება: 1. უწინარეს ყოვლისა, კაენი ბოროტების სათავედ მიიჩნევა, ამავე დროს, იგი ძველი აღთქმისეულ ეპოქასაც მიუთითებს, როდესაც მსხვერპლშეწირვა სისხლიანი იყო; მას და მის შთამომავლებს „შვილნი ეშმაკისანის“ სახელით იხსენიებენ; 2. აბელი სიკეთის სათავეა, რის გამოც იგი ქრისტიანულ ლიტერატურაში აბელ მართლად იწოდება; ამავე დროს, იგი ქრისტიანული ეპოქის წინასწარმეტყველებაცაა, მაცხოვრის მოვლინების მინიშნებაა, მაცხოვრისა, რომელ-

მაც უნდა განწმინდოს პირველი მკვლევლობისას დაღვრილი სისხლი, რის გამოც მართალნი იწოდებიან, როგორც „შვილნი ღმრთისანი“. იოანე მახარებელი პირველ ეპისტოლეში განსაზღვრავს „შვილნი ღმრთისანისა“ და „შვილნი ეშმაკისანის“ რაობას: „ყოველმან რომელმან არა ქმნეს სიმაართლე, იგი არა არს ღმრთისაგან და რომელსა არა უყუარდეს ძმად თუსი“ (I იოანე, 3, 10) – და ნიმუშად, არქეტიპად კაენის მიერ აბელის მკვლევლობის ეპიზოდს მოიხმობს: „არა ვითარცა-იგი კაინ, რომელი-იგი უკეთურისაგან იყო და მოკლა ძმად თუსი. და რადსათუს-მე მოკლა იგი? რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ იყვნეს, ხოლო ძმისა მისისანი – მართალ“ (I იოანე, 3, 12). იოანე ღვთისმეტყველი განმარტავს, რომ მაცხოვრის სისხლმა გამოისყიდა აბელის სისხლი, აბელი „მწყემსი კეთილის“ არქეტიპია, ჰიპოდოგმაა, რომელმაც მართალი მსხვერპლი გაიღო: „ხოლო თუ ნათელსა შინა ვიდოდით, ვითარცა იგი ნათელსა შინა არს, ზიარებად გუაქუს ურთიერთას. და სისხლი იგი იესუს ქრისტეს ძისა მისისად განმწმედს ჩუენ ყოვლისაგან ცოდვისა“ (I იოანე, 1, 7).

კაენისა და აბელის მსხვერპლშეწირვაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტორი, რომ კაენის მსხვერპლი უსისხლოა, ხოლო აბელისა – სისხლიანი. სისხლიანი მსხვერპლშეწირვა მაცხოვრის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვით გასრულდა, ქრისტიანული რელიგია სისხლიან მსხვერპლს არ მოითხოვს, რადგან ყველაზე დიდი მსხვერპლი თვით მაცხოვარი იყო. გრიგოლ I დიდის სიტყვით, სწორედ აბელის სამსხვერპლედ გაწირვა და სიკვდილი მაცხოვრის ვნებათა წინასახედ გვევლინება, ე.ი. აბელის სიკვდილი ჰიპოდოგმაა.

აბელმა ღმერთს საუკეთესო, რჩეული ცხვარი შესწირა, რაც ღმერთმა მიიღო, როგორც სრულყოფილი მსხვერპლი. წმინდა მამათა კომენტარებში გვხვდება გადმოცემა იმის შესახებ, რომ აბელის მიერ მსხვერპლის შეწირვისას ზეციური ცეცხლი გადმოვიდა და აბელის მსხვერპლი შთანთქა, რაც ღვთის სათნოების გამოხატულება იყო; ამით დადასტურდა ღმერთის მიერ აბელის მსხვერპლის მოწონება. მაცხოვარი ფარისეველთა და მწიგნობართა წი-

ნაშე ამბობს, რომ მათ მოუწევთ ყველა მართლის სისხლის შეზღვა, რაც კი დაღვრილა დედამიწაზე: „რადთა მოიწიოს თქვენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელ მართლისად, ვიდრე სისხლი ზაქარიასა, ძისა ბარუქისა, რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა“ (მთ. 23, 35; აგრ.: ლ. 11, 51; I თონე, 3, 12). ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე ქადაგებს, რომ აბელის შესაწირი ღვთისათვის სათნო იყო: „სარწმუნოებით უმრავლესი მსხუერპლები შეწირა ღმრთისა აბელ კაინისა, რომლისაგან იწამა, ვითარმედ მართალ არს წამებითა ღმრთისადათა მსხუერპლთა მათ მისთა ზედა; და ამისთვის მო-დათუ-კუდა, მერმე იტყვსედა“ (ებრ. 11, 4); „არამედ მოსრულ ხართ თქვენ მთასა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა, იერუსალჴმსა ზეცისასა, და ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა, და ღმრთისა მსაჯულსა ყოველთადასა და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთადასა. და შჯულსა მის საღმრთოდსა შუა-მდგომელისა იესუდსა და სისხლითა პკურებასა, უმჯობესსა თქუმულისა მის აბელის მიერ“ (ებრ. 12, 22-24). აბელი პირველი დევნილი და მართალია, რის გამოც იგი ჰიპოდიმად იქცა, რადგან მართალთა დევნა მისით იწყება. ევანგელურ-აპოსტოლური სწავლება ადასტურებს, რომ აბელი ქრისტეს არქეტიპია; შესაქმის წიგნში (4, 10) მითითებული იყო, რომ აბელი ქრისტეს წინასახეა, ხოლო აბელის სისხლი აუცილებლად უნდა განწმენდილიყო, გამოსყიდულიყო; მართლაც, სწორედ მაცხოვრის სისხლით იქნა გამოსყიდული პირველი მართალი შეწირულის სისხლი (ებრ. 9, 12-15; 10, 19-22).

ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მაცხოვრის ვნების საიდუმლო და მისი მსხვერპლშეწირვა კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად აბელის მოკვლით, მისი სიკვდილისას დაღვრილი სისხლით დაიწყო, რაც არქეტიპულია და აბელი, ფაქტობრივად, ყველა იმ დევნილისა და მოკლულ მართალთა სიმბოლოდ იქცა, რომელთა სისხლი უდანაშაულოდ დაიდგარა. ორიგენე ალექსანდრიელის სიტყვით, კაენი ადამიანის მკვლეელია, შესაბამისად, ცოდვილია, იგი



ერეტიკოსთა და იუდეველთა სიმბოლოდ, წინასახედ იქცა, რადგან იუდეველებმა მოკლეს მაცხოვარი, პირუტყვ ცხვართა მწყემსი, რომლის წინასახედ აბელი მოიაზრება (*მართლმადიდებლური... 2012: 382*). წმ. კლიმენტი ალექსანდრიელმა თავის „სტორმატებში“ საგანგებო მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ კაენი თავის ცოდვას ინანიებდა და ღმერთმა მას მიუტევა; შედეგი ის იყო, რომ მისი მოდგმიდან იშვა მართალი ენოქი, რომელსაც „მონანიების ძეგ“ იხსენიებს; მისი შთამომავლებისათვის კი მისი საქციელი მაგალითად იქცა.

წმ. ირინეოს ლიონელის მოძღვრებით, გარეგნულად კაენმა თითქოს ყველაფერი სწორად შეასრულა, მაგრამ ძმის მიმართ შური და ბოროტი ზრახვა გახდა მის მიერ გაღებული მსხვერპლის ღმერთისაგან მიუღებლობის საფუძველი. მსხვერპლი ღმერთს არ სჭირდება, მაგრამ მსხვერპლშეწირვისას შემწირველის სუფთა სინდისი თვით მას განწმენდს, რის შედეგადაც იგი ღვთივსათნო და ღვთის მეგობარი გახდება.

წმ. ბასილი დიდის ჰომილიებში მსჯელობა შურის შესახებ გაშლილია კაენისა და აბელის ხატ-სახეთა წარმოსახვის საუბეგლზე. ღვთისმეტყველი წმინდა მამის საუბრის კვალობაზე, შური ყოველგვარი ბოროტების სათავეა: „რადღამცა იყო უკუე სენი ამის უძურეს? ხრწნილებაჲ არს ცხორებისაჲ, წყლულებაჲ ბუნებისაჲ, მტერობაჲ ღმრთისა მიერ ჩუენდა მონიჭებულთაჲ, წინააღმდეგობაჲ ღმრთისაჲ. რამან მოიყვანა დასაბამი ბოროტთაჲ – ეშმაკი ბრძოლად კაცთა? არა შურმან-ა, რომლისათჳს ცხადად მბრძოლ ღმრთისა ეწოდა, რამეთუ ემტერებოდა ღმერთსა უხუად მიმნიჭებელობისათჳს მისისა, რომელი ქმნა კაცსა ზედა? ხოლო ბოროტსა უყოფდა კაცსა, ვინაფთჳნ ღმრთისაჲ ვერ ძალ-ედვა. და კუალად, ესევეითარისავე მოქმედად კაენცა გამოჩნდა, პირველი იგი მოწაფე ეშმაკისაჲ, რომელმან ისწავა მისგან შურიცა და კაცისკლვაიცა – მოძმენი ესე ურჩულოებანი, რომელნი პავლეცა დიდმან ერთად შეაერთნა და თქუა: „სავსენი შურითა და კაცისმკლველობითა“ [*რომ. 129*]. იხილეთ უკუე, რაჲ-იგი ქმნა მან? იხილა ღმრთისამიერი პატივი და შეიწუა შურითა და მოკლა პატივცემული

იგი, რადთამცა შურ-იგო პატივისმცემელსა მას ზედა, რამეთუ ღმრთისა ბრძოლად შეუძლებელ იყო და ძმისა სიკუდილსა შტავარდა“ (*ბახილი კესარიელის... 1983: 80*). შურს, კაცისკვლას, ბუნებათა აღრევას, თვისებათა შეუცნობლობას, პირუტყვეულ განსაცდელს უნდა ებრძოდეს და ეწინააღმდეგებოდეს ყოველი ადამიანი.

წმ. იოანე ოქროპირმა ყურადღება გაამახვილა მსხვერპლშეწირვის აღმნიშვნელ სიტყვებსა და მათ მიმართებაზე შესაწირი საგნის რაობაზე, რადგან კაენის მიერ შეწირულ მიწაზე მოყვანილ ნაყოფს მსხვერპლი ეწოდება, ხოლო აბელის მიერ შეწირულ ცხვარს – საჩუქარი; მისი სიტყვით, წმინდა წერილი გვასწავლის არა მიწის ნაყოფის შეწირვასა და უსიტყვო აღსრულებას, არამედ ღმერთისათვის სულიერების მიძღვნასა და სულიერ კეთილგანწყობას. ამავე დროს, კაენის ისტორია ცოდვილისადმი ღმერთის ხანგრძლივი მოთმინებისა და მოწყალების მაგალითია, რადგან ძმის მოკვლის შემდეგაც მას არ მიუტოვებია იგი და მოუწოდა მონანიებისაკენ, სინდისის ქენჯინისაკენ.

წმ. ეფრემ ასურის სიტყვით, კაენის შეცდომა ის იყო, რომ მან რჩეული მსხვერპლი არ გაიღო და არ შესწირა ღმერთს, მან საუკეთესო თავისთვის დაიტოვა (*მართლმადიდებლური... 2012: 382*). მისივე მოძღვრების თანახმად, კაენი გვიან შეუდგა მონანიების გზას, კერძოდ, მაშინ, როდესაც ღმერთმა აბელის შესახებ ჰკითხა, თუ სად იყო იგი. ფაქტორბივად, ღმერთმა კაენს შესაძლებლობა მისცა, რომ ეღიარებინა დანაშაული და მიეტევებოდა, მაგრამ კაენმა მკვახე პასუხი გასცა, რომ იგი თავისი ძმის მცველი არ იყო, რამაც კიდევ უფრო მეტად გაამრავლა მისი ცოდვები და დაამძიმა დანაშაული; საბოლოოდ ღვთის რისხვა დაიმსახურა.

დაისმის კითხვა, რატომ არ მიიღო ღმერთმა კაენის უსისხლო მსხვერპლი და რატომ მიიღო აბელის სისხლიანი მსხვერპლი? იმიტომ ხომ არა, რომ მსხვერპლს სრულყოფილი სახე არ ჰქონდა? ბიბლიური მონათხრობი ამას არ განმარტავს, არ გვამცნობს, რის გამოც კომენტატორთა ნააზრევში განსხვავებული ინტერპრეტაციები შეინიშნება. არაა მითითებული აბელის მსხვერპლშეწირვის უპირატე-

სობა; თვით მსხვერპლშეწირვის ინსტიტუტი ჯერ არაა განსაზღვრული. ამ ეპიზოდში მთავარი ისაა, რომ კაენმა მსხვერპლშეწირვისას, როგორც ეგზეგეტიკოსები მიუთითებენ, თავისი მონაგარიდან საუკეთესო არ შესწირა, ხოლო აბელმა თავისი მონაგარიდან პირველშობილი გაიღო და მსხვერპლად შესწირა. კომენტარებში ისიც ნათქვამია, რომ კაენმა შეუფერებელი განწყობილებით შესწირა თავისი ნამუშავე. ზ. კიენადის კომენტარის მიხედვით, ღმერთმა მისი სულიერი განწყობა დაიწუნა, საკმარისი არ აღმოჩნდა მისი რელიგიურობა. მსხვერპლიცა და შემწირველის განწყობაც ერთიანი უნდა ყოფილიყო (*კიენადე 2004: 32-33*).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ღმერთმა არ მოიწონა კაენური ურბანისტულ-ინდუსტრიული ცივილიზაცია და უარყო იგი, მისი ყოფა დახასიათებულია როგორც ღვთის პირისაგან დაშორება, ღვთის მადლის დაკლება, დევნილობა და მიუსაფრობა. იგი ადამმა მართლაც რომ თავის ხატად და მსგავსად დაბადა, რადგან კაენიც, მამის მსგავსად, ღმერთის შეკითხვაზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას შეეცადა და, პირიქით, თავად თვით ღმერთის მცნება უგულვებელყო (*ლოპუხინი 2008: 40-43*). ესაა მთავარი.

ღვთისმეტყველ წმინდა მამათა მოძღვრება და სამეცნიერო ლიტერატურა მიიჩნევს, რომ აბელის რელიგია ჭეშმარიტად უანგარო რელიგიაა, კაენისა – უტილიტარული (*ლოპუხინი 2008: 40-43; კიენადე 2004: 30-34*). ტერტულიანეს თხზულებათა მიხედვით, აბელი ქრისტიანის პროტოტიპად მოიაზრება (*იუდეველთა წინააღმდეგ, 5*). წმ. იოანე ოქროპირმა კი აბელი წმ. იოანე ნათლისმცემელს შეადარა, რის ტრადიციაც შემდგომი ხანის ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში აისახა. ზ. კიენადე ბიბლიის კომენტარების საფუძველზე განმარტავს კაენის მიერ ძმის მკვლელობის მნიშვნელობას, რომ მან კაცობრიობა ახალ, უფრო დაბალ საფეხურზე ჩამოიყვანა: „კიდევ ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა და გაუარესდა ურთიერთობა ადამიანსა და მიწას შორის. თუმცა შეიძლება ვიფიქროთ და, იქნებ ეს ვარაუდი უფრო ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან, რომ მიწისაგან იწყველება არა საერთოდ ადამიანი, არამედ მხოლოდ კაენი და მისი

მოდგმა, რომელიც ამ მიზეზით ქალაქების გაშენებასა და ინდუსტრიული ცივილიზაციის მშენებლობას მიჰყოფს ხელს (შეს. 4, 17), რაც მას მიწისაგან განაშორებს. პარადოქსია: ქალაქებს საფუძველი მიწაში აქვთ, მაგრამ საფუძველიანად შორდებიან მიწას“ (კიენადე 2004: 32).

ნეტარი ავგუსტინეს სიტყვით, „კაცთა მოდგმის წინაპართაგან პირველად დაიბადა კაენი, რომელიც ადამიანურ ქალაქს ეკუთვნის, შემდეგ კი აბელი, რომელიც ღვთის ქალაქს ეკუთვნის... კაენზე ნათქვამია, რომ მან ააშენა ქალაქი, აბელს კი ქალაქი არ აუშენებია, რადგან წმიდათა ქალაქი უზენაესი ქალაქია“... (ბიხოვი 1999: 133-134). აქ საყურადღებოა შემდეგი გარემოება: კაენი ცოდვის შედეგად იშვა, ანუ იგი მიწიერებასთან, ამქვეყნიურობასთანაა დაკავშირებული, რაც განსაზღვრავს მის არქეტიპულ ბუნებას, ამიტომ აშენებს იგი ადამიანურ ქალაქს. აბელს აქვს ეთერული არსებობა, რასაც მისი სახელიც კი ადასტურებს, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იგი „სუნთქვას“, „ქროლვას“ გულისხმობს, ის მატერიალურ სინამდვილეში არ არსებობს, ზ. კიენადის სიტყვით, „მისი მყოფობა სხვაგან, ნივთობრიობის საპირისპირო რეალობაშია საძიებელი“ (კიენადე 2004: 35).

ნეტარმა ავგუსტინემ თხზულებაში „სადვთო ქალაქის შესახებ“ (De civitate Dei) შეაჯამა ორი სამყაროს – ორი ქალაქის შესახებ გამოთქმული შეხედულებანი: ღვთიური ქალაქისა (civitas Dei) და მიწიერი ქალაქის (civitas terrena) შესახებ. პირველს მიეკუთვნება ყველა სულიერი ძალა, ღმერთის ერთგული ყოველი არსი, კეთილი ანგელოზები, ჭეშმარიტი ქრისტიანები და კეთილშობილი ადამიანები, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ მატერიალური საზრუნავისაგან. ყველა ის, ვინც ცოდვის გზას დაადგა და დატვირთული იყო ცოდვით, უმსგავსო საქმეებით და ამქვეყნიური საქმეებით, ანუ მატერიალურით იყო გატაცებული, წარმავალი სამყაროს, მიწიერი, ამქვეყნიური სამყაროს მოქალაქე იყო. ნეტარი ავგუსტინე წერდა: „ორი ქალაქი – მართალთა და შეცდომილთა – არსებობს ადამიანის არსებობიდან მოყოლებული და იარსებებს სამყაროს აღსასრულამდე. ამჟამად ორივე ტიპის მოქალაქე ცხოვრობს ერ-

თად, მაგრამ სხვადასხვა ინტერესებით. ცხადია, თითოეული მათგანი ღვთიური სამსჯავროს წინაშე სხვადასხვაგვარად განისჯება“ (ნეტარი ავგუსტინე 389). ნეტარი ავგუსტინე ორ ქალაქს მართალთა და შეცდომილთა ქალაქებად მიიჩნევს, რაც აბელისა და კაენის სახისმეტყველებითაა დატვირთული, ანუ მართალთა ქალაქი აბელის ჰიპოდოგმით არსდება, შეცდომილთა – კაენის ჰიპოდოგმით. მართალთა ქალაქის ფუძემდებელია აბელი, რომლის სიმბოლური სახელითაც არის გამჟღავნებული ღვთის დაფარული საიდუმლო. მიწიერი ქალაქის მცხოვრებთ, ე. ი. უმრავლესობას, ღვთაებრივი ქალაქი, მართალთა ქალაქი უნდა მიაჩნდეს ყოველისმომცველ იდეალად, იდეალურობის არქეტიპად. მას მიეკუთვნება ყველა ის ადამიანი, რომელიც ცდილობს სულიერობით ცხოვრებას (secundum spiritum), ღვთაებრივი კანონებით ცხოვრებას; მიწიერ ქალაქს მიეკუთვნება ის, ვინც მხოლოდ ამქვეყნიური ინტერესებით ცხოვრობს (secundum carnem); ეს უკანასკნელი მისდევს ადამიანური კანონებით, ადამიანის მიერ დადგენილი კანონებით ცხოვრებას. ორი ქალაქი ორი ტიპის სიყვარულის შედეგებს ეფუძნება: „ამქვეყნიური ქალაქი შექმნილია სიყვარულით საკუთარი თავის მიმართ, რომელიც ღმერთის განკითხვამდეა მისული და, ზეციური ანუ ღვთაებრივი – ღმერთისადმი სიყვარულითაა გასხივოსნებული, რომელიც საკუთარ თავს განიკითხავს“ (ბიჩკოვი 1999: 133). საღვთო ქალაქი ჰგავს იმ უცხო მოქალაქეს (civitas peregrina), რომელიც ამქვეყნიური ქალაქის სამყაროში „დახეტიალობს“ და მუდმივად განიცდის მისგან დევნას. ისინი ურთიერთგადაჯაჭვულნი არიან, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლით, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ; მათი ურთიერთდაპირისპირებულობა საფუძვლად უდევს მსოფლიო ისტორიული პროცესების განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, დრამატულად ვითარდებოდა და ვითარდება ადამიდან მოყოლებული განკითხვის დღემდე, ღვთის სამსჯავრომდე. ეს ორი ქალაქი წარმოსახავს ნათელისა და ბნელის, კეთილისა და ბოროტის ბრძოლას, რაც მანამ იარსებებს, ვიდრე ეს სამყარო, მიწიერი სამყარო არსებობს. ნეტარ ავგუსტინესთან ზეციური სამყარო, ღვთის ქალაქი მარადიული ნე-

ტარების იდეალურ სასუფევლად არის წარმოდგენილი, იმ სამოთხედ, რომელიც მარადიული საოცნებო საგანი იყო ძველი, ბნელი მატერიალური სამყაროს მრავალტანჯული ადამიანისათვის.

ახელი მოხეტიალე და დევნილი ზეციური ქალაქის წინასახედ, არქეტიპად გვევლინება, რომელიც სრულად განხორციელდა ამ ეთერში ქრისტიანული ეკლესიის სამყაროში დაარსებით, რომელიც უფლებამოსილია საღვთო ქალაქს წარმოადგენდეს. იგი გაიმარჯვებს მხოლოდ სამყაროს აღსასრულისას, რასაც ესქატოლოგიური მოძღვრება გვასწავლის. მიწიერი ქალაქი კაცობრიობის მთელი ისტორიაა, „მიწიერ სამეფოთა“ ისტორიაა, რომელიც, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული კლასიფიკაციით, შვიდ ეპოქას მოითვლის: 1. ადამიდან წარღვნამდე; 2. წარღვნიდან აბრაამამდე; 3. აბრაამიდან – დავით წინასწარმეტყველამდე; 4. დავითიდან ბაბილონს გადასახლებამდე; 5. ბაბილონს გადასახლებიდან ქრისტეს დაბადებამდე; 6. ქრისტეს დაბადებიდან დღემდე და 7. გრძელდება მომავალ საუკუნემდე (*ბინკოვი 1999: 134*). მომავალ საუკუნეში ყველა ის მოქალაქე, რომელიც ვერ მოასწრებს სულიერ ცხოვრებასთან შერთვას, განისჯება ღვთის მიერ და მიესჯება მარადიული სატანჯველი, ხოლო ზეციური ქალაქის მადიებელნი მოიპოვებენ მასში სიმშვიდესა და ენით უთქმელ მარადიულ ნეტარებას (იქვე). დაისმის კითხვა, ნეტარი ავგუსტინეს აზრით, მიწიერ სამყაროში ყველაფერი უარყოფილ უნდა იქნას? მასში დამკვიდრებულ ადამიანს როგორ შეუძლია ზეციური, ღვთის ქალაქის საიდუმლოს, მის ცოდნას ჩასწვდეს? ნეტარი ავგუსტინეს შეხედულებით, ის, რითაც ადამიანს ზეციური ქალაქის მკვიდრობა შეუძლია მოიპოვოს, არის მიწიერი ქალაქის ცხოვრებიდან ზეციური ქალაქის სულიერ ცხოვრებაში გარდასახული კულტურა.

ძველი აღთქმის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა ზეციური ქალაქის შესახებ ემყარება ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის აქტის გადმოცემას, რომელიც ჰიპოდიგმაა ახალი აღთქმისეული ზეციური ქალაქისა და ზეციური მოქალაქობის კონცეფციისათვის. მისი საფუძველი ქრისტიანული რელიგიის უპირველესი ღოცვა „მამაო ჩვენო“ და მაცხოვ-

რის შემდეგი სიტყვებია: „იყვნეთ თქვენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათადას“ (მათე, 5, 45); „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მათე, 5, 48).

ახალ აღთქმაში, კერძოდ, პავლეს ეპისტოლეებში, სიმბოლურადაა გააზრებული ზეციური და ამქვეყნიური ქალაქი, რომელთა კაენური და აბელური არქექტიპი აბრაამის შთამომავლობაშია განსახოვნებული ხორციელად შობილისა და აღთქმისაგან შობილის პარადიგმებში. პავლე ეპისტოლეში გალატელთა მიმართ აბრაამის შვილების – ისაკისა და ისმაელის შესახებ ბიბლიურ მონათხრობზე დაყრდნობით განმარტავს ორგვარ ქალაქს, რაც უშუალოდ მოსდევს ბაძვის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას: „ხოლო კეთილ არს ბაძვად კეთილისათვის მარადის“ (გალ. 4, 18); განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ წმინდა მამათა იმ განმარტებას, რომლის მიხედვით კაენი და აბელი ორი ხალხის სიმბოლოდ წარმოგვიდგება: უფროსი ძმა კაენი თავისი მსხვერპლშეწირვით და კაენიანები ძველ ისრაელთან იგივედება, უმცროსი ძმა აბელი და მისი სულიერი საჩუქარი, ძღვენი ახალ ისრაელს, ქრისტიანებს განსახოვნებს. აბელის მსხვერპლშეწირვა, ძღვენი ევქარისტის სიმბოლოდ აღიქმება.

**ჰიმნოგრაფიაში** კაენისა და აბელის ხატ-სახეები აისახა, როგორც საფუძველი მატერიალური და სულიერი საწყისების არსებობისა ადამიანში, როგორც არქექტიპულ წმინდანებთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით სახისმეტყველებითად დატვირთულია წმ. ანდრია კრიტელის, იოანე მტბვერის, მიქაელ მოდრეკილის, დავით აღმაშენებლისა და სხვათა საგალობლები, რომელთა არქექტიპულ-სახისმეტყველებით ასპექტებს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს.

წმ. ანდრია კრიტელი თავის ცოდვათა ჩამონათვალში ხედავს კაენის მსგავს „მკლველებერ ცნობას“, რაც აბელის „სიმართლისა“ და „საღვთო ძღვენის“ საპირისპირო თვისებაა; ჰიმნოგრაფი მაცხოვარს, იესო ქრისტეს მიმართავს: „მივემსგავსე კაენს, მკლველსა, ცნობითა, და მოვკალ სულისა სვინდისი და განვაცხოველენ ხორცნი, და აღვსძრენ მას-ზედა, გულისა ჩემისა იგი ვნებულნი გულისთქუმანი. აბელისსა, იესო, არა მივემსგავსე სიმართლესა, და ძღვენი

სადმართონი არა მოგართვენ შენ, არცა საქმე ღირსი, არცა მსხვერპლი განწმენდილი, არცა ცხოვრება უბიწო. ვითარცა კაენ სულო, ჩუენცა შევსწირენით ღმერთსა საქმენი ხენეში მსხუერპლთა თანა შეგინებულთა, და მოქალაქობითა – ბილწი და მოძაგებული, რომლითა დავისაჯენით“ (*სამშაბათის ჰიმნოგრაფიული კანონის პირველი გალობა „უგალობდითსა“; წმ. ანდრია კრიტელი 2002: 32-33*); „ჰოი, ვითარ ვებაძვე პირველსა ღამექს მკლველობითა მით, რამეთუ სული – ვითარცა კაცი, და გონება – ვითარცა ჭაბუკი, ხოლო ვითარცა ძმისა ჩემისა ხორცილი მოვეკლენ, ვითარცა კაენ მკლველმან, გემოთმოყვარებითა და უკრძალველობითა“ (*წმ. ანდრია კრიტელი 2002: 86*). საგალობლის ციტირებულ ტექსტში კაენი და აბელი წარმოდგენილია, როგორც ოპოზიცია, რომელთა არქექტიპული სახეები ურთიერთსაპირისპირო თვისობით არიან გამორჩეულნი, სულის სვინდისმოკლულმა კაენმა ხორციელ ზრახვებს მისცა გასაქანი და გულისთქმას დამორჩილდა. კაენის მსგავსად, ადამიანებმაც ღმერთს „ხენეში“ საქმე შესწირეს, რის გამოც დაისაჯნენ და „ბილწი და მოძაგებული მოქალაქობა“ მოიპოვეს, რის გამოც ისინი ზეციური ქალაქის მკვდრობის ღირსნი არ არიან. გალობაში ყურადღება გადატანილია კაენის მკვლელებზე თვისებებზე, რითაც წმ. ანდრია კრიტელი მსმენელ-მკითხველში საპირისპირო აზრისა და განცდის აღძვრას ისახავს მიზნად. ამქვეყნიურობაზე ზრუნვა, სულის სინდისის უარყოფა, მკვლელები ცნობა ცოდვათა ის ჯაჭვი, რომელიც კაცობრიობას პირველცოდვის ნიშნით აღბეჭდილი გადაეცა. კაენის მიერ ძმის მოკვლა წმინდა მამათა მიერ აღქმულია, როგორც პირველცოდვისა და ეშმაკისგან მომდინარე ბოროტების გაგრძელება, როგორც ადამიანის „ცთომა“, რომელსაც იგი არ აღიარებს და რის გამოც არ მიეტევა მას ღმერთისაგან. წმ. ანდრია კრიტელი საკუთარ ცოდვათა რიგში აქცევს კაენის ცოდვას, რაც ავტორის უღრმეს პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. ამიტომაცაა საგალობელი მისი სულიერი აღსარება.

ზემოთ აღინიშნა, რომ ღვთის ნებით კაენი ნიშანდადებულია, რომლითაც იგი ყველამ უნდა გამოიცნოს, რო-



გორც ძმისმკვლელი, მაგრამ იგი არავის არ უნდა მოეკლა, თუ ვინმე მოკლავდა კაენს, მკვლელი უნდა დასჯილიყო.

წმ. ანდრია კრიტელის კვალობაზე, წმ. დავით აღმაშენებელი მესამე გალობაში „განძლიერდასა“ (ძლისპირით „ღმერთო მაცხოვარო“) აღნიშნავს, რომ დავითმა, ვითარცა ბაგრატიონმა, იესიან-დავითიან-სოლომონიანმა, ღვთისგან მიიღო პორფირი, მეფობის შარავანდი, ანუ იგი ღვთისგან რჩეული საგვარეულოს წარმომადგენელია, მაგრამ მან რჩეულობის სანაცვლოდ „ვენებათა ბილწთა მონად მიჰყიდა თავი“ (*გრიგოლაშვილი 2005: 215*) და ჩამოთვლის იმ ცოდვებს, რომლებიც კაცობრიობას ჩაუდენია თავისი არსებობის მანძილზე; მათ შორის აღნიშნა „კაენის მკლველებრი ცნობაჲ“: „კაენის მკლველებრი ცნობაჲ, სეითის ძეთა ღირწებაჲ, გმირთა სიღოდით მავალობაჲ, ხუთ-ქალაქელთა შეგინებისა მწვრუკ – უფროდს ვამრავალწიდე, ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ (*გრიგოლაშვილი 2005: 215*); „კაენის მკლველებრი ცნობაჲ“ „გალობანისადმი“ მიძღვნილ მონოგრაფიაში ლ. გრიგოლაშვილმა შემდეგნაირად განმარტა: კაენი „პირველი ადამიანია, რომლის გონება შურისგების შეუცნობელმა წყურვილმა დააბნელა და თავისი ძმის, აბელის სისხლის დაღვრით ველურ ინსტიქტებს დაუდო სათავე“ (*გრიგოლაშვილი 2005: 50, 228*). მისივე შეხედულებით, „წმინდა ანდრია კრიტელი თავის მსგავსებას კაენის „მკვლელებრ“ გონებასთან ხედავს იმ მიზეზით, რომ მან ჩაიღინა საკუთარი სინდისის მკვლელობა. შესაძლოა დავით აღმაშენებელიც ანალოგიურ ბრალდებას უყენებს თავის თავს. ყოველ შემთხვევაში, სხვა ბიბლიური ცოდვების ჩამოთვლისასაც იგი მათ „კაენის მკვლელებრი ცნობაჲს“ გადმომღებად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ იმავე ზნეობრივი პრინციპების შემლახავად, რომელთა დარღვევაზეც საუბარია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში“ (*გრიგოლაშვილი 2005: 50*). დავით აღმაშენებლის მიერ „კაენის მკვლელებრი ცნობაჲ“ და სხვა ჩამონათვალი ცოდვებისა ერთსა და იმავეზე მიგვანიშნებს, ესაა ცოდვა, რომელიც სხვადასხვა დროს ცოდვით დაცემულმა ადამიანებმა ჩაიღინეს და რომელიც კაცობრიობის გამრავლებასთან ერთად მრავლდება. კაენი

და აბელი ის ბინარული ოპოზიციას, რომელთა ჰიპოდიგ-  
მური ხაზით დაფარული საიდუმლო უნდა განცხადდეს.

მიქაელ მოდრეკილისა და იოანე მტბვერის საგალობლებ-  
ში წარმოჩენილი აბელის ჰიპოდიგმური სახე გამოყენებულია  
მაცხოვრისა და წმინდანთა იდეალურობის საჩვენებლად.

მიქაელ მოდრეკილი მაცხოვრისადმი მიძღვნილ საგა-  
ლობელში აბელ მართლის დაღვრილ სისხლს უბიწოს  
უწოდებს, რომლის სანაცვლოდ „წყევას“ მიიხნევს, ხოლო  
მაცხოვრის საუფლო გვამის შეწყნარებით კი მარადიული  
კურთხევა მიიღო მთელმა კაცობრიობამ დროსივრცული  
დაუსაზღვრელობით:

განალო პირნი ოდესმე ქუეყანამან  
და შეიწყნარა სისხლი იგი უბიწო  
**აბელ მართლისა** და მიიღო მან წყევად,  
ხოლო დღეს რაჟამს შეიწყნარა საუფლოდ  
გუამი, მიიღო კურთხევა საუკუნოდ

(*ინგოროევა 1913: 68*).

მეორეგან კი მიქაელ მოდრეკილი კვლავ უბიწო  
მსხვერპლად მიიხნევს აბელს, რომელიც პირველ შემწირ-  
ველი (იგულისხმება მისი შენაწირი), მართალთა წინამ-  
ძღვარი და ცოცხალ არსებათაგან პირველი მიცვალებუ-  
ლია, იგი ღმერთს შეეწირა თავისი უმანკო, უბრალო (უდა-  
ნაშაულო) სისხლის დათხევით, რის სანაცვლოდაც სასუ-  
ფველი დაიმკვიდრა.

ვითარცა სათნოდ ღმრთისა პირველ შემწირველსა,  
მსხუერპლსა უბიწოსა **აბელს**, წინამძღუარსა  
მართალთასა,  
მიცვალებულსა პირველ ყოველთა ცხოველთასა,  
სისხლთა დათხევითა მსხუერპლად ღმრთისა  
შეწირულსა

და მკვიდრსა სასუფველისასა ვჰნატრიდეთ  
ერთობით ყოველნი მორწმუნენი

(*ინგოროევა 1913: 91*)

ქრისტიანულ ტრადიციაში აბელი გააზრებულია, რო-  
გორც დევნილი მართალი, რომლის მკვლელობით იწყება  
მართალთა დევნის ისტორია, რაც არეკლილია მიქაელ  
მოდრეკილის საგალობელში. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ

ტერტულიანეს მოსაზრებით, აბელი ყოველი ქრისტიანის წინასახეა, პროტოტიპია, ხოლო წმ. იოანე ოქროპირმა კი აბელი წმ. იოანე წინამორბედს შეადარა მართლის არქეტიპული გააზრების კვალობაზე. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ აბელი მაცხოვრის, ვითარცა მწყემსი კეთილის წინასახეა, რომელიც ღმერთს სწირავს ტარიგს. აგრეთვე, აბელის მსხვერპლს ადარებენ ნოეს, მელქისედეკისა და აბრაამის ღვთივსათნო მსხვერპლს. ყოველივე ეს საფუძველია ევანგელურ მონათხრობში მართალი სისხლის დიაქრონიულ ასპექტში წარმოჩენის შესახებ: „რადთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლთაგან აბელ მართლისად, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიადსა, ძისა ბარუქისა, რომელიც მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა“ (*მათე, 23, 35*). აბელი, როგორც არქეტიპი და წინასახე მაცხოვრისა, იწყებს მართალი მსხვერპლის შეწირვას, ხოლო მას განასრულებს მაცხოვრის მიერ დაღვრილი სისხლი, როგორც ცოდვათა გამოსყიდვის სიმბოლო: „და სისხლი იგი იესუ ქრისტეს ძისა მისისად განმწმენდს ჩუენ ყოველთა“ (*I იოანე, 1, 7*).

იოანე მტბევარმა წმ. ბასილი „უბიწო აბელის“ არქეტიპის სახით შემოიყვანა საგალობელში, რომელშიც ნათქვამია, რომ უბიწო აბელმა ცოცხალი არსება შესწირა ღმერთს უსისხლო მსხვერპლად; იოანე მტბევერის საგალობლის მიხედვით, აბელის მსგავსად, უსისხლო მსხვერპლად შესწირა თავი წმ. ბასილიმ და ღვთის წინაშე წარმდგარმა დაუსრულებელი სიხარული მოიპოვა სასუფეველში, იგი „სულითა ცხოველია“, ე. ი. სულის მარადიულობა დაიმკვიდრა:

ვითარცა რაჲ **უბიწომან აბელ**  
 შეწირა უფლისა მსხვერპლი ცხოველი,  
 ეგრეთვე შენ, ნეტარო,  
 შესწირე თავი შენი მსხვერპლად  
 უსისხლოდ ქრისტესა, ბასილი,  
 და აწ, სულითა ცხოველი, იხარებ წინაშე მისსა!  
 (*ინგოროყვა 1913: 40*).

„უბიწო აბელი“, მართალი და წინამძღვარი, პირველი წამებულის, პირველშეწირული და პირველშემწირველი არქეტიპია მაცხოვრისა, რომელიც ხატებსა და ფრესკებზე სწორედ ტარიგით გამოისახება, აბელი ის მწყემსია, რომლისგანაც იწყება უდანაშაულოთა მკვლევლობა. წმ. ბასილი კი უსისხლო მსხვერპლია, რომელიც მან თავად გაიღო საკუთარი თავის ღვთისადმი მიძღვნით.

ამრიგად, კაენისა და აბელის სახისმეტყველება საღვთისმეტყველო ლიტურატურაში, მათ შორის, ჰიმნოგრაფიაში, წარიმართება ცოდვისა და უსისხლო მსხვერპლის ჰიპოდოგმა-პარადიგმით. კაენი, ძმისმკვლელი და მკვლევლობის შემომტანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში, აღიქმება, როგორც პირველცოდვის, ეშმაკისგან მომდინარე ბოროტებისა და როგორც ადამიანის „ცთომის“, გამგრძელებელი, რომელსაც იგი არ აღიარებს და რის გამოც მას ღმერთმა არ მიუტევა. აბელი, მართალი და პირველი წამებულის, პირველშემწირველი და პირველშეწირული, მაცხოვრის არქეტიპია, ჰიპოდოგმაა, რაც სახარებაში მწყემსი კეთილის სიმბოლოთი გადმოიცემა. წინასწარმეტყველთა სიტყვით, აბელი სიმართლისათვის შეწირულია, რომელშიც მაცხოვრის ჯვარცმა, მისი უბრალო სისხლის მსხვერპლშეწირვა და სიკვდილია ნაწინასწარმეტყველები. ალეგორიულად კაენი და აბელი ორი ხალხის სიმბოლოდ წარმოგვიდგება: უფროსი ძმა კაენი თავისი მსხვერპლშეწირვით და, შესაბამისად, კაენიანები, ძველ ისრაელთან იგივედება, უმცროსი ძმა აბელი და მისი სულიერი საჩუქარი, ძღვენი ახალ ისრაელს, ქრისტიანებს განასახოვნებს. აბელის მსხვერპლშეწირვა, ძღვენი ევქარისტის სიმბოლოდ აღიქმება.


**CAIN AND ABEL AS A SYMBOL FACES  
IN THEOLOGICAL LITERATURE**

The symbol faces of Cain and Abel in theological literature, and mainly in hymnography is given like the example of sin and non blood victim. Cain is the killer of the brother and he is the first from whom the sin of killing comes. He is the continuous of devil's act and also the person who establish the first mistake in the history of the world and he denied his sin, because of this the Lord did not forgive him. Abel is the true and kind person and he is the first victim and emphasize the Christ which is told in the New Testament like kind shepherd symbol. According to the prophets Abel is the victim for true which is the symbol of the crucifixion, his true blood and death is predicted in the face of Abel. The Cain and Abel are the allegory of two people: Older Cain with his countenance and Cain followers like old Israel people, younger Abel and his spiritual gift to the new Israel as a symbol of Christian people. The gift is considered as a symbol of Eucharist.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

- წმ. ანდრია კრიტელი 2002** – წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქიის გამოც., 2002.
- ნეტარი ავგუსტინე 2002** – Аврелий Августин, О граде Божием, в Кн.: История средневековой философии, в двух частях, ч. 1, Патристика, Хрестоматия, Минск, 2002.
- ასალი აღთქუმაძე, წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციით, საქართველოს საპატრიარქოს გამოც., თბ., 1994.**
- ბასილი კესარიელი 1983** – ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცე-

- მად მონაზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, გამომც.: მეცნიერება, თბ., 1983.
- ბიბლიური ენციკლოპედია 1991** – Библейская энциклопедия, под ред. Никифора, М., 1991.
- ბიჩკოვი 1999** – Бычков В. 2000 лет христианской культуры. Sub specie aesthetica. Т. 1. Раннее христианство. Византия. М., 1999.
- გრიგოლაშვილი 2005** – ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005.
- დიონისე არეოპაგელი 2002** – Дионисий Ареопагит, Сочинения. Максим Исповедник, Толкования. Греческий текст с русским переводом Г. М. Прохорова. "Алетейя". СПб. 2002.
- ვესტერმანი 2012** – С. Westermann, Genesis: A Comment./Transl. J. J. Cullion. Minneapolis, 1984. Vol. I: Genesis 1-11. (Православная Энциклопедия, т. XXIX, М., 2012).
- ინგოროყვა 1913** – პ. ინგოროყვა, ძველქართული სასულიერო პოეზია, თბ., 1913.
- კიკნაძე 2004** – ზ. კიკნაძე, ხუთწიგნეულის განმარტება, თბ., 2004.
- ლოპუხინი 2008** – Лопухин А. Библейская история ветхого и нового заветов. Полное издание в одном томе, М., 2008.
- მართლმადიდებლური... 2000** - Православная Энциклопедия, 1. М., 2000.
- მითები 2000** – Мифы народов мира, I, Москва, 2000.
- სელეზნიოვი 2012** – Православная Энциклопедия, XXIX. М., 2012.
- ფლავიოსი 1987** – იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, I, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მონაზადა, გამოკვლევა დაურთო ნინო მედიქიშვილმა, თბ., 1987.
- წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, 1989** – წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, შესაქმისად, გამოსლვათად, ყველა არსებულ ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მონაზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, თბ., 1989.



ზნა ბლუაშვილი

**კიდევ ერთხელ სამხრეთ საქართველოდან  
დეპორტირებულ მოსახლეობის ეთნიკური  
დიენტობის შესახებ**

„ეთნოს“-ი ბერძნული სიტყვაა და ხალხს ან ტომს ნიშნავს. ეთნიკური ჯგუფი ხშირად განისაზღვრება, როგორც საერთო წარმომავლობის, ისტორიის, ენის, ტრადიციების და ა. შ. მქონე ადამიანთა კატეგორია. თუმცა, ეთნიკური ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად სულაც არ არის აუცილებელი ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნის არსებობა. სავსებით საკმარისია, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი თავს თვლიდეს ერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლად. მაგალითად, დღევანდელი აფხაზობის, როგორც ეთნოსის ფორმირება მოხდა საკუთრივ აფხაზების, ადიღეურ-ჩერქეზული და ქართველური (მეგრული) მოდემის ტომების წარმომადგენელთა შერწყმის შედეგად. იგივე ითქმის სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ მოსახლეობაზე, რომლის დიდი უმრავლესობა ეთნიკური მესხია, თუმცა დეპორტირებულებს შორის არიან თარაქამებიც (თურქები), ჰემშინებიც (მუსლიმი სომხები), ქურთები, ლეკები და ა. შ. ამ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ჰიბრიდის შედეგად შექმნილი ჯგუფის დიდი ნაწილი კი დღეს თავს ეთნიკურ თურქად აღიქვამს.

მაქს ვებერის აზრით, ეთნიკური ჯგუფი არის იმ ინდივიდების ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ სუბიექტური რწმენა საერთო წარმომავლობის შესახებ ფიზიკური მსგავსებების, ან ტრადიციების მსგავსებების გამო, ან კოლონიზაციისა და მიგრაციის მოგონებების გამო. ამასთან, არ აქვს არავითარი მნიშვნელობა არსებობს თუ არა მათ შორის სისხლით ნათესაური კავშირი. დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციაზე დგას ენტონი დ. სმითი, რომ-

ლის აზრითაც ნაცია, უპირველეს ყოვლისა, საერთო წარმომავლობის საზოგადოებაა. ამ უკანასკნელის მიხედვით გამოდის, რომ ეთნიკური იდენტობა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ მოცემულობას წარმოადგენს. სწორედ ამგვარად განიხილავს საკითხს ქართველი მკვლევარი ავთანდილ ჯოხაძე: „ერთხელ უკვე ჩამოყალიბებული იდენტობა, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იდენტობაა, მას ვერ გადააკეთებ.“<sup>1</sup> – წერს ის. თუმცა, ავტორი იქვე თვითონვე აბათილებს თავის ამ თეზისს, როდესაც საუბრობს მესხების „სანათესავო, სასოფლო თუ სატომო დონიდან“ „ტომობრივი და თემობრივი“ მეობის დაუკარგავად მათი „სრულფასოვანი პოლიტიკური ცხოვრებისთვის გაცოცხლებაზე“, რაც, მისი აზრით, მხოლოდ ქართულ ეთნოპოლიტიკურ სივრცეშია შესაძლებელი და რაც „სხვას არას ნიშნავს თუ არა მესხების რექართველიზაციას“. ჯოხაძის აზრით, სხვა შემთხვევაში, „მესხები მხოლოდ საბოლოო ასიმილაციისთვის იქნებიან განწირულები“<sup>2</sup>. ამით ჯოხაძე უშვებს მესხთა ჯერ ასიმილაციის, ანუ მათი იდენტობის შეცვლის, შემდეგ კი თავიანთ ეთნიკურ ძირებთან მობრუნების შესაძლებლობას. მესხთა „რექართველიზაცია“, ხომ მხოლოდ ერთხელ უკვე იდენტობა შეცვლილი, ანუ ასიმილირებული<sup>3</sup> მესხების თავიანთ ისტორიულ ფესვებთან დაბრუნების გზით, ანუ კიდევ ერთხელ იდენტობის შეცვლით არის შესაძლებელი.

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა ფსიქოლოგიურ-პოლიტიკურ კონსტრუქციას წარმოადგენს და არა სისხლის ნათესაობით შეკრულ ერთობას. სერბები, ხორვატები, ბოსნიელები ერთ

<sup>1</sup> დეკორტირებული მესხები წარსული და დღევანდელი (კონფერენციის მასალები), თბ. 2013, გვ. 35.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>3</sup> მართალია, ჯოხაძე ერთმანეთისგან მიჯნავს ასიმილაციას და იდენტობის შეცვლას, მაგრამ ეს სხვა არაფერია, თუ არა სიტყვების თამაში. ასიმილირებული ადამიანი გადაჭრით ემიჯნება თავის იდენტობას და თავს უკვე სხვა ეროვნებას მიაკუთვნებს. სწორედ ეს არის იდენტობის შეცვლა.



ენაზე ლაპარაკობენ, გარეგნობით, ტრადიციებით და სხვა ბევრი რამითაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრებად თავს არ მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი: ხორვატთა უმრავლესობა კათოლიკეა, სერბები მართლმადიდებლები არიან, ბოსნიელები კი – მაჰმადიანები. საპირისპირო მაგალითთან გვაქვს საქმე სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულთა შემთხვევაში. აქ სწორედ ერთი რელიგიის მიმდევრობა უდევს საფუძვლად სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ინდივიდთა ერთობას.

ეთნიკურ ჯგუფებს, როგორც საერთოდ, საზოგადოებებს, ცვალებად სოციო-პოლიტიკურ გარემოსთან ადაპტირების უნარი აქვთ. ცხადია ისიც, რომ ეთნიკური იდენტობა საკმაოდ ადვილად იმართება პოლიტიკური ელიტების მიერ. ამის ყველაზე ნათელ მაგალითს სწორედ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა წარმოადგენს. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ თურქებმა 1595 წელს ადგილობრივი მოსახლეობა აღწერეს და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შეადგინეს. დავთრის მიხედვით სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელია აღწერილი, 364 სოფელი გაუკაცრიელებულია. დავთარი უტყუარად მოწმობს იმასაც, რომ იმ დროისთვის მხარის მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტს ქართველები (მესხები) შეადგენდნენ.

თურქების მიერ გატარებულმა ასიმილაციურმა პოლიტიკამ მესხთა ჯერ გამაჰმადიანება, შემდეგ კი მათი გათურქება გამოიწვია. ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმი ასეთი იყო: ის, ვინც მიწას ფლობდა, სამხედრო ვალდებული უნდა ყოფილიყო, სამხედრო ვალდებული კი – აუცილებლად მუსლიმი. ამ გზით ინტენსიურად მაჰმადიანდებოდა არა მხოლოდ მესხ ფეოდალთა კლასი, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებიდან აქ მამულების შესაძენად გადასული თავად-აზნაურობაც. გლეხობაში ეს პროცესი თითქმის საუკუნის დაგვიანებით წარიმართა. მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის სამცხე-ჯავახეთი უკვე პრაქტიკულად, გამაჰმადიანებულია. ამ დროისთვის თურქეთმა ანატოლიიდან ახალციხის საფაშოში მოღების დიდი ჯგუფი შემოიყვანა და ქართველებზე მძლავრი იდე-

ოლოგიური შეტევა დაიწყო. ქართველებს უკრძალავდნენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკს და ძალად ამაჰმადიანებდნენ. თუმცა, ისლამი მაშინ ჯერ კიდევ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მხოლოდ სოციალური იმუნიტეტის გარანტს წარმოადგენდა. გამაჰმადიანებულმესხთა უმრავლესობა ფარულად ქრისტეს რჯულს მისდევდა, მართლმადიდებლებთან ერთად მარხულობდა, ესწრებოდა ქრისტიანულ ცერემონიებს, უმკაცრესად იცავდა ქართულ ტრადიციას ნათესავებთან ქორწინების დაუშვებლობის შესახებ და მოუთმენლად ელოდა დედა-საქართველოსთან გაერთიანებას.

ეს დროც დადგა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ისტორიული მესხეთის ნაწილი – სამცხე-ჯავახეთი საქართველოს დაუბრუნდა, თუმცა, მესხთა ოცნებას ახდენა არც ამჯერად ეწერა: მაჰმადიანი მესხები რუსეთმა „თათრებად“ გამოაცხადა და ომით გამოწვეული ფსიქიკური სტრესის შედეგად თურქეთის კონტროლქვეშ დარჩენილ ქართულ ტერიტორიებზე გადასულებს უკან დაბრუნების საშუალება აღარ მისცა. მათ ადგილზე კი ერზრუმი-ყარსის ვილაიეთიდან აყრილი სომხები და რუსი სექტანტები ჩაასახლდა.

ცარიზმი საოცარი გულმოდგინებით ებრძოდა ქართველთა შორის ქრისტიანობას. ახალციხის აღებისთანავე მის მმართველად ეროვნებით სომეხი გენერალი ვასილ ბებუთოვი დაინიშნა. სწორედ ბებუთოვი უწყობდა ხელს ქართველ მაჰმადიანთა თურქეთში გადასახლებას, მათ მიწებს და ქონებას კი კანონდარღვევით და ჩალის ფასად, ძირითადად, სომეხ ვაჭრებს ასყიდვინებდა.

რუსული იმპერიის მიერ თურქებისგან მემკვიდრეობით მიღებულმა ანტიქართულმა პოლიტიკამ შედეგი მაღე მოიტანა. მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდა. მესხ მაჰმადიანთა გაუცხოება იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მას უცხოტომელნიც ამჩნევდნენ. რუსი მოხელე ლეონიდ ზაგურსკი, რომელმაც 1872 წელს მოიარა ჯავახეთი, წერდა: „მათ (მაჰმადიან მესხებს, უ. ბ.) არ უყვართ კითხვები თავიანთი წარმომავლობის შესახებ, განსაკუთრებით მინიშნება იმაზე, რომ მათი წინაპრები ოდესღაც მართლმადიდებლები

იყვნენ. ასეთ მინიშნებებს რომ თავი აარიდონ, ისინი ხშირად, და ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, იმიზეზებენ ქართული ენის არცოდნას.<sup>4</sup> გამაჰმადიანებული ბეგები შვილებს განათლების მისაღებად სტამბულსა და ერზრუმში აგზავნიდნენ, საიდანაც ისინი ფანატიკოს პანთურქისტებად ბრუნდებოდნენ. ისლამისტური იდეების მომხრენი მსოფლიო ენებსაც ორ ჯგუფად – მორწმუნეთა და ურწმუნოთა ენებად ჰყოფდნენ. და რახან ქართული ენა „ურწმუნოთა“ ენების ჯგუფში შედიოდა, ამ ენაზე ალაჰისა და ყურანის ხსენებაც კი მაჰმადიანისთვის მკრეხელობად ითვლებოდა. 1887 წელს, სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის დროს, გერმანელ მეცნიერს – კარლ კოხს ერთი ვინმე ბეგი შესწიოდა: პაპაჩემი ქრისტიანი იყო და ქრისტიანად გარდაიცვალა. მამაჩემი და მე მაჰმადის ნათლით გაენათლდით, ოღონდ ენა ჩვენი წინაპრებისა შეგვრჩა. მართალია, ცოდვა და დანაშაულია გიაურის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ენა თვით ღმერთის მიერ გვაქვს ბოძებული და ჩვენ რა ვქნათო.

სამწუხაროდ, რაც მეფის რუსეთმა ქართველთა გადაგვარებას დააკლო, საბჭოთა რუსეთმა დაუმატა. საბჭოთა ხელისუფლება სამცხე-ჯავახეთში ანტიქართულ პოლიტიკას ახორციელებდა. მაჰმადიან მესხთა მიერ განათლების სახალხო კომისრის სახელზე გაგზავნილ ერთ წერილს, რომელშიც ავტორები თავიანთი შვილებისთვის ქართული სკოლების გახსნას ითხოვდნენ, ასეთი რეზოლუცია ადევს: „თქვენ თათრები ხართ და განათლებაც თქვენს მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოთ.“ ასეთმა ატმოსფერომ საბოლოოდ დააჩლუნგა მაჰმადიან ქართველთა ეროვნული ცნობიერება, მათში ეროვნული იდენტობის განცდა. ისინი დენაციონალიზებულ მასად იქცნენ და კითხვაზე, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ, დაბნეული პასუხობდნენ: „იერლი (ადგილობრივი) მუსლიმები“ ვართო.

1923 წელს სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი ქართველები ახერბაიჯანელებად მონათლეს. სამცხე-ჯავახეთში პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე, აგრეთვე, სკოლების

---

<sup>4</sup> ლეონიდ ზაგურსკი, მოგზაურობა ახალქალაქის მაზრაში“, ტფ, 1873, გვ. 46.

ღირექტორებად და მასწავლებლებადაც, აზერბაიჯანელები მოიწვიეს. ახალციხეში აზერბაიჯანული თეატრიც კი გაიხსნა. შემდეგ ყველანი „თათრებად“ გამოაცხადეს და ქართულად სწავლა-განათლება აუკრძალეს. 1926 წლიდან რაიონულ მმართველში ძველი სპარსული აღფავიტი დაამტკიცეს.საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველებს ქართული გვარების ტარებას უკრძალავდნენ.

რა მოტივები ამოძრავებდათ კომუნისტებს, როდესაც მაჰმადიანი ქართველების საკუთარი ეროვნებისგან გამიჯვნის, მათში ეროვნული ცნობიერების აღმოფხვრის ამგვარ პოლიტიკას ახორციელებდნენ?

უნდა ვიფიქროთ, რომ 1918-1920 წლებში სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის მიერ ქრისტიანთა დარბევა-აწიოკებისა და ხოცვა-ჟლეტის ცოცხალი მაგალითები, მაჰმადიან ქართველთა ერთი ნაწილის აშკარა პროთურქული განწყობა და რელიგიური ფანატიზმი ხელს უწყობდა ბოლშევიკ ლიდერებში მათ მიმართ ცალმხრივად ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. საბჭოთა ხელისუფლების, ყოველგვარი ქართულის მოწინააღმდეგე და მოძულე ბეგებსა და მათ მომხრეებს ბოლშევიკებმა, რელიგიური ნიშნის მიხედვით, მთელი მუსლიმი ქართველობაც მიაყოლეს და ყველას მტრულად და უნდობლად შეხედეს.

მთავარი მიზეზი კი, ვფიქრობთ, შემდეგია: ლენინი და, შესაბამისად, სხვა საბჭოთა ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი თურქეთის პირველი პრეზიდენტის, ქემალ ათა-თურქის სიმპატიები ამ ქვეყანას სოციალიზმის გზაზე შეაყენებდა. სამცხე-ჯავახეთში ისლამისა და თურქული ენის ნებისმიერი ფორმით შევიწროება კი, საბჭოთა ხელმძღვანელების აზრით, თურქეთის ლიდერებს სოციალიზმისკენ სწრაფვას გაუნელებდა. აი, რას ეწირებოდა მაჰმადიან ქართველთა ინტერესი, რატომ აცხადებდნენ მათ აზერბაიჯანელებად, თურქებად და ა. შ. ეს ილუზია საბჭოთა ხელმძღვანელობას 30-იანი წლების შუახანებამდე გაჰყვა და გამოუსწორებელი ზიანიც მიაყენა მაჰმადიან ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას.

30-იანი წლების ბოლოდან სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობისადმი საბჭოთა ხელმძღვანელების და-

მოკიდებულება რადიკალურად იცვლება. ამ დროისთვის მათ უკვე გაუქრათ თურქეთის სოციალისტურ რელსებზე შეყენების ილუზია. ახლა უკვე საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელები მაჰმადიანი მესხებისგან ქართული ენის ცოდნას და თავიანთ ისტორიულ ძირებთან დაბრუნებას მოითხოვენ. ამ მხრივ დამახასიათებელია რესპუბლიკის ხელმძღვანელებისადმი ახალციხის რაიკომის მდივნის – გიორგი კირვალიძის მიერ 1944 წლის 30 ივნისს გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი. კირვალიძე აღნიშნავს, რომ ახალციხის რაიონში იმ დროისთვის სულ 7 ქართული (მათგან 3 შერეული) სოფელი იყო, 47 სოფელში მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, 14 სოფელში – სომხები, 17-ში – ქურთები, ერთი სოფელი კი ბერძნებით იყო დასახლებული. 47 მაჰმადიანური სოფლიდან 22-ში თავისუფლად ლაპარაკობდნენ ქართულად, 12 სოფელში მხოლოდ მოხუცებს შემოენახათ ქართული ენა. ამ სოფლების უმრავლესობაში ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ქართული გვარები (კირვალიძე ასეთ 235 გვარს ასახელებს). მოხსენებით ბარათში დაგმოხილი იყო წინა წლების პრაქტიკაც, როდესაც ქართული გვარის მქონე ახალგაზრდებს, თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, თურქებად წერდნენ და გვარსაც უცვლიდნენ.

კირვალიძე ჩამოთვლიდა ღონისძიებებს, რომლებსაც, მისი აზრით, „გადაგვარებულ ქართველთა გადმოგვარების“ პროცესი უნდა დაეჩქარებინათ. ერთ-ერთ ასეთ მთავარ ღონისძიებად რაიკომის მდივანს აზერბაიჯანული სკოლების ქართულ სკოლებად გარდაქმნა მიაჩნდა.

სამწუხაროდ, ახალციხის რაიკომის მდივნის ამ გეგმებს ახდენა არ ეწერათ. 1944 წლის ნოემბერში სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანები „თურქებად“ მონათლეს, მშობლიური ადგილებიდან აყარეს, და ცენტრალური აზიის ქვეყნებში გადაასახლეს.

როგორც დავინახეთ, თურქეთის მიერ საქართველოს ძირძველი კუთხის – სამცხე-საათაბაგოს მიტაცების შემდეგ მესხთა ეროვნულ ცნობიერებაზე სოციალ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდებოდა. ეს ზეწოლა გაგრძელდა და კიდევ უფრო გაძლიერდა რუსული კოლონიალიზმის პირობებში.

ამის მიუხედავად, მესხთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც შეძლო ქართული იდენტობის შენარჩუნება. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში დეპორტირებულთა მიმართ შექმნილი აგრესიული განწყობის, აგრეთვე, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ანტიქართული ძალების ზეგავლენის შედეგად, მესხთა დიდმა უმრავლესობამ თურქული იდენტობა აღიარა. მესხები არაერთგვაროვნად პასუხობენ კითხვას თურას თვლიან სამშობლოდ. ზოგი მათგანის აზრით, სამშობლო არის ის, სადაც აღამიანი დაიბადა და გაიზარდა. ზოგი ფიქრობს, რომსამშობლო წინაპრების მიწაა. მესხთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მათი სამშობლო მთელი საქართველოა, ნაწილის აზრით – მხოლოდ მესხეთი. სხვებს მიაჩნიათ, რომ მათი პატარა სამშობლო მესხეთია, დიდი სამშობლო კი თურქეთი. მესხების უმრავლესობას ამ კითხვაზე ჩამოყალიბებული ლოგიკური პასუხი საერთოდ არ გააჩნია. აშკარაა, რომ სარწმუნოების, ენის, შემდეგ კი მშობლიური მიწის დაკარგვამ მესხებს საბოლოოდ გაუორა ცნობიერება. იმ მიწისადმი სიყვარული, საიდანაც ისინი გაასახლეს, იქცა მათი ჯგუფური ერთიანობის, მათი თვითშენახვის ინსტრუმენტად. ამიტომაც ეს გრძნობა მათში დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ეთნიკური იდენტობა ან რომელიმე სახელმწიფოსადმი კუთვნილება.

სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ თურქ და აზერბაიჯანელ მკვლევარებს. მათი აზრით, დეპორტირებულები საქართველოში უძველესი დროიდან მცხოვრები თურქების შთამომავლებს წარმოადგენენ. რეალობისგან საკმაოდ შორს მდგარი ამ თეზისის დასასაბუთებლად ეს მკვლევარები იძულებულნი არიან ხელოვნურად „დააძველონ“ საქართველოში თურქული ტომების შემოდინების თარიღი, უგულვებელჰყონ თავად დეპორტირებულთა მიერ შექმნილ ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებები, უარყონ დეპორტირებულთა ქართული წარმოშობის დამადასტურებელი უტყუარი ისტორიული და ეთნოკულტურული მონაცემები, მოახდინონ ისტორიული წყაროების ახლებური, ხშირ შემ-

თხვევაში, სრულიად არაადეკვატური ინტერპრეტაცია და ა. შ. ხსენებული მეკლავარების მტკიცებით, საქართველო თურქული ტომების უწყვეტი მკვიდრობის რეგიონია, სადაც ისინი ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ. მე-2 საუკუნეში დასახლებულან, თურქთა შემდეგი ნაკადი საქართველოში მე-6 – მე-7 საუკუნეებში შემოსულა, (ბუნ-თურქები და ხაზარები), შემდეგ კი ოღუზებს და დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებულ ყივჩაღებს „შეუსრულებიათ უზარმაზარი როლი“ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ყოველგვარ მეცნიერულობასაა მოკლებული და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ზემოხსენებულ საუკუნეებში თურქული ტომები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და, თუმცა, საქართველოში მათ შემოსევებს (და არა შემოდინებას) მართლაც ჰქონდა ადგილი, მიწათმოქმედი ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ ქართულ ტერიტორიებზე „დასახლებას“ ისინი მიზნად არც ისახავდნენ. თუმცა, რომც დაესახათ, ამას ვერ შეძლებდნენ, რადგან ამ მიწის მკვიდრი ქართული მოსახლეობის მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ. როგორც წესი, მოთარეშების შემდეგ ეს ტომები სხვა ტერიტორიებს მიაშურებდნენ ხოლმე. თვით აღმაშენებლის მიერ მოწვეული ყივჩაღების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დავითის გარდაცვალების შემდეგ დატოვა საქართველო და თავიანთ თანამომემებს მიაშურა ისტორიული წყაროები სრულიად ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ ზემოხსენებულ საუკუნეებში საქართველოში არ შექმნილა თურქული ტომების დამოუკიდებელი დასახლებები, ამ ტომების ძირითად მასას მოწყვეტილი მცირე ნაწილი კი ქართულ მოსახლეობას შეერწყა და სრული ასიმილაცია განიცადა.

2004 წელს თბილისში გამართულ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე დეპორტირებულთა ერთ-ერთმა შთამომავალმა ენერგიულად გააპროტესტა ქართული მხარის მიერ კონფერენციის მსვლელობისას მათი მისამართით გამოყენებული ტერმინი – „მაჰმადიანი მესხი“.

„ტანში მზარავს, როდესაც ჩემი მისამართით ასეთ გამოთქმას ვისმენ, – თქვა მან, – მე თურქი ვარ და ამით ვამაყოფ. ჩემი დიდი სამშობლო თურქეთია, პატარა კი – მესხეთი. საქართველოდან ხომ ჩვენ თურქებად გაგვასახლეს და არა „მაჰმადიან მესხებად“. ამიტომაც ეს ტერმინი ჩემთვის შეურაცმყოფლად ჟღერს“.

ჩვენს კითხვაზე – რატომ არ მოითხოვს ის თავის სამშობლოში – თურქეთში დაბრუნებას და რატომ სურს დაბრუნება მაინც და მაინც ქრისტიანულ საქართველოში, მან გვიპასუხა, რომ მისი სამშობლო მესხეთია.

„ინგლისელის სამშობლო ინგლისია, ფრანგისა – საფრანგეთი, ქართველის – საქართველო. შესაბამისად, თურქის სამშობლო თურქეთია. შესაძლოა, თქვენი წინაპარი ოდესღაც მესხეთში, ანუ საქართველოში დასახლდა და ეს მხარე მის სამშობლოდაც იქცა, მაგრამ მისი ისტორიული სამშობლო მაინც თურქეთია და არა საქართველო. ამიტომაც, თუ თქვენი მიზანი ისტორიულ ფესვებთან დაბრუნებაა, მაშინ ლოგიკურია, რომ თურქეთში ბრუნდებოდეთ და არა მესხეთში, რომელიც, ამ შემთხვევაში, თქვენი ისტორიული ფესვების ძიების გზაზე „გარდამავალი სადგური“ უფროა. მით უმეტეს, რომ თქვენი იდენტობა თურქულია და არა მესხური, ანუ ქართული. ისე კი, თუ ბოლომდე მივყვებით თქვენს ძირებს, არსად წასვლა არ დაგჭირდებათ, რადგან თურქების თავდაპირველი საცხოვრისი სწორედ ცენტრალური აზიაა, ანუ ის ტერიტორია, სადაც ახლა ცხოვრობთ (ჩვენი ოპონენტი ყირგიზეთიდან გახლდათ),“ – ვუთხარით ჩვენ.

„ჩემი წინაპარი გვარად თურმანიძე იყო“, – გვითხრა ჩვენი არგუმენტებით, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა ოპონენტმა.

„ე. ი. თქვენ აღიარებთ, რომ ქართველი ხართ?“ – ვკითხეთ ისევ.

„არა, ჩემი წინაპრები ოდესღაც ქართველებმა გააქართველეს და გააქრისტიანეს. შემდეგ თურქეთმა კვლავ დაიკავა მესხეთი და ჩვენ ჩვენი ეროვნება და რელიგია დავიბრუნეთ“, – გვითხრა მან.



„ეს როდის მოხდა? გამოდის, რომ მესხეთში ადრე თურქები ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ისინი საიდანღაც მოსულმა ქართველებმა რაოდენობრივად დაჯაბნეს და გააქართველეს?“ – გავვოცდით ჩვენ.

„ეს მე არ მითქვამს“, – საბოლოოდ დაიბნა ჩვენი ოპონენტი.

აი, ასეთი გაუკუღმართებული ლოგიკა აქვთ ადამიანებს, რომელთა ფსიქიკაზეც საუკუნეების განმავლობაში ძალადობდნენ, რომელთა იდენტობასაც საოცრად ამახინჯებდნენ.

საქართველოში დაბრუნებული მესხების დიდი ნაწილი მიდის დასკვნამდე, რომ ხასიათების, წეს-ჩვეულებების მიხედვით ისინი ქართველებს უფრო ჰგვანან, ვიდრე სხვებს. მათი აზრით, თურქებისგან ისინი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან, არაბებისგან – მეტი დემოკრატიულობით, უზბეკებისგან – განსხვავებული კულტურით და ა. შ. რეპატრაციის შემდეგ ისინი ეცნობიან თავიანთ ჭეშმარიტ ისტორიას და ფაქტების შეჯერების გზით, ვისიმე ზეწოლის გარეშე, დამოუკიდებლად მიდიან დასკვნამდე, რომ ქართველები არიან. ასეთ პირობებში ბევრი მათგანის ცნობიერებაში ხდება გარდატეხა – ისინი მასობრივად იბრუნებენ ქართულ გვარებს, ანუ კიდევ ერთხელ იცვლიან იდენტობას.

ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითით ვნახეთ, თუ როგორ არ მოსწონთ თურქული ცნობიერების დეპორტირებულებს ტერმინი „მაჰმადიანი მესხი“. სამაგიეროდ ქართველებს (აგრეთვე, დეპორტირებულთა იმ ნაწილსაც, რომელსაც ქართული ცნობიერება გააჩნია) ალერგიული დამოკიდებულება გვაქვს ტერმინ „თურქი მესხის“ მიმართ. (ამ ტერმინით მოიხსენიებს თავის თავს დეპორტირებულთა უმრავლესობა).

რა არგუმენტები გავგაჩნია ამ ტერმინის საწინააღმდეგოდ?

ჩვენ ვთვლით, რომ ტერმინი „თურქი მესხი“ ნონსენსია. ადამიანი ან მესხი უნდა იყოს, ან თურქი. ორივე ერთად ვერ იქნება. „რაკი ქართველი-თურქი ბუნებაში არ არსებობს, კრემლის პოლიტ-ტექნოლოგიებმაც ჩიხური ვითა-

რების ინტელექტუალური ტალკვესი – დამატებითობის დი-  
ალქტიკური პრინციპი ამოქექქეს თავიანთი ჭკუის კოლოფე-  
ბიდან და ორლესული ტერმინები დააცხვეს: „თურქი-მესხები“,  
„მესხეთელი თურქები“, „ახისკა თურქები“;<sup>5</sup> – წერს ავ-  
თანდილ ჯოხაძე. ანალოგიურ პოზიციაზეა ლავრენტი ჯა-  
ნიაშვილიც: „თურქი არ შეიძლება იყოს მესხი, რადგანაც  
მესხების ტომი ეთნოგენეტიკურად ქართველური სამყაროს  
წევრია, თურქი კი თურქულ-თურქმენულის.“<sup>6</sup> წერს ის.

სხვა არგუმენტი არა გვაქვს. თუმცა, ვთვლით, რომ  
დამატებითი არგუმენტის საჭიროება არც არსებობს, რად-  
გან ეს ერთი არგუმენტი ისეთია – „ქვას გახეთქავს“.

მაგრამ, ჩვენ დიდი ხანია ყოველდღიურ ხმარებაში  
გვაქვს ტერმინები – „ქართველი ებრაელი“, „პოლონელი  
ებრაელი“, „რუსი ებრაელი“ და ა. შ. ამ ტერმინებს არავინ  
აპროტესტებს, რადგან ყველას მშვენივრად ესმის, რომ თი-  
თოეული ამ ტერმინის ქვეშ სრულიად კონკრეტული შინა-  
არსი მოიაზრება. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ებრაელი  
თავისი მენტალიტეტით მნიშვნელოვნად განსხვავდება რუ-  
სი, პოლონელი თუ ისრაელელი ებრაელისგან. „ქართველი  
ებრაელი“ მართლაც სხვებისგან გამორჩეული, განსაკუთ-  
რებული ფენომენია.

თუ სიტყვათა ისეთი შეხამება, როგორც „ქართველი  
ებრაელი“ არ გვეხამუშება, მაშინ რატომ გვჭრის ყურს  
სიტყვათა ზუსტად ასეთივე შეხამება – „თურქი-მესხი“?

ებრაელები საქართველოში თითქმის 27 საუკუნის წი-  
ნათ ჩამოვიდნენ. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილებმა ამ  
ხნის მანძილზე, მართალია, ენა დაკარგეს, მაგრამ ხელუხ-  
ლებლად შეინარჩუნეს საკუთარი რელიგია და ეროვნული  
ცნობიერება. ამასთან, მათ ქართული ხასიათიდან, წეს-ჩვე-  
ულებებიდან და ტრადიციებიდანაც ბევრი რამ შეითვისეს.  
სწორედ ამიტომ არიან ისინი „ქართველი ებრაელები“.

---

<sup>5</sup> დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელია  
(კონფერენციის მასალები), თბ. 2013, გვ. 31.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 68.

მესხებმა მხოლოდ მშობლიური ენა კი არა – სარწმუნოება და იდენტობაც დაკარგეს. დღეს მათი დიდი უმრავლესობა თავს თურქად მიიჩნევს.

აღადმიანი კი იმ ეროვნებისაა, რომელსაც ის ცნობიერებით მიეკუთვნება.

შეიძლება თუ არა, ალექსანდრე კახთა მეფის უმრწემესი შვილი – კონსტანტინე, რომელიც 3 წლის ასაკიდან, ირანის შაჰის კარზე მძევლად მყოფი, მანქურთად აღიზარდა, სამშობლოში კოსტა-მირზად დაბრუნებულმა კი მამა და ძმა დაუფიქრებლად გამოასაღმა სიცოცხლეს და საკუთარი სამშობლოს ირანის პროვინციად გადაქცევას შეეცადა, კვლავაც ქართველად მივიჩნიოთ? ეთნიკურად, რა თქმა უნდა ეს ასეა, მაგრამ ცნობიერებით ის უკვე სპარსია. სწორედ ამიტომ, ამ გაორების გამო, არის ის ქართველი სპარსი. ზუსტად ასევე, ნიკოლოზ დერიუგინი არის ქართველი რუსი (ის კი არადა, ქუთაისელის უნიკალურობის გათვალისწინებით, შეიძლება მას ქუთაისელი რუსიც კი ვუწოდოთ), ანი გიუნტერი – ქართველი გერმანელი და ა. შ.

ახალციხის რაიონში ცხოვრობენ გოროხოვები (ქ. ახალციხე), მარტინენკოები (სოფ. აწყური), შევჩენკოები (სოფ. ფერსა), პანიატოვსკები (სოფ. ურაველი) და ა. შ. მათი წინაპრები რუსეთ-თურქეთის ომების დროს სამცხეში ჩარჩენილი რუსი ჯარისკაცები იყვნენ. სამი საუკუნის განმავლობაში ამ ჯარისკაცთა შთამომავლები პირწმინდად გაქართველდნენ (ამას წინათ ერთმა აწყურელმა მარტინენკომ ჩემთან საუბარში ასეთი რამ სთქვა: „ჩვენ, მესხებს, შემწვნარებლური ხასიათი გვაქვს, სხვათა სიავეს მალევე ვივიწყებთ“). ცხადია, ისინი დღეს ქართველები, მესხები არიან, თუმცა, მათ გენეტიკაში თავიანთი რუსი, პოლონელი, უკრაინელი წინაპრებისგანაც ბევრი რამ შემორჩათ. ეს ღამურას მდგომარეობაა, რომელიც აღარც თავგია და ბოლომდე ჩიტადაც ვერ იქცა (ჩვენს წინაპრებს ტერმინი „ღამურა“ რომ არ შეექმნათ, მას, ალბათ, „ჩიტ-თაგვას“ დაარქმევდნენ).

ასეთ გაორებას არ განიცდის საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქართველი, თურქეთში დაბადებული და გაზრდილი თურქი და ა. შ. მაგრამ ეს პრობლემა აუცილებ-

ლად დგება სხვა ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი უცხოტომელის წინაშე. სახელოვანი მამის შვილი, რეჟებ ჟორდანია, საფრანგეთში აღიზარდა. ის დღეს ქართულად ლაპარაკსაც კი ვერ ახერხებს. მისი პატრიოტიზმიც ფრანგულია. ამასთან, მის ძარღვებში ქართული სისხლი ჩქევს, რის გამოც ბოლომდე ფრანგი ის ვერასოდეს გახდება. თუმცა, ცხადია, „ნამდვილ“ ქართველადაც, ისეთივე ქართველად, როგორებიც საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქართველები ვართ, ვეღარ მივიჩნევთ. ამიტომაც არის ის „ქართველი ფრანგი“ და არა „ქართველი“ ან „ფრანგი“.

ვფიქრობთ, ზემონათქვამიდან სრულიად ნათელია, რომ ტერმინ „თურქი მესხი“ ლეგიტიმური არსებობის უფლება გააჩნია. ამ ტერმინის ქვეშ ის მესხები უნდა მოვიანზროთ, რომლებმაც მხოლოდ წინაპართა სარწმუნოება და ენა კი არა – ეროვნული იდენტობაც დაკარგეს.

დეპორტირებულთა შორის ისეთი მესხებიც არიან, რომლებმაც ეროვნული ცნობიერება შეინარჩუნეს. აი, მათ მიმართ ყველაზე ზუსტი ტერმინი „მაჰმადიანი მესხია“. თუ ტერმინი „თურქი მესხი“ უკვე გათურქებული მესხების დღეს არსებულ მდგომარეობას, ანუ სტატუს-ქვოს აფიქსირებს, ტერმინი – „მაჰმადიანი მესხი“ აქცენტს მათ ეთნიკურ წარმომავლობაზე აკეთებს. ორივე ტერმინი ლეგიტიმურია, ისინი ცალ-ცალკე დეპორტირებულთა გარკვეულ კატეგორიებს აღნიშნავენ და ერთმანეთს ავსებენ.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ დეპორტირებულთა შორის მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არიან თარაქამები (თურქები), ჰემშინები (მუსლიმი სომხები), ქურთები და ა. შ. ამდენად, ეს არის არა ჰომოგენური, არამედ – ჰეტეროგენული ეთნიკური ჯგუფი. ამიტომ არც „თურქი მესხი“ და არც „მაჰმადიანი მესხი“ დეპორტირებულთა მთელი მასის აღმნიშვნელ ტერმინად არ გამოდგება. ასეთ ტერმინად შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ კონფესიური და ეროვნული თვალსაზრისით სრულიად ნეიტრალური ტერმინი – „სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა“. დეპორტირებულთა პრობლემებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში საერთაშორისო ორგანიზაციები დღეს სწორედ ამ ტერმინს იყენებენ და სავსებით მართებულადაც.

**კიდევ ერთხელ ტერმინ “თურქი მესხის” შესახებ –  
რამდენიმე მოსაზრება უ. ბლუაშვილის სტატიაზე  
“კიდევ ერთხელ სამხრეთ საქართველოდან  
დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური  
იდენტობის შესახებ”**

1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის საკითხი დღემდე დამოკლეს მახვილად ჰკიდია ქართული პოლიტიკის მესვეურთა თავზე. დეპორტირებულთა რეპატრაციის გადამწყვეტ ფაქტორად თავიდანვე მათი ეთნიკური ვინაობა განისაზღვრა. ქართული საზოგადოების უმეტესობა ნეგატიურად იყო განწყობილი ქვეყანაში დაებრუნებინათ თურქული ორიენტაციის მრავალრიცხოვანი ჯგუფი, ხოლო მათ მიმართ, ვინც თავს ქართველად (მესხად) მიიჩნევდა, ღოიადობას ამჟღავნებდა. ამდენად, ზემოხსენებული კონტინგენტის ეთნიკური იდენტობის კვლევა სამეცნიერო აქტუალობის გარდა პრაქტიკულ მნიშვნელობასაც არ არის მოკლებული. სწორედ ხსენებულ პრობლემას ეძღვნება უ. ბლუაშვილის სტატია “კიდევ ერთხელ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შესახებ.”

პირველ რიგში, უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ ეთნიკური იდენტობა ფსიქოლოგიურ-პოლიტიკურ კონსტრუქციას წარმოადგენს და არა სისხლით ნათესაობით შეკრულ ერთობას (თუმცა ისტორიული თავგადასავალი და საერთო წარმომავლობა უდავოდ არის იდენტობის კონსტრუირების არც თუ უმნიშვნელო ფაქტორი ლ.ჯ.). უ. ბლუაშვილი იზიარებს ქართულ მეცნიერებაში არაერთხელ გამოთქმულ მოსაზრებას რუსული პოლიტიკის გავლენით მესხთა თურქიზაციის პროცესის დაჩქარების შესახებ. მიმოიხილავს ამ პროცესის ისტორიას, თურქი და აზერბაიჯანელი მკვლევრების მოსაზრებებს სამხრეთ საქართველოში მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესახებ, ცალკეულ დეპორტირებულთა ეთნიკურ სენტიმენტებს, ტერმინი “თურქი მესხის” ეტიმოლოგიას და ა.შ.

ერთგვარ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ავტორის დამოკიდებულება ტერმინი “თურქი მესხის” მიმართ. იგი წერს – “ყოველდღიურ ხმარებაში გვაქვს “პოლონელი ებრაელი”, “რუსი ებრაელი” და ა.შ. და ამ ტერმინებს არავინ აპროტესტებს. რადგან ყველას მშვენივრად ესმის, რომ თითოეული ამ ტერმინის ქვეშ სრულიად კონკრეტული შინაარსი მოისაზრება. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ებრაელი თავისი მენტალიტეტით მნიშვნელოვნად განსხვავდება რუსი, პოლონელი თუ ისრაელელი ებრაელისაგან. “ქართველი ებრაელი” მართლაც სხვებისაგან გამორჩეული, განსაკუთრებული ფენომენია. თუ სიტყვათა შეხამება “ქართველი ებრაელი” არ გვეხამუშება, მაშინ რატომ გვჭრის ყურს სიტყვათა ზუსტად ასეთი შეხამება – “თურქი მესხი”?”.

ბატონ უჩას საკმარისად არ მიაჩნია ჩემგან მოტანილი არგუმენტი, რომ თურქი არ შეიძლება იყოს მესხი, რადგან მესხების ტომი ეთნოგენეტიკურად ქართული სამყაროს წევრია, ხოლო თურქი კი – თურქულ-თურქმანულის და თვლის რომ – “ტერმინ “თურქ მესხს” ლეგიტიმური არსებობის უფლება გააჩნია. ამ ტერმინის ქვეშ ის მესხები უნდა მოვიაზროთ, რომლებმაც მხოლოდ წინაპართა სარწმუნოება კი არა – ეროვნული იდენტობაც დაკარგეს... მათ მიმართ კი, რომლებმაც ეროვნული ცნობიერება შეინარჩუნეს, ყველაზე ზუსტი ტერმინი “მაჰმადიანი მესხია”. თუ ტერმინი “თურქი მესხი” უკვე გათურქებული მესხების დღეს არსებულ მდგომარეობას, ანუ სტატუს-ქვოს აფიქსირებს, ტერმინი “მაჰმადიანი მესხი” აქცენტს მათ ეთნიკურ წარმომავლობაზე აკეთებს. ორივე ტერმინი ლეგიტიმურია, ისინი ცალ-ცალკე დეპორტირებულთა გარკვეულ კატეგორიებს აღნიშნავენ და ერთმანეთს ავსებენ (ხაზი ჩემია ლ.ჯ.)”.

მინდა აღვნიშნო, რომ ავტორის ხსენებული დებულება დაინტერესებულ სამეცნიერო საზოგადოებას საშუალება აძლევს კიდევ ერთხელ მოახდინოს კონცენტრირება დეპორტირებულთა პრობლემაზე. განსხვავებული მოსაზრებების არსებობის პირობებშიც, კეთილგანწყობილი პოლემიკა მხოლოდ ხელს შეუწყობს ჭეშმარიტების დადგენას. უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა ტერმინი უპირატესად გარკვეული შეთანხმების პროდუქტს წარმოადგენს და შინაარსობ-

რივად შეიძლება არაადეკვატურადაც გვეჩვენებოდეს (მაგ “თურქი მესხი” ლ.ჯ.). უდავო ფაქტია ისიც, რომ ზემოხსენებულმა ტერმინმა ფართოდ მოიკიდა ფეხი სხვადასხვა წრეებში. თუმცა, ეს არ გვართმევს უფლებას ვიმსჯელოთ რამდენად შეესატყვისება იგი აღნიშნულ კონტექსტს. ქვემოთ მოვიტან რამდენიმე არგუმენტს, რატომ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ტერმინი “თურქი მესხის” დამკვიდრება.

I. დეპორტირებულ კონტინგენტში არსებული ჯგუფების ეთნიკურობის განმსაზღვრელად ”თურქი მესხის” და ”მაჰმადიანი მესხის” გამოყენება ნიშნავს, რომ ერთიდაიგივე კატეგორიის ჯგუფების აღსანიშნავ ტერმინებში, ზოგჯერ ეთნიკურობის აღმნიშვნელ სიტყვას, (”თურქი”) ვიყენებთ მსაზღვრელად, ზოგჯერ კი კონფესიის აღმნიშვნელს (”მაჰმადიანი”). გამოდის, რომ **”თურქი მესხი” = თურქს**, ხოლო **”მაჰმადიანი მესხი” = ქართველს**. გაუგებარია რატომ ახდენს (”მაჰმადიან მესხში”) მაჰმადიანობა აქცენტს ქართულ (საერთოდ რომელიმე ეთნიკურ) წარმომავლობაზე. მაშინ სიტყვებში – ”ბუდისტი”, ”ქრისტიანი”, ”კრიშნაიტი” და ა.შ უნდა ამოვიცნოთ ვინ არიან ისინი წარმომავლობით. პრობლემა უფრო ადვილად გადაიჭრება თუ მათ, ვინც თავს თურქად მიიჩნევს – თურქს ვუწოდებთ, ხოლო ვინც ქართველობს – ქართველად/მესხად მოვიხსენიებთ.

II. მართალია ტერმინი ”თურქი მესხი” გვხვდება ოფიციალურ დოკუმენტებში (თვით ევროსაბჭოშიც), სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის გამოცემებში და ნარკვევებში, მაგრამ იგი მისაღებად არ მიაჩნია დეპორტირებულთა არც ერთ ჯგუფს. რეპატრიანტთა უმეტესობა თავს ქართველს/მესხს უწოდებს, თურქული ორიენტაციის მიმდევრები კი თვითსახელად ხმარობენ: “ahiska türkleri” (ახალციხელი თურქები) “ahiskalilari” (ახალციხელები) ან “bizim şennik” (ჩვენი ხალხი).

III. ნიველირებულია განსხვავებული ეთნიკური ტერმინები – “თურქი” (ეთნოსი) და “მესხი” (ეთნოგრაფიული ჯგუფი). მოტანილი მაგალითი ქართველი ებრაელის შესახებ ვერ გამოდგება. “ქართველი ებრაელი” ისევე, როგორც “რუსი ებრაელი”, “გერმანელი ებრაე-

ლი” და ა.შ.. შინაარსობრივად აღნიშნავს ეთნიკურ ებრაელს. რომელიც დაიბადა და გაიზარდა საქართველოში, გერმანიაში, რუსეთში და ა.შ. თუმცა, ყველა შემთხვევაში ეთნიკურობა მკაფიოდაა განსაზღვრული და თითოეული მათგანის ებრაელობას არც ცალკეული ინდივიდის და არც ჯგუფის დონეზე ეჭვქვეშ არავინ აყენებს. ე.ი. უეჭველია მათი მიკუთვნებულობა ებრაელი ეთნოსისადმი. სხვა საქმეა სად დაიბადა და გაიზარდა იგი. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს ორი თანაბარი დონის ეთნიკური ერთეულის “ეთნოსის” აღმნიშვნელი ტერმინის შეწყვილებას. ებრაელები, გერმანელები, პოლონელები და რუსები ეთნოსები არიან. ებრაელების შემთხვევაში “თურქი მესხის” ანალოგი იქნებოდა რომ ვამბობდეთ – “ქართველი ლახლუხები”, “ქართველი აშკენაზები”, “ქართველის სეფარდები” და ა.შ. ამგვარი ტერმინები კი არ გაჩენილა. აწყურელი მარტინენკოს, ახალციხელი გოროსოვის და ურაველელი პანიატოვსკის შემთხვევაშიც ოპონენტი ყოველთვის ასახელებს ეთნოსს (რუსი, უკრაინელი, პოლონელი), მაგრამ არც ერთხელ – ეთნოგრაფიულ ჯგუფს (პომორიანი, სლენზანი, ვისლიანი, მაზოვშანი და ა.შ). პანიატოვსკის წინაპრები პოლონელები იყვნენ და მას შეიძლება “ქართველი პოლონელი” ვუწოდოთ (ვფიქრობ უფრო სწორია ქართველი/მესხი ლ.ჯ.) მაგრამ ხომ არ ვამბობთ რომ იგი “ქართველი მაზოვშანია”?! ასევე ვერ ვიტყვით ანი გიუნტრზე, რომ იგი “ქართველი შვაბი” ან “ქართველი ფრანკია”, ხოლო რეჯებ ჯორდანიასზე – რომ იგი “ფრანგი გურულია”. როგორც მხოლოდ ებრაელის აშკენაზობაზე ან გერმანელის შვაბობაზე ვსაუბრობთ, ზუსტად ასევე, მხოლოდ ქართველი ეთნოსის წარმომადგენლის მესხობაზე, გურულობაზე, იმერლობაზე, კახელობაზე, ფშაველობაზე და ა.შ. შეიძლება საუბარი.

IV. ტერმინი “თურქ მესხი” ვერ გვაძლევს ვერავითარ წარმოდგენას რომელ იდენტობას, თურქულს თუ ქართულს, აკუთვნებს თავს ამ ჯგუფის კონკრეტული წარმომადგენელი. ამ სრულიად შეუსაბამო სახე-




ლით ერთნაირად მოიხსენიებენ მათ ვინც თავს თურქად მიიჩნევს და მათაც ვისაც ეჭვი არ ეპარება საკუთარ ქართველობაში.

V. აღსანიშნავია ტერმინის ფორმირების ისტორია. სადავოდ არავის გაუხდია ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ "თურქი მესხი" ეთნონიმის სახით გასული საუკუნის 60-70-იან წლებამდე არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც საარქივო მასალაში არ გვხვდება. როგორც ჩანს, იგი 60-იან წლებში შეიქმნა და დეპორტირებულთა ლიდერებს შორის განხეთქილებას ასახავს. იმ ხანებში დეპორტირებული საზოგადოება გაითიშა პროქართულად (მესხები) და პროთურქულად (თურქები). როგორც ჩანს, ეს განხეთქილება (და თავად ტერმინის წარმოქმნაც) საბჭოთა უშიშროების მიერ იყო პროვოცირებული, რათა არ დაეშვათ დეპორტირებულთა "ქართველობის" იდეის ირგვლივ გაერთიანება.

VI. ყურადღება უნდა გამახვილდეს კიდევ ერთ ასპექტზე. რუსეთის ცარიზმისა და მოგვიანებით საბჭოთა ეთნიკური პოლიტიკა მიმართული იყო ქართული ეთნიკური ორგანიზმის დანაწევრებისაკენ. ამ მიზნით ეთნოგრაფიულ ჯგუფებს: იმერლებს, მეგრელებს, მესხებს, გურულებს, სვანებს, ხევსურებს და ა.შ. განიხილავდნენ არა ქართულ ეთნოსში შემაჯავალ, არამედ – ცალკე ეთნიკურ ერთეულებად. ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. ზოგიერთი არაქართველი მკვლევარი მიიჩნევს, რომ "თურქი მესხები" ეთნიკური იდენტობის ფორმირების გარკვეულ საფეხურზე არიან. ე.ი შეიქმნება ეთნოსი, სახელად "თურქი მესხები". ამასთან, საერთოდ უარყოფილია მესხების კავშირი ქართველებთან. ასე რომ, მალე შეიძლება ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის, მესხების, არაქართულ კონტექსტში მოხსენიება და თურქულ ერთობასთან მათი გაიგივება ჩვეულებრივი ამბავი გახდეს. თავად უ. ბლუაშვილიც წერს, რომ "მესხები" თურქი და აზერბაიჯანელი მკვლევრების მიხედვით საქართველოში უძველესი დროიდან მცხოვრები თურქების შთამომავლებს წარმოადგენენ. შეიძლება ითქვას უფრო მეტიც, მათი თეორიით მარტო გათურქებული მესხები კი არა,

აჭარლები (თურქული ტომის “მაჯარების” შთამომავლები) და გურულებიც თურქები არიან. ”Название примыкающей к Месхетии области Грузии Гурия также явно связано с гунно-булгарской группой племен, о чем свидетельствует этнический компонент “гур”, что означает “страна (о) гуров”. Также с гурами связаны названия сел Азгур (по-груз. Ацкури) в Месхетии (Ахалцихский район) и Ацкури около г.Телави. Именно в этом регионе в IV-VI вв. действовали и проживали упоминавшиеся сабиры. (Ариф Юнусов Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Центральная Азия и Кавказ 1999№2)”

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე უნდა აღვნიშნო, ერთი პოზიტიური ტენდენცია. ამ ბოლო ხანებში, ქართული მედია საშუალებები სულ უფრო ხშირად იყენებენ შედარებით ნეიტრალურ ტერმინს – ”მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობა”. მათ კი ვინც თავს ქართველად თვლის მესხს უწოდებენ. მე ვფიქრობ, ეს სწორი მიდგომაა. ტერმინი ”თურქი მესხი” ბოლოს და ბოლოს დავიწყებას უნდა მიეცეს!



*რედკოლეგისაგან: ძვირფასო მკითხველო, ქართული საისტორიო მეცნიერების უახლესი მიღწევების პოპულარიზება დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. საზღვარგარეთელი მეცნიერების შრომებში ჯერ კიდევ ბევრია შეცდომა და ფალსიფიკაცია. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენი ნაშრომები ძირითადად ქართულ ენაზეა, ხოლო მცირე მოცულობის რეზუმეები ვერ უქმნის საზღვარგარეთელ მკითხველს სრულ წარმოდგენას ქართულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე საინტერესო პროცესებზე. რედკოლეგიამ გადაწყვიტა შემოიღოს ახალი რუბრიკა – „თარგმანები“, რომელშიც დაიბეჭდება ძირითადად სრულყოფილად ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ქართველი ისტორიკოსების სტატიები და წერილები. ეს ხელს შეუწყობს ქართული საისტორიო აზრის პოპულარიზაციას მსოფლიოში. ამჯერად გთავაზობთ პროფ. მ. სამხონაძისა და პროფ. ა. დაუშვილის, სხვადასხვა დროს, ჩვენს კრებულში ნაბეჭდილი ნაშრომების ინგლისურ ვერსიებს.*

**ALEKSANDRE DAUSHVILI**

**APOSTOLIC “PENTATEUCH” OF “COMRADE  
EPIFANTSEV” AND THE HISTORY OF THE  
UNITED GEORGIA**

For two years already a certain “Comrade Epifantsev”, sitting comfortably before a computer has been amusing himself with the history of Georgia. I would like to specially mention the circumstance that his last year’s opera were more annoying, stinging and “argumentative”. The Georgian historians gave exhaustive answers to them, exposing the author’s lies, falsification of facts, unbridled chauvinism (see mag. “Annalebi” 2009, No 4 and also on the Internet site: [www.annalebi.ge](http://www.annalebi.ge)). This year he presented his new work to the Internet as-

sociation “Pentateuch” – “National Outlying Districts of Georgia. Conditions of Disintegration”.

In spite of the fact that this work is apocalyptic and the author asserts that conditions for the disintegration of the united Georgian state have already been created, that this process has already ripened historically, and the beginning of its realization was laid by the five-day war of 2008, these opera did not cause my annoyance. About the reason we will speak below. Simply some ideas arose which I want to present to the Internet association. Let them think about them, assess my arguments and in this way let us expose the real face of “Comrade Epifantsev”.

We will try to formulate our thoughts theoretically, methodologically and analyze the arguments of “Comrade Epifantsev” and expose the defects, real aims and tasks of his opera.

Let us begin with the following: I am a historian by profession, I have been doing the scientific research work since 1974, I am the author of several monographs on the newest history of Georgia, I have experience of working in archives and the book depositories of Georgia and Russia possess a large personal archive, concerning the Russian-Georgian relations.

Now let us get acquainted with our opponent – “Comrade Epifantsev”. As the autobiography, placed in the Internet, says he graduated from the prestigious Moscow State Institute of International Relations – MSIIR (a traditional smithy of the sons and grandsons of the party nomenclature, cheeked by CSS (KGB), later he improved his knowledge in one of the universities of the USA. Excellent, but it is interesting why, with such a “store” of knowledge he is not somewhere in Brazil, Bolivia or Madagascar an ambassador, an attaché or a consul at least?

Yes, yes, dear sirs! He was rejected! He has no work! It should be noted that it is not mentioned at any stage of his “enlightenment” that he studied orientalism, the Caucasus or Kartvelology. He did not study the typology of Caucasian languages, the stages of the development of the Caucasian peoples, the specificity of the history of Georgia. In this case what makes him and who insists that with such superficial knowledge “Comrade Epifantsev” should sit at the computer and with the industry of a graphomaniac, obviously with the wicked

zeal of a toothless old woman he should concoct vile lampoons and opera about the history of Georgia?

Of course, a keen eye will notice at once that he is helped, provided with information (otherwise how should he know what was printed in the Georgian press in 1989? He does not know the Georgian language, does he?! As for the suitability of these sources, we will speak about them below). The only thing he learned in his higher educational institutions is hatred for the people who dared to oppose the geopolitical interest of Russia, or wanted to leave the orbit of Russia's influence. There is a rich arsenal of formal logic for it at his disposal. Deceiving unacquainted with the truth readers, he creates illusion that he himself is a connoisseur, knows all the details, components and like a good oracle can foresee even the historic fate of the people he hates.

We will finish the talk about "Comrade Epifantsev's" person with the fact that he was not considered a professional by Mister Lavrov's department, and it must be said that it was a just conclusion, for this bad diplomat might have courted disaster on Russia somewhere abroad. That is why he was put at the computer at home.

What is the methodology of "Comrade Epifantsev" like? No, it is not a historical materialism and not an all-embracing theory of the proletariat's internationalism, understood in the Russian manner. It is the heart and mind of the Russian chauvinist nationalist filled with hatred and spite who is sitting by a broken tub and cannot bear the fact that his "clever" compatriots destroyed the united and indivisible Soviet empire.

And now let us turn to business. "Comrade Epifantsev" begins his Pentateuch with the assertion that Georgia is a "mini-empire", and that Academician A. Sakharov, a Nobel Prize winner, a well-known dissident, defender of human rights spoke about it as early as in 1989. Armed with such an "argument", Epifantsev thinks that everybody must believe and agree with Sakharov's opinion of Georgia's being a mini-empire. But why? Acad. A. Sakharov was a physicist, a specialist of nuclear physics. He was neither a historian, nor a political expert, besides rather infantile and guided (by his wife). He made mistakes too – for instance, creating hydrogen bomb for the totalitarian regime – a fateful mistake on his part. If he committed a mistake once,

why he could he not be mistaken once more – while defining Georgia as a “mini-empire”?

And “Comrade Epifantsev” in his opera presents the definition of the empire from a Large Juridical Encyclopedia: “Empire is a type of the state before a national state appeared. A large state, including the territories of other peoples and states”. I do not know why “Comrade Epifantsev” takes the definition of the term from the juridical dictionary (to be exact, I know; how it is possible not to know, this definition answers his interests, aspiration to use it in connection with Georgia), of course it would have been more suitable to present the definition of the term from historical dictionaries, political reference literature. Let us begin with definitions...

We will offer the reader definitions of empire from various sources that are far from one another by a large interval of time.

“Empire is the name of large monarchist states of the ancient (Roman, etc.) and the new time (British, etc.); the characteristic features of the empire are the predatory policy (emphasized by us – A.D.), oppression and exploitation of subordinated and dependent peoples (A Brief Dictionary of Foreign Words, M., 1950. p. 132).

The Georgian Soviet Encyclopedia points out: “Empire is 1). A monarchistic state whose head has the title of an emperor ... 2). A large colonial state... “(G.S.E.), vol.5, 1980. p. 118). There is such a definition as well: “Empire 1). A monarchistic state headed by an emperor. 2). A colonial state that established its domination on her colonies and dependent countries, preserving and supporting its power by the system of oppression and cruel exploitation (a Brief Political Dictionary, M., 1983, p.113).

The Modern universal Russian “Wikipedia” defines it as follows: Empire – one of the types of a state alongside a national state. It differs from the latter by the following: it does not aspire to form a nation within its borders and institutes the ethnic, linguistic and social-political variety, existing within its borders”. The English Wikipedia points to the following, concerning the same question: “Empire – it is a state which from the political and military point of view dominates upon the population that culturally and ethnically differs from the imperial (ruling) ethnic group and its culture, different from the federation in which autonomous states and peoples are voluntarily united”.

Any historian, having any connection with a real empire in his scholarly work will agree that among all these definitions the essence of the matter is presented most precisely by the dictionary, compiled in 1950 in which the following is accentuated “Predatory policy is characteristic of the empire”. Predatoriness, forcible conquest – this is the basic and characteristic feature of an empire.

Now, let us deal with other features of the empire. According to that very same Russian “Wikipedia”, the defining features of the empire are as follows: a mighty army and police; great international influence; a strong national idea (religion, ideology); a cruel, as a rule, an individual government; high loyalty of the population; active foreign policy, directed to expansion, aspiration to regional or world domination.

Historians and political experts will agree that mainly these are the features that suit the definition of the empire and the role that the given phenomenon has played in the development of the world civilization.

Historians and political experts will agree that mainly these are the features that suit the definition of the empire and the role that the given phenomenon has played in the development of the world civilization.

It is desirable that the reader should once more pay attention to the characteristic features: “Predatory policy is characteristic of the empire”, and an active foreign policy, directed to expansion”. Let us see when, at which stage of its history, Georgia answered these necessary requests.

The one who knows the history of Georgia even superficially will agree that such tendencies in her history have not been noticed for a long time. From the time immemorial (pointed by the Georgian, Armenian, Arabian, Byzantine, etc. sources) Georgia was mainly situated on the territory which she occupies today (the interested reader can receive the detailed information about it from the “Atlas of the History of Georgia”, Tb. 2003. The Atlas is compiled on the basis of the Georgian, Armenian, Greek, Arabian, Byzantine, Russian sources, the chief editor and one of the authors of the Atlas is Academician David Muskhelishvili. As for the Atlas, it is also kept in the Moscow V.I. Lenin Library).

As a result of the development of feudal relations in Georgia from a definite period (9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries – this is corroborated by documents) the term “Georgian” (Kartveli) acquires a cultural-political content, it can be said that from this moment it becomes a common feudal-national concept and from this point of view is essentially in the similar relation with such ethnographic concepts as Meskhi, Kartlian, Megrel, Svan, Tushi, Dvali, Abkhaz, etc. Thus, the “Georgian”, from the Feudal-cultural point of view also embraced the above-enumerated ethnographic groups organically, as the term “Georgian” – the respective territorial units. And this did not happen by means of violence and conquest, but it was the result of immanent social-economic and cultural processes.

There is no doubt that in the epoch when Georgia was a powerful state her territories increased. In the period of great David the Builder and Queen Tamar (12<sup>th</sup> cent.) Georgia really controlled the whole of Transcaucasia and a considerable part of the North Caucasus. After the Armenian statehood was abolished by the Byzantines (11<sup>th</sup> cent.) ravaged Armenia, seized by Seljuks was bleeding. At the request of the Armenian population David the Builder liberated Ani, the capital of the Armenians and joined it to his state. In the times of David’s successors Georgia’s vassals were also the Mohameddan rulers of Transcaucasia. However, after the Mongols’ invasion, especially after Tamerlane’s eight invasions (14<sup>th</sup> – the turn of the 15<sup>th</sup> c.) Georgia disintegrated. Especially ravaged was the southern part of the country – Kvemo (Lower) Kartli (this has been the name of the given territory since the time immemorial and this is its name today as well. It causes great annoyance of “Comrade Epifantsev” and his friends) – contemporary Marneuli, Bolnisi, Dmanisi, Tsalka districts. In this region the Georgian population was physically exterminated, the towns and villages turned into ruins. By the end of the 15<sup>th</sup> century Georgia disintegrated into three kingdoms and four principalities (there is nothing surprising about it; Germany was divided into 30 small states in the 19<sup>th</sup> century). However, even the dismembered Georgia preserved her special geo-strategic position; the passes of the Caucasus belonged to her.

As early as in the time immemorial, in the period of people’s great migration wild tribes of nomads crossed these passes and robbed and destroyed the rich towns of Byzantium and Persia. The Georgian



rulers used these forces in their political interests. Possessing the passes, Georgia always preserved the leading part and influence in the region. It was this unique geostrategic position of the country that attracted the attention of all kinds of big and powerful states which, aspiring to get hold of these passes, tried to destroy the Georgian population physically and settle there the ethnic groups, loyal to them. When Byzantium that had been trying for centuries to take possession of Western Georgia (Abkhazia, the Black Sea littoral) disappeared from the historical arena the Osmanli Turkey occupied its place and did her best to seize Abkhazia and the Black Sea coast, to destroy the local population or make it adopt the Mohammedan faith (it is a complicated, but not the aim that cannot be achieved – the oldest Christian states: Syria, Egypt, Byzantium became Mohammedan countries).

The powerful Moslem conquerors managed to realize this task partially in the South and South-Western Georgia: more successfully in Samtskhe Javakheti than in Achara – here the population retained the native language and Georgian surnames. Therefore the thesis of “Comrade Epifantsev” that Georgians easily adopt the Mohammedan faith is rather irrelevant.

The process of oppressing Georgians became stronger when Russia appeared in the region and the Georgians turned their look towards the coreligious country. The shahs of Iran started deporting the Georgians from the country and settling the nomad Mohammedan tribe of Turkmens in their place. The latter were fully annihilated during the Kakheti uprising in the 16<sup>th</sup> century. In the 17<sup>th</sup> century Shah Abbas I settled the Turkmen tribe of Borchalu in Lower Kartli.

As a result of the attacks of Iran and Turkey some regions of Georgia were lost. So the cradle of the Georgian civilization – Tao-Klarjeti appeared in the hands of Turkey.

By this time Russia strengthens her influence in the North Caucasus more and more and tries to expand the borders of her domains to the south. The rulers of Russia calculated exactly that Georgians could assist them in this case. It was Tsar Aleksei Mikhailovich who was most active with this purpose (see about it in greater detail in the articles of M. Samsonadze and A. Bendianishvili in the same collection).

The Georgian kings, at first cautiously, and then more actively supported the aspiration of the Russian monarchs and finally con-

cluding the so called Georgievsk treaty was decided between Erekle II and Catherine II. Let us have a short rest here. . .

It is obvious from the above-said that the hegemony of Georgia in the region lasted only a century. After this the history of Georgia is a history of a permanent fight for physical survival, for defending Christian faith and for restoring the integrity of the country. Unfortunately, due to objective reasons, the political elite of Georgia, unlike that of the 8<sup>th</sup> – 11<sup>th</sup> centuries was unable to find the inner, cementing strength to restore the territorial integrity with their own forces (Irakli II managed to unite only Kartli and Kakheti, there were attempts of uniting other parts too, but unsuccessfully). Thus, the nation dismembered and fighting for physical survival it could not have imperial ambitions: it did not have either material or spiritual resources for it.

The Georgievsk treaty raised hopes that Georgia would revive with Russia's help... the more so as one of the points of the treaty meant that "in case of war with external enemies Russia would take care of returning the domains, lost by Kartli and Kakheti". Thus, according to the treaty, the Russian tsars promised to the Georgian rulers and the Georgian people that they would help them in the matter of returning historic territories – let us remember this thesis well.

However, it goes without saying that the Russian emperors did not fulfil the terms of the Georgievsk treaty, deceived the Georgians, left them face to face with the enemy in various wars and in 1795 the ferocious shah of Iran burned and destroyed Tbilisi. After this Russia easily achieved its aim and in 1801 joined the Eastern Georgia, and then its other parts to the Russian Empire. Later on they conquered Samtskhe-Saatabago – the southern province of Georgia. As a result of the Russian-Turkish war Russia won over Georgia's historic territories Tao-Klarjeti (also Armenia's territories, seized by Turkey, were joined).

Let the readers forgive us, but we needed this historical excursus to show that after the 13<sup>th</sup> century the rulers of Georgia and the Georgian people had to spare no effort for physical survival. Where, when, how could the Georgians retain, develop imperial consciousness when they systematically had to manoeuvre because of ungovernable claims of powerful and ferocious neighbors.

We have mentioned what features are characteristic of an empire. We ask "Comrade Epifantsev" to name even one of them. Kartli

and Kakheti were united by a different (dynastic) way. Imereti was also joined by a peaceful way, but due to a subjective factor the question remained open. It was Russia that joined Guria, Samegrelo, Imereti, Abkhazia, but she included them into the Kutaisi Gubernia, and by this emphasized that she still remembered the so called “separate”, i.e. secret articles of the Georgievsk treaty (that the Russian government and its officials in the middle of the 19<sup>th</sup> century still remembered very well which “components” the concept “Georgian” consisted of, about this see the quotations from “The Collection of Articles of the Statistic Information about the Caucasus”, vol. I, Tf., 1869, p. 23, offered to the reader in our collection of works).

The development of Imperial thinking needs enormous resources and a powerful propaganda apparatus, let us remember the given process on the example of the Russian empire, did Russia have imperial thinking in 1613? Of course, not. She had a conqueror’s consciousness (the Nation that has in everyday practice the name Vladimir and the names of cities – Vladivostok, Vladikavkaz cannot be peace-leaving) (be master of the world, be master of the East, be master of the Caucasus).

Only after Peter I managed to mobilize the material and spiritual resources of the state, waged successful predatory wars (let us remember the famous “testament of Peter I”), and his successors developed the old predatory consciousness into a new imperial consciousness, the result was the mixture which we already saw by the beginning of the 20<sup>th</sup> century. The Russian Bolsheviks and Josef Stalin to these two added the third – the Bolshevik – communist – Messianistic ideology and the praised Russian predatory autocratic imperial ideology was received. It was beautifully disguised by “the paternal care for small peoples”.

Tell us. “Comrade Epifantsev” where you see such layers in the history of Georgia of the 14<sup>th</sup> – 17<sup>th</sup> centuries? It was deprived of all this, was it not? As it turns out the common Caucasian state, created by David the Builder was not an empire, for in the battles against the enormous coalition of Mohammedan countries in Didgori in 1121, in Shamkori in 1195, in Basiani in 1202 where factually the fate of Georgia’s existence was decided Mohammedans of Derbent and Shirvan fought side by side with the Georgian Christian troops. The country, surrounded by the empires (Turkish, Iranian, Russian), tho-

ught only of its own physical survival, dreamed of national consolidation. There were no more material or spiritual resources for the formation of an empire. Really if even anything of imperial aspirations remained in Georgia they were burnt with fire and sword first by Mongols, then by Persians, then Turks and North Caucasian nomads, and in the 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries by Russians (this does not need great proofs: a considerable part of the Russian society within only twenty years fully lost the ideology of the “proletarian-socialist internationalism” and became a supporter of the fascist ideology against which their ancestors had fought so fervently at the cost of great sacrifice. Today one will surprise nobody by the fact that a Russian youth can beat an African student to death or cut the throat of a Caucasian only because he is not Russian and has a different colour of the face).

In the 19<sup>th</sup> century Georgia was divided into two gubernias and several districts. The Russian administration constantly prevented Georgia’s consolidation. (“Comrade Epifantsev” reveals bad knowledge of the philosophy of history in this case too – the consolidation of the state differs from the imperial ambitions. The existence of the state is impossible without consolidation, it cannot become monolythic and powerful. All the states have passed this process. Some in Middle Ages (France, England), others in the 19<sup>th</sup> century (Germany, Italy), there are examples even at the beginning of the 20<sup>th</sup> century (Poland, Yugoslavia).

The representatives of Russia’s state power settled Greeks, Armenians, Dukhobors – in the south, in the territories free from population; in Abkhazia they settled Greeks, Estonians, and in Kvemo Kartli – Germans, Molokans, etc.

In the Caucasus the Russians needed such incorporation that should guarantee the stability of the southern frontiers and should neutralize the liberation movement of North Caucasian peoples, that could create serious problems to the real Great Russian Empire of the Romanovs, turned really to the “prison of peoples”. New settlers, of course, studied the Russian language, and the Russian-speaking population became defenders of Russia’s interests in Georgia and the Georgian interests did not worry them.

The national consolidation as has already been said before is a necessary process for any state. It is difficult to imagine the establishment of a normal state formation without this process. It is consoli-

dation that must strengthen, regulate the relations between the center and regions, create a homogeneous (and not a mononational) society that can optimally solve the tasks that appear before it, create conditions of the social economic development. A common language is necessary for realizing great tasks and aims. The Bible says that when God Sabaoth noticed the people's desire to realize a great aim (to build the tower of Babel) he confounded their languages in order to prevent them from achieving their aim.

As we see Georgia not only was a mini empire it even theoretically could not be one. To declare Georgia an empire or even a mini empire it is necessary to prove that the Georgians at some time conquered the territory of Abkhazia. In reality history does not know such a fact. The territory of Abkhazia was primarily part of the Georgian (Colchis) statehood let alone Shida Kartli (Inner Kartli) which was the cradle of the Georgian statehood.

Now let me pass to practical questions and check the validity and the historic justice of "Comrade Epifantsev's" concrete arguments.

As the author asserts Georgia is on the verge of disintegration and this is assisted by the political elite: the Armenians, Megrels, Ajarians and Azerbaijanians.

Let us begin from the beginning:

1. Armenians. Armenians have been living in Georgia since the Antique period. This is corroborated by historical sources. However, the Armenians settled in Georgia at various times and for various reasons. Perhaps "Comrade Epifantsev" will consider it his own mistake, but in one place it "escaped" him that there is some antagonism between the Javakheti Armenians and Tbilisi Armenians, that "the Tbilisi Armenians do not resemble the rest of them, they are apolitical and separated, much more involved in the Georgian life", they differ from the Javakheti Armenians, do not sympathize with them in "separatist inclinations, do not worry about their fate" and so on and so forth (see "Comrade Epifantsev's" opus No 3, p.8).

კარგია, რომ ბატონი ავიძბა გულწრფელად საუბრობს აფხაზური ეთნოსის წინააღმდეგ ჩადენილ დემოციდზე, რეპრესიებსა და მათ წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლიან ხოცვა-ჟლეტაზე, „მუჰაჯირობაზე“ და აფხაზური ეთნოსისათვის მის დამანგრეველ შედეგებზე. მაგრამ იგი ბოლომდე გულწრფელი და გულდია მაინც არ არის. იგი განყენებულად საუბრობს და საგნებსა და მოვლენებს თავის სახელს არ არქმევს. ავიძბა მორცხვად სდუმს და არაფერს არ ამბობს იმაზე, თუ ვის მიერ იქნა ორგანიზებული და განხორციელებული სკვით-სარმატული მოდემის ველური მომთაბარეებისათვის დამახასიათებელი ეს ბარბაროსული, არაადამიანური ქმედებები... შემთხვევით, რუსების მიერ ხომ არა? იქნებ ქართველების მიერ? ან იქნებ საიდანღაც მოსული ვირტუალური სისხლისმსმელი ბოროტი ძალების მიერ?...

შევცვლით დასმული კითხვების ხასიათს და მათ ასე წარმოვადგინოთ: რომელმა ქვეყანამ და სახელმწიფომ აღიარა ოფიციალურად ცარისტული რუსეთის მიერ განხორციელებული ჩერქეზთა გენოციდი, შემთხვევით – საქართველომ ხომ არა? ან, იქნებ დღევანდელმა „თავისუფალმა და დემოკრატიულმა“ რუსეთმა?...

რას იზამ, პატრონებს მორჩილი და ერთგული ლაქიები სჭირდებათ.

კიდევ ერთი რუსი „მეცნიერი“, ალექსანდრ ბორისოვიჩი შიროკორადი თავის ისტორიულ ოპუსში „Грузия. Закавказский тупик?“ ზემოთ მოყვანილი ზუბოვის სტილში „თხზავს“ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს, სადაც ვკითხულობთ: „Откуда взялись грузины?“

Прежде чем ответить на этот вопрос, следует заметить, что в образованную в 1936 г. Грузинскую ССР вошли несколько народов и народностей. А само название Грузия появилось лишь в XVI веке. Однако для удобства читателей я буду условно называть территорию на которой в 1936 г. искусственно создали Грузинскую ССР, Грузией” [5, 3].

აქაც „ველიკორუსულ დერჟავული” იდეოლოგიის თვალსაჩინო ნიმუშთანა გვაქვს საქმე. წარმოდგენილ „ნაშრომში” აფხაზეთის ისტორია ისეა დახატული, რომ აფხაზეთი, საქართველოს ერთ-ერთი მრავალთაგანი კუთხე, თითქოს მუდმივად ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი არ ყოფილა, მასში ქართველები არასდროს არ ცხოვრობდნენ, და საუკუნეების განმავლობაში ქართველები მხოლოდ და მხოლოდ აფხაზთა დარბევებითა და ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დაკავებულნი. ხოლო აფხაზური ეთნოსის, როგორც ასეთის, გადარჩენის საქმეში, გადამწყვეტი როლი კაცთმოყვარე და ქრისტესმიერი სათნოებით აღსავსე რუსულმა სახელმწიფომ და რუსებმა ითამაშეს. ამ პროცესებმა კი, თურმე, განსაკუთრებული ძალით სწორედ პირველი ქართული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იჩინეს თავი.

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს იდეოლოგია დღესაც წარმოადგენს კრემლის ბინადართა პოლიტიკური აქტივობის თეორიულ ბაზისს.

ზემოთ ხსენებულ „თხზულებასთან” მიმართებაში არგუმენტირებული სამეცნიერო სტატია დაიწერა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე დაუშვილის მიერ, სადაც საარქივო დოკუმენტებისა და სხვა უტყუარი მასალების წარმოდგენით თითებზე არის ახსნილი ბატონ შიროკორადის მიერ შეკოწიწებული „ნაშრომის” მთელი სიყალბე.[6, 325-353]

იგივე ავტორის, ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადის კიდევ ერთი „ნაშრომი”, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული, მეტად მოცულობითია და უაღრესად ამბიციური სათაური აქვს – „Война и мир Закавказья за последние три тысячи лет”.



ბუნებრივია ასეთი სათაურის მქონე ნაშრომმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო და დიდი ინტერესიც გამოიწვია. ჰეროდოტესა და თუკიდიდეს დარი ისტორიკოსი თუ გაბედავდა მსგავსი მოცულობისა და სირთულის პრობლემას შეჭიდებოდა. დავიწყე კითხვა და... აი ამ „ნაშრომის“ პირველი თავის პირველი პარაგრაფის პირველი სტრიქონებიც:

§ 1. Расцвет и гибель армянских государств.

Историю Закавказья, точнее, краткий ее очерк я вынужден для удобства читателей искусственно разделять на историю Грузии, Армении и Азербайджана в границах соответствующих советских республик. Советские, а ныне „демократические“ историки внушили нашим читателям, что эти государства существовали еще до Рождества Христова. На самом деле термин Грузия произошел от персидского слова „Гюрджистан“, то есть „страна волков“. Так персы именовали княжества Картли, Мингрелию, Сванетию и другие. А первое государство, в названии которого появилось слово „Грузия“, была меньшевистская республика, созданная с помощью немецких войск в 1918 г. До этого не было ни одного княжества или царства с таким названием.

Термин „Азербайджан“ до 1917 г. обозначал часть Северной Персии, а те, кого мы называем азербайджанцами, официально именовались в Российской империи татарами.

До Рождества Христова было известно лишь одно Армянское царство. С него и начну рассказ о событиях в Закавказье...[7]

ჰოლო, აქ მართლაც უმძიმეს შემთხვევასთან გვაქვს საქმე... ბატონ შიროკორადის მიხედვით, თურმე ტერმინი „საქართველო“, როგორც ასეთი, 1918 წლამდე არც არსებულა. „ნაშრომში“ წარმოდგენილი შემდგომი მასალები და დასკვნები კი, კიდევ უფრო და უფრო გამაოგნებელია, მაგრამ სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, მის განხილვას ამჯერად არ შევუდგებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ალექსანდრ ბორისოვიჩის ეს მორიგი ოპუსი აბსტინენციის სინდრომით შეპყრობილი რუსი დედაკაცის ისტერიულ-

ბით დაწერილი, უნიჭო ცინიზმით, თვითკმაყოფილების სიბრყვეთა და ქართველოფობური ოდეოლოგიით უხვად შეზავებული ნაცოდვილარია, ესაა და ეს.

დავინტერესდით ამ ვინმე ალექსანდრ ბორისოვიჩის პერსონით და აღმოჩნდა, რომ იგი თურმე ყოფილა – Современный российский военный специалист, публицист. Автор нескольких десятков научно-популярных книг по артиллерии, военной технике. Его работы в технических вопросах – области артиллерийского вооружения признаются как авторитетные (Широкорад является одним из ведущих специалистов по отечественной артиллерии).

ასეთ კვალიფიკაციას აძლევენ მას რუსი ავტორები ა. ლობანოვი [8] და ო. აშქეულოვი [9] თავიანთ ნაშრომებში. თურმე ალექსანდრ ბორისოვიჩი პროფესიონალი სამხედრო, თან თანამედროვე რუსული არტილერიის მამაც ყოფილა. ანუ, რაღაც ქსენოფონტეს მსგავსი – თან ისტორიკოსი, თან სამხედრო. პროფესორ დაუშვიდის რეფერენის მსგავსად კი, ისევ ერთი გენიალური ქართველი რეჟისორის მიერ გადაღებული ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი რუსული ფილმიდან მოვიყვანთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ძალიან ცნობილ ფრაზას – „Вообще то летчик, но иногда – эндокринолог“. დიას, ასეთ პასუხს იძლევა ფილმ „მიმინოს“ მთავარი პერსონაჟი, ვალიკო მიზანდარი საკუთარი პერსონის წარდგენისას. და მაინც რომელ მეცნიერებებშია ალექსანდრ ბორისოვიჩი უფრო განსწავლული – ისტორიაში, პუბლიცისტიკაში, არტილერიაში თუ სამხედრო ხელოვნებაში? იქნებ ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში? და ბოლოს და ბოლოს, ვინ არის რეალურად ეს ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადი – летчик თუ эндокринолог?

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არც თვით რუსეთში ბნელა. რუსეთშიც არსებობენ აკადემიური პერსონები, მეცნიერები, მკვლევარები, რომლებიც ობიექტურობის მისაღებ ხარისხში აწარმოებენ სამეცნიერო მუშაობას. აი რას წერს ალექსანდრ ბორისოვიჩზე პოლკოვნიკი ანატოლი არტემიევი, I კლასის სამხედრო მფრინავი, რუსეთის

სამხედრო-სახლვაო ძალების მთავარსარდლობის სამხედრო-საისტორიო ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თავის კრიტიკულ სტატიაში "Гаврилы" против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники":

„После просмотра книги г-на Широкограда у меня появилось более сотни замечаний различного содержания, свидетельствующих о некомпетентности автора по ряду вопросов и его циничном отношении к людям Средства массовой информации постоянно сообщают о погромах мест захоронений, издевательствах над памятниками, а есть интеллектуальные специалисты „широкого” профиля, которые ради своих корыстных целей готовы исказить и показать все, что происходило ранее, в невыгодном свете. Пиар на костях – излюбленная традиция „Гаврил”! [10].

და კიდევ ერთი – პროფესორ ევგენი პოგორელაშვილის წერილი „Военные тайны” ПИСАТЕЛЯ (ეს სიტყვა მთავრულით არის გამოყოფილი – ა. ჩ.) Широкограда” ჟურნალ „Военно-исторический журнал”-ის რედაქციას:

„Уважаемая редакция!

В „Военно-историческом журнале” №10 за 2007 год были опубликованы две статьи под заголовком ”Неизвестные войны” историка Александра Широкограда”. Целиком разделяю мнение авторов подполковника А. В. Лобанова и капитана I ранга Е. Г. Мачикина о книге А. Б. Широкограда, но не могу согласиться с тем, что в названиях статей А. Б. Широкоград именуется историком. Так, статья А. В. Лобанова озаглавлена: „Псевдонаучное исследование военных действий в Северном Причерноморье”, а Е. Г. Мачикина – „Разбавленная анекдотами хроника с многочисленными ошибками и неточностями”. Историк не может заниматься псевдонаукой и анекдотами. Творения А. Б. Широкограда – не что иное, как фальсификация истории.

Действительно, те войны, о которых пишет А. Б. Широкоград, не известны никому, кроме него самого и ему подобных фальсификаторов” [11].

ა. ლობანოვის, ე. მაჩიკინისა და ე. პოგორელის ამ შეფასებებით ყველაფერი თავ-თავის ადგილებზე დგება.

ზუბოვისა და შიროკორადის, ისტორიის ამ ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, ცხადია, მოცემულ ფორმატში მეცნიერული კამათის გამართვას არ ვაპირებთ, რადგან აღნიშნულ თემას უამრავი ქართველი და არაქართველი მეცნიერის სერიოზული კვლევა მიეძღვნა, სადაც მაღალპროფესიულ და აკადემიურ დონეზეა წარმოდგენილი „ველიკოდერჟაველი“ და რუსული შოვინიზმით უხვად გაჟღენთილი ასეთი ე.წ. „ნაშრომების“ იმპერიული არსი.

„თანამედროვე რუსული არტილერიის მამას“ და ე.წ. „ისტორიკოსს“, ალექსანდრ ბორისოვიჩ შიროკორადს კი, გურჩევდით მოღვაწეობის სფერო შეცვალოს და სხვა დარგში გაცვითოს თავის „წვეტიან“ აზრებთან ჰარმონიაში მყოფი მახვილი კალამი.

ზემოთ ხსენებულ ავტორთა საქართველოს ისტორიასა და ე.წ. „აფხაზეთის ისტორიასთან“ დაკავშირებულ „ღრმა მეცნიერულ“ ინსინუაციებს კი ისევ რუს ავტორს, ამჯერად პროფესორ სვეტლანა ჩერვონნაიას დაუპირისპირებთ. ეს გზა, ასეთი მიდგომა, ჩვენის აზრით, ალბათ ყველაზე უფრო გამართლებული და ყველაზე მისაღებია ობიექტურობის მაქსიმალური ხარისხის უზრუნველსაყოფად. და მაინც ვინაა იგი, სვეტლანა ჩერვონნაია? კი ბატონო. იგი არის – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ეროვნებათაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ვაშინგტონის ვუდრო ვილსონის სახელობის სამეცნიერო ცენტრთან არსებული რუსული კვლევების ქენანის ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი, 300-ზე მეტი წიგნის, სამეცნიერო სტატიისა და ნაშრომის ავტორი.

მაშ ასე, რას წერს ჩერვონნაია აფხაზეთის ისტორიაზე? ჩვენ არ შეგუდგებით ამ ერთობ მოცულობითი სკრიპტის დეტალურ განხილვას და მხოლოდ რუსეთის ცარისტული იმპერიის მიერ XIX საუკუნეში განხორციელებულ კავკასიურ ექსპანსიასთან დაკავშირებულ ერთ ამო-

ბაროდს მოჰყვამთ მისი ბაშრობოდან „Абхазия 1992: Посткоммунистическая вандея“:

„Жертвой колониальной политики российского самодержавия, российского империализма, лицемерно прикрывавшейся культуртрегерской или христианско-миссионерской видимостью, одинаково становились и „большие“, и „малые“ нации, и народы исламского и православного мира, и жители гор, и жители равнин.

В этом общем горе у грузин и абхазов нет ни преимуществ друг перед другом, ни нравственных оснований к подсчету того, кто раньше – кто позже стал жертвой обмана или агрессии, кто больше или меньше пострадал

Необходимо развеять миф и подчеркнуть: ни „добровольного“, ни „прогрессивного“, ни „независимого от Грузии“ присоединения Абхазии к России не было, а тем более никакой „автономии“ абхазского княжества в составе Российской империи не существовало.

Покорение Кавказа было частью колониальной политики Российской империи, и в этой политике использовались разнообразные средства от военной силы до дипломатического обмана и опереточных действий по „завещанию“, „дарению“ земель, подкупу князей и вельмож, к чему народы не имели никакого отношения. Расчлняя подлежащие аннексии государства, играя на клановых, религиозных, династических и прочих противоречиях, пытаясь столкнуть христианские и мусульманские народы Кавказа друг с другом, российское самодержавие, действительно, постепенно продвигается в Закавказье, по кускам, по частям аннексируя земли и страны и порабощая его народы, постоянно чередуя при этом кровавое насилие с посулами, обещаниями, „высочайшими“, как старательно пишет Ст. Лакоба, актами государевой милости и ласки к новым верноподданным.

Грузию (как и Азербайджан, как и Северный Кавказ) России удалось присоединить к себе не сразу, буквально приходилось раскалывать и прибирать ее к рукам по частям:

в 1783 году (реально – в 1801 году), по Георгиевскому трактату, Картлийско-Кахетинское царство, в 1803 году – Мегрельское княжество, в 1804 году – Имеретинское царство и Гурийское княжество, в 1810 – Абхазское княжество, и только в 1878 году в состав России вошла отторгнутая от Турции Аджария (Батумская область), причем на землях от Карса до Батуми началось выселение мусульман. От этого Грузия не перестала быть Грузией, и трагедии всех „присоединенных“, поработанных Российским самодержавием народов мало чем отличались друг от друга.

Для абхазского народа „присоединение” означало вовсе не мифическое „освобождение от постоянного страха перед захватчиками” (не жил этот народ в „постоянном страхе”, совсем иной была его история до начала XIX века) и не призрачную „автономию” (о какой „автономии” в самодержавной России могла идти речь?!), а самое жестокое экономическое угнетение, моральное и политическое унижение. Не желая терпеть это состояние, абхазский народ ответил на попытку ввергнуть его в „подданство „Всемиловейшему Самодержцу” своим участием в Кавказской войне, а после ее поражения массовым трагическим исходом махаджирством” [12].

აი ასე... ესაა ნამდვილი, ობიექტური და თუ გნებავთ, მართალი ისტორია. და არა ის ნაცოდვილარი პასკვილები, საბჭოური და რუსული იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილი ის პამფლეტები, რასაც ათასიანი და ათიათასიანი ტირაჟებით შტამპავენ ათასი ჯურის მომეცნიერო მანერების მქონე პერსონები.

გავაგრძელებთ ზემოთ წარმოადგენილ ხაზს, ანუ, არგუმენტირებულ მსჯელობას და საკითხის არსში უფრო ღრმად გარკვევისათვის ისევ რუს, მაგრამ ამჯერად უკვე XIX საუკუნის ავტორს, სამხედრო პირს, დაზვერვის ოფიცერს, მკვლევარსა და პუბლიცისტს, გენერალ ალექსანდრ კუზმინ-კარავაევს მოვიხმობთ. საუბარი XIX საუკუნის ბოლოსათვის სოჭსა და სოჭის ოლქში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სურათს ეხება. ამ საკითხის შესახებ გენერალი კუზმინ-კარავაევი თავისი კვლევიითი ხასია-

თის წიგნში, სათაურით „Черноморский округ“, 1894 წლის მონაცემებით წერდა, რომ „სოჭის ოლქში რუსი მოსახლეობის წილი არ აღემატება მთელი მოსახლეობის 1/7-ს“. ანუ, სადღაც 16%-დე. შემდეგ კი ასეთი სქემაა მოყვანილი:

დასახელება	რაოდენობა	რუსები	ქართველები	შაფსულები	სხვა
ქ. სოჭი	460	11	440	-	9
სოჭის ოლქი	6811	805	836	731	3439

დანარჩენი ხალხები არიან ის ხალხი, რომლებიც მერე იქნენ ჩამოსახლებულები – გერმანელები, ლატვიელები, ესტები, სომხები, ბერძნები და ა.შ.”[13]

ღიას, დღევანდელი ქალაქი სოჭი, 1894 წლისათვის პატარა ქართულ დაბას წარმოადგენდა, სადაც რუსი ეროვნების სულ 11 კაცი ცხოვრობდა! სხვა არაქართველი ეროვნების წარმომადგენელი – სულ 9 კაცი! მთლიანად სოჭის ოლქის მოსახლეობის უმეტესობას კი, ისევ და ისევ ქართველები შეადგენდნენ.

რუსი მოსახლეობის რაოდენობის შემდგომი ზრდა კი, ისეთი საშინელი და დაუნდობელი მეთოდებით მიმდინარეობდა, რომლის შესახებაც თავად გენერალი კუზმინ-კარავაევი წერს: „ჩვენმა ბრძოლამ დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის წინააღმდეგ მიიღო განსაკუთრებული, ისტორიაში არნახული ხასიათი: მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არა მხოლოდ ქვეყნის დაპყრობისა და მისი მოსახლეობის დამორჩილებისა, არამედ მათგან ტერიტორიების გაწმენდისა” [14]. „ტერიტორიების გაწმენდის” რუსულ მეთოდებს კი, გენერალი ძველი სამყაროსათვის დამახასიათებელ ველურობისდარ ქმედებებს ადარებს. იგი წერს, რომ შავიზღვისპირეთის რუსიფიკაცია ისეთი მეთოდებით მიმდინარეობდა, რომელიც მონათმფლობელური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი – „როდესაც მთელი ხალხები მონებად მიჰყავდათ, როგორც ეს, მაგალითად, ებრაელების შემთხვევაში იყო”.

დიას, ორსახოვანი პოლიტიკის წარმოებით – „КнУТОМ и Пряником” შემოდოდა მაშინაც, XIX საუკუნეში რუსული იმპერია ამიერკავკასიაში და შემოდის დღესაც, უკვე XXI საუკუნეში – მათრახითა და თაფლაკვერით, ტკბილი დაპირებებითა და იმედებით, ცეცხლითა და მახვილით, ფულითა და მოსყიდვებით, სისხლითა და ცრემლით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, სიძულვილითა და მტრობით... და ასე უსასრულოდ... ყოველივე ეს კი, მცოცავი ანექსია იყო მაშინაც და მცოცავი ანექსიაა დღესაც, სხვა არაფერი, რომელიც წარმატებით იქნა განხორციელებული XIX საუკუნეში და ჯერ-ჯერობით წარმატებით ხორციელდება დღესაც. [15, 36]

ჩვენ კი, ქართველებსა და აფხაზებს, ისევ არ გამოგვაქვს ისტორიის მწარე გაკვეთილებიდან შესაბამისი დასკვნები და ისევ იმ სისხლიანი ჭაობისაკენ მივიღტვით ნებისით თუ უნებლიეთ, რაც წესით, დიდი ხანია ისტორიის მოუსავალ შრეებში უნდა იყოს დაღეჭილი. დაღეჭილი და არა დავიწყებულნი...

ისტორია კი ხშირად მეორდება... და სამწუხაროდ, მეორდება საზარელი გარღვევალობით...

ჩვენ კი ისევ განსახილველ თემას დავუბრუნდეთ – რუსეთი, საქართველო, აფხაზეთი და ველიკორუსულ-შოვინისტური იდეოლოგია. ბუნებრივია, ჩვენ არ ვაპირებთ იმ დიდი მოზაიკური პანოს სრულ კვლევას, რასაც ამ პერიოდის „ქართულ-რუსული სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება” ჰქვია, მისი ყოველი ასპექტის ჩათვლით. ცხადია, არც აფხაზეთის ისტორიის საკითხებს განვიხილავთ უხსოვარი დროიდან, და არც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განხილვა წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს. ყოველივე ეს ჩვენი ნაშრომი ქრონოლოგიურ და თემატურ ჩარჩოებს სცილდება. ამ საკითხების შესახებ კი, უამრავი კეთილსინდისიერი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერის აკადემიური კვლევა, მონოგრაფია და ნაშრომი არსებობს, სადაც სრულყოფილად და ობიექტურადაა წარმოდგენილი აღნიშნული თემატიკა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოყოფდით პროფესორ ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას ფუნდამენტალურ მონოგრაფიას „Абха-



зия – историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века”, სადაც უმდიდრეს წყაროთმცოდნეობის ბაზაზე დაყრდნობით მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული და წარმოდგენილი აღნიშნული საკითხები. აგრეთვე პროფესორ ზურაბ პაპასქირის „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I (2004 წ.) და ნაკვეთი II (2007 წ.)”, პროფესორ ავთანდილ სონღულაშვილის ნაშრომს „აფხაზი თუ აფსუა?” და აწ განსვენებული პროფესორის, ავთანდილ მენთემაშვილის „Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии”. იგივე პროფესორ სვეტლანა ჩერკონაიას „Абхазия 1992: Посткоммунистическая вандея”, აკადემიური კრებული „Розискания по истории Абхазии/Грузия”, Тб., 1999 და ა.შ.

ამ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ ნაშრომებში მდიდარი სამეცნიერო წყაროებისა და საარქივო დოკუმენტური მასალების შესწავლის საფუძველზე სრულადაა წარმოდგენილი აფხაზთა ეთნოგენეზი, დღევანდელი „აფხაზების” ჩრდილო კავკასიელ აფსუებთან იდენტურობის პრობლემები. ნაჩვენებია ძველი აფხაზების, როგორც ქართული ეთნოსის შემადგენელი ნაწილის და ე.წ. „ახალი აფხაზების” ვინაობის დამადასტურებელი მონაცემები. მეცნიერული თვალსაზრისითაა შესწავლილი და წარმოდგენილი აფხაზეთის – საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ისტორია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, 1917-1920 წლებში აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, აფხაზური, უფრო ზუსტად „აფსუური” სეპარატიზმის წარმოქმნა, წანამძღვრები და მისი განვითარების შემდგომი ტენდენციები.

აქ კი, ჩვენ მხოლოდ მოკლედ რაკურსით წარმოვადგენთ აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციული მოწყობის დინამიკას.

დღევანდელი სოჭი-ტუაფსეს რაიონი უძველესი დროიდან საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის – აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა... და ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში...

კავკასიაში რუსეთის გაბატონების შემდეგ კი, აფხაზეთის სამთავროს მოჩვენებითი „დამოუკიდებლობისაგან“ კვალიც აღარ დარჩა. აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი „მფლობელი“ 1823-1864 წლებში, ძველი აფხაზური არისტოკრატიული მოდემის წარმომადგენელი, თავადი მიხეილ შარვაშიძე, რომელმაც იმპერატორის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებების გამო გენერლის ჩინი მიიღო, საბოლოო ჯამში, მწარედ მოტყუვდა. მწარედ მოტყუებული დარჩა მისი შთამომავლობაც და საერთო ჯამში, მთლიანად აფხაზი ხალხიც. ამ საკითხთან დაკავშირებით, და ცარიზმის ფარისევლური ექსპანსიონისტური პოლიტიკის შესახებ, დიდი აფხაზი ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ძიძარია, ჯერ კიდევ 1939 წელს, თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში „Завоевание Абхазии царской Россией“, წერდა: „1864 წელს ჰამუთ-ბეი (მიხეილი) ვორონეჟში იქნა გადასახლებული, სადაც მალე გარდაიცვალა კიდევ. იგი საგვარეულო სასაფლაოზე დაასაფლავეს. მისი ქონება კი, რუსი ოფიცრებისა და ჩინოვნიკების მიერ იქნა დატაცებული.

ასე დასრულდა თავად შარვაშიძეთა სამარცხვინო ისტორიული როლი, რომლებიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსული ცარიზმის საყრდენს წარმოადგენდნენ აფხაზეთში.

ნიღბები უკვე ჩამოხსნილი იყო, და აფხაზეთიც „სოხუმის სამხედრო ოლქად“ გადაკეთდა. ეს იყო „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის დამოუკიდებლობის დასასრული. რუბიკონი გადალახულ იქნა... იწყებოდა კოლონიური ექსპლუატაციის დაუფარავი და ყველაზე უსირცხვილო ხანა“ [16, 97].

ცარიზმის ამიერკავკასიაში შემოსვლით, აფხაზეთის სამთავროს სრული ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, აფხაზეთის სამთავრო, ერთ დროს ერთიანი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი, ისევე როგორც დანარჩენი ქართული სამეფოები და სამთავროები, ქრება. საერთო ჯამში, XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველო სრულად იქნა დაპყრობილი და აქ რუსული იმპერიის მმართველობითი ადმინისტრაციული სისტემა იქნა შემოღებული. ისტორიული ქართული მიწები კი, ახალი სისტემით გადანაწილდა. შავიზღვისპირეთში შეიქმნა ტერიტორიულ-

ადმინისტრაციული ერთეული, ე.წ. „შავი ზღვისპირეთის ოკრუგი“, მოგვიანებით კი, 1896 წლის მაისში, ნიკოლოზ II-ის ბარძანებით, ეს ტერიტორია მოექცა ახლადჩამოყალიბებული შავი ზღვის გუბერნიის შემადგენლობაში, სამი ადმინისტრაციული ერთეულით – სოჭის, ტუაფსესა და ნოვოროსიისკის ოლქით (ოკრუგით). გუბერნიის ცენტრად ქალაქი ნოვოროსიისკი დადგინდა, ხოლო მისმა სამხრეთის ადმინისტრაციულმა საზღვარმა სოხუმის ოკრუგთან (აფხაზეთთან) – მდინარე მზიმთაზე გაიარა.

1864 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ ტერმინი „აფხაზეთი“ ქრება. აფხაზეთის სამთავროს სახელი გადაერქვა და მას სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა, რომელიც 1868 წელს ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ოლქების შეერთებით გაფართოვდა, შეყვანილ იქნა ქუთაისის სამხედრო საგუბერნატოროს შემადგენლობაში. ამ ოლქმა 1888 წლამდე იარსება.

ამასთან ერთად, 1904 წელს რუსეთის მთავრობამ, იმპერატორის ოჯახთან დაახლოებული პირის, ინფანტერიის გენერალ, პრინც ალექსანდრ ოლდენბურგის დიდი მეცადინეობის შედეგად, შავი ზღვის გუბერნიის საზღვარი კიდევ უფრო სამხრეთით გადმოსწია – შავი ზღვის გუბერნიას შეუერთდა სოხუმის ოკრუგის ნაწილი გაგრის კლიმატური სადგურის მიმდებარე ტერიტორიებითურთ, 150 ათასამდე დესეტინა მიწა – ტყეები და ალპური საძოვრები. ცხადია, საქართველოს პოლიტიკურ წრეებს პეტერბურგის ასეთი მოქმედება არ მოსწონებიათ. მაგრამ რადგანაც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილება რუსეთის საიმპერატორო კართან დაახლოებული პიროვნების, გაგრის კლიმატური სადგურის დამაარსებლის, პრინც ალექსანდრ ოლდენბურგის სურვილით მოხდა, ამიტომ ასეთი მდგომარეობა 1917 წლამდე შენარჩუნდა. ასე რომ, გაგრა და მისი შემოგარენი გამოყვანილ იქნა სოხუმის სამხედრო ოლქის შემადგენლობიდან და შეყვანილ იქნა შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოლქის შემადგენლობაში. ასე მოსცილდა გაგრა საქართველოს. თავად ტერმინი „აფხაზეთი“ კი, როგორც ასეთი, აღდგენილ იქნა მხოლოდ ცარიზმის დამხობისა და რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ [12].

ზოგადად და ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, ცარიზმის დაპყრობით კოლონიალურ პოლიტიკას ყველგან და ყოველთვის ერთი საერთო ნიშანი და ერთი ხაზი გასდევდა – აგრესია და ფარისევლობა, სისასტიკე და მოჩვენებითი ქრისტიანული მესიანიზმის იდეოლოგია. რუსული თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის, რუსული იმპერიალიზმის მსხვერპლნი ერთნაირად ხდებოდნენ „დიდი“ თუ „მცირე“ ერები, ისლამის მიმდევარი ხალხები თუ ქრისტიანები, მთიელები თუ ბარის მაცხოვრებლები. მეტად აგრესიული, ექსპანსიონისტური კოლონიალიზმის გზაზე კი, იმპერია ფარისევლურად ინიღბებოდა კულტურული და ქრისტიანულ-მისიონერული საბურველით.

ამ პროცესების შესახებ ქართველებთან და აფხაზებთან მიმართებაში, ზუსტად აღნიშნავს პროფესორი ჩერვონნაია: „В этом общем горе у грузин и абхазов нет ни преимуществ друг перед другом, ни нравственных оснований к подсчету того, кто раньше – кто позже стал жертвой обмана или агрессии, кто больше или меньше пострадал“.[12]

დაცლილი ტერიტორიების შემდგომი ათვისების გზას კი, მისი რუსიფიკაცია წარმოადგენდა. დაიწყო რუსების მასობრივი ჩამოსახლების პროცესი. ერთი რუსი მოხელე, 1892 წელს ამ პროცესთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „...ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანები მოითხოვენ, რომ ეს მხარე არა მარტო სახელით მხოლოდ, არამედ მართლაც იქცეს მალე რუსულ მხარედ, რომ აქ მხარდაჭერილი, გაძლიერებული და დაიმედებული იყოს რუსი კაცი. ვისურვოთ ბატონებო, რომ ეს მოხდეს ჩქარა, რომ მძლავრ რუსულ მუცელში მალე მოიხარშოს მთელი აქაური სხვადასხვა ტომობრივი და სხვადასხვა ეროვანი ნარევი და რომ ეს ცა და ზღვა ნამდვილად რუსული იყოს“ [17].

ძალიან მოკლე ხანში რუსები, რუსეთის ამ „რვიერაზე“, ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცლილ შავიზღვისპირეთში სახლდებიან და იქ მაგრდებიან. შავიზღვისპირეთისა და აფხაზეთის რეგიონში რუსული შოვინისტური იდეოლოგიის იმდროინდელ რუპორს გაზეთი „შავი ზღვის მაცნე“ და მისი რედაქტორი, ვინმე პალმი წარმოადგენდა. ამონარიდი გაზეთიდან: „აფხაზები და მეგრელები

ქურდები არიან, იმერლები – მედუქნეები, ქართლები და კახელები – მელორები; ისე კი, სიმართლე ითქვას – ქართველები კარგი ხალხია”.[18, 78] რუსული ყოვლადმპყრობელური შოვინიზმისა და ცინიზმის კიდევ ერთი მაგალითი.

აფხაზეთის „რივიერას” რუსული ყოვლადმპყრობელური და კოლონიზატორული პოლიტიკა კი გრძელდებოდა და აფხაზური მიწები ნელ-ნელა რუსი სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების ხელში გადადიოდა. შესაბამისად იცვლებოდა ქართული ტოპონიმაც. ქრებოდა სოფლების, დასახლებების ისტორიულ-გეოგრაფიული დასახელებები და ჩნდებოდა ახალი, რუსული დასახელებები. აი ამ დასახელებათა არასრული სია: ბაკლანოვკა, ბელორეჩენსკი, ვესიოლოვ, პეტროვსკოე, ალექსანდროვსკოე, ანდრეევსკოე, ნაა-არმიანსკოე, ოლგინსკოე, ვლადიმირსკოე, ლაზარევსკოე და სხვა [19, 421].

მეფის ხელისუფლება, რომელიც აფხაზეთში უაპელაციოდ ეპატიუებოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებსა და სექტანტებს, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდა ქართველ გლეხობას. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ფ. გერშელმანი 1900 წლის 2 სექტემბერს თავის მოხსენებაში „სოხუმის ოლქში ქართული მოძრაობის შესახებ” გულწრფელად წერდა: „პოლიტიკური თვალსაზრისით ოლქის რუსულ კოლონიზაციას რუსეთისათვის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. აფხაზები დღემდე რჩებიან დაბალი კულტურის, გონებრივად და ზნეობრივად დაბალი განვითარების მქონე, თავის რელიგიურ შეხედულებებში მერყევ ხალხად, რომელმაც არაერთხელ გამოავლინა თავისი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა”. გენერლის აზრით, სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ოლქის რუსული კოლონიზაციის დაჩქარება, რუსული მოქალაქეობის დამკვიდრება [19, 422].

აფხაზეთის რუსული კოლონიზატორული პოლიტიკა კი გრძელდებოდა და აფხაზური მიწები ნელ-ნელა რუსი სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების ხელში გადადიოდა. შესაბამისად იცვლებოდა ტოპონიმაც. ქრებოდა სოფლების, დასახლებების ისტორიულ-გეოგრაფიული დასახელებები და ჩნდებოდა ახალი, რუსული დასახელებები. აი

ამ დასახელებათა არასრული სია: ბაკლანოვკა, ბელორეჩენსკი, ვესიოლოვ, პეტროვსკოვ, ალექსანდროვსკოვ, ანდრეევსკოვ, ნაა-არმიანსკოვ, ოლგინსკოვ, ვლადიმირსკოვ, ლაზარევსკოვ და სხვა [19, 422].

თებერვლის რევოლუციისა და მეფის გადადგომის შემდეგ კავკასიის სამეფისნაცვლოში პოლიტიკური სიტუაცია იცვლება. იცვლება ძალთა ბალანსიც და პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალები და ახალი სუბიექტები გამოდიან... თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

საბოლოოდ, უფრო აქტიურები და აგრესიულები ბოლშევიკები გამოდგნენ, რომელთაც ბუნებრივია რუსი ბოლშევიკების დიდი ფინანსური, იდეოლოგიური და სამხედრო მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მაშინ, 1918 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი დინების საწინააღმდეგოდ წავიდა, მათ საკუთარი ისტორიული და ბუნებრივი განვითარების გზა უარყვეს და რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილი ერთი მუჭა ავანტიურისტების ეფემერულ ვნებებს აყვნენ.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზთა ერთმა ნაწილმა ირწმუნა ბოლშევიკთა სოციალური ხასიათის დაპირებები და ისევ რუსეთი და რუსები აღიარა „მფარველად“, ე.ი. ის ერი, ის იდეოლოგია და ის ეთნოსი, რომელმაც აფხაზი და კავკასიელი ხალხების ისტორიაში ყველაზე შავი ფურცლები ჩაწერა. ისტორიული ფაქტია, რომ მუჰაჯირობის შავი ეპოქა, იყო და ახლაც რჩება ყველაზე უფრო დიდ ტრაგედიად კავკასიელი ხალხების არსებობისა და განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

მაშინ აფხაზმა სეპარატისტებმა ყური არ უგდეს თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტის, აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი მთავრის, თავად მიხეილ შარვაშიძის ვაჟის, გიორგი შარვაშიძის შეგონებას ქართველთა და აფხაზთა საუკუნოვანი ერთიანობისა და ახალი ბოლშევიკური იდეოლოგიიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ:

„Правда, наша Родина Иверия пережила большие культурные сдвиги, но наше прошлое заморозилось в такое время, что сбились с пути, отошли от закона естественной эволюции. Да, мы можем смело сказать, что если не помешали преврат-

ности судьбы, были бы сегодня впереди Европы, т.к. когда апостол Андрей здесь проповедовал учение Христа, тогда в Европе сами дуки были одеты в шкуры буйвола и босые охотились в лесах с копьём в руках.

После этого, с трудом, путем войны, постоянных ссор довели нашу культурную жизнь до времени царицы Тамар, которое являлось золотым веком Иверии.

А затем произошел поворот в жизни нации. Пришедшие враги не давали покоя и народ устал. Постепенно иссяк славный умственный и имущественный потенциал страны и разрушилась самобытная жизнь. Обеднел язык, испортились нравы, потеряли мощь, рыцарство и честность отбросили и, наконец, достигли до века, когда благосостояние находили в шпионаже и в предательстве Родины.

В то время, когда сознательная часть раздробленного иверского народа, скрестив руки на груди, стояла у могил своего былого величия, сегодня вдруг раздался голос справедливости и свободы!

Грузия бьет в набат, раздался возглас ура, ура!... Но слышится другой голос: мы не хотим свободы, не ищем автономию, все народы мира едины, мы только хотим предоставить льготы рабочему народу. Для этого необходимо отобрать имения у помещиков и раздать земли рабочим. Долой сословия и частная собственность на землю...

Так, до земных расчетов опустилось светящее солнце освобождения, оживления нации..." [20, 387-388].

პირველი ქართული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, იმ დროისათვის საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებული „სამუსულმანო საქართველოში“, პირველი რესპუბლიკის პერიოდში სხვადასხვა სამხედრო და სახელმწიფო თანამდებობების პირი, შემდგომში ვერმახტის გენერალი, შალვა მაღლაკელიძე: „მაშინ გაიგეს აფხაზებმა, რომ აფხაზები არიან, რადგან რუსებმა შთააგონეს, თქვენ ქართველებთან არაფერი საერთო არა გაქვთ, თქვენ ხართ ჩვენი ჯიშის ხალხი,

ჩრდილოეთ კავკასიელების, ამიტომ რა გაქვთ საერთო ქართველებთანო. რომ ამბობენ დავიკავეთ სოხუმით, არაფერი არ დაუკავებიათ, Совет солдатских и рабочих депутатов იყო. მაგალითად, როგორც ის მუტრუკი არსლანი მივიდა და გაძარცვა ქუთაისში დუქნები, მაგრამ დაიკავეს ქუთაისი, ასეთივე იყო აქაც. შეიტრებოდნენ სოხუმში ან სადმე, და ფესსაცმელებზე და ჩოხა-ახალუხზე „პოგრომებს“ აწყობდნენ, გაძარცვამდნენ და იძახდნენ კომუნისტები ვართო!..

რაც შეეხება აფხაზეთს, აფხაზეთს ავტონომია ჩვენ მივეცით, ე.ი. აფხაზეთს ქონდა Абхазский народный совет, თავისი მთავრობა ყავდათ არზაყან ემხვარის, მენშევიკის მეთაურობით. თავადი იყო, სემინარიაში გაზრდილი, ქართველობდა, ამიტომ მენშევიკებმა დანიშნეს, თუმცა აფხაზი იყო ნამდვილი, მერე დაიღუპა, მოკვდა, ემიგრაციაში გაყვა ნოე ჟორდანიას” [21, 57].

მართალია, ბატონ შალვა მაღლაკელიძის ამ მემუარში ცალკეული დეტალების გადმოცემაში მცირე უზუსტობები შეინიშნება, მაგრამ მიმდინარე პროცესების არსი ზუსტადაა გადმოცემული. ბოლშევიკთა მიერ წამოყენებული და უპოვართათვის ერთობ პოპულარული ლენინური ლოზუნგები – „Бей буржуев!“ და „Грабь награбленное!“, აქაც, აფხაზეთში, და მთლიანად ამიერკავკასიაშიც, ნელ-ნელა ძალებს იკრებდა.

ზემოთ მოყვანილი ვაი-მეცნიერებისა და ისტორიის სხვა ფალსიფიკატორების გასაგონად კი, ვიტყვით, რომ ისტორიის კვლევა მხოლოდ ფაქტოლოგიურ და უტყუარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს, მკაცრად და მიუკერძოებლად, ობიექტურობის მაქსიმალური დაცვით, ყოველგვარი შერბილებისა და შელამაზების გარეშე. მხოლოდ ასეა შესაძლებელი რეალური სურათის დადგება და იმ პერიოდში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესების წარმოდგენა.

და ყველაზე მთავარი. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვაწყობს თუ არ გვაწყობს, საკვლევ თემებსა და მოვლენებს რეტუშირების გარეშე, მხოლოდ ფაქტოლოგიურ და უტყუარ საარქივო მასალებზე დაყრდნობით განვიხილავთ მკაცრად და მიუკერძოებლად, ობიექტურობის მაქსიმალუ-



რი დაცვით, ყოველგვარი შერბილებისა და შელამაზების გარეშე. მხოლოდ ასეა შესაძლებელი რეალური სურათის დადება და იმ პერიოდში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესების წარმოდგენა.

მკაცრად მეცნიერული თვალსაზრისით კი, ამა თუ იმ საკითხის შესწავლისადმი ზერელე მიდგომა ყოველად დაუშვებელია, მით უმეტეს, როდესაც საკვლევი თემა და მისი ქრონოლოგია სულ რამდენიმე ათეული წლის წინანდელი რეალიების ზუსტად ასახვასა და წარმოდგენას ეხება. დღეს დაშვებული შეცდომების გამოსწორება კი, შემდეგ ძალიან გართულებია. გასაგებია თუ რამდენად არაზუსტად და დამახინჯებულად იქნება ეს პერიოდი აღნუსხული საქართველოს ისტორიისა და საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალებში მომავალი თაობებისათვის. ისტორიის გაყალბება კი, თუნდაც უნებლიე, მიუტყევებელი და მძიმე გადაცდომაა, რაოდენ მკაცრადაც არ უნდა ქდერდეს ჩვენი ეს დასკვნა. საკითხთან ასეთი მიდგომა თავის შხამიან ნაყოფს მხოლოდ წლებისა და ათწლეულების შემდეგ გამოიღებს, რომლის შემდგომში გამოსწორებაც უკვე შეუძლებელი იქნება [15, 40].

ისტორია წინაპართა და გარდასულ მოვლენათა შესახებ არა პათეტიკური ტონით აღწერილი პეროიკული ტრაქტატების კრებული, არამედ პირველ რიგში, რეალიების ზუსტი აღწერა და ანალიზია, ან უკიდურეს შემთხვევაში – მაქსიმალურად დაზუსტებული და კრიტიკულად გააზრებული ფაქტებისა და მსჯელობების დიალექტიკური ერთიანობა. ამ საკითხთან მიმართებაში XIX საუკუნის დიდ სამხედრო მოღვაწესა და ფილოსოფოსს, თანამედროვე ომის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გენერალ კარლ ფონ კლაუზევიცს (ჩარლ ვონ ჩლაუსევიტზ) მოვიხმობთ:

„ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენების კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან, რომელიც მხოლოდ რიგითობით აღბაგებს მოვლენებს და ოდნავ ეხება მის გამომწვევ მიზეზებს. ისტორიის კრიტიკულ გადმოცემაში გონებრივი მოქმედების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია ისტორიული ძიება და საექვო ფაქტების დადგენა. ესაა ისტორიული ძიება, რომელსაც თეორიასთან არაფერი არა აქვს საერთო;

მეორე – მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებაა. ეს თეორიისათვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი რაც თეორიულად მიიღწევა ან აიხსნება ცდების საშუალებით, მხოლოდ ამ გზით მიიღწევა.

მესამე – გამოყენებული საშუალებების მიზანშეწონილობის შეფასებაა. ესაა აზრობრივად თავად კრიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს შექებასა და მიბაძვას. აქ უკვე თეორია ემსახურება ისტორიას, ან უფრო ზუსტად, იმ სწავლებას, რაც ისტორიიდან შეიძლება გამოვარჩიოთ” [22, 96-97].

აქვე მოვიყვანთ უკვე XX საუკუნის ბრიტანელი მოაზროვნისა და თანამედროვე სამხედრო სტრატეგიის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სერ ბაზილ ჰენრი ლიდელ ჰარტის (Sir Basil Liddell Hart) ნააზრევს და კლაუზევიცისაგან განსხვავებით, ძალიან მარტივად და გასაგებად ვიტყვით, რომ „ისტორია კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდომების კატალოგია... ჩვენი მოვალეობა კი ისაა, რომ გავითვალისწინოთ ეს საკითხი და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ მისგან” [23, 43].

დაბოლოს. დავესესხებით პროფესორ ჯემალ გამახარიას, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აღიარებულ მკვლევარს, აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერს, და სრულად გავიზიარებთ მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „დღეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის რეალობა, რომ ისტორიული მეცნიერება არ უნდა იქცეს პოლიტიკის მონად, მსახურად, როგორც ეს საბჭოთა ეპოქაში იყო, მაგრამ ის აუცილებლად უნდა გახდეს ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძველი, ერთადერთი საყრდენი. ე.ი. ოფიციალური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებას და არა მეცნიერება – პოლიტიკას” [24, 5].

**ABKHAZIA AND SOME EXAMPLES OF THE  
GREAT-RUSSIAN CHAUVINISTIC HISTORIOGRAPHY**

In the Soviet and Russian historiography, the political history of Abkhazia Region of Georgia and the North-East of the Black Sea region, also the discussions of the military-political processes and events taking place in 1918-1921 are quite often represented from the usual Russian-chauvinistic standpoint.

Some examples of the modern Great Russian-chauvinistic historiography are represented in the given article. In those so-called "scientific works", the history of Abkhazia which is one of the regions of Georgia, is described in the manner as if it did not constantly was an integrated part of Georgia, as if the Georgians have not ever lived there and the Georgians, through the centuries, always robbed and killed the Abkaziens. It goes without saying that such authors do not mention the facts from the ancient and the old history of the Black Sea region, the Russian Empire expansions in the Caucasus, they do not say a word about the immigration processes, so called Muhajiri, during the XIX century, in Abkhazia and in the North Caucasus, the causes and results of those processes, nor they note the consequent Bolshevik aggression, occupation of Sochi district and part of Abkhazia by the so-called "Volunteers Army", or the violent regime established by Denikin.

Basing on the works of the number of authors (among them, Russians and Abkhazians) as well as on the credible archive documents, this article reveals the entire falsity and bias of the Russian chauvinistic historiography, the essence of the Russian colonialistic politics in the Caucasus, the victims of which were equally all nations, however "great" or "small", Islamic or Christian, highlanders or dwelling in valleys; we also attempted to show Imperial politics and russification processes, occurring in the North-East part of the Black Sea region beginning from the end of the XIX century and having quite serious consequences.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი 36. გამოცემა მეოთხე. საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1959.
2. Аким Александрович Арутюнов. Досье Ленина без ретуши. Документы. Факты. Свидетельства. М.: Вече, 1999, 656 страниц. ISBN 5-7838-0530-0. Ленин. В.И. ПСС. Т. 36.
3. Андрей Зубов. Доктор исторических наук, профессор МГИМО, ведущий научный сотрудник Института востоковедения РАН. История и современность. Кавказ без России. Гражданин, и демократ, и государственный. Периодический политический журнал. №1, 2003.
4. Доклад на юбилейном собрании директора Института гуманитарных исследований им. Д. Гулиа Василия Авидзба К 120-летию со дня рождения Нестора Аполлоновича Лакоба. <http://apsnypress.info/docs/8872.html>.
5. Александр Широкопад. „Грузия. Закавказский тупик?“, М., 2010.
6. Александр Даушвили. Врать надо меньше... Надо меньше врать! ანაღები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. №9. 2013.
7. Александр Борисович Широкопад. Война и мир Закавказья за последние три тысячи лет. [http://www.xliby.ru/istorija/voina\\_i\\_mir\\_zakavkazja\\_za\\_poslednie\\_tri\\_tysjachi\\_let/p7.php](http://www.xliby.ru/istorija/voina_i_mir_zakavkazja_za_poslednie_tri_tysjachi_let/p7.php).
8. А. В. Лобанов. Артиллерия резерва Верховного главнокомандования в Великой Отечественной войне – Военно-исторический журнал, № 2, 2006.
9. О. Е. Ащеулов. Роль советской артиллерии в решающих битвах и операциях великой Отечественной войны – Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук, 2008.

10. Анатолий Артемьев. Полковник в отставке, военный летчик 1-го класса, с 1983 по 1991 г. Старший научный сотрудник исторической группы главкома ВМФ. „Гаврилы” против торпедоносцев, или что получается, когда о войне пишут дилетанты-циники”. Военно-промышленный курьер ВПК. Общероссийская еженедельная газета. <http://vpk-news.ru/articles /3459>.
11. Е. Погорелов. „Военные тайны” ПИСАТЕЛЯ Широкограда. „Военно-исторический журнал”. <http://history.milportal.ru/arxiv/voenno-istoricheskij-zhurnal-2009-g/voenno-istoricheskij-zhurnal-3-2009-g/>.
12. Светлана Червонная. Абхазия 1992: Посткоммунистическая вандея. Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917-1992). Москва. Мосгорпечать. 1993. <http://www.conflicts.rem33.com/images/abkhazia/Czerwon na.htm>.
13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა). ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 52.
14. სცსსა. ფონდი 1861, ანაწერი 1, საქმე 40, ფურცელი 53.
15. არჩილ ჩახხიანი. რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში. (1918-1920 წლები). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოჯისტიკის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 428 გვ. ISBN 978-9941-0-5988-9. თბილისი. 2014.
16. Г. А. Дзидзария. Завоевание Абхазии царской Россией. Академия наук Абхазии. Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулия. Труды. Том III. Из неопубликованного наследия. Сухуми. 2006.
17. ავთანდილ სონღულაშვილი. აფხაზი თუ აფსუა? გამოცემლობა „უნივერსალი”. თბილისი. 2007. ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი. 1996. <http://iberiana.wordpress.com/abkhazia/>.
18. Друг. Начало отчуждения: Абхазия. 1917-1920 г.г. Абхазия – документы и материалы (1917-1921г.г.) Сухуми – 2009.

[http://apsnyteka.org/file/Abkhazja\\_dokumenty\\_i\\_materialy\\_1917\\_1921.pdf](http://apsnyteka.org/file/Abkhazja_dokumenty_i_materialy_1917_1921.pdf).

19. Ираклий Геленава. Абхазия с 1881 г. до февраля 1917 года. Ужесточение колониальной политики в 1881-1905 годах. Очерки из истории Грузии. Министерство образования и культуры Абхазии. Институт Истории и Этнологии имени Ив. Джавахишвили. Издательство „Интеллекти“. Тбилиси. 2009. Т. Гванцеладзе. Массовое изменение топонимов в Абхазии после 1864 года. Кавказско-Иберийское языковедение. Т. XXXIV. Тб., (на груз. яз.)
20. Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. (Историография, документы и материалы, комментарии). С древнейших времен до 30-х годов XX века. Тбилиси. 1997. Док. №209. Из статьи Г. Шервашидзе „Социализм в Грузии“. 25-29 ИЮНЯ 1917 г. Сакартвело. <http://abkhazeti.info/history/20050617221157965354.php>.
21. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებები. ილუსტრირებული ბიოგრაფიები. გამომცემლობა პეგასი. თბილისი. 2012.
22. Клаузевиц. О войне. Государственное Военное Издательство Наркомата Обороны Союза ССР. Москва. 1937.
23. В. Н. Liddell-Hart. Why Don't We Learn from History? Hawthorn Books, New York, 1971.
24. ჯ. გამახარია. აფხილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. თბილისი. 1998.

**დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის  
ისტორიოგრაფიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის  
ქართულ მედიევისტიკაში**

ჩვენ გვინტერესებს ქართული მედიევისტიკის ისტორია. საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა, კვლევა [1,2]. ამჯერად შევჩერდებით ერთ საინტერესო თემაზე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა საქართველოში. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში დღემდე შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით შეგვევსო ეს ხარვეზი და აღნიშნული პრობლემა საგანგებოდ შეგვესწავლა. ეს საშუალებას მოგვცემს შევახსოვოთ ქართული მედიევისტიკის კიდევ ერთი სუფთა ფურცელი.

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხების პოპულარიზაციის, შესწავლის გარკვეულ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია და ქართული მედიევისტიკის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ამ მემკვიდრეობის არც შეუფასებლობა და არც განდიდება სწორი არ იქნებოდა. უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ორივე უკიდურესობა. ეს იქნებოდა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ჩვენი ვალია ამ მემკვიდრეობას მოვუაროთ და შეძლებისდაგვარად განვაითაროთ. სწორედ, ეს წარმოადგენს ამ სფეროში ქართული მედიევისტიკის წინსვლის ერთ-ერთ საწინდარს.

ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიით დაინტერესება ერთგვარ ფუფუნებადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. ამ თემატიკის წინ წამოწევა, მასზე ყურადღების გამახვილება, უეჭველად, ქართული მედიევისტიკის წარმატება იყო. ამ პრობლემატიკით დაინტერესება იმუამინდელი ქართული მედიევისტიკის ფონზე თვისობრივად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ თემატიკაზე ქართულ ენაზე სრულიად

არაფერი იწერებოდა. ვფიქრობთ, ყველაფერი კიდევ უფრო ნათელი შეიქმნება, სახეზეა აშკარა წინსვლა.

რა მიზანს ისახავდა ეს შრომები და რა კრიტერიუმით შეიძლება მიუდგეთ მათ? ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ის ძალიან დაგვეხმარება ამ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში. ქართული მედიევისტიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ამ საკითხს საკმაოდ რეალისტურად, პრაგმატულად, მიუდგა და ამ სფეროში მეტად მოკრძალებულ ამოცანებს ისახავდა მიზნად. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მთავარი აქცენტი კეთდებოდა ამ პრობლემატიკის პოპულარიზაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, არავითარ ჩრდილს არ აყენებს მის მეცნიერულ მნიშვნელობას და მას, უწინარესად, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაცია მეცნიერულ ელფერს იძენს, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩებში აღმოჩნდა მოქცეულ.

მიუხედავად სახელმწიფო მხრიდან განხორციელებული პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლისა, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მედიევისტიკამ ამ კულტურუტრეგერულ მისიას ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო.

ამ პრობლემატიკით ქართული მედიევისტიკის დაინტერესება მკვეთრად გამოკვეთილად ორ პერიოდად იყოფა, რომელსაც პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად: 1. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში. 2. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს პერიოდი დღესაც გრძელდება.

თავის მხრივ, ამ თემატიკით საბჭოთა ეპოქის ქართული მედიევისტიკის დაინტერესებამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა და პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს: ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია. პირველ ყოვლისა, თვალსაჩინო მიჯნას წარმოადგენს 30-იანი წლების შუა ხანები, როდესაც საბჭოთა კავშირში



საბოლოოდ ყალიბდება ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია. სწორი იყო საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა. განსხვავებული აზრი იდეენებოდა, ითრგუნებოდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტეხილს წარმოადგენდა 50-ინი წლების შუა ხანები, სახელდობრ ი. სტალინის გარდაცვალება. სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა წინეხმა შედარებით იკლო. დაიწყო „დათბობის ხანა“, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო „იდეური დაბნეულობა“. ეს გამოცოცხლება მარქსისტული იდეოლოგიის ჩარჩოებს არ ცილდებოდა.

აღნიშნული პრობლემით თანამედროვე ქართული მედიევისტიკის დაინტერესება პირობით ასევე ორ პერიოდად შეიძლება დავეოთ. 1. აღნიშნული საკითხის შესწავლა XX საუკუნის მიწურულის ქართულ მედიევისტიკაში. 2. ამ თემატიკის დამუშავება XXI საუკუნის დასაწყისის ქართულ მედიევისტიკაში.

\* \* \*

20-30-იანი წლების პირველი ნახევარი აღნიშნული პრობლემით დაინტერესების პირველი პერიოდი იყო და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის და პოპულარიზაციის ყველაზე უფრო ოპტიმალურ ხანად გვევლინება. ეს არცაა გასაკვირი და მასში საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი ანარეკლი მოჩანს.

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის და პოპულარიზაციის მესაძირკვლედ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები, პროფ. გრიგოლ ნათაძე და პროფ. ალექსანდრე ნამორაძე გვევლინებიან. ამ თემატიკით საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის

დაინტერესებამ მეცნიერული ხასიათი მიიღო. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის უგულვებელყოფა სწო-

რი არ იქნება. მაგრამ იგი მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. მოხდა ისტორიული მეცნიერების, მათ შორის, ცხადია, მედიევისტის, სტალინიზაცია. მარქსისტული მიდგომა გამოცხადდა უკანასკნელ ჭეშმარიტებად. განსხვავებული აზრი იდევენბოდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. არჩევანი არ არსებობდა. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა, რა თქმა უნდა, სწორი არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რომელიც დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიაზე მშობლიურ ენაზე გაგვანხნია. მათ აირჩიეს სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტულ აპკში გახვიეს. თუ ამ მსჯელობას ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, მასში ჩადებული მეცნიერული ინფორმაცია საინტერესოა. სწორედ, ეს ღირებული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი, ისტორიოგრაფიული საკითხებით დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მას მხოლოდ მეცნიერული და შემეცნებითი დატვირთვა როდი გაანხნია. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ეს იყო ეზოპეს ენაზე საუბარი და ამ გზით ცდილობდნენ მიენიშნებინათ ქართველი მკითხველისათვის, თუ როგორ შეიძლება მიუახლოვდეს ისტორიულ რეალობას. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მათ მოღვაწეობა მოუხდათ ყველაზე უფრო რთულ და მძიმე პერიოდში, სტალინურ ხანაში, როდესაც ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმი თავისი ზეობის პიკში იმყოფებოდა და თავისუფალი აზრი არსად არ ჭაჭანებდა. დაუმორჩილებლობის აღტერნატივა ფიზიკური განადგურება იყო. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული, რომ მათი წვლილი დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხების დამუშავების საქმეში იმაზე უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა, ვიდრე მათ ხელეწიფებოდათ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მათი მდიდარი მეცნიერუ-

ლი პოტენციალი, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, ბოლომდე არ ყოფილა რეალიზებული.

პროფ. გრ. ნათაძემ და პროფ. ალ. ნამორაძემ ქართულ სინამდვილეში სათავე დაუდეს კიდევ ერთ კარგ ტრადიციას, რომელიც დღესაც არსებობს. უმთავრესად მათი ძალისხმევით ქართულ ისტორიოგრაფიაში დაინერგა ისტორიოგრაფიული ნაშრომის დაწერის მეცნიერული წესი. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ისტორიოგრაფიული ნაშრომი არ ატარებდა წმინდა აღწერილობით ხასიათს. ეს არ იყო ისტორიკოსის ბიოგრაფიის გადმოცემა, მისი შეხედულებების თხრობა. მას გააჩნდა ანალიტიკური მუხტი. დიდი ყურადღება ეთმობოდა ისტორიკოსის შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეების გამორკვევას და მისი გამომწვევი მოტივების დადგენას. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელიც მარქსისტულ ჩარჩოებში იყო მოქცეული.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად 20-30-იანი წლების პირველ ნახევარში ქართულ მედიევისტიკას შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ისტორიის და ისტორიოგრაფიის შესწავლის საკითხში სწორი კურსი უნდა ჰქონოდა აღებული და მეცნიერულ მიდგომებზე იყო ორიენტირებული, აქცენტს აკეთებდა და კარგად ჩანდა ჩახედული იმ სიახლეებში და ნოვაციებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისი ევროპულ მედიევისტიკაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგი იყო, მაგრამ შემდგომში უმთავრესად სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლის გამო, მან მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. გრ. ნათაძის შეხედულებების ევოლუცია [1]. უწინარესად, ყურადღებას იპყრობს მის მიერ გასული საუკუნის 20-იან წლებში და 30-იან წლების პირველ ნახევარში გამოქვეყნებული შრომები. ნათქვამი პირველ რიგში შეეხება მის საინტერესო ნაშრომს „ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი“. [3]. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს მისი, როგორც მედიევისტის,

ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია. ის ისტორიოგრაფიულ ხასიათს არ ატარებს და დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთ სერიოზულ და აქტუალურ პრობლემას შეეხება. ამ რთული თემის განხილვის დროს პროფ. გრ. ნათაძე, ბუნებრივია, ჩერდება ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიკოსების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე და განიხილავს მას. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის ისტორიოგრაფია. ეს იყო მეცნიერული მიდგომა. ის შინაარსობრივად ამდიდრებს ნაშრომს და აღნიშნულ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. საკითხის ისტორიოგრაფიაში ჩახედულება მისი, როგორც მედიევისტის, პლუსია. ამ კუთხით საინტერესოა მისი წიგნი „დასავლეთ ევროპის „ფეოდალიზმის ისტორია“ [4], რომელიც 1926 წელს გამოვიდა. 1933 წელს გამოქვეყნებული წიგნი უკვე განსხვავებულია. [5]. ჩვენი აზრით, ეს არ იყო შემთხვევითი და მისი მიზეზი, პირველ ყოვლისა, პროფ. გრ. ნათაძის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძებოთ. აქ აისახა სახვებით რეალური ვითარება. გრ. ნათაძე ცდილობს ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქსიზმისკენ ევოლუციას. მეორე წიგნში ეს ძალიან კარგად ჩანს [5].

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებისადმი პროფ. გრ. ნათაძის დამოკიდებულებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა და პირობითად ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1. 20-30-იანი წლების დასაწყისი, როდესაც მისი მიდგომა ამ პრობლემებისადმი მეცნიერულია და უმთავრესად XX საუკუნის დასაწყისში ევროპულ მედიევისტიკაში მომხდარ სიახლეებზეა ორიენტირებული, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. 2. 30-იანი წლები შუა ხანებიდან ადგილი აქვს მკვეთრ მეტამორფოზს და ის იძულებულია დაემორჩილოს ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს, მონოპოლიას და არჩეული გზიდან გადაუხვიოს. ის იმყოფება ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხის ქვეშ.

ამ მხრივ ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია მისი დამოკიდებულება გამოჩენილი ავსტრიელი ისტორიკოსის ალფონს დოფშის ძიებებისადმი. თავდაპირველად ა. დოფ-

შისაღმი გრ. ნათაძის დამოკიდებულება სავსებით ნორმალური იყო. იგი ცდილობს გაერკვეს ავსტრიელი ისტორიკოსის შეხედულებების ძლიერ და სუსტ მხარეებში და მასთან უმთავრესად მეცნიერული პოლემიკა აქვს. ეს არის სწორი მიდგომა. საფიქრებელია, რომ ნორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში გრ. ნათაძე დოფშიანელი იქნებოდა.

მკვეთრად იცვლება მისი დამოკიდებულება ა. დოპშისაღმი 30-იანი წლების შუა ხანებიდან. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი და ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ის ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლის შედეგად გვევლინება. საბოლოოდ დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დიქტატი, მონოპოლია. ამიერიდან გრ. ნათაძე იძულებულია აქცენტი გააკეთოს არა დოფშის შეხედულებების პოზიტიურ მხარეზე, არამედ წინ წამოწევს მის ნეგატიურ ასპექტებს. ავსტრიელი ისტორიკოსის ძიებებისაღმი ამგვარი მიდგომა ძალიან პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და ძალად თავსმოხვეული მარქსისტულ-ლენინური კონცეფციისათვის ხარკის მოხდას წარმოადგენს. 1944 წელს გამოქვეყნებული მისი ნაშრომი „დოფშის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი“ [6], ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ეს იყო წმინდა პოლიტიკური ბრალდება, რომელსაც არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ისტორიოგრაფიული ნაშრომის წერის ისეთი სტილი ყალიბდება, სადაც დომინირებს კრიტიკულ-განმაქიქებელი ტონი.

ა. დოფშისაღმი გრ. ნათაძის დამოკიდებულების ევოლუცია საშუალებას გვაძლევს ერთი საინტერესო დასკვნა გაგვაკეთოთ. თავდაპირველად, კონკრეტულად 20-30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის დროს ქართულ მედიევისტიკას სწორი კურსი უნდა ჰქონოდა არჩეული და უმთავრესად იმ სიახლეებსა და ნოვაციებზე იყო ორიენტირებული, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ მედიევისტიკაში, მკვეთრი შემობრუნება ხდება 30-იანი წლების შუა ხანებიდან, რაც პოლიტიკურ კატაკლიზმების ლოგიკურ შედეგს

წარმოადგენს. დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლის გამო, ქართული მედიევისტიკა იძულებულია გადაუხვიოს არჩეული გზიდან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. გრ. ნათაძის შეხედულებების ევოლუცია [1.7].

გრ. ნათაძეს სპეციალური გამოკვლევები ისტორიოგრაფიაში ძალიან ცოტა აქვს დაწერილი. შეიძლება ითქვას, რომ არც აქვს დაწერილი, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ აკნინებს ამ სფეროში მისი ნაღვაწის მნიშვნელობას. ის შუა საუკუნეების ისტორიაზე თავის გამოკვლევებში დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხის ისტორიოგრაფიის განხილვას, რაც მისი შრომების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია [7.8.9.10].

30-იან წლებში პროფ. გრ. ნათაძეს გვერდში ამოუდგა მისი უმცროსი კოლეგა პროფ ალექსანდრე ნამორაძე. ახლა ისინი ორნი ეწეოდნენ ამ მიმე ჭაპანს. პროფ. ალ. ნამორაძე ახალი ისტორიის სპეციალისტი იყო. შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებს ის საგანგებოდ არ იკვლევდა. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვეგლინება მისი დაინტერესება დასავლეთ ევროპის ქალაქების წარმოშობის ისტორიოგრაფიით. თემა არის საინტერესო და რთული.

ალ. ნამორაძე თავის დამხმარე სახელმძღვანელოში შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისზე ამ თემის განხილვას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს და ვრცლად მიმოიხილავს [11.18-45].

ეს მონაკვეთი სახელმძღვანელოში ერთ-ერთი საინტერესოა. ქართულ ენაზე ამ საკითხზე არაფერი არ იყო დაწერილი და ალ. ნამორაძე შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა ამ ხარვეზის შევსების საქმეში. მან თავისი სიტყვა თქვა საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის და ისტორიოგრაფიის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. ქართული მედიევისტიკის წინაშე მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

არც მაშინ და არც მას შემდეგ მშობლიურ ენაზე ასეთი საინტერესო ისტორიოგრაფიული მიმოხილვით ქარ-

თული ისტორიოგრაფია განებივრებული არ ყოფილა. ამ ისტორიოგრაფიული ნარკვევის მეცნიერულ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს. ეს საინტერესო მიმოხილვა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი სტუდენტებს, გააცნობს მედიევისტიკის ამ აქტუალურ საკითხზე ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თეორიებს და ამ რთულ თემაზე საერთო წარმოდგენის შექმნაში დაეხმარებოდა. ამ მოკრძალებულ მისიას ალ. ნამორაძემ შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი, სწორედ, ეს იყო. ეს საინტერესო ისტორიოგრაფიული ნარკვევი, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს და იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო.

პროფ. ალ. ნამორაძემ პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში განიხილა ეს თემა და ქართულ საზოგადოებას გააცნო ის შეხედულებები, რომელიც ქალაქების წარმოშობის საკითხში არსებობდა. აქედან კარგად ჩანს, რომ პროფ. ალ. ნამორაძე საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა, როგორც შუა საუკუნეების ისტორიის, ისე ისტორიოგრაფიის საკითხებში. ეს მას წარმოგვიდგენს, სხვა ამპლუაში, როგორც კვალიფიციურ მედიევისტს.

ის ვრცლად ჩერდება XX საუკუნის დასაწყისში ევროპულ მედიევისტიკაში ქალაქების წარმოშობის საკითხში არსებულ კონცეფციებზე, თეორიებზე და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი სტუდენტებს, გააცნობს იმ სიახლეებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დარგში. მან თავი მოუყარა მეტად მდიდარ მეცნიერულ ინფორმაციას, უხვ ფაქტობრივ მასალას. ის ძალიან კარგად იცნობს, როგორც ცალკეული ისტორიკოსების გამოკვლევებს ქალაქების წარმოშობის საკითხზე, ისე იმ მდიდარ საკვლევ ლიტერატურას, რომელიც ამ თემაზე არსებობდა. პირველ რიგში ეს ეხება პროფ. დიმიტრ პეტრუშევსკის საინტერესო ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას, რომელიც იმ პერიოდის ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო [12]. სწორედ, ამ მდიდარ მასალაზე აგებს იგი თავის მსჯელობას. ზოგიერთი საკითხის შემდგომის

სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია სახელგანთქმული ბელგიელი ისტორიკოსის ანრი პირენის მიკუთვნება „საბაზრო და საბურგო თეორიების“ სინთეზის მომხმარებლისათვის და სხვ. [1. 150-151]

როგორ ჩანს, პროფ. ა. ნამორაძე იმდენად გაიტაცა საკითხის ისტორიოგრაფიამ, რომ საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა გერმანელი მეცნიერის, რუდოლფ ზომის თეორიას. [13]. ეს ნაშრომი ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოების გამო. ფაქტობრივად, ეს არის საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი საგანგებო ნაშრომი. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა. გადაიდგა პირველი ნაბიჯი დასავლეთ ევროპის ქალაქების აღმოცენების საკითხში ცალკეული ისტორიკოსების წვლილის გაცნობიერების გზაზე. შემდგომში ეს ხაზი გააგრძელა ქუთაისელმა ისტორიკოსმა შალვა აბრამიძემ. ცხადია, რ. ზომის თეორიის წინ წამოწევა შემთხვევითი არ უნდა იყოს და თავისი რეზონი, აზრი, ჰქონდა. ის ცდილობს ეზოპეს ენით მიანიშნოს მკითხველს თუ როგორ შეიძლება მიუახლოვდეს რეალობას. გამოეთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ალ. ნამორაძეს, როგორც ჩანს, სწორედ, გერმანელი მეცნიერის რუდოლფ ზომის ბაზრის თემის თეორია მიაჩნდა რეალობასთან ყველაზე უფრო მიახლოებულად და, სწორედ, ამიტომ აკეთებდა მასზე აქცენტს. ცხადია, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის პირობებში ამას ხმამაღლა თქმის უფლებას არავინ არ მისცემდა და სათქმელი მარქსისტულ აკში გაახვია [1-150].

ისტორია კუმულატიური მეცნიერებაა. მას შესწევს ცოდნის დაგროვების უნარი. ისტორიული მეცნიერება ვითარდება, წინ მიდის. ცხადია, ეს შრომები დღეს უკვე მოძველებულია, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ ისინი სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ისტორიოგრაფის მოთხოვნებს და XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. პროფ. ვრ. ნათაძის და პროფ. ალ. ნამორაძის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ, მიუხედავად



სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლისა, საძირკველი ჩაუყარეს საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის და ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციას და შესწავლას. უმთავრესად მათი ძალისხმევით საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციამ მეცნიერული დატვირთვა შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათ მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში მოექცა. მათ აირჩიეს სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცეს მისი მარქსისტული გაშუქება. დიდი არჩევანი არც ყოფილა. მათ უარესსა და ცუდს შორის უნდა გაეკეთებინათ არჩევანი. ამ კომპრომისის გამო მათი გამტყუნება სწორი არ უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგში შემთხვევაში ამ დარგში ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც მშობლიურ ენაზე გაგვანია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“, ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური იქნება [1.75-81 და 147-161].

\* \* \*

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში პროფ. ალ. ნამორაძის წვლილი ამით არ ამოიწურებოდა. მისი დამსახურება კიდევ ის იყო, რომ ამ პრობლემებისადმი ინტერესი გაუღვიძა ისტორიკოსთა ახალ თაობას, თავის მოწაფეებს. პირველ რიგში კი, რათქმა უნდა, დოც. შალვა აბრამიძესა და პროფ. ზოია შევეტელს (ჩიმაკაძეს).

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ქუთაისელმა ისტორიკოსმა დოც. შალვა აბრამიძემ. ეს ქართული მედიევისტის წინაშე მისი ერთ-ერთი დამსახურება იყო.

უდავოდ, მისასაღმებლად მიგვანია მისი დაინტერესება ევროპული მედიევისტის ისეთი კორიფეების შემოქმედებით, როგორებიც იყვნენ ბელგიელი ანრი პირენი (1862-1935) და გერმანელები ვერნერ ზომბარტი (1863-1941) და გეორგ ფონ ბელოვი (1857-1927).

ეს დაინტერესება უმთავრესად ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ჯერ ერთი, ევროპელი მედიევისტების კორიფეების შეხედულებით დაინტერესება საგსებით ბუნებრივი ჩანს და დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა გააჩნია, და მეორეც, ამ დაინტერესებაში მკაფიოდ იგრძნობა მისი უფროსი კოლეგის პროფ. ალ. ნამორადის კეთილისმყოფელი გავლენის კვალი. ამით ის შეეცადა გაეგრძელებინა პროფ. ალ. ნამორადის მიერ დაწყებული საქმე და განეხილა ამ სამი ისტორიკოსის შეხედულებები დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობაზე.

შ. აბრამიძის ყურადღების ცენტრში მოექცა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქების წარმოშობაზე სამი გამოჩენილი ისტორიკოსის ანრი პირენის, ვერნერ ზობარტის და გეორგ ფონ ბელოვის, ნააზრევი. ამას ჰქონდა თავისი მნიშვნელობა, უწინარესად აღსანიშნავია, რომ ქართული მედიევისტიკის დაინტერესება კონკრეტულად ამ პრობლემით და საერთოდ დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის თემატიკით კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. ეს იმით გამოიხატა, რომ პროფ. გრ. ნათაძე და პროფ. ალ. ნამორაძე უპირატესად სწავლობდნენ დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხების ისტორიოგრაფიას, აქ კი აქცენტი კეთდება პერსონალებზე. შუა საუკუნეების ისტორიის ძირითადი საკითხების დამუშავებაზე ცალკეული გამოჩენილი ისტორიკოსების გამოკვლევებში. იმდროინდელი ქართული მედიევისტიკის ფონზე ეს სერიოზული სიახლე იყო და წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ასეთი გადაწყვეტილება გამართლებული ჩანდა როგორც შემეცნებითი, ისე მეცნიერული თვალსაზრისით. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ამ ისტორიკოსებზე ქართულ ენაზე არაფერი არ იყო დაწერილი და მან გადაწყვიტა გამოესწორებინა ეს ხარვეზი. ეს იყო მართებული გადაწყვეტილება. ამგვარი ნაბიჯი სწორი იყო მეცნიერულადაც. 50-იანი წლების შუა ხანებში ანრი პირენის, ვერნერ ზობარტის და გეორგ ფონ ბელოვის შეხედულებები ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვანად დამუშავებული და მისი შესწავლა მხოლოდ იწყებოდა. გასათვალისწინებ-

ლია ისიც, რომ ეს საკითხები თვით ევროპულ ისტორიოგრაფიაშიც შედარებით ნაკლებად იყო გაშუქებული.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაუუსვათ იმას, რომ მკვლევარმა შალვა აბრამიძემ თავის მასწავლებლის და უფროსი კოლეგის პროფ. ალ. ნამორაძისაგან კარგად აითვისა ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომის წერის ოსტატობა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს შრომები არ წარმოადგენს ამ სამი დიდი ისტორიკოსის შეხედულებების უბრალო გადმოცემას, თხრობას. დიდი ყურადღება ექცევა ანალიზს, მათი შეხედულებების გარჩევას, აკაკარგიანობის გამორკვევას და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენას. ეს იყო სწორი მიდგომა. მაგრამ ამავე დროს ამ შრომებს ეტყობა იმ დროის კვალი. ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს ძალად თავსმოსხვეულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის, როგორც ალ. ნამორაძის მოწაფეების დიდ ნაწილი, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს, მონოპოლიას, ძალზე სკეპტიკურად ეკიდებოდა. ალბათ, ყველაზე უპრიანი იქნებოდა მათი დიდი ნაწილის დამოკიდებულება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი ღოიადურად მივიჩნით.

პირველად 1954 წელს გამოვიდა მისი ნაშრომი გამოჩენილ ბელგიელ ისტორიკოსზე ანრი პირენზე. 1955 წელს დაიბეჭდა მისი მეორე ნაშრომი ცნობილ გერმანელ მეცნიერზე ვერნერ ზომბარტზე, ხოლო გარკვეული პაუზის შემდეგ, 1971 წელს მან გამოსცა მესამე ნაშრომი თვალსაჩინო გერმანელ ისტორიკოსზე გეორგ ფონ ბელოვზე. ასეთ სამ დიდ ისტორიკოსთან და იმ რთულ პრობლემებთან შეჭიდება, რომელსაც ეს ისტორიკოსები წამოჭრიან, მრავლისმეტყველია და იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ქართველი ისტორიკოსი ადვილი გზით სიარულის მოტრფიალე არ ყოფილა.

ამ სამი საინტერესო ისტორიოგრაფიული ნარკვევიდან საუკეთესოდ ცნობილ ბელგიელ ისტორიკოს ანრი პირენზე დაწერილი ნაშრომი მიგვაჩნია. უწინარესად ხაზი უნდა გაუუსვათ იმას, რომ დოც. შალვა აბრამიძის ნაშრომში ბელგიელი ისტორიკოსის ანრი პირენის მოღვაწეობა წარმონეწილია საკმაოდ ფართო სპექტრში. ეს ძალიან კარგია. ამას

თავისი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართველ მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნიდა მისი, როგორც ისტორიკოსის მეცნიერული ინტერესების სფეროზე.

ნაშრომი დაყოფილია რამდენიმე მონაკვეთად. პირველი მონაკვეთი შესავალს წარმოადგენს და საუბარია ა. პირენის ბიოგრაფიაზე. მეორე მონაკვეთში განხილულია კაპიტალიზმის განვითარების უმთავრესი ფაზები. მესამე მონაკვეთი შეეხება მედიევისტიკის აქტუალურ თემას ა. პირენის მოსაზრებებს ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლაზე. ნაშრომის ყველაზე უფრო წონად ნაწილს. ცხადია, მეოთხე მონაკვეთი წარმოადგენს, სადაც ის განიხილავს ანრი პირენის შეხედულებებს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობაზე. ავტორი ამ მონაკვეთს ორ ნაწილად ყოფს და ბოლოს დასკვნა. ის ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ ჩარჩოებში და სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. [14]

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღებას იპყრობს ნაშრომში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა. მან სწორედ გადმოგვცა ამ საკითხზე ანრი პირენის შეხედულებები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ის იცნობს ანრი პირენის შრომებს და ამ თემაზე ანრი პირენისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურას, როგორც რუსულ, ისე უცხო ენაზე. უცხო ენის კარგი ცოდნა, მისი, როგორც ისტორიკოსის პლუსია. ის თავის მსჯელობას, სწორედ, ამ საინტერესო მასალაზე აგებს. აქ მოხმობილი მეცნიერული ინფორმაცია ღირებულია და მისი გამოყენება გამორიცხვულად არ მიგვაჩნია. დღეს მას სულ სხვა ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი მოსაზრებამ თითქოს გამოჩენილი ბელგიელი ისტორიკოსის ანრი პირენის კონცეფცია დასავლეთ ევროპის ქალაქების აღმოცენების საკითხზე წარმოდგენდა რუდოლფ ზომის „საბაზრო თეორიის“ და კეიტგენის „საბურგო თეორიის“ სინთეზს. ეს მოსაზრება ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პროფ. ალექსანდრე ნამორაძემ. იმდენად დიდი იყო მისი, როგორც მკვლევ

ვარი-ისტორიკოსის ავტორიტეტი, რომ შემდგომში ეს მოსაზრება გაიმეორეს მისმა მოწაფეებმა და ეს თვალსაზრისი მტკიცედ დაფუძნდა ქართულ მედიევსტიკაში. [11.86.14.207.15.163]. რა თქმა უნდა, ანრი პირენის კონცეფცია ჩინური კედლით არაა გამოიყენებული სხვა თეორიებისაგან და მას გარკვეული შეხების წერტილები გააჩნია როგორც „საბაზრო“, ისე „საბურგო“ თეორიებთან“. ამაში ეს მეცნიერები სავსებით მართალნი არიან, მაგრამ ა. პირენის „საბაზრო და საბურგო თეორიების“ სინთეზის მომხრედ გამოცხადება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ჩვენ ცოტა სხვაგვარად ვფიქრობთ და ვიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც ანრი პირენს „სავაჭრო თეორიის“ მომხრედ მოიაზრებენ [16].

რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს ანრი პირენის თეორიის ორიგინალობას. სწორედ, ამიტომ იწვევს ის აზრთა სხვადასხვაობას, კამათს. ანრი პირენის თეორიას კრიტიკოსები, პირველ რიგში, ევროპულ ისტორიოგრაფიაში გამოუჩნდნენ. ეს იყო მეცნიერული მიდგომა. მას უმთავრესად პოზიტიური დატვირთვა გააჩნდა და თავისი წვლილი შეიტანა ა. პირენის თეორიის სრულყოფის, დახვეწის, საქმეში. ხელი შეუწყო ისტორიული მეცნიერების შემდგომ წინსვლას, განვითარებას. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ა. პირენის თეორიის კრიტიკამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო მარქსისტული იდეოლოგიის დიქტატს, მონოპოლიას, ექვემდებარებოდა. მის მთავარ ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ფორმაციული პრინციპი და ისტორიის მონისტური გაგება, რომელისთვისაც დამახასიათებელი იყო ეკონომიკური ფაქტორის დომინანტი. ქალაქების აღმოცენების მთავარ მიზეზს სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფა წარმოადგენდა. ქალაქის კულტურულ ფუნქციამდე საქმე არ მიდიოდა. ეს მიდგომა კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის პოზიციას და სულაც არ წარმოადგენდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას, როგორც ამას სულ ცოტა ხნის წინ გვიმტკიცებდნენ. საკითხისადმი ანრი პირენის მიდგომა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იყო და გაცილებით უფრო ახლოს მიყვავართ ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მარქსის-

ტულ თვალსაზრისს. ქართულ ისტორიოგრაფიას მარქსისტული მიდგომა ძალად მოახვიეს თავს და მას მის წინააღმდეგ ხმის ამოდების არანაირი საშუალება არ გააჩნდა. არჩევანი არ არსებობდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ზოგიერთ საკითხში შ. აბრამიძე მეცნიერულ პოლემიკას აწარმოებს ანრი პირენთან და სწორედ ეკამათება მას. ის სავესებით სამართლიანად საყვედურობს ბელგიელ ისტორიკოსს არაბთა შემოსევების მნიშვნელობის გაზვიადებას. ამ შემთხვევაში დისკუსია მეცნიერულ ხასიათს ატარებს და მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება.

როდესაც ის საუბრობს ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლაზე და ა. პირენს მიერ არაბთა შემოსევების გააზრებაზე, იგი მიუთითებს მის მრავალრიცხოვან შრომებს, მაგრამ რატომღაც კრინტს არ ძრავს მის მთავარ ნაშრომზე „მუჰამედი და კარლოსი“ [17]. ამ ნაშრომის გამოყენება აღნიშნული პრობლემის გარჩევას, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მეტ სიღრმეს შესძენდა და შინაარსობრივად გაამდიდრებდა [14. 189].

შემდგომი ორი ნაშრომი, ჩვენი აზრით, შედარებით უფრო სუსტია და გარკვეული უკმარისობის გრძნობას გვიჩენს. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აქ დოც. შ. აბრამიძე სულ სხვა გზას ირჩევს. ის ყურადღების კონცენტრაციას ახდენს ერთ კონკრეტულ თემაზე, კერძოდ, ვერნერ ზომბარტის და გეოგრ ფონ ბელოვის შეხედულებებზე დასავლეთ ევროპის ქალაქების წარმოშობაზე. ასეთ მიდგომაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ და აქვს არსებობის უფლება, თუმცა ძალიან მშრალი, ვიწრო, შეიძლება იყოს. ჩვენი აზრით, ნაშრომის საერთო ფონი მოიკიჭლებს. ეს იმით გამოიხატება, რომ ის არ მიდის ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, რაც შინაარსობრივად აღარბეებს ამ ორ საინტერესო ისტორიოგრაფიულ ნარკვევს. ნაშრომში ზოგადად, ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, უნდა თქმულიყო თუ რაში მდგომარეობდა ისტორიული მეცნიერების წინაშე მათი მთავარი დამსახურება. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ეს შინაარსობრივად გაამდიდრებდა ორივე ნაშრომს. მეორეც, მას შემეცნებითი

დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, სტუდენტებს, მათ შემოქმედებაზე საერთო წარმოდგენის შექმნაში დაეხმარებოდა. ამიტომ ამ საკითხის გვერდის ავლა დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ შრომებში დამაჯერებლად არაა ნაჩვენები მათი საერთო წვლილი ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. ეს ამ თემებზე მისი მსჯელობის აქტიურობის ქუსლად მიგვაჩნია.

კ. ზომბარტს და გ. ფონ ბელოვზე დაწერილ შრომებს შორის გაცილებით უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განსხვავება. დავიწყოთ ცნობილ გერმანულ მეცნიერზე ვერნერ ზომბარტზე დაწერილი ნაშრომით, რომელიც 1955 წელსაა გამოქვეყნებული.

უწინარესად ხაზი უნდა გაეუსვათ იმას, რომ გარკვეულ უკმარობის გრძნობას გვიტოვებს და შესიტყვების სურვილს გვიჩენს ნაშრომის სტრუქტურა, არქიტექტონიკა. ეს არაა უმნიშვნელო საკითხი. ფაქტობრივად, საქმე ეხება ნაშრომის შინაარსს, საკითხის დალაგებას, ლოგიკურ გადმოცემას. ის ნაშრომს სამ ნაწილად ყოფს, თუმცა მას სულ სხვა შინაარსობრივ დატვირთვას ანიჭებს. ნაშრომის სამად დაყოფა სავსებით მისაღები უნდა იყოს, ხოლო მასში ჩადებული შინაარსის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნას. აი, რა გვაქვს მხედველობაში. სამ ნაწილად დაყოფა, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება, მაგრამ სულ სხვა შინაარსობრივ დატვირთვას იძენს. ალბათ, გაცილებით უფრო უპრიანი იქნებოდა, თავდაპირველად მას ესაუბრა ვერნერ ზომბარტის მოღვაწეობაზე, ბიოგრაფიაზე. ამის შემდეგ უნდა განეხილა თუ რა საერთო წვლილი შეიტანა მან ისტორიულ მეცნიერებაში. ამ ორი საკითხის განხილვა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს და კარგ ფონს შექმნიდა მთავარ თემაზე გადასასვლელად. ამას თავისი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. და ბოლოს, ცხადია, ის განიხილავდა ვერნერ ზომბარტის შეხედულებებს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქების აღმოცენების საკითხზე. შ. აბრამიდის ნაშრომის ყველაზე წონიანი ნაწილი, სწორედ, ეს იქნებოდა. მესამე მონაკვეთი ორ ნაწი-

ლად შეიძლება გაიყოს. ჯერ განხილული იქნებოდა ქალაქების წარმოშობაზე ვერნერი ზომბარტის კონცეფცია, ხოლო შემდეგ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე მისი მოსაზრებები. ალბათ, ეს გაცილებით უფრო ლოგიკური იქნებოდა, ვიდრე ის, რასაც პატივცემული მკვლევარი გთავაზობს. ქუთაისელი მედიევისტის მიდგომა, დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს და ვერნერ ზომბარტის საერთო წვლილზე ისტორიულ მეცნიერებაში სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ის აღნიშნულ საკითხში საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ნაშრომში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა. ამ თემაზე მისი მსჯელობა, სწორედ, ამ მრავალფეროვან ფონზეა გაშლილი. ის ძალიან კარგად იცნობს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქების აღმოცენების საკითხზე ვერნერ ზომბარტის მოსაზრებებს და საკმაოდ ვრცლად განიხილავს მის მთავარ ნაშრომს „თანამედროვე კაპიტალიზმი“ [18]. ის ცდილობს შეძლებისდაგვარად სწორედ გადმოგვცეს აღნიშნულ პრობლემაზე ვ. ზომბარტის შეხედულებები, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის პოზიტიურ მომენტს წარმოადგენს. ამავე დროს, ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს ერთი გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას და მოგვცეს ვ. ზომბარტის შეხედულებების მარქსისტული შეფასება.

თავის ნაშრომში დოც. შალვა აბრამიძე ხაზს უსვამს, რომ ვერნერ ზომბარტის თეორიის თანახმად, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქები აღმოცენდა, როგორც ფეოდალური მიწის რენტის მოხმარების ცენტრი. [19. 202. 210]. ვ. ზომბარტზე ნაშრომის დასასრულს ის იმოწმებს ეკონომისტ ფ. პოლიანსკის თვალსაზრისს და დასძენს „ზომბარტის ცდა, განიხილოს შუა საუკუნეების ქალაქები, როგორც ფეოდალური რენტის მოხმარების ცენტრები, არ არის დამაჯერებელი და არსებითად სამამულო თეორიის ძველი კონცეფციის განახლებას წარმოადგენს. ზომბარტი არ ითვალისწინებს ქალაქების სპეციფიკურ როლს შუა საუკუნეების ეკონომიკურ ცხოვრებაში და



ივიწყებს იმას, რომ არისტოკრატიული მამული ან თვით მეფის რეზიდენცია, გახდებოდა ხელოსნურ დაბად და გადაიქცეოდა ქალაქად.“ [19, 210-211].

ეს იყო საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა, რომელსაც დღეს ყაველი გაუვიდა, უკვე მოძველებულია და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ვ. ზომბარტის თეორიაში საკამათო არაფერი იყოს. პირიქით, ვ. ზომბარტის კონცეფციას ოპონენტები თვით გერმანულ ისტორიოგრაფიაში გამოუჩნდნენ. მათი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ცნობილი გერმანელი მედიევისტი გეორგ ფონ ბელოვი, რომელსაც შეეხება ქუთაისელი ისტორიკოსის დოც. შალვა აბრამიძის შემდეგი ისტორიოგრაფიული ხასიათის ნარკვევი.

ვიდრე ვ. ზომბარტზე დაწერილ ნაშრომზე საუბარს დავასრულებდეთ, მანამდე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს. მოულოდნელად მიგვაჩნია, რომ როდესაც დოც. შალვა აბრამიძე საუბრობს გერმანელი მეცნიერის რუდოლფ ზომის თეორიაზე, არსად არ მიუთითებს პროფ. ალ. ნამორაძის ნაშრომს „ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ“ [13], რომელიც დაიბეჭდა უნივერსიტეტის შრომებში 1938 წელს [19,204]. და რომელსაც ის ძალიან კარგად იცნობდა. ეს არაა უმნიშვნელო საკითხი, რომელზეც, ალბათ, არც კი ღირდა ყურადღების გამახვილება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზომის თეორიის შესახებ ქართულ ენაზე სრულიად არაფერი დაწერილა. სინამდვილეში, ეს ასე არ იყო. წინამორბედებისადმი გულგრილი დამოკიდებულებას არანაირი გამართლება არ გააჩნია. ასეთი მიუტყვებელი შეცდომა ისეთი მაღალი რანგის მეცნიერს, როგორც ბ-ნი შ. აბრამიძეა, ვფიქრობთ, არ უნდა მოსვლოდა.

მანამდე, ვიდრე დოც. შ. აბრამიძის შემდგომი ნაშრომის განხილვაზე გადავიდოდეთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. როგორც უკვე ითქვა, ვ. ზომბარტზე და ფონ. ბელოვზე დაწერილ შორის ძალიან ბევრი მსგავსება არსებობს, მაგრამ არის განსხვავებაც და ამის გვერდის ავლა მართებული არ იქნებოდა. აი, რა გვაქვს მხედველობაში. თუ ზომბარტზე ნაშრომს გააჩნია

გარკვეული გეგმა და მას საფუძვლად უდევს ქალაქების წარმოშობის შესახებ გერმანელი მეცნიერის ძირითადი დებულებები, გ. ფონ ბელოვზე დაწერილ ნაშრომზე ამას ვერ ვიტყვით. მას უბრალოდ ასეთ გეგმა არ გააჩნია. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ იყო და, ალბათ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ნაშრომის გამოცემა, შესაძლოა, ნაჩქარევ ხასიათს ატარებდა.

დოც. შალვა აბრამიძის მესამე ნაშრომი აგრძელებს დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის კორიფეების შემოქმედებისადმი მიძღვნილ ციკლს და გამოჩენილ გერმანელ მედიევისტს გეორგ ფონ ბელოვს შეეხება. ასეთი ნაბიჯი სრულიად გამართლებული უნდა ჩანდეს და სწორია. გერმანელმა ისტორიკოსმა გეორგ ფონ ბელოვმა დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისის შესწავლის საქმეში თავისი სიტყვა თქვა და საკითხის ისტორიოგრაფიაში ღრმა კვალი დატოვა. გ. ფონ ბელოვმა სცადა მოეცა ამ თემის ახლებური, საინტერესო გააზრება, რაც უწინარესად იმით გამოიხატა, რომ უფრო გააღრმავა და დაასაბუთა გერმანელი მეცნიერის, გეორგ მაურერის სათემო თეორია. გ. ფონ ბელოვის დამსახურება, სწორედ, ამაში მდგომარეობა. [12. XXVI XXXIX].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას ეს ნაშრომი დაწერილი უნდა ჰქონოდა 50-იანი წლების შუა ხანებში, იმ დროს, როდესაც დაწერა ანრი პირენზე და ვერნერ ზომბარტზე შრომები, მაგრამ გამოაქვეყნა, გაცილებით უფრო მოგვიანებით, 1971 წელს. რა იყო ამის მიზეზი, ძნელი სათქმელია.

დოც. შ. აბრამიძე, პირველ ყოვლისა, ყურადღებას მიაპყრობს გერმანელი ისტორიკოსის პოლემისტურ ტონს. იგი უწინარესად, ქალაქების წარმოშობის შესახებ XX საუკუნის დასაწყისში ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თეორიების წინააღმდეგაა მიმართული. დოც. შ. აბრამიძე ხაზს უსვამს საკითხის ისტორიოგრაფიაში გეორგ ფონ ბელოვის ჩახედულებას და აღნიშნავს, რომ მან მოგვცა სამამულო და საბაზრო თეორიების დამაჯერებელი კრიტიკა. ეს ამ თემაზე გერმანელი ისტორიკოსის მსჯელობის პლუსია. „მან კრიტიკულად განიხილა შუა საუკუნეების საქალაქო და საამქრო წყობილებების წარმოშობის სამამულო

თეორია (ნიჩი, არნოლდი) და შუა საუკუნეების ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების ნატურალური მეურნეობის კონცეფცია. გ. ბელოვი უარყოფდა და ებრძოდა კარლ ბიუხერის ისტორიულსა და ეკონომიკურ პერიოდიზაციას. იგი არ იზიარებდა ვერნერ ზომბარტის შეხედულებას, რომ ქალაქი წარმოიშვა, როგორც ფეოდალური მიწის რენტის მოხმარების ცენტრი“ [20,84].

მან გეორგ ფონ ბელოვის გამოკვლევებზე და საკვლევ ლიტერატურაზე დაყრდნობით, საზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელი მედიევისტი ქალაქების აღმოცენების სათემო თეორიის მომხრედ მოიაზრებოდა. გერმანელი მკვლევარის ღრმა რწმენით, „საქალაქო წყობილება ადმინისტრაცია სოფლის თემიდან – მარკიდან იღებს სათავეს“ [20.84.85] მან ვრცლად გადმოგვცა ამ თემაზე გერმანელი მედიევისტის შეხედულებები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი ნაშრომის ღირსებაა, რომელიც განსაზღვრავს მის შემეცნებით მნიშვნელობას [20. 86-90].

მაშ ასე, მან კარგად იცის ამ თემაზე გეორგ ფონ ბელოვის შეხედულებები, სწორედ გადმოვცემს მას და აღნიშნულ საკითხში ჩახედული უნდა ჩანდეს, რაც მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ამავე დროს, ნაშრომში ძალუმაღ იგრძნობა იმ, დროის კვალი და ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს, ძალად თავს მოხვეწულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს, მონოპოლიას. არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი იდევენებოდა, ითრგუნებოდა. ასეთ იყო რეალობა.

ამ საინტერესო ნაშრომთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება: 1. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვეკონია, რომ ნაშრომის გამოქვეყნება ნაჩქარევ ხასიათს ატარებდა და აშკარად საჭიროებს შემდგომ დახვეწას, სრულყოფას, გაერცობას. ნაშრომი დაუსრულებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მას არა აქვს არც რუსული რეზიუმე, რომელიც ახლავს წინა ორ ნაშრომს და არც დასკვნა. ის არ ახდენს აღნიშნულ თემაზე გერმანელი მკვლევარის შეხედულებების შეჯამებას. ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო. 2. სწორხაზოვნად მიგვაჩნია ნაშრომის სტრუქტურა, არქიტექტონიკა. ეს, პირველ ყოვლისა,

შეხება ნაშრომის შინაარსს. ისტორიკოსის შეხედულებების ლოგიკურად დალაგების და გადმოცემის პრინციპს. ის ძალიან კონკრეტული და მშრალია. ფონისადმი გულგრილი დამოკიდებულება მისი მთავარი დამახასიათებელი თავისებურებაა. ფაქტობრივად ის გვერდს უვლის გერმანელი ისტორიკოსების შემოქმედების საერთო სურათს. ამიტომ ამ თემისადმი გვერდის ავლა დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. 3. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენი თვალსაზრისით, თხრობა შეიძლება დომინირებდეს ანალიზზე. [20.86-90]. 4. რატომღაც კრინტს არ ძრავს იმის თაობაზე, რომ გეორგ ფონ ბელოვის შეხედულებებისათვის დამახასიათებელი იყო საკითხისადმი იურიდიული მიდგომის დომინანტი. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, ეს ორი ისტორიოგრაფიული ნარკვევი საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის შენაძენია და მას ამ საკითხებით დაინტერესებული ვერც ერთი ქართველი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ეს შრომები იმდროინდელი ქართული მედისვისტიკის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მან ქართულ მედიევისტიკაში ერთერთმა პირველმა ქართველ მკითხველს აღნიშნულ საკითხზე მიაწოდა მეტად ვრცელი მეცნიერული ინფორმაცია და მოგვცა მისი მარქსისტული გააშუქება. აქ თავმოყრილი უხვი ფაქტობრივი მასალა საინტერესოა და მისი გამოყენება გამორიცხებულად არ მიგვაჩნია, ხოლო მარქსისტული ინტერპრეტაცია, ცხადია, მოძველებულია და მიუღებელია. ისტორიული მეცნიერების განვითარებაში მათ მიერ შეტანილი საერთო წვლილი დამაჯერებლად უნდა ყოფილიყო ხაზგასმული. ფაქტობრივად, მან ვერ მოგვცა მათი შემოქმედების საერთო სურათი. (სხვათა შორის, ეს კარგად გააკეთა ანრი პირენზე დაწერილ ნარკვევში. რატომ გადაუხვია ამ გზიდან ჩვენთვის უცნობი რჩება).

შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის კორიფეების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ციკლის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება მისი ნაშრომი გამოჩენილ რუს მედიევისტზე, პროფ. დიმიტრი პეტრუშევისკიზე. ეს საინტერესოა. დოც. შ. აბრამიძე საკმაოდ ერუდიციას ამჟღავნებს და ჩახედული ჩანს ამ სფეროში, არა მარტო ევროპული

ისტორიოგრაფიის მიღწევებში, არამედ კარგად იცნობს რუსულ მედიევისტიკას.

მისი საინტერესო მოხსენება რუსული ისტორიოგრაფიის კორიფეზე აკად. დიმიტრი პეტრუშევსკიზე (1863-1942) ნათქვამის დასტური უნდა იყოს [21]. ამჯერად მისი ყურადღების ცენტრში მოექცა დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისზე რუსული ისტორიოგრაფიის კორიფეს დიმიტრი პეტრუშევსკის შეხედულებები. ამიტომ ამ ნაშრომის გამოცალკეება დამაჯერებელი არ იქნებოდა.

უწინარესად ყურადღებას იპყრობს მისი არჩევანი, ვინაიდან დიმიტრი პეტრუშევსკი საბჭოთა პერიოდის რუსულ ისტორიოგრაფიაში მეტად არაორდინალური პირუნება იყო. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატა, რომ მან არ ცნო მარქსისტული იდეოლოგია და ბოლომდე დარჩა თავის პოზიციასზე, ამიტომ დასავლეთ ევროპის ქალაქების გენეზისის საკითხზე დიმიტრი პეტრუშევსკის თვალსაზრისით დაინტერესება, ალბათ, მრავლისმეტყველია და მისასაღმებლად უნდა მივიჩნიოთ.

დოც. შალვა აბრამიძის მოხსენება ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენია. დღეს საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გაუუსვათ იმას, რომ თავის მოხსენებაში ის არსად ამბობს, რომ დ. პეტრუშევსკი მარქსისტი იყო, როგორც ამან ფართოდ მოიკიდა ფეხი 50-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. [22.23] ეს ამ თემაზე დოც. შ. აბრამიძის მსჯელობის პლუსია. იგი ქალაქების წარმოშობის საკითხში იზიარებს იმ ისტორიკოსების თვალსაზრისს, რომელიც დ. პეტრუშევსკის მოიზრებდნენ გერმანელი მედიევისტის გეორგ ფონ ბელოვის თეორიის მომხრედ. რუსი ისტორიკოსი ემხრობა მოსაზრებას, რომ ქალაქები წარმოიშვა თემისაგან – მარკისაგან [21. 59]. „მიუხედავად იმისა, რომ მისი საისტორიო კონცეფცია და შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობის საკითხის გაშუქება თანადროულ გაგებას არ შეესაბამება, პეტ-

რუშვესკის შრომებს მნიშვნელობა არ დაუკარგავს“ [21.59]. ასეთი ოპტიმისტური დასკვნა კარგი იყო და იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ფართოდ ინერგებოდა დ. პეტრუშვესკის ნაღვაწისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, მისასაღმებელია. მას სწორედ წარმოუდგენია რუსი მედიევისტის ისტორიული შეხედულებების ევოლუცია. „პირველ ხანებში იგი (ე.ი. დ. პეტრუშვესკი – მ. კ.) „ეკონომიურ მატერიალიზმს“ ემხრობოდა და ისტორიაზე, როგორც მეცნიერებაზე რადიკალურ შეხედულებას გამოთქვამდა, ხოლო შემდგომში მ. ვებერის და ა. დოფშის პოზიცია გაიზიარა“ [21. 59]. აქცენტების დასმა არის მარქსისტული, რაც, უპირატესად, იმით გამოიხატება, რომ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული და რუსი მეცნიერის შეხედულებების ძლიერი მხარე, მის სისუსტედაა წარმოჩენილი. „დრო იყო კოჭლი და ღირსება ნაკლად იყო გადაქცეული“. დოც. შ. აბრამიდის ეს ნაშრომი შუა საუკუნეების ისტორიის კორიფეების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ციკლის ლოგიკურ გაგრძელებად და დაგვირგვინებად გვევლინება.

ამრიგად, დოც. შალვა აბრამიძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ქართული მედიევისტიკის წინაშე მისი ერთ-ერთი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. მან აიღო სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. ამ კომპრომისის გამო მისი მკაცრად განსჯა, კვლავ ვიმეორებ, მართებული არ უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საკითხზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც მშობლიურ ენაზე გაგვანხნია. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის ძლიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური წნეხისა, უნდა ითქვას, რომ ამ ოთხი დიდი ისტორიკოსის შეხედულებებით დაინტერესება ძალიან კარგია და აშკარად გამოკვეთილი პოზიტიური დატვირთვა გააჩნდა. პირველ რიგში კი, ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მას წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ოთხ დიდ ისტორიკოსზე ქართულ ენაზე არც მანამდე არც მას შემდეგ, თითქმის არაფერი დაწერილა, მა-

შინ დოც. შალვა აბრამიძის ეს ოთხი ისტორიოგრაფიული ნაშრომი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის შენაძენია. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. დოც. შალვა აბრამიძემ ძალიან კარგი საქმე გააკეთა და მისი სახით (აღლ. ნამორაძესთან ერთად) საქმე გვაქვს საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქების აღმოცენების ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ კარგ მცოდნესთან.

ისტორიოგრაფიაში მოსინჯა თავისი შესაძლებლობები პროფ. აღლ. ნამორაძის კიდევ ერთმა მოწაფემ პროფ. ზოია შევტელმა (ჩიმაკაძემ). მან ხელი მოკიდა აღორძინების ეპოქის იტალიური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერის ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) შემოქმედების შესწავლას.

პირველ რიგში აქ ბუნებრივია, წარმოიჭრება ერთი საკითხი. რამდენად მართლზომიერ იქნებოდა ამ ნაშრომის ჩართვა წინამდებარე მიმოხილვაში. ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი და მას პრინციპული დატვირთვა გააჩნია. საქმე ეხება ისტორიული აზროვნების პერიოდიზაციის საკითხს.

ევროპულ-ამერიკული ისტორიოგრაფია აღორძინების ხანას ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიაში მოიაზრებდა. [24]. განსხვავებულ პოზიციაზე იდგა საბჭოთა მარქსისტული ისტორიოგრაფია და ის ამ ეპოქის ისტორიული აზროვნებას და მის კორიფეს ნიკოლო მაკიაველის შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში მიუჩენდა ადგილს. [25]. საერთაშორისო საზოგადოებამ მარქსისტული პერიოდიზაცია ძალიან ცივად მიიღო. საბჭოთა ისტორიოგრაფია იზოლაციაში მოექცა. [26]. ვინაიდან იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფია ნიკოლო მაკიაველის შუა საუკუნეების ისტორიულ აზროვნებას მიაკუთვნებდა, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ამ მიმოხილვაში აღნიშნული გამოკვლევაში ჩართვა.

პროფ. გრ. ნათაძემ და პროფ. აღლ. ნამორაძემ თავის მოწაფეს საინტერესო თემა შეურჩიეს. ნიკოლო მაკიაველის ისტორიული თხზულებები, მისი ისტორიული შეხედულებები. ასეთი ნაბიჯი იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე სავსებით გამართლებული ჩანდა. საქ

მე ისაა, რომ 40-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ჯერ კიდევ ნაკლებად იყო დამუშავებული, შესწავლილი. ქართველი მკვლევარი შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა ამ ხარვეზის შევსების საქმეში. მისი ნაშრომის მნიშვნელობის გასაღებიც, სწორედ, აქ ძვეს.

ნაშრომი შეიცავს რემენგტონზე გადაბეჭდილ 196 გვერდს და შედგება ოთხი თავის და დასკვნისაგან. ბოლოში დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია. ბიბლიოგრაფია. შესავალი არ აქვს. ნაშრომის შინაარსი ასეთია: პირველი თავი წარმოადგენს ისტორიულ ფონს და ეხება იტალიის და კონკრეტულად ფლორენციის ისტორიას XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასაწყისში. მეორე თავში აღძრულია მეტად აქტუალური და საინტერესო საკითხი მაკიაველი დახასიათება, როგორც პოლიტიკოსის და დიპლომატის. ამ თემაზე ყურადღების გამახვილება მისასაღმებელია და ეს საკითხი იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო დამუშავებული. მესამე თავი ეძღვნება მაკიაველის ნაწარმოებებში ისტორიული მოვლენების შეფასებას და ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ მონაკვეთს წარმოადგენს. გამოკვლევის ყველაზე უფრო წინად ნაწილად გვევლინება მეოთხე თავი, რომელიც მიზნად ისახავს, ნიკოლო მაკიაველის მთავარი ისტორიული ნაშრომის “ფლორენციის ისტორიის“ გარჩევას და ბოლოს დასკვნა, სადაც ავტორი ცდილობს შეაჯამოს კვლევის შედეგები. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა [27.196].

მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული გაშუქება. ნაშრომი თეორიულ, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის ისტორიული თხზულებების განხილვას. ის ცდილობს დაეუფლოს ისტორიოგრაფიული ნაშრომის დაწერის ოსტატობას. ნაშრომი არ ატარებს აღწერილობით ხასიათს. ის არ წარმოადგენს მაკიაველის შეხედულებების უბრალო თხრობას. ის ცდილობს ჩაწვდეს დიდი ფლორენციელის გენიალურ ნააზრევს, გამოარკვიოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ახსნას მისი გამომწვევი



მოტივები. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში მოექცა.

ნაშრომში თავმოყრილია მდიდარ მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, რომელიც პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის კარგ ცოდნას ემყარება, როგორც რუსულ, ისე იტალიურ და გერმანულ ენებზე. ეს კი უცხო ენების კარგი ცოდნის ლოგიკური შედეგია და მისი როგორც ისტორიკოსის ძლიერი მხარეა.

იტალიის პოლიტიკური აზრის განვითარება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ მომხდარა და ავტორი მას უმთავრესად იტალიის პოლიტიკურ ყოფას უკავშირებს. [27. 28]. ხაზს უსვამს მაკიაველის ეპოქის და პოლიტიკის, დიპლომატიის მჭიდრო კავშირს, კონტაქტს [27.58] საინტერესოა ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, სადაც ქართველი მკვლევარი განიხილავს ისტორიკოსების მიერ მაკიაველის „ფლორენციის ისტორიაზე“ გამოთქმულ მოსაზრებებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ თემას ეხებოდნენ ისეთი დიდი ისტორიკოსები, როგორც იყვნენ ლეოპოლდ ფონ რანკე, გეორგ გერვინიუსი, ფრიდრიხ მაინკე, ედუარდ ფესტერი, პასკუალე ვილარი და სხვა [27. 132-136]. ეს მსჯელობა ანალიტიკური მუხტითაა გაჯერებული, მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა, ძალად თავსმოხვეული მარქსისტული იდეოლოგიის ყალიბში რომ არ ყოფილიყო მოქცეული. ის ნიკოლო მაკიაველის მოიაზრებს, როგორც პოლიტიკურ-რიტორიკული სკოლის წარმომადგენელს იტალიური ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში. [27. 171]. აღნიშნავს, რომ მაკიაველის ისტორიული შეხედულებები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის პოლიტიკურ საქმიანობასთან. [27.173]. „მიუხედავად იმისა, რომ „ფლორენციის ისტორიაში“ შეინიშნება ცალკეული ხარვეზები... მაკიაველის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს ცალკეული მოვლენების შეფასება. მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. უნარი მოძებნოს ყველაზე უფრო დამახასიათებელი მაგალითები და აღნიშნოს მთავარი საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესში“ [27.169]. ქართველი ისტორიკოსი დასძენს, „მიუხედავად იმ

დიდი სიახლეებისა, რომელიც მას ჰქონდა ის დარჩა XVI საუკუნის ისტორიკოსად“ [27. 173]. მართლაც, ნიკოლო მაკიაველი იყო XVI საუკუნის იტალიური ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის კორიფე.

ამავე დროს უნდა გამოვთქვათ რამოდენიმე მოსაზრება, რომელიც უმთავრესად ნაშრომის სრულყოფის, დახვეწისკენაა მიმართული. 1. შესავლის არქონა ნაშრომის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. მას შესავალში უნდა განეხილა ნაშრომის აქტუალობა, ხაზი გაესვა, თუ რა მიზნებს ისახავდა ამ გამოკვლევაში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობთ, სასურველი იყო ძალიან მოკლედ მიმოეხილა საკითხის ისტორიოგრაფია. როგორ ავასებდნენ ისტორიკოსები მაკიაველის, როგორც ისტორიკოსს, მის ისტორიულ შეხედულებებს. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს და საკმაოდ მომგებიათ იქნებოდა. 2. გერმანელი მკვლევარი ედუარდ ფესტერი ამტკიცებდა, რომ „გვიჩარდინის „იტალიის ისტორია“ წარმოადგენს თანამედროვე ანალიტიკური ისტორიული მეცნიერების დასაწყისს“. ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამი შეიძლება იყოს და შესიტყვების სურვილი გვიჩნდება. ისტორიკოსთა უმრავლესობა და მათ შორის ჩვენც, სულ სხვაგვარად ფიქრობს და იმ აზრისაკენ უფრო იხრება, რომ თანამედროვე ანალიტიკური ისტორიული მეცნიერების დასაწყისად ნიკოლო მაკიაველის შემოქმედება გვევლინება. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება საკითხის ამ ასპექტში დაყენება და განხილვა. მაგრამ ის ასე არ იქცევა და სულ სხვა გზით მიდის. ამ საკითხზე გერმანელ ისტორიკოსთან მეცნიერულ პოლემიკაში ის არ შედის და ამ საინტერესო თემას რატომღაც გვერდს უვლის. 3. ისტორიული მეცნიერების წინაშე ნიკოლო მაკიაველის დამსახურების აღნიშვნის დროს, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა კიდევ უფრო ხაზგასმით თქმულიყო მის მთავარ დადებით მხარეზე, ისტორიული აზროვნების სეკულარიზაციაზე, რეალისტურ – რაციონალისტურ დაფუძნებაზე [28. 307-318].

ამრიგად, პროფ. ზოია შევტელმა (ჩიმაკაძემ) თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის და

პოპულარიზაციის საქმეში. მან საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველმა თუ არა, ერთერთმა პირველმა სცადა საგანგებოდ, სპეციალურად, შეესწავლა ნიკოლო მაკიაველის ისტორიული თხზულებები, გამოერკვია მისი ისტორიული შეხედულებები. ეს ნაშრომი სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს და იმ ხანების ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებაა.

\* \* \*

50-იანი წლების შუა ხანები ამ პრობლემის პოპულარიზაციის საკითხში მნიშვნელოვან ნიშანსვეტად, მიჯნად მოგვევლინა. ფაქტობრივად, აქ სრულდება ამ თემატიკით დაინტერესების მეორე პერიოდი. შემდგომ წლებში ქართული მედიევისტიკის ყურადღება დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიის პრობლემებისადმი კლებულობს. ესაა მესამე პერიოდი, 50-იანი წლების შუა ხანებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე. სტალინის გარდაცვალებიდან, მისი პირმშოს, საბჭოთა კავშირის, დაშლამდე.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წარმოიჭრება საკითხი, რით იყო გამოწვეული ქართველ მედიევისტთა ახალი თაობის ასეთ ინერტულობა? რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და უმთავრესად რამდენიმე გარემოებით იყო მოტივირებული.

ცხადია, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, იმის თაობაზე, რომ ამ პრობლემატიკის შესწავლას ხელს უშლიდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მონოპოლია, დიქტატი. ისტორიკოსი იმყოფებოდა ძლიერი პოლიტიკური დ იდეოლოგიური წნეხის ქვეშ და ოდნავი გაქანების საშუალება არ გააჩნდა, მაგრამ ამგვარი პასიურობა, რა თქმა უნდა, არ იყო განპირობებული მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიით, დიქტატი. ამგვარი ახსნა ზედაპირული იქნება და დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. შესაძლებელი იყო და სასურველი მეტი აქტიურობის გამოჩენა მარქსისტული მსოფლმხედველობის ფარგლებში, როგორც ამას აკეთებდნენ პირველი თაობის

ისტორიკოსები. მათ არ გააგრძელებს ეს კარგი ტრადიცია. ამას მოჰყვა ჩავარდნა.

თეორიულ, ისტორიოგრაფიულ საკითხებზე წერა ძნელია და ეს აფრთხობდა მრავალთ. ისინი ემპირიული ისტორიის კვლევას ამჯობინებდნენ. ამას ჰქონდა თავისი რეზონი, აზრი. იდეოლოგიური წნეხი თეორიულ, მეთოდოლოგიურ საკითხების დამუშავების დროს საკმაოდ ძალუძრავად იგრძნობოდა და ოდნავი გადახრაც კი გაბატონებული მარქსისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრების ტოლფასი იყო. ემპირიული ისტორიის შესწავლის დროს მცირე ლავირების საშუალება მაინც რჩებოდა. ასეთ იყო კონკრეტული, ვიწრო, ისტორიული სიუჟეტები, პირველ რიგში კი, წყაროთმცოდნეობის საკითხები, რომელიც შედარებით ნაკლებად ხვდებოდა გაბატონებული იდეოლოგიის ყურადღების ცენტრში.

სუბიექტურ სიძნელეებს ემატებოდა ობიექტური ხასიათის სირთულეები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზღვარგარეთის წიგნთსაცავებსა და არქივებში დაცულ მასალებზე ქართველ ისტორიკოსებს ხელი ნაკლებად მიუწვდებოდათ, რაც აგრეთვე აფერხებდა ამ თემატიკის პოპულარიზაციას და შესწავლას.

და ბოლოს, იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განაპირობებდა ამ დარგში ქართველი მედიევისტების ინერტულობას. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო არ იყო სუვერენული სახელმწიფო და სხვა ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა ადვილად ხელმისაწვდომი იყო და შეძლებისდაგვარად ავსებდა იმ ვაკუუმს, რომელიც ამ დარგში ქართულ სინამდვილეში არსებობდა. მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურის დეფიციტი ისე მწვავედ არ იგრძნობოდა.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა ამ დარგში ქართველ მედიევისტთა პასიურობას რაღაც ახსნა შეიძლება მოეძებნოს, მაგრამ არანაირი გამართლება არ გააჩნია. მეტი აქტიურობის გამოჩენა იყო საჭირო. უბრალოდ, სასურველი იყო დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტო-

რიოგრაფიის პოპულარიზაციას და შესწავლას მეტი ყურადღება დათმობოდა და ეს საკითხები უყურადღებოდ არ დარჩენილიყო. ამიტომ ეს მონაკვეთი, ი. სტალინის გარდაცვალებიდან – საბჭოთა კავშირის დაშლამდე უძრაობის ხანად შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც ადგილი აქვს ამ სფეროში ერთგვარ ჩავარდნას. ეს გამოსწორებადი იყო და მისი დრამატიზება, გამჟღავნება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

ამ ფონზე ერთგვარი ბედნიერი გამონაკლისი ჩანს ქუთაისელი ისტორიკოსის შალვა აბრამიძის ნაშრომი ცნობილ გერმანელ მედიევისტზე გეორგ ფონ ბელოვზე, რომელიც გამოსულია 1971 წელს და ქრონოლოგიურად, სწორედ, მესამე პერიოდში თავსდება. [20]. ქრონოლოგიურად ეს მართლაც ასეა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ ისტორიოგრაფიულმა ნარკვევმა მეორე პერიოდის შორეულ ექოდ გაიჟღერა და, ჩვენი შეხედულებით, გენეტიკურად წინა პერიოდთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე მომდევნოსთან, მაგრამ ერთი წამით მოდი თავი დავანებოთ ქრონოლოგიას და ვთქვათ, რომ ამ დროს გაკეთდა ეს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა.

ამრიგად, მონაკვეთი, 50-იანი წლების შუა ხანებიდან ი. სტალინის გარდაცვალებიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის და შესწავლის მესამე პერიოდი და პირობითად უძრაობის ხანად შეიძლება მივიჩნიოთ.

\* \* \*

ამრიგად, ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, ასეთი სურათ იკვეთება. ქართულმა მედიევისტიკამ თავისი წვლილი შეიტანა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხების პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ეს ძალიან კარგია და ქართული მედიევისტიკის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. მის მეცნიერულ მნიშვნელობას განაპირობებს მისი შემეცნებითი დატვირთვა. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ აკნინებს და არავითარ ჩრდილს არ აყენებს ამ შრომების მეცნიერულ წონადობას. ის სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის

ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს და იმ ხანების ქართულ მედიევისტის შენაძენია. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული, მხოლოდ საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა იყო. მეცნიერული, განსხვავებული აზრი იღვენებოდა, მკვეთრად იზღუდებოდა. ასეთ იყო რეალობა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური იქნებოდა. დღევანდელი გადასახედიდან ამ შრომების განქიქება, მიწასთან გასწორება, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და სუპერკრიტიულად მიგვაჩნია. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ“.

აღნიშნული პრობლემით ქართული მედიევისტის დაინტერესება სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან ხასიათს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და, ჩვენი აზრით. საინტერესო ევოლუცია განიცადა. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, 30-იანი წლების შუა ხანებამდე, ქართულ მედიევისტის სწორი გზა ჰქონდა არჩეული, მეცნიერულ აქცენტებს აკეთებდა და უმთავრესად იმ სიახლეებზე, ნოვაციებზე იყო ორიენტირებული, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისის ევროპულ მედიევისტის შრომებში. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იმ ხანებში პროფ. გრ. ნათაძის მიერ გამოქვეყნებული შრომები [1.71.2]. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს იყო საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი გამოვლინება, ბოლო მბუჟტავი სხივი. მალე ისიც ჩაქრა.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან რადიკალურად შეიცვალა ვითარება. ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ძირითადად პოლიტიკური კატაკლიზმების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ ფერისცვალებას განაპირობებდა არა მეცნიერული ფაქტორი, არამედ მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური და იდეოლოგიური სარჩული ედო საფუძვლად. მოხდა მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამიერიდან მყარდება ერთი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მო-

ნოპოლია, დიქტატი. მეცნიერული იყო მხოლოდ საკითხი-სადმი მარქსისტული მიდგომა. განსხვავებული აზრი სასტიკად იდევნებოდა, ითრგუნებოდა. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მიყვავართ. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება, რომ საბოლოოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო. სხვა გამოსავალი არ იყო. ქართველი მეცნიერები ირჩევდნენ სერიოზულ მეცნიერულ თემას და მარქსისტული პოზიციებიდან ამუშავებდნენ მას. ამ კომპრომისის გამო მათი განსჯა სწორი არ იქნებოდა. ალტერნატივა არ არსებობდა. ფაქტობრივად, ეს იყო არჩევანი უარესსა და ცუდს შორის. ამ რთულ ვითარებაში, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მედიევისტიკამ სწორი ნაბიჯი გადადგა და არჩევანი ცუდზე გააკეთა. თუ არა ეს კომპრომისი, დღეს ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც მშობლიურ ენაზე გაგვაჩნია შუა საუკუნეების ისტორიასა და ისტორიოგრაფიაში.

აღნიშნული პრობლემით დაინტერესების საქმეში 50-იანი წლების შუა ხანები, სახელდობრ ი. სტალინის გარდაცვალება, მნიშვნელოვან მიჯნად მოგვევლინა. ფაქტობრივად, აქედან იწყება ამ საკითხით დაინტერესების მესამე პერიოდი, რომელიც მთავრდება საბჭოთა კავშირის დაშლით, 90-იანი წლების დასაწყისში. მის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ამ თემატიკისადმი ქართველი მედიევისტები შედარებით ნაკლებ ყურადღებას იჩენდნენ და გულგრილი დამოკიდებულება დომინირებს. ამიტომ ამ პერიოდს პირობითად უძრაობის ხანა შეიძლება ვუწოდოთ.

აი, ასეთი საინტერესო მეტამორფოზი განიცადა საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციამ და შესწავლამ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და პირველ ყოვლისა, იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ქართულ მედიევისტიკაში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დამკვიდრება სულაც არ ატარებდა ისეთ ტრიუმფალურ ხასიათს, როგორც ამას სულ ცოტა ხნის წინ გვიხატავდნენ. ეს საშუალებას გვაძლევს დავამსხვრიოთ კიდევ ერთი მარქსისტული სტერეოტიპი და აღნიშნუ-

ლი საკითხის უფრო ადეკვატური სურათი წარმოვაჩინოთ. ქართული მედიევისტიკა იყო გაცილებით უფრო საინტერესო, რთული, მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი და მისი განვითარება სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან ხასიათს, როგორც ეს დიდი ხნის მანძილზე ეგონათ. პირიქით, მისი გაუფერულება, სწორედ, ერთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მონოპოლიის, დიქტატის, დამყარების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. [1.2] საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლამ თავისებური ფორმა მიიღო და პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის ელემენტების შეხამების, შერწყმის, მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

**M. KALANDADZE**

**STUDY OF HISTORY OF HISTORIOGRAPHY OF THE  
MEDIEVAL AGES OF EUROPE IN THE GEORGIAN  
MEDIEVALISM OF THE SOVIET PERIOD**

The given piece of work refers to an interesting topic – Study of history of historiography of the medieval ages of Europe in the Georgian medievalism of the Soviet period. This topic has not been researched in historiography and thus we considered it appropriate to repair this omission and make this problem an issue of special research. This will enable us to fill one more gap in Georgian medievalism.

Interest in the issues of historiography of the history of the medieval ages of Europe has seen interesting evolution. Initially, in the first part of the 20-30-ies Georgian medievalism was developing into the right direction, it put mostly scientific accents and oriented on those novelties happening in the European medievalism in the beginning of XX century. In this view the works by Prof. Gr. Natadze, published in those years are interesting. This was one of the last examples of free



thinking in the Soviet Union. This was the first period of interest with this topic.

Soon the situation has changed sharply, unification and stalinization of the historical science has occurred. The state has roughly interfered with the science. One monopoly of Marxist-Leninist ideology has been established. Different opinion was unacceptable and was persecuted. There was no freedom of choice. This was second period with this topic, Stalinist epoch. Prof. Grigol Natadze and Prof. Al. Namoradze should be considered as founders of research and popularization of history of historiography of the medieval ages of Europe in Georgia. Their path was continued by Sh. Abramidze and Z. Shevteli (Chimakadze).

After this period interest in the topic has sharply decreased. This was third period, from the middle of the 50-ies, death of Stalin, up to the beginning of the 90-ies, collapse of the Soviet Union. This can be called “stagnation period”.

Georgia historians have chosen serious scientific problem and approach it from Marxist positions. It will not be right to judge them strictly because of this. Of course this was not best solution. There was choice between worse and bad, and the Georgian medievalism has made the right step and has chosen the latter. Without this compromise we would not have about medieval ages even the limited information that we have now in Georgian.


Establishment of Marxist-Leninist ideology in the Georgian medievalism did not have such triumphal character, as it was described by the Soviet historiography. Interest of Georgian medievalism with this problem was not at all so straightforward, as it has been considered for a long time. It has had interesting evolution and has seen many complications on its course. Initially it was much more interesting; afterwards, strong political and ideological oppression has resulted in fading of its methodology.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
2. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009.
3. გრ. ნათაძე, ახალი პრობლემები ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი – უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, თბ., 1925.
4. გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1926.
5. გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბ., 1933.
6. გრ. ნათაძე, დოფმის თეორიის კრიტიკა და თანამედროვე ფაშიზმი – უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXVI თბ., 1944.
7. გრ. ნათაძე, ჩაპიტულარე დე Vილდის ერთი ნიმუში ფორმალურ ლოგიკური მიდგომისა ისტორიულ კვლევაში – უნივერსიტეტის შრომები, სერია 1, თბ., 1936.
8. გრ. ნათაძე, სალიკური კანონი, როგორც წყარო ევროპის ეკონომიური ისტორიის შესასწავლად, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 5. თბ., 1938.
9. გრ. ნათაძე, მსხვილი მამულის ორგანიზაცია და მართვა მეროვინგების დროს – უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIV, თბ., 1942.
10. გრ. ნათაძე, სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანელებში – უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVI, თბ., 1940.
11. ალ. ნამორაძე, დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი 1. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება. თბ., 1933.
12. Д. Петрушевский, Возникновение городского строя средних веков (очерки и теории) – в кн: Г. фон Белов, Городской строи и городская жизни средневековой Германии, СПб., 1912.
13. ალ. ნამორაძე, ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ – უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, თბ., 1938.

14. შ. აბრამიძე, შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხისათვის (ანრი პირენის თეორია) – აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, ქუთაისი, 1954.
15. შუა საუკუნეების ისტორია, ნაწ. 1. გ. კუტალაიას რედაქციით, თბ., 2004.
16. А. Пирен, Средневековые города Бельгии, СПб, 2001.
17. H. Pirenne, Mahomet et Charemagne, Paris – Bruxelles, 1937.
18. В. Зомбарт, Современный капитализм, т. 1. М. – Л., 1931.
19. შ. აბრამიძე, ვერნერ ზომბარტი შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის შესახებ – აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. XIV, ქუთაისი, 1955.
20. შ. აბრამიძე, გეორგ ფონ ბელოვი ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ – აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. XXVIII, ქუთაისი, 1971.
21. შ. აბრამიძე, დ. პეტრუშევსკი შუა საუკუნეების ქალაქის შესახებ – XXVIII სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 1964.
22. «Средние века» вып. 2. М., 1946.
23. А. Данилов, Эволюция идеино-методологических взглядов Д. М. Петрушевского и некоторые вопросы историографии средних веков – «Средние века», вып. VI, 1955.
24. Ed. Fueter, Geschichte der neueren Historiographie, Munchen und Berlin. 1936. G von Below, Deutsche Geschichtsschreibung, Leipzig. 1916. L. Halpen. Histoire et Historiens depuis cinquante ans, Paris, 1927.
25. О. Ваинштайн, Историография средних веков, М., 1940. Е. Косминский. Историография средних веков (V в – середина XIX века), М., 1963.
26. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის – მაცნე, ისტორიის სერია, №2, 1992. კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის, – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“ №1, 1992. М. Каландадзе, Грузинские школьные учебники по новой истории – «Пре-

- პოდოვანოვი, ი. «Подготовка истории в школе» №7, 1994. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007. მ. კალანდაძე, ისტორიული აზროვნების პერიოდიზაცია – კრებული მიძღვნილი ვახტანგ ნანიტაშვილის ხსოვნისადმი, თბ., 2004. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, თბ., 2011. კარი 1. თავი III.
27. З. Шевтель, К вопросу об исторических трудах Николо Макиавели, Тб., 1948 (საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).
28. ფ. ლომაშვილი, ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ნაწ. 1. თბ., 2003.



*რედაქციისაგან: 2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა წიგნის წარდგინება. მას დაესწრნენ: ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება **ჰანს ჰოლბახი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოდელიე **გიორგი შერვაშიძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **თემურ ნანეიშვილი**, საისტორიო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.*

*ფოტო-რეპორტაჟში მოტანილი ფოტო-მასალა ეკუთვნის **მიხეილ ფხაჭიაშვილს**, რისთვისაც მას მადლობას ვწირავთ.*

ნიკოლას ვიტსენი XVII საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი (ნიდერლანდელი) პოლიტიკური მოღვაწე, მოგზაური, ნეგოციანტი, ამსტერდამის ბურგომისტრი იმით არის ცნობილი, რომ თავის მოგზაურობის დროს ღრმად ეცნობოდა მისთვის ახალი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრებას, ისტორიას, კულტურას, ეთნოგრაფიულ ყოფას, ამ დაკვირვების შედეგებს იწერდა და ხშირად აქვეყნებდა კიდევ თავისი მოგზაურობის დროს ის რუსეთშიც მოხვდა და თავისი შთაბეჭდილებები ამ ქვეყანის შესახებ მეტად გახმაურებულ წიგნში – „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი“ – აღწერა.

ამ კაპიტალურ ნაშრომში ნიკოლას ვიტსენი საქართველოს ისტორიას, მის ეთნოგრაფიას და კულტურულ ცხოვრებასაც ეხება. მართალია, ის საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ მან ევროპის საისტორიო ლიტერატურაში სკრუპულოზურად შეკრიბა თითქმის ყველა ფაქტი და ცნობა, რაც კი საქართველოს შეეხებოდა, გააერთიანა და გამოაქვეყნა.



*წარდგინება შესავალი სიტყვით გახსნა  
აკად. დავით მუსხელიშვილმა*



*წიგნი საზოგადოებას წარუდგინა  
პროფ. ვალერი ვაშაიძემ*

უნდა ხაზგასმით ისიც აღინიშნოს, რომ ბედისწერამ ის საქართველოს მეფე არჩილ II-ს და მის ვაჟს ალექსანდრე ბატონიშვილსაც შეახვედრა: რუსეთის მეფის პეტრე I-ის ჰოლანდიაში ვიზიტის დროს ქართველი უფლისწული ახლო გაეცნო ამსტერდამელ ნიკოლას ვიტსენს და, როგორც დასტურდება, მისგან საკმაოდ დავალებულიც ყოფილა. ამას მიუთითებს მეფე არჩილის მადლიერების წერილიც, რომელსაც ვიტსენი თავის წიგნში სრულად აქვეყნებს.

ნიკოლას ვიტსენის ამ, მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული წიგნის ქართულ ენაზე გაცნობის შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი თანამემამულეების, ჰოლანდიის მოქალაქეების არჩილ და ნინო ჯავახიძეების ძალისხმევამ. ისინი უკვე დიდი ხანი ინტენსიურად მუშაობენ, რომ თანამედროვე ჰოლანდიელ მკითხველს გააცნონ საქართველოს ისტორია, მისი მდიდარი კულტურა და მისი უძველესი ლიტერატურა.



*ნიდერლანდების სამეფოს ელჩი, მისი აღმატებულება  
ჰანს ჰოლბახი და არჩილ ჯავახიძე*

ნიდერლანდებს სამეფო დღეს საქართველოს ერთგული, მრავალმხრივ საინტერესო პარტნიორი და მეგობარი ქვეყანაა. საქართველოსთვის ურთულეს წლებში ჰოლანდიის მთავრობა და მისი ხალხი ყველაფერს აკეთებდნენ და, ალბათ, მომავალშიც გააკეთებენ, რომ საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი ევროპის ქვეყნების თანამეგობრობაში, გახდეს ძლიერი და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელმწიფო.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ წიგნის თარგმნა და მისი გამოცემა შესაძლებელი გახდა ჰოლანდიის ლიტერატურული ფონდის (Dulch foundation for literature), არასამთავრობო ორგანიზაცია „აისი კონსულტანსის“ (Aisi Consultsnys) მატერიალური დახმარებითა და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ყოფილი ელჩის, ბატონ პიტერ ლანგენბერგის ძალისხმევით. წიგნი ოპერატიულად დაბეჭდა თბილისის გამომცემლობა „უნივერსალმა“, რისთვისაც მის ხელმძღვანელს ბატონ გოჩა ხარებავას მადლობას ვწირავთ.



*ჭიათურისა და საჩხერის  
მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი)*





*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრის მოადგილე გიორგი შერვაშიძე*



*ნაშრომი შეაფასა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ნანეიშვილმა*

წიგნის მეცნიერი რედაქტორია პროფესორი ვალერი ვაშაკიძე გამოცდილი და აღიარებული წყაროთმცოდნე, რომელმაც დიდი ენერგია მოახმარა წიგნის თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნების დონეზე გამართვის საქმეს. წიგნი გამოქვეყნდა ორ – ჰოლანდიურ და ქართულ ენაზე, რაც დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ ქართველ და ჰოლანდიელ მკითხველს გაეცნოს XVII საუკუნის ჰოლანდიელი მოღვაწის საინტერესო ინფორმაციას საქართველოს შესახებ.

## ქრონიკა

### ირაკლი ბელენავა

#### საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და აფხაზეთის მოზარდთა კონფერენცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს „სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს, საგანმანათლებლო პროექტების დახმარებით, აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებში სამშვიდობო ხედვებისა და მშვიდობისაკენ სწრაფვის განვითარებას, მათი სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას და ცოდნისადმი სწრაფვის გაძლიერებას.



„აფხაზეთის მოზარდთა კონფერენცია“ – აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტრადიციული და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. მისი მიზანია: პატრიოტიზმისა და ტოლერანტობის გაღვივება, მოზარდებში ისტორიულ დოკუმენტებზე მუშაობისა და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების აღმოჩენა-

განვითარება. კონფერენციის თემატიკა ყოველწლიურად იცვლება, მაგალითად: იგი სხვადასხვა დროს ჩატარდა თემატიკით: „ზურაბ ანჩაბაძე და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში განსაკუთრებულად დადებითი წვლილის მქონე მოღვაწეები“, „აფხაზეთის ეთნოგრაფია“ და სხვა. წელს კი, კონფერენცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა.

წლეულს კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად აფხაზეთიდან დეკნოიძე 23-მა ახალგაზრდამ წარმოადგინა თავისი ნამუშევარი, მათგან 6 ნამუშევრის ავტორები გალის ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეები იყვნენ.

კონფერენციის გამართვას გამოეხმაურა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია, სწორედ მისი მხარდაჭერით კონფერენცია გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დარბაზში, რამაც უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდებზე.

კონფერენციას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი – დიმიტრი ჯაიანი; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი – ჯემალ გამახარია, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ბელა კოპალიანი, აფხაზეთის ა/რ მინისტრი სამოქალაქო თანხმობის და კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში – ლელე გულელანი, აკადემიკოსი – ავთანდილ არაბული; აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ალექსანდრე დაუშვილი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი – ედიშერ გვენცაძე; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები – ზურაბ პაპასკირი და თეიმურაზ გვანცელაძე და სხვა.

მონაწილეებს სიტყვით მიმართა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა: „მოგესალმებით, ჩემო ახალგაზრდებო, დიდი სიყვარულით. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამ კონფერენციის ორგანიზატორებს, პროგრამებისა და საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს ირაკლი გელენავას და მასპინძლებს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადე-

მიას. აღსანიშნავია, რომ ასეთი დიდი ყურადღება ექცევა აფხაზეთის თემატიკას, დღეს აფხაზეთიდან გადმოსული ბავშვები, პედაგოგები და დედები არიან გმირები, დარწმუნებული ვარ, საქართველოში დადგება ის დრო, როდესაც ყველა აღიარებს მათ გმირობას“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით მოზარდებს აკადემიკოსი ავთანდილ არაბული მიესალმა: „ეს დღე ბავშვებო, თქვენს ბიოგრაფიაში სამუდამოდ ჩაიწერება ოქროს ასოებით. მაღლობა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, რომელმაც ყველანი კიდევ ერთხელ მიგვახედა ჩვენი ისტორიისაკენ, იმ საფუძვლებისაკენ, რომელიც ძირითადი გარანტიაა ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი სახელმწიფოებრივი მთლიანობის და ჩვენი განვითარების“.

კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიკოსმა ნანა ხაზარაძემ: „ჩემთვის სიხარულის და სევდის დღეა, რაც ხდება ჩვენ ქვეყანაში, ის, რაც ხდება აფხაზეთში, ის რაც ხდება გალის რაიონში, არ შეიძლება ყოველი ჩვენგანისთვის არ იყოს სევდის მომგვრელი, მაგრამ ამავე დროს სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღეს აქ თავმოყრილნი არიან ჩვენი ნორჩი ისტორიკოსები. გავისხენებ ილიას სიტყვებს – „შვილებმა უნდა იცოდნენ, სად გაჩერდნენ მამები“; – სწორედ ამას აკეთებენ ეს მოზარდები, ისინი ცდილობენ გაიგონ, სად გაჩერდნენ მამები, ჩვენი წინაპრები, რომლებმაც ძალიან მძიმე ისტორია გამოიარეს და საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა შემოინახეს“.

კონფერენციას უძღვებოდა სამინისტროს პროგრამებისა და საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი ირაკლი გელენავა.

კონფერენციის ნორჩი მომხსენებლები იყვნენ: **სალომე თავზარაშვილი** – „დავით აღმაშენებელი“, (ქ. თბილისის №1 კლასიკური გიმნაზია, XI კლასი); **ანა სილაგავა** – „ქართველთა დაცემა და ამადლება – ცოტნე დადიანი“, (ვოვა ვეკუას სახ. აფხაზეთის №3 საჯარო სკოლა, VIII კლასი); **ანა ჩომანია** – „გეორგიევსკის ტრაქტატის დადების მიზეზები“ (ქ. თბილისის №20 საჯარო სკოლა, X კლასი); **ლუკა ფოფხაძე** – „გეორგიევსკის ტრაქტატი და

საქართველო“ (ქ. თბილისის №51 საჯარო სკოლა, VI კლასი); **მეგი ჯალაღონია** – „გზანი წამებისანი“ ანუ ქართულ-რუსული ურთიერთობანი გეორგიევსკის ტრაქტატიდან 2008 წლის 8 აგვისტომდე“ (აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა, XI კლასი); **ალეკო კვაშილავა** – „ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი“, (ქ. გალის №2 საშუალო სკოლა, IX კლასი); **თათული ბუთბაია** – „ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“ (ზემო ბარდების საშუალო სკოლა, X კლასი); **გივი ღვინჯილია** – „გზა დამოუკიდებლობისაკენ“ (ი. ვეკუას სახ. №42 საჯარო სკოლა, VIII კლასი); **დაჩი ჩიტაია** – „აფხაზეთის სტატუსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, (ქ. თბილისის №52 საჯარო სკოლა, IX კლასი); **გოგა ქათაღანძე** – „მერაბ კოსტავა თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი“ (ქ. გალის №2 საშუალო სკოლა, X კლასი); **გიორგი ქვარცხავა** – „საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობა“, (აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა, XI კლასი); **გიორგი ინჯგია** – „26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე“ (თ. ბოკუჩავას სახ. №7 საჯარო სკოლა, XI კლასი); **ნათია ფანცულაია** – „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“ (ქ. თბილისის №83 საჯარო სკოლა, VIII კლასი); **მარიამ კვირკვია** – „სიკვდილამდე თავისუფლებისათვის“ (საბერიოს №2 საშუალო სკოლა, XI კლასი); **მარიამ მესხია** – „26 მაისი“ (საბერიოს №2 საშუალო სკოლა, XI კლასი).

მოსხენების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სიტყვით გამოვიდნენ: აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე ბელა კოპალიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ედიშერ გვენეტაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერი, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე, გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს მსგავსი კონფერენციების გამართვის მნიშვნელობას და შეაფასეს წარმოდგენილი ნაშრომები.

ყველა მონაწილეს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ საჩუქრად სიგელები და ელექ-

ტრონული წიგნების წასაკითხი ე. წ. „reader“ გადასცა, რომელშიც ჩაიტვირთა 1000-ზე მეტი ქართული თუ უცხოური ლიტერატურული ნაწარმოები. მოსწავლეებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიის სახელით აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა გადასცა უახლესი გამოცემა ქართულ ხელნაწერებზე, პროფესორმა ალექსანდრე დაუშვილმა – აკადემიის ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის კომისიის მიერ გამოცემული საქართველოს შესახებ ნიკოლას ვიტსენის ბილიგეური გამოცემით დაასაჩუქრა ახალგაზრდები, ხოლო აკადემიკოსმა ნანა ხაზარაძემ ნორჩ მკვლევარებს თავისი წიგნები – „კავკასიურ-ახლო-აღმოსავლური სამყარო“ უსახსოვრა.

ეს დღე თითოეული ახალგაზრდისათვის დაუფიქრად დარჩება, რადგან მათ თავიანთი, ბევრისათვის, ალბათ, პირველი ნაშრომი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ამ ისტორიულ შენობაში წარმოადგინეს...

მოზარდების ამ ოცნების განხორციელებისთვის კი განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით: აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს, აკადემიის ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის კომისიის ხელმძღვანელს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს, პროფესორ ალექსანდრე დაუშვილს.

პროექტის კოორდინატორები იყვნენ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამებისა და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის, პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველოს სპეციალისტები: ინგა გაბუნია, თეა კირვალიძე და ნინო გერგუდავა.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**  
**სამეცნიერო კონფერენცია**

**შჩა ბლუაშვილი**

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი..... 5

**U. BLUASHVILI**

How the War of 2008 Was Made..... 32

**ალექსანდრე დაშუშვილი**

საქართველოს ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის ტრაგიკული ზიგზაგები 2008 წლის აგვისტოს ომის წინ..... 35

**AL. DAESHVILI**

Dramatic Zigzags of the Inner Policy of the Georgian Government before the 2008 August War..... 53

**დაზმირ ჯოჯუა**

„კრიზისული დიპლომატია“ 2008 წლის აგვისტოს ომში..... 55

**D. JOJUA**

„Crisis Diplomacy” in the war of 2008..... 78

**ბიორბი (ბია) ყარყარაშვილი**

რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები..... 80

**G. KHARKHARASHVILI**

Military Strategic and Tactic Problems of the Russian-Georgian War..... 95

**მედეა ბურღული**

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართულ-ოსური მოსახლეობა 2008 წლის ომის წინ და ომის შემდეგ (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)..... 96



**M. BURDULI**

Georgian and Ossetian Population of the Conflict Zone  
before and after the 2008 August War  
(According to Ethnographic materials)..... 111

**საქართველოს ისტორია**

**დავით მუსხელიშვილი**

როდის აწამეს აბიბოს ნეკრესელი და როდის  
დაიწერა მისი მარტვილობის არქეტიპი? ..... 113

**D. MUSKHELISHVILI**

When Was Saint Abibo Nekreseli Martyred  
and the Archetype on his Martyrdom Written?..... 127

**НАНА ХАЗАРАДЗЕ, ДАРЕДЖАН ЦУЦКИРИДЗЕ**

Антитеза: внутренний мир - внешний мир..... 129

**N. KHAZARADZE, D. TSUTSKIRIDZE**

Antithesis: inner world outer..... 134

**ზაზა ალექსიძე**

ნესტორიანები კავკასიაში..... 136

**Z. ALEKSIDZE**

Nestorians in the Caucasus VI c..... 163

**გიორგი ჯეიშვილი**

კასპიის კარები, იბერიის საზღვრები და  
საერთაშორისო ურთიერთობები  
მეექვსე საუკუნეში..... 164

**G. TCHEISHVILI**

Caspian Gates, Iberian Frontiers and International  
Relations in the Sixth Century..... 188

**თეო ბიძგა**  
ე. ორსოლის თვალთ ნახული თბილისი..... 195

**T. GITSBA**  
E.Orsolle’s information about Tbilisi ..... 206

**ნოდარ ასათიანი, შოთა ასათიანი**  
არმაზის კულტის რაობისათვის..... 209

**N. ASATIANI, SH. ASATIANI**  
On the Essence of Armazi Cult..... 233

**არჩილ ჩაჩხიანი**  
აფხაზეთის პირველი „ბოლშევიკური  
რევოლუციის” ისტორიისათვის..... 238

**AR. CHACHKHIANI**  
To the History of the First Abkhaz  
“Bolshevist Revolution” ..... 302

### **საქართველოს ეკლესიის ისტორია**

**ელდარ ბუბულაშვილი**  
სასულიერო სასწავლებლის დაარსების მცდელობა  
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის  
პირველ წლებში..... 309

**E. BUBULASHVILI**  
Theological education in the early years of the establishment  
of the attempts to restore the Church..... 321

**ნუზარ სამხარაძე**  
საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის  
სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის  
ასპექტები სახელმწიფოსა და ეკლესიის  
ურთიერთობათა კონტექსტში..... 323

**N. SAMKHARADZE**

The Aspects of the Georgian Orthodox Church Management in the Context of Relationships Between the State and the Church.....335

**ეთნოლოგია**

**ნინო მაისურაძე**

ქართული ხალხური მუსიკის განვითარების უძველესი საფეხურები. II. დასავლეთ საქართველო (მუსიკალური მასალის ანალიზი) .....337

**N. MAISURADZE**

The Ancient Stages of Georgian Folk Music Development II. West Georgia (The analysis of musical material).....368

**გულდამ ჩიქოვანი**

საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის დასახლების სტრუქტურა და სახალხო საკრებულოების ადგილი მასში.....371

**G. CHIKOVANI**

North Georgian Highland Dwelling Structure and the Location of People’s Gathering Places within it..... 405

**ნათია ჯალაბაძე, ლია მელიქიშვილი**

ღვთისმშობლის ხალხური კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) ..... 409

**N. JALABADZE, L. MELIKISHVIL**

Folk cult of the Virgin Mary in the Eastern Mountainous Region of Georgia (According to the Ethnographic Materials)..... 416

## არქეოლოგია

### ალექსანდრე ორჯონიძიძე

ბედენის კულტურის ფორმირების  
ზოგიერთი ასპექტი.....418

### A. ORJONIKIDZE

Some Aspects of the Formation of the Bedeni Culture..... 427

### РЕВАЗ ПАПУАШВИЛИ, ЛЕРИ ДЖИБЛАДЗЕ

Одна группа кубков из Центральной Колхиды..... 430

### R. PAPUASHVILI, L. JIBLADZE

For One Group of Pottery Drinking Vessle  
from Central Colchis..... 434

## ანთროპოლოგია

### ლია ბითაძე, შოტენა ჯალიაშვილი, დავით ჭითანავა

სვანების ანთროპოლოგიური დახასიათება  
შედარებით ასპექტში. ნაწილი I. სვანების  
შიდაპოპულაციური ცვალებადობა.....437

### L. BITADZE, S. LALIASHVILI, D. CHITANAVA

Anthropological characterization of Svans  
in comparative aspect. Chapter I. Internal population  
variability of Svans..... 460

## ლიტერატურათმცოდნეობა

### ნესტან სულავა

კაენისა და აბელის სახისმეტყველებისათვის  
სადვთისმეტყველო ლიტერატურაში.....463

**N. SULAVA**

Cain and Abel as a Symbol faces in Theological Literature..... 485

**თვალსაზრისი**

**ზნა ბლუაშვილი**

კიდევ ერთხელ სამხრეთ საქართველოდან  
დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური  
იდენტიფიკაციის შესახებ.....487

**ლავრონტი ჯანიაშვილი**

კიდევ ერთხელ ტერმინ “თურქი მესხის” შესახებ –  
რამდენიმე მოსაზრება უ. ბლუაშვილის სტატიაზე“  
კიდევ ერთხელ სამხრეთ საქართველოდან  
დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური  
იდენტიფიკაციის შესახებ” .....501

**თარგმანები**

**ALEKSANDRE DAUSHVILI**

Apostolic “Pentateuch” of “Comrade Epifantsev” and  
the History of the United Georgia..... 507

**MIKHEIL SAMSONADZE**

A Political Model of Stirring Up  
Anti-Georgian Hysteria..... 536

**პროტიკა და ბიბლიოგრაფია**

**НАНА ХАЗАРАДЗЕ**

Традиционные религиозные институты в культуре  
народов (Некоторые аспекты научных статей  
сборника «Общество, религия, государство»)..... 560

**არჩილ ჩაჩხიანი**

ავხაზეთი და ველიკორუსულ-შოვინისტური  
ისტორიოგრაფიის ზოგიერთი ნიმუში..... 571

**AR. CHACHKHIANI**

Abkhazia and Some Examples of the  
Great-Russian Chauvinistic Historiography..... 595

**მერაბ კალანდაძე**

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის  
ისტორიოგრაფიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის  
ქართულ მედიევისტკაში..... 599

**M. KALANDADZE**

Study of History of Historiography of the Medieval  
Ages of Europe in the Georgian Medievalism  
of the Soviet Period..... 632

**ფოტო-რეპორტაჟი**

ნიკოლას ვიტსენის წიგნის პრეზენტაცია..... 637

**ქრონიკა**

**ირაკლი ბელენაშა**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და  
ავხაზეთის მოზარდთა კონფერენცია..... 643



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)